განათლება

რედაქტორი: თემურ ჯაგოდნიშვილი
თანარედაქტორი: რაფაელ გუზმან ტირადო

GANATLEBA

Georgian Technical Unicversity
Georgian Academy of Education Sciences

Editor: Temur Jagodnishvili
Coeditor: Rafael Guzman Tirado

№ 2 (29) 2020
ISSN 2346-8300

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

განათლება

GANATLEBA

ყოველკვარტალური რეფერირებადი და
რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

2(29)
2020

განათლება

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით
(ოქმი №7)

№2 (29), 2020 წელი

რედაქტორი — თემურ ჯაგოდნიშვილი, სტუ პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

თანარედაქტორი რაფაელ გუსმან ტირადო — პროფესორი, გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი)

რედაქტორის მოადგილე - ზურაბ ჩაჩხიანი, სტუ პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

საredakcio kolegia:

ლია ქათამაძე — პასუხისმგებელი მდივანი - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კონსტანტინე რამიშვილი — პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ანზორ აბრალავა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გელა ყიფიანი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ელისაბედ ხახუტაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ივანე ჯაგოდნიშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვახტანგ მაღრაძე— პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზურაბ გამეზარდაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლია მეტრეველი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ ბონდარენკო — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნიკო ჯავახიშვილი — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავით გოცირიძე — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი ხუხუნი — მოსკოვის ლინგვისტური უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ირჟი კლაპკა — პროფესორი, კარლოსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

ტომას შმიდტი — პროფესორი, ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია)

სესილია ოდე — პროფესორი, ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)

გალინა ტროფიმოვა — პროფესორი, მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი (რუსეთი)

რედაქცია: თემურ ჯაგოდნიშვილი, რაფაელ გუსმან ტირადო

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია

სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ტელ.: (032) 236 57 07

web-გვერდი: http://gtu.ge/Journals/newsletters

ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

GANATLEBA

International Science-Pedagogical Journal is published according with the decision of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)

№2 (29), 2020

Editor – **Temur Jagodnishvili,** Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

Coeditor – **Raphael Guzman Tirado** – Professor, University of Granada (SPA)

Sub-editor – **Zurab Chachkhiani,** Professor, Georgian Technical University,Academician of Georgian Educational Sciences

EDITORIAL BOARD:

Lia Katamadze – Responsible Secretary, Associate professor Georgian Technical University

Konstantine Ramisvhil – Vice-President of Georgian Academy of Education Sciences

Anzor Abralava – Professor, Georgian Technical University

Gela Kipiani – Professor, Georgian Technical University

Elisabeth Khakhutashvili – Associate professor, Georgian Technical University

Ivane Jagodnishvili– Professor, Georgian Technical University

Vakhtang Magradze – Professor, Georgian Technical University

Zurab Gamezardashvili– professor, Georgian Technical University

Lia Metreveli– professor, Georgian Technical University

Tamar Bondarenko – Associate professor Georgian Technical University

Niko Javakhishvili – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

David Gothsiridze – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Giorgi Khukhuni –Professor, Lingvistic University of Moscow

Jiri Klapka – professor, Karlos University (CZE)

Tomas Schmidt – Professor, University of Bern (SUI)

Cecilia Ode – University of Amsterdam (NED)

Galina Trophimova – Professor, Moscow University of Friendship of People (RUS)

Editor office: Temur Jagodnishvili, Raphael Guzman Tirado

Technical editor: Asmat Pipia

The authors are responsible for the accuracy of the facts in the article

Adress: 0175, Tbilisi, str. Kostava 77, GTU

TEL.: (032) 236 57 07

web-said's adress: http://gtu.ge/Journals/newsletters

e-mail: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

შინაარსი

განათლების მეცნიერებანი

ირმა კეცხოველი
განათლება, პრობლემები და 21-ე საუკუნე 11

ჟურნალისტიკა

ქეთევან გიორგობიანი
გერმანიის სამი პოპულარული ჟურნალი 19

ვაჟა დანელია
კრედოტეინმენტი და სასპორტო პრესა 26

ნინო დანელია
ქართველი მწერლები იოსებ იმედაშვილზე 32

ეკა ვეფხვაძე
ტერორიზმის გაშუქება მედიაში და საფრთხეები 40

შორენა კოკორაშვილი
ბავშვთა უფლებები და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები 46

დავით მაღლაფერიძე
კრიზისები და მედიის გავლენა საზოგადოებაზე 50

ნატა ხორავა
ინფორმაცია როგორც ფსიქოლოგიური იარაღი ცნობიერებაზე
ზემოქმედებისათვის 55

ფილოლოგია

იოსებ სანიკიძე
ფერების სიმფონია პუბლიცისტულ ტექსტებში **60**

ზურაბ გამეზარდაშვილი
მცირე ლიტერატურული კონცეპტები 67

მანანა ქაჯაია
არაქართულენოვანი სტუდენტების კითხვის უნარის დაუფლების ზოგიერთი
ასპექტი 77

მანანა ქაჯაია, მარიამ ქვრივიშვილი
ენის ინტეგრირებული სწავლების ზოგიერთი ასპექტი 83

ინგა ზოიძე
აღორძინების ხანის მწერლობა, მისი ძირითადი მიმართულება და დანიშნულება.. 89

სოციოლოგია

ეკა გვერდწითელი
„კონსენსუსი და მიღწევის გზები“, ჯგუფური დისკუსიის შედეგები და ანალიზი... 96

ალექსანდრა ლატარია
ტრადიციული ჩინური ოჯახის ტრანსფორმაცია 104

სოფიო ფაჩულია
გენდერი ბულინგის კვლევაში 108

ნანა ცოტნიაშვილი
მოტივაცია სწავლასა და სწავლებაში 117

ფილოსოფია-ფსიქოლოგია

გიორგი მძინარაშვილი
მწვრთნელისა და სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადების მნიშვნელობა 122

მარიამ გვილავა
ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიური ასპექტები 127

საერთაშორისო ურთიერთობები

კობა გოგიბერიძე
ტერორიზმის სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი..... 137

მარინა გლოველი
ეროვნული უმცირესობების ჩამოსახლების ისტორიიდან საქართველოში 149

ანა გუგუშვილი
აშშ-ს ინტერესები პოსტსაბჭოურ სამხრეთ კავკასიაში 162

თამარ ელოშვილი
საქართველოში ეკონომიკური ზრდისა და მიმდინარე განათლების რეფორმის
ურთიერთკავშირის რამდენიმე ასპექტი 168

გიორგი მაისურაძე
აშშ-რუსეთის დაპირისპირება და თურქეთის კონტროლს დაქვემდებარებული
სამხედრო ფრომირებები სირიის კონფლიქტში 175

გიორგი მათიაშვილი
თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი: საფრთხეები და გამოწვევები 186

ია რუსიეშვილი
”მარტოხელა მგლის” ტიპის ტერორიზმის საფრთხე ევროპაში 204

შავლეგო ტაბატაძე
ქურთისტანის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითადი
პრობლემები 209

ზაზა ჩხაიძე
კარლ ფონ კლაუზევიცის ომის ფილოსოფიის ფუნდამენტური გააზრება და მისი
კრიტიკოსები..... 225

თამარ ხეცურიანი
სამხრეთ კავკასიის გეოპლიტიკური ასპექტები 243

არქეოლოგია

ირაკლი შიხიაშვილი
აბრეშუმის გზა და სამონეტო მიმოქცევა ძველ საქართველოში 252

პოლიტიკის მეცნიერებები

ზურაბ გამეზარდაშვილი
ევროკავშირი – ინტერესთა ერთიანობა 266

ინგა გიგაური
სტრატეგიის ფორმირებისა და ანტიკრიზისული მართვის აღსრულების
ღონისძიებები ქართულ კომპანიებში 279

ლია აბლოთია
პარლამენტის არჩევნების კონსტიტუციური რეგულირების მოდელი 286

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

გორგოშიძე ალექსანდრე, დარჩიაშვილი ლალიტა
იზოტპოები და იზობარები..... 291

ვალერიან ხუციშვილი, კახაბერ შამათავა, ნუგზარ დოლიძე
იზოტოპური კვლევისას გამა კამერით რეგისტრაციის გაუმჯობესებული
მეთოდი..... 296

CONTENTS

EDUCATION SCIENCES

Irma Ketskhoveli
Education, Problems and the 21st Century 11

JOURNALIZM

Ketevan Giorgobiani
Three Popular Magazines of German 19

Vaja Danelia
Credoteintment and sports press 26

Nino Danelia
Georgian writers about Ioseb Imedashvili 32

Eka Vepkhvadze
Coverage of Terrorism in the Media and its Threats 40

Shorena Kokorashvili
Children's rights and rights-based approaches 46

David Maglaperidze
Influence of crisis and media on a society 50

Nata Khorava
Information as a psychological weapon for influencing consciousness 55

P H I L O L O G Y

Ioseb Sanikidze
Symphony of Colors in Publicist Texts 60

Zurab Gamezardashvili
Small Literary Concepts 67

Manana Kajaia
Some aspects to master reading skills with non-Georgian speaking students 77

Manana Kajaia, Mariam Kvrivishvili
Some aspects regarding the purpose of integrated language teaching 83

Inga Zoidze
Conversation in Old Georgian Writing 89

SOCIOLOGY

Eka Gverdtsiteli
"Consensus and the ways to reach it", Results and Analysis of Group Discussion 96

Aleksandra Lataria
Transformation of Modern Chinese Family 104

Sophio Pachulia
Gender in Bullying Research 108

Nana Tsotniashvili
Motivation in Learning and Teahing 117

PHILOSOPHY-PSYCHOLOGY

Giorgi Mdzinarashvili
The significance of psychological preparation for coach and athlete 122

Mariam Gvilava
Psychological aspects of early childhood development 127

INTERNATIONAL RELATIONS

Koba Gogiberidze
Social-psychological analysis of terrorism 137

Marina Gloveli
Since the History of Resettlement of National Minorities in Georgia 149

Ana Gugushvili
USA's interests in the post-Soviet southern Caucasus 162

Tamar Eloshvili
About some aspects of economic growth and current education reform in Georgia ... 168

Giorgi Maisuradze
The US-Russian confrontation and military formations controlled by Turkey in the Syrian conflict 175

Giorgi Matiashvili
Middle East conflicts 186

Ia Rusieshvili
"Lone wolf" the type of Terrorism's danger in Europe 204

Shavlego Tabatadze
The main problems of political-state arrangement of Kurdistan 209

Zaza Chkhaidze
Fundamental understanding of the nature of war philosophy by Karl Von Clausewitz's and its Critics 225

Tamar Khetsuriani
Geopolitical aspects of the South Caucasus 243

A R C H E O L O G Y

Irakli Shikhiashvili
The Silk Road and Coin Circulation in Ancient Georgia 252

P O L I T I C A L S C I E N S E

Zurab Gamezardashvili
EU - Unity of Interests 266

Inga Gigauri
Strategy formation and anti-crisis management enforcement measures in georgian companies 279

Lia Ablotia
The Model for Constitutional Regulation of Parliamentary Elections 286

SCIENCES

Aleksandr Gorgoshidze, Darchashvili Lalita
Isotopes and Isobari 291

Valerian Khutsishvili, Kakhaber Shamatava, Nugzar Dolidze
Improved method of register with a gamma camera during isotope research 296

განათლების მეცნიერებანი

EDUCATION SCIENCES

განათლება, პრობლემები და 21-ე საუკუნე

ირმა კეცხოველი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე განათლების პროცესები ურთულეს მდგომარეობაშია. ჩვენი მიზანია, განვსაზღვროთ მისი არა მხოლოდ ღირსება, არამედ ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებული პრობლემებიც. გვინდა შევთავაზოთ სამომავლო სწავლის შესაძლებლობები დაწყებით და უმაღლეს განათლებაში. განათლება ქართული კულტურის პრიორიტეტია. შექმნილი სიტუაციის გამო ბევრი წინააღმდეგობაა არსებულ განათლების სისტემაში. ქართული საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალი აქტიურად უნდა იყოს ჩართული განათლების სისტემის რეფორმების განხორციელების საქმეში.

ქვეყანაში განხორციელებული ნებისმიერი სიახლე მოითხოვს მეტ ყურადღებას ჩვენგან და არა ქვეყნის გარედან შემოთავაზებული პროგრამები და პროექტები. განათლების კულტურა ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის თანამიმდევრული იყო და, რასაკვირველია, რომ აჰყოლოდა ინოვაციებსაც. თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რამდენად მნიშვნელოვანია სიახლე და, ამავე დროს, რამდენად საზიანოა სრულიად არასათანადო შეთავაზებები ქვეყნისთვის ნებისმიერ დარგში და განსაკუთრებით განათლებაში.

საკვანძო სიტყვები: კულტურა, პოტენციალი, ინოვაცია, თანამიმდევრული.

შესავალი

ადამიანის ჰარმონიული განვითარება მთლიანად არის დამოკიდებული

ქვეყანაში განათლების კულტურის პრინციპების სწორად წარმართვაზე. ვინაიდან კულტურა ლათინურად დამუშავებას ნიშნავს, აქედან გამომდინარე, დამკვიდრდა გამოთქმები, რომლებიც დაუკავშირდა შრომის, ფიზიკურ კულტურას, მეტყველების, ქცევისა და აზროვნების კულტურას, პოლიტიკურ და სამართლებრივ კულტურას, სწავლებისა და განათლების კულტურას. ბოლო ღირებულება, რომელიც ესოდენ ღრმად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, დღემდე რჩება კვლევისა და ინტერესის სფეროდ.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე სკოლაშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც გვეჩვენება, რომ ჩიხში შევიდა და მუდმივი ექსპერიმენტის მდგომარეობაში იმყოფება განათლების ესოდენ მნიშვნელოვანი პრობლემა, მაშინ, როდესაც სულ ცოტა ხნის წინათ, ასე თუ ისე, მოწესრიგებული იყო, თუმცა უნაკლო არაფერია. განახლებას ყველა სფერო მოიცავს, მითუმეტეს სწავლა-განათლება, რომელიც ქართველი კაცისთვის საერთოდ პრიორიტეტულად ითვლებოდა. ამ განწყობით ცხოვრობდა მოსახლეობა, ამ განწყობით იქმნებოდა სოციალური გარემო და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ განწყობით იქმნებოდა ოჯახებიც, მართალია, თავისი პრეტენზიებით, თქვენ წარმოიდგინეთ გენდერული ბალანსითაც კი.

საქართველოში სწავლის კულტურა ყოველთვის ითვლებოდა აუცილებელ პირობად ადამიანის ჩამოყალიბების, განვითარებისა და პრესტიჟისათვის; თუმცა, სწავლება დროთა ვითარებაში ტრანსფორმაციასაც განიცდიდა, მაგრამ ეს მოვლენები არ იყო ძალდატანებითი და თავსმოხვეული, არამედ განწყობილებები და შემოთავაზებები მუდამ თანმიმდევრულ პროცესს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ კულტურული გარემო, რომელშიც საზოგადოება იმყოფება ყოველთვის ქმნის ისეთ მიკრო, თუ მაკრო სივრცეს, რომელიც მუდამჟამს არის დამოკიდებული გლობალური კულტურის მოწყობის საკითხებთან. სხვადასხვა ორგანიზაციები, ინსტიტუციონალური გეგმების და შემოთავაზებების მოდელები ძირითადად დამოკიდებულია იმ პროცესებთან, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო პროექტებთან, მაგრამ აქ ჩვენ შევეკამათებით მოვლენებს და პერსპექტივებსაც, რომლებიც ძირითადად შეეხება დიდი სახელმწიფოების და მსოფლიო მოწესრიგების საკითხს, რომლებიც მიესადაგება ან ემსახურება უფრო გლობალურ პროექტებს განათლების სფეროში.

რას ვთავაზობთ ჩვენ მსოფლიოს?! ან სამყაროს?! როდესაც მიუხედავად კომუნიკაციური შესაძლებლობებისა, ჩვენ თითქოს ჩამოვრჩით ზემოთხსენებულ პროცესებს; ჩემი აზრით, პროექტები, რომლებიც იქმნება, შემოთავაზებულია გეგმებისა, და ვარიანტების სახით, ისინი მისაღები, თუ

განხორციელებული უნდა იყოს ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც გააჩნია სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით მყარი მდგომარეობა. ჩვენს სინამდვილეში კი ბოლომდე სახელმწიფოებრიობაც არ გვაქვს ჩამოყალიბებული, არ გვაქვს შესაძლებლობა შევქმნათ ისეთი სოციალური გარემო. რომელიც განსაზღვრავს სწორ, ან შედარებით მისაღებ მიმართულებებს სწავლების კულტურაში, რათა ამ ეტაპზე მაინც ჩამოყალიბდეს ბოლოს და ბოლოს ჩვენი ქვეყნისათვის შესაფერისი სწავლების მეთოდიკა, შესაფერისი აწმყოსათვის, და პერსპექტივით. გამოკვლევები, რომლებიც ტარდებოდა და შემდგომში ჩატარდება ამ მიმართულებით, იმედია გადალახავს სიძნელეებს, რომლებიც მუდამ იქმნევა სწავლების ჩამოყალიბების მეთოდიკის პროცესში, ხოლო, რაც შეეხება პედაგოგებს, ისინი ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე უხეშად რომ ვთქვათ, მსხვერპლის როლში, რომელნიც ზოგჯერ თავსმოხვეული ტრენინგების ხარჯზე დაბნეულნი არიან. ღირებულებები კი, რომელიც გააჩნიათ, ახირებული დებულებების დამკვიდრების მცდელობით არის გამოხატული; ასეთ დროს იკარგება ის თვითმყოფადი კულტურის ელემენტებიც, რომლითაც ხშირად ვამაყობდით კიდეც. ჩვენი ქვეყანა არის დიდი აუდიტორია, რომელიც ბოლო წლებში ხშირად აღმოჩნდა უსასრული გეგმებისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ; ამას გრძნობს მოსწავლე, ამას გრძნობს სტუდენტი, ამას გრძნობს მშობელი, ამას გრძნობს საზოგადოება; რა მოეთხოვება თანამედროვე პედაგოგს ნებისმიერ სფეროში მისი აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში? რა კრიტერიუმებით უნდა ისარგებლოს მან, ან როგორ ითანამშრომლოს სახელმწიფო პროგრამებთან, კონცეპტუალურ თუ თანასწორ სტრატეგიაში საერთაშორისო დონის სწავლების პრინციპების გათვალისწინებით?

აქვე მინდა გავიხსენო ცოტა რამ ჩვენი სწავლა–განათლების ცენტრების ისტორიიდან ძველ საქართველოში; 1799 წლის 10 მაისს ბატონიშვილმა იოანე თავის მამას, გიორგი მეფეს მიართვა მოხსენება („წინადადება“) სახელმწიფოში სხვადასხვა აუცილებელი რეფორმის შესახებ, სადაც აღნიშნულია და გვაუწყებს იმას, რომ: „სამ ადგილს გაიმართოს სკოლა: ტფილისსა, გორსა და თელავსა შინა. მიეჩინოთ მუნ მცოდნენნი კაცნი, რათა ასწავლიდნენ სამეცნიეროსა სწავლას და სამხედროსაცა, აგრეთვე ენებსა. ამის მოურნედ იყოს განათლებისა მთავარი და ესე აძლევდეს რიგსა და ჯამაგირთა ოსტატებსა. ამა სასწავლებლებში მიებარებოდნენ თავადაზნაურნი და პირველი მოქალაქეს შვილები. აგრეთვე იყოს ამაზედ შვილნი და მდაბალ ვაჭართა შვილები. აგრეთვე გლეხისაც, ვის როგორად შეესძლოსთ. სასწავლებლებსა მას შინა სწავლობდნენ ქართულსა, სომხურსა, თათრულსა, რუსულსა და, თუ შეიძლება, ბერძნულსა და ლათინურსაც. უკეთესი იქნების, ოსტატები ანუ მასწავლებელნი იყვნენ მეფის ხარჯით, ხოლო მოწაფენი თავით მშობელთ

ხარჯითა, ვიდრე შემოსავალთ განვრცობამდე. ესე სახედვე სასულიერო სასწავლებლები იყოს განწესებით, და ამის მეურნეობა აქვნღეს კათალიკოსს სულიერს მთავარსს“.

ეს ფაქტი მოვიყვანეთ იმისათვის, რომ ზოგჯერ გავიხსენოთ და არა მარტო ჩვენ, სხვებსაც შევახსენოთ, რომ განათლების ცენტრებზე ჩვენში რამოდენიმე საუკუნის და უფრო ადრეც ზრუნავდნენ სახელმწიფო მოხელეები და მოღვაწენი, რომელთაც ყოველთვის გული შესტკიოდათ თავისი მამულიშვილებისათვის და ა.შ. ეს მცირე გადახვევა იყო, მაგრამ ჩავთვალოთ შეხსენებად; სხვა ბევრი ისტორიული ფაქტის მოყვანა შორს წაგვიყვანდა.

ნებისმიერი სიახლე, რომელიც ინერგება ქვეყანაში, ალბათ თხოულობს ჩვენი მხრიდან უფრო მეტ დაკვირვებას და არა გაკვირვებას შემოთავაზებული გეგმებისა და პროექტების მიმართ. ჩვენს ქვეყანას ადრეც და დღესაც მცდელობა ბევრჯერ ჰქონდა და სურვილიც, რათა სწორად წარემართა თავის ქვეყანაში სწავლა-განათლების საქმე, რა თქმა უნდა ნოვატორული შემოთავაზებების გათვალისწინებით. ვინაიდან ყველამ კარგად ვიცით რაოდენ ღირებულია სიახლე და ამავე დროს რაოდენ დამდუპველია ქვეყნისათვის სრულიად შეუფერებელი შემოთავაზებები ნებისმიერ სფეროში და მითუმეტეს განათლებაში.

ჩვენს ქვეყანას თითქმის ფორსმაჟორულ ვითარებაში უხდება ურთულესი საკითხების გადაჭრა, რომლებსაც სხვა ქვეყნებმა ათეულობით წლები მოანდომეს. დასაფიქრებელია ის მარათონი, რომელმაც მთლიანად მოიცვა ჩვენი სწავლა-განათლების სისტემა. ამ დროს სრულიად ბუნებრივია, რომ უნდა გადაისინჯოს და განისაზღვროს განათლების ახალი პარადიგმაც, რომელიც მასწავლებლისა და მსმენელის შემოქმედებით თანამშრომლობას ითვალისწინებს, რომელიც დაფუძნებულია, უმთავრესად, ბიბლიურ უნივერსალურ პრინციპებზე, ვინაიდან ადამიანის მარადიული ლტოლვა უკეთესობისკენ, აუცილებლობის ან უზენაესი სრულყოფილებისაკენ სწრაფვის პრინციპია. აღნიშნული კონცეფცია ემთხვევა კლასიკური განსაზღვრის თვალსაზრისს პიროვნების აღზრდის საქმეში თვითშემეცნება, ადამიანთა ურთიერთობის შემეცნება და გარესამყაროს შემეცნების მთლიანობა - „სავსე კაცის“ ილიასეული მოდელით. როგორია ამ დროს განათლების უნივერსალური მოდელი, შემოთავასებული სხვადასხვა ევროპული, თუ ამერიკული სწავლების კონცეპტუალური ვარიანტებით?

ჩემი აზრით, შემოთავაზებების ვარიანტთა ნუსხა, ალბათ, უსასრულოა, რომელზეც მუშაობენ სპეციალისტები და პროფესიულ დონეზე ცდილობენ შეიმუშაონ შესაფერისი პროექტები და გეგმები; მაგრამ არსებობს კიდევ ინტელექტუალური სივრცე, რომელიც მუდმივად არის ინფორმირებული და უფრო მეტიც, დაინტერესებული იმაში, რომ უფრო სხარტად, მობილურად

და ჩვენი ქვეყნისათვის შესაფერისი კონცეფციით შევქმნათ და განვავითაროთ სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლისთვის თანამედროვე ნუსხა-პროგრამა. ვინაიდან ჩვენ არ გვაქვს დროის ფუფუნება, გასათვალისწინებელია ის იდეათა ბანკიც (იდეათა ბანკი, რომელიც უამრავ ქვეყანაში არსებობს) გამოყენებულ იქნას ჩვენ ქვეყანაშიც და ამაში ჩვენ ცუდს ვერაფერს ვხედავთ, მოვიშოროთ მოკრძალებულობისა და ზედმეტი თავმდაბლობის და სხვისი მსახურების უსასრულო კლიშე, რომელიც მრავალი წლის მანძილზე აფერხებდა ჩვენი აზროვნების სათანადო სიმაღლეზე თავისუფლად განვითარებას.

ამავე დროს მინდა მოვიშველიოთ ისიც, რომ ვინაიდან ადამიანია აზროვნება მეტაფორულია, ენაც მდიდარია მეტაფორებით, რომელიც სხვადასხვა კულტურებში სხვადასხვანაირად აისახება, გვამცნობს ამა თუ იმ ხალხის მიერ სამყაროს და გარემო სინამდვილის აღქმა–შემეცნების პროცესს, რომელშიც მუდამ ჩაქსოვილია როგორც ზოგადი, ისე ეროვნული თვისებები. ამ დროს ჩვენს ვალდებულებად მიგვაჩნია, ყურადღება მივაქციოთ იმას თუ მასწავლებელი ან ლექტორი როგორ დაეხმარება მოსწავლეს ან სტუდენტს ყველაფერ იმაში, თუ როგორ შეძლებს გადასცეს ყველაფერი რაც ეხლა არის დე–ფაქტო (de facto) და ამავე დროს ემყარება ქართულ კულტურას, სიღრმისეული სწავლების სეგმენტს; ამავე დროს ვგულისხმობ სწავლებასაც, რომელიც არ არის მხოლოდ ქართული კულტურის მახასიათებელი. მოვიშველიებ კლასიკური ლიტერატურიდან – „ორი ბატონის მსახურებით“ არის წარმოდგენილი სწავლება, რომელიც დღეს ასე გამოიყურება: მოსწავლეს თუ სტუდენტს უჭირს განსაზღვროს, რომელ კულტურაზე გაამახვილოს ყურადღება, რომელი კულტურა არის მისთვის პრიორიტეტული; აქედან გამომდინარე, უნებლიეთ გადავედით ინტერკულტურული სწავლების მიმართულებაზე, ბუნებრივია, მეთოდებიც ამგვარად ჟღერს. მაშინ, როდესაც ჩვენს მოსწავლე-ახალგაზრდობას უკიჟინებდით, რომ ყველაფერი საუკეთე-სო ქართული და მხოლოდ ქართულია, დღეს კი ამერიკულია, ან ბოლონიურია და ა.შ. ვფიქრობ, თავისებურად ჩიხში ვართ - ეს რეალობაა; რეალობა, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს არა მარტო ერთი ადამიანის, მეცნიერის თუ პერსონალისათვის, არამედ ეს არის საკმაოდ კონცეპტუალური, და საკითხის შემუშავების მცდელობა ერთობლივი შემოთავაზებით ცალკეული უმაღლესი სასწავლებლების „გონის ბანკის“ მიერ, რომელიც ჩემი აზრით, შეიძლება მოგვარდეს პირველ ეტაპზე მაინც; დღეს, ხვალ და საერთოდ, ექსტრემალური გადაწყვეტილებების მიღების დროა.

ჩვენ ხშირად მოგვიწოდებენ, რომ დემოკრატია ევროპაშია, ამერიკაში გაფურჩქვნილია და თავისუფალი და თუ ეს ასეა, მაშინ ასეთი სულსწრაფობით რატომ არის მათი დამოკიდებულება ჩვენს მიმართ თითქმის დაჟინებული ფორმით შემოთავაზებული; თუ პირიქით, ხდება, და ჩვენი მოღვაწენი

თავის მოწონების მიზნით თავს გვახვევენ ან არქმევენ სახელს სხვათა მიერ შემოთავაზებულ პროექტებს. ასეთი მიდგომებით წლების მანძილზე მივიღეთ საკმაოდ ქაოტური სურათი, რომელიც დღეს დრამად წარმოგვიდგა.

რაში მდგომარეობს ჩვენი როლი? 21-ე საუკუნეა, ჩემი აზრით, ქართული განათლების კულტურა და ისტორია გვაძლევს იმის საშუალებას, რომ უფრო ჩამოვყალიბდეთ და ბოლოსდაბოლოს წარმოვადგინოთ ისეთი პრინციპით შედგენილი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამები, რომელიც ხელს შეუწყობს რეფორმის შესრულება-განვითარებას და მოისვენებს ერიც და ბერიც.

ჩვენმა სახელმწიფომ უნდა აიღოს ვალდებულება განათლების გარკვეულ დონემდე; ვინაიდან სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა დონეს ირჩევს, საკუთარი პოლიტიკის შესაბამისად, ამიტომ უნდა ამაღლდეს სწავლებისა და პედაგოგიკის კვალიფიკაცია, რომელიც ახლო მომავალში სწორი მეთოდიკის შემუშავებით შეიძენს უფრო მაღალ პროფესიულ დონეს, სამწუხაროდ, განათლების მასობრივ ხასიათს ეწირება აღზრდის მიზანიც და თავად აღზრდის ფენომენიც. მართალია, სწორედ განათლება და სწავლა ავითარებს პიროვნებაში ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებობისათვის საჭირო უნარებს, ჩვევებსა და კომპეტენციებს, მაგრამ აღზრდის, პიროვნების ფორმირების პროცესის, მხოლოდ განათლებამდე დაყვანა აკნინებს აღზრდის ფენომენს, მის შინაარსსა და მნიშვნელობას; განათლება და სწავლა აღზრდის მხოლოდ გზას, საშუალებას წარმოადგენს, და მათი გაიგივება მხოლოდ აღზრდასთან დაუშვებელია. ბუნებრივად იბადება აზრი, რომ კაცობრიობა ადამიანში ხედავს როგორც ეკონომიკის შემქმნელ რესურსს, თვითგადარჩენის ინსტიქტი კი არ აძლევს მას პიროვნების აღზრდის, მისი სრულყოფის პრობლემებზე ფიქრის საშუალებას. აღზრდის ფენომენი კაცობრიობისათვის ფუფუნებად იქცა და სახელმწიფო სტაბილურობასა და მართვის გარანტად, მოქალაქეთა კანონმორჩილებასა და არსებული ვითარების შესაბამისად გაჟღერებული ეთიკური ნორმების დაცვას სახავს. თანამედროვე მსოფლიოში ასეთ თემებად მოიაზრება ქულტეკულტურული განათლება, მშვიდობის განათლება, ეკოლოგიური განათლება, ინ კლუზიური განათლება და სხვ. მაშასადამე, კაცობრიობას არ (ან ვერ) აინტერესებს მოქალაქის ზნეობა, რომელიც თავად, საკუთარი იმპერატივით აწესრიგებს საზოგადოების მოთხოვნათა ამ ფენომენს. კაცობრიობა უფრო ზრუნავს მოქალაქეში გარედან შეიტანოს ხედვები ამ ფენომენზე და ეს ხედვები ინსტრუქტაჟის, კანონმორჩილების რანგში აიყვანოს, ვინაიდან, მასობრივი განათლების პირობებში იგი სხვა გზას ვერ ხედავს. არავინ იცის, ასეთი ვითარება, კაცობრიობის მომავალს რას უქადის.

საქართველო, როგორც უძველესი კულტურის მქონე ქვეყანა და მისი სივრცობრივი არეალი, ცხადია, განსაზღვრული იყო მისი მდებარეობით

ევროპისა და აზიის მიჯნაზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მდგომარეობა კი, ეთნოფსიქოლოგიურ კონტექსტში, თავისთავად აყალიბებდა და ავითარებდა იმ ტიპის ცნობიერებას, რომელსაც გარკვეული ეროვნული, ავთენტური კულტურული პროდუქტის შექმნა ევალებოდა. ცნობილია, რომ კულტურის შექმნისა და განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, სწავლება და განათლება წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მომავალი თაობისათვის არსებული ცოდნის (კულტურის) გადაცემას და ამ ცოდნის განვითარების უნარების ფორმირებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმგვარი აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას, რომელიც პიროვნების მხრიდან ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში საჭიროების შესაბამის ადეკვატურ მოქმედებას განაპირობებს. მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფოს უძველესი დროიდან ჰქონდა გარკვეული მიმართულება, კურსი, მომავალი თაობის მომზადების პროცესში, რასაც ამჟამინდელი ტერმინოლოგიით შეიძლება განათლების პოლიტიკა ეწოდოს.

დიმიტრი უზნაძემ მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი ხედვა საქართველოს განათლების სისტემის მოწყობის შესახებ. ამ ხედვის თანახმად, ქართველის, როგორც მცირერიცხოვანი ერის გადარჩენისა და განვითარების უმთავრესი პირობა სულიერი ცხოვრების გაფართოებას და გაღრმავებას წარმოადგენს. მოგიტანთ ამონარიდს ამ მოხსენებიდან: „სულიერი კულტურა ერთადერთი გზაა, რომელიც ცხოვრების ყოველმხრივი ეკონომიის მიზანი და მიმართულებაა. აქედან დასკვნა: ზრუნვა ხალხის სწავლა-განათლებისა და აღზრდის შესახებ ერთადერთი საწინდარია ჩვენი ხალხის ეროვნული ინდივიდუალობის ფარგლებში მისი კულტურული წინსვლისა და წარმატების შესაძლებლობისა." საყოველთაო სავალდებულო და ერთიანი სკოლა - აი ის, რასაც ესწრაფვის და მოითხოვს ჩვენი სინამდვილისა და ჩვენი დროის თავისებურებათა ნათელი შეგნება“. როგორც ვხედავთ, უზნაძე, ევროპაში განსწავლილი მეცნიერი, საქართველოს განვითარების მომავალს მხოლოდ საყოველთაო და სავალდებულო განათლებაში ხედავდა, რადგან, მისი აზრით, „მცირერიცხოვანი ერის თვისი სიმცირის საკომპენსაციო უპირატესობა“ მხოლოდ სწავლა-განათლებაში შეიძლება ვეძიოთ.

დასკვნა

ჩვენი საზოგადოება ყოველთვის წარმოადგენდა არაძალადობრივ და კეთილი ნების გამომხატველ გარემოს. ყოველ შემთხვევაში, სწავლება და სწავლების კულტურის ატმოსფერო, გამორიცხავდა კონფლიქტს საზოგადოებასთან, კონფლიქტს სასწავლო პროგრამებისა და სწავლების პროცესთან; პირიქით, წარმოქმნიდა შესაძლებლობას იმისათვის, რომ ფსიქოლოგიური, პოლიტიკური და სხვა ზეწოლისგან განთავისუფლებული ყოფილიყო.

საერთაშორისო კომისია, რომელიც 21–ე საუკუნეში შეიქმნა, თავის უმთავრეს პრინციპად მიიჩნევს სწავლებას, როგორც „ყოფნის კულტურას“, რომელიც მთლიანად იზიარებს ჰუმანურობის პრინციპს და მშვიდობიან თანაარსებობას მსოფლიო კულტურებთან.

ლიტერატურა:

1. ხელმ: P2155 „სჯულდება“ იოანე ბაგრატიონისა, გამოცემა ივ. სურგულაძისა, გვ. 27, Проф. А Цагарели, Сведения 1, С. XXXVIII.
2. ირმა კეცხოველი, „საქართველოში განათლების კულტურის საკითხისათვის“ - სწავლების და აღზრდის აქტუალური პრობლემები, შრ. ქუთაისი, 2013.
3. ლ. ჯოხაძე, კულტურათა შეპირისპირება კონცეპტუალური სწავლების პროცესში, Journal of American Stugces, თბ., 2006, გვ. 248-249.
4. ქ. ჭკუასელი, ი. ჭკუასელი - პედაგოგიკის საფუძვლები, თბ., 2012.
5. დიმიტრი უზნაძე, პედაგოგიური თხზულებანი, 2005.
6. Веттии АюРевдрон «ТЕРПИМОСТ: На грани мира» Из ЮНЕСКО, 1997.

Education, Problems and the 21st Century

Irma Ketskhoveli, professor
Georgian Technical University

Summary

The process of Modern education is in difficult condition. Our aim in testimate not only values but at the same time existing problems of our country. Our object is to get specific offers for future study in primary schools and in higher education institutions. Education is always priority for Georgian culture. Due to present condition there are lots of complicated in our education system. As for us intellectual potential of our society should take paced in implementing consecutive reform to educational system of Georgia.

Any novelty that is being implemented in the country probably asks more attention from us and not surprising plans and projects. Our country has had efforts many times in the past and today to properly run education in the country and of course with providing for innovations. For all of us know how valuable is the novelty and at the same time how harmful is completely inappropriate offers for the country in any field and especially in education.

Keywords: culture, potential, innovation, sequence.

ჟურნალისტიკა

JOURNALIZM

გერმანიის სამი პოპულარული ჟურნალი

ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია გერმანიის სამ ყველაზე პოპულარულ საინფორმაციო-პოლიტიკური ჟურნალების „Der Spiegel“, “Focus”და „Stern” შესახებ, რომლებიც გერმანელი საზოგადოების ინფორმირებაში დიდ როლს ასრულებენ; აღნიშნულია, რომ მედიას საზოგადოების წინაშე აკისრია პასუხისმგებლობა, სახელმწიფოს კი მასმედიის წინაშე აქვს გარკვეული ვალდებულება, მან უნდა უზრუნველყოს გამოხატვის და სიტყვის თავისუფლება კანონმდებლობით, ფორმალურადაც და რეალურადაც. სახელმწიფო მოვალეა შექმნას და აამოქმედოს ისეთი სისტემა, რომელიც მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოსაზრებებს უწყობს ხელს. ჟურნალისტი უნდა ახერხებდეს კომპლექსური პრობლემების ანალიზს, შედეგების განჭვრეტას, მედიამომხმარებლის მიზიდვას და დაინტერესებას. სწორედ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას ცდილობენ ზემოთ დასახელებული ჟურნალები. საუბარია ამ ყოველკვირეულების მახასიათებლებზე და თავისებურებებზე, მათ ფურცლებზე გამოქვეყნებულ სკანდალურ ამბებზე, მათ მცდელობაზე ღიად ისაუბრონ პრობლემებზე, მიუკერძოებლად გააშუქონ და განსაჯონ მოვლენები, მძლავრი კონკურენციის პირობებში შეინარჩუნონ მედიასივრცეში საკუთარი ადგილი და ფეხდაფეხ მიჰყვნენ ახალ მოთხოვნებს და ახალ გამოწვევებს.

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო-პოლიტიკური ჟურნალები, მათი მახასიათებლები და თავისებურებები. პოპულარობის მიზეზები, სკანდალური ინფორმაცია, პასუხისმგებლობა და ვალდებულება, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, კონკურენცია, ახალი მოთხოვნებები და გამოწვევები.

შესავალი

ჟურნალისტის მოვალეობა და უმთავრესი ფუნქცია უამრავი ინფორმაციიდან საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანის და ღირებულის გამორჩევა, მიუკერძოებელი თვითმხილველის პოზიციიდან დანახვა და დღის სინათლეზე გამოტანაა. ამას ორგანულად ერწყმის მოვლენის განსჯა და ანალიზი, რომელიც ამბავს მეტ დამაჯერებლობას და სიცხადეს ჰმატებს და მეტნაკლებად მოსალოდნელ შედეგსაც განსაზღვრავს. სწორად აღნიშნავენ, რომ „ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი ნდობის გუშაგია“, რომ „ინფორმაცია გარკვეული კუთხით ძალაუფლებაა“ და სწორედ ამ ძალაუფლების მოპოვებისთვის იღწვიან მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები. ყველა დიდ და პოპულარულ გაზეთს თუ ჟურნალს საკუთარი მახასიათებლები და მოვლენის თავისებური აღქმა აქვს.

მედიას საზოგადოების წინაშე აკისრია პასუხისმგებლობა, სახელმწიფოს კი მასმედიის წინაშე აქვს გარკვეული ვალდებულება, მან უნდა უზრუნველყოს გამოხატვის და სიტყვის თავისუფლება კანონმდებლობით, ფორმალურადაც და რეალურადაც. მასკომუნიკაციის საშუალებებს გარანტირებული უნდა ჰქონდეთ ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების უფლება; გარდა ამისა, სახელმწიფო მოვალეა შექმნას და აამოქმედოს ისეთი სისტემა, რომელიც მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოსაზრებებს უწყობს ხელს.

ნაშრომში საუბარია იმ ქვეყნის პოპულარულ ჟურნალებზე, რომელშიც პირველი პერიოდიკა მე-16 საუკუნეში გაჩნდა. ეს ქვეყანა გერმანიაა, სადაც თვლიან, რომ მაღალი ჟურნალისტური პროფესიონალიზმი წარმატებისთვის აუცილებელია. კარლ ბახერი, რომელმაც გერმანიაში ჟურნალისტურ განათლებაზე დიდი გავლენა მოახდინა. მიიჩნევდა, რომ ჟურნალისტიკა საჯარო სამსახურის ტოლფასი იყო, ამის გამო ჟურნალისტების სისტემური განათლებისთვის მხარი სახელმწიფოს უნდა დაეჭირა. ვებერი, რომელიც “Frankfurter Zeitung”-ისთვის წერდა, ჟურნალისტიკას „მოწოდებით პოლიტიკად“ ახასიათებდა და პოლიტიკური სამყაროს ნაწილად განიხილავდა. იგი ჟურნალისტის დიდ პასუხისმგებლობას უსვამდა ხაზს და აღნიშნავდა, რომ უპასუხისმგებლო ჟურნალისტური საქმიანობა და მისი თანმდევი ნეგატიური ეფექტი მეხსიერებიდან ძნელად იშლება. პოლიტიკური დამოუკიდებლობა, საზოგადოების გემოვნებასა და ინტერესებზე ორიენტაცია მიზნის მიღწევის აუცილებელი პირობაა. ჟურნალისტი უნდა ახერხებდეს კომპლექსური

პრობლემების ანალიზს, მედიამომხმარებლის მიზიდვას და დაინტერესებას. სწორედ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას ცდილობს ის სამი გერმანული ჟურნალი, რომელსაც სტატიაში განვიხილავთ. მხედველობაში გვაქვს „D er Spiegel“, “Focus”და „Stern”.

ძირითადი ნაწილი

„Der Spiegel” („სარკე“) ყოველკვირეული ჟურნალია, რომელიც თავს მიიჩნევს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საინფორმაციო-პოლიტიკურ გამოცემად გერმანიასა და ევროპაში და არცთუ უსაფუძვლოდ. მას უამრავი მკითხველი ჰყავს, კვირაში დაახლოებით 6 მილიონამდე ადამიანი ეცნობა მილიონზე მეტ ეგზემპლარს. ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობაში „Spiegel-Verlag”. მთავარი რედაქტორი ვოლფგანგ ბიუჰნერი ცდილობს ჟურნალის პოპულარობა და გავლენა არ შემცირდეს, ყოველთვის საინტერესო და მრავალფეროვანი ინფორმაციით დატვირთული ნომრები შესთავაზოს მომხმარებელს. ჟურნალის დაარსების თარიღია 1947 წლის 4 იანვარი. უნდა აღინიშნოს, რომ მის გამოცემამდე ამავე სახელწოდების გაზეთი გამოდიოდა მიუნხენში. ეს იყო პირველ მსოფლიო ომამდე და გამომცემელი ლიონ ფოიხტვანგერი გახლდათ. ჟურნალმა გამოჩენისთანავე მიიქცია მკითხველის ყურადღება, სერიოზული და კრიტიკული პრესის ორგანოს სახელი დაიმკვიდრა. თავდაპირველად რედაქცია მდებარეობდა ჰანოვერში, მრავალსართულიან შენობაში. ჟურნალში არაერთი სკანდალური მასალა დაიბეჭდა. მათ შორის ცნობილი „Spiegel – Afare”(“სარკის სკანდალი“), რომელიც 1962 წელს დაიწყო მთელი რიგი კრიტიკული სტატიებით, რომლებიც ეძღვნებოდა კორუფციას თავდაცვის სამინისტროში. ჟურნალისტებმა ამხილეს თავდაცვის მაშინდელი მინისტრი ფრანც-იოზეფ შტრაუსი ძალაუფლების გადამეტებაში და კორუფციაში. ამტკიცებდნენ, რომ მინისტრი ქრთამს იღებდა სამშენებლო კომპანიებისგან. ასევე აკრიტიკებდნენ რეგულარულად და საკმაოდ თამამი, ზოგჯერ უხეში ფორმითაც კი მინისტრის გეგმებს გერმანიის ბირთვულ სახელმწიფოდ გადაქცევის შესახებ. ჟურნალის რედაქციის აზრით, ცივი ომის გაძლიერების პირობებში ბირთვული იარაღით ქვეყნის შეიარაღება ნიშნავდა გერმანიის გადაქცევას საბჭოთა ბირთვული რაკეტების სამიზნედ და ომის შემთხვევაში დასავლეთ გერმანიის სრული განადგურების ალბათობას. განსაკუთრებული ხმაური მოჰყვა 1962 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებულ სტატიას „Bedingt Abwehrbereit“ (“ვითომ მზადყოფნა თავდაცვისათვის“), რომლის ავტორი კონრად აჰლერი NATO-ს ეგიდით სამხედრო სწავლების შედეგებზე საუბრობდა. ჟურნალმა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, სწავლების რეზულტატების მიხედვით, ვერც გერმანიის არმია, ვერც NATO-ს შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე იყო განლაგებული, ვერ შეძლებდა ომის დროს დასავლეთ გერმანიის დაცვას ორ კვირაზე მეტხანს. შტრაუსის რეაქცია მყისიერი იყო. რედაქცია დაადანაშაულეს სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებაში, ჟურნალის რედაქციაში სპეცრაზმი შევიდა, მოხდა არქივის კონფისკაცია, წამყვანი თანამშრომლები კი რუდოლფ აუგშტაინის ჩათვლით (აუგშტაინი 2002 წლის 7 ნოემბრამდე, გარდაცვალებამდე იყო ჟურნალის რედაქტორი) დააპატიმრეს. მათთან ერთად ციხეში აღმოჩნდნენ ის ადამიანებიც, რომლებმაც, სავარაუდოდ, ჟურნალისტებს გადასცეს საიდუმლო მასალები. თუმცა კონფლიქტი მცირე ხნის შემდეგ ამოიწურა, მინისტრმა შტრაუსმა დატოვა თანამდებობა (შემდგომში ის გახდა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე ბავარიაში), რედაქციის თანამშრომლები კი გაამართლეს და გაათავისუფლეს. მომხდარმა ინციდენტმა ჟურნალის პოპულარობა გაზარდა. საზოგადოების ფართო ფენებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა და კრიტიკულად განწყობილმა ინტელიგენციამ ჟურნალის მხარე დაიჭირა და გამოვიდა აზრისა და სიტყვის თავისუფლების მოთხოვნით.

ჟურნალის სახელს სხვა გახმაურებული ამბებიც უკავშირდება. 1950-იან წლებში „სარკის“ ბრალდებებმა აიძულა ფედერალური მთავრობა გამოეძიებინა ზოგიერთი პარლამენტარის მოქრთამვის საქმე. იმასაც მიანიშნებდნენ, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობის ფრანკფურტის ნაცვლად ბონში დაფუძნებაში ამ ჟურნალს მიუძღვოდა გარკვეული წვლილი. „სარკის“ ფურცლებზე ბოლო წლებშიც არაერთი საკამათო წერილი გამოჩნდა. 2015-2018 წლებში ჟურნალის ერთ-ერთმა წამყვანმა ავტორმა კლაას რელოციუსმა ათეულობით სტატია გამოაქვეყნა ამერიკულ თემატიკაზე, აკრიტიკებდა დონალდ ტრამპის და აშშ-ს პოლიტიკას. ამერიკელებს, განსაკუთრებით პრეზიდენტის ამომრჩევლებს არცთუ სასიამოვნო ეპითეტებით ამკობდა და უდიერად მოიხსენიებდა. ამ სტატიების ციკლის გამო „Der Spiegel” CNN-მა წლის ჟურნალად აღიარა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ავტორი გულწრფელი არ იყო, ხშირად ცრუობდა და მოვლენების არასწორ ინტერპრეტაციით შეცდომაში შეჰყავდა მკითხველი. როდესაც ტყუილი გამჟღავნდა, კლაასმა თავი ავადმყოფობით და რედაქციის ზეწოლით იმართლა. თქვა, აიძულეს ნეგატიური განწყობა დაეფიქსირებინა ემიგრაციული კრიზისისა და ტრამპის ამერიკის მიმართ. ჟურნალი მნიშვნელოვან როლს თამაშობს გერმანიის მთავრობის სხვადასხვა პოლიტიკური მაქინაციებისა და ძალთა დაპირისპირების გამოვლენაში. სწორედ ამგვარი ისტორიების გამო დაიმსახურა ჟურნალმა „დემოკრატიის ქვემეხის“ წოდება.

ჟურნალმა არსებობის მანძილზე რამდენიმე რედაქტორი გამოიცვალა. მათ შორის უნდა გამოვყოთ კრისტიან შულც-გერშტაინი, რომლის რედაქ-

ტორობის დროს „სარკის“ კულტურის განყოფილებამ სერიოზულ წარმატებას მიაღწია და წინ დიდი ნაბიჯი გადადგა. 1990-იან წლებში ჟურნალი ჩაიბარა შტეფან აუგუსტმა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება პრესის ამ ორგანოში ნეოლიბერალური შეხედულებების მომძლავრება. 1974 წელს მოხდა ჟურნალის რესტრუქტურიზაცია და თანამფლობელი გახდა ყოველი თანამშრომელი, რომელსაც „სარკეში“ 3 წელზე მეტი მუშაობის სტაჟი ჰქონდა, მასვე ეძლეოდა საშუალება მმართველი საბჭოს ასოცირებული წევრი გამხდარიყო და ჟურნალის მენეჯმენტშიც მიეღო მონაწილეობა. ეს ცვლილებები აუგშტაინის სახელს უკავშირდება. იყო დრო, როცა ჟურნალს ადანაშაულებდნენ იმაში, რომ ბულვარულ გამოცემად იქცა და გადაუხვია არჩეულ გეზს.

1952 წლიდან „Der Spiegel”-მა ჰამბურგში გადაინაცვლა და ქალაქის ცენტრში მდებარე შენობაში დაიდო ბინა. ამ ჟურნალს ამერიკულ “ტაიმსს“ და „ნიუს-უიკს“ ამსგავსებენ. „სარკეს“ დღესაც გამოარჩევს აკადემიურობა, ტევადი, ანალიტიკური სტატიები, რომელიც მკითხველს ფიქრისა და განსჯისთვის განაწყობს. ჟურნალი შაბათობით გამოდის 200 გვერდის მოცულობით, რეკლამას საჟურნალო ფართის ერთი მესამედი ეთმობა. „სარკე“ წარმატებით აგრძელებს იმ მიმართულებას, რომელიც აირჩია, არ ღალატობს თავიდანვე დადგენილ სტატუსს, რაც გულისხმობს იმას, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული ყველა ინფორმაცია, ახალი ამბავი თუ მოვლენა ზედმიწევნით გადამოწმდეს, რათა მის ობიექტურობასა და ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანის საბაბი ნაკლებად გაჩნდეს.

„სარკის“ ერთ-ერთ მთავარ კონკურენტად ითვლება „ Focus“-ინფორმაციულ-პოლიტიკური ყოველკვირეული ილუსტრირებული ჟურნალი, რომელსაც „ჰუბერტ ბურდა მედია“ გამოსცემს. „ფოკუსის“ პირველი ნომერი 1993 წლის 18 იანვარს გამოვიდა და დღეს ჟურნალებთან „Der Spiegel” და “Stern” გერმანიაში ყველაზე გაყიდვადი ყოველკვირეულია, თუმცა თავიდან ექსპერტთა ნაწილი ფიქრობდა, რომ პროექტი თავიდანვე განწირული იყო მარცხისთვის, რადგან „სარკესთან“ კონკურენციას შეუძლებლად მიიჩნევდნენ. „Focus“-ის შტაბ-ბინა 2015 წლიდან მიუნხენიდან ბერლინში გადავიდა. 2016 წლიდან მისი მთავარი რედაქტორი არის რობერტ შნაიდერი. ეს ჟურნალიც შაბათობით გამოდის, ტირაჟი შეადგენს 365 000-მდე ეგზემპლარს, ითვლება ლიბერალურ-კონსერვატორული მიმართულების ჟურნალად, ორიენტირებულია გერმანელი საზოგადოების საშუალო ფენაზე. “ფოკუსის“ სავიზიტო ბარათი გახდა სარეკლამო სლოგანი „ფაქტები, ფაქტები, ფაქტები“, რომელიც ჰელმუტ მარკვორტის სახელს უკავშირდება. ჟურნალმა მალევე დააინტერესა მკითხველი და მოკლე ხანში პოპულარობაც მოიპოვა. „ფოკუსის“ წარმატებამ განაპირობა ის, რომ „ჰუბერტ ბურდა მედიამ“ გამო-

უშვა კიდევ რამდენიმე ბრენდი. 1995 წელს კი ჩამოყალიბდა კომპანია „Focus TV“, რომელიც დღესდღეობით მრავალფეროვან პროდუქციას სთავაზობს მომხმარებელს, მათ შორის პოლიტიკურ თოქ-შოუებს, დოკუმენტურ ფილმებს, სპორტულ გადაცემებს სხვადასხვა ტელეარხებისთვის. 1996 წლის 18 იანვარს წარმოებაში ჩაეშვა ახალი ამბების პორტალი. 2000 წელს გამოვიდა პირველი ნომერი ყოველკვირეული ეკონომიკური ჟურნალისა “Focus Money”. დღეისთვის “ფოკუსი“ გერმანიის საინფორმაციო-პოლიტიკურ ჟურნალებს შორის პოპულარობით მხოლოდ „Der spiegel“ და “Stern“-ს ჩამორჩება და მესამე ადგილს იკავებს.

ჟურნალი „Stern“ („ვარსკვლავი“) დაარსდა 1948 წელს, ჰამბურგში, გამომცემელია „Gruner+Jahr”, რომელიც მედიაკონცერნის “Bertelsmann“ კუთვნილებაა. ჟურნალის შტაბბინა ჰამბურგში მდებარეობს, გამოდის ხუთშაბათობით, მთავარი რედაქტორები არიან ფლორიან გლესსი და ანნა-ბიკე გრეტემაიერი. ჟურნალის წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ჰენრი ჰანნენს, რომელიც „Stern“-ის მთავარი რედაქტორი იყო 1949-1980 წლებში, 1983 წლამდე კი გამომცემელიც იყო ამ წელს დატოვა ჟურნალი სკანდალის შემდეგ, რაც გამოიწვია კონრად კუიას მიერ “ვარსკვლავში“ გამოქვეყნებულმა „ჰიტლერის დღიურებმა“. არანაკლებ სკანდალური გამოდგა ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში რუსეთის პრეზიდენტის ხსენება იმ კონტექსტში, რომელიც პუტინის შეურაცხყოფად აღიქვა რუსეთის საელჩომ. წერილში გერმანიის კანცლერზე - ანგელა მერკერზეა საუბარი, მაგრამ გვხვდება ერთი ასეთი ფრაზა „Sie hat zwar Angst vor Putins Hund, aber keine Angst vom Hund Putin” („ მას ეშინია პუტინის ძაღლის, მაგრამ არ აქვს შიში ძაღლი პუტინის“). „Stern”-ი გამოირჩევა მაღალხარისხიანი ფოტოებით და ილუსტრაციებით, საინტერესო და სწორად შერჩეული მასალებით, მკითხველი მას ენდობა და ინტერესით ელის ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას.

დასკვნა

ჟურნალები „Der Spiegel”, “Focus” და”Stern” გერმანელი საზოგადოების ინფორმირებაში დიდ როლს ასრულებენ. ჟურნალისტებს სრულად აქვთ გაცნობიერებული მათდამი დაკისრებული პასუხისმგებლობა და საპატიო მისია. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ შეინარჩუნონ მკითხველი, გაამართლონ მათი ნდობა, ღიად ისაუბრონ პრობლემებზე, მიუკერძოებლად გააშუქონ და განსაჯონ მოვლენები, მძლავრი კონკურენციის პირობებში შეინარჩუნონ მედიასივრცეში თავიანთი ადგილი და ფეხდაფეხ მიჰყვნენ ახალ მოთხოვნებს და გამოწვევებს.

ლიტერატურა:

1. en.wikipedia. org. >wiki>Der Spiegel
2. en. wikipedia.org.>wiki> Focus
3. de. Wikipedia.org.>wiki>Stern

Three Popular Magazines of German

Ketevan Giorgobiani. Associate Professor
Georgian Technical University

Summary

The work talks about the three most popular German news and political magazines "Der Spiegel", "Focus" and "Stern", which play an important role in informing the German public; It is stated that the media has a responsibility to the society, and the state has a certain obligation to the media, it must ensure freedom of expression and speech through legislation, both formally and realistically. The state has a duty to create and operate a system that promotes multifaceted and diverse opinions.The journalist must be able to analyze complex problems, anticipate the consequences, attract and interest the media consumer. The above-mentioned magazines are trying to satisfy these requirements. They talk about the characteristics and peculiarities of these weeks, the scandalous news published on their papers, their attempts to speak openly about problems, impartially cover and judge events, maintain their place in the media space in the face of strong competition, and follow new demands and challenges.

Keywords: news-political magazines, their characteristics and peculiarities, reasons for popularity, scandalous information, responsibility and commitment, independence and impartiality, competition, new demands and challenges.

კრედოტეინმენტი და სასპორტო პრესა

ვაჟა დანელია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

„კრედო“ ლათინურად ნიშნავს - მწამს; რელიგიურად - კათოლიკურ გალობას და წირვის ჩვეულებრივი ნაწილია: მესა ასე იწყება - Credo in unum Deum – „მწამს ერთი ღმერთი“. ამ ტერმინმა არსი უფალთან კავშირში იმიტომ გამოკვეთა, რომ რელიგია რწმენის სფეროა.

ფილოსოფიურად კრედო - მსოფლმხედველობის საფუძველი, ადამიანის პირადი მრწამსი, შინაგანი პოზიცია, მისი საბაზო რწმენაა, რომელიც ქცევას განსაზღვრავს და პიროვნების სოციუმში რეალიზაციაზე გავლენას ახდენს.

ფსიქოლოგების გამოკვლევით, მრწამსი მართავს ქცევას და ნებელობით ქმედებას. მას ეფუძნება გააზრებულად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მსოფლმხედველობას უკავშირდება. ეს უკანასკნელი კი ადამიანის საქმიანობას ორგანიზებულ, შინაარსობრივ და მიზანმიმართულ ხასიათს აძლევს.

ცნობილია, რომ ათენელი ფილოსოფოსი, პლატონის მასწავლებელი სოკრატე (470/469 – 399), რომელიც ცნობილი იყო ღმერთმოძულეობით, გაასამართლეს. ულმობელი განაჩენი გამოუტანეს - სიკვდილით დასჯა. ბრალდებულს ციხიდან გაქცევისა და სხვაგან თავშეფარების ყველა შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ ამ შანსზე უარი თქვა, რადგან, როგორც თავად ამბობს, კანონის დარღვევის პრეცედენტს შექმნიდა, რომლითაც შემდგომში პოლისის სხვა მოქალაქეები იხელმძღვანელებდნენ, თან მეგობრებსაც კანონდარღვევის თანამონაწილედ გახდიდა. ამიტომ არის ბერძენი ფილოსოფოსის საქციელი ყურადსაღები: მან რომ ციხე არ დატოვა, ამით ყველას აჩვენა - კანონი უზენაესია (1).

ტრადიციულ რელიგიებში ზნეობრივ-ეთიკური, სრულყოფის პრობლემატიკაა მთავარი. კრედოტეინმენტი სწორედ ამ სფეროს სწვდება, ოღონდ მასში მენტალობითი ელემენტები შემოდის და უფრო მაღლა დგას. თავისი არსით ის გართობის ელემენტებზე დამყარებული კონფესიური მოძრაობაა და მოვლენის პროცესს ახლავს: დღეს ეს არის პაექრობათა ფორმატების დევიზი, რომელიც ასპარეზობის კომერციულ და კონკურენტულ მოთხოვნებს აბალანსებს. იმის თქმა გვინდა, რომ შეჯიბრებისთვის უმთავრესი შედეგია, რადგან ქომაგებზე, უპირველესად, ეს ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას; მეორე მხრივ კი, პაექრობამ მაყურებელს სიამოვნება უნდა მიანიჭოს. მართალია, მას ზოგჯერ იმედგაცრუებაც ახლავს, მაგრამ სარგებელი ყოველთვის მოაქვს.

საკვანძო სიტყვები: კრედოტეინმენტი, მსოფლმხედველობა, მრწამსი, სპორტი, ქართული ჭიდაობა, მუსიკა, ესთეტიკა, სუმო,

შესავალი

სპორტი თავისი ფილოსოფიითა და ფსიქოლოგიური საფუძვლებით ყველაზე მეტად უახლოვდება რელიგიას, რადგან რწმენას ემყარება; მთავარია კრედო, ანუ საკუთარი თავის, სამართლიანობისა და დასახული მიზნის მიღწევის რწმენა, რომ ადამიანმა ფიზიკურის ინტელექტუალურში გაიდეალება შეძლოს.

დიდი სპორტსმენების ინტერვიუებს, მოგონებებს თუ ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, რომ მათთვის რწმენის მეტაფორა მწვრთნელი, მშობელი ან ნათესავია. რწმენის გარეშე სპორტში შედეგის მიღწევა შეუძლებელია.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ სწორედ ტერმინი კრედოტეინმენტი წარმოაჩენს უფრო მკაფიოდ სპორტსმენის პიროვნულ ხასიათს შინაგან მდგომარეობაზე მკვეთრად გამოხატული აქცენტით. ამიტომაც კრედოტეინმენტი სპორტში ხდება გართობის სურვილთან დაკავშირებული თვითგამოხატვის საგანი, რომელიც ხშირად „რეალითიშოუს“ ელემეტებსაც შეიცავს დაუგეგმავი თავბრუდამხვევი ეპიზოდებით.

სპორტის ნებისმიერი სახეობა გართობას, სანახაობას უკავშირდება, მაგრამ კრედოტეინმენტისას „ეთათეინმენტი“ უშუალოდ ერწყმის მრწამსს, რომელიც საბოლოო შედეგს განსაზღვრავს. მაგალითად, აღმოსავლურ ორთაბრძოლა სუმოში, რომელსაც 1500-წლიანი ისტორია აქვს და სახალხო-რელიგიურ სადღესასწაულო რიტუალს წარმოადგენს, იაპონელთა ეროვნული ფასეულობები და რწმენაა შენარჩუნებული.

მებრძოლები დღემდე მიიჩნევენ, რომ ისინი ღმერთების წინაშე ჭიდაობენ, ამიტომ აუცილებელია ზნეობის შენარჩუნება, რადგან ამ სპორტისთვის ღირსება გამარჯვებაზე მნიშვნელოვანია. ეს ნათლად წარმოჩინდა ლევან გორგაძის, ანუ ტოჩინოშინის 2019 წლის საქციელში. ქართველ ფალავანს იაპონელ სუმოისტ ასანოიამასთან ის გახმაურებული ორთაბრძოლა არ წაუგია. იაპონელი სპეციალისტებიც დარწმუნებული არიან, რომ ტოჩინოშინი მართალი იყო, მაგრამ მას ის შემთხვევა არ გაუსაჩივრებია, რადგან ქართული ჭიდაობის იდეალებზე აღზრდილმა ფალავანმა გამარჯვებაზე მაღლა ზნეობა დააყენა [2, #198].

ძირითადი ნაწილი

ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროებითა თუ არქეოლოგიური მასალებით ვრწმუნდებით, რომ ქართული ჭიდაობა თავიდან საერთოფიზიკური და სამხედრო მომზადების საშუალებას წარმოადგენდა, მაგრამ საუკუნეთა

განმავლობაში მრავალფუნქციური ხასიათი შეიძინა - საშეჯიბრო-საბრძოლო ხელოვნებად, სათამაშო-გასართობ და სარიტუალო-საწესჩვეულებო აქტადაც იქცა. ამიტომაც ახლდა ის სახალხო დღესასწაულებს; და არა მარტო თვალის სეირის, არამედ მრწამსის გასამტკიცებლადაც იყენებდნენ. რელიგიურ-ფილოსოფიური ბირთვი, რომელიც მორკინალს ღმერთამდე სრულყოფილებისკენ ორიენტაციის საშუალებას აძლევდა, ქართულმა ჭიდაობამ დღემდე შეინარჩუნა.

ჩვენი ეროვნული საუნჯე, როგორც ფიზიკური აღზრდის ხელოვნება, ჰუმანურ ეთიკურ-ესთეტიკურ პრინციპებს ემყარება. მასში ჩვენი ერის თვითშემეცნების გზაა ასახული. ქართულ ჭიდაობაში, როგორც ადამიანში, ორი საწყისი იყრის თავს - ზეციური და მატერიალური. წარმატებაც სულისა და სხეულის ჰარმონიული განვითარებით არის შესაძლებელი.

რომაელი ფილოსოფოსი და დრამატურგი, პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე ლუციუს ანეუს სენეკა (ძვ. წ. აღ.4 - ახ. წ. აღ. 65) უმცროს მეგობარ ფილოსოფოს ლუცილიუსს სწერდა: „სხეულის მასის ზრდა სულს ამძიმებს და მოძრაობის საშუალებას არ აძლევს მას. ამიტომ, რითაც შეგიძლია, სხეული შეზღუდე და სულისთვის ადგილი გამოათავისუფლე“ [3].

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული ჭიდაობისთვის დამახასიათებელია რაინდული სული: „კატეგორიულად მიუღებელია სარბიელიდან გაქცევა, იკრძალება წაქცეულ და დაჩოქილ მეტოქეზე შეტევა, მტკივნეული და მახრჩობელა ილეთების ჩატარება, მოწინააღმდეგის განზრახ დაშავების მცდელობა. აქ გამორიცხულია მიპარვა ან მზაკვრული მოქმედება. ილეთები მაღალ ტემპში და ელვისებურად სრულდება საჭიდაო მუსიკის თანხლებით“ [4, 535].

ბუნებრივად ისმის კითხვა, რატომ არ შეიძლება წაქცეულზე ძალადატანება? ქართული ცნობიერებიდან გამომდინარე, ეს უღირსობაა, ქართული ჭიდაობის ფილოსოფიაში აკრძალვის ფორმით შემოდის ის, რაც სულიერებას, ზნეობას, კრედოს ეწინააღმდეგება; აკრძალვის ენით ვლაპარაკობთ იმ სულიერებაზე, რაც საფუძვლად უდევს ქართულ ჭიდაობას, ანუ სპორტში გადადის ის, რასაც ჩვენ ეროვნულ ბუნებასა და ხასიათს ვუწოდებთ. ჩვენი ძლევა არ არის ოდენ ფიზიკური ძალის დემონსტრირება. ქართული ანდაზა - „ხერხი ჯობია ღონესა“ უკვე მიგვანიშნებს, რომ ძალა თვითმიზანი არ არის, ის გამარჯვების საშუალებაა, მაგრამ ზნეობრივი, სულიერი, ეთიკური მოთხოვნების დაცვით, ანუ ღირსების შენარჩუნებით. ქართულ ჭიდაობაში მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება მიუღებელია - აქ გზა ზნეობაზე გადის, რომელიც გამარჯვებაზე მაღლა დგას.

მოკლედ რომ ვთქვათ, ქართული ჭიდაობის წარმატების საიდუმლო სულის, გონისა და სხეულის ჰარმონიულ ერთიანობაშია. ამიტომაც არის

ის ჩვენი ერის იდენტობის განმსაზღვრელი და თვითმყოფადობის გამოხატულება.

ქართულ ჭიდაობას არა მარტო აღმზრდელობითი და ეთიკური მნიშვნელობა აქვს, არამედ უდიდესი ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელიცაა. დღეს თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ, საერთოდ, სპორტი ათლეტებისა და მაყურებლებისთვისაც ესთეტიკური სიამოვნების ფართო შესაძლებლობებს იძლევა. დასტურად ნახერხმოყრილ სარბიელზე დატრიალებული ქართული ჭიდაობის ელვისებური ფანდებიც კმარა, რომლებიც უხსოვარი დროიდან მუსიკის თანხლებით სრულდება.

ის ფაქტი, რომ მუსიკას ადამიანის არა მარტო ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე შეუძლია უდიდესი ზემოქმედება, არამედ გარკვეული დოზით მის კრედოს, მსოფლმხედველობასა და იდეოლოგიასაც რომ აყალიბებს, ანტიკურ ეპოქაშიც იყო შემჩნეული. აი, მაგალითად, პითაგორა დარწმუნებულია, რომ „მიწიერი“ მუსიკა სფეროების კოსმოსური ჰარმონიის გამოვლინებაა და ამ მიზეზით ამაღლებული „ადამიანური“ მუსიკის ჟღერადობას შეუძლია ადამიანის შინაგან სამყაროში ისეთივე ჰარმონიული წესრიგი დაამყაროს, როგორსაც „მსოფლიო მუსიკა“ ქმნის კოსმოსში [5].

არისტოტელე მუსიკის ეთიკური ზემოქმედების ფენომენს ხსნიდა იმ ვითარებით, რომ მუსიკის სულიერ საფუძველში დევს „ზნეობრივი მდგომარეობის ჩანასახები“. „მელოდია შეიცავს მოძრაობას, ეს მოძრაობები აქტიურია, ქმედებები კი ეთიკური თვისებების ნიშანთა არსია. მუსიკას სულის ეთიკურ მხარეზე გარკვეული ზემოქმედება შეუძლია“ [6].

გვჯერა, რომ ჩვენი წინაპრები როცა ქართული ჭიდაობის ილეთებს ხვეწდნენ, მოხერხებულობასთან ერთად მის სილამაზეზეც ამახვილებდნენ ყურადღებას. მთავარი იყო არა უხეში ძალა, არამედ - გონიერება. ცხადია, ამ მიზანს ემსახურებოდა ქართული საჭიდაო მუსიკაც, რომელიც ხელს უწყობდა „ზნეობრივი მდგომარეობის ჩანასახების“ სამზეოზე წარმოჩენას და ადამიანთა მსოფლმხედველობის შეცვლას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ ჭიდაობაში საბრძოლო ხელოვნება და კულტურა ჰარმონიულად შეერწყა ერთმანეთს.

ამიტომაც მე-19 საუკუნის ქართველი მწერალი ანტონ ფურცელაძე 1867 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში სამართლიანად შენიშნავს: „ჭიდაობა ჩვენში მეცნიერებად არის ნაქცევი“ [7, 1967]...

სასპორტო გაზეთ „სარბიელში“ 1999 წელს საინტერესო ინფორმაცია დაიბეჭდა სათაურით - „ნუ გაუჯავრდებით ჯენტლმენ ჭოჭუას". 18 წლის ქართველმა ფალავანმა იმ წელიწადს ბუქარესტში ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა.

„ტურნირზე ერთი ისეთი ფაქტი მოხდა, - წერს გაზეთი, - სამუდამოდ რომ

დაიდებს ბინას მსოფლიო ჭიდაობის ისტორიაში და ჰუმანიზმის მაგალითად დარჩება. ორმაგად საამაყოა, რომ ეს ქართველმა ფალავანმა - ირაკლი ჭოჭუამ გააკეთა. 54 კილოგრამის ფინალში მან ცხარე ბრძოლა გაუმართა რუს ალექსეი შევცოვს. ქართველის დიდი მცდელობის მიუხედავად, რუსი მაინც დაწინაურდა, თუმცა ერთ ჩვეულებრივ საჭიდაო ეპიზოდში ჭოჭუამ მეტოქე მონდომებით დაიქნია და... მოწინააღმდეგემ ხელი მოიტეხა. ეს არ ყოფილა წინასწარ განზრახული უხეშობა“...

რუსი სპორტსმენი დახმარების აღმოჩენის შემდეგ ხალიჩას დაუბრუნდა, თუმცა ტკივილისაგან ცრემლს ვერ იკავებდა. ჭოჭუა მთელი წუთ-ნახევრის განმავლობაში გარს უვლიდა მას და შეტევის მხოლოდ იმიტაციას ქმნიდა, უბრალოდ, დროის ამწურვას ელოდა. გონგის ხმაზე ქართველმა მეტოქეს გამარჯვება მიულოცა. დარბაზი ფეხზე ამდგარი ოვაციით შეხვდა ირაკლის, რადგან ქომაგები მიხვდნენ, რომ მან შევცოვის ტრავმით არ ისარგებლა - ვაჟკაცისთვის შეუფერებელი საქციელით ჩემპიონობის მოპოვებას მეორე ადგილზე გასვლა არჩია. [8, 1999 წ.].

1977-1978 წლების უეფას თასის ოცდამეტორმეტედფინალის პირველი შეხვედრა 1977 წლის 14 სექტემბერს მილანის „სან-სიროზე“ გაიმართა. ადგილობრივმა „ინტერმა“ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს უმასპინძლა. შეხვედრის 78-ე წუთზე დავით ყიფიანმა „ინტერისა“ და იტალიის ნაკრების კაპიტან ჯაჩინტო ფაკეტის 45.000 მაყურებლის თვალწინ ბურთი აწაპნა და ლამაზი გოლით სტუმრებს გაამარჯვებინა. მეორე დღეს გაზეთებმა ფაკეტის ინტერვიუ დაბეჭდეს. აპენინელ ფეხბურთელს უთქვამს: მეტოქემ ისე დიდოსტატურად წამართვა ბურთი, რომ მის წინააღმდეგ უხეშობა ამორალური იქნებოდაო.

აი, კრედოტეინმენტის კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიმუში. დიდებულად ბრძანებს შოთა რუსთაველი: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინ-დების“.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდანაც ნათელია, რომ სპორტის ნებისმიერი სახეობა გართობას, სანახაობას უკავშირდება, მაგრამ კრედოტეინმენტისას „ეთათეინმენტი“ უშუალოდ ერწყმის მრწამსს, რომელიც საბოლოო შედეგს განსაზღვრავს, ხშირ შემთხვევაში ადამიანთა მსოფლმხედველობას ცვლის. კრედოტეინმენტი, რომელიც სპორტსმენის პიროვნულ ხასიათს უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს, გართობის სურვილთან დაკავშირებული თვითგამო-ხატვის საგანი ხდება, თუმცა ის იმის დასტურიცაა, რომ მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება მიუღებელია - აქ გზა ზნეობაზე გადის, რომელიც გამარ-ჯვებაზე მაღლა დგას.

ლიტერატურა:

1. https://ka.wikipedia.org/wiki, უკანასკნელად გადამოწმდა 14.05.2020;

2. „ლელო“. 2019, #198, 9 ოქტომბერი;

3. ლუციუს ანეუს სენეკა, მორალური წერილები ლუცილიუსისადმი (ლათინურიდან თარგმნა ლალი კოჭლამაზაშვილმა), „არილი“, 2003;

4. ელგუჯა ბერიშვილი, სპორტის ენციკლოპედია, 2006; გვ. 535;

5. Мысли о музыке, Пифагор, https://barucava.livejournal.com/247171.html უკანასკნელად გადამოწმდა 15.05.2020;

6. Шестаков В.П. История музыкальной эстетики от Античности до XVIII века, 2018;

7. ანტონ ფურცელაძე, „დროება“, 1967;

8. „სარბიელი“, 1999;

Credoteintment and sports press

Vaja Danelia, PHD student

Georgian Technikal University

Summary

In traditional religions, moral-ethical, perfectionism is paramount. Credoteintment penetrates this field, but it contains mental elements and stands higher. In its essence, it is a confessional movement based on the elements of entertainment and accompanies the process of the event: today it is the motto of the controversy formats that balances the commercial and competitive demands of the competition. We want to say that the main result for the competition is because it has a significant impact on the fans in the first place; On the other hand, the competition should give the audience pleasure. It is true that sometimes it is accompanied by frustration, but it always brings benefits. Credoteinement proves that all means to achieve the goal are unacceptable - here the path leads to morality, which stands above victory.

ქართველი მწერლები იოსებ იმედაშვილზე

ნინო დანელია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, იმ ქართველ მამულიშვილთა შორის, რომელთაც რთულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში უხდებოდათ მოღვაწეობა, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს იოსებ იმედაშვილს.

იოსებ იმედაშვილის მოქალაქეობრივი მრწამსის შინაარსს განსაზღვრავს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეები. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი პუბლიცისტიკაა, რომელიც მკაფიოდ ავლენს მწერლის განსწავლულობას, აზროვნების სიღრმეს, ფილოსოფიური მსჯელობის უნარს, მოვლენათა თეორიულ სიბრტყეზე განხილვის უნარს. მის სახელს უკავშირდება ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ დაარსება. ასე, რომ საქმე გვაქვს დიდ შემოქმედთან.

ნაშრომში შეძლებისდაგვარად მოვახერხეთ გადმოგვეცა ზოგიერთი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მიერ გამოთქმული მოსაზრებები იოსებ იმედაშვილზე. შემდგომშიც აუცილებლად იქნება საუბარი სხვათა მოსაზრებებზეც.

იოსებ იმედაშვილი იყო კაცი, რომელიც ამ ადამიანებს ხვალინდელი დღის რწმენას უმტკიცებდა. ასეთი ახსოვთ იგი და ასეთი ემახსოვრებათ მომავალ შთამომავლობას.

საკვანძო სიტყვები: სოციალურ-პოლიტიკური, ეროვნულ-გამათავისუფლებელი, პუბლიცისტიკა, მემკვიდრეობა.

შესავალი

იოსებ იმედაშვილი XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იოსებ იმედაშვილი ბავშვობაში მწყემსი იყო, ჭაბუკობაში ზეინკალი, შემდეგ სცენისმოყვარეთა წრის ხელმძღვანელი, ხელნაწერი ჟურნალის რედაქტორი, საუბნო წარმოდგენების მონაწილე, ბუკინისტი, სცენისმოყვარეთა პირველი ოფიციალური სპექტაკლის რეჟისორი, მეფის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული პოემების ავტორი, სოფელ ხაშმის მამასახლისი, მეტეხის ციხის პატიმარი, ქართული თეატრის მსახიობი, დრამატული საზოგადოების მდივანი, ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ რედაქტორი, გამომცემელი, უბადლო ორატორი.

როგორც ვხედავთ, იოსებ იმედაშვილი ენერგიულად იღვწოდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ სარბიელზე და უშუალო მონაწილეობას იღებდა

იმდროინდელი ყველა მნიშვნელოვანი საჭირბოროტო პრობლემის დასმასა და გადაწყვეტაში.

იოსებ იმედაშვილის მოქალაქეობრივი მრწამსის შინაარსს განსაზღვრავს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეები.

იოსებ იმედაშვილი ჭაბუკობიდან დაკავშირებული იყო თეატრთან, როგორც რეჟისორი, მსახიობი, დრამატურგი. წერდა რომანებს, ლექსებს, პოემებს, პუბლიცისტურ წერილებს. ვფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი მძიმე ტვირთი იყო ამ სულით ძლიერი ადამიანისათვის.

განსაკუთრებით მრავალმხრივია იოსებ იმედაშვილის მოღვაწეობა საკუთრივ პუბლიცისტიკის დარგში. ჩვენ წინაშე დგას საინტერესო შემოქმედი. იმდენად ერთიანი და განუყოფელია ი. იმედაშვილის პიროვნული, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ცხოვრების სტილი, იმდენადაა ურთიერთშერწყმული მისი ადამიანური ცხოვრების ეს ასპექტები, რომ ჭირს კიდეც მათი ურთიერთისგან განცალკევება.

იოსებ იმედაშვილის შემოქმედების შესწავლის გზაზე მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება.

იოსებ იმედაშვილი ქართული თეატრის აყვავების საქმესაც გულმხურვალედ ემსახურებოდა, იყო რეჟისორი, წერდა პოემებს და ქართულ სცენაზეც თამაშობდა.

ძირითადი ნაწილი

იოსებ იმედაშვილის პუბლიცისტიკა უთუოდ თამაშობს დიდ როლს მე-20 საუკუნისთვის ნიშანდობლივი საუბრების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, ვლინდება და მჟღავნდება მისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ხასიათი. იგი ეფუძნება არა მხოლოდ პირად გამოცდილებას, არამედ მრავალი თაობის დაკვირვებასაც.

იოსებ იმედაშვილის პუბლიცისტიკაში მთელი რიგი პრობლემებისა ექვემდებარება ცხოვრებისეულ მოვლენათა არსს. როგორც დიდი აკაკი ბრძანებდა: „პუბლიცისტურ ნაწარმოებში ერთი ძირითადი სათქმელი პირადული თუ საზოგადო საქმესთან დამოკიდებულების საკითხის შეხებაა. იოსების მთელი შემოქმედებაც ამ მოთხოვნათა და იდეალთა ნათელი დადასტურებაა“. აი, რა იყო აკაკის აზრით, მწერლის მართლაც რომ წრეგადასული შრომისმოყვარეობის მიზეზი.

საინტერესოა XX საუკუნის ბუმბერაზი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის წერილი: „იოსებ იმედაშვილი ჩემი ქართულის ნათლიაა. რუსეთიდან რომ დავბრუნდი, ვაღიარებ ჩემს სირცხვილს - ქართული ნაკლებად ვიცოდი. ბედმა იოსებ იმედაშვილის წიგნის დუქანში შემიყვანა. მოვითხოვე ქართული წიგნები, ერთმანეთს გამოვეცნაურეთ. იმ დღიდან ხშირი სტუმარი გავ-

ხდი მის დუქან - სამკითხველოში. სანამ „ცნობის ფურცელში“ დავიწყებდი მუშაობას, ქართულის მასწავლებელი იოსები იყო. პირველად მან წაიკითხა ჩემი პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“ და მაღალი შეფასება მისცა. იმანვე გამგზავნა „ცნობის ფურცელში“.

ასევე საინტერესოა მისი სხვა წერილიც, რომელშიც ჯავახიშვილი წერდა: „იმედაშვილს რომ დავინახავ ან გავიხსენებ ხოლმე, ძალაუნებურად მაგონდება ქაშვეთის ქუჩა - ბუკინისტების რიგი და ამ რიგში ერთი პაწია ქოხი. ამ ქოხში ზაფხულში უფრო ცხელა, ხოლო ზამთარში უფრო ცივა ვიდრე გარეთ. წიგნებში ჩამძვრალი იოსებ იმედაშვილი რიჟრაჟიდან დაღამებამდე თავჩაღუნული ზის დახლის უკან და გამალებით მუშაობს, ვითომ წიგნებით ვაჭრობს, მაგრამ მუშტრების მაგივრად უფრო ნაცნობ-მეგობრები ეხვევიან და ხელს უშლიან ხოლმე. მუშტრებისთვის იოსებს არ სცალიან, არც მუშტარს სცალია ახირებული „ვაჭრისთვის“. მუშტარი რომ შემოვა, „უცნაური“ ვაჭარი და მწიგნობარი თავს ძლივს ასწევს, პასუხსაც ძლივს აკადრებს, ზოგჯერ კი არც ამისთვის სცალიან, თუ ვინმემ მოაგონა სადილი, შაურიან წვნიანს მოარბენინებს, ხუთიოდე წუთში გადაყლაპავს და კვლავ ჩრჩილივით ჩაუჯდება ქაღალდებს. როცა დაღამდება დუქანს დაკეტავს და ქუდმოგლეჯილი იორღით მირბის სახალხო სახლში ან მურამკოს თეატრში, ექვსიოდე ვერსის მანძილზე. იქ თავის როლს პირნათლად შეასრულებს და ნაშუაღამევს ფეხით გამოდის მთაწმინდის უბანში, ახლაც არ ვიცი როდის იძინებდა ან როდის ისვენებდა ეს უცნაური და დაუღალავი ადამიანი! ან იძინებდა ხოლმე? ან ისვენებდა ზოგჯერ მაინც?“

წერილებიდან ჩანს, რომ მიხეილ ჯავახიშვილი დიდ შეფასებას აძლევდა იოსებ იმედაშვილს. მას არ გამოპარვია იოსების დაუღალავი შრომა და ღვაწლი. ჯავახიშვილი ხაზს უსვამს, რომ მას იოსებმა ყველაზე რთულ პირობებში გაუწოდა ხელი, დაეხმარა რუსეთიდან დაბრუნებულს, შეასწავლა ქართული და გაუკვალა გზა ახლადდაწყებული ცხოვრებისაკენ.

მიხეილ ჯავახიშვილი გამოთქვამს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ იოსებ იმედაშვილის აზროვნების ჩამოყალიბებაზე, მის ჟურნალისტურ საქმიანობასა და მხატვრულ სტილზეც დიდი გავლენა იქონია მისმა დაუშრეტელმა ენერგიამ და შრომისმოყვარეობამ. მას ახასიათებს, როგორც უნიჭიერეს და შრომისმოყვარე ადამიანს. როგორც ვხედავთ მიხეილ ჯავახიშვილი მიანიშნებს, რომ იოსებ იმედაშვილი თანადროულობის გრძნობით დაჯილდოებული პუბლიცისტი, რედაქტორ-გამომცემელი, მწერალი, თეატრმცოდნე ადამიანია. იგი ამჩნევს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე სოციალურ პროცესებს, მებრძოლია ამ პროცესების და ასახავს თავის მწერლობასა თუ ჟურნალ-გაზეთებში.

„ხელოვნების უწმინდესი ტაძრის, ადამიანთა გრძნობა-გონების გამაფა-

ქიზებელი ერთი უდიდესი იარაღის განხილვა, სცენის დანიშნულების გარკვევა, ცხოვრების შავბნელ კუნძულთა გაშუქება შეძლებისდაგვარად. აი, რა არის დანიშნულება ამ გამოცემისა“, - წერდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მეთაური იოსებ იმედაშვილი თავის წერილებში და დასძენდა - „ჩემი რწმენაა ხელოვნების უმაღლესი მოთხოვნილება-მისწრაფებათა დაცვა და განვითარება, იმდენად, რამდენადაც იგი ხალხთა შეგნების ამაღლებას და მათ შორის სოლიდარობის განმტკიცებას ემსახურება“. აი, ასეთი იყო იმედაშვილის დევიზი. მართლაც უშრეტმა ენერგიამ და საქმის დიდმა სიყვარულმა შეაძლებინა იოსებ იმედაშვილს გაეკეთებინა ისეთი საქმე, რაც რევოლუციამდელი თეატრის მოღვაწეთა ოცნებას შეადგენდა. „... ჰოდა, ჩემო მეგობარო,“ - უამბობდა თურმე ხშირად იოსებ იმედაშვილი ალექსანდრე ბურთიკაშვილს, - „ერთი აზრი ამეკვიატა, განვიზრახე სათეატრო ჟურნალის გამოცემა. ვიცოდი ჩემი ბუნება, თუ რაიმე აზრი დამებადებოდა, ნემსის ყუნწში გავძვრებოდი და უნდა შემესრულებინა. გროში კაპიკი არ მქონდა. ბედად შევხვდი მიტროფანე ლაღიძეს, ჩემი ზრახვანი გავუზიარე და 200 მანეთი მასესხა. აი ამ თანხით დავიწყე საქმე და როგორც იცი, 15 წლის განმავლობაში ვცემდი ამ ჟურნალს“.

იოსებ იმედაშვილმა თავისი პრინციპულობით, შრომისმოყვარეობითა და ნათელი გონებით შეძლო შეუძლებელი. რევოლუციამდელ საქართველოში ასეთი პოპულარული ჟურნალი არ იყო. ამ ჟურნალში თანამშრომლობდნენ გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგი მესხი და სხვანი. წერდნენ თეატრზე, სპექტაკლებზე, მსახიობებზე და ა. შ.

გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში (ს - N13944) დაცულია ზაქარია ჭიჭინაძის უცნობი ბარათი ფილიპე მახარაძისადმი. ბარათი დათარიღებულია 1925 წლის 25 ოქტომბრით და იოსებ იმედაშვილის საინტერესო დახასიათებას შეიცავს. ბარათის ტექსტი ასეთია: „ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო ფილიპე! იოსებ იმედაშვილს შენც იცნობ და მეც. იგი არის დიდი პროგრესისტი და მასთან თავისი მშრომელი ქვეყნის უაღრესი მოყვარე. მისი შრომა ყოველთვის სდარაჯობდა ქართველი მუშისა და გლეხის დაცემულ ცხოვრებას. იგი იყო და არის კიდევაც მხურვალე მოტრფიალე ქართველი ერის იდეური ამაღლების პროგრესულად დაწინაურების, რაშიც უაღრესად არის კომუნალური იდეაც.

მთელი ორმოცი წელიწადი კაცი სდარაჯობს ქვეყანას თავისი კალმით და თავისი შრომით. ამისთვის ოთხი წელიწადი მეტეხშიც იჯდა, სხვა დროსაც არ აკმარეს მას დევნა. დევნა ცენზურის კომიტეტიდან, დევნა ჟანდარმერიიდან, დევნა მონარქიული მთავრობისაგან, დევნა სხვათაგან. ამ კაცმა დაბეჭდა, სხვათა შორის, ერთი შენი წიგნი, მანვე დიდად იმუშავა

შენს კაუცკის წიგნზე ციხეში. იგი დამაარსებელია სახალხო თეატრისა ამ ოცდათვრამეტი წლის წინ. იგი შემდგენელია „უცხო სიტყვათა ლექსიკონისა“, რომელშიც მან პირველად დაბეჭდა ვრცელი „კომუნისტური მანიფესტი“. უკანასკნელ თხუთმეტ წელიწადს უძღვებოდა სათეატრო ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“, რომელიც განსაკუთრებით მშრომელ ხალხს ემსახურებოდა, რისთვისაც ვალები წამოედო. ასეთ მდგომარეობაში მყოფი კვლავ აპირებს თავისებურ სამწიგნობრო მუშაობას.

ასეთი კაცის შრომის დავიწყება არ შეიძლება, თუ ხათრი გაქვს, ჩვენი ქვეყნის სიკეთე გსურს, ამ კაცს გამოუნახე დახმარება, რომ ვალები გაისტუმროს და თავისი ჟურნალის გამოცემა განაახლოს. მას არაფერი დახმარება არ აქვს. მისი შეგირდები პენსიასაც იღებენ და ამას გროშიც არ ეძლევა. ფილიპე, თუ ხათრი გაქვს და კაცი ხარ, ნუ დაივიწყებ ამ ქართველ მუშაკს, ქართველი ერისას.

შენ იცი და შენმა ჭკუა-გონებამ როგორც უპატრონებ ამ ერთგულ მუშაკს ქართველი ერის პროგრესული ამაღლებისა და დაწინაურებისას. იმედია, რომ ჩემს დავალებას არ დაივიწყებ და ამ დამსახურებულ მუშაკს შენობრივ ზნეობრივ და ნივთიერ დახმარებას გაუწევ, ამის გულისათვის შენთან თორმეტი კაცი მოდიოდა, მათ მაგიერ მე მოვედი და გთხოვ შენ იზრუნო, რომ ასეთი შრომისმოყვარე კაცი არ იქნეს დაჩაგრული.

თქვენი პატივისმცემელი ზ. ჭიჭინაძე“

ამ წერილმა დაგვანახა, რომ ზაქარია ჭიჭინაძე დიდ შეფასებას აძლევ-და იოსებ იმედაშვილს. იგი სრულიად გარკვეულად მიუთითებს, რომ იოსები გამოირჩევა დიდი ნაყოფიერებით, პროდუქტიულობით, რაც შრომისმოყვარეობის გამოხატულებაცაა. ვფიქრობთ, მიუხედავად მცირე მოცულობისა, მეტად საინტერესო წერილია. ზ. ჭიჭინაძის აზრით, შესანიშნავ პუბლიცისტს ჰქონდა შერჩენილი რაინდული სული, მისი შრომისმოყვარეობა, თავდადება ქართველი საზოგადოების წინაშე.

ჩვენი აზრით, ამ შეფასებაში ყველაზე კარგად გამოსჭვივის ის სერიო-ზული დამოკიდებულება, რაც მათ აკავშირებდათ ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე. ზემოთ განხილულ წერილს, მართალია, აშკარად ეტყობოდა ობიექ-ტური სიტუაციით გამოწვეული მაღალფარდოვანი სტილი, მაგრამ არ შევ-ცდებით, თუ ვიტყვით, რომ იგი, ამასთანავე წარმოაჩენს ზ. ჭიჭინაძის იოსებ იმედაშვილთან დამოკიდებულების საკვანძო საკითხებს. როგორც დავი-ნახეთ, ზ. ჭიჭინაძის აზრით, იოსებ იმედაშვილი არის მოთავე, წინამძღოლი თავისი საქმის და მებრძოლი თავის დაჩაგრული ხალხის.

როგორც ვხედავთ, წერილში ზ. ჭიჭინაძე იოსებ იმედაშვილის საოცარ შრომისმოყვარეობას არა მარტო ერთგვარ ახსნას უძებნის, არამედ მისი პიროვნული სტერეოტიპის ჩამოყალიბებას უმთავრესი ობიექტური პირო-

ბებიდან ასახავს. აი, რა იყო ჭიჭინაძის აზრით, პუბლიცისტის მართლაც რომ წრეგადასული შრომისმოყვარეობის მიზეზი.

მძიმე ოჯახური პირობების გამო იოსებ იმედაშვილმა უმაღლესი განათლება ვერ მიიღო, მაგრამ ბუნებით მომადლებულმა ნიჭმა თავისი გააკეთა.

შალვა დადიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იოსებ იმედაშვილმა თავისი შრომითა და გარჯილობით თვითონვე შექმნა თავისი თავი და ამაღლდა მწერლის ხარისხამდე“. მწერლის სიტყვებიდან ჩანს, რომ მაღალ შეფასებას აძლევს იოსებ იმედაშვილის ღვაწლს. შალვა დადიანს ფართო ერუდიცია და გემოვნება ჰქონდა იმისთვის, რომ მიეცა შედარებით ლაკონური, მაგრამ სერიოზული და ობიექტური შეფასება მწერლის ნიჭზე. უწონებს ცხოვრების არსებითი მხარეებით დაინტერესებას.

„იმისი ხალასი ნიჭი და ენერგია შეისრუტა ხელოვნების სხვადასხვა დარგმა, შეიძლება ეს იყო მისი ღირსება“, - ამბობდა ცნობილი პოეტი იოსებ გრიშაშვილი და დასძენდა: „მისი ჟურნალი ყველა ახალგაზრდას აძლევს გზას“. „მართლაც, ბევრ ახალგაზრდას აუდგამს ფეხი და გაუკვლევია გზა მწვერვალისაკენ ამ ჟურნალში“.

იოსებ გრიშაშვილი, ჩვენი აზრით, სავსებით მისაღებ მოსაზრებას გამოთქვამს პუბლიცისტ მწერალზე იმის თაობაზე, რომ მის ჟურნალისტურ საქმიანობასა და შემდგომ მხატვრულ სტილზეც დიდი გავლენა იქონია საქართველოში არსებულმა იმდროინდელმა რთულმა მდგომარეობამ. საუბრობს იმედაშვილის ჟურნალზე და ასევე ხოტბას ასხამს მას, როგორც რედაქტორ-გამომცემელს.

აი ამ წერილის შინაარსიც: „მე მეტად დავალებული ვარ იოსებ იმედაშვილისაგან. პირველი თბილი სიტყვა ჩემი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის გამო მე იოსებ იმედაშვილმა შემაგება. მან დაბეჭდა თავის ჟურნალში ლიტერატურული მიმოხილვა, სადაც გამამხნევებელი შეფასება მისცა ჩემს პირველ ლექსებს. მე არასოდეს დამვიწყებია და არც დამავიწყდება ეს პირველი თბილი საღამო და გამხნევება“.

ამ მხრივ საინტერესოა ალექსანდე აბაშელის მოგონება იოსებ იმედაშვილზე. წერილიდან ჩანს, რომ ალექსანდრე აბაშელი აღფრთოვანებულია იოსებ იმედაშვილის პიროვნულ თვისებებზეც, მის გულისხმიერებასა და ყურადღებაზე, აგრეთვე, იმ სტიმულზე, რომელიც ახალგაზრდა დამწყებ მწერალს მისცა და ასევე გაუკაფა გზა. თავის ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იოსებმა თავის დაბეჭდილ წერილში კარგი შეფასება მისცა დამწყებ მწერალს.

„თვით ღარიბი, მაგრამ ყურმახვილი დარაჯი და მესაიდუმლე ყველა გაჭირვებული საზოგადო მოღვაწისა“ - ასე დაუხასიათებია ქართველი სცენის კორიფეს მაკო საფაროვას.

მართლაც, სწორი შეფასებაა მაკო საფაროვას გამონათქვამში, იოსებ

იმედაშვილი თანადროულობის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანია, პუბლიცისტი, რედაქტორ-გამომცემელი, მწერალი, თეატრმცოდნე და ა. შ. იგი ამჩნევს ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარე სოციალურ პროცესებს, მებრძოლია ამ პროცესების და ამ ყველაფერს ასახავს თავის მწერლობასა თუ ჟურნალისტიკაში. იოსებ იმედაშვილი იყო ღარიბი, მაგრამ მდიდარი სულის მატარებელი, ჩაგრული ხალხისთვის მებრძოლი, გაჭირვებულის დამხმარე. ვერ იტანდა უსამართლობას და ყოველთვის ილაშქრებდა მის წინააღმდეგ.

მაკო საფაროვა შესანიშნავად ამჩნევდა ამ შესანიშნავი ადამიანის რაინდულ სულს, მის შრომისმოყვარეობასა და თავდადებას ქართველი საზოგადოების წინაშე.

დასკვნა

იოსებ იმედაშვილის, როგორც პუბლიცისტის, მწერლის, კრიტიკოსის, თეატრმცოდნის, რედაქტორ-გამომცემლის თვალსაწიერი ფართო, ნაყოფიერ და მრავალმხრივ მოღვაწეობათა, ნათლად ჩანს ზემოთმოყვანილ წერილებში.

იოსებ იმედაშვილის ჟურნალისტური მოღვაწეობის ერთ-ერთ აშკარა გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს მის მიერ დაარსებული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. ამ ჟურნალმა დიდი როლი ითამაშა ქართული ჟურნალისტიკისა და მკითხველი საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში.

იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით გამოცემული უამრავი მასალა რეალურად ხელს უწყობდა ქართულ საზოგადოებაში ეროვნული შეგნების ამაღლებას და, ამასთან მასში მიმდინარე სოციალურ ცვლილებებსაც ასახავდა.

იოსებ იმედაშვილი იყო ერთ-ერთი იმ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის, რომელიც დაუსრულებლად იღვწოდა ქვეყნისა და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

ლიტერატურა:

1. იმედაშვილი იოსებ „ჩემი ცხოვრების წიგნი“, თბ., 1978
2. გომართელი თამარ, „არასდროს დაიბინდება“, თბ., 1992
3. იმედაშვილი გაიოზ, „იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზაზე“, თბ., 1984
4. გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი (ს - N1344), ზაქარია ჭიჭინაძის უცნობი ბარათი ფილიპე მახარაძისადმი
5. გომართელი თამარ „მოდით გავიხსენოთ!“ თბ., 1986
6. აზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, N19, 1952

Georgian writers about Ioseb Imedashvili

Nino Danelia, PhD student
Georgian Technical University

Summary

At the turn of the 19th and 20th centuries, Ioseb Imedashvili occupied a prominent place among Georgian patriots who had to work in difficult socio-political situations.

The content of Ioseb Imedashvili's civic beliefs is determined by the ideas of the national liberation movement. One of the most important parts of his literary heritage is journalism, which clearly reveals the writer's knowledge, depth of thought, philosophical reasoning, and the ability to discuss the theoretical plane of events. His name is associated with the founding of the magazine "Theater and Life". So we are talking about a great creator.

In the paper, we somehow managed to convey the opinions expressed by some Georgian writers and public figures about Ioseb Imedashvili. Later we will continue to talk about the opinions of others too.

Ioseb Imedashvili was a man who gave these people the faith of future. This is how people remember him and how the next generations will remember him.

Keywords: socio-political, national-liberating, journalism, heritage.

ტერორიზმის გაშუქება მედიაში და საფრთხეები

ეკა ვეფხვაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ტერორიზმის მუდმივმა გაშუქებამ „სასტიკად" ბრუტალური გახადა საზოგადოება, გაზარდა მასში ძალადობის დონის მისაღები ბარიერი და ტერორისტებს მოუხდათ უფრო სასტიკი ქმედებებით მიეპყროთ საზოგადოების ყურადღება.

ტერორისტული თავდასხმები ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული მოვლენაა, დემოკრატიული საზოგადოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიტყვის თავისუფლებასთან და მასზე უარყოფით შედეგებს შორის ურთიერთობის პრობლემას.

დღეს ექსპერტთა უმრავლესობა თანამედროვე ტერორიზმს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისაკენ ორიენტირებულ ტერორიზმს უწოდებს. ტერორისტების ქმედებების ანალიზისას, მარტივად აღმოვაჩენთ რომ ტერორისტების ერთ-ერთი მთავარ მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო მედიის ყურადღების მიპყრობა.

გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი კოფი ანანი ტერორიზმს შემდეგნაირად განმარტავს: „ტერორიზმი არის გლობალური საფრთხე, გლობალური ეფექტებით... თავისი ბუნებიდან გამომდინარე ეს არის თავდასხმა სამართლის, წესრიგის და ადამიანის ფუნდამენტურ პრინციპებზე".

საკვანძო სიტყვები: ტერორიზმი, გაერო, საერთაშორისო მედია.

შესავალი

საერთაშორისო მედიის არსებობის ჭრილში, ტერორიზმის დაფარვის მართვის პრობლემა, ნებისმიერი მთავრობისთვის ორ ნაწილად იყოფა: ადგილობრივი და გლობალური. თუ შესაძლებელია საკუთარი მედიასაშუალებების კონტროლი უმეტეს მთავრობებისთვის, ეს პრობლემური ხდება გლობალური ინფორმაციული კორპორაციებისთვის. ამავე დროს, მათ შორის კონკურენციის შედეგია ის, რომ ნებისმიერი (თუნდაც ჰიპოთეტური) რეიტინგების დაკარგვა იწვევს მნიშვნელოვან ზარალს კონკურენტებთან ბრძოლაში. და ტერორიზმი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მძევლების აყვანას, ტელევიზიის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული მოვლენაა.

მედიის გარეშე ტერორისტული აქტი არის ფუჭი, ის ვიწროდ შემოფარგლული რჩება მხოლოდ მსხვერპლის გარშემო, განსხვავებით იმისა,

რომ მედიის „დახმარებით“ მას შეუძლია მიიზიდოს ფართო სამიზნე საზოგადოება, რომელზეც ტერორისტების ძალადობა რეალურად არის გამიზნული. ვინაიდან ტერორისტების მიზანია, მოიპოვონ ყურადღება შიდა თუ საერთაშორისო საზოგადოებისა, მთავრობაში გადაწყვეტილებების მიმღებებისა და ძირითადი მასებისა მსოფლიოს გარშემო, მედია მათ ამის საშუალებას აძლევს. მედია არის იარაღი, საშუალება ტერორისტებისთვის რათა შეამციროს ასიმეტრია მათ და იმ საზოგადოებას შორის, რომელსაც ისინი ეწინააღმდეგებიან.

მედიის დახმარებით ტერორისტები ცდილობენ, გაავრცელონ თავიანთი პოლიტიკური მიზნები, ინფორმირება მოახდინონ როგორც მეგობრების, ასევე, მტრებისა და ამ გზით დაასაბუთონ თავიანთი ძალადობის ფაქტები. მედია, რომელიც თავისი მეთოდებით იმგვარად ფუთავს ყოველივეს, რომ ტერორისტები ხშირად ისეთ სტატუსს ფლობენ, რომ თითქოს ისინი მსოფლიოს ლეგიტიმური ლიდერები იყვნენ. ტერორისტები მედიის საშუალებით ავრცელებენ არა მარტო უკვე განხორციელებული ქმედებების შედეგებს, არამედ მიმართვების საშუალებით ისინი სამომავლო საფრთხეების შესახებ აუწყებენ მთელს მსოფლიოს და გარკვეულ ულტიმატუმებს უყენებენ, რაც საშუალებას აძლევს მათ ჰქონდეთ კიდევ უფრო დიდი მოტივაცია, რათა განახორციელონ თავიანთი დაგეგმილი შეტაკებები ყოველგვარი შიშის გარეშე და მოახდინონ ზეგავლენა საზოგადოების ყველა სეგმენტსა თუ სამთავრობო უწყებაზე .

ტერორისტები, ზოგადად, განსხვავებული ინფორმაციის გავრცელების საშუალებებს იყენებენ. ბარანის აზრით, მიუხედავად ტექნოლოგიის განვითარებისა და აუდიტორიის ქცევების ცვლილებისა, გასული ათწლეულის განმავლობაში ტერორისტული დაჯგუფებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და მძლავრი კომუნიკაციის დამყარების საშუალება საერთაშორისო საზოგადოებასთან გახლდათ მედია, როგორც უდიდესი იარაღი საკუთარი მიზნების დელეგირებისა. რაც შეეხება ახალ მედიასთან დაკავშირებით, მის მოსაზრებას, ის ფიქრობს, რომ მან ხელი შეუწყო ტერორისტებს, თავიანთი გზავნილების უფრო სწრაფად გავრცელებაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ყოველგვარი დადგენილი ტერიტორიული თუ კულტურული საზღვრების მიუხედავად.

ამ კუთხით მასობრივი საშუალებების გავრცელების ისეთი სახეები, როგორებიცაა ინტერნეტ-საიტები, ზოგადად, სოციალური ქსელების სისტემა, ასევე ძალზე ეფექტურ და მობილურ საშუალებად ითვლება ტერორისტებისთვის სასურველი ინფორმაციის სასურველ აუდიტორიასთან მიწოდების უზრუნველყოფით. ამას გარდა, მრავალი თანამედროვე ტერორიზმის ექსპერტი ამტკიცებს, რომ ინტერნეტ-მედიისა და ტელე-

ჟურნალისტიკის პარალელურად, განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ბეჭდური მედია-საშუალებებზე ტერორიზმის საქმიანობის პროპაგანდისა თუ მისი შედეგებით აპელირების უზრუნველყოფაში. ტერორისტებს იზიდავს ბეჭდური მედია, რადგან ის მათთვის წარმოადგენს ისეთ საშუალებას, რომელსაც ნაკლები დანახარჯების გაწევითა და რისკების შემცირებით ძალუძთ ასევე სწრაფად და ეფექტურად მიაწოდონ მესიჯები საზოგადოებას.

შეიძლება ითქვას, რომ ტერორისტების ქმედებების მიზანია, რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი მოჰყვეს მათ საქმიანობას და ამასთანავე, საჯაროდ გაცხადდეს ეს ყოველივე. თანამედროვე ტექნოლოგიებმა შესაძლებელი გახადა, რომ ტერორისტულმა ჯგუფებმა გამოიყენონ მასმედიის სხვადასხვა საშუალებები, როგორც ძლიერი ინსტრუმენტი. ამიტომაც, შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ ტერორიზმსა და მედიას შორის არსებობს მძლავრი ურთიერთობა, რომელიც განსაკუთრებული ბუნებით ხასიათდება.

ჰოფმანი მეტად საინტერესოდ განმარტავს ტერორიზმს, ის მას განიხილავს, როგორც ძალადობრივ აქტს, რომელიც ორიენტირებულია, იმისკენ რომ მიიქციოს ყურადღება და მოიპოვოს საჯაროობა, და ასევე, კომუნიკაცია იქონიოს საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან გზავნილების მეშვეობით. ეს დახასიათება პირდაპირ ესადაგება ასევე იმ ურთიერთობების განსაზღვრას, რომელიც შესაძლოა რომ არსებობდეს ტერორიზმსა და მასმედიას შორის. ამ უკანასკნელის დახმარებით ტერორიზმი გაივლის ისეთ გზას, რომელიც მძლავრ პოტენციალს ფლობს გავლენის ქვეშ მოაქციოს და გააფართოოს სამიზნე ჯგუფის, აუდიტორიის მოცულობა და ამით უფრო ეფექტური გახადოს ტერორისტების საქმიანობა და გაზარდოს მისი საჯაროობა.

ჟურნალისტებისტვის არსებობს დილემა: თქვას თუ არა, სიმართლე, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს სიმართლე გავლენას ახდენს სახელმწიფო უსაფრთხოებაზე, ან დარჩეს "ერთგული მოქალაქე."

რეპორტიორი ჯეიმს ბამფორდი ამბობს, რომ მას შეუძლია გააკეთოს მნიშვნელოვანი ანგარიში, რადგან ის არის დამოუკიდებელი ჟურნალისტი, მაგრამ მათთვის, ვინც მუშაობს მცირე კომპანიებში, იძულებულები არიან წერონ ამ კომპანიის პოლიტიკის ფარგლებში, მათ აქვთ ძალიან კონკრეტული ამოცანა - არ დაკარგონ აუდიტორია .

დღეს მთელი რიგი პოლიტიკური მეცნიერები (E. Hoskins, A. Ava, Dzharvard S. et al.) აღწერენ ასეთი პროცესის მნიშვნელობას, რაც დამახასიათებელია თანამედროვე საზოგადოებისთვის. როგორც მედიატიზაცია. ამ ფენომენის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოება სულ უფრო მეტად დამოკიდებულია მედიაზე და მის ლოგიკაზე. ეს პროცესი ხასიათდება duality-ით: ერთის მხრივ, მედია ღრმად გახდა ინტეგრირებული სხვა სოციალური

ინსტიტუტების საქმიანობასთან და მეორეს მხრივ, მედიამ თავად მიიღო სოციალური ინსტიტუტების სტატუსი. შედეგად, სოციალური ურთიერთქმედება - შესაბამის ინსტიტუციებში, ინსტიტუტებსა და საზოგადოებაში მთლიანობაში - მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხდება.

ჯონ მატიჰიცი თავის წიგნში "ტერორიზმი და კომუნიკაცია" ლაპარაკობს რიტორიკის, როგორც "ენის რესურსის შესახებ, რომელსაც სპიკერი არსებული ტექნიკის საშუალებით იყენებს, რათა დაარწმუნოს აუდიტორია და პრობლემა სახვადასხვა კუთხიდან დაანახოს. რიტორიკა ყოველთვის უკავშირდება არგუმენტაციას. იმ შემთხვევაში, როდესაც სპიკერის მიზანი საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა, შეიძლება ვისაუბროთ სოფისტური (აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა მეცნიერული, დიდაქტიკის ან დიალექტიკური არგუმენტების სიმულაციური გზით). არგუმენტების გამოყენების შესახებ. არსებობს რიტორიკის სამი სახეობა:

1. ინტელექტუალი - 2. რაციონალური - 3. ლეგალურ/იურიდიული. 21 -ე საუკუნეში ინტერნეტის განვითარებამ ხელი შეუწყო ინფორმაციის ნაკადების მარტივად გავრცელებას და ამავე დროს, ის იქცა ტერორისტული ორგანიზაციების ექსტერემისტული იდეების გავრცელების პლატფორმად. მედიასა და ტერორიზმს შორის ურთიერთობაში ექსპერტები გამოყოფენ ე.წ. "ახალი ეტაპს", რომლის მთავარი არსი ის არის, რომ ეს ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისათვის. თუ ადრე ტერორისტებს საშუალება ჰქონდათ გამოეყენებინათ ტიპოგრაფიული საშუალებები, ე. წ. ბროშურები, შეზღუდული შესაძლებლობა ჰქონდათ რადიო მაუწყებლობის, დღეს, გამოყენებული ინსტრუმენტების სპექტრი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, და ყველაზე სასურველი არის ინტერნეტი. ტერორისტული ორგანიზაციებისათვის ინტერნეტის მნიშვნელობის გააზრების ფაქტორებს შორისაა: საზოგადოების ყველა სფეროს დიგიტალიზაცია და ინფორმატიზაცია, დიდი რაოდენობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობა,· მულტიმედიური ფორმატი,· სიჩქარე, ინფორმაციის გადაცემის დაბალი ღირებულება, კომუნიკაციის ანონიმურობა,· ცენზურის არარსებობა ან სუსტი კონტროლი, პოტენციური აუდიტორიის ზომა.

ინტერნეტი ასევე აძლევს ტერორისტებს საკუთარი ორგანიზაციის, საქმიანობის, მიზნებისა და ფილოსოფიის აუცილებელ იმიჯს. ეს ფენომენი დ. დენიგის მიერ არის აღწერილი, როგორც "აღქმის მართვა" . უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მარტო ტერორისტების მიერ, ორგანიზაციის პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად, არამედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ, რომელსაც ის ტერორიზმის წინააღმდეგია იყენებს. ა. ტარაკანოვი აღნიშნავს, რომ თანამედროვე მედიის სფეციფიკა არის ის, რომ მედია არ შემოიფარგლება მოვლენების აღწერით, არამედ,

თავად განსაზღვრავს, რა უნდა გახდეს საზოგადოების განსჯის საგანი. საინტერესოა განხილვისთვის, თუ როგორია საპირისპირო ეფექტი. ყველაფრის გათვალისწინებით, ინტერნეტი ხდება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური პლატფორმა.

დასკვნა

ამგვარად, ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენა ტერორიზმის პრობლემასთან დაკავშირებით და მასთან კონფიგურაციას აქვს ორაზროვანი შეფასება. ინტერნეტის განვითარება, ისევე როგორც ნებისმიერი მნიშვნელოვანი პროცესი, როგორც დადებით ისე უარყოფით მხარეებს მოიცავს.

ტერორიზმის კვლევის დროს ექსპერტები და მეცნიერები დიდ ყურადღებას უთმობენ მასმედიისა და ტერორიზმის ურთიერთმიმართების საკითხებს, როგორ აშუქებს მედია ტერორისტულ აქტებს და რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს თვით ტერორისტთა საქმიანობაში. ტერორიზმის ექსპერტები ეთანხმებიან ერთმანეთს, რომ დემოკრატიული ქვეყნების თავისუფალ პრესას ტერორისტები თავიანთი საქმიანობისთვის იყენებენ, საკუთარი მოთხოვნისა და მუქარის საჯაროობისთვის. ტერორიზმი ყოველთვის დაკავშირებულია მედიასთან. ნებისმიერი ტერორის საბოლოო მიზანი არის დიდი ტერორი გამოიწვიოს და აიძულოს ისინი ძალაუფლების გავლენა მოახდინოს ტერორისტებისთვის. ტერორიზმი თანამედროვე ფორმაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, როდესაც მასმედია და დემოკრატია გამოჩნდა. მედიის გარეშე არავინ იცის, რა მოხდა; დემოკრატიის ბერკეტის გარეშე, არავის შეუძლია პირდაპირ გავლენა მოახდინოს ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე.

ლიტერატურა:

1. გაბრიელ ვაიმანის სპეციალური ანგარიში „როგორ იყენებს თანამედროვე ტერორიზმი ინტერნეტს“, 2004;
2. ბრიუს ჰოფმანი, ტერორიზმი შიგნიდან, 2004.

Coverage of Terrorism in the Media and its Threats

Eka Vepkhvadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

The constant coverage of terrorism has made the society "strictly" brutal, has increased the acceptable level of violence in it, and the terrorists have had to attract the public's attention with more severe actions.

Terrorist attacks are one of the most widely known events, for a democratic society, significant importance has the problem of the relationship between freedom of speech and its negative consequences.

Today, most experts call modern terrorism media-oriented terrorism. During analyzing the actions of terrorists, we can easily notice that one of the main goals of terrorists is to attract the attention of international media.

Former United Nations Secretary-General Kofi Annan has described terrorism as follows: "Terrorism is a global threat, with global effects ... By its very nature, it is an attack on the fundamental principles of law, order, and humanity".

Keywords: Terrorism, Media, Danger

ბავშვთა უფლებები და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები

შორენა კოკორაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში თავმოყრილია ის პრობლემები, გამოწვევები და რისკები, რომელიც მედიას ბავშვთა საკითხების გაშუქების დროს უდგას. ამიტომ უმნიშვნელოვანესია, ჟურნალისტებმა რაც შეიძლება მაქსიმალურად დაიცვან ბავშვთა უფლებები, რათა მათ ფსიქიკურ განვითარებას ზიანი არ მიადგეს.

საკვანძო სიტყვები: მედია, ბავშვთა უფლებები, სახელმწიფო, ჟურნალისტი, გაშუქება.

შესავალი

ჟურნალისტებს, რომლებიც ბავშვთა უფლებებზე და მათ გაშუქებაზე მუშაობენ, კარგად უნდა ჰქონდეთ გააზრებული ბავშვთა დაცვის სტრატეგიები, რომელიც გულისხმობს მათ დაცვას როგორც განზრახ, ასევე წინასწარი განზრახვის გარეშე მიყენებული ზიანისგან. ბავშვთა დაცვა მთელ რიგ მნიშვნელოვან და განსხვავებულ საკითხებს მოიცავს. ბევრი ისეთი თემა, როგორიც არის ბავშვთა პროსტიტუცია, ეკონომიკურ ფაქტორებთან არის მჭიდროთ დაკავშრებული. სხვა საკითხები, მაგალითად, ოჯახში ან სკოლაში ძალადობა, უფრო მეტად სიღარიბესთან, სოციალურ ფასეულობასთან, ნორმებთან და ტრადიციებთან არის დაკავშრებული. ხშირად საქმე კრიმინალურ ქმედებებსაც ეხება, მაგალითად, ბავშვებით ტრეფიკინგი.

ბავშვთა უფლებათა კონვენციის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დაიცვან თითოეული ბავშვი და ეკისრებათ ვალდებულება ნებისმიერ მათ წარუმატებლობაზე. თუმცა, სამართლებრივ სტანდარტსა და მის განხორციელებას შორის დიდი შეუსაბამობა რჩება. ეს ის სფეროა, რომელშიც ჟურნალისტებს შეუძიათ ჩარევა და კითხვების დასმა სახელმწიფოს ანგარიშ-ვალდებულებასთან დაკავშირებით.

ძირითადი ნაწილი

მედიას შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ბავშთა დაცვის საქმეში. პირველ რიგში, მედიაორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ ბავშვთა დაცვის სტრატეგიები, რათა მიიღონ ზომები საკუთარი თანამშრომლების ისეთი ქცევის წინააღმდეგ, რომელსაც შეუძლია, საფრთხე შეუქმნას ბავშვის უფლებებს. მაგალითად, „ბი-ბი-სი“ მოითხოვს, თანამშრომლებმა

ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მიმართებაში დაიცვან მისი „ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“.

მნიშვნელოვანია მედიამ დახმარება გაუწიო საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას ბავშვთა დაცვაში მონაწილეობასთან და იმ ადამიანების გამოაშკარავებასთან დაკავშრებით, რომლებიც რაიმე ფორმით (ძალადობის თუ უბრალოდ შესაბამისი სისტემის ნაკლებობის გამო) საფრთხეს წარ-მოადგენენ ბავშვებისთვის. მედიამ მთავრობას ანგარიშ უნა მოჰკითხოს, თუ თავად ვერ ახერხებს ბავშების დაცვას.

მედია საზოგადოების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ფართოთ არის გავრცელებული აზრი, რომ ჟურნალისტების მოვალეობაა, საზოგადოების იმ წარმომადგენლებსა და ორგანოებს დააკისრონ ანგარიშვალდებულება, რომელთა საქმიანობაც სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. სწორედ ეს არის სიუჟეტების მასალების უმეტესი ნაწილის წყარო. ბავშვთა უფლებებისა და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის კონტექსტში ამან შეისაძლოა ახალი პერსპექტივიდან დაგვანახოს ახალი ამბები.

მაგალითად, ბავშვზე ძალადობის შესახებ სტატიაში ძირითადი სიუჟეტური ხაზი მხოლოდ ძალადობა კი არ უნდა იყოს, არამედ სახელ-მწიფოს პასუხისმგებლობა ბავშთა და მათი უფლებების მიმართ და, აგრეთვე, ბავშვების დაცვა, რაც მათ გაეროს კონვენციით აქვთ მაკისრი. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ მოხდინა კონვენციის რატიფიცირება და ჟურნალისტების მოვალეობაა, მოჰკითხონ მთავრობებს კონვენციის ხელმოწერით დადასტურებული ვალდებულებების შესრულება.

ჟურნალისტები რომლებიც კარგად იცნობენ ბავშვის უფლებებთან დაკავშრებულ საკითხებს, ისინი ერთგვარად მაკონტროლებლის როლს ასრულებენ. შესაძლოა მომზადებულ მასალაში სიტყვის არასწორად გამოყენებამ სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს ბავშვის ფსიქიკაზე და მის მომავალზე. ბავშვებთან დაკავშირებული სიუჟეტების, გადაცემებისა და სტატიების მომზადება განსაკუთრებულ გამოცდილებას და წინდახედვას მოითხოვს. მაგალითად, სიუჟეტი ბავშვების ტრეფიკინგის შესახებ საჭი-როებს ჟურნალისტური გამოძების წარმოების კარგ უნარს. საგამოძიებო რეპორტაჟის მომზადება საკითხის დეტალურ და ღრმა შესწავლას მოითხოვს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ როგორ ვეკიდებით განსახილველ თემას არა მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ბავშვებთან, რომლებიც უშუალო წყაროს წარმოადგენენ, არამედ იმ თვალსაზრისითაც, თუ როგორი მიდგომა გვაქვს ამ საკითხებთან დაკავშრებით.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჟურნალისტები ყველა სტატიასა თუ სიუჟეტ-ში, მათ შორის ისეთებშიც, რომებიც ბავშვის უფლებებს ეხება, დებენ ძირი-თად ფასეულობებს, როგორიცაა: ზეგავლენა, დროულობა, სინამდვილესთან

სიახლოვე, კონფლიქტი, აქტუალურობა, სიახლე და შესაბამისობა. ამ ფასეულობების გარეშე, რაგინდ კარგი უნდა ეჩვენებოდეთ მასალა ჟურნალისტებსა თუ ბავშვის უფლებათა პროპაგანდიტებს, იგი აუდიტორიას ვერ დააინტერესებს.

დასკვნა

ჟურნალისტების მოვალეობების დაბალანსება იმ მიზნით, რომ მათ სიმართლე თქვან და თან ბავშვები დაიცვან, ბევრ რთულ და ეთიკურ საკითხთან არის დაკავშირებული. საჭიროა თუ არა კორესპონდენტების ჩარევა ისეთი ბავშვების ცხოვრებაში, რომლებსაც საფრთხე ემუქრებათ? უნდა ჩამოართვან თუ არა ჟურნალისტებმა ინტერვიუები იმ ბავშვებს, რომლებსაც ტრავმა აქვთ გადატანილი? რა გარემოებების დროს არის მისაღები ბავშვის ვინაობის გამჟრავნება ან დამალვა?

საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ახალგაზრდების პირადი ცხოვრება ზრდასრულ ადამიანებთან შედარებით უფრო მეტ დაცვას საჭიროებს. თუმცა ბევრ ქვეყანაში არ არსებობს კანონი, რომელიც კრძალავს იმ ბავშვების ვინაობის, ნათქვამის ან ფოტოების გამოქვეყნებას, რომლებიც ინტერვიუს საჯაროდ ჩამორთმევაზე თანხმობას აცხადებენ.

ოფიციალური აზრის გამოთქმის დროს ყველაზე მნიშვნელოვანია ბავშვის ინტერესების დაცვა ჟურნალისტებმა მიზნად უნდა დაისახონ, რომ ბავშვს მინიმალური ზიანი მიაყენონ როგორც ინტერვიუს აღების მომენტში, ისე მისი გამოქვეყნებით გამოწვეული შედეგებით.

კვლევის თანახმად, ქართულ მედიაში არ არსებობს ერთიანი პროფესიული სტანდარტები ბავშვთა საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით, რომელსაც ჟურნალისტები და მენეჯერები ერთნაირად სცემდნენ პატივს. მხოლოდ რამდენიმე მედიასაშუალებას აქვს თავისი კოდექსი, რომლის აღიარება და დაცვა ვერ ქმნის სათანადო ამინდს. ქართულ მედიაში სჭარბობს სტერეოტიპული მიდგომა ბავშვების მიმართ, რაც საკმაოდ რთული შედეგების მომტანია. ბავშვთა საკითხებს ჟურნალისტები განზოგადებული ფორმულირებით აშუქებენ.

ქართულ მედიაში ხშირია იმგვარი სტატიები, სადაც არ არის მკაფიოდ გამიჯნული ფაქტი და კომენტარი, ფიგურირებს დაუზუსტებელი და გადაუმოწმებელი ინფორმაცია. ბავშვებზე საუბრისას ჟურნალისტები არ ერიდებიან განზოგადებას, რაც თავისთავად ხელს უწყობს სტერეოტიპებს. გარდა ამისა ნაკლებად ხდება პრობლემის დეტალურად გაანალიზება და ინფორმაციის გაშუქება რამდენიმე წყაროს საფუძველზე.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება კანონთან კონფლიქტში მყოფი ან ძალადობის მსხვერპლი ბავშვების შესახებ ინფორმაციის სენსაციური კუ-

თხით გაშუქება და ამ ბავშვების იდენტიფიცირება. ქუჩის ბავშვების მიმართ კი ხშირად ისმის დისკრიმინაციული და სტერეოტიპული გამოთქმები. ამიტომ უმნიშვნელოვანესია მედიასაშუალებებში ბავშთა საკითხების გაშუქებისაც ყველა შესაძლო რისკი, რომელიც შეიძლება ბავშვის ფსიქიკას ნეგატიურად მიადგეს, მაქსიმალურად დაცული და გათვალისწინებული იყოს.

ლიტერატურა:

1. ბავშვების საკითხებზე მომუშავე ომბუდსმენის ევროპული ქსელი, 17/11/2003.
2. „ბავშვთა დაცვა“, სახემძღვანელო პარლამენტარებისათვის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის „იუნისიეფის“ რეგიონული ოფისი, 2004;
3. https://www.unicef.org/crc/index

Children's rights and rights-based approaches

Shorena Kokorashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article summarizes the problems, challenges and risks, those the media faces while covering children's issues. That is why, it is important, journalists to protect the rights of children as much as possible to avoid damage of their mental development.

Key Words: Media, Children rights, State, Journalism, Coverage

კრიზისები და მედიის გავლენა საზოგადოებაზე

დავით მაღლაფერიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მიმდინარე ტრანსფორმაციულმა პროცესებმა დიდი გავლენა იქონია მოსახლეობასა და ძირითად სოციალურ ინსტიტუტებს შორის არსებულ ურთიერთობებზე. როგორც წესი, ტრანსფორმაციის პირველ ეტაპზე ადგილი ჰქონდა სოციალური ინსტიტუტებისადმი ნდობის რადიკალურ დაცემას, თუმცა დროთა განმავლობაში გარკვეულმა სოციალურმა ინსტიტუტებმა აღიდგინეს და განიმტკიცეს მოსახლეობის ნდობა. საზოგადოებასა და ინსტიტუციების მაკავშირებლად, ხშირად, მედია გვევლინება. როგორ აშუქებს მედია კრიზისებს - კატასტროფები, ტერორიზმი და ა. შ. მედიაექსპერტები, ფსიქოლოგები და დარგის სხვა სპეციალისტები ამ ფოკუსს სხვადასხვა ჭრილში ხედავენ და აფასებენ.

საკვანძო სიტყვები: კრიზისი, კატასტროფები, მედიაექსპერტები, ტერორიზმი, სოციალური ინსტიტუტები.

შესავალი

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მიმდინარე ტრანსფორმაციულმა პროცესებმა დიდი გავლენა იქონია მოსახლეობასა და ძირითად სოციალურ ინსტიტუტებს შორის არსებულ ურთიერთობებზე. როგორც წესი, ტრანსფორმაციის პირველ ეტაპზე ადგილი ჰქონდა სოციალური ინსტიტუტებისადმი ნდობის რადიკალურ დაცემას, თუმცა დროთა განმავლობაში გარკვეულმა სოციალურმა ინსტიტუტებმა აღიდგინეს და განიმტკიცეს მოსახლეობის ნდობა. საზოგადოებასა და ინსტიტუციების მაკავშირებლად, ხშირად, მედია გვევლინება. როგორ აშუქებს მედია კრიზისებს - კატასტროფები, ტერორიზმი და ა.შ. მედიაექსპერტები, ფსიქოლოგები და დარგის სხვა სპეციალისტები ამ ფოკუსს სხვადასხვა ჭრილში ხედავენ და აფასებენ.

ძირითადი ტექსტი

თამარ კინწურაშვილი - მედიაექსპერტი, მედიის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი:

„ჩვენს ქვეყანაში არის კომუნიკაციის პრობლემა და ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ოფიციალურ უწყებებთან, რომლებსაც ევალებათ კრიზისების დაძლევა, ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია პანკისის მოვლე-

ნების, იგივე, სხვადასხვა ტერორისტული აქტივობების დროს, როდესაც არ არის ერთი მხრივ, ეფექტიანი სტრატეგიული კომუკაცია, რა თქმა უნდა, არსებობს დახურული ინფორმაცია იმიტომ, რომ გამოძიების პროცესია საგანგებო ვითარებაა და სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში, არ აქვს უფლება, ყველა ინფორმაცია გასცეს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას გარკვეულწილად მიაწოდოს პროცესის შესახებ მაინც ინფორმაცია, რადგან დუმილი არ არის გამოსავალი და ამ დუმილის შევსებას შემდეგ, მედია ცდილობს, ნებისმიერი ხერხით, რაც კი შეუძლიათ. ამ შემთხვევაში, არაპროფესიონალიზმის პრობლემაც იჩენს თავს იმიტომ, რომ შესაძლოა, ასეთ ვითარებაში, კიდევ უფრო მეტად გამწვავდეს სიტუაცია, თუმცა მთავარი და წმინდა ჟურნალისტებისთვის ყოველთვის არის ფაქტები, ამიტომ, ეს არის ორმხრივი პროცესი და უნდა ვისაუბროთ, როგორც სპეციალური უწყებების პასუხისმგებლობაზე და, მეორე მხრივ, მედიის პასუხისმგებლობაზე.

თამარ კინწურაშვილის აზრით, ჟურნალისტების მოვალეობაა საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია, ოღონდ ეს ინფორმაცია უნდა იყოს დაბალანსებული და კრიზისულ სიტუაციაში ფაქტების გადამოწმება რთულია იმის გამო, რომ კომუნკაცია სახელმწიფო უწყებებთან არ არის სათანადო დონეზე, ისინი ინტერპრეტაციას ზოგჯერ ახდენენ სხვადასხვა მიმართულებით და ამიტომ საჭიროა, რომ ორივე მხარე იყოს პროცესში ჩართული და თანაბრად გააცნობიერონ საკუთარი წილი პასუხუსმგებლობა“.

საკითხი, თუ რა ტიპის კრიზისებია ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიოში, ან ეპოქისთვის დამახასიათებელ რა კრიზისებს ვიცნობთ და რამდენად მსგავსია კრიზისების თვალსაზრისით მსოფლიოს ქვეყნები, ძალზე აქტუალურია.

„კრიზისები თითქმის ყველგან იდენტურია, ეს შეიძლება ბუნებრივ სტიქიურ ვითარებას უკავშირდებოდეს, ანტიტერორისტულ ოპერაციას უკავშირდებოდეს, შეიძლება სახელისუფლებო კრიზისიც შეიქმნას, ეს დამოკიდებულია როგორი პოლიტიკური კლიმატია და რა ხდება. არაერთი ბუნებრივი კატასტროფა შეიძლება იყოს, საომარი მოქმედება შეიძლება არსებობდეს და ამ დროს, ძალიან მნიშვნელოვანია კოორდინირებული საინფორმაციო ნაკადი და თანამშრომლობა ხელისუფლების ორგანოებთანაც იმიტომ, რომ მათ მეტი ბერკეტები აქვთ, მეტ ინფორმაციას ფლობენ და მათაც უნდა გააცნობიერონ, რომ დუმილი არ არის გამოსავალი“. - მიიჩნევს თამარ კინწურაშვილი.

„საქართველოში პროფესიონალიზმის კრიზისი არის, თუმცა თანდათანობით მაინც ვვითარდებით იმიტომ, რომ არის თვითრეგულირების მექანიზმები, მედია კრიტიკა და ეს გვაძლევს შესაძლებლობას, რომ გავაუმჯობესოთ და ვიმოქმედოთ მედიაზე იმიტომ, რომ ეს არ არის ხელშეუხებელი და მასაც აქვს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა, თუმცა

რა თქმა უნდა არის სიღრმისეული გაშუქების და პროფესიული გაშუქების პრობლემები. ტერორისტების ჩანაწერი იყო ერთხელ და რეგიონულმა მედიამ გაუშვა ქუჩის გამოკითხვა, ამ ტერორისტის ჩანაწერზე, მარგარეტ ტეთჩერს აქვს ეგეთი სიტყვები, რომ „საჯაროობა არის ტერორიზმის ჟანგბადი“. ტერორისტების მიზანი არის საზოგადოება დააშიონოს და ამ დროს, როცა მედია მოსახლეობას ეკითხება აზრს ამ მოვლენასთან დაკავშირებით ეს არის არაპროფესიონალიზმის მწვერვალი იმიტომ, რომ ისინი გიყენებენ ინსტრუმნეტად და გაუცნობიერებლად მათ მიზანს ახორციელებ და ეს არის გამოწვევა რომ მედიამ უნდა გააცნობიეროს კომენტარი და ყველაფრის ტირაჟირება შეუძლებელია“.

ბადრი ნაჭყებიას - ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალების კვლევის ცენტრის დირექტორის აზრით, „როცა ტერორიზმთან ურთიერთობაში მედიის როლზე ვსაუბრობთ, საკმაოდ კატეგორიულები უნდა ვიყოთ, შეუძლებელია ტერორიზმთან ლოიალური დამოკიდებულება გვქონდეს. ცივილიზებული საზოგადოებისათვის, მიუღებელი უნდა იყოს ნებისმიერი ტერორისტული აქტი“.

მედიასა და ტერორისტული აქტების გაშუქებასთან დაკავშირებით, ბადრი ნაჭყებია მიიჩნევს, რომ მსოფლიოში მიღებულ უნდა იქნეს გაშუქების ერთიანი სტანდარტი და ჟურნალისტებმა სიძულვილის ენა არ უნდა გამოიყენონ:

„ჯერ კიდევ ყველაზე დიდმა ამერიკელმა მკვლევარმა ვოლტერ ლეიკერმა განაცხადა, რომ ტერორისტთან ჩვენ გვექნება პრობლემა მანამდე სანამ ის იქნება პოპულარული მასებში, სამწუხაროდ ჩვენ ამის მაგალითები გვაქვს“.

ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა კრიზისებისა და მისი მართვის შესახებ აღნიშნავს:

„კრიზისი არის, როდესაც იქმნება ექსტრემალური, დაძაბული მდგომარეობა, სადაც გადაწყვეტილების მიღება გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. სამწუხაროდ მედია ამ კრიზისებს საგანგაშო და მძაფრი ინტონაციით აშუქებს. არსებობს ასეთი ცნება ფსიქოლოგიაში, ფსიქოსოციალური ტოქსინები, რომელიც ადამიანებში იწვევს ნეგატიურ და სასოწარკვეთილების განცდებს, მსგავსი კრიზისის გაშუქების დროს მიჩნდება განცდა, რომ თითქოს მედიას უხარია მომხდარი უბედურება, რათა მიეცა შანსი ისაუბროს რაიმე მოვლენაზე. კრიზისული სიტუაციების მართვის ერთადერთი საშუალება კრიტიკული აზროვნებაა, როგორც მედიის წარმომადგენლების მიერ, ასევე საზოგადოების“.

მნიშვნელოვანია, მოხდეს დეფინიცია, თუ რა ტიპის კრიზისებია ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიოში. ასევე, ეპოქისთვის დამახასიათებელ რა კრიზისებს ვიცნობთ და თუ გვანან კრიზისებით მსოფლიოს ქვეყნები ერთმანეთს. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია სოციალურ-პოლიტიკური კრიზისები,

რომლის გაშუქებისას მსოფლიოს ქვეყნები ერთმანეთს საგრძნობლად გვანან. ტემპიც, ტერმინოლოგიაც, წყაროების მოძიება თითქოს ერთიდაიგივეა, თუმცა საქართველოში მაინც გამძაფრებულად იგრძნობა, თუნდაც ხორავას ქუჩის ამბავი, რომელმაც სრულიად სხვა კონტექსტი მიიღო (პოლიტიკური), იმის ნაცვლად რომ მოზარდების სისხლიან დაპირისპირებაზე ყოფილიყო აქცენტი.

დასკვნა

რა აკლია მედიას კრიზისების გაშუქებისას და რა როლს თამაშობს - აღრმავებს თუ აგვარებს, ან რამდენად აწყობს მისი მოგვარება, შესაძლებელია, შემდეგნაირად ვუპასუხოთ: მორისს ჰკითხეს: ისტორიის განვითარებაზე რამ იქონია გავლენა? - ისტორიკოსებმა, მიუგო მან. აქედან გამომდინარე, იმ საკენკს, რომელსაც მედია აწვდის საზოგადოებას ამ საკენკის ამკენკავები თავად არიან. მედიას შეუძლია ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი ღირებულებები და ხედვები. დღეს, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ნაწილია მოაზროვნე, ამიტომ ძირითადად გავრცელებული არასწორი ინფორმაციები, იწვევს უარყოფით და აგრესიულ დამოკიდებულებას, ამიტომ კრიზისი იმის ნაცვლად, რომ მოგვარდეს უარესად ღრმავდება და იწვევს გახლეჩას თუნდაც ადამიანების, ან საზოგადოებისა და ხელისუფლების, არადა კრიზისის მოგვარებისას ორივე ინდივიდს დიდი როლი აკისრია.

ლიტერატურა:

1. ტყებუჩავა გ., წიწიკაშვილი მ., კანონი „ყალბი ინფორმაციის წინააღმდეგ“ - რეალური საფრთხეების აღმოფხვრის შესაძლებლობა თუ ცენზურის დაკანონება საქართველოში - https://factcheck.ge/ka/story
2. მედიაწიგნიერების გზამკვლევი, როგორ ვებრძოლოთ მანიპულაციას და ყალბ ინფორმაციას, 2017. რედ. თ. კინწურაშვილი, - https://factcheck.ge/ka/story
3. გააშუქე EU. ტრენინგის სახელმძღვანელო - http://gip.ge/wp-content/uploads/2019/04/GIP

Influence of crisis and media on a society

Davit Maglaperidze, PhD student
Georgian Technical University

Summary

The transformative processes in post-Soviet countries have greatly influenced relations between the population and the social institutions. Thought at first the social institutions have lost their trust, surprisingly fast, over time they have regained their image. Mostly it is media connecting society with the social institutions. How does media cover crisis - disasters, terrorism etc? Media experts, psychologists and other specialists see the matter from different sides and evaluate it.

Keywords: Crisis, Disasters, Terrorism, Media Experts, Social Institutions.

ინფორმაცია როგორც ფსიქოლოგიური იარაღი ცნობიერებაზე ზემოქმედებისათვის

ნატა ხორავა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია „მასობრივი ცნობიერების“ კონცეფციის თეორიული ასპექტები. ხორციელდება მასობრივი ცნობიერების მახასიათებლების ანალიზი და „მასობრივი ცნობიერების“ შესახებ მედიის გავლენის არსებული მდგომარეობა. ვლინდება მასობრივი ცნობიერების ანალიზის თანამედროვე მიდგომები და მისი გავლენის ქვეშ მყოფი ფაქტორები, აგრეთვე მისი ძირითადი მახასიათებლები. არჩეული თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ დღეს თანამედროვე რეალობის პირობებში, მედია იკავებს უმთავრეს მანიპულაციურ პოზიციას საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებაში.

საკვანძო სიტყვები: მასობრივი კომუნიკაცია, მასობრივი ცნობიერება, მასმედია, საზოგადოებრივი აზრი.

შესავალი

თანამედროვე მასმედია ხასიათდება ინფორმაციულ - ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში. რაც ასოცირდება თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ადამიანის გონებაზე. უამრავი ადამიანის ფსიქიკაზე ერთდროულად ზემოქმედება, ინტერაქცია და გავლენა ადამიანთა ცნობიერებაზე საზოგადოების სხვადასხვა სფეროში, მედია ეფექტების კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს. ამ ეფექტების ზემოქმედების ასპექტები დიდწილად ნეგატიურია და მკვლევარების უმეტესობა ამას უკვე აღიარებს. ალტერნატიული ფაქტების მიწოდება საზოგადოებისთვის, არის მხოლოდ დისტოპიური აისბერგის მწვერვალი, რომელიც „ტვინის გამორეცხვის ტექნოლოგიაა“. ეს არის ბევრად “ჰუმანური” ვიდრე ტოტალიტარული მიდგომა, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს ქმნის დისტოპიურ საზოგადოებას. დისტოპიური პოტენციალის შექმნა დღევანდელ სამყაროში ხდება არა ტვინის ძალისმიერი ინვაზიური ზემოქმედებით, არამედ გაცილებით დახვეწილი ჩარევებით, ემოციური მანიპულაციით. დისტოპიურ საზოგადოებას მართავენ არა შიშით, არამედ შიშის შემცველი იმპულსების ბედნიერების საწყისად შეფუთვით - საზოგადოებაში ახდენენ ახალი ფრეიმების კულტივირებას, რომელიც არის

მანტრა მასებზე ძალაუფლების მოპოვებისა. მოვლენის მიმართ მასობრივი წინააღმდეგობა არის მცირე, რადგანაც საუკეთესო დისტოპიები ხშირად ხელოვნურად, უტოპიად არის სახეცვლილი. მასებზე მედიის ზემოქმედების პროცესში, ინტელექტუალური ჩართულობის თავიდან აცილების მაქსიმალური მცდელობა და ემოციური მდგენელებით მართვის აშკარა უპირატესობება იკვეთება, სადაც ჰიპნოტური მედია პროპაგანდის მეთოდები, მაქსიმალურად ცდილობენ ემოციური ლოზუნგებით საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. ფაქტია, რომ ემოციები არ გამოირჩევა რაციონალური მდგენელით, მაგრამ შემეცნების ქსელებშია ჩასმული. ჩვენი აზროვნების და ქცევის მეთოდი განსაზღვრულია იმის მიხედვით, თუ როგორი დამოკიდებულება და ემოციური მდგომარეობა გვაქვს ამა თუ იმ მოვლენის მიმართ. რომლებიც თავის მხრივ გავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ეს არის ემოციების „დაინფიცირების“ პროცესი, სადაც „ინფიცირებული“ და მანიპულირებადი გრძნობების დისტანციური ინტენსიური მოქმედება ხდება, რომელთა უგულებელყოფა შეუძლებელია.

ძირითადი ნაწილი

მედიის მიერ გამოყენებული ინფორმაციის მანიპულირების გზებია:

- დეზინფორმაცია
- მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვა/ნახევარი სიმართლე
- ღირებული ინფორმაციის ჩამალვა და ინფორმაციული ნაგავსაყრელის შექმნა
- ინფორმაციის პერმამენტული განმეორება
- ტერმინოლოგიის ჩანაცვლება: ცნებების და ტერმინების გამოყენება, რომელთა მნიშვნელობა არ არის ნათელია ან გაიარა თვისებრივი ცვლილებები, რაც ართულებს მოვლენის რეალური სურათის ფორ-მირებას
- სარედაქციო პოლიტიკის გარკვეული იდეის ქვეშ მოქცევა - აკრძალვა დაწესდეს გარკვეული ტიპის ინფორმაციულ და ახალი ამბების სექციებზე
- ნეგატიური ინფორმაციის მიწოდება, რომელსაც პოზიტიურ ამბებთან შედარებით უკეთ აღიქვამს მაყურებელი

ტელევიზია და სხვა მედია (რადიო, კინო, გაზეთები, ჟურნალები და ა.შ.) მათი საქმიანობით ცვლის ადამიანების ჩვევებს, ახდენს ქვეცნობიერში გავლენის აგენტების მიერ ინიცირებულ ახალ დამოკიდებულებებს. მედიის განვითარების ამჟამინდელ დონეზე, ასეთი ოპერაციაც კი შესაძლებელია - ჰიპნოზური მეთოდების ინდივიდიდან მთელი საზოგადოებისთვის გადაცემა. ინფორმაცია როგორც ფსიქოლოგიური იარაღი, არის პოტენციურ

მოწინააღმდეგეზე ზემოქმედების საშუალებები და მეთოდები, რომელიც პოლიტიკური ელიტების ინტერესებში შედის. ისინი აწარმოებენ მსოფლმხედველობის ფორმირებას მანიპულირების გზით, რაც მოსახლეობაში აღძრავს გარკვეულ ფასეულობებსა და სტერეოტიპებს. ეს ერთის მხრივ, საშუალებას აძლევს, იწინასწარმეტყველოს მასის ქცევა და და გაუჩინოს შინაგანი წინააღმდეგობები. მეორეს მხრივ კი გავლენა მოახდინოს საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე ყველა დონეზე. მასმედია მოიცავს ინდივიდუალურ და მასების ფსიქიკაზე გავლენის მოხდენის მეთოდების გაფართოებულ ფუნქციონირებას, რომლის მიზანია ქვეცნობიერში ფსიქოლოგიური დამოკიდებულებების შემოღება და არაცნობიერ ფსიქიკაში ქცევის ნიმუშების ჩამოყალიბება. მედიაში შედის ტელევიზია, პრესა, რადიო, ყველა სანახაობრივი მოვლენა და ლიტერატურა, ფილმები, ბილბორდი და სატრანსპორტო რეკლამა, ხმის ჩანაწერები ვიდეოჩანაწერები და ა.შ. - მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერი, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას მასაზე გავლენის მოხდენისთვის. ყველა ჩამოთვლილთაგან ტელევიზიას აქვს ყველაზე მაღალი ეფექტურობა.

ნებისმიერი ორიენტაციის სატელევიზიო შოუს ყურებისას, აღქმის პროცესში ძირითადად მუშაობს ადამიანის ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო. მარჯვენა ნახევარსფერო გამოსახულებებში ფიქრობს და პასუხისმგებელია მსოფლიოს ყოვლისმომცველი ხედვისთვის, ანუ ის აყალიბებს ინდივიდუალურ ჩარჩოებს იმის შესახებ, რასაც ხედავს ერთი ინტეგრალური შემადგენლობით. ამავდროულად, მარცხენა ნახევარსფეროში მისი ანალიტიკური აზროვნების მუშაობა გამორთულია. ამრიგად, ტელევიზორის ყურების შედეგად მიღებული ყველა ინფორმაცია თავისუფლად აღწევს ქვეცნობიერში, სადაც ის ქმნის შესაბამის ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას და ქცევის ნიმუშებს. გარდა ამისა, "აუცილებელი" ინფორმაცია აუცილებლად ხშირად მეორდება. განმეორება მკვეთრად აძლიერებს შემოთავაზების ძალას, საბოლოოდ ამცირებს ადამიანის ქცევას ნერვული სისტემის ჩვეულებრივი რეფლექსების დონემდე. ტელევიზია ვიზუალური ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადის მიწოდებით და სურათების სწრაფი შეცვლით ანელებს აზროვნებით პროცესს. ტელევიზიის ყურებისას, აუდიტორიის ტვინი უკავშირდება ერთ სისტემას, რომელიც ვიდეო – ხმის ნიშანებისა და სიმბოლოების საშუალებით ქმნის ადამიანის ფსიქოლოგიისთვის შესაბამის პარამეტრებს. ამრიგად, მაყურებლები იწყებენ მანიპულატორების მიერ განსაზღვრულ ალგორითმებში ფიქრს, რაც გულისხმობს მასობრივი ფსიქოზის ატმოსფეროს შექმნას და შესაბამისი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას.

დასკვნა

მასმედიის გარეშე, თანამედროვე დემოკრატიებში შეუძლებელია ღიაობა და ანგარიშვალდებულება. მიუხედავად ამისა, მასმედიას შეუძლია ხელი შეუშალოს პოლიტიკურ გამჭვირვალობას და ასევე დაეხმაროს მას. თანამედროვე სატელევიზიო ტენდენცია არის კრიმინალის და პოლიტიკის გაშუქების მასობრივი მოხმარებისთვის გასართობ ფორმებად გადაქცევა. პროპაგანდამ გამოიწვია ჟურნალისტიკაში ობიექტურობის დაკარგვა. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, იყოს ჭეშმარიტი, სანდო და კომპეტენტური. კვლევის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

მედიას აქვს ძლიერი, მაგრამ არა ყოვლისმომცველი გავლენა პიროვნებაზე. ეს გავლენა იქმნება პრიზმაში რამდენიმე ფაქტორიდან, მათ შორის აზრთა ლიდერების ეფექტის, ადგილობრივი კულტურის და ა.შ.

მედიას ფლობენ და, როგორც ჩანს, ყოველთვის ექნებათ გამოხატული აქსიოლოგიური ფუნქცია. მედიის სარედაქციო პოლიტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებაში გარკვეული ფასეულობების განვითარებაზე.

ნებისმიერი სოციალური წარმონაქმნის შემთხვევაში, მასმედია ასევე ასრულებს იდეოლოგიურ ფუნქციას. მაშინაც კი, თუ საჯარო სამსახურები პირდაპირ გავლენას არ ახდენენ გარკვეული მედიის სარედაქციო პოლიტიკაზე, კომუნიკაციის არხებს მაინც აქვთ გარკვეული იდეოლოგიური სტერეოტიპები, რომლებიც დამახასიათებელია მოცემული საზოგადოებისათვის.

ლიტერატურა:

1. David B. Ross (Nova Southeastern University, USA), Gina L. Peyton (Nova Southeastern University, USA), Melissa T. Sasso (Nova Southeastern University, USA), Rande W. Matteson (Nova Southeastern University, USA) and Cortney E. Matteson (Orange County School District, USA) - The Biased Media and Their Utilization of Propaganda: The True Obstructionists of World Events and Our Minds. 2020
2. Ruben Tolosana - DeepFakes and Beyond: A Survey of Face Manipulation and Fake Detection.2020

Information as a psychological weapon for influencing consciousness

Nata Khorava, PhD student
Georgian Technical University

Summary

The scientific article discusses the theoretical aspects of the concept of «mass consciousness». The analysis of the characteristics of mass consciousness and the current state of the influence of the media on mass consciousness is carried out. It identifies modern approaches to the analysis of mass consciousness and the factors under the influence of which it is formulated, as well as its main features. The relevance of the chosen topic lies in the fact that today in the conditions of modern reality the mass media occupy the most important manipulative position in the formation of public consciousness

Keywords: mass communication / mass thinking / mass media / public opinion

ფილოლოგია

PHILOLOGY

Symphony of Colors in Publicist Texts

Ioseb Sanikidze, associate professor
Batumi Shota Rustaveli State University

Abstract

The diversity of colors has a particular impact on human consciousness. The study deals with the study of the characteristic of the color palette, in both - the inner world of human nature and media texts. For this purpose, various publicist texts (informative, analytical and artistic-publicist) were discussed with student groups (200 students in total) and questionnaire has shown different colors perceived by them while acknowledging with the texts. The survey revealed that 57% of respondents saw a green color in informative texts, in the case of listening to analytical texts, 63% of the students saw a red color, while 53% saw yellow color in the artistic-publicist texts.

Thus, when discussing publicistic material of different nature, a predominance of green, red, and yellow colors was revealed in students' perceptions. Such a vision of colors in publicism regulates and harmonizes the inner world of a human being; all of these are the best way to ascend to a higher level of life.

Key words: color palette, publicism, color perception, informative, analytical and artistic-publicist.

Introduction

Beauty, charm, attraction, exaltation naturally "flow" into the society, in a particular person as the nourishment of the soul, the expression of faith and hope. Such a pleasant fact or event in a person is perceived with certain colors in his association. There is a palette of natural, wonderful, multitude of colors in the world gifted by God that requires people to just enjoy it and perceive this beauty. Consequently, humanity has also created a multitude of colors in the history of its civilization, reflected not only in literature or

painting, but also in architecture, painting, music or the visual representation of a man ... The eye perceives color, but the mind perceives it and conforms to personal "mood", approach, taste. Color, as one of the literal signs of human comprehension, is the natural constituent of every particular fact, and its neglect is equivalent to the death of the reflection of the given particular fact. Fresh, attractive colors always captivate not only the eyes of a man, but also his subconsciousness.

Color expression in the outlook of modern public thinking is clearly reflected in publicism. Every publicist text, as a concrete reality, a reflection of the exact facts of reality [1], carries a particular color. Every particular fact, event or process is represented by its own natural color, form and content, by time and space. Every journalist describing and expressing such facts or events uses some kinds of “color expression” characteristic to the certain individual [2]. Reasoning from the above mentioned, it is very interesting to “see” and perceive the colors in particular media contexts by the society, the mass audience, and the media users. It should be noted that in this regard there has not been fixed any in-depth research in the Georgian and foreign sources yet. However, we think there is a lot to be done in this direction. Modern publicism provides rich material for publicistic reflection on color expression, for investigating the impact of color on the mass audience, as a key characteristic of human aesthetic tastes of color. The present paper is concerned with the study of this problem and thus the research in this area is new and interesting.

Research aim, objects and methodology. The aim of the research was to present a color palette in the forms of publicist reflection, namely to give particular colors to particular publicist texts. In order to accomplish goal, we used a research method based on student groups, learning about the forms of publicist reflection of different kinds and inquiry.

The study involved 200 students from the Faculty of Social Sciences of the Batumi Shota Rustaveli State University, who were given publicist texts (informative, analytical and artistic-publicist) and the research period lasted for a year. Having learnt the text, the students completed a questionnaire consisting of the following questions:

1. Which color dominates in the process of acquainting informative media texts?

a. red; b. yellow; c. green; d. other color (name ------); e. no color

2. Which color dominates in the process of getting acquainted with media texts of an analytical nature?

a. yellow; b. green; c. red; d. other color (name ------); e. no color

3. Which color dominates in the process of acquainting media-texts with artistic-publicist character?

a. green; b. red;c. yellow; d. other color (name ------); e. no color.

Having acquainted the particular text each respondent (student) gave preference to his/her acceptable color. At the end of the research the results were summarized and processed by the method of statistical analysis.

Results

Surveys showed that the majority of the participant students, in particular, 57% gave a green color to informative texts. 15 percent of students saw red color in information and 12 percent perceived a yellow color. This is natural because the green color is associated with calmness and does not require in-depth analysis of the material. 16% of students perceived no color when discussing this publicity material.

When providing analytical texts to respondents, it was found that 63% preferred red. This is natural because the red color is strongly expressed; hence its interest is also sharp and high in charge. While discussing the analytical texts, 4% of respondents saw green, eight percent perceived yellow, five others (black, light blue, blue, purple), and 20% of students did not perceive any color here.

When discussing artistic-publicist texts, 63% of students preferred yellow, green and red colors were perceived by nine and eight per cent, the rest – by 7 per cent, and 13 per cent did not see any color (see Table 1, Pic. 1, 2, 3). It should be assumed that the category of students who do not perceive a single color does not have adequate approach to the text.

Table 1. Color palette for student research

Publicist texts	Number of participant students	Color palette perceived by students (%)				
		green	red	yellow	Other colors	none
Informative	200	57±3.50	15±2.53	12±2.30	0	16±2.59
Analytical	200	4±1.38	63±5.88	8±1.92	5±1.54	20±2.83
Artistic-publicist	200	9±2.02	8±1.92	53±6.29	7±1.64	13±2.38



Picture1. Color palette for students when discussing informative texts



Picture2. Color palette for students when discussing analytical texts



Picture3. Color palette for students when discussing artistic-publicist texts

Discussion

It is interesting that the publicist fact is a specific reality, not an abstraction, an illusory imagination. So we should not be surprised by people's interest and passion in the news. As soon as we hear something new, our minds and memories immediately become strained of trying to catch sight of a particular

novelty. To say briefly, not only the fact, but also the silhouettes and rustling of the bright colors of the fact, give a very special look and appeal to the subject of reflection, and the specific reflection is perceived by the appropriate reaction. The colors are so familiar to man, it's impossible to imagine life without them. It can be said that a person is wearing a particular color and emits his or her appropriate "flash". Our goal, too, was to show the beauty of color in media texts, which enhances and gives human nature the ability to sense beauty, love, kindness.

Research has also shown that the color palette, as well as the rhythm and melody, on the one hand makes the process of publicist reflection interesting, attractive, meaningful, dynamic and flexible; on the other hand, it helps the author to see, transmit, and enrich the auditorium better. At the same time it enriches aesthetical abilities that are the source of objectivity, impartiality and balance.

Conclusion

The process of discussing media texts, the "noticing" or perception of colors formed a number of specific aesthetic categories in students. The dominance of green, red and yellow was revealed in publicist works. In publicity, such a vision of color regulates and makes the human nervous system more harmonized, compatible, resistant, enduring, patient, finds expression in overcoming hatred, confrontation, intolerance, diversifies the skills of feeling of kindness, beauty, love, justice, objectivity, and impartiality in every member of society. All these are the best means of stepping on the highest level of life.

The color expression of modern media texts is a demonstration of reality, of specific real facts, which forms the basis for a systematic study of color as one of the important elements of a publicist structure.

References:

1. Surguladze R. Basis of Journalistic studies: problems, main categories / Tbilisi, Nike, 1996. p. 234
2. Gersamia M. Elementary Particles in Journalistics: Text-book. Tbilisi, TSU, 2011, p. 104.
3. Sanikidze I. Formal and contextual foundations of journalism theory 2015, BSU, Universal, 2015. P.442.

ფერების სიმფონია პუბლიცისტულ ტექსტებში

იოსებ სანიკიძე, ასოცირებული პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ფერი როგორც ადამიანური ბუნების, ასევე მედიატექსტის შინაგანი სამყაროს მახასიათებელია. პუბლიცისტიკის ფერთამეტყველებას საზოგადოებრივი აზროვნების მსოფლშეგრძნებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. თანამედროვე პუბლიცისტიკა მდიდარ მასალას იძლევა პუბლიცისტური ასახვის ფერთა მეტყველების, მასობრივ აუდიტორიაზე ფერთა ზემოქმედების საკვლევად. ფერი, როგორც ადამიანის ესთეტიკური გემოვნების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი, მედიაპროდუქტის შინაგანი ესთეტიური სამყაროს ნაწილიცაა. ამდენად, დროულად უნდა შევიგრძნოთ და მივაყურადოთ პუბლიცისტურ ფერებს, რომელიც ადამიანის გონებრივ თვალსაწიერს აფართოებს და მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის. მედია ჩვენი ცხოვრების მაჯისცემაა. ამდენად, მნიშვნელოვანია თანამედროვე პუბლიცისტური ტექსტების ფერთა პალიტრის გააზრება, რომელიც იმავე მედიაპროდუქტის წიაღში უნდა ვეძიოთ. მივაყურადოთ პუბლიცისტურ ტექსტებს, რომელშიც ფერთა მრავალფეროვნება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ესთეტიკურ ფუნქციას იძენს და სხვა მნიშვნელოვან ელემენტთა შორის განსაკუთრებული ზემოქმედებითი იმპულსებით დომინირებს ადამიანის ცნობიერებაზე.

მცირე ლიტერატურული კონცეპტები

ზურაბ გამეზარდაშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დახასიათებულია ზოგადად ექსპრესიონიზმი, როგორც ლიტერატურული ფენომენი; გერმანულ ლიტერატურაში მისი არსებობის სამი ეტაპი. მათ მიერ ნიცშეს იდეების გაზიარება. პოლიტიკური ვითარების გავლენის და ექსპრესიონიზმში დადაიზმისა და სიურეალიზმის ნიშნების გაჩენა.

საფრანგეთში „ახალი რომანის“ წარმომადგენელთა სურვილი – გამიჯნოდნენ კლასიკური თხრობის საუკუნეებით დამკვიდრებულ წესებს – არსებობდა ანგლო-საქსონურ სამყაროშიც, თუმცა ასეთი რადიკალიზმი არ ახასიათებდა. სტილის თავისუფლება, შინაგანი მონოლოგი, შინაგანი სამყაროს ჭვრეტა ხსნის გზას ახალი რომანული მიმდინარეობისკენ.

მოდერნიზმთან უპირველესად გაიგივებული არიან ესპანურენოვანი მწერლები მიზნით – ლიტერატურაში თემებისა და ფორმების განახლება. ისინი დაუპირისპირდნენ ფილოსოფიის პოზიტივისტურ მიმდინარეობას, აკრიტიკებდნენ უტილიტარულ და მატერიალისტურ მიდგომებს.

გეორგიანელი პოეტები ინგლისურ ლიტერატურაში, რომელთა შთაგონების წყარო გახლდათ ერთნაირი თემები, ექსპრესიული ფორმის ნაწარმოებები და ანალოგიური კონცეფციები ბუნებასა და პოეზიაზე. სიმარტივის, უბრალოებისაკენ და გასაგები პოეტური ენისკენ სწრაფვაში გეორგიანელები „ტბის სკოლის“ – Lake school – პოეტების მიმდევრები იყვნენ.

სიურეალიზმს, როგორც ინტელექტუალურ-არტისტულ მიმდინარეობას ყოველგვარი ლოგიკურის, ესთეტიკურისა და მორალურის უარყოფა ახასიათებს და უპირატესობას ინსტიქტის ძალებს, გონების უკონტროლობით არაცნობიერს ანიჭებს. მათ პოეზიაში პოეტური აქტი აღქმულია, როგორც სოციალური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი პოზიცია.

საკვანძო სიტყვები: კონცეპტები, სიმბოლიზმი, მუსიკალური პოეზია, სიურეალიზმი, დადაიზმი, ესთეტიკური, ექსპრესია, არაცნობიერი, სტილი.

შესავალი

უმთავრესი ლიტერატურული მიმდინარეობების თუ სკოლების წარმომავლობა და არსი, განხილული დინამიკაში, საშუალებას იძლევა გამოვლინდეს სამყაროს და ადამიანის აღქმის ზოგადი პრინციპები.

ლიტერატურისმცოდნეობის, როგორც მეცნიერების საფუძველი ძველბერძნული და ძველრომაული მწერლობაა, სადაც მოხდა ლიტერატურული გვარების, სტილის თუ ჟანრების ჩამოყალიბება. შუასაუკუნეების, რენესანსისა და ბაროკოს პერიოდში იკვეთება მწერალთა შემოქმედებით-ინდივიდუალური მხატვრული ცნობიერება, რომელიც თანდათან დომინირებული

ხდება; სრულყოფილდება და ვითარდება ჟანრობრივ-სტილისტური სისტემა; ლიტერატურა უახლოვდება რეალურ ცხოვრებას.

XVIII საუკუნის განმანათლებელთა, რომანტიკოსთა და რეალისტთა, XX საუკუნის მოდერნისტთა შემოქმედებაში სულ უფრო შეიმჩნევა ავტორთა სტილი და ჟანრობრივი საზღვრების რღვევა.

მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან, ყველ ეტაპის ისტორიულ-კულტურულ და ესთეტიკურ მახასიათებლებთან ერთად ხდება ტერმინოლოგიური აპარატის ჩამოყალიბება, რომელიც შესაბამისობაშია ამა თუ იმ ლიტერატურულ ეპოქასთან, მიმართულებასთან, მიმდინარეობასთან და ა. შ.

ძირითადი ნაწილი

1.ახალი რომანი-Nouveau roman-ფრანგული ლიტერატურა. მიმდინარეობა „ნუვო რომანში“-ახალი რომანი-მოიაზრება ის ნაწარმოებები, რომლებიც გამოქვეყნდა საფრანგეთში 1950 წლის შემდეგ და რომლებსაც აერთიანებს გამოხატვის იმ კატეგორიების უარყოფა, რომლებიც აქამდე რომანული ჟანრის დამახასიათებელ თვისებებად ითვლებოდა; კერძოდ კი, ინტრიგა, რომელიც განაპირობებს თხრობის მწყობრ ხაზსა და ასევე პერსონაჟს, მის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და მორალურ აღწერას, როგორც პიროვნულ, იმედისმომცემ ილუზიას.

ჟაკ რიკარდუს განმარტებით, რომანი უნდა იყოს უფრო მეტად ნაწერის თავგადასავალი, ვიდრე თავგადასავლის წერა. რიკარდუ ნუვო რომანის ყველაზე მნიშვნელოვან წარმომადგენლებად მიიჩნევდა: მიშელ ბუტორს, კლოდ ოლიეს, რობერ პენჟეს, ალნ რობ-გრიეს, კლოდ სიმონს და ნატალი საროტს, რომელმაც უარი თქვა მისი ნაწარმოებების ამ მიმდინარეობისათვის მიკუთვნებაზე.

თვით ტერმინი „ნუვო რომანი“ პირველად ჟურნალისტმა ემილ ანრიომ ახსენა ჟურნალ „ლე მონდში“ (Le Monde) 1957 წლის 22 მაისს გამოქვეყნებულ სტატიაში, სადაც ხელაღებით გააკრიტიკა ალენ რობ-გრიეს „ეჭვი“ და ნატალი საროტის „ტროპიზმები“. ეს ტერმინი რამდენიმე თვით უსწრებდა ისეთი გამოთქმების გაჩენას, როგორიცაა „ახალი ტალღა“ Nouvelle vague და ახალი თეატრი-1962 წლიდან აბსურდის თეატრად წოდებული-Theatre de l absurde-და მტკიცედ მოიკიდა ფეხი ინტენსიური არტისტული ნოვაციებით და განახლების პროცესით აღბეჭდილ ეპოქაში. ემილ ანრიოს მიერ დაუფარავად უარყოფითი კონოტაციის მქონე ტემინის დამკვიდრებამდე, ჟან-პოლ სარტრმა ამ თაობის მწერლების აღსანიშნავად გამოიყენა გამოთქმა „ანტი-რომანი“, თუმცა ლიტერატურის ისტორიაში ეს მიმდინარეობა მაინც „ახალი რომანის’ სახელით შევიდა.

ალენ რობ-გრიე ზემოაღნიშნული მწერლების რიგს მიაკუთვნებდა აგრეთვე სამუელ ბეკეტს, ჟან კეიროლს, კლოდ მორიაკსა და მარგერიტ დიურასს, თუმცა, ამ უკანასკნელის თაობაზე, რიკარდუ მის აზრს არ იზიარებდა.

ახალი რომანის თეორიას წარმოადგენს სამი ესე, რომლების ასევე შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნუვო რომანის მანიფესტი: ალენ რობ-გრიეს „ახალი რომანის საკითხისათვის“, რომელიც დაიბეჭდა 1963 წელს, ჟან რიკარდუს 1967 წელს გამოქვეყნებული „ახალი რომანის სირთულეებისათვის“ და მისივე 1971 წელს დაწერილი ესე „ახალი რომანის თეორიისათვის“.

ახალი რომანის წარმომადგენლები ჟან-პოლ სარტრის შემოქმედებას ანგაჟირებულად მიიჩნევენ, ალბერ კამიუს რომანებს, როგორც ყავლგასულ ნაწერებს ისე მოიხსენიებენ და უარს ამბობენ პერსონაჟების ფსიქოლოგიურ ჩხრეკასა და ჩაძიებაზე.

საფრანგეთში ახალი რომანის წარმომადგენელთა სურვილი- კატეგორიულად გამიჯნოდნენ კლასიკური თხრობის საუკუნეების წინ დამკვიდრებულ აქამდე ურყევ და ხელშეუხებელ წესებს-არსებობდა ანგლოსაქსონურ სამყაროშიც, თუმცა, ასეთი რადიკალიზმი არ ახასიათებდა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ: ჰენრი ჯეიმსის „ის, რაც იცოდა მეზიმ“. ჯეიმს ჯოისის „ულისე“ დავირჯინია ვულფის „ტალღები“. მათ შემოქმედებაში, ისევე როგორც ფრანც კაფკასა და მარსელ პრუსტის ნაწარმოებებში, სტილის თავისუფლება, შინაგანი სამყაროს ჭვრეტა, შინაგანი მონოლოგი, მეხსიერებაზე მუშაობა, ყოვლისმცოდნე მთხრობელის არარსებობა, ხსნის გზას ახალი რომანული მიმდინარეობისაკენ.

ახალი რომანის პერსონაჟი უარს ამბობს თავის ტრადიციულ სტატუსზე და ბალზაკური გმირის სიკვდილს გვამცნობს: „ჰუმანური ადამიანის ექსკლუზიურმა კულტმა ადგილი დაუთმო უფრო ფართო ცნობიერებასა და პასუხისმგებლობას ნაკლებად ანთროპოცენტრულ განწყობებს. ტრადიციული რომანი შეირყა, ვინაიდან დაკარგა თავისი ძველი, საუკეთესო საყრდენი-გმირი. თუ რომანი ამ დილემის გადალახვას შეძლებს, მის ინ ახალი გზა გაიხსნება, ახალ გზას კი ახალი დაპირებები მოჰყვება“

ტრადიციული რომანისტი ამბობს: „სამყარო არის ადამიანი“. ალენ რობ-გრიე კი იტყვის: „საგანი არის საგანი და ადამიანი არის მხოლოდ ადამიანი“. ახალ რომანს საყვედურობდნენ, რომ მან ზურგი აქცია და ყურადღების მიღმა დატოვა ადამიანი“. ალენ რობ-გრიე ამტკიცებს, რომ თანამედროვე რომანს სცენაზე გამოჰყავს ადამიანი, აღწერს მის საქმიანობას, თუ რას აკეთებს იგი, რას ხედავს და რას წარმოადგენს. ამიტომაც არ შეიძლება ვუსაყვედუროთ ახალი რომანის შემოქმედთ, რომ მათ მიივიწყეს ადამიანი და გულგრილობის ფარდა ჩამოაფარეს მას.

ტრადიციული რომანის მწერლები ცდილობენ იპოვონ მსგავსება ადამიანსა და საგნებს შორის.

ახალი რომანი ლიტერატურული სკოლა არ არის: იგი აერთიანებს მწერლებს, რომლებიც დრომოჭმული კანონების წინააღმდეგ იბრძვიან; მათ აღარ სურთ წერონ ძველი წესების მიხედვით. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ახალი რომანის წარმომადგენლებსაც შორის არსებობს მნიშვნელოვანი გან-

სხვავებები. ნუვო რომანი საერთოდ რომანის განვითარების გზის ერთ-ერთი ეტაპია. ევოლუცია ბალზაკის შემდეგ დაიწყო. ნოვატორები კი იყვნენ: ფლობერი, სტენდალი, კაფკა, ჯოისი, ფოლკნერი, პრუსტი, ბეკეტი, კამიუ, სარტრი.

2. გეორგიანელი პოეტები-ინგლისური ლიტერატურა. ინგლისში ლიტერატურის განვითარების პერიოდებსა და ლიტერატურულ სკოლებს აღნიშნავენ იმ ხელისუფალის სახელიდან წარმოებული ზედსართავით, რომლის მეფობის პერიოდშიც წარმოიშვა და განვითარდა ესა თუ ის მხატვრული მიმდინარეობა. ამგვარად, ტერმინი „გეორგიანელით“ მოიხსენიებენ პოეტთა იმ დაჯგუფებას, უფრო სწორად კი იმ პოეტურ პროდუქციას, რომლის აყვავების პერიოდი მეფე გეორგ V-ეს მეფობის ხანას ემთხვევა ანუ მეოცე საუკუნის მეორე და მესამე ათწლეულებს. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ლაპარაკი არ არის ამ მიმდინარეობის, ასე ვთქვათ, „სკოლაზე“ ან გარკვეულ ჯგუფზე, ისეთზე, როგორებიც იყვნენ პირველი რომანტიკოსები, არამედ პოეტებზე, რომელთა შთაგონების წყაროს წარმოადგენდა ერთი და იგივე თემები, ერთნაირი ექსპრესიული ფორმის ნაწარმოებები და ანალოგიური კონცეფციები გააჩნდათ ბუნებასა და პოეზიაზე. გეორგიანელი პოეზიის საზღვრები მკაცრად სამანდადებული არ იყო. გეორგიანელთა მოძრაობა დაიბადა პოეზიის ერთ-ერთი მოყვარულის, ედვარდ მარშის (Edward marsh-1872-1953) მონდომებითა და თაოსნობით სერ ედვარდი დიდად აფასებდა ახალგაზრდა პოეტ რუპერტ ბრუკს (Rupert Brooke 1887-1915), რომელსაც ადრევე გაეთქვა სახელი კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლის დროს და შუა ხანს ვერც მიღწეული, ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსის წევრი ახლო აღმოსავლეთში, კუნძულ სკიროსზე გარდაცვლილიყო და სიკვდილის მერე საქვეყნოდ პოპულარულიც გამხდარიყო.

მარშმა და ბრუკმა გადაწყვიტეს გამოეცათ ანთოლოგია, რომელიც საზოგადოების პოეზიისადმი სიყვარულს გააღვივებდა და ახალგაზრდა ტალანტებს მკითხველთა ფართო სამსჯავროზე გამოიყვანდა. ამ იდეამ რამდენიმე ახალგაზრდა პოეტი დააინტერესა, თუმცა, არც უკვე ცნობილი პოეტები დარჩენილან გულგრილი ამ წამოწყების მიმართ. ჰაროლდ მონრომ (HAROLD MONRO-1879-1932), ჟურნალების POETRY REVIEW(1912) და POETRY BOOKSHOP(1913)- ის გამომცემელმა, გადაწყვიტა თავის თავზე აეღო ზემოხსენებული ანთოლოგიის გამოცემა. ასე გამოიცა 1912 წელს პირველი ტომი Georgian poetry(1911-1912). შემდეგ გამოვიდა კიდევ ოთხი ტომი, მათ შორის თომას სტერნზ ელიოტის(1888-1965) შემოქმედება. ამ გამოცემით დაესვა წერტილი გეორგიანელთა პოეზიის გამოქვეყნებას.

მართლაც რომ ძნელია სათანადო პოეტური საზღაური მივაგოთ გეორგიანელ პოეტებს. მარშის ანთოლოგიაში თავმოყრილია 36 პოეტის შემოქმედება, მონროს ანთოლოგია კი 77 ორიგინალურ პოეტს გვაცნობს. უფრო გვიანდელ, James Reeves-ის კრებულში კი მხოლოდ ოციოდეა წარმოდგენილი.

ამ მიმდინარეობის გზამკვლევებად შეიძლება მივიჩნიოთ უილიამ

ბატლერ იეიტსი(1865-1939), ჰოუსმანი და თომას ჰარდი. ჰოუსმანის ცნობილი კრებული A shropshire Lad გეორგიანელების სამაგიდო წიგნად იყო აღიარებული. პოეტი ამ კრებულში დახვეწილი სტილით, ყოველგვარი მჭევრმეტყველების გარეშე გვიხატავს თავისი მშობლიური საგრაფოს პეიზაჟს, შიგადაშიგ თხრობას მსუბუქი ირონიული ტონალობით აფერადებს, რაც იმ დროს სტილის სიღრმის მაჩვენებლად მიიჩნეოდა. ჰოუსმანს დაგვიანებულ კლასიკოსსაც უწოდებდნენ მის შემოქმედებაში არსებული კლასიკური სტილისათვის დამახასიათებელი შტრიხების გამო.

თომას ჰარდი უფრო პირდაპირი, სოფლურად მოუხეშავი და გაურანდავი სიტყვის დიდოსტატად მიიჩნევა. იგი მრავალი პოეტური ნაწარმოების ავტორია, რომელთაგან ყველაზე ცნობილია კრებული „Wessex Poems"(1898). მისი ლექსების სოფლური ცხოვრების ამსახველი თემები ამაღელვებელი პოეტური შთაგონებითაა აღსავსე.

იეიტსის პოეტური კარიერა ხანგრძლივი აღმოჩნდა-1888 წლიდან გამოქვეყნებული პირველი ნაწარმოების გამოქვეყნებიდან თითქმის ნახევარი საუკუნე. გეორგიანელთა მოძრაობა თავიანთი რიგების „სრულუფლებიან წევრად" არ მიიჩნევდნენ იეიტსს, მაგრამ ამ უკანასკნელის წყალუხვი ვრცელი პოეტური მდინარის წყლები ხშირად ერეოდა გეორგიანელთა დინებებს. დიდ ირლანდიელს, ეზოთერიზმამდე მისულ მისტიკოსს გეორგიანელებთან ტრანსცენდენტული სილამაზის უმაღლესი რეალობისაკენ სწრაფვა აერთიანებს. იეიტსის პოეზიის სწორედ ეს შტრიხი განაპირობებს მის შემოქმედებაში გაბრწყინებული პოეტურ ინტენსიურობას, რომლის სიმაღლე მისი თანამემამულეებისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

სიმარტივის, უბრალოებისაკენ და გასაგები, ნათელი პოეტური ენისაკენ სწრაფვაში გეორგიანელები „ტბის სკოლის"-Lake school-პოეტების მიმდევრები იყვნენ. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან თავისუფლებას მიაღწიეს გრეივზმა, სასუნმა, დე ლა მარმა, მეისფილდმა. გეორგიანელების პოეზიაში შეიმჩნეოდა პრერაფაელიტიზმის გამოძახილი. პირველ მსოფლიო ომამდე პერიოდში გეორგიანელებმა დიდი აღიარება მოიპოვეს. მათი პირველი ანთოლოგიები იმ დროისათვის მართლაც გაუგონარი ტირაჟებით გამოიცემოდა-15-19 ათასი ეგზემპლარი.

ისტორიულ-ლიტერატურულ პერსპექტივაში თუ განვიხილავთ, აშკარად დავინახავთ, რომ გეორგიანელები, როგორც კიპლინგისა და უაილდის ოპონენტები, თავიანთ მხატვრულ მოვალეობად თვლიდნენ ლირიკულ ლექსებში ხოტბა შეესხათ სოფლის პეიზაჟისათვის, ბუნების სილამაზისა და სიმშვიდისათვის. ეს სტილი კი უკვე კონსერვატიულად ითვლებოდა. გეორგიანელთა გამოჩენილი წარმომადგენლები არიან: რუპერტ ბრუკი, რობერტ გრეივზი, დევიდ ჰერბერტ ლოურენსი, თუმცა, განუხრელად არც ისინი იცავდნენ გეორგიანელთა თემებსა და მიდგომებს.

3. მოდერნიზმი-ესპანურ-ამერიკული ლიტერატურა. თუ გავითვალის-

წინებთ იმას, რომ ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ლიტერატურის გამაერთიანებელი ხაზი თანამედროვეობისკენ მიმართული ხაზი და სწრაფვაა, ამ სახელწოდებასთან ყველაზე მისადაგებულ და ახლოს მდგომ ლიტერატურას ქმნიან ესპანურენოვანი მწერლები, რომლებმაც ეს დეტერმინაცია აირჩიეს იმ საერთო ტენდენციის აღსანიშნავად, რომელსაც მიზნად დაუსახავს ლიტერატურაში თემებისა და ფორმების განახლება.

ამ მიმდინარეობის ამოსავალ წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ 1880-1890 წლებს შორის პერიოდი. ეს არ არის მხოლოდ ის ათწლეული, როდესაც რუბენ დარიომ გამოაქვეყნა თავისი პირველი დიდი წიგნი "azul"(1888); ეს არის აგრეთვე ის დრო, როდესაც ზრდასრულ ასაკს მიაღწიეს და პირველი ნაწარმოებები შექმნეს იმათ, ვინც შეიძლება modernism-ს პიონერებად შეიძლება ჩაითვალონ: მექსიკელები: სალადორ დიას მირონი, მანუელ გუტიერეზ ნაჟერა, კუბელი ხულიან დელ კასალი, კოლუმბიელი ჟოზე ასენსიონ სილვა.

ლიტერატურული თვალსაზრისით, ამ პერიოდის ლათინური ამერიკის ქვეყნებში ერთგვარი სტაგნაცია, ლირიკული ექსპრესიის უკანდახევა შეიმჩნეოდა, მაშინ, როდესაც პროზაიკოსები, მეტნაკლები წარმატებით, რეალიზმისა და ნატურალიზმის გზებს დასდგომოდნენ. პოლიტიკურ პლანზე, გაუთავებელი ომებისა და სახელმწიფო გადატრიალებების შემდეგ დამდგარი შედარებითი მშვიდობიანობის ხანაში, რომელსაც საუკუნის დასაწყისის დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდი შეიძლება ვუწოდოთ, დიდი ბურჟუაზია პოზიციებს იმყარებდა და მდიდრდებოდა. მოვლენების ამ ორ განვითარებას შორის, ისინი, ვისაც მოდერნისტული რევოლუციის დროშა უნდა აეფრიალებინათ, გარკვეულ კავშირს ხედავდნენ: მათ მატერიალური წარმატებისაკენ სწრაფვის გიჟურ სრბოლა ლიტერატურისა და სულიერი დაკნინების ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნდათ. ისინი გაბედულად აუმხედრდნენ ფილოსოფიის პოზიტივისტურ მიმდინარეობას, რომელსაც მრავალი მხარდამჭერი გამოსჩენოდა, ეწინააღმდეგებოდნენ და აკრიტიკებდნენ შეერთებული შტატების უტილიტარულ და მატერიალისტურ მიდგომებს.

4. გერმანული ექსპრესიონიზმი. 1911 წელს, ფილოსოფიურად მოაზროვნე ახალგაზრდა გერმანელმა მწერალმა კურტ ჰილერმა „ესთეტები'' გაკიცხა: „ისინი მხოლოდ და მხოლოდ ცვილის ფირფიტები არიან, რომლებიც შთაბეჭდილებების ანაბეჭდებს ინახავენ''. მან ესთეტებს დაუპირისპირა ახალგაზრდა თაობა, რომელთა ღირსეულ წარმომადგენლადაც მიიჩნევდა თავს: „ ჩვენ ვართ ექსპრესიონისტები, ჩვენთვის მნიშვნელოვანია გამოხატვის სიღრმე, ვნება, სურვილი, ეთოსი''.

ასეთია ლიტერატურული ექსპრესიონიზმის მოკლე, მაგრამ საკმაოდ მკაფიო განმარტება. კურტ ჰილერის მიერ შერისხული „ესთეტები'' მის თვალში მხოლოდ „იმპრესიონისტი" მწერლები არიან: მათ თავიანთი ხელოვნება დაუმყარებიათ იმ რეალობაზე, რომელსაც გრძნობების მეშვეობით აღიქვამენ. ისინი არიან ასევე საკმაოდ თავგასული ოხუნჯებიც და საზოგადოების

გამასხარავებით იქცევენ თავს. მწერლის მოვალეობა კი არის ის, რომ მან, როგორც ინდივიდმა, წინ დააყენოს თავისი მოთხოვნები, გამოამზეუროს საკუთარი შინაგანი სამყარო, ჩაიხშოს გრძნობების ილუზორული ავტორიტეტი და აღადგინოს ზნეობის ძალაუფლება.

იგივე კურტ ჰილერი, 1913 წელს გამოცემულ წიგნში Die Weisheit der Langwelle (სიბრძნე მოწყენილობისა) უფრო გარკვევით განმარტავს თუ რა არის მიზეზი მისი გამუდმებული თავდასხმებისა იმ მიმდინარეობაზე, რომელსაც იგი „იმპრესიონიზმს“ უწოდებს. როგორც იგი ამბობს „მისი თაობისათვის უკვე მიუღებელია ადამიანური გრძნობების მხოლოდ პასიური, რეაქციული, ესთეტიური გამოყენებით მანიპულირება: „დღეს შემოქმედს სულ სხვანაირი სულისკვეთება უნდა ამოძრავებდეს: მტკიცე რწმენა, თავდაჯერება, გამოკვეთილი ნება, რევოლუციური განწყობა, მოქმედებისა და აზროვნების აჩქარებული რიტმი“.

გერმანული ექსპრესიონიზმის ისტორიაში შეიძლება გამოვყოთ სამი ეტაპი: 1-ლი ეტაპი მოიცავს პერიოდს 1910 წლამდე, როდესაც ექსპრესიონიზმი ძალას იკრებდა, კულტუროლოგიურად ჯერ არ იყო იდენტიფიცირებული ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალ მიმდინარეობასა და მის მიმდევრებს ჯერ სახელი არ ერქვათ. პირველი ეტაპის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ჰენრიხ მანის, თეოდორ დოიბლერის, ბენჯამინ ფრანკლინ ვედეკინდის, ჰერმან ბროხის, ფრანც კაფკას, ემანუელ ლასკერ-შიულერის იმ პერიოდის შემოქმედება. 1910 წლამდე, ლიტერატურაში სტიქიურად აისახებოდა ექსპრესიონისტული სიუჟეტები, მოტივები, სახეები „ლიტერატურული მოდერნის პირველი ფაზის“ ჩარჩოებში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დროს ძალიან პოპულარული იყო ყველა ზნეობრივი ღირებულებების გადაფარვა ნიცშეს იდეების გაზიარებით.

მომავალი ექსპრესიონისტები იკრიბებოდნენ დეკადენტურ თუ ესთეტიკურ წრეებში, ბოჰემურ კაფეებში, ლიტერატურულ კაბარეებში, თანდათან ქმნიდნენ საკუთარ გაერთიანებებსა და ბეჭდურ ორგანოებს. მაგალითად, ერნსტ მარი შტადლერი და რენე შიკელე ჯერ კიდევ 1902 ელს შეუერთდნენ ლიტერატურულ ჯგუფს „ყველაზე ახალგაზრდა ელზასი'', რომლის დამახასიათებელი თვისება იუგენდ შტილის მიბაძვა იყო. 1909 წელს კურტ ჰილერმა, ერნსტ ლიოვენზონმა და იაკობ ვან ჰოდისმა ბერლინში დააარსეს „ახალი კლუბი“, მოგვიანებით კი „ნეოპათეტიკური კაბარე“. შემოქმედთა თავშეყრის ეს ორი ადგილი შემდეგ გახდა მომავალი ექსპრესიონისტების მუდმივი ტრიბუნა.

ალფრედ ლიხტენშტაინი, ერნს უნგერი, ემანუელ ლასკერ-შულერი, ჰენრი ვალდენი ხშირად სტუმრობდნენ ბოჰემურ ბერლინურ კაფეებს და 1905 წელს ერთ-ერთ მათგანში დააფუძნეს „ხელოვნების ადამიანთა საზოგადოება“ (Verein fiirkunt), სადაც დადიოდანენ ალფრედ დობლინი და გეორგ ბენი. ბენჯამინ ფრანკლინ ვედეკინდმა თავის დრამაში „გაზაფხულის

გამოღვიძება“ (Fruhlings Enmchen) ჯერ კიდევ 1891 წელს იწინასწარმეტყველა ექსპრესიონიზმის გარკვეული გამოვლინებები.

1910-1918 წლებში, იმ პერიოდში, რომელიც შეიძლება ექსპრესიონიზმის განვითარების მეორე ეტაპად ჩაითვალოს, მოძრაობამ მნიშვნელოვან მასშტაბს მიაღწია და იგი გერმანიის ლიტერატურულ-მხატვრული ცხოვრების მთავარი მოვლენა გახდა: გაიზარდა ექსპრესიონისტული შინაარსის ჟურნალებისა და ამავე მიმართულების ლიტერატურის გამავრცელებელი გამომცემლობების რაოდენობა, იმართებოდა უამრავი პერსონალური და კოლექტიური გამოფენა.

მესამე ეტაპზე-1918-1923 წლებში-პირველი მსოფლიო ომის ბოლოს, უკვე თავს იჩენს და იკვეთება ექსპრესიონიზმის არაერთგვაროვნება. ამას ხელს უწყობს გერმანიაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია. ამ წლებში გერმანული ექსპრესიონიზმი აშკარად „მემარცხენეობისკენ“ იხრება და მისი მრავალი წარმომადგენელი მწერალი აქტიურად ერთვება რევოლუციურ მოძრაობაში. ვაიმარის რესპუბლიკის სტაბილიზაციასთან ერთად ექსპრესიონიზმი თანდათან კარგავს „პასიონარულ იმპულსს“ და მასში დადაიზმისა და სიურრეალიზმის ნიშნები ჩნდება-ეს ახალი მიმდინარეობები ძალას იკრებს 1917-1924 წლებში.

ექსპრესიონისტების მიერ დამუშავებული ხერხები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული ექსპერიმენტებით, არამედ ასევე თავისი სინთეტურობით, ემოციური გამომსახველობით-ნიშან-თვისებებით, რომლებიც ექსპრესიონისტებს საშუალებას აძლევს ერთგვარად იწინასწარმეტყველოს მომავალი კატასტროფები, რომლებშიც უნდა იშვას „ახალი ადამიანი“ და ადამიანთა ახალი ერთობა. ამ მიმდინარეობამ საკმაოდ დიდხანს შენარჩუნა გავლენა გერმანულ ლიტერატურაზე.

5. სიურრეალიზმი. სიურრეალიზმი ინტელექტუალურ-არტისტული მიმდინარეობაა ლიტერატურაში. იგი რომანტიზმისა და დადაიზმის შემდგომი პერიოდის მიმართულებაა; ახასიათებს ყოველგვარი ლოგიკურის, ესთეტიურისა და მორალურის უარყოფა; შლის ტრადიციულ საზღვრებს რეალურსა და წარმოსახვითს, ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის, უპირატესობას ანიჭებს შემთხვევითობას, ინსტინქტის ძალებს, გონების კონტროლისაგან გათავისუფლებულ არაცნობიერს; მიზნად დაუსახავს ადამიანის განცვიფრება, გამოწვევა; ცდილობს ქაოსიდან გამოყოს უმაღლესი, ზერეალობა და ამ მიზნების განსახორციელებლად მიმართავს ახალ, აქამდე უცნობ საშუალებებს: ჰიპნოზურ ძილის, სიზმრის კვლევას, ავტომატურ წერას, სპონტანურად პირს მომდგარი სიტყვების ასოციაციას, ხატებათა მოულოდნელ კავშირებს და ა. შ.

ანდრე ბრეტონმა 1924 წელს ასე განმარტა სიურრეალიზმის რაობა: „სიურრეალიზმი არის ფსიქიური ავტომატიზმი, რომლის საშუალებით-სიტყვიერად ან წერილობით ან სრულიად განსხვავებული გზით- გამოიხატება აზროვნების რეალური ფუნქციონირება“ მისი განსაზღვრებით, სიურრეა-

ლიზმი არის ნამდვილი აზროვნების მიერ ნაკარნახევი ფიქრები და ქმედებები. ალბერ კამიუს აზრით კი, სიურრეალიზმი არის აბსოლუტური ამბოხი, ტოტალური დაუმორჩილებლობა, წესად შემოღებული საბოტაჟი, აბსურდის კულტი. ლუი არაგონი მიიჩნევდა, რომ სიურრეალიზმი „დადას“ მოძრაობა-შია გამოწრთობილი, მისი ფესვები კი რომანტიზმში უნდა ვეძიოთ. სადის, რემბოს, მალარმეს, აპოლინერის, რუსელის, ლოტრეამონის შემოქმედებას თუ ჩავუღრმავდებით, აშკარად დავინახავთ, რომ სიურრეალისტები ცდილობენ ადამიანები ცდილობენ ადამიანი გაათავისუფლონ დასავლური ბურჟუაზიული კულტურის რაციონალიზმისაგან, რაც მათი აზრით, უკვე მოძველებული და სულისშემხუთავი სისტემა და კონცეფცია იყო.

1924 წელს გამოქვეყნებულ სიურრეალიზმის პირველ მანიფესტში, ფროიდის ნაწარმოებების კითხვით შთაგონებულმა ანდრე ბრეტონმა დასაბამი დაუდო მრავალი ლიტერატურული თუ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების შექმნის პროცესს, შესთავაზა რა შემოქმედთ შექმნის ახალი მასალა.

ამ მოძრაობის პირველ რიგებში იყვნენ პოლ ელუარი, ლუი არაგონი, ანტონენ არტო, ბენჟამენ პერე, რობერ დესნოსი, ჟორჟ ლიმბური, რემონ კენო, მიშელ ლეირისი, პიერ ნავილი, რენე კრეველი, ფილიპ სუპო.

1919 წელს, ანდრე ბრეტონისა და ფილიპ სუპოს ერთობლივი ტექსტი Les Champs magnetiques, რომელიც La Revue litterature- ში დაიბეჭდა, იყო პირველი სიურრეალისტური ნაწარმოები. ავტორებმა სიურრეალიზმის ერთ-ერთ მთავარ პრინციპის-ავტომატიზმის საფუძველზე ააგეს თხზულება, სრული თავისუფლება მისცეს საკუთარ წარმოსახვას, გაათავისუფლეს ენა ყოველგვარი კონტროლოსაგან. სიურრეალისტები იმითაც გამოირჩეოდნენ სხვა მწერლებისაგან, რომ კალმის ერთი მოსმით ქმნიდნენ ნაწარმოებებს და უარს ამბობდნენ ტექსტის საბოლოო გადახედვაზე.

სიურრეალიზმი ქადაგებს რევოლუციურ პოეზიას. პოეტური აქტი აღქმული იყო, როგორც სოციალური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი პოზიცია და შეადგენდა სამწევრა სლოგანის „თავისუფლება, სიყვარული, პოეზია“ -ერთ-ერთ წევრს. პოეზია სიყვარულის ახალ მორალს გამოხატავდა და გარკვეულწილად წონასწორობას იცავდა სურვილის ძალმოსილებასა და შერჩეულ სიყვარულს შორის. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ლუი არაგონის „ლიბერტინაჟი“(1924), რობერ დესნოსის „თავისუფლება ანუ სიყვარული “(1924), ანდრე ბრეტონის „გიჟური სიყვარული“(1937).

სიურრეალიზმმა განვითარების აპოგეას ორ ომს შორის პერიოდში მიაღწია. მისი მთავარი ბეჭდური ორგანო იყო ლიტერატურული ჟურნალი „სიურრეალისტური რევოლუცია“-„Revolution surrealiste”, რომელიც დაარსდა 1924 წელს. გამოცემას ჯერ პიერ ნავილი ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი, ბენჟამენ პერე.

1936 წლიდან, პარიზში, ნატიფი ხელოვნების გალერეაში-galerie des beaux arts- ხშირად იმართებოდა სიურრეალიზმის საერთაშორისო გამოფენები,

რომლებიც ეტაპობრივად ასახავდა ამ მიმართულების განვითარების სხვადასხვა პერიოდს. სიურრეალისტებს შორის გაჩენილი განხეთქილების მიზეზი გახდა ანდრე ბრეტონის პოლიტიკური ანგაჟირებულობა. მიმდინარეობის ზოგიერთი წარმომადგენელი: არტო, ვიტრაკი და სუპო საერთოდ განუდგნენ ამ მოძრაობას.

1929 წელს გამოქვეყნებული სიურრეალიზმის მეორე მანიფესტმა-Le second manifeste du surrealism- საზოგადოებას ახალი წევრების ვინაობა ამცნო: რენე შარი, ფრანსის პონჟი, ჟორჟ სადული და ა. შ. ამ მანიფესტიდანვე ცნობილი გახდა ანდრე ბრეტონისა და ტრისტან ტცარას შერიგების ამბავი.

სახვით ხელოვნებაში-არქიტექტურაში, სკულპტურასა და მხატვრობაში-სიურრეალიზმმა გააგრძელა ის ტრადიცია, სადაც ზმანება, ოცნება, სიზმრისეული ხილვები, ფანტასტიკა, სიმბოლიკა, ალეგორია, სასწაულები თუ მითები შემოქმედების მთავარი თემებია. ეს ელემენტები მანამდეც ჭარბობდა ბოსხის, არკიმბოლდოს შემოქმედებაში, ანამორფოზებსა და გროტესკში, ინგლისელი პრერაფაელისტების ტილოებში ტილოებში, უილიამ ბლეიკის ილუსტრაციებში, გუსტავ მოროს, გუსტავ კლიმტის, ოდილონ რედონის მხატვრობაში, სადაც მნახველტა ერთგვარ შოკსა და შეცბუნებას იწვევს ერთი შეხედვით ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელი უცნაური საგნების, მოვლენებისა თუ არსებების შერწყმა და მხატვრული ჰარმონია, რაც არის კიდეც სიურრეალიზმის პოეტიკის საფუძველი.

სიურრეალისტები ეთაყვანებოდნენ ჯიორჯო დე ჩირიკოს, მარსელ დიუშამს, ფრანსის პიკაბიას, პაბლო პიკასოს, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი მათგანი ოფიციალურად სიურრეალისტი ჯგუფის წევრი არასოდეს ყოფილა. ჯგუფის შემადგენლობაში კი მოიაზრებოდნენ ამერიკელი ივ ტანგი, ბელგიელი რენე მაგრიტი, შვეიცარიელი ალბერტო ჯაკომეტი.

თუ სიურრეალისტი მხატვრები კუბიზმისა და დადას გავლენას მაინც ვერ გაექცნენ, მანამდე არარსებული ფორმებისა და ტექნიკის ინოვაციაში მაინც პიონერები არიან. მათ შორის ყველაზე გავრცელებული და ჯგუფის წევრების მიერ აღიარებული იყო ე. წ. "cadaver exquis"-ტექნიკა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: ერთ-ერთი მხატვარი აიღებდა ფურცელს, ზედ დახატავდა რაიმეს, მერე ფურცელს ისე გადაკეცავდა, რომ ნახატის მხოლოდ ერთი ნაწილი ჩანდა და შემდეგ გვერდით მყოფ მეორე მხატვარს გადასცემდა. მეორე მხატვარის ასევე მოიქცეოდა და როცა საბოლოოდ ფურცელს გაშლიდნენ, მასზე აღმოჩნდებოდა განსხვავებული ნახატებისგან შექმნილი ახალი სურათი. ეს ტექნიკა წარმატებით გამოიყენა მაქს ერნსტმა თავის კოლაჟებში. ასევე მიროს შემოქმედებაშიც შეიმჩნევა ამ ტექნიკის შტრიხები (Musee national d art moderne).

მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში მიმდინარეობა სწრაფად გავრცელდა და სიურრეალისტური ჯგუფები შეიქმნა ჩეხოსლოვაკიაში(Karen Toige), ბელგიაში (პოლ დელვო, ანრი მიშო), იტალიაში (ალბერტო სავინიო), დიდ

ბრიტანეთში(როლან ფანროუზი, ჰენრი მური), იაპონიაში(კობო აბე, იამანაკი); მოგვიანებით კი, ამერიკაში, მეორე მსოფლიო ომის დროს, სადაც არტისტთა უმრავლესობა ემიგრირდა და ნიუ-იორკში ფაქტიურად მეორე პარიზი შექმნეს, მრავალი სიურრეალისტური დაჯგუფება გაჩნდა. ამერიკაში სიურრეალიზმმა ფაქტიურად მეორე სიცოცხლე შეიძინა, რაზეც მოწმობს ჯოზეფ კორნელის, რობერტო მატას, უილფრედო ლამის შემოქმედება, რომელიც აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის მაუწყებელია.

1969 წელს კი, ანდრე ბრეტონის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, ჟან შუსტერმა ყოველდღიურ გაზეთ "Le Monde"-ში, ოფიციალურად გამოაქვეყნა საკუთარი ხელმოწერით დადასტურებული აქტი სიურრეალიზმის გარდაცვალებისა, მიმდინარეობისა, რომლის გავლენა დღესაც არ განელებულა ხელოვნების სხვადასხვა დარგზე მთელ მსოფლიოში.

ლიტერატურა:

1. Зияельчинская Л. Экспресионизм. М-Л. 1991;
2. Weisbach R. Wir und der Exspressionismis. 1972;
3. Spender S/ The Struggle of the modern. 1963;
4. Breton A. Situation du surrealisme entre les deux guerres, 1945.

A Short Linguistic Concept

Zurab Gamezardashvili, professor
Georgian Technical University

Summary

Article describes Expressionism in general, as a literary phenomenon; three stages of its existence in German literature. Sharing Nietzsche ideas by them. Influence of political situation and the emergence of signs of Dadaism and Surrealism in Expressionism.

The desire of the representatives of the "New Novel" in France was to get separated from centuries-old rules of classical narrative - existed in the Anglo-Saxon world too. However, such radicalism was not characteristic for them. Freedom of style, inner monologue, the contemplation of the inner world opens the way to the new trend in novel.

Spanish-speaking writers are first equated with Modernism with their goal – to introduce new literary themes and forms. They confronted Positivism philosophical theory, criticized utilitarian and materialistic approaches.

Georgian poets in English literature, whose source of inspiration was alike themes, expressive form of works and similar concepts of nature and poetry. In their aspiration towards simplicity, modesty and clear language Georgians were followers of "Lake School" poets.

Surrealism as an intellectual and artistic movement is characterized by the rejection of everything logical, aesthetic and moral and gives preference to instinctual forces, unconscious. In their poetry, the poetic act is perceived as a social, political, and social position.

არაქართულენოვანი სტუდენტების კითხვის უნარის დაუფლების ზოგიერთი ასპექტი

მანანა ქაჯაია, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

კითხვა ის საშუალებაა, რომლითაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლობს და იღებს ახალ ინფორმაციას. კითხვა ხელს უწყობს საერთო განვითარებას.

ნაშრომში აღწერილია კითხვის შესწავლის მოტივაცია და შესწავლისადმი დამოკიდებულება, ასევე გამახვილებულია ყურადღება კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებასა და კითხვის პროცესის რაციონალურად წარმართვაზე.

საუბარია კარგი ტექსტის შერჩევაზე, რომელიც კითხვის მთავარ რესურსად ითვლება. კარგი ტექსტი კი გულისხმობს, რომ უფრო საინტერესო, მარტივად გასაგები და ცოდნის მიმცემი უნდა იყოს ენის შემსწავლელთათვის.

საკვანძო სიტყვები: რესურსი, არარაციონალური, სტრატეგია, სტრუქტურა.

შესავალი

არაქართულენოვანი სტუდენტისათვის მეორე ენის შესწავლის წარმატებისა თუ წარუმატებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია ენის შემსწავლელის მოტივაცია და ენის შესწავლისადმი დამოკიდებულება. ამ დროს ლექტორს ეკისრება მაღალი პასუხისმგებლობა. უნდა შექმნას სასიამოვნო, განტვირთავი ატმოსფერო ჯგუფში, მოსწავლეებს უნდა მოუხსნას დაძაბულობა, ჰქონდეს მეგობრული დამოკიდებულება, გაზარდოს მათში თავდაჯერების უნარი, გაკვეთილი უნდა იყოს სიცოცხლისუნარიანი და საინტერესო, გააცნოს მათ შესასწავლი ენის კულტურა.

საკომუნიკაციო მიდგომის მიზანია მოსწავლეებმა მიიღონ ცოდნა თანმიმდევრულად შესასწავლი მასალის საშუალებით. მთავარი მნიშვნელობა ენიჭება გაგებას და აზრის გამოთქმის უნარს. ამ მიზნის მიღწევას სტრუქტურისა და ლექსიკის ათვისება ეხმარება. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ მოუწევთ აზრის გამოთქმა გაკვეთილზე, გაუზიარებენ ერთმანეთს თავიანთ მოსაზრებებს, ინტერესებს, ცოდნას, ფიქრებსა და გრძნობებს.

სწავლების პროგრამა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ მოსწავლემ სწავლის უნარი განავითაროს, რათა უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს სწავლის პროცესს.

კომუნიკაბელურობის განვითარებას სჭირდება დრო. ამისთვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა კითხვა და შემდეგ წერილობით შესრულებული სავარჯიშოები.

ძირითადი ნაწილი

კითხვა ის საშუალებაა, რომლითაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლობს და იღებს ახალ ინფორმაციას, ხელს უწყობს საერთო განვითარებას. ინფორმაციის მისაღებად კი უნდა იკითხოს წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, სახელმძღვანელოები. საჭიროა კითხვის სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება.

კითხვა ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგია. მხოლოდ მუდმივი ვარჯიშის შემდეგ უვითარდება მოსწავლეს გააზრებული და დამოუკიდებელი კითხვის უნარ-ჩვევა.

კითხვა კომპლექსური კომუნიკაციური პროცესია, საუბარია მკითხველსა და ავტორს შორის, აქვე უნდა იყოს გააზრებული გაგების ხარისხი, კითხვის მიზანი და წასაკითხი ტექსტის შინაარსი.

კითხვის სახეობიდან, მაგალითად, ზედაპირული გაცნობითი კითხვა გულისხმობს ტექსტის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნას.

გადათვალიერება გამოიყენება კონკრეტული ინფორმაციის მოპოვების, საჭირო ადგილის მოძებნის დროს.

სწრაფი კითხვა გულისხმობს გართობას, სიამოვნების მიღებას.

ნელა და ყურადღებით კითხვა ხდება, როცა მასალა რთულია, შეიცავს უცხო ცნებებს, სპეციფიკურ ლექსიკას, გააზრებას მოითხოვს ცალკეული დეტალები, გვჭირდება დასკვნების გამოტანა, პრობლემაზე მსჯელობა და ა. შ.

კითხვა ინტერაქტიური (დიალოგიური) - კონსტრუქციული პროცესია. მკითხველი ადარებს ახალწაკითხულს, რაც მან კარგად იცის. კითხვა მაშინ იქნება სახალისო, როცა მკითხველი გაიგებს წაკითხულს.

ლინგვისტური ცოდნა (სინტაქსური კავშირები, სასვენი ნიშნების ხმარების წესები, წინადადების აგების კანონზომიერებანი და სხვა) გავლენას ახდენს ტექსტის გაგებაზე. წინადადებაში სიტყვათა წყობით, სინტაქსური კავშირებით მოსწავლეს შეუძლია ივარაუდოს მისთვის უცნობი სიტყვის მნიშვნელობა. ტექსტის სტრუქტურის ცოდნა ხელს უწყობს გაგებასა და დამახსოვრებას. მოსწავლეს შეუძლია ტექსტების კლასიფიცირება, კითხვის შესაბამისი სტრატეგიის შერჩევა, მაგალითად, კითხულობს ხმამაღლა ლექსს ან უსმენს სხვასაც, ვრცელ ტექსტს ჰყოფს ნაწილებად და ადგენს მიზანშედეგობრივ კავშირებს.

კითხვის, ისევე როგორც, საერთოდ, მეორე ენის სწავლების პროცესის წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კარგად შერჩეულ სასწავლო

მასალებს, რომლებმაც შესაძლებელია საგრძნობლად აამაღლოს სასწავლო ხარისხი.

გასათვალისწინებელია, აქვს თუ არა მასალებს კომუნიკაციური მიზნები, შეესაბამება თუ არა მოსწავლის დონეს, უზრუნველყოფს თუ არა ენის ბუნებრივ გამოყენებას, წაახალისებს თუ არა ტექსტის მკითხველებს, არის თუ არა მასალები მრავალფეროვანი, რაც აგვარიდებს ერთი სახის დავალებებისა და სავარჯიშოების განმეორებას, ეხმარება თუ არა მოსწავლეებს სასწავლო სირთულეების დაძლევაში, იძლევა თუ არა მასალები შესწავლის, განმეორებისა და განმტკიცების შესაძლებლობას, არის თუ არა კავშირი პრაქტიკულ და კომუნიკაციურ სავარჯიშოებს შორის.

ტექსტი - ეს არის კითხვის მთავარი რესურსი. ქართული ლიტერატურის ნიმუშების გარეშე წარმოუდგენელია სახელმწიფო ენის შესწავლა, მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეორე ენის სწავლების მთავარი მიზანი არის ქართული ენის გამოყენება ეფექტიანი ურთიერთობისათვის. ამის გარეშე წარმოუდგენელია პიროვნების საზოგადოებაში ინტეგრაცია. ქართული ლიტერატურის ნიმუშები ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი და არა ერთადერთი საშუალებაა. უდავოა, რომ მხატვრული ტექსტი ემსახურება შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. მათი საშუალებით მოსწავლეები უკეთესად შეიგრძნობენ ადამიანთა გამოცდილების, მათი ღირებულებებისა და ფასეულობების მრავალფეროვნებას, იგებენ და იღებენ განსხვავებულ კულტურას, რაც სამოქალაქო ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ტექსტები უნდა იყოს საინტერესო, და ამავდროულად პროდუქციის მიმცემი. მოსწავლე უნდა დააინტერესოს და აღუძრას ცნობისმოყვარეობა ტექსტში არსებულმა ელემენტებმა. აქ გასათვალისწინებელია, რომ მისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს მოსწავლისთვის ის ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს ტექსტი. ხომ არ არის ტექსტი ძალიან მარტივი ან ძალიან რთული? თუმცა ხშირად პატარა ტექსტებშიც სიბრძნე და შემოქმედებითი უნარიც ამოიცნობა. ტექსტი უნდა იძლეოდეს მოსწავლის, თუნდაც მცირეოდენი წინსვლის შესაძლებლობას, აუცილებელია განუვითარდეს ის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რაც მოსწავლეს სჭირდება. ადაპტირებული ტექსტის შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი: შენარჩუნებულია თუ არა ძირითადი ელემენტები (შინაარსი, ჟანრი, სტრუქტურა და ა. შ.).

საჭიროა ტექსტის შედგენის დროს ყურადღება მიექცეს შემდეგ ფაქტორებს: იცნობს თუ არა მოსწავლე თემას, ხომ არ არის გადატვირთული ინფორმაციული თვალსაზრისით, ლექსიკითა და სინტაქსური სტრუქტურებით? როგორია სტილი, აუცილებელია თვალსაჩინოების გამოყენებაც, მაგალითად, ილუსტრაციები, სქემები და ა. შ.

კითხვაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს არ შეუძლიათ თავისუფალი კითხვა. საჭიროება მოითხოვს ჯგუფები დაიყოს კატეგორიებად სუსტი - ძლიერი. სუსტი ჯგუფებისთვის კარგი იქნება თუ მარტივ ტექსტებს მივაწოდებთ, მაგრამ მოსწავლე მაინც ხარისხიანად შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, სავარჯიშოებისა და კითხვების საშუალებით ამოწურავს ტექსტის გაცნობიერებას.

ჩამორჩენილი მკითხველი კითხულობს ნელა და დიდი ძალისხმევით, უჭირს სიტყვების სწორი გამოთქმა, არ იცავს პაუზებს კითხვისას, არ ითვალისწინებს სასვენ ნიშნებს, არ იცის სიტყვების შინაარსობრივად დაჯგუფება.

კარგი მკითხველი, რომელიც სამწუხაროდ ცოტაა, ტექსტის სირთულისა და ტიპის გათვალისწინებით, კითხულობს დაახლოებით 70-80 სიტყვას წუთში, სწორად ახერხებს სიტყვების გამოთქმას, გააზრებულად აჯგუფებს სიტყვებს შინაარსობრივად, კითხულობს გასაგებად, იგებს შინაარსს და აკეთებს ინტერპრეტაციას.

თავისუფალი კითხვის დასაუფლებლად არსებობს ორი ინტერვენცია: ხმამაღალი კითხვა (ერთი და იმავე ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვა და მოსმენა) და მრავალფეროვანი ურთიერთგანსხვავებული ტექსტების ერთჯერადად წაკითხვა. ერთჯერადი კითხვის მეთოდის სისტემატიური გამოყენება საგრძნობლად უწყობს ხელს უცნობი და ურთიერთგანსხვავებული ტექსტების კითხვაში გაწაფვას.

ერთი და იმავე ტექსტის განმეორებითი კითხვა მოსწავლეს საშუალებას აძლევს გაზარდოს იმ სიტყვების რაოდენობა, რომელთა წაკითხვასაც ის ავტომატურად, ერთი შეხედვით შეძლებს. ასეთი სიტყვების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება კითხვის სისწრაფე. მოსწავლე თანდათან აუმჯობესებს თავისუფალ კითხვას.

ეფექტურია ერთჯერადი წაკითხვაც, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მასალა არ უნდა იყოს გადატვირთული რთული და უცნობი სიტყვებით. თუ მაინც შეგვეპარება ასეთი ტექსტები, აუცილებელია ლექსიკონის დახმარებით თვითონ მოსწავლემ მოძებნოს უცხო სიტყვა და გაითავისოს.

კარგი იქნება თუ კითხვაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს მასწავლებელი ხმამაღლა წაუკითხავს ტექსტს, ამით უჩვენებს თავისუფლად კითხვის ნიმუშს.

ხმამაღლა წაკითხვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს თუ როგორ აისახება ზეპირმეტყველებაში წერილობით ტექსტში გამოყენებული სასვენი ნიშნები, რა პაუზა უნდა დაიცვან კითხვისას, სად უნდა აამაღლონ ხმა და სად დაადაბლონ, როგორ გამოითქმება კითხვისა და ძახილის ნიშნები.

კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება ძირითადად გულისხმობს კითხვის პროცესის რაციონალურად წარმართვას, მოსწავლის შემზადებას წასაკითხად, ტექსტის შინაარსის ამოცნობასა და ტექსტის ძირითადი აზრის ჩაწვდომას.

საინტერესო იქნება მასწავლებლის მიერ გაკეთებული სქემაც. ამ სქემის მიხედვით სთხოვს დაალაგონ პუნქტების მიხედვით და ისე შეავსონ, მაგალითად

- რომელიმე გმირის სახელი
- გმირის აღწერა
- მოქმედების დრო და ადგილი
- ნაწარმოებში დასმული პრობლემა
- ერთი ეპიზოდი ნაწარმოებიდან
- მეორე ეპიზოდი
- მესამე ეპიზოდი
- როგორ გადაწყდა ნაწარმოებში დასმული პრობლემა

კითხვის დროს კარგია ჯგუფურად წაკითხვაც თითო აბზაცის მიხედვით. თითო ამზაცის წაკითხვის შემდეგ ჩერდებიან, აჯამებენ მას და ცდილობენ ერთი წინადადებით გადმოსცენ მთავარი სათქმელი, ავსებენ და აზუსტებენ ერთმანეთის ნათქვამს.

ეს ყველაფერი ააქტიურებს ახლადათვისებულ ინფორმაციას, აძლევს მოსწავლეებს საშუალებას შეაჯამონ მოსაზრებები წაკითხულის შესახებ, აძლიერებს მოტივაციას, ავითარებს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს, უადვილებს აზრის მოკლედ ჩამოყალიბებას, აადვილებს წერითი მეტყველების უნარ-ჩვევებს. ჯგუფში მუშაობა ხელს უწყობს ინფორმაციის ცვლას, კითხვის პროცესი ხდება უფრო საინტერესო, მათ ამახსოვრდებათ მნიშვნელოვანი დეტალები ტექსტიდან.

სასარგებლოა უშუალო და მეგობრული შეჯიბრების გარკვეული ელფერის მქონე ატმოსფეროს შექმნა. აუცილებელია ერთმანეთისათვის შეცდომების გასწორება, როგორც მეტყველების ერთ-ერთი ხერხი. გამოვლინდეს გამარჯვებული. ეს ხელს შეუწყობს მათი მოტივაციის გაზრდას.

დასკვნა

როგორც ზემოთ განვიხილეთ ქართული ენის, როგორც უცხო ენის შესწავლისას, კითხვას ენიჭება უპირატესობა. იმისათვის, რომ ქართული ენის შემსწავლელმა მიაღწიოს სასურველ შედეგს, საჭიროა კითვის უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც ხანგრძლივი პროცესია და დიდ ძალისხმევასა და ნებისყოფას საჭიროებს. სხვადასხვა სახის ტექსტების კითხვა შემსწავლელს შესძენს არა მხოლოდ ლექსიკას, არამედ ზოგად განათლებასაც, გამოუმუშავებს სხვადასხვა საკითხზე მსჯელობის უნარს და აუმაღლებს მოტივაციას.

ლიტერატურა:

1. თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე „ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკა“, თბ., 2013 წ.
2. მაია ინასარიძე „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები“, თბ., 2006 წ.

Some aspects to master reading skills with non-Georgian speaking students

Manana Kajaia, Associate Professor
Georgian Technical University

Summary

Reading is a way for a person to learn and receive new information throughout their lives. Reading promotes overall development.

The paper describes the motivation for reading and attitude to learning. It also focuses on developing reading skills and rationally guiding the reading process.

We are talking about choosing a good text, which is considered to be the main resource for reading. And a good text should be more interesting, easy to understand and knowledgeable for language learners.

Key words: resource, irrational, strategy, structure.

ენის ინტეგრირებული სწავლების ზოგიერთი ასპექტი

მანანა ქაჯაია, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მარიამ ქვრივიშვილი, უფროსი მასწავლებელი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ზოგიერთი ასპექტი ენისა და საგნის სწავლებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით იმ საკითხებთან, რომლებიც ლექტორ-მასწავლებლებმა სასწავლო მასალის შერჩევისა და შემდგომი სწავლებისთვის უნდა გაითვალისწინოს. ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტთა სწავლების სტილს, ინტელექტის სახეებს, გაკვეთილის სცენარებს და ა.შ.

ენის ინტეგრირებული სწავლების მიზანია, სახელმწიფო ენის სათანადო დონეზე ათვისება. ამას განაპირობებს კარგად შერჩეული მასალა სხვადასხვა დონის გათვალისწინებით. სწავლის პროცესის უპირატესობა ორიენტაციაა, გააზრება და არა აღქმა და დამახსოვრება. ეს ყველაფერი ითვალისწინებს შედეგებზე ორიენტირებულ სწავლებას.

საკვანძო სიტყვები: ინტეგრირებული, სტილი, ინტელექტი, სცენები, როლური.

შესავალი

ენის ინტეგრირებული სწავლების მიზანია, სახელმწიფო ენის სათანადო დონეზე ათვისება. თანამედროვე სწავლების ცენტრში იმყოფება სტუდენტი. პიროვნებასა და შედეგზე ორიენტირებული მიდგომა ემყარება ლექციის სწორად დაგეგმვასა და აქცენტის გაკეთებას სასწავლო მასალაზე. ასევე, საჭიროა ფაქიზი მიდგომა სტუდენტთან, როგორც პიროვნებასთან. მეცადინეობის ფორმა უნდა იყოს თავისუფალი, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ფანტაზიის განვითარებასა და ინტერესების აღძვრას, განსაკუთრებით ზეპირმეტყველების პრაქტიკული სწავლების დროს. აუცილებელია სტუდენტთათვის მსუბუქი და სახალისო ტექსტების შერჩევა, აქცენტი კეთდება ხარისხზე და არა საშინაო დავალებების დიდ რაოდენობაზე. კონცენტრირება უნდა მოვახდინოთ სტუდენტთა შემეცნებით პოტენციურ განვითარებაზე. აუცილებელ პირობად მიგვაჩნია ენისშემსწავლელთათვის კრიტიკული აზროვნებისა და ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების უნარის განვითარება.

ყურადღება მისაქცევია იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც აქვთ ენობრივი პრობლემები, რომლებიც აისახება სასწავლო საგნებთან.

ძირითადი ნაწილი

ზეპირმეტყველების სწორად ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ლექტორის მიერ მიწოდებული ბევრი ინფორმაცია, რომლებიც შემდგომში მათ მისცემს საკონტროლო და ტესტური, რეპროდუქციული დავალებების შესრულების საშუალებას. რეკომენდირებულია კლასიკოსთა ნაწარმოებების კითხვა, რადგან სწორედ ეს ტექსტები უზრუნველყოფენ ლიტერატურული ენის სრულფასოვნად ფლობას.

კითხვის შემდეგ აუცილებლად შეეჩვევიან სწორ მეტყველებას. საჭიროა მკაცრი თვალის მიდევნება იმაზე, რომ სტუდენტები მეტყველებდნენ გამართული სალიტერატურო ენით.

ლექტორი ვალდებულია შესთავაზოს სტუდენტებს მრავალფეროვანი აქტივობები. სავარჯიშოები, დავალებები მათი ინდივიდუალურ შესაძლებ-ლობათა გათვალისწინებით. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება როლურ თამაშებს, ჯგუფურ მუშობას. პირველ რიგში, ლექტორი უკითხავს სტუდენტებს (ინტერაქტიული წაკითხვა პაუზებით და საუბრებით), შემდეგ ერთ-ერთ სტუდენტი უკითხავს სხვა სტუდენტებს. სტუდენტები კი კითხულობენ წყვილებში. ლექტორი ატარებს ლექსიკური ერთეულების განხილვის აქტი-ვობას. სავარჯიშო რვეულში იწერება სტუდენტების მოსაზრებები. ასევე მნიშვნელოვანია აქტივობა - „გონებრივი იერიშიც“. საკომუნიკაციო, რეალუ-რი სიტუაციები ხალისიანი იქნება მათთვის.

აუცილებელია, სტუდენტებს გამოვუმუშავოთ დადებითი დამოკიდე-ბულება საკუთარი თავის, სხვების სწავლის, გარემომცველი სამყაროს, სახელმწიფო ენის მიმართ. შეცდომა სწავლის პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომლის გამოვლენა და გაანალიზება განაპირობებს წინსვლას.

მოსწავლე უკეთ სწავლობს ენას და მეტყველებაც უნვითარდება, როდე-საც იგი მოტივირებულია. ამისთვის საჭიროა ლექტორმა მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა დააკვირდეს ასათვისებელ მასალას დამოუკიდებლად, გამოთქვას მოსაზრებები, მიხვდეს, აღმოაჩინოს, შეადაროს ერთმანეთს საგნები იქნება თუ მოვალეობები.

წარმატებული სწავლა დაფუძნებულია სტუდენტის მოტივაციაზე. მეორე ენის წარმატებისა თუ წარუმატებლობისათვის ერთ-ერთი ფაქტორია ენის შესწავლის მოტივაცია და ენის შესწავლისადმი დამოკიდებულება. ამას განსაზღვრავს საგნის მიმართ ინტერესი, თვითრეალიზაციის შესაძ-ლებლობა. ამას ხელს უწყობს ინტერესი. გასაგები და საინტერესო მასალა, მეგობრული ატმოსფერო ჯგუფში და ა.შ. ლექტორი ვალდებულია სტუ-დენტთა მოტივირებისათვის გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგია და მიდ-გომა.შეუქმნას სასიამოვნო ატმოსფერო ჯგუფში, ჰქონდეს მეგობრული დამოკიდებულება, გაზარდოს სტუდენტებში თავდაჯერება მეორე ენას-

თან მიმართებით. გაკვეთილი უნდა იყოს ცოცხალი და საინტერესო. აუცილებელია განუვითაროთ ინტერკულტურული ცნობიერება, უნდა შეეცადოს აღმოფხვრას მეორე ენის დაუფლების შიში.

გაკვეთილის შინაარსობრივი ნაწილი უნდა იყოს მიმზიდველი. ამისთვის საჭიროა გამოყენებული იქნას აუდიო-ვიდეო მასალები, თვალსაჩინოება და სხვ.

სტუდენტთა ჩართულობის გასაზრდელადსაჭიროა სხვადასხვა მოტივირებული სავარჯიშოების შედგენა. პერსონალური დავალებები, წყვილებისა და ჯგუფური მუშაობის სტრატეგიები. ენის შესასწავლად და მეტყველების პრაქტიკული უნარის გამოსამუშავებლად მნიშვნელოვანია, რადიოს, მაგნიტაფონის ჩანაწერების მოსმენა, ვიდეო მასალების ყურება, დაუმუშავებელი და არაადაპტირებული ტექსტების კითხვა (ჟურნალ-გაზეთების, რეკლამებისა და ა.შ.).

მოსმენის კულტურა ხელს უწყობს აზროვნებას. ტექსტის აღქმასა და შემდგომ გაანალიზებას. მოსმენის დროს სტუდენტი კონცენტრირებულია მოსასმენი მასალის მიმართ, აკეთებს ჩანაწერებს, იმახსოვრებს ძირითადს და გადმოსცემს ზეპირად თუ წერილობით აღქმულს. ინტერაქტიული მეთოდით სწავლას უპირატესობა ენიჭება ენის შემსწავლელთათვის.

ახალი მასალის ახსნისას კარგი იქნება თუ გამოვიყენებთ მრავალფეროვან ვიზუალურ მასალას.

ქაღალდზე ამოწერილი ახალი საჭირო ტერმინები შეიძლება მივაწოდოთ სტუდენტებს, ასევე დავავალოთ ლექსიკონის გამოყენებით შეასრულონ მითითებული დავალება.

ლექტორმა ლექციის დაგეგმვისას უნდა სწორად მოარგოს შესაბამისი მასალა, არ უნდა დავტვირთოთ სტუდენტები მეორეხარისხოვანი ინფორმაციით. უნდა გაესვას ხაზი მთავარ ინფორმაციას.

პირველ რიგში, საჭიროა მარტივად აღსაქმელი მასალის მომზადება ახალი თემის სასწავლებლად, შემდეგი ლექციისთვის კი თანდათანობით ხდება ენის მრავალფეროვნების ზრდა თემის სრულყოფილად შესასწავლად. კარგი იქნება თუ ენის შემსწავლელი თავის სიტყვებით შეძლებს გადმოსცეს ის, რაც მან მიიღო კითხვის დროს.

რეკომენდირებულია, ლექტორმა გამოიყენოს აქტივობები: როლური თამაშები, სიტუაციური, კითხვა-პასუხების სავარჯიშოები. ამ დროს ჯგუფური მუშობა მეტად მნიშვნელოვანია. ისინი ცვლიან ინფორმაციას. ამ ხერხით მათი მეტყველებისა და აზროვნების უნარის გავარჯიშება და ენის დონის გაუმჯობესება შეიძლება.

გამოყენებული ტერმინები, ახალი სიტყვები და ფრაზები უნდა გამარტივდეს პერიფრაზირებით. ენის შემსწავლელებს ესაჭიროება ახალი, უცნობი

მასალები, ისეთი დავალება, რომელიც მოითხოვს პრობლემის გადაჭრას. სტუდენტები, რომლებსაც საკუთარი თავის რწმენა არ გააჩნიათ, ისინი ყოველ შეცდომას აღიქვამენ როგორც საკუთარ ნაკლს, რომ მათ არ შეუძლიათ სწავლა. ამისთვის საჭროა ლექტორი სხვანაირად მიუდგეს და დაარწმუნოს იგი, რომ მას ყველაფერი გამოუვა თანდათან, რაც მის შრომისმოყვარეობაზე იქნება დამოკიდებული.

მეორე ენის სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ტექსტზე მუშობა.

სასურველია გამოიყოს რამდენიმე მიმართულება:

ა) ტერმინები და ცნებები, რომელიც მნიშვნელოვანია ახალი საკითხისათვის.

ბ) ზოგადი ლექსიკა - ამაღლებს სტუდენტთა ენობრივ კომპეტენციას. უნდა მივაწოდოთ განმარტებებით, სინონიმებით, ანტონიმებით.

გ) ფრაზები - ანუ ის შესატყვებები, რომლებიც თემის ანალიზისას და მსჯელობისას გამოადგება სტუდენტებს.საჭიროა ცალკე ამოვიღოთ ტექსტიდან და მივაწოდოთ მათ სათანადო განმარტება.

დ) კონსტრუქციები - სწორად გამოიყენონ სახელის ბრუნვა, ზმნის, თანდებულის, რიცხვის ფორმები. აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია გრამატიკული ტერმინის გამოყენება. ასეთი კონსტრუქციები ლექტორმა ცალკე უნდა ამოიწეროს და სტუდენტებს უნდა განუმარტოს, რომელიც საჭირო იქ-ნება გამართული მსჯელობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრი დამახინჯდება ან შეიცვლება.

ცალკე გამოტანილი ასეთი კონსტრუქცია ხელს შეუწყობს ენის შემსწავლელებს გამართული მეტყველების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ე) ფუნქციური ფრაზები - ასევე ცალკე უნდა დამუშვდეს ლექტორის მიერ და ისე მიეწოდოს სტუდენტებს. უნდა შეუსაბამონ სწორი ფორმა, დაუკავშირონ, დააჯგუფონ, მოახდინონ კლასიფიკაცია. მათი განმარტებისგარეშე სტუდენტები ვერ შეძლებენ დავალების სწორად შესრულებას.

ამდენად, ლექტორმა წინასწარ უნდა შეარჩიოს ტექსტი და გათვალოს მასზე მუშაობა. ტექსტი სტუნდენტებისთვის საგნობრივი ცოდნის მიმცემი და, ამავე დროს, მათი ენობრივი კომპეტენციის ამაღლების უმთავრესი საშუალებაა.

ვთქვათ, ტექსტში მოცემულია რაიმე ინფორმაცია, კარგი იქნება თუ თანმიმდევრულად დავალაგებთ დასაწყისიდან-ბოლომდე. მოვალეობის წარმოშობის მიზეზებისა და შედეგების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით. შეიძლება სწორხაზოვნად ჩამოყალიბდეს.

მაგ. ენის შემსწავლელებს საჭიროა საკითხავ და საწარმოთქმო მასალად მიეწოდოს ისეთი სიტყვები, რომლებიც ხშირად ეშლებათ. მაგ. თ -ტ, თარი -

ტარი, თარო - ტარო, პაქტი - ფაქტი, ქარი - კარი, ქულა-კულა, და ა.შ.

ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს მოულოდნელი შეცდომების თავიდან აცილებასა და სიტყვების სწორად წარმოთქმას.

სასურველია, ლექტორმა ჩაინიშნოს ყველა ის შეცდომა, რომლებსაც ენისშემსწავლელები უშვებენ ზეპირმეტყველებისას თუ წერისას. ენობრივი კომპეტენციის ზრდასთან ერთად თანდათანობით მოხდება ენობრივი სტრუქტურისა და მექანიზმის გააზრება და მოხდება მათი გამოსწორება.

ზეპირი და წერითმეტყველება განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა ერთი მისდევს მეორეს.

ზეპირმეტყველება არის ხმოვანი მეტყველება და აღიქმება სმენით. მოსაუბრეს უნდა გააჩნდეს სიტყვების საკმარისი მარაგი იმისთვის, რომ შეძლოს თავისი აზრის მკაფიოდ და კონკრეტულად გამოხატვა.

წერითმეტყველება კი გრაფიკული მეტყველებაა, რომელიც განსაზღვრულია ხედვით აღქმაზე. ორივე შემთხვევაში გვჭირდება საკმაოდ კარგი დაფიქრება, როგორც ტექსტების, ასევე სავარჯიშოების შერჩევაში.

დასკვნა

ამრიგად, ორიენტაცია საგანზე, ყველას მიმართ ერთნაირ მოთხოვნებზე, სწავლის მეთოდების სწორი შერჩევა, ესატყვისება მათი ცოდნის დონეს და გამოყენებული სტრატეგიები, მეტად მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის, რათა დაუსახოს მათ რეალისტური დაძლევადი ამოცანები და მიზნები.

ლექტორთა მიერ სტუდენტთა ცოდნის დონის გათვალისწინება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს წარმატებას სწავლებასა და სწავლაში.

ლიტერატურა:

1. თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე - „ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკა“, თბ., 2013 წ.
2. მ. ინასარიძე - „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედ-რო¬ვე მეთოდები“, თბ., 2006 წ.
3. ქართული ენის ელექტრონული სწავლების კურსი
4. (http://www.ice.ge/web/elearning_geohtm).
5. ბ. ი. ფედოროვი - „ლოგიკური კულტურის ელემენტები“, მოსკ., 2001 წ.

Some aspects regarding the purpose of integrated language teaching

Manana Kajaia, Associate Professor
Georgian Technical University

Mariam Kvrivishili, Senior Teacher
Georgian Technical University

Summary

The paper discusses some aspects of language and subject teaching, especially with regard to the issues that lecturers and teachers need to consider while selecting teaching materials. Attention should be paid to student teaching style, types of intelligence, lesson planning, etc.

The goal of integrated language teaching is to master the state language at the appropriate level. This is due to the well-selected material considering different levels. The advantage of the learning process is orientation and comprehension, not perception and memory. It all comes down to result-oriented teaching.

Keywords: integrated, style, intelligence, scenes, role.

აღორძინების ხანის მწერლობა, მისი ძირითადი მიმართულება და დანიშნულება

ინგა ზოიძე, დოქტორანტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია აღორძინების ხანის ქართული მწერლობის პერიოდებად დაყოფის საკითხები და თეორიის მართებულობა, მისი უარ-ყოფითი და დადებითი მხრეები. ყურადღება გამახვილებულია ასევე, იმ სამსჯელო საკითხებზე,რომელიც ეხება საერო და სასულიერო მწერლობას შორის მიჯნებს. წამოწეულია ის პრობლემატური თეორია, რომლის მი-ხედვითაც შუასაუკუნეობრივი გაგებით, შემოქმედი,ისევე როგორც სოციუმის ყველა წევრი, თავს ორიგინალური მთლიანობის ნაწილად მიიჩ-ნევს. გაანალიზებულია რეალიზმის გაგების თავისებურებანი ქართულ ლიტერატურაში. კერძოდ, აღორძინების ხანის მწერლობაში,რომელთაც გააერთიანეს სულიერი და მატერიალური ღირებულებანი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ადამიანის როლი აღორძინების მწერ-ლობის ზღურბლზე, რომლის ამოსავალიც მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო. აქედან გამომდინარე, სტატიაში ძირითადი ყურადღება გადატა-ნილია XVI-XVIII საუკუნის საქართველოს ,როგორც სოციალურ, ასევე პოლიტიკურ ვითარებაზე,რომელმაც ახალი პოლიტიკური იმპულსები გაუხსანა ქრისტიანულ მწელობასა და მის როლს ქართულ ლიტერატურაში და შემდგომში ღრმა პოლიტიკური დატვირთვა მიიღო,როგორც ქვეყნის ერთიანობისათვის, მისი გამოფიზლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთმა სიმბო-ლომ. მიმოხილულია ის მიმართულებანი მწერლობაში,რომლის ჩამოყა-ლიბების მიზეზებიც არსებულმა პოლიტიკურმა თუ სოციალ-ეკონომიკურმა ვითარებამ გამოიწვია.მაგალითად, ქება, იგვ- არაკი, გაბაასება და სხვ.

დასკვნის სახით ხაზგასმულია, ,რომ თითოეული საკითხი, მიმართულება თუ პრობლემა,რომელმაც დაიმკვიდრა ადგილი ქართულ ლიტერატურაში, ხალხის პირქუში ბედის აღმწერია. ქართულმა მწერლობამ ყველა ეპოქაში აჩვენა ის ისტორიული გზა,რომელიც ქართველმა ხალხმა სირთულეებით გაირა და ამ მხრივ გამონაკლისი არც აღორძინების ხანის მწერლობა ყოფილა. ქართულმა ლიტერატურამ აჩვენა გზა ხსნისა ,რომელიც ქრისტიანულ იდეოლოგიაში,კერძოდ ,"მზის ღმერთში" ამოიკითხა.

საკვანძო სიტყვები: გაბაასება, აღორძინება, ტრადიციონალიზმი, პოსტ-ტრადიციონალიზმი, რეალიზმი, კულტურა, ეკონომიკა, ლიტერატურა, მწერლობა.

შესავალი

ქართული მწერლობა სამ პერიოდადაა დაყოფილი,ქართველ მეცნიერთა შორის ეს დაყოფა გარკვეულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და უამრავ კითხვას ბადებს. მწერლობის ამ მეთოდით დაყოფა მართებული და მიზანშეწონილია თუ არა ძველ მწერლობაში სასულიერო და საერო ხასიათის ნაკადთა ერთმანეთისგან გამოყოფა? ხომ არ უნდა დავუბრუნოთ სასულიერო მწერლობას მისი ფუნქციური დატვირთვის გამომხატველი ტერმინი - საეკლესიო || სამღვდელო? სადავოდ იქცა ქართული მწერლობის ცალკეულ პერიოდთა მიჯნებისა და მათი სახელდების საკითხიც. (ლ. გრიგალაშვილი; კვლავ ძველი ქართული მწერლობის პერიოდებისა და მიჯნებისათვის.http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/laura%20grigolashvili.pdf(ნანახია 8.07.2010),თუმცა უნდა აღინიშნოს ,რომ კლასიფიკაცია ეფუძვნება ლიტერატურის შინაარსობრივ-ფორმალურ დონეებს. ამ კლასიფიკაციის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინები: წინარეფლექსიური ტრადიციონალიზმი, რეფლექსიური ტრადიციონალიზმი და პოსტტრადიციონალიზმი. აქვე საყურადღებოა ,რომ ახლისაგან განსვავებით ძველი მმწერლობისათვის დამახასიათებელია მსოფლმხედველობითი სიმწყობრე და მთლიანობა.

ძირითადი ნაწილი

ამ წანამძღვრებზე დაფუძნებული კონცეფცია ადამიანისა, ავტორისა და მკითხველის მსოფლშეგრძნებათა და ესთეტიკური ხედვის სრული თანხვედრა, ფაბულისა და სიუჟეტის ურთიერთომიმართების სპეციფიკა, რეალიზმის თავისებური გაგება.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ძველი მწერლობა თავისი ტრანსფორმაციით ქმნის საფუძველს ახალი ესთეტიკური პრინციპების დამკვიდრებისათვის. აქვე საინტერესოა, როგორია ავტორის შემოქმედის დატვირთვა შუასაუკუნეების კულტურაში და რა დატვირთვა ექნება მას ახალ დროში. შუასაუკუნეობრივი გაგებით, შემოქმედი, ისე როგორც სოციუმის ყველა წევრი ,თავს ორიგინალური მთლიანობის ნაწილად მიიჩნევს. შუა საუკუნეების კულტურას მსჭვალავს თვალსაზრისი, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი და ერთპიროვნული ავტორი ღმერთია, სხვები ღვთაებრივი შემოქმედების ამხსნელები, კომენტატორები არიან.

განსვავებულია რეალიზმის გაგებაც ძველ ქართულ მწერლობაში. აქ რელიზმი ზეგრძნობადი სინამდვილეა. შემოქმედის აღქმაში ერთიანდება სულიერი და მატერიალური ერთიანობა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მწერლობის დაყოფას ასეთ პერიოდებად,თავად ლიტერატურის განვითარების ეტაპები გვკარნახობს და კორნელი კეკელიძის მიერ დაყოფა ამ პერი-

ოდებად,ზოგადად არ მოითოვს შესწორებას,გარდა იმისა ,რომ მეტ კონკრეტიკას თუ არ დავამატებთ.

მესამე პეროიდში დამწერლობისა ლიტერატურის ზღურბლზე დგას ადამიანი,რომელიც მწერალი შეიძლება სრულიადაც არ გამხდარიყო,თუ ბედს მისთვის უფრო ფართო სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ასპარეზი არ წარემართა,ერთ-ერთი ყველაზე ვაჟკაცური იარაღის, ხმლის, გაცვლა ბატის ფრთის კალამზე ადვილი არ უნდა ყოფილიყო მისთვის. სამწუხაროდ, ასეთი ბედი ერგო თეიმურაზ მეორესაც, სხვა მეფე -პოეტების მსგავსად. ამოსავალი კი სწორედ მძიმე პოლიტიკური მემკვიდრეობა გახლავთ, რომელიც წილად ერგო მეფეს. და ეს მძიმე იტორიული ეპოქა აისახა ქართული მწერლობის მესამე პერიოდზე.

როგორი იყო სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული ვითარება ჩვენი ქვეყანის დამწერლობის მესამე პერიოდში.ქართული დამწერლობის ეს პერიოდი იწყება მე-16 საუკუნეში და გრძელდება მე-18 საუკუნის დასასრულამდე.

ამ პერიოდის საზოგადოებაში სოციალური აზრი იგივე რჩება, როგორც წინა პერიოდებში. ფეოდალური ხაზი ორი მიმართულებით აისახება ,ესაა საერო და სასულიერო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად თავისი პოლიტიკური მდგომარეობისა ,საქართველოს ეკონომიკის დინამიურობა არასტაბილური იყო ,განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ ამ პერიოდში ვითარდება აღებ-მიცემობა,სოფლის მეურნეობა,ეს განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევარიდან იჩენს თავს. ცნობილია,რომ ევროპის კაპიტალს აღმოსავლეთისაკენ გზას უკაფავდა ეკონომიკური ურთიერთობები, განსაკუთრებულად ძლიერია ამ პერიოდში ვაჭართა წრე. ხოლო რაც შეეხება პოლიტიკურ ვითრებას საქართველო ამ პერიოდში დაყოფილია სამ სამეფოდ:ქართლი კახეთი და იმერეთი.სამწუხარო, ამ პერიოდში ხშირი გახლდათ შიდა არეულობა ქიშპობა ძმათა შორის შუღლი, რომელსაც ართულებდა დაპირისპირება ეკლესიასთან,რომელიც ამ პერიოდში სახელმწიფოში სახელმწიფოს წარმოადგენდა. მთელ ამ მოუსვენარ და მგზნებარე კონტექსტში ჟამიდან ჟამს თავს წამოჰყოფდა ხოლმე ბნელეთის ძალების ნებაყოფლობითიმსახურება, როდესაც ძალაუფლებისა და ქონებისათვის სულის ხსნაზეც ამბობდნენ უარს. რადიკალური რელიგიური დაძაბულობა იმ ეპოქისა და გეოგრაფიული გარემოს ბუნებრივი მდგომარეობა იყო და ღვთის სასუფევლისაკენ სვლის ექსტატური ფორმების მრავალსახეობას აღძრავდა, სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილი ასეთი ვითარება ყურადღების მიღმა არ დარჩენილა, ამიტომაც წინა პლანზე წამოიწია ეროვნული მთლიანობის მისწრაფება. აღნიშნულმა ვითარებამ განსაზღვრა ეროვნული მოტივების შემოტანა ქართულ მწერლობაში, რომელთაც ზედმიწევნით

ზუსტად აღწერეს ქართული ჭირ-ვარამი. ეს მოტივები სწორედ ჩვენი ქვეყნის ბედის გამომხატველია. ჩნდება ახალი ლიტერატურული მიმართულებანი, ფეოდალურ-რაინდული ფანტასტიკის გვერდით ამ დროს თავს იჩენს ახალი რეალისტური მიმართულება,ფანტასტიკის ნაცვლად ლიტერატურა თხოულობს ახალ,მართლის თქმის პრინციპს,რომელიც თანამედროვეთა პირით გმობს ნაჭორ ამბებს,რომელნიც ხარჯავდნენ დროს ისეთი ამბების აღწერაზე ,რომელიც არც იყო და არც მომხდარა(არჩილი,თეიმურაზ მეორე), სამეფისკარო არისტოკრატიის ხელით საფუძვლი ეყრება ახალ კულტურას და რომელიც ეპოქის სულისკვეთებით იყო გამოწვეული. ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობა უკიდურესად ამცირებდა პოეტური ფანტაზიის განვრცობის მასშტაბს.

ამ პოეტიკური კანონების შედეგად ლიტერატურამ მიიღო დიდაქტი-კური, მკვეთრად ლოგიკური, რაციონალური ხასიათი, ხოლო სალიტერა-ტურო ჟანრები მკვეთრად გაიმიჯნა ერთმანეთისგან სტატუსის,ენობრივი მოდელისა და მკითხველის ნიშნით ახალ ეტაპთან ერთად ლიტერატურაში ჩნდება ახალი ჟანრები, ასეთებია:

ა) საისტორიო ეპოსი

ბ) იგავ-არაკული ჯანრი

გ) მოგზაურობა მემუარები

დ) სატირა

ე) ქება

ვ) გაბაასება.

ქებაში ჩვეულებრივ შემოდის ისეთი თხზულებების წერა,რომლებიც წარმოადგენენ ამათუიმ საგნის ქებას, ან შესხმას. შეიძლება ის საზოგადოდ ხოტბითი პოეზიის განვითარების გამოძახილი იყოს. განსაკუთრებით გავრცელებულია „ანბანთქება ,“ „ხილთაქება“, „სასახლისქება“. არანაკლებ საინტერესოა გაბაასება, სადაც მოქმედ პირებად გამოყვანილია ალეგორიუ ლიფიგურები,მაგალითად:სიცოცლე, სიკვდილი,წუთისოფელი,გაჭირვება ,სიღარიბე,ასეთი ჟანრის გაბატონება გამოწვეულია ეპოქაში გაბატონებული დიდაქტიკურ-მორალური ტენდენციით ,რომელსაც მიზნად ჰქონდა ცხოვ-რების გარდაქმნა ამა თუ იმ მიმართულებით (ქართული ლიტერათურის ისტორია ტ.2-გვ.318) .

საისტორიო ეპოსი განსაკუთრებული უნუგეშობით გამოირჩეოდა ,რაზეც ამ დროის მწერლები ცრემლსა ღვრიან ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალ -პოლიტიკური ვითარების გამო. ისინი მისტირიან წარსულს და წყევლ -კრულვას უგზავნიან იმ პირებს ,ვისი ხელიც ურევია ამ საქმეში . პოეტები აღიარებენ, რომ პოლიტიკურ თუ სხვა არასასიამოვნო ვითარების გამძაფრების წყარო არანაკლები დამნაშავე მლიქვნელი ადამიანებია.

ამ დასკვნამდე პოეტები მიიყვანა მისმა თანამედროვე ცხოვრებამ, როდესაც ჩვენი ქვეყანა ,,ავის ენის“ წყალობით შუღლის, მტრობისა და გაუტანლობის ასპარეზად იყო გადაქცეული . თუკი რაიმეთი გვაოცებს ჩვენი XVI-XVIII საუკუნეები, ეს არის ის დრამატული მოქნილობა, რომლითაც ჩვენი მოღვაწეები ცდილობდნენ თავსდამტყდარი ისტორიული გარემოებებიდან თავის დაღწევას და კულტურის სხეულში ცოცხალი წერტილების მოძებნასა და გაღვივებას. ამ ვითარებაში მხოლოდ ერთეულებს ესმოდათ კარგად,რომ მთელი ყურადღების მიმართვა ძველ და უკვე ისტორიულ საზრისს მოკლებულ სახეთა, სიმბოლოთა თუ პარადიგმათა შენარჩუნებაზე შეუძლებელია, სწორედ ამ ნიადაზე წარმოიშვა საისტორიო ეპოსი.

შუა საუკუნეების ყველა სხვა სახესთან ერთად პოპულარული იყო იგავ-არაკიული ჟანრი და რომლის ფუძემდებლად სულხან-საბა ორბელიანი გვევლინება.იგავარაკული ჟანრის ნაწარმოებებები არ ატარებს მკითველისათვის განსაკუთრებული სიამოვნების მინიჭების დანიშნულებას, რადგან მათში უფრო მეტი სიბრძნე და დამრიგებლობაა ჩაქსოვილი ,ვიდრე სხვა ნაწარმოებებში.იგავარაკები ყველა კულტურულ ქვეყანაში იყო გავრცელებული, მაგალითად:ძველ აღმოსავლეთში,,ძველ საბერძნეთში,(ეზოპე),აღორძინების ხანის საფრანგეთში(ლაფონტე),იგავარაკული ჯანრი საქართველოში სათავეს იღებს აღმოსავლეთში სახელგანთქმული იგავარაკთა კრებულის „ქილილა და დამანას გადმოთარგმნით,რომელსაც საკმაოდ დიდი ზა გაუვლია,სანამ ქართველთა ყურადღებას მიიპყრობდა, ინდოეთი არაბეთი,ირანი,აი ის გზა ,რომელიც გამოიარა ამ ნაწარმოებმა,სანამ ქართულ-მხატვრულ ლიტერატურაში იპოვიდა სათანადო ადგილს, მის ქართულად გადმოღებაში დიდი წვლილი მიუძღვის ვატანგ მეექვსეს,საქართველოში გამოჩნდა ასეთი მეიგავე ,რომელმაც შექმნა ბრწყინვალე კრებული იგავ-არაკებისა,რაშიც ნათლად იჩენს თავს ავტორის განმანათლებლური იდეები.ის ქადაგებს აღზდის დემოკრატიულ პრინციპებს და აკრიტიკებს მანკიერებას ,ზნეობრივ და სულიერ დაცემულობას.იგავ-არაკი სიბრნის გადმოცემის საშუალებებია ,რომელიც განსხვავდება სხვა ჟანრებისაგან.მასში ძირითადად არის მისწრაფება სოციალური ყოფისა და პრობლემის აღწერისაკენ.

აქვე უნდა აღინიშნოს ,რომ ავტორები არსებული რეალობის ასახვის სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ მაგალითად ,სატირა, რათა ერთხელ კიდე მოეხდინათ ზემოქმედება თანამემამულეთა გადაგვარებული ეროვნული სულისკვეთების გამოფხიზლებაზე. ისინი არ იშურებდნენ რჩევა -დარიგების პარალელურად გაექილიკებინათ, დაეცინათ მათი მანკიერი ბუნება და ამით გაეხსენებინათ ის წმინდა ადამიანური ბუნება ,რომელიც ოდესმე არსებობდა მათ წინაპრებში,ისინი ცდილობდნენ ამ გზით განეკურნათ თანამემამულეთა „მანკიერი სული“.

უნდა აღინიშნოს,რომ მხოლოდ ქილიკითა და ჭკუის სწავლებით არ შემოიფარგლება ქართული ლიტერარურის ეს პერიოდი. აქ არანაკლები პოპულარობით გამოირჩევა ქება,რომელიც გამოძახილი უნდა ყოფილიყო ხოტბითი პოეზიის განვითარებისა. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება „ანბანთქება“,“ხილთა ქება“ და „სასახლის ქება“.აღსანიშნავია,რომ ამ პერიოდში უპირატესობა ენიჭება პოეზიას. თვით ისტორიული პრზოაული ნაწარმოებებიც კი ილექსებოდა.

დასკვნა

ამრიგად, თითოეული მიმართულება, რომელმაც ქართულ ლიტერა-ტურაში დაიმკვიდრა ადგილი, ქართველი ხალის პირქუში ბედის აღმწერია. ეს არის ის გზა ,რომელიც ქართველმა ხალხმა სისხლითა და ოფლით მორწყო „თუ ქართველი ხალხი ცოდვილი და უბედურია, ეს იმიტომ, რომ მთელი კაცობრიობაა ცოდვილი და უბედური. საქართველოს ხსნა შეიძლება მხოლოდ მთელს მსოფლიოს ხსნასთან ერთად ,ხოლო კაცობრიობის ხსნის საწინდარს წარმოადგენს სინათლის ღმერთის ,.. ,მზეთა -მზის საბოლოო გამარჯვება ბნელეთის ძალებზე“(გ.ქიქოძე ;ლიტერატურული წერილები და პორტრეტებიგამომცემლობა საბჭოტა საქართველო1963 გვ.59).ვფიქრობთ, ეს გამარჯვება საბოლოოდ დაკავშირებულია ქვეყნის ხსნის იდეასთან, ამ იდეას ემსახურებოდა თეიმურზ მეორის შემოქმედებაში ახალი სტილი- გაბაასება, აღორძინების ხანის მწერლები გაბაასებას თვითმიზნური გატაცებით კი არ მიმართავდნენ გაბაასების ამ ხერხით (არჩილი,თეიმურაზ II), ცდილობდნენ თავიანთი ეპოქის აქტუალური საკითხების გადაწყვეტას. ცხადია, რომ ძველი ქართული მწერლობა, კერძოდ აღორძინების ხანის მწერალი,არ იყო ვიწრო დოგმატურ სალტეებში მოქცეული, რომ ადამიანური მორალი მას ფართო ჰუმანისტური თვალსაზრისით ჰქონდა გაგებული. და ბოლოს, უნდა ითქვას ,რომ ქართულმა ლიტერატურამ ზუსტად გადმოსცა ქართველი ხალხის პირქუში ბედი, ველა ეპოქის ის ისტორიული გზა,რომელიც ქართველმა ხალხმა გაიარა. ტრადიციის გამგრძელებელია აღორძინების ხანის მწერლობა,რომელმაც ქართულ საზოგადოებას აჩვენა გზა ხსნისა და რომ ამ გზას აღორძინების ხანის მწერლობას გამართლებულად „განმანათლებ-ლობის ეპოქას “უწოდებენ.

ლიტერატურა:

1. აფრიდონიძე თ., მართლმადიდებლობა და ქართული ეროვნული ცნობიერება. თბილისი,2006:
2. ბარამიძე ალ., რეალისტური ნაკადის შესახებ XVII-XVIII სს. ქართულ ლიტერატურაში, ლიტერატურული ძიებანი, თბილისი, ტ. IX,1955:
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები; http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/2957/1/SakartvelosIstoriisNarkvevebi_Tomi_IV_1973_Nacili_I.pdf .(ნანახია 21.06.2019).
4. ქიქოძე ბ., გაბაასება ველ ქართულ ლიტერატურაში,ბათუმი 1952
5. ქიქოძე გ.,ლიტერატურული წერილები და პორტრეტები,თბ.,1963
6. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია I. შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ. თბილისი,1946
7. ხარაბაძე ე., მეგზური, თბილისი, 1980.

Conversation in Old Georgian Writing

Inga Zoidze, PhD student
Batumi Shota Rustaveli State

Summary

In our work Conversation is studied as one of the genres in Georgian literature, in such compositions there are widely described ethical, esthetical, social and political visions epoch and its peculiarity in old Georgian writings, especially the aspects and influence of its origin. Georgia as the most distinguished country with its historical past and geo political location often suffered from the influence of other cultures. However many researches gave evidence to the fact that Conversation was prevalent genre in Georgian literature and this fact is proved in Georgian folk-lore samples like as improvisation (“kaphioba”).

In our work the parallel is drown between Georgian and Persian samples of this genres, the sample is given by Asady Tusel.

In the work we shortly reviewed about those Georgian kings poets’ works who established the conversation genre in rising period of writing. This genre took an important place in Georgians’ lives.

Finally, we should highlight that this genre was a kind of lyrical writing that used to have didactic function and we consider that it played its role well in this particular aspect.

Key words: conversation, literature, epoch, folk-lore, Persian literature .

სოციოლოგია

SOCIOLOGY

„კონსენსუსი და მიღწევის გზები“, ჯგუფური დისკუსიის შედეგები და ანალიზი

ეკა გვერდწითელი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სადისერტაციო თემაზე „კონსენსუსი და მისი მიღწევის გზები“, მუშაობისას ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კონსენსუსსა და კომპრომისს ერთმანეთისაგან მიღებული შედეგით კმაყოფილების გრძნობა განასხვავებს, იგი ცალსახად სოციალურ ფენომენია და მისი მიღწევისას რა სახის ჯგუფური დინამიკა გამოიკვეთება (ჯგუფის ნორმალიზაცია, პოლარიზაცია თუ გადა-წევა) დამოკიდებულია საკითხის კოგნიტურ და ემოციონალურ მნიშვნელოვნებაზე. ამ პროცესში ჯგუფის დინამიკის წარმართვაზე არსებით ზეგავლენას არ ახდენს არც მონაწილეთა სქესი, არც ასაკი და არც მათი სოციალური სტატუსი. თუმცა, მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორი, როგორიცაა ჯგუფის მონაწილეთა შორის მანამდე და ჯგუფის მიმდინარეობის მანძილზე არსებული ურთიერთობები.

საკვანძო სიტყვები: კონსენსუსი, კომპრომისი, ჯგუფური დისკუსია, ჯგუფური დინამიკა, საკითხის კოგნიტური და ემოციონალური მნიშვნელობა, ჯგუფის ნორმალიზაცია, ჯგუფის პოლარიზაცია, ჯგუფის გადაწევა.

შესავალი

სადისერტაციო თემაზე „კონსენსუსი და მისი მიღწევის გზები“, მუშაობისას ჩვენი კვლევის ინტერესს წარმოადგენდა ერთის მხრივ ის, თუ ჩვენს საზოგადოებაში რამდენადაა მიღებული და მოწონებული საერთო თანხმო-

ბის საფუძველზე, კონსენსუსის გზით გადაწყვეტილების მიღების მეთოდი და მეორეს მხრივ გვაინტერესებდა, თუ რა კანონზომიერებები მოქმედებს ამ პროცესში და რა ტიპის გადაწყვეტილებამდე მივყავართ ამ მეთოდის გამოყენებას, ანუ დისკუსიაში მონაწილე წევრები თუ მიაღწევენ კონსენსუსს და მიიღებენ ყველას მიერ გაზიარებულ გადაწყვეტილებას, როგორი იქნება ის, რადიკალური თუ უფრო გასაშუალოებული და ,,რბილი,, (moderate).

ძირითადი ტექსტი: კვლევის ამ მიმართულებით წარმართვა განსაზღვრა კონსენსუსის ფენომენის შესახებ არსებულმა ორმა თეორიამ. პირველი ესაა კლასიკური თეორია, რომელიც ამბობს, რომ კონსენსუსის მიღწევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ყოველთვის უფრო რბილი და გასაშუალოებულია, ვიდრე შესათანხმებელი საკითხის მიმართ ამ პროცესში მონაწილეთა ინდივიდუალური პოზიციები. მაგრამ, ფრანგი მეცნიერი სერჟ მოსკოვიჩი, რომელმაც საფუძვლიანად იკვლია კონსენსუსის ფენომენი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჯგუფური გადაწყვეტილების შედეგად ჩვენ ვიღებთ მონაწილეთა მოსაზრებების პოლარიზაციას, ანუ თავდაპირველი, პრედომინანტული ინდივიდუალური მოსაზრებების გაძლიერებას, რაც თავისმხრივ განსხვავდება აზრის გადახრისგან (ექსტრემალურად საშუალო მოსაზრებისგან გადახრილი პოზიცია).

კონსენსუსი როგორც ფენომენი ჩნდება ურთიერთმოლაპარაკებისა და შეთანხმების დროს, ამიტომ მის საკვლევად ყველაზე მოსახერხებელი აღმოჩნდა დისკუსიური ჯგუფების გამოყენება. ჩვენ დავაკომპლექტეთ მცირე ზომის ჯგუფები (მინიმუმ ხუთი, მაქსიმუმ ათი წევრით), რომელთაც ეძლეოდათ მასალა რანჟირებისთვის. მათ ჯერ ინდივიდუალურად, ხოლო შემდეგ კი ჯგუფში, საერთო თანხმობის გზით უნდა მოეხდინათ დავალების ფურცელზე მოცემული დებულებების რანჟირება.

ზოგადად საკითხი, რომელიც ემოციური თვალსაზრისით ნეირტალური ხასიათისა, ამარტივებს თანხმობის მიღწევას, ხოლო თუ საქმე მორალურ ღირებულებებს ეხება ადამიანებს უფრო უჭირთ შეთანხმება. ამიტომ, ამ ტენდენციის გამოკვეთის მიზნით ჩვენ ჯგუფებში გამოვიყენეთ ორი ტიპის სამუშაო მასალა, ე.წ. ,,15 თემიანი დავალება,, (შედარებით ნეიტრალური და ნაკლებ ემოციური თემებით) და "ექიმის დილემა" (სადაც არ არსებობს ობიექტური კრიტერიუმი სწორი და არასწორი პასუხების განსაზღვრისათვის).

ამგვარად, ჩვენ დავაკომპლექტეთ 11 სამუშაო ჯგუფი, სადაც 5 ჯგუფი შედგებოდა ქალებისგან, 3 მამაკაცებისგან, ხოლო 3-ში კი ორივე სქესის მონაწილეები იყვნენ. ამასთან ზოგიერთ ჯგუფთან შევიტანეთ როგორც „15 თემიანი დავალება", ასევე "ექიმის დილემაც", შედეგად მივიღეთ 18 ჯგუფური დისკუსიის შედეგი (9 - ,,15 თემიან დავალებაზე, და 9 - მორალურ დილემაზე,,).

ჯგუფში წარმოქმნილი დინამიკის კარგად გამოკვეთის მიზნით ჩვენ თითოეული რანგის მინიჭებაზე მიმდინარე დისკუსია ავიღეთ როგორც ცალკეული შემთხვევა და ამგვარად საბოლოოდ მივიღეთ 196 მონაცემი (15 თემა გამრავლებული 9 ჯგუფზე, პლიუს 7 პაციენტისთვის მისანიჭებელი რანგი გამრავლებული 9 ჯგუფზე. თუმცა ერთმა ჯგუფმა ვერ მიაღწია ორი საკითხის შესახებ თანხმობას, ამიტომ ეს ორი მონაცემი გაუქმდა და ჯამში მივიღეთ 196 მონაცემი).

კონსენსუსი, რომელიც კომპრომისისა და მსგავსი ფსიქოლოგიური მოვლენებისგან დამოუკიდებელ და მათგან განსხვავებულ ფენომენს წარმოადგენს - ხშირად მათთან ერთად ერთსა და იმავე ჭრილში განიხილება. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად, სხვა ფაქტორებს შორის, მოხდა სწორედ ამ მნიშვნელოვანი ასპექტის ხაზგასმა, რომ კონსენსუსსა და კომპრომისს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ პირველი მათგანი აუცილებლობით მოიცავს ინდივიდში შინაგანი კმაყოფილების განცდის არსებობას, ხოლო მეორე - ამგვარი ფაქტორის არსებობას არ გულისხმობს რაც, როგორც უკვე აღინიშნა, კონსენსუსის ფენომენის იდენტიფიცირებისათვის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა კონსენსუსის მიღწევის სპეციფიკა და მახასიათებლები როგორც მაღალი მორალური დატვირთვის, ასევე - შედარებით უმნიშვნელო საკითხებთან მიმართებით. იგივე ეხება მაღალი ემოციური ჩართულობის გამომწვევ (ემოციური ვალენტობა) თემებსა და შედარებით დაბალი ემოციური ჩართულობის განმაპირობებელ საკითხებს (იგულისხმება „15 თემიანი დავალების“ და „მორალური დილემის“ თემები და საკითხები). თუმცა, პირველ ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს ჩვენს მიერ წინასწარ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების სრული არარელევანტურობა „15 თემიანი დავალების“ და „მორალური დილემის“ საკითხებზე ჩატარებულ სამუშაო-სადისკუსიო ჯგუფების შედეგებს შორის. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფების ჩატარებამდე წინასწარი გამოკითხვის ფარგლებში კვლევის მონაწილეთა თითქმის ნახევარი საუბრობდა მათთვის კონსენსუსის გამოყენების მისაღებობაზე, ხოლო მეორე ნახევარი - მიუღებლობაზე, სადისკუსიო ჯგუფებში ჩართვისას ამ ასპექტმა ვერავითარი ზეგავლენა ვერ იქონია ჯგუფების მიერ საბოლოოდ კონსენსუსის მიღწევის უნარზე. კონსენსუსი თითქმის ყველა ჯგუფში იქნა მიღწეული როგორც „15 თემიანი დავალების“, ასევე - „მორალური დილემის“ ყველა ამოცანასა და საკითხთან დაკავშირებით. აქედან, ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ კონსენსუსის ფენომენთან დაკავშირებული განწყობების კვლევა ინდივიდების დონეზე - უსარგებლოა, ვინაიდან კონსენსუსი ცალსახად სოციალურ ფენომენს წარმოადგენს, რომელიც ინტერაქციაში

უნდა აღმოცენდეს. ამდენად, კონსენსუსის ფენომენის საკვლევად ხელსაყრელია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც მოიცავს სოციალურ ინტერაქციებს.

სწორედ კონსენსუსის სოციალური ფენომენობიდან გამომდინარეობს ჩვენი კვლევების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი ტენდენციები კონსენსუსის მიღწევისას ჯგუფურ დინამიკასთან მიმართებით. ჩვენს მიერ ჩატარებული სადისკუსიო ჯგუფების შედეგად („15 თემიან დავალებასა“ და „მორალურ დილემაზე“) აღმოჩნდა, რომ ჯგუფები სხვადასხვაგვარად რეაგირებდნენ ამა თუ იმ საკითხზე კონსენსუსის მიღწევის საჭიროებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფების აბსოლუტურ უმრავლესობაში (გარდა ორი გამონაკლისისა) ყველა თემასა და საკითხზე მოხერხდა საბოლოოდ კონსენსუსის მიღწევა, ამ საკითხებზე კონსენსუსის მიღწევის პროცესში გამოკვეთილი ჯგუფური დინამიკა - საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. კერძოდ, „15 თემიანი დავალების“ იმ თემებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეებში მაღალ ემოციურ ჩართულობას იწვევდა - თითქმის ყოველთვის ჯგუფური დინამიკის პოლარიზაციას ჰქონდა ადგილი. ხოლო იმ თემებზე კი, რომლებიც ნაკლები ემოციური მუხტის მატარებელი იყო - ადგილი ჰქონდა ჯგუფური დინამიკის ნორმალიზაციას ან გადაწევას. გარდა ამისა, იმ თემებზე, რომელთაც ჯგუფების მონაწილეებმა შედარებით მაღალი (კოგნიტური) მნიშვნელოვნება მიანიჭეს, ძირითადად ჯგუფური დინამიკის ნორმალიზაცია ვლინდებოდა; ხოლო შედარებით დაბალი აქტუალობის მქონე თემებზე კი - გადახრა (ექსტრემიზმი). შედეგად გამომდინარეობს დასკვნა, რომ თემატიკას, რომელთან დაკავშირებითაც უნდა მოხდეს კონსენსუსის მიღწევა, ნაკლებად აქვს კავშირი კონსენსუსის მიღწევის ალბათობასთან (ვინაიდან ჩვენს მიერ ჩატარებულ სადისკუსიო ჯგუფებში ფაქტობრივად ყველა თემაზე ხერხდებოდა კონსენსუსის მიღწევა) - თემატიკის ემოციური და კოგნიტური მნიშვნელოვნება არ ახდენს ზეგავლენას კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობაზე, არ ამცირებს კონსენსუსის მიღწევის შანს და არ აბრკოლებს პროცესს. თუმცა, თემატიკის ემოციური დატვირთვა და კოგნიტური მნიშვნელოვნების დონე ნამდვილად ახდენს ზეგავლენას იმაზე, თუ რა მიმართულებით განვითარდება მასთან დაკავშირებული კონსენსუსის მიღწევის პროცესი სოციალურ ჯგუფში - ანუ როგორ განვითარდება ჯგუფის დინამიკა - პოლარიზაციის, ნორმალიზაციის თუ გადაწევის (ექსტრემიზმის) მიმართულებით.

ეს უკანასკნელი წარმოადგენს გარკვეულ სიახლეს კონსენსუსის ფენომენის კვლევასთან დაკავშირებით, რომელიც აქტუალურია ერთის მხრივ დაინტერესებულ მკვლევართათვის, ხოლო მეორეს მხრივ - შრომითი დაწესებულებების და ორგანიზაციებისათვის. მკვლევარებისთვის კონსენსუსის მიღწევის გზების სპეციფიკის ცოდნა მნიშვნელოვანია საკუთრივ კონსენსუ-

სის ფენომენის სიღრმისეული შესწავლის და მასთან დაკავშირებული ძირითადი ცვლადების და ასპექტების დადგენისათვის სხვადასხვა სოციალურ თუ სოციო-კულტურულ გარემოში, თუმცა საკითხის მნიშვნელოვნება არ შემოიფარგლება მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულებით. კონსენსუსის მიღწევისას ჯგუფური დინამიკის სპეციფიკის ცოდნა პოტენციურად დიდ დახმარებას გაუწევს მაგალითად სხვადასხვა ორგანიზაციის მცირე, საშუალო და მაღალი რანგის მენეჯერებს და ასევე ყველა იმ პირს, რომელთაც თანამშრომელთა/მომუშავეთა გარკვეულ ჯგუფზე ეკისრებათ პასუხისმგებლობა. ნებისმიერ შრომით გარემოში, სადაც არსებობს მომუშავეთა შორის ინტერაქცია და გარკვეულ საკითხებზე შეთანხმების მიღწევის საჭიროება (ასეთი კი შრომითი ორგანიზაციების სრული უმრავლესობაა), ადრე თუ გვიან, დგება შეთანხმების მიღწევის სირთულეები ანდა შეუძლებლობა, რასაც მოსდევს კონფლიქტი და დაძაბულობა როგორც თანამშრომლებს შორის, ასევე - თანამშრომლებსა და მენეჯმენტს შორის. ამ ყოველივეს შედეგი კი ორგანიზაციის არაეფექტურობა და საბოლოოდ - წარუმატებლობა შეიძლება გახდეს. ამდენად, როგორც მნიშვნელოვან, ასევე - რიგით გადაწყვეტილებათა მიღებისას, გადაწყვეტილების პროცესში მონაწილე მომუშავეთაგან შემდგარი ჯგუფების დინამიკის სპეციფიკის ცოდნამ და მისი შესაძლო განვითარების გზების ცოდნამ - შესაძლოა დიდი დახმარება გაუწიოს მენეჯმენტს შრომითი პერსონალის ეფექტურ მართვასა და რეგულაციაში.

აქვე, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ, როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, ჯგუფის წევრთა თავდაპირველი მოსაზრებების გასაშუალოება და ამ გზით ჯგუფური დინამიკის ნორმალიზაცია ძირითადად იმ შემთხვევაში მიიღწევა, როდესაც გადასაწყვეტი საკითხის მნიშვნელოვნება (კოგნიტურ დონეზე) არის მაღალი ან საშუალო, ხოლო ემოციური დატვირთულობა - არის შედარებით დაბალი. ამდენად, სხვადასხვა ორგანიზაციის მენეჯმენტისათვის სასარგებლო იქნება იმის ცოდნა, რომ საკითხის მეტისმეტად მაღალი ემოციური ვალენტობის (მნიშვნელოვნების) შემთხვევაში, როგორც წესი, არ უნდა მოველოდეთ, რომ ჯგუფი სრულად რაციონალურ და ლოგიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს და მათი მსჯელობა ჯგუფური დინამიკის ნორმალიზაციის მიმართულებით წარიმართება. ამიტომ, ვიდრე სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას ვანდობდეთ იმ ჯგუფის წევრებს, რომელთაც ამ ამოცანის გადაჭრა ევალებათ, შესაძლოა სასარგებლო იყოს საკითხის განტვირთვა მაღალი ემოციური ვალენტობისაგან - მისი რაციონალიზაციის გზით (თუკი ჯგუფური დინამიკის ნორმალიზაციის მიღწევაა ჩვენი ძირითადი მიზანი).

ინტერესს მოკლებული არ იქნება ავღნიშნოთ ისიც, რომ ზოგ შემ-

თხვევაში, როდესაც გარემოებიდან გამომდინარე, საჭიროა რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება ჯგუფის მიერ, ამას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საკითხის ემოციური დატვირთვის გაზრდა, თუკი მისი თავდაპირველი ემოციური ვალენტობა არ არის მაღალი. ასეთი შესაძლოა იყოს მაგ. ინდივიდის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სიცოცხლესთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები; გაკოტრების რისკის ქვეშ მყოფი კომპანიის საკითხების სწრაფი გადაჭრის აუცილებლობა; მაღალი მნიშვნელოვნების მქონე სარისკო გადაწყვეტილებების სწრაფი მიღების აუცილებლობა ჯგუფის მიერ და ა.შ.

ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ კონსენსუსის მიღწევის პროცესში, ჯგუფის დინამიკის წარმართვაზე არსებით ზეგავლენას არ ახდენდა არც მონაწილეთა სქესი, არც ასაკი და არც მათი სოციალური სტატუსი. სამაგიეროდ, გარკვეული ზეგავლენის მქონე აღმოჩნდა ისეთი ფაქტორი, როგორიც არის ჯგუფის მონაწილეთა შორის მანამდე და ჯგუფის მიმდინარეობის მანძილზე არსებული ინტერაქცია. ამდენად, გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის წევრებს შორის მანამდე არსებულ ურთიერთობათა სპეციფიკის ცოდნა შეიძლება სასარგებლო იყოს ჯგუფის დინამიკის შესაძლო მიმართულებათა წინასწარი განსაზღვრის და აქედან გამომდინარე - მათ მიერ მიღებული შესაძლო გადაწყვეტილებების პროგნოზირებისათვის.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს სიტუაცია, როდესაც საქმე ეხება ისეთ მნიშვნელოვანი და მორალურად დატვირთული საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა. ამ შემთხვევაში კონსენსუსის მიღწევის პროცესს გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე ინდივიდთა სქესი, ასაკი, სოციალური სტატუსი და სხვა ძირითადი მახასიათებლები - როგორც ჩვენი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მიღებული გადაწყვეტილების ხასიათსა და შინაარსზე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან კი გამომდინარეობს დასკვნა, რომ როდესაც შრომით ანდა უბრალოდ სოციალურ გარემოში საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ადამიანების სიცოცხლის დაცვა და უსაფრთხოება, უნდა მოხდეს გადაწყვეტილების პროცესში მონაწილე ინდივიდთა ზემოთ აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინება და შედეგად, ამგვარი გადაწყვეტილებების მიღების მათთვის მინდობის შესაძლებლობის ანდა პირიქით, არასასურველობის განსაზღვრა. ეს ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი ორგანიზაციების, დაწესებულებების, ზოგ შემთხვევაში კი - სოციალური ჯგუფების ლიდერებისთვისაც, რომელთაც შესაძლოა მუდმივად ან პერიოდულად ეკისრებოდეთ ადამიანის სიცოცხ-

ლისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის რეგულირება.

დასკვნა: თუ დავაჯამებთ ჩვენი კვლევის შედეგად გამოკვეთილ ტენდენციებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

1. კონსენსუსსა და კომპრომისს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ პირველი მათგანი აუცილებლობით მოიცავს ინდივიდში შინაგანი კმაყოფილების განცდის არსებობას, ხოლო მეორე - ამგვარი ფაქტორის არსებობას არ გულისხმობს რაც, როგორც უკვე აღინიშნა, კონსენსუსის ფენომენის იდენტიფიცირებისათვის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს.

2. კონსენსუსის ფენომენთან დაკავშირებული განწყობების კვლევა ინდივიდების დონეზე - უსარგებლოა, ვინაიდან კონსენსუსი ცალსახად სოციალურ ფენომენს წარმოადგენს.

3. თემატიკის ემოციური და კოგნიტური მნიშვნელოვნება არ ახდენს ზეგავლენას კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობაზე, არ ამცირებს კონსენსუსის მიღწევის შანს და არ აბრკოლებს პროცესს.

4. თემატიკის ემოციური დატვირთვა და კოგნიტური მნიშვნელოვნების დონე მნიშვნელოვნად ახდენს ზეგავლენას იმაზე, თუ როგორ განვითარდება ჯგუფის დინამიკა - პოლარიზაციის, ნორმალიზაციის თუ გადაწევის (ექსტრემიზმის) მიმართულებით.

5. ჯგუფის წევრთა თავდაპირველი მოსაზრებების გასაშუალოება და ამ გზით ჯგუფური დინამიკის ნორმალიზაცია ძირითადად იმ შემთხვევაში მიიღწევა, როდესაც გადასაწყვეტი საკითხის მნიშვნელოვნება (კოგნიტურ დონეზე) არის მაღალი ან საშუალო, ხოლო ემოციური დატვირთულობა - არის შედარებით დაბალი.

6. კონსენსუსის მიღწევის პროცესში, ჯგუფის დინამიკის წარმართვაზე არსებით ზეგავლენას არ ახდენდა არც მონაწილეთა სქესი, არც ასაკი და არც მათი სოციალური სტატუსი.

7. კონსენსუსის მიღწევის პროცესში, ჯგუფის დინამიკის წარმართვაზე გარკვეული ზეგავლენის მქონე აღმოჩნდა ისეთი ფაქტორი, როგორიც არის ჯგუფის მონაწილეთა შორის მანამდე და ჯგუფის მიმდინარეობის მანძილზე არსებული ინტერაქცია.

ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი რ., ბანძელაძე მ. სოციალური ფსიქოლოგია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2003 წ.
2. წულაძე ლ. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. სოციალურ მეცნიერებათა სერია. 2008 წ.
3. ზურაბიშვილი თ. თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. სოციალურ მეცნიერებათა სერია. 2007 წ.
4. Питер Гелдерлоос "Консенсус: принятие решений в свободном обществе“
5. А.И. Орлов Теория принятия решений. Издательство "Март" 2004
6. Gelderloos P. Consensus: A New Handbook for Grassroots Social, Political, and environmental Groups. 2006
7. Saint, S., Lawson, J. R. Rules for Reaching Consensus: A Modern Approach to Decision Making. 1994
8. Moscovici S. Doise W. conflict and consensus. (1994) SAGE Publications
9. Tim Hartnett Consensus Oriented Decision Making. 2011
10. Fiery Cushman, Liane Young, and Joshua D. Greene Our multi-system moral psychology: Towards a consensus view
11. Saint, S. and Lawson, J. R. (1994). Rules for Reaching Consensus: A Modern Approach to Decision Making
12. Moore, A. B. and Feldt, J. A. Facilitating Community and Decision-Making Groups 1993

"Consensus and the ways to reach it", Results and Analysis of Group Discussion

Eka Gverdtsiteli, PhD student
Georgian Technical University

Summary

Our research shows, that consensus and compromise are distinguished from each other by a sense of satisfaction from the results. Consensus is a social phenomena and what dynamics we get after a discusion as a result (Group normalization, polarization or extremism) demends on the cognition and emotional meaning of subject. The age, gender and social status are not important factors in this process. However, the relationship between the group members before and during the group discussion is important.

ტრადიციული ჩინური ოჯახის ტრანსფორმაცია

ალექსანდრა ლატარია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ტრადიციული ჩინური ოჯახის ტრანსფორმაცია ერთ-ერთი საინტერესო თემაა მკვლევარებისთვის და მეცნიერებისთვის.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ქალაქში მცხოვრები ოჯახები და ოჯახის ინსტიტუტები განიცდიან ტრანსფორმაციას. ოჯახის ინსტიტუტი ემყარება კონფუციანიზმის მორალს. თანამედროვე ოჯახები, ისევე როგორც ძველად, პატივს სცემენ თავიანთ წარსულს და შთამომავლობას.

ოჯახური ფასეულობები შეიცვალა. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ პროცესში. ქალაქებში ადამიანებმა შეცვალეს დამოკიდებულება ბავშვთა სქესის მიმართ, ახლა ისინი არ ირჩევენ შვილებს სქესის მიხედვით.

ქორწინების ინსტიტუტი უფრო მოქნილი გახდა. ქორწინება აღარ არის დამოკიდებული მშობლების სურვილებზე.

თანამედროვე ჩინური ოჯახის ჩამოყალიბება ჯერ არ დასრულებულა. ყველა ეს ცვლილება პირდაპირ ან არაპირდაპირი კავშირშია ტრანსფორ-მაციულ პროცესებთან.

საკვანძო სიტყვები: ტრანსფორმაცია, ტრადიციული ოჯახი, კონფუცი-ანიზმი

შესავალი

ტრადიციული ჩინური ოჯახი კარგად არის შესწავლილი და ბევრი ნაშრომია ამ თემასთან დაკავშირებით. ბევრ ჩინელ და უცხოელ მეცნიერს იზიდავს ეს ქვეყანა, რომელიც დღითი დღე ვითარდება და იცვლება. აქ საინტერესოდაა შერწყმული ტრადიციები და თანამედროვეობა .

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ქალაქად მცხოვრები ოჯახები და ოჯახური ინსტიტუტები განიცდიან ევოლუციას და უყალიბდებათ თავიანთი სპეციფიკური ნიშნები. ოჯახური ინსტიტუტები ეყრდნობა კონფუციანიზმის მორალს.

ჩინეთში ცნობილი გამონათქვამია: „ჯერ წესრიგში მოიყვანე შენი ოჯახი და მერე მართე შენი ქვეყანა.“

ჩინეთში ოჯახის 4 ტიპია:

- რთული ოჯახი: ერთად ცხოვრობს რამდენიმე თაობა, დედ-მამის გარდა სხვა ნათესავებიც (დეიდები, ბიძები, მამიდები)

- ძირი ოჯახი: მშობლები, მეუღლეები და ბავშვები ცხოვრობენ ერთად, სხვა ყველა ნათესავი ცალკე
- მთავარი ოჯახი: ცოლ-ქმარი და მათი დაუოჯახებელი შვილები ცხოვრობენ ერთად.
- მარტოხელა ოჯახი: ადამიანები რომლებიც ცხოვრებენ მარტო განქორწინების ან მეორე ნახევრის გარდაცვალების შემდეგ.

ძირითადი ნაწილი

გლობალიზაციამ და საბაზრო ეკონომიკურმა რეფორმება, გახსნილობამ შეცვალა ჩინური ოჯახების ტიპები და სტრუქტურა, განსაკუთრებით კი ქალაქში მცხოვრები ოჯახების. იგრძნობა დასავლური კულტურის ზეგავლენა. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა განქორწინებაც და მეორედ დაქორწინებაც.

ქალაქებში მოიმატა განქორწინებებმა. „ღიაობის“ პოლიტიკისა და სხვადასხვა რეფორმების შემდეგ დაიწყო ჩინელების შიდა მიგრაცია. ახალგაზ-რდებმაა დაიწყეს დიდ ქალაქებში გადასვლა, მილიონობით ახალგაზრდა საერთოდ გადავიდა საზღვარგარეთ სასწავლებლად, 3 მილიარდი გლეხი თავიანთი სოფლიდან გადავიდა ქალაქში სამუშაოდ და იქ დაფუძნდა.

ჩინეთის ქალთა ფედერაციის ბრიფინგი ჩატარდა 2015 წლის 22 დეკემ-ბერს, სადაც შეფასდა ოჯახში ბავშვების აღზრდის დონე და მდგომარეობა. კვლევები ჩატარდა ჩინეთის 98 ქალაქში.

გამოიკვეთა შემდეგი საკითხები :

- ოჯახში ბავშვების აღზრდის მეთოდები გაუმჯობესდა წინა წლებთან შედარებით
- ოჯახური განათლების მდგომარეობა გაუმჯობესდა
- მშობლების 90% მიიჩნევს, რომ ოჯახური ურთიერთობები ეს არის პირველ რიგში მეგობრობა.

მშობლები ორიენტირებული არიან აღზრდის დროს :

- შვილებს შეუქმნან კომფორტული ოჯახური ატმოსფერო
- საუკეთესო განათლება მისცენ შვილებს
- ასწავლონ შვილებს მოხუცების პატივისცემა და პატარების სიყვარული
- 76.1 % მშობლების ორიენტირებულია რომ მათი შვილი გახდეს უფრო აქტიური და ჯანმრთელი
- 65.7 % მშობლები კი ორიენტირებულია შვილების სამართლიან პიროვნებად ჩამოყალიბებაზე

ოჯახი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არის სახელმწიფო ოჯახის პოლიტიკის ობიექტი, რომლის მიზანიცაა ისეთი პირობები შეუქმნას ოჯახს რომ მოახდინონ რეალიზება და აიმაღლონ ცხოვრების დონე.

დასკვნა

ქორწინების კანონის თანახმად დაცულია ქალების უფლებები. ოჯახის წევრები ვალდებულები არიან დაეხმარონ ერთმანეთს და შეინარჩუნონ მეგობრული და კულტურული ოჯახაური ურთიერთობა.

რადიკალურად შეიცვალა ოჯახური ფასეულობები. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ პროცესში (პირველ რიგში, ინტერნეტმა). თანამედროვე ოჯახებს შეეცვალათ დამოკიდებულება განქორწინების მიმართ. ქალაქებში შეიცვალა დამოკიდებულება ბავშვის სქესის მიმართ.

აღსანიშნავია რომ, 2000 წელზე მეტია უკვე, რაც ჩინურ ოჯახში იცავენ „ხუთ კარგ წესს“ :

1. ოჯახში პატივი უნდა სცენ უფროსებს და უყვარდეთ პატარები
2. ცოლსა და ქმარს შორის უნდა იყოს ჰარმონიული ურთიერთობა
3. ოჯახმა უნდა შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა მეზობლებთან
4. ოჯახში აუცილებლად უნდა სუფევდეს შრომისმოყვარეობა და ურთიერთზრუნვა
5. ოჯახის წევრები უნდა ზრუნავდნენ გარშემომყოფებზე

თანამედროვე ჩინური ოჯახის ფორმირება ჯერაც არაა დასრულებული. ყველა ეს ცვლილება პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ტრანსფორმაციულ პროცესებთან, რომლებიც ხდება საზოგადოებაში და კულტურაში - ენაში, მენტალიტეტში, საკანონმდებლო სფეროში და ა.შ.

ლიტერატურა:

1. Чэнь М. , Ноговицына Н. М. Основные тенденции в развитии китайской семьи // Научно-методический электронный журнал «Концепт». – 2017. – Т. 26. – С. 186–191. – URL: http://e-koncept.ru/2017/770747.htm
2. Попов, Арсений Геннадьевич, Трансформация традиционной городской семьи в Китае, 2005
3. Антонов А.И. Микросоциология семьи. М., 1998.
4. Васильев Л.С., "Китай в двадцатом веке: трансформация, модернизация, вестернизация". Тезисы докладов двадцать четвертой научной конференции "Общество и государство в Китае". М 1993.

Transformation of Modern Chinese Family

Aleksandra Lataria
Georgian Technical University

Summary

The traditional Chinese family is well studied by many scientists and researchers. There are lots of researches about this topic.

In the People's Republic of China, families and family institutions populated in the cities experience evolution and form their specific signs. Family institutions are based on the morality of Confucianism. Modern families like in the old time still respect their past and memories.

Family values have changed completely. The development of modern technologies has played a crucial role in this process. In the cities people have changed the attitude towards the sex of the child, and now they do not choose their children by sex.

We can say that institution of marriage has become more flexible. Marriage is no longer dependent on parents' wishes.

Formation of a modern Chinese family has not completed yet . All these changes are directly or indirectly related to transformational processes, which occur in society and culture towards language, mentality, legislation, etc.

Key words : Transformation, Traditional family, Confucianism

გენდერი ბულინგის კვლევაში

სოფიო ფაჩულია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ბულინგის მკვლევარების მხრიდან გენდერული საკითხების აქტუალობა და მნიშვნელოვნობა სხვადასხვაგვარი ფორმულირებითაა ჩამოყალიბებული. მაგალითად, ბულინგი განიხილება როგორც რეპროდუქციული წარმატებისთვის ბრძოლის ერთ-ერთი სტრატეგია: გამარჯვება სექსუალურ შერჩევაში მიიღწევა დომინირების და კონკურენტი/მეტოქე ქალის/კაცის სტატუსის დაკნინებით პარტნიორის თვალში. ბულინგის გავრცელების და მდგრადობის მიზეზებად გვევლინება პატრიარქალური გენდერული წყობა, ჰეგემონური მასკულინობა. ბულინგის კვლევების ავტორებში კი გენდერი განიხილება როგორც ერთგვარი ფენომენი. ბულინგი გვხვდება როგორც გოგონებში, ასევე ვაჟებში თუმცა იყენებენ განსხვავებულ სტრატეგიებს და ფორმებს ბულინგის განსახორციელებლად. „ბულინგის სამიზნე შეიძლება გახდეს ორივე სქესის მოსწავლე, ისევე, როგორც მოძალადის როლში შეიძლება თანაბრად მოგვევლინოს გოგონაც და ბიჭიც (Classroom Bullying Prevention - Melissa Allen Heath, Tina Taylor Dyches)“.

საკვანძო სიტყვები: სქესი, გენდერი, სკოლა, ბულინგი, ძალადობა, აგრესია, ბულინგის მსხვერპლი, მოქმედი-მსხვერპლი, მაყურებელი, ჩაურთავი, სექსუალური ძალმომრეობა. ფსიქოლოგიური ზეწოლა, გენდერული როლი, გენდერული იდენტობა, გენდერული ჩვენება.

შესავალი

ბულინგი, ანუ 18 წლამდე ასაკის ბავშვებს შორის ძალადობა, როდესაც ორივე მხარეს ძალიან სერიოზული, გრძელვადიანი პრობლემები ექმნება - იმ ბავშვებს, რომლებსაც ჩაგრავენ და მათაც, ვინც ჩაგრავს - განსაკუთრებით აქტუალურია როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში და რჩება თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ, მასშტაბურ პრობლემად. მოზარდობის ასაკში დაშინებამ ხომ შეიძლება გამოიწვიოს სკოლაში წარუმატებლობა, ხშირად სუიციდი, მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები. ჩატარებული კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში ბულინგის დონე უტოლდება ევროპის სხვა ქვეყნებში არსებულ სტატისტიკას. „შედეგები ბავშვების მიმართ ძალადობის გაერო-ს კვლევის საფუძველზე გამოვლენილი მაღალი მაჩვენებლის კუთხით უნდა იქნეს განხილული. ინდიკატორები მიუთითებს, რომ ძალადობის დონე საქართველოს ფარგლებში უტოლდება ევროპის სხვა ქვეყნებში არსებულ დონეს“.

გენდერის პრობლემა ერთ-ერთი ურთულესი თემაა აგრესიის კვლევის ჩარჩოებში. ბიჭებისა და გოგონების ქცევებს შორის განსხვავებებმა კი მიიქციეს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მკვლევარების ყურადღება. გარდა ბულინგის ტიპიური მაგალითებისა, ბულინგში მონაწილეობის გამოცდილებისა (ამა თუ იმ როლში), დაგროვდა ინფორმაცია აგრესიისა და ძალადობის ტიპებზე, რომლებსაც ხშირად მიმართავენ ბიჭები ან გოგოები (Crick, Grotpeter, 1995; Butovskaya, Timentschik, Burkova, 2007; Sobkin, Smyslova, 2012), აგრესიისა და ბულინგისადმი დამოკიდებუ-ლების შესახებ (Tulloch, 1995; Gordillo, 2012; Gribanova, 2015), სხვადასხვა სქესის ბავშვების ბულინგის გამტარებელი და ბულინგის მსხვერპლის შედეგების შესახებ (Rigby, 1998; Carbone-Lopez, Esbensen, Brick, 2010), სექსუალური ქვეტექსტის შესახებ ბულინგი (დუნკანი, 1999; ვოლკი და სხვ., 2015), ბულინგის მონაწილეთა და მსხვერპლთა გენდერული იდენტურობის შესახებ (Griffiths, 1998; Lushpay, 2010), "გენდერული რეჟიმების" ურთიერთმიმართების შესახებ ბულინგთან და წარმოდგენებზე მამაკაცურობის / მასკულინობის შესახებ (Gini, Pozzoli, 2006; bannikov, 2002; Dempsey, 2013; Shorygin, 2017). ბულინგი არის აგრესიული ქცევის სუბკატეგორია (Solberg, Olweus&Endersen, 2007) და ოლვეუსის (1995) მიერ შემდეგნაირად დეფინირდება: „ბულინგი აღნიშნავს ნეგატიურ ქმედებებს, რომელსაც მოსწავლე განმეორებითად და ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდის. ეს ნეგატიური ქმედებები ერთი ან რამდენიმე პირისგან შეიძლება მომდინარეობდეს და შეიცავდეს ფიზიკურ თავდასხმებს, ვერბალურ თავდასხმებს, ბინძურ ჟესტებს, სექსუალურ ძალადობას, მიზანმიმართულ გარიყვას ჯგუფიდან და კიბერ თავდასხმებს". სწორედ ძალთა არათანაბრობა მოძალადესა და მსხვერპლს შორის განაპირობებს სირთულეს მსხვერპლის მხრიდან თავის დაცვის პროცესში.

ძირითადი ნაწილი

გენდერული საკითხების აქტუალობა და მნიშვნელოვნობა ბულინგის მკვლევარების მხრიდან სხვადასხვაგვარი ფორმულირებითაა წარმოდგენილი. ევოლუციური ფსიქოლოგიის ფორმატში ბულინგი განიხილება, როგორც რეპროდუქციული წარმატებისთვის ბრძოლის ერთ-ერთი სტრატეგია: გამარჯვება სექსუალურ შერჩევაში მიიღწევა დომინირების და კონკურენტი/მეტოქე ქალის/კაცის სტატუსის დაკნინებით პარტნიორის თვალში. (პოტენციური პარტნიორის წვდომა) (Volk et al., 2012a). სოციალურ-პოლიტიკურად ორიენტირებული პუბლიკაციების ავტორების თანახმად ბულინგის გავრცელების და მდგრადობის მიზეზებად პატრიარქალური გენდერული წყობა, ჰეგემონური მასკულინობა სახელდება (მაგალითად: Phoenix, Frosh, Pattman, 2003; Костерина, 2013).

ბულინგის მკვლევარები ჩვეულებრივ განასხვავებენ ბულინგის მოქმედებს (bullies), ბულინგის მსხვერპლებს (victims) და მოქმედ-მსხვერპლებს (bully-victims). ყველა სხვა პირის ან საკვლევი პოპულაციის აღსანიშნავად გამოიყენება როგორც მაყურებელი(bystander) ან ჩაურთავი (non-involved). ბულინგი გარკვეულ პირობებში გარეშე დამკვირვებლისთვის რთულად დაკვირვებადი ქცევაა. Scheithauer (2006)-ის კვლევაში საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა ბულერის სიხშირესთან დაკავშირებით ასაკთან მიმართებაში. როგორც აღმოჩნდა, განსაკუთრებით მაღალია ბულერის სიხშირე, 6- დან 9 კლასამდე. მერვე კლასში ფიზიკური ბულინგი მკაფიოდ მცირდება, მაშინ როდესაც ვერბალური და რელაციონალური ბულინგი მაღალი კლასის მოსწავლეებთან ისევ ხშირად გვხვდება, მიუხედავად იმისა, რომ კლების ტენდენცია აქაც შეიმჩნევა, თუმცა მსუბუქად.

ძალადობა სკოლაში მოიცავს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ძალადობას და ბულინგს; იგი ჩადენილი და გამოცდილია მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების მიერ. ფიზიკური ძალადობა კი შესაძლოა გამოიხატოს შეურაცხყოფის ნებისმიერ ფორმაში ზემოქმედების განზრახვით, იგი მოიცავს მოზრდილებისა და სხვა ბავშვების მხრიდან ფიზიკური ხელყოფის ფაქტს. ფიზიკური ხელყოფის დროს ფიზიკური ძალის ზემოქმედებით ახდენს ტკივილის ან რაიმე მსგავსი ტიპის დისკომფორტის შექმნას.

ფსიქოლოგიური ზეწოლა (ძალადობა) მოიცავს სიტყვიერ და ემოციურ ზემოქმედებას, შეურაცხყოფას გამოხატულს სხვადასხვა ფორმებით: იზოლირება, უარყოფა, უგულებელყოფა, ზიანის მიყენება, ჭორების გავრცელება, სიცრუის შეთითხნა, სახელების შერქმევა, მასხარად აგდება, დამცირება, მუქარა და ფსიქოლოგიური ზემოქმედება. ფსიქოლოგიური ზეწოლა თავის მხრივ კი გულისხმობს თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ წნეხს, რომელიც ღირსების შემლახველია, მოიცავს ცილისწამებას, შიშს და დაცინვას, ბავშვს/მოზარდს აყენებს „განტევების ვაცის“ პოზიციაში.

სექსუალური ძალმომრეობა მოიცავს სექსუალური ხასიათის იძულებას, სექსუალურ შევიწროებას, არასასურველ შეხებას, სექსუალურ იძულებას და გაუპატიურებას, რაც გავლენას ახდენს როგორც გოგონებზე, ასევე ბიჭებზე.

ბულინგი უფრო ქცევის ნიმუშს წარმოადგენს, ვიდრე იზოლირებულ , ცალკე წარმოდგენილ ინციდენტებს, ის შეიძლება განიმარტოს როგორც განზრახ ჩადენილი აგრესიული ქცევა, რომელიც მეორდება მსხვერპლის მიმართ, სადაც არსებობს რეალური ან აღქმული ძალაუფლების დისბალანსი და სადაც მსხვერპლი თავს გრძნობს დაუცველ და უძლურ მდგომარეობაში. ბულინგი შეიძლება იყოს ფიზიკური, როგორიცაა დარტყმა და ქონების განადგურება; სიტყვიერი, როგორიცაა ცრემლი, შეურაცხყოფა და მუქარა; ან

ნათესაური კავშირის გზით, ჭორების გავრცელების და ჯგუფისგან გარიყვის გზით.

ბულინგი გვხვდება როგორც გოგონებში, ასევე ვაჟებში თუმცა იყენებენ განსხვავებულ სტრატეგიებს და ფორმებს ბულინგის განსახორციელებლად. გოგონებისთვის ზეწოლის ირიბი ფორმაა მისაღები, რაც გამოიხატება ჭორების გავრცელებაში, ურთიერთობის შეწყვეტასა და ა. შ., ხოლო ბიჭები ძირითადად მიმართავენ ფიზიკურ ბულინგს (პანღურის ამორტყმა, ხელის კვრა და ა.შ.). ე.წ. რისკ ჯგუფში შესაძლოა მოხვდნენ ფიზიკური ქცევის, ჯანმრთლობის პრობლემის, დაბალი სოციალური ფენის მქონე ბავშვები, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან.

ა. სურანდერის მიერ ჩატარებულმა ლონგიტუდურმა კვლევებმა ბულინგის როლების გამძლეობასთან დაკავშირებით აჩვენეს, რომ 8 წლის შემდეგ აგრესორთა 11%-მა და მსხვერპლთა 12%-მა შეინარჩუნა თავისი პოზიცია კლასში. სხვა მონაცემების მიხედვით კი ბულინგში მონაწილეთა ნახევარი 4 წლის შემდეგაც თამაშობდნენ იგივე როლებს. მ. შეფფერმა დაადგინა, რომ „როლის გამძლეობა დამოკიდებულია კლასის სტრუქტურაზე: რაც უფრო მკაცრია, მით უფრო რთულია სკოლის მოსწავლისათვის თავი დააღწიოს თავის როლს“.

პირველი სისტემატიზირებული ბულინგის კვლევა ჩაატარა ოლვეუსმა (Olweus, 1984) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანიც იყო აგრესიის და ძალადობის შემცირება სკოლებში. 1970 წლების დასაწყისში ნორვეგიაში და დაახლოებით 7% სკოლის მოსწავლეებისა მან მიაკუთვნა აგრესორთა ჯგუფს. როგორც ირკვევა აგრესორ ბავშვს იმისთვის, რომ ბულინგი განახორციელოს გარკვეული მაპროვოცირებელი ფაქტორები აქვს წინა პლანზე მაგ. კონკურენცია, გენდერი, შურისძიება, ლიდერისადმი მორჩილება, სამართლიანობის აღდგენა და სხვა. კვლევაში განხილულია „ბულინგი“ გენდერის მიმართებაშიც, სადაც აღნიშნულია, რომ „ბულინგის“ მსხვერპლი უფრო ხშირად მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან. „ბულინგის სამიზნე შეიძლება გახდეს ორივე სქესის მოსწავლე, ისევე, როგორც მოძალადის როლში შეიძლება თანაბრად მოგვევლინოს გოგონაც და ბიჭიც (Classroom Bullying Prevention - Melissa Allen Heath, Tina Taylor Dyches)“.

თავის მხრივ, ბულინგის ფართომასშტაბიანი კულტურული კვლევების ავტორები განიხილავენ გენდერულ განსხვავებებს სხვა უნივერსალურ ტენდენციებთან ერთად, რომლებიც ბულინგს ახასიათებენ, როგორც უნივერსალურ საზოგადოებრივ მოვლენას, ერთგვარ ფენომენს (Due et al., 2005; Modecki et al., 2014). მასშტაბური კულტურათშორისი ანალიტიკური კვლევების თანახმად იკვეთება, რომ ბიჭები, ზოგადად, უფრო ხშირად იღებენ მონაწილეობას ბულინგში და სავარაუდოდ, ისინი ძალადობენ (Craig et al., 2009; Smith et al., 2019).

მნიშვნელოვანია მოსაზრებები გენდერული როლების, მამაკაცურობისა და ქალურობის შესახებ: მთავარი ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ შეიძლება გავლენა იქონიოს სოციოკულტურულმა კონტექსტმა გენდერული განსხვავებების ჩვენებაზე სკოლის მოსწავლეებში ინდივიდუალურ ქცევით დამოკიდებულებებში.

გენდერულ კვლევებს როგორც წესი, საფუძვლად უდევს „გენდერული იდენტობა“, „გენდერული როლი“, „გენდერული ჩვენება“ და სხვა ტერმინები, რომლებიც პრობლემას უქმნის ადამიანის ურთიერთობებს.

არსებობს გენდერული განსხვავებები მოსწავლეთა ქცევის დამოკიდებულებაში, ბულინგის მონაწილეობის ტენდენციაში, მაგრამ ეს განსხვავებები არ არის უნივერსა-ლური და განპირობებულია სოციოკულტურული კონტექსტის სპეციფიკით (ასიმი-ლაციური გენდერული როლების ჩათვლით). მატულობს საზოგადოებაში ბულინგის შესახებ სტატიების, გამოხმაურებების რაოდენობა, მაგრამ დეტალური წარმოდგენა რეგიონების მიხედვით ბულინგის გავრცელების შესახებ მაინც არ მოიპოვება. შეიძლება გამოვყოთ:

- აგრესიისა და ძალადობის მიმართ ტოლერანტობის დონის ამაღლება მოზარდებში, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს რეგიონების მიხედვით მაგრამ არ იყოს დამოკიდებული მათ სქესზე;
- გენდერული განსხვავებების არსებობა ფიზიკური შევიწროების ასპექტში;
- ფსიქოლოგთა ჩართულობა ბულინგის პრევენციის გზების ძიებაში;
- ბავშვთა/მოზარდთა შორის ძალადობის აღმოფხვრის სფეროში ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა.

გაეროს გენერალური მდივნის მსოფლიო ბავშვების მიმართ ძალადობის კვლევის შესახებ ანგარიშმა გამოკვეთა ყველა სახის ძალადობის მაღალი მაჩვენებელი. მისი რეკომენდაციების შესაბამისად ჩატარდა კვლევა ადგილობრივ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებთან, ასევე ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოებასთან (ISPCAN) თანამშრომლობით. 2007 წელს საქართველოში ბიჭებისა და გოგონების დაახლოებით 80% განიცდიდა სხვადასხვა ფორმის ფიზიკურ 79.8%, თუ ფსიქოლოგიურ 82.3%. ზეწოლას. მოცემული კვლევის საფუძველზე 95-მა (9%) ბავშვმა აღიარა, რომ მათ ოჯახში სქესობრივი ძალადობის რამდენიმე ფორმას ჰქონდა ადგილი: უმეტესი სქესობრივი ძალადობა ბავშვის ან ახალგაზრდა პირის მიერ ხორციელდებოდა, ზრდასრული ადამიანების მიერ კი სქესობრივი ძალადობა 27 ბავშვის მიმართ იქნა განხორციელებული. იძულებით გადაადგილებული პირების ჯგუფმა სქესობრივი ძალადობის უფრო ნაკლები, ხოლო სოფლად მცხოვრებმა ბავშვებმა მნიშვნელოვნად მეტი შემთხვევა დააფიქსირეს. სოციალური ზრუნვის დაწე-

სებულებაში 50 ბავშვიდან, რომლებმაც სქესობრივი ძალადობის შემთხვევები დააფიქსირეს, 72%-მა მოძალადედ სხვა ბავშვი დაასახელა, ხოლო 20%-მა - ბავშვიც და უფროსიც. ყველაზე გავრცელებული არასასურველი ქმედება სხვა ბავშვის მიერ პორნოგრაფიის ყურების იძულება იყო; თუმცა დაფიქსირდა უფრო სერიოზული ძალადობის შემთხვევებიც, როგორიცაა ტანსაცმლის გახდა, შეხება და იძულებითი სექსი (მხოლოდ 1 შემთხვევა), რომელსაც უფროსები ახორციელებდნენ.

საქართველოს საჯარო სკოლებში ძალადობის შესახებ ჩატარებული 2008 წლის კვლევა მიზნად ისახავდა სკოლებში ბავშვთა მიმართ ძალადობის მასშტაბების გაანალიზებას და მათი შეურაცხყოფისა და უგულებელყოფის ფაქტების აღწერას. მის ფარგლებში თბილისის 33 სკოლიდან და რეგიონების 60 სკოლიდან სულ 1300 მოსწავლის გამოკითხვით გამოვლინდა, რომ მოსწავლეების დამოკიდებულება თანაკლასელებთან, პედაგოგებთან და სკოლასთან მიმართებაში პოზიტიურია, თუმცა კვლევის ანგარიშით ძალადობის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, სადაც მოძალადეც და მსხვერპლიც მოსწავლეები არიან. გამოკითხულ მოსწავლეთა 61% აღნიშნა, რომ ერთხელ მაინც განუცდია ფიზიკური ძალადობა სკოლაში ბავშვის, ან უფროსის მხრიდან. 56% - ფსიქოლოგიური, ხოლო 7.3% - სქესობრივი ძალადობა. კვლევის ავტორებმა კვლევის შემდეგ შემუშავებულ რეკომენდაციებში აღნიშნეს, რომ „“ბულინგი“ ძალადობის განსაკუთრებით საზიანო ფორმაა, რომელიც საზოგადოების ყველა ნაწილში, მათ შორის სკოლებშიც, შეინიშნება“. სხვა ქვეყნებთან შედარებით როდესაც საქმე სქესობრივ ძალადობას/ შეურაცხყოფას შეეხება ამ თემასთან დაკავშირებით საქართველოში არსებულ კულტურულ ტაბუს ვაწყდებით და არა რეალურ განსხვავებას ქვეყნებში არსებულ სიტუაციებს შორის. (დიაპაზონი: 34%-დან 8%-მდე).

სექსუალურ ძალადობასთან მიმართებაში რესპონდენტთა დამოკიდებულება არ გამოირჩევა ძალადობის მსხვერპლთა მიმართ ემპათიით: გამოკითხული კაცების 36% და ქალების 31% ეთანხმება მოსაზრებას: „ქალებს იმიტომ აუპატიურებენ, რომ ისინი გაუფრთხილებლობით თავად იგდებენ საკუთარ თავს ამ სიტუაციაში.“ კაცების 34.8% და ქალების 23% მიიჩნევს, რომ ზოგ შემთხვევაში ქალებს სურთ, რომ ისინი გააუპატიურონ. ასევე, კაცების 53% და ქალების 45% თვლის, რომ თუ ქალი ფიზიკურ წინააღმდეგობას არ უწევდა კაცს, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილი ჰქონდა გაუპატიურებას. გარდა ამისა, გამოკითხული კაცების 39% და ქალების 36% მიიჩნევს, რომ ისეთ ქალებს აუპატიურებენ, რომლებსაც ცუდი რეპუტაცია აქვთ. გაერთიანებულ სამეფოში 2018 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, სადაც 9150 რესპოდენტი იღებდა მონაწილეობას, აღმოჩნდა, რომ საკუთარ თავზე ბულინგი გამოკითხულთაგან 22%-ს განუცდია, 22% კი თანატოლებზე ძალადობის ფაქტის შემსწრე გამხდარა.

საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობის 2007-2008 წლებში ჩატარებული ეროვნული კვლევის საფუძველზე ყველა შედარება ბიჭებსა და გოგონებს შორის აღწევს მაღალ სტატისტიკურ მნიშვნელობას; ბიჭების მიერ ფიზიკური (p=.00), ფსიქოლოგიური (p=.02) და სქესობრივი ძალადობის (p=.01) შესახებ ინფორმაციის მოწოდების ალბათობა უფრო მაღალი იყო. ფიზიკურ ძალადობასთან დაკავშირებული შედეგი შეესაბამება სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების შედეგების უმეტესობას, ანუ ბიჭები უფრო ხშირად ყვებიან, რომ მათ მიმართ ფიზიკური ძალადობა განხორციელდა. თუმცა, აღნიშნული შედეგებისაგან განსხვავებით, გოგონების მიერ მათ მიმართ განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის მაჩვენებლები, ჩვეულებრივ, უფრო მაღალია.

დასკვნა

მაინც რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ აღიკვეთოს ბულინგი? უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ინფორმირებულობა, დროდადრო დაიგეგმოს და ჩატარდეს ტრენინგები, რომელთაც კვალიფიციური ფსიქოლოგები გაუძღვებიან, გაკეთდეს განმარტებები, მოხდეს ინდივიდუალური გასაუბრებები და თითოეული ჩვენთაგანი უნდა ვიყოთ დაინტერესებული სხვა კუთხით შევხედოთ და გულთან მივიტანოთ პრობლემა. სამოქმედო პრიორიტე-ტებად შესაძლოა თანამშრომლობითი, ურთიერთგაგებაზე დამყარებული კომუნი-კაციის არსებობა სკოლაში და ოჯახში ძალადობის/ბულინგის აღსაკვეთად ბავშვების/მოზარდების უშუალო და აქტიური მონაწილეობით; გამოყენებულ იქნას პედაგოგების რესურსი ბავშვებში/მოზარდებში არსებული ძალადობის/ბულინგის აღმოფხვრის ასპექტში; პრობლემის აღმოჩენისთანავე შეჯერდეს და შესწავლილ იქნას გამომწვევი ფაქტორები, რის შემდეგაც მოხდეს რეაგირება კონკრეტულ ფაქტზე; არსებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მოხდეს ძალადობის გამომწვევი მიზეზების, ხასიათის და ფორმების, მასზე ზემოქმედი ფაქტორების შესწავლა. შემუშავდეს ბულინგსა და მის გამომწვევ მოვლენებზე ეფექტური რეაგირების სტრატეგია. რეალობაში კი მიუხედავად ფსიქოლოგთა ჩართულობისა ბულინგის პრევენციის გზების ძიებაში რეალური ქმედითი ნაბიჯები ბავშვთა შორის ძალადობის აღმოფხვრის სფეროში ჯერ კიდევ არ გადადგმულა.

ლიტერატურა:

1. გაეროს ბავშვთა ფონდი. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი. საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა. 2007-2008. 49-60. The National Study on Violence against Children in Georgia in Georgian (ლინკი მოქმედია 1.05.2020-ის მდგომარეობით)
2. Bandura, A. (1973). Aggression: A social learning analysis. Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall.
3. Bowlby, J. (1983). Caring for the young: influences on development. In: S. Cohen, B. J. Cohler & S. H. Weissman (Eds.). Parenthood: A psychodynamic perspective (pp.268-284). New York: Guilford
4. АГРЕССИЯ И БУЛЛИНГ В ШКОЛЬНОЙ СРЕДЕ: СОЦИОКУЛЬТУРНЫЕ ФАКТОРЫ, ГЕНДЕРНЫЕ И ПОЛОВЫЕ РАЗЛИЧИЯ“ Вопросы психологии. 2019. № 4 В.О. ФИЛАТОВА1, М.Л. БУТОВСКАЯ1, 2, О.В. КАЛИНИЧЕНКО3
5. Special Representative of the Secretary-General on Violence against Children (2012). Tackling violence in schools: A global perspective bridging the gap between standards and practice.
6. United Nations Educational. Scientific and Cultural Organization. School Violence and Bullying. Global Status Report. 2017. Place de Fontenoy, 75352 Paris 07 SP, France. 17-18. School Violence and bullying (წყარო ხელმისაწვდომია 1.05.2020-ის მდგომარეობით).
7. DitchtheLabel. THE ANNUAL BENCHMARK OF BULLYING IN THE UNITED KINGDOM. 2018. 10. The Annual Bullying Survey 2018 2, (წყარო ხელმისაწვდომია 1.05.2020-ის მდგომარეობით).
8. http://www.education.ge/index.php?do=definition/view&id=1387 (წყარო ხელმისა-წვდომია 1.05.2020-ის მდგომარეობით)
9. ოჯახური ძალადობა ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ,ინოსენტი დაიჯესტი #6, საქ.-ს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა (თარგმანი) 2000 წლის გამოცემა, თბილისი, 2006წ.
10. კვლევა „კაცები და გენდერული ურთიერთობები“-ს კვლევა. გვ. 9. განხორციელდა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის (UNFPA) მხარდაჭერით, გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის-თვის საქართველოში“ ფარგლებში. თბილისი 2014.

Gender in Bullying Research

Sophio Pachulia, PhD Student
Georgian Technical University

Summary

Bullying researchers offer various formulations for the topicality and importance of gender issues. For instance, bullying is regarded as one of the strategies for reproductive success: victory in sexual selection is achieved by dominating over and diminishing the status of a male/female competitor in front of a desirable mate. The reasons why bullying is prevalent and incessant are patriarchal gender arrangement and hegemonic masculinity. Bullying researchers consider gender as a kind of phenomenon. Bullying is common in both gender, however, they use different strategies and forms. "Both male and female students can be targets of bullying as well as both girls and boys can become bullies"(Classroom Bullying Prevention – Melissa Allen Heath, Tina Taylor Dyches)".

მოტივაცია სწავლასა და სწავლებაში

ნანა ცოტნიაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატია ეხება მოტივაციის მნიშვნელობას და მისი გავლენას სასწავლო პროცესზე, მოტივაციის ტიპები, რამდენი ძირითადი მიდგომა არსებობს მოტივაციისადმი და რა ახდენს გავლენას მასზე.

საკვანძო სიტყვები: მასწავლებელი, შინაგანი მოტივაცია, გარეგანი მოტივაცია, ბიჰევიორისტული მიდგომა, ჰუმანისტური მიდგომა.

შესავალი

მრავალი პედაგოგი თანხმდება,რომ მოსწავლეთა მოტივირება ერთ-ერთი კრიტიკული საკითხია პედაგოგიკაში. მოსწავლეები კოგნიტურად, ემოციურად თუ ქცევით ჩართულნი უნდა იყვნენ პროდუქტიულ საკლასო აქტივობებში.დავიწყოთ საკითხით, რა არის მოტივაცია, რომელიც მოიცავს შინაგანი და გარეგანი მოტივაციის საკითხს, მოტივაციის ოთხ ძირითად თეორიას:ბიჰევიორისტულს,ჰუმანისტურს,კოგნიტურსა და სოციოკულტურულს.

როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს ინფორმაცია ერთად სწავლების პროცესში, როგორ უნდა შევქმნათ ისეთი გარემო,სიტუაცია,ურთიერთობები,რომელიც გაზრდის მოტივაციას და ჩართულობას სწავლების პროცესში? თავდაპირ-ველად განვიხილავთ რა კავშირშია ერთმანეთთან პიროვნული გავლენა მოტივაციაზე და მოტივაციის მხარდაჭერა.შემდეგ განვიხილავთ,როგორ ახდენს გავლენას მოტივაციაზე საკლასო მუშაობა,სამუშაოს ღირებულება, გარემო, რომელშიც უნდა შესრულდეს სამუშაო. და ბოლოს, ვიმსჯელებთ მოტივაციის გასაზრდელად გამოსაყენებელ სტრატეგიებზე.

ძირითადი ნაწილი

რა არის მოტივაცია?

მოტივაცია,როგორც წესი,ასე განმარტავენ: ესაა შინაგანი მდგომარეობა, რომელიც აღძრავს, წარმართავს და უზრუნველყოფს ქცევას. ფსიქოლოგები, რომლებიც მოტივაციას სწავლობენ, აქცენტს ხუთ ძირითად საკითხზე აკეთებენ.

1. რატომაა, რომ მაგალითად, ერთი მოსწავლე გულმოდგინედ ასრულებს დავალებას,მეორე კი ტელევიზორის ყურებას არჩევს?
2. რა დრო უნდა გავიდეს, რომ მოტივაცია ამოქმედდეს?

3. ყურადღებით ასრულებს მოსწავლე დავალებას ,თუ მექანიკურად?
4. რა აიძულებს ინდივიდს იყოს შეუპოვარი ან ადვილად დანებდეს?
5. რა გრძნობები აქვს და რაზე ფიქრობს ინდივიდი,როცა ქცევას ასრულებს.
6. შინაგანი და გარეგანი მოტივაცია

მოტივაციის კლასიკური დაყოფა ასეთია: შინაანი და გარეგანი მოტივაცია. შინაგანი მოტივაცია არის ტენდენცია- მიღწეულ იქნეს მიზნები საკუთარი ინტერესებისა და უნარების კვალდაკვალ.როდესაც ჩვენ შინაგანად ვართ მოტივირებულნი,ჩვენ არ გვჭირდება წახალისება ან დასჯა,რამდენადაც თვითონ აქტივობა თავისთავად წარმოადენს ჯილდოს. კმაყოფილი მოსწავლე მხოლოდ იმიტომ სწავლობს ქიმიას სკოლის გარეთაც,რომ მას ეს უნდა და მოსწონს.ამას არავინ აიძულებს.

ამის საპირისპირო შემთხვევაა, როცა რაღაცას კარი შეფასებისათვის, დასჯის თავიდან აცილების მიზნით,მასწავლებლის სიამოვნებისთვის ან ამოცანასთან ნაკლებად დაკავშირებული რაიმე სხვა მიზეზით ვაკეთებთ. ეს გარეანი მოტივაციაა.

ოთხი ძიროთადი მიდგომა მოტივაციისადმი

მოტივაცია საკმაოდ ფართო, კომპლექსური საკითხია და მრავალ თეორიას მოიცავს. ამ თეორიებიდან ზოგიერთი ლაბორატორიებში ცხოველებთან მუშაობისას განვითარდა,ზოგი კი ადამიანებთან ისეთ სიტუაციაში მუშაობისას,სადაც გამოყენებული იყო თავსატეხების შემცველი ამოცანები.

1. მოტივაციისადმი ბიჰევიორისტული მიდგომა

ბიჰევიორისტული მიდგომის მიხედვით,მოსწავლის მოტივაციის გაგება უნდა დავიწყოთ წამახალისებელი სტიმულების და ჯილდოების დაკვირვებული ანალიზით. ჯილდო ის მიმზიდველი ობიექტი ან მოვლენაა, რომელიც შედეგად მოსდევს გარკვეულ ქცევას.მაალითად, თუ მოსწავლე ბეისბოლის თამაშის გამო ჯილდოდ მიიღებს ხან ფულს,ხან საჩუქრებსა და პრივილეგიებს, ხოლო მის სწავლას ნაკლები ყურადღება მიექცევა,. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი დიდ დროს დაუთმობს ბეისბოლში ვარჯიშს და არა გეომეტრიის სწავლას.კარგი ნიშნები, ვარსკვლავები, სტიკერები და სხვა საშუალებები განმტკიცებისათვის ან გარკვეული დამსჯელი ღონისძიებები ცუდი საქციელისათვის- ეს ყველაფერი არის მცდელობა მოსწავლეთა მოტივირებისთვის,გარეგანი იმპულსის,ჯილდოების ან დასჯის გამოყენებით.

2.მოტივაციისადმი ჰუმანისტური მიდგომა

მოტივაციის ჰუმანისტური ინტერპრეტაცია ხაზს უსვამს მოტივაციის ისეთ შინაგან წყაროებს,როგორიცაა პიროვნების „თვითაქტუალიზაციის“ მოთხოვნილება, თანდაყოლილი „აქტუალიზაციის ტენდენცია“, ან „თვითგანსაზღვრის“ მოთხოვნილება. ასე რომ, ჰუმანისტურ ჭრილში, მოტი-

ვირება ნიშნავს ადამიანების შინაგანი რესურსების- მათი კომპეტენტურობის,თვითშეფასების, ავტონომიისა და თვითაქტუალიზაციის წაქეზებას.

3. მოტივაციისადმი კონიტური და სოციალურ-კონიტური მიდგომა

კონიტური თეორეტიკოსები აქცენტს შინაგან მოტივაციაზე აკეთებენ. მოტივაციისკოგნიტურითეორიებიი,შეიძლებაითქვას,რომბიჰევიორისტული შეხედულებების საპასუხოდ განვითარდა. კონიტივისტებს სჯერათ,რომ ჩვენი ქცევა აზროვნებით არის განპირობებული და არა უბრალოდ იმით, რომ წარსულში ამასთან დაკავშირებით დაგვსაჯეს ან დავაჯილდოვეს.

4. მოტივაციის სოციოკულტურული კონცეფციები

მოტივაციის სოციოკულტურული შეხედულება ხაზს უსვამს ერთობის წევრობას.ადამიანები ერთვებიან აქტივობაში, რათა განამტკიცონ თავისი იდენტობა და ინტერპერსონალური ურთიერთობები ამ ჯგუფს შიგნით. ამდენად, მოსწავლეები მოტივირებულნი არიან ისწავლონ, თუ ისინი არიან წევრები იმ საკლასო ან სასკოლო ჯგუფის,რომლისთვისაც სწავლას დიდი ღირებულება აქვს.

როგორც სოციალიზაციის პროცესში ჩვენი კულტურის უფრო გამოცდილი წევრებისაგან ვსწავლობთ ლაპარაკს,ჩაცმას, სუფრასთან მოქცევის წესებს, ასევე იმათზე დაკვირვებით,ვინც ჩვენი სასკოლო ჯგუფის წევრია,ვსწავლობთ,როგორი მოსწავლეები უნდა ვიყოთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვსწავლობთ იმ ჯგუფისაგან, რომლის წევრებიც ვართ.

რა ბაზისური მოთხოვნილებები ახდენს გავლენას მოტივაციაზე და როგორ მოქმედებს მოტივაციაზე თვითდეტერმინაცია?

თვითდეტრმინაციის თეორია ვარაუდობს,რომ მოტივაციაზე გავლენას ახდენს კომპეტენტურობის, ავტონომიის, კონტროლისა და მიკუთვნებულობის მოთხოვნილებები.როდესაც მოსწავლეებს აქვთ თვითდეტერმინაციის განცდა, ნაწილობრივ დამოკიდებულია მასწავლებელზე - რა სახისაა მოსწავლეებთან მისი კომუნიკაცია,არის ეს ინფორმაციის მიწოდება თუ მათზე კონტროლის მოპოვების მცდელობა. იგი მოსწავლის ცუდ შედეგს უნდა აღიქვამდეს პრობლემად, რომელიც საჭიროებს გადაჭრას და არა გასაკრიტიკებელ ობიექტად.

იმისათვის,რომ მიზნის დასახვა კლასში იყოს ეფექტიანი, მოსწავლეებს დაკვირვებით უნდა მივცეთ უკუკავშირი პროგრესის შესახებ.ზოგადად, მოსწავლეები ითავისებენ ისეთ მიზნებს, რომლებიც რეალისტური, ზომიერად რთული და მნიშვნელოვანია და რომელთა მნიშვნელობა დამაჯერებლად არის არგუმენტირებული.

როგორ მოქმედებს ინტერესები და ემოციები მოტივაციაზე?

ემოციები გავლენას ახდენს სწავლასა და ინფორმაციის გადამუშავებაზე. მოსწავლეები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, უფრო მეტად სწავლობენ და

იმახსოვრებენ ინფორმაციას,რომელიც მათში ემოციურ რეაქციებს იწვევს და დაკავშირებულია მათ ინტერესებთან.

როგორ აფერხებს შფოთვა მოტივაციას?

შფოთვა შეიძლება იყოს ცუდად გამოსვლის მიზეზიც და შედეგიც. იგი შეიძლება ხელს უშლიდეს ყურადღების კონცენტრაციას, სწავლას ან გახსენებს ბევრ შფოთიან მოსწავლეს დახმარება სჭირდება, იმისათვის,რომ აითვისოს გამოცდის ჩაბარებისა და სწავლის ეფექტური სტრატეგიები.

რა არის თვითეფექტიანობა და როორ არის იგი დაკავშირებული დასწავლილ უმწეობასთან?

თვითეფექტიანობა გულისხმობს გარკვეულ სიტუაციაში საკუთარი კომპეტენტურობის შესახებ ადამიანის რწმენას.ქმედითუნარიანობა,კონტ როლი,თვითგანსაზღვრა კრიტიკული საკითხებია შინაგან მოტივაციასთან მიმართებაში.როდესაც ადამიანებს სჯერათ, რომ სხვადასხვა მოვლენა და შედეგი მათ ცხოვრებაში უმეტესად არაკონტროლირებადია,მათ შეიძლება განუვითარდეთ დასწავლილი უმწეობა,რაც,თავის მხრივ,დაკავშირებულია სამი სახის:მოტივაციურ,კოგნიტურ და აფექტურ დეფიციტთან.

როგორ ახდენს თვითღირებულება გავლენას მოტივაციაზე?

დაბალი თვითღირებულება, როგორც ჩანს, დაკავშირებულია მარცხის თავიდან ამრიდებელ და მასთან შემგუებლურ სტრატეგიებთან, რათა ინდივიდი დაცული იყოს მარცხის შედეგებისგან.ასეთ დახმარებას ხანმოკლე ეფექტი აქვს და საბოლოოდ ანადგურებს მოტივაციასა და თვითშეფასებას.

განსაზღვრეთ სწავლის მოტივაცია

მასწავლებლები განსაკუთრებით ერთი ტიპის მოტივაციით არიან დაინტერესებულნი- მოსწავლეტა სწავლის მოტივაციით.

ამოცანები, რომელთაც მასწავლებლები აძლევენ მოსწავლეებს, გავლენას ახდენს მოტივაციაზე.როდესაც მოსწავლეებს აძლევენ ისეთ ამოცანას, რომელიც დაკავშირებულია მათ ინტერესებთან, აღვიძებს მათ ცნობისმოყვარეობას ან დაკავშირებულია რეალურ ცხოვრებისეულ პრობლემასთან,მოსწავლეთა სწავლის მოტივაცია უფრო მაღალია.ამოცანებს შეიძლება ჰქონდეს შესრულების შინაგანი სარებლიანობის ღირებულება. შესრულების ღირებულება არის მოსწავლისათვის წარმატების მნიშვნელოვნება.

განასხვავეთ შეზღუდული და შეუზღუდავი არჩევანი უმართავი აღმოჩენებისა და უმიზნო დისკუსიის მსავსად, არასტრუქტურირებულმა და უმართავმა არჩევანმა შეიძლება ძალიან ცუდად იმოქმედოს სწავლაზე.მივცეთ მოსწვლეებს არჩევანის საშუალება, რომელიც ღირებულ ამოცანებს დააყენებს მათ წინაშე,მარამ ასევე მივცეთ უფლება- მიჰყვნენ პიროვნულ ინტერესებს. ბალანსი საუკეთესო გამოსავალია.

როგორ შეიძლება აღიარებამ შეამციროს მოსწავლის მოტივაცია და

თვითეფექტიანობა?

აღიარებასა და ჯილდოს კლასში შეუძლია გაზარდოს სწავლის მოტივაცია, თუ ერთიც და მეორეც არის შედეგი ,ეხება პიროვნული განვითარებისა და არა შეჯიბრში მოპოვებული გამარჯვებისა. შექება და ჯილდო ფოკუსირებული უნდა იყოს მოსწავლის მზარდ კომპეტენტურობაზე. ხანდახან შექებას შეიძლება პარადოქსული შედეგი მოჰყვეს- მოსწავლეებმა მასწავლებლის კრიტიკა ან შექება ღიქვან, როგორც გადაკრული ნათქვამი მათ უნარებზე.

რა გავლენას ახდენს დრო მოტივაციაზე?

იმისათვის,რომ გაიზარდოს სწავლის მოტივაცია, მასწავლებლები მოქნილნი უნდა იყვნენ საკლასო დროის განრიგის შემუშავებისას.იმ მოსწავლეებს, რომლებიც იძულებულნი არიან აჰყვნენ მათთვის ბუნებრივად მისაღებზე,ასევე იმ მოსწავლეებს, რომელნიც იძულებულნი არიან შეწყვიტონ მუშაობა საქმეში ჩართვისთანავე,სწავლაში შეუპოვრობა არ განუვითარდებათ.

დასკვნა

ზემოთ განხილული და წარმოდგენილი საკითხები მოტივაციასთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში. პედაგოგი ,რომელსაც უნდა,რომ მოტივირებული და აქტიური მოსწავლეები ჰყავდეს, თავადაც მოტივირებული უნდა იყოს სასწავლო პროცესისადმი და მუდმივად ეძებდეს სიახლეებს, რაც დაეხმარება სასწავლო პროცესის ეფექტურ მართვაში. ზემოთ განხილულ საკითხებზე დაყრდნობით და მათი გათვალისწინებით,, პედაგოგი შეძლებს, რომ წარმატებული და მოტივირებული კლასი ჰყავდეს.

Motivation in Learning and Teahing

Nana Tsotniashvili, PHD student
Georgian Technical University

Summary

This article is about the importance of motivation and its impact on the learning process,types of motivation,how many basic approaches exist to motivation and what influences it.

Key words: teacher,internal motivation,external motivation,behavioral approach,humanistic approach.

ფილოსოფია-ფსიქოლოგია

PHILOSOPHY-PSYCHOLOGY

მწვრთნელისა და სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადების მნიშვნელობა

გიორგი მძინარაშვილი, ასისტენტ-პროფესორი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რეზიუმე

სპორტში აუცილებელია ფსიქოლოგიური მომზადების ფაქტორის გათვალისწინება. სასწავლო - საწვრთნო პროცესის მიმდინარეობისას და შეჯიბრში წარმატების მიღწევა შეუძლებელია კარგი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და მომზადების გარეშე. მუშაობის პროცესში მწვრთნელმა უნდა მოახდინოს სპორტსმენზე ფსიქოლოგიური ზეგავლენა ე.ი. ფსიქოლოგიურად უნდა აღზარდოს ის . ამისათვის მწვრთნელს გარდა მიღებული განათლებისა, პროფესიონალური ცოდნისა და გამოცდილებისა უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიურ - პედაგოგიური ცოდნა. შედეგის მიღწევა იქნება შესაძლებელი თუ ამ სფეროში და პროცესში მონაწილეობას მიიღებენ პროფესიონალი კომპეტენტური სპეციალისტები.მიზანშეწონილია მუშაობის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით აქტიურად ჩართული იყოს სპორტის ფსიქოლოგი. ეს რა თქმა უნდა დადებითად აისახება შედეგზე.

საკვანძო სიტყვები: სპორტსმენი, მწვრთნელი, ფსიქოლოგიური, პროცესი, პედაგოგიური.

შესავალი

ადამიანის ნებისმიერი საქმისადმი მზადება ეს არის გააზრებული პროცესი,რის შედეგადაც ის ისახავს მიზანს , გადასაწყვეტ ამოცანებს და რა თქმა უნდა ყველაფერ ამას სჭირდება კარგი განწყობა და მოტივაცია,შესრულების

სურვილი ,მისი აუცილებლობა იმისათვის რომ მისი საქმიანობის შედეგი იყოს წარმატებული და პროდუქტიული.

ამ პროცესში დიდი როლი და მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგიურ კომპონენტს, რომლის გამართლება დამოკიდებულია სპორტსმენის მორფო -ფუნქციონალურ შესაძლებლობებზე (კუნთების სისტემის განვითარებაზე) ,ტექნიკო-ტაქტიკურ მონაცემებზე,ოპერატიულ მეხსიერებაზე და მათი ხარისხი მჟღავნდება მეტ-ნაკლები მნიშვნელობით ადამიანის ნებისმიერ საქმიანობაში.

ძირითადი ნაწილი

ადამიანის განცდა და მისი შინაგანი ფსიქოლოგიური განწყობა დამოკიდებულია მის ფსიქოლოგიურ მომზადებაზე და ფსიქოლოგიურ განწყობაზე. ყველა შემთხვევაში,როდესაც სპორტსმენს მოღვაწეობისათვის სჭირდება ფსიქოლოგიური მზადყოფნა მას წინ უსწრებს ადამიანის ფსიქოლოგიური მომზადება.

საქმიანობებს შორის ის აქტივობა, სადაც საჭიროა დიდი მობილიზაცია, ყურადღების კონცენტრაცია,ძალისხმევა და პროფესიონალიზმი , ფსიქოლოგიური მომზადება და მისი რეგულაცია ხორციელდება როგორც წინასწარ ე.ი. საქმიანობის დაწყებამდე ასევე ამ საქმიანობის პროცესში.

სპორტში სასურველი-ეფექტური შედეგის მიღწევისათვის აუცილებელია სპორტში არსებული მომზადების ყველა მხარის გათვალისწინება, განვითარება და ამაღლება. მომზადების მხარეებს შორის განასხვავებენ: ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ, ტექნიკურ, ტაქტიკურ და თეორიულ (ინტელექტუალურ მომზადებას). მომზადებებს შორის უნდა დამყარდეს რაციონალური დამოკიდებულება მათი დონის ამაღლების თვალსაზრისით. იმ მრავალრიცხვოვან მეცნიერებებს შორის, რომლებიც მუშაობენ სპორტზე - ფსიქოლოგიას დიდი როლი აკისრია.

ფსიქოლოგიური მომზადება სპორტსმენის მთელი სასწავლო-საწვრთნო და საშეჯიბრო პროცესის შემადგენელი ნაწილია. ფსიქოლოგიური მომზადება დადებით გავლენას ახდენს, როგორც საწვრთნელ პროცესის ეფექტურობაზე ასევე შეჯიბრში მონაწილეობაზე და შესაბამისად მიღწეულ შედეგზე.

სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადების ფუნდამენტურ საფუძველს საერთო ფსიქოლოგიური მომზადება წარმოადგენს.სპორტსმენის საერთო ფსიქოლოგიური მომზადების განსაზღვრა მეტი ობიექტურობით შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ვიცით როგორი დონით გამოირჩევა სპორტსმენი მომზადების სხვასხვა ასპექტებში.

მორალურ-ნებელობითი თვისებების აღზრდა არის საერთო ფსიქოლოგიური მომზადების მიზანი და შინაარსი. ეს არის აღქმის პროცესების

ფორმირება, ე.ი. მოწინააღმდეგის შესაძლებლობების განსაზღვრა, დროის, სისწრაფისა და ძალის გრძნობა . აქ აგრეთვე შედის სპორტსმენის ტაქტიკური ანალიზი და აზროვნება . ეს არის ადამიანის უნარი სწაფად შეაფასო წარმოქმნილი დინამიური სიტუაცია ორთაბრძოლის პირობებში, შემდეგ კი რაციონალურად და ეფექტურად უპასუხო მას. დიდი როლი აქვს ყველაფერ ამაში: აღქმის პროცესების ფორმირებას,ყურადღების აღზრდას, დაკვირვებულობას, სპორტსმენის მახსოვრობასა და წარმოდგენის უნარს.

სპორტსმენის შეჯიბრისთვის მზადება ეს არის ხანგრძლივი პროცესი და ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია- ფსიქოლოგიური მომზადება, რომელიც უნდა იყოს წინასწარ დაგეგმილი თავისი ღონისძიებებითა და პროცედურებით. ფსიქოლოგიურ მომზადებას სხვადასხვა რანგისა და დონის შეჯიბრზე აქვს ბევრი საერთო და ბევრი განსხვავება.ერთი ან შეიძლება ორი თვით ადრე სანამ დაიწყება საპასუხისმგებლო შეჯიბრი აუცილებელია ფსიქოლოგიური რეგულაციის პროგრამაში სისტემატური ჩართვა.ამ პროგრამის ჩატარება და განხორციელება ითვალისწინებს და მიზანმიმართულია სპორტსმენის ფსიქოლოგიური დაცვის-უნარის კორექციაზე.მოგეხსენებათ სპორტსმენის ფსიქოლოგიის დაცვის უნარი ეს არის ადამიანის თვისება -ხარისხი, რითიც ის წინ აღუდგება ნეგატიურ- უარყოფით ფაქტორებს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმდინარეობისას ან შეჯიბრის დროს.

ყველა ეს ჩამოთვლილი განაპირობებს ფსიქოლოგიური მომზადების სახეობებს:

1. მწვრთნელის ფსიქოლოგიური მომზადება და განათლება;
2. სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადება სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმდინარეობისას;
3. სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადება შეჯიბრისთვის;
4. კონკრეტულ შეჯიბრში სპორტსმენის სპეციალური ფსიქოლოგიური მომზადება;
5. სპორტსმენის ფსიქოლოგიური მდგომარეობის კორექცია და რეგულაცია, რომლის გათვალისწინება აუცილებელია შეჯიბრში ნაყოფიერი და ეფექტური მონაწილეობისათვის.

როგორც ჩვენ აღვნიშნეთ სპორტში აუცილებელია მწვრთნელის ფსიქოლოგიური მომზადება .აღზრდის პროცესი სპორტში მიმდინარეობს მწვრთნელის ხელმძღვანელობით, სხვა სპეციალისტები კი ეხმარებიან მწვრთნელს ამ პროცესის წარმართვაში.როცა სწავლებასა და წვრთნის პროცესში საქმე ეხება ფსიქოლოგიურ მომზადებას და ცოდნას რომელსაც ის მოიცავს, ბუნებრივია მწვრთნელი მთლიანად ვერ დაეუფლება ფსიქოლოგიის პროფესიონალურ დონეზე ცოდნას და იმ მეთოდებს, რომელიც არის სპორტის თანამედროვე ფსიქოლოგიაში.

მწვრთნელს რა თქმა უნდა შეუძლია აითვისოს და გამოიყენოს სპორტში არსებული თანამედროვე ფსიქოლოგიური მეთოდები. მას დიდ დახმარებას გაუწევს ამ პროცესში პროფესიონალი ფსიქოლოგი - პედაგოგი, სპორტის ხელმძღვანელები, მშობლები და ა.შ. იმისათვის, რომ მოხდეს შინაარსიანი სასწავლო - საწვრთნო პროცესის წარმართვა და რეგულაცია, მწვრთნელი კარგად უნდა იყოს მომზადებული და უნდა ჰქონდეს მაღალი ხარისხის განათლება ფსიქოლოგიის დარგში. ამ პრობლემის მნიშვნელობა უდავოა.

მწვრთნელის ფსიქოლოგიური ზეგავლენა სპორტსმენზე არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სასწავლო - საწვრთნო პერიოდის მიმდინარეობისას, არამედ აქტიურ მუშაობას უნდა ასრულებდეს ამ მხრივ დარბაზის გარეთ. ეს მოუტანს მწვრთნელს და მოსწავლეებს კარგ სპორტულ - ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და განწყობას, რეალური სიტუაციის ანალიზისა და შეფასების უნარს - რას მიღწია მათმა ერთობლივმა მუშაობამ და რის მიღწევას აპირებენ მოღვაწეობის შემდგომ ეტაპზე.

დასკვნა

დიდი სპორტი მოითხოვს როგორც მწვრთნელისგან ასევე სპორტსმენისგან დიდი წინააღმდეგობის გადალახვას. მწვრთნელისა და სპორტსმენის მომზადება დასახული სამუშაოს ჩასატარებლად დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. აღსანიშნავია ის, რომ ხანგრძლივ და რთულ სპორტში მოღვაწეობისთვის საჭიროა, როგორც მწვრთნელის ასევე სპორტსმენის მხრიდან დიდი მოტივაცია და განწყობა.

რა თქმა უნდა დომინანტის როლს სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადების თვალსაზრისით ასრულებს მწვრთნელი. მწვრთნელის ფსიქოლოგიურ მომზადებაში კი დიდ როლს ასრულებს მისი საკუთარი აქტიურობა, მისი შემოქმედება, პროფესიონალიზმი, განათლება, მიზანდასახულობა და მიზანსწრაფვა, საზოგადოებაში და თანამშრომლებთან ურთიერთდამოკიდებულების სისტემის სწორი აწყობა. ეს არის პროფესიონალური თვითაღზრდა, რომელიც მოიცავს ფსიქოლოგიური განწყობის და მდგომარეობის თვით რეგულაციას.

ამ პროცესში აუცილებელია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის გათვალისწინება, მაგრამ მწვრთნელის მოღვაწეობაზე და მასზე დიდ სტიმულირებას ახდენს მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგები, რომლებიც იჩენენ მწვრთნელში დიდ ინტერესსა და მოტივაციას შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ლიტერატურა:

1. გ.კახიძე ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა, თბილისი 2013წ.
2. თენგიზ რატიანი., თამაზ ჯაში , ფეხბურთი, გამომცემლობა ,,ქართული წიგნის სახლი'' , თბილისი ,2008.
3. П.А.Рудик , В.В. Медведев , А.В.Родионов . Психология и современный спорт, М ., ФиС., 1973.
4. Роберт М.Найдиффер,Психология соревнующегося спортсмена , М., ФиС., 1979.
5. Г.Д.Горбунов , Психопедагогика спорта , М., ФиС , 1986.

The significance of psychological preparation for coach and athlete

Giorgi Mdzinarashvili, assistant professor
Gori State Teaching University

Summary

In sport, it's essential to take psychological preparation into consideration. It's impossible to succeed in the learning-training process or competition without psychological well-being and preparation. A coach should influence athletes psychologically in the process of training, which means that a coach should train them psychologically. Due to that, a coach should have education, professional knowledge, and experience as well as psychological-pedagogical education. It will be possible to reach the goal if professional, competent specialists take part in this process. It's expedient to actively involve a sports psychologist to improve the quality of working. That will definitely affect the result positively.

Key words: Sportsman; coach; psychological; process; pedagogical.

ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიური ასპექტები

მარიამ გვილავა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ასაკობრივი ფსიქოლოგია, როგორც ფსიქოლოგიის დამოუკიდებელი დარგი, ჩამოყალიბდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, რაც განაპირობა ფსიქოლოგიური მეცნიერების მაღალმა დონემ და საზოგადოების პრაქტიკულმა დაკვეთამ დადგენილიყო ადამიანის ონტოგენეზის ცალკეული ეტაპების, პერიოდების კანონზომიერებანი და უნიკალობა. განვითარება გულისხმობს მოტორული, კოგნიტური (შემეცნებითი), სოციალური, ემოციური სფეროებისა და თვითმომსახურების ჩვევების ჩამოყალიბებას. ასაკობრივი ფსიქოლოგია შეისწავლის ფსიქიკური პროცესების ასაკობრივ თავისებურებებს, ცოდნისა და ჩვევების შეთვისების ასაკობრივ შესაძლებლობებს, პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბების წამყვან ფაქტორებს. თითოეული ასაკობრივი პერიოდი ხასიათდება განვითარების სპეციფიკურ კანონზომიერებთა ერთობლიობით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყოველ კონკრეტულ ასაკობრივ საფეხურზე თვითცნობიერების დადგენას.

საკვანძო სიტყვები: ფსიქოლოგია (psychology); გავითარება (development); ადრეული ასაკი (Early age).

შესავალი

ცხოველთა ფსიქიკის განვითარების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს ბიოლოგიურად განმტკიცებული გამოცდილების მემკვიდრეობით გადაცემა, რომლის საფუძველზედაც ცხოველთა შეგუება ხდება გარესამყაროსთან. ადამიანის ფსიქიკური განვითარება კი ბავშვის მიერ საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილების დაუფლების პროცესში მიმდინარეობს. ბავშვი ცხოვრობს ადამიანურ ურთიერთობათა სამყაროში, სადაც საზოგადოებრივი პრაქტიკის გამოცდილებაა ფიქსირებული. ბავშვის ფსიქიკური განვითარება ამ გამოცდილების დაუფლებას წარმოადგენს. ადამიანი ბიოლოგიური არსებაა, რის გამოც მის ფსიქიკურ განვითარებაზე ფსიქოსოციალურ ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ფსიქიური და ბიოლოგიური ფაქტორებიც.

ძირითადი ტექსტი

ბავშვის ფსიქიკის განვითარების ფაქტორებისა და პირობების ასახსნელად დაუკავშირდა ერთმანეთს ნატივიზმი და ემპირიზმი. ნატივისტური

თეორიის მიხედვით, ბავშვს დაბადებისთანავე დაჰყვება ყველა ადამიანური უნარი. გარემო კი ხელსაყრელ პირობებს ქმნის თანდაყოლილ მონაცემთა სრულყოფისთვის, ამ თეორიის მიხედვით საერთოდ იგნორირელბულია ბავშვის პიროვნებაზე სოციალური გარემოს ზემოქმედებისა და გავლენის ფაქტი. ემპირისტული თეორია ნატივისტურის საპირისპიროა. ამ თეორიის მიხედვით, ბავშვი იბადება „სუფთა დაფად“ და მას დაბადების მომენტში არავითარი ადამიანური უნარი არ გააჩნია. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ გარემო რას და როგორ დააწერს ამ დაფაზე. ამ ორ საპირისპირო თეორიას შორის წინააღმდეგობას ხსნის ცნობილი გერმანელი ფსიქოლოგის ვ.შტერნის კონვერგენციის თეორია, რომლის მიხედვით ბავშვის ფსიქიკური განვითარება განხილული უნდა იქნეს როგორც შინაგან ტენდენციათა, ისე გარემოს გავლენითაც. განვითარების ყოველგვარ ფაქტში მონაწილეობს როგორც მემკვიდრეობა, ასევე გარემოც. ბავშვს ყოველგვარი ფუნქცია მემკვიდრეობით დაჰყვება პოტენციური შესაძლებლობების სახით, მაგრამ იგი რეალობად იქცევა გარემო პირობების გავლენის შედეგად. ბავშვის ფსიქიკის განვითრების თანამედროვე თეორიები მიუთითებენ იმას, რომ ადმიანის განვითარება არის ერთად მოქმედი მრავალი ძალისა და ფაქტორის შედეგი. ითვლება, რომ განვითარება არის ბიოლოგიური და კულტურული საწყისების ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთკავშირის სინთეზი, რომელიც იწყება ჩასახვის მომენტიდან და გრძელდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ადამიანის ფსიქიკის განვითარებაზე აქტიურად მოქმედებენ ბიოლოგიური, ანთროპოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები. განვითარების ცნების დეფინიციათაგან სრულყოფილად მიიჩნევა გ.კრაიგის განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც განვითარება არის ცვალებადობა, რომელიც მიმდინარეობს სხეულის აგებულებაში, ფსიქიკასა და ქცევაში, ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესებისა და გარემომცველი გარემოს შედეგად. შესაბამისად, განვითარების პროცესში ბავშვები არამხოლოდ ზომაში იმატებენ, არამედ ვითარდებიან, იხვეწებიან და სწავლობენ, თუ როგორ გაუგონ მშობლებს და სხვა ადამიანებს, როგორ იარსებონ ცვალებად და გამოწვევებით აღსავსე გარემოში. არსებობს განვითარების მოდელი, რომელსაც თითქმის ყველა ბავშვი იმეორებს, თუმცა ბავშვის განვითარების სხვადასხვა მახასიათებელი შეიძლება ვარირებდეს ბავშვიდან ბავშვზე. ამ მაჩვენებლებზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთა შორის არის სოციუმის კულტურული მახასიათებლები, რომელიც ბავშვთა განვითარების მიზნებსაც შეიძლება კარნახობდეს. დაბადებამდე ბავშვის გარემოს დედის სხეული წარმოადგენს. ბავშვზე აისახება როგორც დედის ჯანმრთელობა ასევე მისი ემოციური მდგომარეობა. არსებობს თეორიები, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი უმნიშვნელო ფაქტორიც კი

გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე, რომელიც შეიძლება ათეული წლის მერე გამოვლინდეს... პრენატარული განვითარება დინამიკური პროცესია, რომლის მეშვეობითაც ადამიანის ერთუჯრედიანი ზიგოტა გარდაიქმნება 100 ტრილიონი უჯრედისაგან შემდგარ ზრდასრულ ორგანიზმად. დღეისათვის მკვლევარებისათვის ცნობილია, რომ მრავალი ყოველდღიური მოქმედება, შესრულებული ზრდასრული ორგანიზმის მიერ, ყალიბდება ფეხმძიმობის პერიოდში, ხშირად დაბადებამდე დიდი ხნით ადრე. შობის წინა მომწიფების პერიოდი სულ უფრო ხშირად აღიქმება როგორც მოსამზადებელი დრო, რომლის განმავლობაშიც ადამიანის ორგანიზმი იძენს მრავალ სტრუქტურას და ავარჯიშებს მრავალ უნარჩვევას, რომელიც საჭიროა შობის შემდგომი გადარჩენისათვის. ადამიანის ფეხმძიმობა, ჩვეულებრივ, 38 კვირამდე გრძელდება დაწყებული განაყოფიერების ანუ ჩასახვის მომენტიდან დაბადებამდე. განაყოფიერების შემდგომი პირველი 8 კვირის განმავლობაში ადამიანის განვითარებად ორგანიზმს ემბრიონი ეწოდება, რაც შიგნით მზარდს ნიშნავს. აღნიშნულ დროს, რომელსაც ემბრიონალური პერიოდი ეწოდება ახასიათებს ორგანიზმის უმთავრესი სისტემების ჩამოყალიბება.

მუცლად ყოფნის პერიოდში ადამიანის განვითარება თვეების მიხედვით შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

I თვე - ნერვული სისტემა იწყებს განვითრებას;

II თვე - ვითარდება გული და სისხლძარღვები, საჭმლის მომნელებელი სისტემა, ყალიბდება ბავშვის სქესი, ვითარდება კიდურები;

III თვე - თავი იზრდება სწრაფად, ძვლები ფორმირდება, საჭმლის მომნელებელი ორგანოები იწყებენ ფუნქციონირებას;

IV თვე - ძვლები გარჩევადი ხდება, რეფლექსური მოძრაობები შესამჩნევია, სასქესო ორგანოები ბოლომდე ჩამოყალიბებულია;

V თვე - დედა იწყებს შვილის მოძრაობების შეგრძნებას, ვითარდება ფრჩხილები, ყურისა და ცხვირის ხრტილები;

VI - თვე თვალები სრულიად ჩამოყალიბებულია;

VII თვე - ინტენსიურად ვითარდება თავის ტვინის ქერქი;

VIII თვეს - ცხიმოვანი ფენა ჩამოყალიბებულია, ფრჩხილები სცდება თითის კიდეებს.

IX თვე - ამოდის თმის საფარი, ორგანოთა სისტემები აქტიურად მუშაობს, ბავშვი იღებს დაბადებისათვის საჭირო პოზიციას.

როდესაც ბაშვი იბადება, იგი ხვდება სრულიად ახალ გარემოში, რომელ-შიც ის აბსოლუტურად უუნაროა. ადრეული ასაკის ბავშვის განვითარება და მასზე ზრუნვა მოიცავს არამარტო იმის ცოდნას, თუ რა ეტაპებს გადის ბავშვი ზრდის პროცესში, არამედ იმასაც, თუ რა საფეხურზე რა სახის ზრუნვას საჭიროებს იგი. ბავშვის ნორმალური და ჯანსაღი გავითარებისთვის არ არის

საკმარისი მისი მხოლოდ საკვებით, უსაფრთხოებით და ჯანმრთელობით უზრუნველყოფა. აუცილებელია მასთან ურთიერთობა, ინტერაქცია, სტიმულაცია, სითბო და შემეცნებითი აქტივობები. საერთაშორისო გაგებით, ადრეული ასაკის ბავშვობა იწყება ჩასახვიდან და გძელდება რვა წლის ასაკამდე. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ლიტერატურაში ეს ასაკობრივი ზღვრები განსხვავებულია. ამ ასაკობრივი ჯგუფის მოხსენიება ტერმინით "ადრეული ასაკი" განპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით:

პირველი მიზეზი: დასახელებული D პერიოდი ემთხვევა განვითარების ფსიქოლოგიის შეხედულებებს.

მეორე მიზეზი: ბავშვები 8 წლამდე საუკეთესოდ სწავლობენ, როდესაც მათ აქვთ საგნები, რითაც შეუძლიათ მანიპულირება. ისინი ძირითადად ამ საგნების მეშვეობით აღიქვამენ სამყაროს, ისინი იყენებენ ექსპერიმენტებს, იღებენ არასასურველ შედეგებს და ხვდებიან, რომ მეორედაც ამ ქცევის იმავე სახით გამეორება, იმავე შედეგის მომტანი იქნება. ამ დროს აუცილებელია, რომ მშობლებმა და მზრუნველებმა მათ კონკრეტული ქცევებისათვის უსაფრთხო გარემო შეუქმნან.

3 თვემდე ასაკში ბავშვები თვალს აყოლებენ საგნებს, იღიმიან, მოსწონთ სახეების და ნათელი ფერების ყურება, ხედავენ ზედა და ქვედა კიდურებს, თავს წევენ და ბრუნდებიან ხმაურის მიმართულებით. ამ ასაკში მათ სჭირ-დებათ ფიზიკური საფრთხეებისგან დაცვა, ადექვატური კვება და ჯანდაცვა, საუბარი მათთან და გრძნობით აღსავსე დამოკიდებულება. O4-6 თვის ასაკის ბავშვები ხშირად იღიმიან და ოჯახის წევრების მიმართ გამოხატავენ დადებით ემოციებს, იმეორებენ ქმედებებს, რომელთაც მათთვის საინტერესო შედეგი მოჰყვება, იცინიან და კისკისებენ, პირში იდებენ საგნებს, დახმარებით შეუძლიათ დაჯდომა, ბრუნდებიან მუცლიდან ზურგზე და პირიქით. იღებენ საგნებს ცერა თითის გამოყენების გარეშე. 7-12 თვის ასაკის ბავშვები იმახსოვრებენ მარტივ მოვლენებს, ცნობენ საკუთარ თავს და აღიქვამენ საკუთარი სხეულის ნაწილებს. ამბობენ პირველი მნიშვნელობის სიტყვებს შეისწავლიან და აქნევენ ხელში აღებულ საგნებს, დამოუკიდებლად შეუძლიათ სიარული, მორცხვობენ უცხო ადამიანის დანახვისას. 1-2 წლის ბავშვები ბაძავენ მის გარშემო მყოფი ადამიანების ქმედებებს, საუბრობენ და ესმით სიტყვები და ამ სიტყვების აზრი, უხარიათ, როდესაც რამეს უყვებიან, მოსწონთ საგნებით თამაში და ნაცნობ ადამიანებთან ურთიერთობა, გრძნობენ საგნების საკუთრებას, იძენენ მეგობრებს და წყვეტენ პრობლემებს. ფიზიკური საფრთხეებისაგან დაცვასა და ადექვატურ კვებასთან ერთად, მათ სჭირდებათ დახმარება მოძრაობის ასათვისებლად, მეტყველებასა და ფიქ-რში დამოუკიდებლობის განსავითარებლად, თვითკონტროლის გასაძლიე-რებლად, ზოგადად თამაშის და სხვა ბავშვებთან თამაშის შესაძლებლობით. 2

და 3,5 წლის ასაკში ბავშვებს უხარიათ ახალი ნაცნობების შეძენა, ყოველთვის მზად არიან იმოძრაონ, ადვილად ღიზიანდებიან, იმეორებენ ნაცნობ ქმედებებს, წინა ასაკობრივი კატეგორიის საჭიროებასთან ერთად, მათ ასევე სჭირდებათ: გააკეთონ არჩევანი, ითამაშონ თეატრალური როლები, ათვალიერონ უფრო და უფრო რთული წიგნები, იმღერონ საყვარელი სიმღერები. 3,5 - 5 წლის ასაკის ბავშვებს უფრო დიდხანს აქვთ დაყოვნების უნარი, იქცევიან გაუაზრებლად, არიან აღგზნებულები, სვამენ უამრამ კითხვას, გაბედულად ცდიან საკუთარ ფიზიკურ მონაცემებს, არ მოსწონთ წაგება, იწყებენ საგნების სხვებთან გაზიარებას და სწავლობენ რიგრიგობით თამაშს. მშობლების მხრიდან მათ სჭირდებათ ნატიფი მოტორიკის განსავითარებლად და მეტყველების დასახვეწად კითხვა და სიმღერა, დახმარებისა თუ ნივთების თხოვნის გზით თანამშრომლობის უნარების განვითარება. 5-8 წლის ბავშვებს უვითარდებათ მზარდი ინტერესი ადამიანების, სხვადასხვა მოვლენებისა თუ საგნების მიმართ, აინტერესებთ რიცხვები, წერა კითხვა უფრო მეტად რწმუნდებიან საკუთარ ფიზიკურ შესაძლებლობებში, ლაპარაკობენ საკუთარ გრძნობებზე, მოსწონთ ზრდასრული ადამიანებივით მოქცევა. ამ ასაკში ბავშვები საჭიროებენ განავითარონ წერა-კითხვის უნარი, მონაწილეობა მიიღონ პრობლემების გადაჭრაში, განივითარონ საკუთარი უნარების რწმენა, დააკვირდნენ საგნებს, მოვლენებს და გააკეთონ მათი ანალიზი და დაესწრონ საგანმანათლებლო აქტივობებს.

სიყვარულის ძაფები მშობლებსა და ბავშვებს შორის არის განვითარე-ბის საფუძველი მთელი ბავშვობის მანძილზე. წამყვანი ადგილი დედისა და ბავშვის სიყვარულში პირველი წლის განმავლობაში უკავია მიჯაჭულობას. ის შეიძლება დაირღვეს მშობლის სიკვდილით ან გაყრით, ხოლო მისი დამახინჯება ხდება ბრაზით და შფოთვით. ამიტომ მნიშვნელოვანია, როგორ ჩამოყალიბდება მიჯაჭულობა ჩვილობაში და როგორ ვითარდება მთელი ბავშვობის მაძილზე. ბავშვის სიცოცხლისთვის საჭიროა მასზე ზრუნვა, ამიტომ მიჯაჭულობა ყალიბდება მზრუნველობის გამოჩენის დროს. ის თუ როგორ ზრუნავენ ჩვილზე, გავლენას ახდენს იმაზე, როგორი მიჯაჭულობა ჩამოუყალიბდება მას. თუ მშობლებს ესმით და ადექვატურად რეაგირებენ ჩვილის მოთხოვნილებებზე, ყალიბდება სანდო მიჯაჭულობა. ასეთი ბავშვები მომავალში ადვილად წყვეტენ პრობლემებს, კარგად სწავლობენ და საუკეთესო ურთიერთობა აქვთ თანატოლებთან.

თანატოლებთან ურთიერთობის დამყარების სწავლა არის ბავშვობის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა. ეს პროცესი იწყება ცხოვრებაში ძალიან ადრე, სანამ ადამიანი ლაპარაკს დაიწყებს. ის იწყება ბავშვების ემოციური ურთიერთობით იმ ზრდასრულ ადამიანებთან, რომლებიც მათზე ზრუნავენ. ბავშვი, რომელსაც საიმედო მიჯაჭვულობა აკავშირებს უფროსებთან, უფრო

მეტი წარმატებით ამყარებენ ურთიერთობას სხვებთან. ისინი უფრო ემპათიურები არიან და მეგობრებს უფრო ადვილად იჩენენ. ისინი სხვას არც ჩაგრავენ და არც დაჩაგრულის როლში ხვდებიან.

ბავშვთა განვითარების შესახებ თეორიების ისტორია იწყება რამდენიმე ასეული წლის წინ. შეიძლება ითქვას, რომ ბევრი შეხედულება ისევე როგორც გარემო სადაც ეს შეხედულებები გაჩნდა შეცვლილია. შესაბამისად, დღევანდელ რელობაში მხოლოდ შემეცნებით ხასიათს ატარებს. მაგალითად, შუა საუკუნეებში ბავშვებს ექცეოდნენ როგორც მინიატურულ ზრდასრულებს, ამერიკაში ბავშვებს ასწავლიან უფრო ინდივიდუალისტურ აზროვნებას და მიდგომას, იაპონიაში კი კოლექტიური აზროვნება აუცილებელი პირობაა სოციუმში თანაარსებობისთვის. შესაბამისად, შეიძლება განსხვავდებოდეს ამ ქვეყნებში შექმნილი თეორიები. სხვადასხვა დროის მეცნიერები ცდილობდნენ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოემოციური და სოციალური განვითარება დაეყოთ ფაზებად, პრაქტიკოსების საქმიანობის გასამარტივებლად. მეტი თვალსაჩინოებისათვის მოვიტან ორი, საერთაშორისოდ აღიარებული ფსიქოლოგის მიერ შემოთავაზებულ სქემას ბავშვის განვითარების ფაზებისა. მაგალითად, ზიგმუნდ ფროიდის ფაზების საფეხურების თეორიაში აღნიშნულია, რომ ბავშვები ძირითადად გადიან განვითარების 5 ფაზას:

1. ორალური ფაზა (დაბადებიდან 18 თვემდე) ამ ფაზაში სიამოვნების ძირითადი წყარო არის წოვა, ღრღნა, კბენა ღეჭვა და ა.შ).

2. ანალური ფაზა (18 თვიდან 3-4 წლამდე) ამ ფაზაში ბავშვებს მოსწონთ მოთმენა და შემდეგ კუჭში გასვლა.

3. ფალიკური ფაზა (3-4 წლიდან 5-7 წლამდე) სიამოვნების წყარო არის გენიტალიები, ხშირია მასტურბაციის მაგვარი ქცევა, გენიტალიებზე ხელით შეხება და ა.შ.

4. ლატენტური ფაზა (5-6-7 წლიდან პუბერტატულ ასაკამდე (12 წელი +/-1 წელი) - ფროიდი ფიქრობდა, რომ ბავშვები ამ ფაზაში იმდენად დაკავებულნი არიან სწავლის პროცესით, რომ დათრგუნული აქვთ სექსუალური იმპულსები. თუმცა არსებობს საპირისპირო მოსაზრებებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბავშვების დაახლოებით 25% თამაშობს ექიმობანას, რაც შეიძლება სწორედ სექსუალური იმპულსების გამოვლინება იყოს.

5. გენიტალიური ფაზა (იწყება პუბერტალური ასაკიდან) წარმოადგენს ზრდასრულობაში სექსუალური ენერგიის საწყისს, როდესაც სიამოვნების ძირითადი წყაროა სქესობრივი კავშირი. ფროიდი ფიქრობდა, რომ მასტურბაცია, ორალური სექსი, ჰომოსექსუალიზმი და სექსუალური ცხოვრების სხვა მრავალი ფორმა იყო მოუმწიფებლობის ნიშანი.

გარდა ფროიდის თეორიისა, არსებობს სხვა თეორიებიც, რომლებიც მე-19 მე-20 საუკუნეში შეიქმნა. ერთ-ერთია ჟან პიაჟეს თეორია, რომელიც ფართოდ

გამოიყენება ბავშვებთან მუშაობისას სხვადასხვა ეტაპზე. პიაჟე ბავშვების განვითარებას შემდეგ ფაზებად ყოფდა:

1. სენსომოტორული ფაზა - დაბადებიდან 2 წლამდე გრძელდება. როგორც ამ ფაზის სახელწოდება გვიჩვენებს, ბავშვები გარემოს შემეცნებისთვის იყენებენ სენსომოტორულ სისტემას, იწყებენ რეფლექსებით და ამთავრებენ რთული მოძრაობებით.

2. პრეოპერაციული ფაზა - იწყება 2 წლიდან და გძელდება 7 წლამდე, ამ ეტაპზე ბავშვებს უვითარდებათ სიმბოლოების აღქმა და მათი გამოყენება.

3. კონკრეტული ოპერაციული ფაზა -გრძელდება 7 დან 11 წლამდე. ამ ფაზაში ბავშვებში ჩნდება ლოგიკური აზროვნების ისეთი ელემენტები, რომ-ლებსაც ზრდასრულები იყენებენ სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად.

4. ფორმალური ოპერაციული ფაზა -12 წლის ზევით გადადიან ფორმალურ ოპერაციულ ფაზაში. ამ დროს უკვე ინტენსიურად ვითარდება აბსტრაქტული, ჰიპოთეზური აზროვნება.

ამ თეორიებთან ერთად არის რამდენიმე თეორია, რომლებიც სხვადასხვა ჭრილში განიხილავენ ბავშვის განვითარების ეტაპებს. ფაზებად დაყოფის ძირითადი იდეა ის არის, რომ განვითარების თითოეული ფაზის აღწერამ ნათლად დაგვანახა ამ ასაკში ბავშვის საჭიროებები და მათი დაკმაყოფილების შესაძლო გზები. ასევე, ამ ფაზებზე და მათ აღწერილობებზე დაყრდნობით თანამედროვე პრაქტიკოსებს შეუძლიათ დროულად ამოიცნონ სხვადასხვა სახის ჩამორჩენა და პათოლოგია, რაც აუცილებელი წინაპირობაა დროული ჩარევისა და პრობლების კორექტირებისთვის.

ადრეული ასაკი ასევე გულისხმობს სკოლამდელ ასაკს. ის მრავალმხრივი და მდიდარი პერიოდია შემეცნებისა და განვითარების თვალსაზრისით. სკოლაში წასვლა, წმინდა გონებრივ განითრებასთან ერთად მოიცავს რთულ და ფაქიზ ფსიქიკურ ასპექტებს. ბავშვის სასკოლო ცხოვრების დაწყებისათვის ფსიქოლოგიურ მზაობას საფუძველი სკოლამდელ ასაკში ეყრება. სკოლაში შესვლა ბავშვის ცხოვრების გარდატეხის მომენტია. მისი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ უზრუნველი ბავშვობა დამთავრდა და ამიერიდან იგი მოსწავლე ხდება. ეს თავისებური გარდამავალი მომენტია, როდესაც ბავშვებში ჯერ კიდევ შერწყმულია სკოლამდელისა და მოსწავლის თავისებურებები. ეს ასაკი ძალიან მდიდარია განვითარების ფარული შესაძლებლობებით. უმცროს სასკოლო ასაკში საფუძველი ეყრება პიროვნების ბევრ ფსიქიკურ თვისებას. მნიშვნელოვანი ფაქტორია სკოლისათვის ბავშვის ინტელექტუალური მომწიფება, თუმცა არა ერთადერთი. ბავშვის სკოლი-სათვის ფსიქოლოგიური მზაობა გულისხმობს ახალი "სიციალური პოზი-ციის" ჩამოყალიბებას, ამიტომ სკოლისათვის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მზა-ობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ესაა მოსწავლის მდგომარეობა,

რომელსაც სკოლამდელთან შედარებით საზოგადოებაში სხვა უფლებები და მოვალეობები გაუჩნდა. ასეთი სახის პიროვნული მზაობა გულისხმობს ბავშვის სკოლისადმი, სასწავლო ქცევისადმი, მასწავლებლისადმი და საკუთარი თავისადმი სპეციფიკურ დამოკიდებულებას. თუ ბავშვს არ გააჩნია მოსწავლის სოციალური პოზიცია და სწავლისათვის ინტელექტუალური და პიროვნული მზაობა თუ არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც არ უნდა მაღალი ინტელექტუალური განვითარებისა და ცოდნის დონე ჰქონდეს მას სწავლა ძალიან გაუჭირდება. ბავშვის სასკოლო ცხოვრებისათვის მზაობას შ.ჩხარტიშვილი სამი თვალსაზრისით იხილავს. მისი აზრით მომწიფებას აქვს სამი მხარე:

1. ფიზიკური;
2. ინტელექტუალური;
3.სოციალურ-პიროვნული ანუ ვოლიტური.

ბავშვი სასკოლო სწავლის დაწყებისათვის მაშინაა მზად, როცა მისი ფიზიკური, ინტელექტუალური და სოციალურ-პიროვნული მომწიფების დონე ისეთია, რომ მას უმტკივნეულოდ შეუძლია მიიღოს და აიტანოს ის დატვირთვა, რომელსაც სასკოლო ცხოვრება ბავშვს უყენებს. სკოლაში შესვლასთან ერთად იცლება ბავშვის მდგომარეობა ოჯახში. მშობლებმა ამ დროს ანგარიში უნდა გაუწიონ მის დღის რეჟიმს. ბავშვს უჩნდება ახალი ვალდებულებები და უფლებები. თუმცა, უნდა ეცადონ მშობლები, რომ ბავშვმა მეტისმეტად არ გააზვიადოს თავისი სასკოლო კოლიზიები. ბავშვის სრულყოფილ განვითარებას დიდწილად განაპირობებს მშობლების სწორი მიდგომა და ზოგადად მათი დამოკიდებულება ბავშვისადმი. როდესაც პიროვნება, რომელზედაც ბავშვი აზრობრივად, მორალურად და სტრუქტურულად არის დამოკიდებული დეპრესიული ხდება, მაშინ ბავშვიც დეპრესიული ხდება, რაც საბოლოოდ მის სურვილზე მოქმედებს, იმდენად, რომ ბავშვი ნეგატიური განწყობისკენ იხრება. ის იმდენად იუფასურებს თავს, რომ თავად ეს საკუთარი გაუფასურების განცდა მნიშვნელოვანი ხდება. Yყველაზე მეტად ბავშვს უყვარს ადამიანის ხმის მოსმენა, ბავშვისადმი მიმართული სიტყვებით იწყება განცდათა სიმბოლიზაცია, როდესაც ბავშვს მხოლოდ ტირილი შეუძლია და როგორც ცნობილია ზოგი სამი წლის მანძილ-ზე ტირის. ეს იმას ნიშნავს, რომ მას სიტყვების მოდულაცია არ გადასცეს და იგი ამ დანაკლისს ყველაზე პრიმიტიული ფორმით გამოხატავს, რადგან არ მოხდა მისი განცდის ვერბალიზაცია მას უბრალოდ სხვანაირი ურთიერთობა არ შეუძლია. იგივე ხდება წყნარი, მშვიდი ბავშვის შემთხვევაშიც, რომელიც მორცხვად იცდის როდის გამოუცვლიან, აჭმევენ და ამ დროს არასოდეს ესაუბრებიან. ბავშვი დედას არასოდეს ეძახის, როცა მას რაიმე სურვილი ან მოთხოვნილება გააჩნია, რადგან თავისი განცდების გამოხატვა არ შეუძლია.

დედ-მამა სხვადასხვანაირად ურთიერთობენ ბავშვთან, შესაბამისად ორივე მშობელს აქვს რაღაც ინდივიდუალური, განსაკუთრებული საერთო შვილთან და ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია მათი თანაბარი მონაწილეობა შვილის აღზრდაში.

დასკვნა

თეორიული მასალის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, თუ რამდენად განსაზღვრავს ეს პერიოდი ადამიანის ფსიქო-ემოციურ და ფსიქიკურ განვითარებას, ადამიანის ხასიათის, ინტერესების, მისწაფებებისა და ჩვევების ჩამოყალიბებას. მიუთითებენ, რომ ბავშვის განვითარების ამ ეტაპზე (ადრეული ასაკის განვითარება) გარკვეულ ინფორმაციას უნდა ფლობდნენ მშობლები, პედაგოგები და ყველა ის ადამიანი, რომელიც მონაწილეობას იღებს ბავშის აღრზდაში და მისი პიროვნების ფორმირებაში, რაგდანაც ამ ეტაპის ჰარმონიულად და შეძლებისდაგვარად სრულყოფილად გავლა განსაზღვრავს ადამიანის მომავალს მისი ყველა მიმართულებით. ბავშვობა მიიჩნევა ადამიანის განვითარების ბაზისად, საფუძვლად, რომელზეც იგება ზრდასრულის ცხოვრება. ფსიქიკა როგორც "სულისმიერი"ცნება ძალზედ ღრმა და სათუთია, რომელიც ასეთსავე მიდგომას საჭიროებს.

ლიტერატურა:

1. თ. გოგიჩაიშვილი – მოსწავლის ასაკობრივი ფსიქოლოგია. 2001 წ.
2. ძ. ტატანაშვილი, ქ.ნემსაძე -Aადრეული ასაკის ბავშვის განვითარება 2008;
3. ფ. დოლტო - ცხოვრებისეული სირთულეები 1986;
4. შ. ჩხარტიშვილი - სასკოლო ცხოვრების დასაწყისის ფსიქოლოგია "პედაგოგიური ფსიქოლოგია" 1962 წ.
5. Ж. Пиаже - Стадии развития интеллекта у ребёнка 1969;
6. დეივ რილი, რობერტ სან ხუანი, სოან კლინკერი, ენ რამინგერი - "სოციალური და ემოციური განვითარება - მეცნიერული ცოდნისა და პრაქტიკის დაკავშირება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში" 2008.

Psychological aspects of early childhood development

Mariam Gvilava, PhD student
Georgian Technical University

Summary

Age psychology has been formed as an independent field of psychology in the second half of the nineteenth century; this has been caused by the high level of the scientific development of the field as well as the practical order from the society to determine periodic patterns of human ontogenesis, study its certain stages and their unique nature.

Development implies formation of motoric, cognitive (perceptive), social – emotional fields and self-service skills Development psychology studies age specifications of psychologic processes, capabilities of acquiring knowledge and skills according to age and leading factors contributing to the formation and development of human personality Each of the age period is characterized with unity of specific patterns. Special attention is paid to the determination of self-perception at certain age.

საერთაშორისო ურთიერთობები

INTERNATIONAL RELATIONS

ტერორიზმის სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი

კობა გოგიბერიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ტერორიზმი - ეს არის ბრძოლა ლეგიტიმურ და არალეგიტიმურ მთავრობებს შორის მრავალრიცხოვანი საშუალებებისა და მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე გავლენის მეთოდების გამოყენებით, რომელთა მეშვეობით ხდება მოწინააღმდეგის არსის, მიზნისა და ღირებულებების შეცვლა საკუთარი არსის, მიზნებისა და ღირებულებების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ძალების გამოყენება ხდება იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ტერორიზმს, მას კვებავს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მსოფლიო იმიჯი, მსოფლმხედველობა, ცხოვრების მდგომარეობა, ცხოვრების მეფობის დამოუკიდებლობა და ა. შ. ტერორიზმთან ბრძოლა - ეს არის ბრძოლა ადამიანის მიერ მის გარემოცვაში გლობალური ცვლილებებისათვის, თუმცა ტერორიზმის არსი იკარგება ისეთ ყოველდღიურ მოვლენებში, როგორიცაა: მძევლების გატაცება, თვალთვალი, ავტობუსების აფეთქება და ა.შ. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს სიმპტომების დონეზე, მაგრამ არა მისი წარმოშობის მიზეზების წინააღმდეგ.

საკვანძო სიტყვები: ტერორიზმი, ფსიქოლოგიური ზემოქმედება. უსაფრთხოება.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და სათანადო განვითარებისათვის ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რის გადასაჭრელადაც აუცილებელია როგორც საერთაშორისო სამართლებრივი, ასევე შიდა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შემუშავება და ჰარმონიზაცია.

ტერორიზმის წარმომავლობის შესახებ, რუსი მეცნიერი ო.ვ ბუდნიცკი აღნიშნავს, რომ „ისტორიკოსებისა და პოლიტოლოგების ერთი ნაწილი ტერორიზმის ფენომენს უთანაბრებენ ნებისმიერ პოლიტიკურ მკვლელობას და მისი წარმოშობის ფესვებად მიიჩნევენ ანტიკურ და უფრო ადრეულ პერიოდსაც კი. მეცნიერების მეორე ნაწილი ტერორიზმის წარმომავლობას უკავშირებს XIX საუკუნის ბოლო პერიოდს, მეცნიერების მესამე ნაწილი მიიჩნევს, რომ ტერორიზმი წამოიშვა XI-XIII საუკუნეების პერიოდში ისლამური ტრადიციების საფუძველზე, ხოლო მეცნიერთა მეოთხე ნაწილი კი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ტერორიზმი წამოიშვა ნაპოლეონის მიერ გატარებული რეფორმების შემდგომ პერიოდში.

ძირითადი ნაწილი

ტერორიზმი თავისი შინაარსით წარმოადგენს თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და მრავალმხრივ მოვლენას, რაც ყოველთვის იწვევს ადამიანთა მასობრივ მსხვერპლს, სულიერი და მატერიალური ღირებულების ნგრევას, რომელიც აღდგენას აღარ ექვემდებარება. იგი სოციალურ და ეროვნულ ჯგუფებს შორის ბადებს უნდობლობას და სიძულვილს, რომლის დაძლევა ზოგჯერ შეუძლებელია თაობების მთელი ცხოვრების განმავლობაში. ტერორისტულ აქტად უნდა ჩაითვალოს ძალადობის უკანონო, განზრახი გამოყენება ან მისი გამოყენების მუქარა, მიმართული გარკვეული პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური ან სხვა მიზნების მისაღწევად, რომელიც როგორც წესი, საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს ან საკუთრებას, ამავე დროს იწვევს კონკრეტული პირების, პირთა ჯგუფის ან მთლიანად მოსახლეობის დაშინებას და ხელყოფს სახელმწიფოს ინტერესებს.

ტერორიზმის ზოგიერთ განსაზღვრებაში აღნიშნულია, რომ ამ ქმედების მიზანს მოსახლეობის დაშინება წარმოადგენს. ზოგიერთი მეცნიერი ქმედებას ტერორისტულ აქტად მაშინ მიიჩნევს, როცა მას პოლიტიკური ან მსგავსი მიზნები უდევს საფუძვლად. მიზნების ეს ორი კატეგორია რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც მნიშვნელობით, ასევე შინაარსით. მაგრამ ამავე დროს, მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს ტერაქტის განხორციელების პროცესში. მოსახლეობაში შიშის დანერგვა, როგორც წესი, თან ახლავს ყოველ ტერაქტს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მიზანი

ტერორისტებს მხოლოდ დანაშაულის განხორციელების გარკვეულ ეტაპზე ამოძრავებთ, ხოლო მათ უმთავრეს და საბოლოო მიზანს კი კონკრეტული პოლიტიკური, სოციალური ან სხვა შინაარსი გააჩნია. ეს უკანასკნელი ამავე დროს, დანაშაულის ჩასახვის მიზეზიცაა და ტერორისტთა მოთხოვნის საფუძველიც.

მაშასადამე, შეიძლება ითქვს, რომ მოსახლეობის დაშინება შუალედური მიზანია, რომელიც დანაშაულის განხორციელების შემდეგ საფეხურზე ხშირად ძირითადი მიზნის მიღწევის საშუალებად იქცევა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ხალხის ტერორიზება გულისხმობს არა მხოლოდ საზოგადოების ფართო მასებში შიშის დანერგვას, არამედ კონკრეტულ პირებზე ან გარკვეულ პირთა ჯგუფზე ზემოქმედებასაც.

თითოეულ ადამიანს აქვს საკუთარი პირადი მიზეზი ტერორისტულ ჯგუფში გაწევრიანებისათვის და ბუნებრივია, მნიშვნელოვანია, რომ დადგინდეს აღნიშნულის გამომწვევი მიზეზები, თუმცა, სოციალურ-ფსიქოლოგიურ ანალიზში მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც იწვევნ ტერორისტული ორგანიზაციების წარმოქმნას. ცხადია, რომ ყველა ფორმის ტერორიზმის წარმოშობის პირველწყაროს მიეკუთვნება კონფლიქტი, რომელიც წარმოიშვება მაშინ როდესაც ორ ან მეტ სუბიექტს (ინდივიდს ან ჯგუფს) გააჩნიათ ურთიერთგამომრიცხავი მიზანი.

დღეისათვის სამყარო იმყოფება ცივილიზაციის ახალ ეტაპზე და ამიტომ მსოფლიო ხედვა ძალიან მკაცრად იცვლება, მათ შორის, მილიონობით ხალხის, მთლიანობაში ქვეყნების და ერების მიმართ. ამიტომ ტერორიზმი დღეს უნდა განიხილებოდეს, როგორც გლობალიზაციის საწყისი, როგორც მისი ბუნებრივი ანარეკლი. გლობალიზაციის თეორეტიკოსები საუბრობენ, რომ ეს არის ემპირიულად ფიქსირებადი ცვლილებების სერია, სხვაგვაროვანი, თუმცა გაერთიანებული სამყაროს გარდაქმნის ერთიან ნაწილად ფორმულით: „გლობალური ურთიერთდამოკიდებულება პლიუს გლობალური ცნობიერება“.

დღესდღეობით, გლობალური ცნობიერების მოდიფიკაცია შემოიფარგლა მხოლოდ საინფორმაციო საზოგადოების გლობალური ცვლილებების, ელექტრო-კიბერნეტიკური ცივილიზაციის მატერიალიზებით.

რუსი მკვლევარი და მეცნიერი ა.ი იურევი ნაშრომში „ტერორიზმის პოლიტიკური ფსიქოლოგია“ აღნიშნავს, რომ „გლობალური ცვლილებების ზემოქმედების ქვეშ ცნობიერების ცვლილება მსოფლიოში, ეს არის შეუძლებელის აღქმა, როგორც შესაძლებელის, დაუშვებელის დასაშვებად, არარეალურის რეალურად. გლობალიზაცია ახდენს ცვლილებების მთელს სისტემას ადამიანის შინაგან სამყაროში. იგი ახდენს ცვლილებას ადამიანის მსოფლმხედველობაში, მის ცხოვრების პოზიციაში და მისი

ცხოვრების წესებში. ეს ნიშნავს იმას, რომ ცვლის თვითონ ადამიანს _ მის ცნობიერებას.

სწორედ ამ ცვლილებების ირგვლივ მიმდინარეობს ბრძოლა, რომლის ერთ-ერთი გამოვლინება არის ტერორიზმი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბრძოლა მიმდინარეობს არა ტერიტორიებზე, არა რესურსებზე, არა ეკონომიკურ პოზიციებზე, არამედ ცნობიერების არსზე. ჯერ-ჯერობით კი ტერორისტული და ანტიტერორისტული ძალების მსოფლმხედველობა, ცხოვრების წესები, ცხოვრების პოზიციები შეუთავსებადია, იმიტომ რომ ეს არის რთული სისტემური სამუშაო, და უფრო მარტივია იარაღის გამოყენება იძულებისთვის, ვიდრე მტკიცებულებებისთვის ინტელექტის გამოყენება.

ტ. ა. ნესტიკი და ვ. ა. სესნინი წიგნში „თანამედროვე ტერორიზმის სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი“ აღნიშნავენ, რომ „ფსიქოლოგები გამოყოფენ ოთხი კატეგორიის სოციალურ მოტივს რაც საფუძვლად ედება ტერორიზმის წარმოშობის ძირითად და სტრუქტურულ მიმართულებას, კერძოდ:

პირველი სოციალური მოტივი: **„რთული ცხოვრებისეული პირობე-ბი“,** როგორიცაა მოთხოვნილება საკვებზე, ჯანმრთელობაზე, თავისთვის და ოჯახის წევრებისათის საცხოვრებლის არ ქონა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში არსებულმა ღრმა უფსკრულმა სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის შესაძლოა ადამიანები მიიყვანონ იმ ზომამდე, რომ მხარი დაუჭირონ და გაწევრიანდნენ ამ მიზნით აჯანყებულებთან ან ტერორისტულ ორგანიზაციებში. ადამიანებს, რომლებსაც ფაქტიურად არაფერი არ აქვთ დასაკარგი, იმიტომ რომ მათ არც არაფერი გააჩნიათ და ისინი იბრძვიან თავიანთი თავის გადარჩენისთვის ხდებიან პირველი რიგის კანდიდატები გაწევრიანდნენ ექსტრემისტულ ორგანიზაციებში მით უფრო, რომ მათ ასეთი სახის ორგანიზაციის ლიდერები პირდებიან ქონების მიღებას, მას შემდეგ რაც ხელისუფლებას ჩამოაშორებენ მმართველობას.

მეორე სოციალური მოტივი: **„უსაფრთხოების (დაცულობის) მო-თხოვნა“,** რომლის არ არსებობაც ხშირ შემთხვევაში იწვევს შიშის განცდას, რომელიც თავის მხრივ ზოგ შემთხვევაში აღიქმება რეალურად, ხოლო ხშირ შემთხვევაში კი გადაჭარბებულად. გადაჭარბებული შიში ეფუძნება საშიშროების არაადაექვატურ აღქმას. ტერორიზმის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი რ.უაითი აღნიშნავს, რომ რეალური შიში ეს არის „ჯანმრთელი“ შიში, ანუ სახელმწიფოებთან მიმართებაში გამოხატული რაიმე სახის ქმე-დება, რომელიც რეალურად წარმოშობს საშიშროების საფრთხეს, ასეთ შემთხ-ვევებში სახელმწიფოების მიერ კონტრზომების გატარება გამართლებული საშუალებაა. მაგალითად ტერორისტული დაჯგუფება „ალ-ქაიდას“ მიერ გავ-

რცელებული ინფორმაციები მოსალოდნელი აფეთქებების შესახებ სახელმწიფოების მიერ აღქმული უნდა იქნას, როგორც რეალური მუქარა და ამ მხრივ კონტრღონისძიებების გატარება გამართლებულ ქმედებას წარმოადგენს.

მესამე სოციალური მოტივი: **„თვითრეალიზაცია“,** ანუ საკუთარი ცხოვრების, თავისუფლებისა და ბედნიერების მიღწევასთან დაკავშირებული საკუთარი, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მსოფლიოში არსებული ბევრი აჯანყებული დაჯგუფება, რომელთა მიზანია მიაღწიონ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ან ავტონომიის მოპოვებას არის თვალსაჩინოდ გამოხატული ტერორისტული მიმართულება, როგორიცაა შრი-ლანკის, ქაშმირის, ანგოლის (და სხვა) ტერორისტული დაჯგუფებები. თუ მივიჩნევთ, რომ აღნიშნული დაჯგუფებები იბრძვიან თვითგამორკვევის პრინციპებიდან გამომდინარე მაშინ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ხელისუფლების პრობლემას წარმოადგენს და იმის შიშით რომ არ დაკარგოს ძალაუფლება მოსახლეობის მიმართ იყენებს ძალას და ხშირ შემთხვევაში ერთვება შეაიარაღებულ კონფლიქტში.

მეოთხე სოციალური მოტივი: **„სოციალური აღიარება და პატივისცემის გამოხატვა“,** ანუ მიუხედავად რელიგიური, ეთნიკური და კულტურული წარმომავლობისა ცნობილი და აღიარებული იქნას სხვა ჯგუფების იდენტურობა.

ტერორისტული საქმიანობის ამჟამინდელი მასშტაბები და აქტივობა მიუთითებს ტერორიზმის საფრთხის მაღალ გამოვლინებაზე. ტერორისტული თავდასხმების რიცხვი მუდმივად იზრდება და შესაბამისად ექსპერტები სათანადო პროგნოზირებას ვერ ახდენენ თუ რა იქნება მომავალში, ამიტომ ტერქატების ფსიქიკაზე ზემოქმედების შესწავლა (მოსახლეობის ტრავმულობა) წარმოადგენს თანამედროვეობის ერთ-ერთ უმძიმეს და აქტუალურ პრობლემას. ტერაქტ**ების შედეგად გამოწვეული ტრავმული ფაქტორები შეიძლება გამოვლინდეს ინდივიდუალური ფსიქიკური დარღვევების ყველა ფორმით, მაგრამ ტრავმული სიტუაციების გავლენის ქვეშ განვითარებული ყველაზე დამახასიათებელი ფსიქიკური მდგომარეობა პოსტტრავმული სტრესული აშლილობაა.**

ნ.ვ. ტარაბრინა და უ.ვ. ბიხოვეცი სახელმძღვანელოში „ტერორისტული საფრთხის გამოცდილების ფსიქოლოგიური შეფასება“ აღნიშნავენ, რომ მეცნიერების მიერ სხვადასხვა ტრავმული მოვლენების შემდეგ ჩატარებული იქნა კვლევები პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ირგვლივ და დადგინდა, რომ მოსახლეობაში ტერორისტული აქტის ჩადენის შედეგად გამოწვეული ფსიქიკური ტრავმა მიეკუთვნება ყველაზე სერიოზულ საფრთხეს.

N	განვითარებული მოვლენები	პოსტტრავმული სტრესული აშლილობა	პროცენტული მაჩვენებელი
1	ვულკანის მოფრქვევა	განვითარდა	მოსახლეობის 2%
2.	წყალდიდობა	განვითარდა	მოსახლეობის 4%-დან 8%
3.	კაშხალის გარღვევა	განვითარდა	მოსახლეობის 44%
4.	ხანძრის შემდგომ	განვითარდა	მოსახლეობის 53%
5.	თვითმფრინავის გატაცების შემდეგ	განვითარდა	მოსახლეობის 54%
6.	ოკლახომაში ბომბის აფეთხების შედეგად	განვითარდა	ყოველ მესამე მაცხოვრებელში

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფართომასშტაბიანი ტერორისტული შეტევები კონკრეტული ტიპის კატასტროფაა. ისინი ადამიანის მეშვეობით გამოწვეული, განზრახ ინტერპერსონალური ძალადობაა. ტერორისტები იყენებენ დაბომბვებს, მასობრივი განადგურების იარაღს, მათ შორის ქიმიური ნივთიერებებს, მაგალითად, ზარინის ნერვული გაზის ტოკიოში გამოყენება და ციმბირის წყლულის ამერიკის შეერთებული შტატებში გავრცელება მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობაში დაინერგოს შიში, რაც შესაბამისად უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. ტერორისტული შეტევები, როგორიცაა 1995 წელს ტოკიოს მეტროში ზარინის გაზის გამოყენება, ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქ ომაგში ერთ-ერთ ხალხით დატვირთულ სავაჭრო ქუჩაზე ბომბის აფეთქება, მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე 11 სექტემბერს განხორციელებული შეტევა, 1998 წელს ნაირობიში სავაჭრო ცენტრის აფეთქება, ბოლო წლების განმავლობაში ევროპის ქალაქებში ავტომანქანებით ფეხით მოსიარულე ხალხში შეჭრა და ამ გზით ადამიანების განადგურება, ცხადად წარმოაჩენს ტერორიზმის შედეგად გამოწვეულ ადამიანთა ფსიქოლოგიურ და სოციალურ დაზიანებას.

რ.ჯ. ურსანო, კ. ფულერტონი და ა. ნორვუდი წიგნში „ტერორიზმი და კატასტროფა“ ტერორიზმის, სტიქიური უბედურებისა და ტექნოლოგიური კატასტროფის მსგავსებებსა და განსხვავებებს შემდეგნაირად ახასიათებენ, კერძოდ:

დახასიათება	ტერორიზმი		ბუნებრივი კატასტროფა			ტექნოლოგიური კატასტროფა	
	აფეთქება	მძევლად ხელში ჩაგდება	ქარიშხალი	ტორნადო	მიწის ძვრა	ბირთვული გაჟონვა	ტოქსიკური გაჟონვა
სახელმწიფო უსაფრთხოების დამაზიანებელი გარემოება	+	+	+	+	+	+	+
განზრახი ქმედება	+	+	-	-	-	-	-
არაპროგნოზირებადი ქმედება	+	+	+	+	-	+	+
გეოგრაფიული ზემოქმედების შეზღუდვა	-	-	+	+	+	+	+
შიშის ლოკალური დახასიათება	+	+	+	+	+	+	+
ეროვნული შიშის დახასიათება	+	+	-	-	-	-	-
სახელმწიფო ინსტიტუციე-ბისადმი ნდობის დაკარგვა	+	+	+	-	-	+	+

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ შიშის გამოხატულების ნაწილში ტერორიზმი საკმაოდ განსხვავდება ბუნებრივი კატასტროფებისაგან გამოწვეულ შიშთან მიმართებაში, ტე-რორიზმის დროს მოსახლეობა კარგავს ხელისუფლებისა და ინსტიტუტების მიმართ ნდობას. 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი ტერორისტული აქტის შემდგომ ჩატარებული კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ ნიუ-იორკის შემოგარენში მცხოვრები მოსახლეობის 64,6 პროცენტმა განაცხადა, რომ ორი თვის შემდეგ კვლავ მოხდებოდა ტერორისტული აქტი, ხოლო 37,5 პროცენტმა კი განაცხადა, რომ ექვსი თვის შემდეგ კვლავ მოხდებოდა ტერორისტული აქტი, ანუ ყოველივე ეს გამოწვეული იყო მომხდარით მიღებული შიშის გამო.

როგორც ჩატარებული კვლევებით დგინდება, ტერორიზმის საფუ-ძვლები კომპლექსურია, მასზე გავლენას ახდენს ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც ბოლომდე შესწავლილი არ არის. ცხადია, ტერორისტული აქტის საბოლოო მიზანი ხალხის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეცვლაა, მოსახლეობის ფართო მასებში უმწეობისა და შიშის ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნაა. ტერორიზმი თავისი შინაარსით და შედეგებით არის კრიმინალური ფენომენი პოლიტიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური და მორალური თვალსაზრისით. როგორც წესი ტერორისტების სამიზნეები ხდებიან უდანაშაულო ადამია-ნები, რომლებიც ტერორისტების აზრითა და გათვლებით აღზრდილნი არიან

სიძულვილის, შეუწყნარებლობის, ძალადობის, არასაჯაროობის, დამცირებისა და არასათანადო მოპყრობის იდეებზე.

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათ კანდიდატი, დოცენტი ე.ლ. ბოდნარი სახელმძღვანელოში „ტერორიზმის ფსიქოლოგია“ აღნიშნავს, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც ტერორისტული აქტის ჩადენა ხდება ერთი პირის მიერ, მისი მოტივაცია შესაძლებელია გავიგოთ მხოლოდ ფსიქოლოგიური მიდგომით ანუ იმ ძირითადი აზრით, რომ ადამიანთა ფსიქოლოგია ფორმირდება და ეფუძნება ფართო სოციალურ კონტექსტს (ეს ის სოციო-კულტურული საზოგადოებაა, რომელშიც ადამიანი დაიბადა, გაიზარდა, ხდება ზრდასრული ადამიანი და იძენს ამ საზოგადოებასთან დაკავშირებული ქცევის ღირებულებებს, ნორმებსა და წესებს). ყველა კულტურას აქვს თავისი წარმოდგენა ქცევის, მსოფლმხედველობისა და სამყაროს სურათის შესახებ, რომელიც დროთა განმავლობაში ფორმირდება და მხარს უჭერს სოციალიზაციის პროცესს, რომელიც თავის მხრივ ადამიანებს აერთიანებს ურთიერთდაკავშირებულ თანამეგობრობაში, ორგანიზაციებში, მათ შორის ოჯახის, სკოლის, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური განათლების მხრივ. საბოლოო ჯამში ადამიანის ცხოვრებისეული ფუნქციონალის და ფსიქიკის ცვლილებამ თავის მხრივ შესაძლოა მეტ-ნაკლებად გამოიწვიოს მისი მსოფლმხედველობის ცვლილება სამყაროს შესახებ .

მეცნიერები გამოყოფენ სამი სახის ტერორიზმს, ესენია: **პოლიტიკურად მოტივირებული ტერორიზმი; დამნაშავეები (შეკვეთილი მკვლელობები ორგანიზებული დანაშაულის ჩარჩოში); არარაციონაალური ტერორისტები (ფსიქიურად დაავადებულები).** ამ სამ განასხვავებულ ჯგუფს შორის არის ერთი საერთო მოტივაცია-მოსალხეობის დაშინება. ფსიქოლოგიური მოდელების უმრავლესობა ეფუძნება იმას, რომ „ტერორისტებს აქვთ აბსოლუტური შედეგების მიღწევის პათოლოგიური საჭიროება“ და ტერორისტული ქცევის მრავალრიცხოვანი ფსიქოდინამიური ინტერპრეტაციები ამ მოდელთან თანხვედრაშია.

ფსიქოლოგი ს.ვ. ციცარევი ნაშრომში „ტერორიზმის სოციალური ფსიქოლოგია და ფსიქოპათოლოგია“ აღნიშნავს, რომ „ტერორისტების როლი, რომლებსაც ისინი ასრულებენ ტერორისტულ ჯგუფებში იყოფა შემდეგ კატეგორიებად, კერძოდ:

1. **ლიდერები** თავდაპირველად განიცდიან თავიანთი არაადეკვატურობის გრძნობას და ადვილად აშინებენ საზოგადოებას, მიაჩნიათ, რომ საზოგადოება არაადეკვატურია და უნდა შეიცვალოს. ასეთ ადამიანებს აქვთ ნათელი წარმოდგენა ტერორისტული ჯგუფის მიზნებზე და მისი იდეოლოგიის ფესვებთან მიმართებაში. ლიდერის როლი მიმზიდველია ნარცისული და პარანოიდული ტიპის პირებისათვის.

2. **ავანტიურისტი,** რომელსაც ჩვეულებრივ აქვს ყველა საჭირო უნარ-ჩვევები ტერორისტულ ჯგუფში მონაწილეობისათვის. როგორც წესი, ეს არის ანტისოციალური ტიპის პიროვნება, რომელსაც ტერორისტულ ჯგუფში გაწევრიანებამდე გააჩნია დანაშაულებრივი ქცევის ისტორია, მაგალითად როგორიცაა, დაქირავებული მკვლელები, ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე სხვადასხვა შეიარაღებული ჯგუფები. მათი ქცევის იდეოლოგია მნიშვნელოვნად განსხვავდება ან საერთოდ არ იცვლება. აგრესიულ აქტებში ძლიერი გრძნობების ძიება მათ ყველაზე მეტად იზიდავს.

3. **იდეალისტს,** როგორც წესი მიეკუთვნება ახალგაზრდა ადამიანე-ბი, უკმაყოფილო ხედვებით სოციალაური პრობლემებისა და სოციალუ-რი ცვლილებების მიმართ. ასეთი სახის ადამიანი წარმოადგენს ე.წ „ტვინის გამორეცხვის“ შესანიშნავ ობიექტს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და რელიგიურ ფაქტორებზე და ფანატიზმის ფენომენი ზუსტად ასეთი სახის პირებს შორის შეინიშნება.

ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული მონაცემებით შესა-ძლებელია განვსაზღვროთ ტერორისტის ინდივიდუალური-პიროვნული დახასიათება, კერძოდ: აგრესიული, დეპრესიული მდგომარეობა, დანაშაუ-ლის შეგრძნება, მამაკაცური ღირებულებების ნაკლებობა, რისკის საჭიროება, ძლიერი გრძნობების ძიება.

ტერორიზმის მოტივაციის შემსწავლელი ბევრი მკვლევარი მიიჩ-ნევს, რომ ტერორისტებს შორის პირდაპირი ფსიქოპათოლოგია ძალიან იშ-ვიათი გამოვლინებაა, შესაძლებელია გამოიყოს ცალკეული სახასიათო მიდ-რეკილებები, რომლებიც ხშირად შესაძლოა უბიძგებდნენ იმ კატეგორიის ადამიანებს დაადგნენ ტერორიზმის გზას, რომლებიც მუდამ არიან აგრესიულ თავდაცვით მდგომარეობაში, საკუთარი თავის მიმართ გააჩნიათ დაბალი თვითშეფასება, საკუთარი წარუმატებლობის გამო საზოგადოების მიმართ განიცდიან სოციალურ უსამართლობას და ამ გზით ცდილობენ საკუთარი „მე“-ს დაცვას, მაგრამ მხოლოდ ეს გარემოებები არ მიუთითებენ ცალსახად ტიპიური ტერორისტების ხასაითზე, გარდა ჩამოთვლილი შემთხვევებისა არსებობს ტერორისტულ ორგანიზაციებში გაერთიანების იდეოლოგიური და რელიგიური მოტივები, სადაც აღნიშნული ხასიათის ადამიანები მიისწრა-ფიან, რომ დაიმკვიდრონ თავიანთი თავი ანუ იპოვონ თავიანთი ადგილი.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ტერორისტული დაჯგუფებები ხსე-ნებული ხასიათის ინდივიდებს უხსნიან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ შიშს და აძლევენ იმის საშუალებას, რომ პირმა ტერორისტულ ორგანიზა-ციაში გაწევრიანებით სრულყოფილ ადამიანად იგრძნოს თავი. ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ე.ლ ბოდნარი, წიგნში „ტერორზმის ფსიქოლოგია“ აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგიური კვლევით პრაქტიკის დროს გამოიკვეთა ტე-რორისტის მაიდენტიფიცირებელი სამი მოდელი, კერძოდ:

პირველი მოდელს მიეკუთვნება იდეოლოგიური, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის ტერორისტი, რომელსაც ღრმად სწამს, რომ მისი მოქმედება კონკრეტული შედეგების მიუხედავად, საზოგადოებისთვის სასარგებლოა და გამართლებულია ნებისმიერი მსხვერპლი „სამართლიანი“ მიზნების მისაღწევად. ასეთი ტერორისტის ცნობიერების სფერო იდეოლოგიური, რელიგიური დოქტრინებით არის გამოკვეთილი.

აქედან გამომდინარე, მას შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, რაც მას სურს. პოლიტიკურ თვალსაზრისით იგი ფანატიკოსია, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კი თავისი მსოფლმხედველობრივი შეხდულებების იდეური მხარდამჭერი ან ფსიქოპათტი.

მეორე მოდელი ეფუძვნება ადამიანის აგრესიის თეორიას, კერძოდ: ტერორისტი უკიდურესად აგრესიული პიროვნებაა მისი პირადი მახასიათებლების თვალსაზრისით და მისი მონაწილეობა ტერორისტულ საქმიანობაში ბუნებრივი აგრესიის გამოვლინების ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია.

მესამე მოდელს მიეკუთვნება ბავშვის პიროვნების განვითარების ფსიქოპათოლოგიური ან სოციალურ-პათოლოგიური ტიპი (ოჯახურ ურთიერთობებში არანორამლური მდგომარეობა). ბავშვის მშობლების მხრიდან მისდამი უკმაცრესი მოქცევა, მისი სოციალური იზოლაცია, კარგი ურთიერთობების ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს აგრესიულად გაბრაზებული პიროვნების ჩამოყალიბება ანტისოციალური მიდრეკილებით. გარკვეულ პირობებში, ასეთი ფსიქოლოგიური ხასიათის მქონე ადამიანები ადვილად ხდებიან ტერორისტული ორგანიზაციის მიმდევრები .

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მივიდვართ იმ დასკვნამდე, რომ ტერორიზმი ფსიქოლოგიის თვალსაზრისიდან - ეს არის ბრძოლა არალეგიტიმური და ლეგიტიმური ხელისუფლებებს შორის, მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიურ მდგომარეზაზე ზეწოლის განუსაზღვრელი საშუალებების და მეთოდების გამოყენებით, მოწინააღმდეგის არსის, მიზნების და ღირებულებების შეცვლა საკუთარ არსზე, მიზნებზე და ღირებულებებზე. იმის მიუხედავად, რომ თუნდაც სამხედრო ძალებით ხერხდება ტერორიზმის გამოვლინების ჩახშობა, რჩება მისი მკვებავი გარემო - მსოფლიო სურათის, მსოფლმხედველობის, ცხოვრების პოზიციის, ცხოვრების წესების შეუთავსებლობა, რომლებიც ჰყოფს შეუპოვარ მოწინააღმდეგებს. ტერორიზმთან ბრძოლა ეს არის ბრძოლა ადამიანის ცნობიერებაზე სამყაროში გლობალური ცვლილებების გარემოში, თუმცა, ტერორიზმის არსი დაკარგულია მძევლების აყვანის, თვითმფრინავების გატაცების, ავტობუსების აფეთქებების ყოველდღიურობებში. ჯერჯერობით ტერორიზმთან ბრძოლა მიმდინარეობს

სიმპტომების დონეზე, და არა მისი ახალ-ახალი წარმოშობის მიზეზებზე. ტერორიზმის მიზანი არის მოახდინოს საზოგადოებაზე ფსიქოლოგიურ-პოლიტიკური დესტაბილიზაცია, რომლის შედეგად დგება ფინანსური კოლაფსი, ხელისუფლებების შეცვლა, წარმოების შემცირება, სატრანსპორტო დინების შეჩერება რაც შესაბამისად აისახება სხვა ადამიანების სამყაროზე. ტერორიზმი - ეს არის სხვების დაავადება ფსიქოლოგიურ-პოლიტიკური არასტაბილურობით, რომლითაც თვითონ არის დაავადებული, ამიტომ, ტერორიზმის დიაგნოსტირება, მისი „მკურნალობა“ და პროგნოზირება არის არამხოლოდ მისი შეიარაღებული სტრუქტურების აღმოჩენაში და განადგურებაში, არამედ მისი არსებობის არსის ზუსტ ცოდნაში.

ლიტერატურა:

1. ნესტიკ ტ.ა. სესნინი ვ.ა. „თანამედროვე ტერორიზმი. სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი“. მოსკოვი, 2008 წელი.
2. იურევ ა.ი. „ტერორიზმის პოლიტიკური ფსიქოლოგია“. სანკტ-პეტერბურგი, 2004 წელი.
3. ტარაბრინა ნ.ვ., ბიხოვეცი უ.ვ., „ტერორისტული საფრთხის გამოცდილების ფსიქოლოგიური შეფასება“. მოსკოვი, 2010 წელი.
4. ურსანო რ.ჯ. ფულერტონ კ. ნორვუდ ა. „ტერორიზმი და კატასტროფა“. კემბრიჯი, 2003 წელი.
5. ბოდნარი ე.ლ., „ტერორიზმის ფსიქოლოგია“. ეკატერინბურგი, 2013 წელი.
6. რეშეტნიკოვ მ.მ. „ტერორიზმის სოციალური ფსიქოლოგია და ფსიქოპათოლოგია“ კრებული. სანკტ-პეტერბურგი, 2004 წელი

Social-psychological analysis of terrorism

Koba Gogiberidze, PhD student
Georgian Technical University

Summary

Consequently, from the above-mentioned a conclusion is made, that in psychological point of view terrorism is fight between legitimate and non-legitimate governments, by using numerous means and methods of pressure on psychological condition of an opponent, also changing essence, goals and values of an opponent towards your own essence, goals and values. Despite the fact, that military forces are used to put down terrorism revealing, there stays nourishing environment – as world image, world view, position of life, incompatibility of rule of life, which separates persisted opponents. Fight against terrorism is a fight on human being's awareness in environment of global changes, however, essence of terrorism is lost in everyday circumstances, such as hostage-taking, skyjacking, bus explosion. Fight against terrorism yet occurs on the level of symptoms, but not against the reasons of its origination. Aim of terrorism is to implement psychological-political destabilization over society, in the result of which we get financial collapse, changing of governments, decreasing of production, termination of transport stream and all these reflects to the world of other people.

Key Words: Terrorism. Psychological influence. Safety.

ეროვნული უმცირესობების ჩამოსახლების ისტორიიდან საქართველოში

მარინა გლოველი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიის სათაურია ეროვნული უმცირესობების ჩამოსახლების ისტორიიდან საქართველოში. მასში ასახულია ეროვნულ უმცირესობათა საქართველოში შემოსვლის და დასახლების ეტაპები, მიზეზები და მათ მიმართ მოპყრობის თავისებურებები. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ღვაწლი ერთიანი საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ და ქართველთა მიერ საპასუხო მადლიერების დამადასტურებელი ფაქტები.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული უმცირესობები. ისტორია. კულტურა.

შესავალი

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. ავტოქთონ ქართველებთან ერთად საუკუნეების განმავლობაში მრავალი „სტუმარი“ ეთნოსი, ეროვნული უმცირესობა ცხოვრობდა და ცხოვრობს. მათგან მნიშვნელოვანი წილი კომპაქტურადაა განსახლებული, ნაწილი დისპერსიულად. სომხების, აზერბაიჯანელების, რუსების ისტორიული სამშობლო-სახელმწიფო საქართველოს მოსაზღვრედ მდებარეობს. ებრაელების, ბერძნების, უკრაინელების, პოლონელების და სხვათა ისტორიული სამშობლო-სახელმწიფო საქართველოს საზღვრებს საკმაოდ დაშორებულია. ჩრდილო კავკასიელების, ქურთების და სხვების ისტორიული სამშობლო დამოუკიდებელი სახელმწიფოც არ არის. საქართველოში „უცხონი“ სხვადასხვა მიზეზით მოხვდნენ: საკუთარი ქვეყნიდან დევნის, სამუშაოს ძებნის სურვილით, ქართველ მეფეთა მოწვევით, მეფის რუსეთის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციის მიზნით, შერეული ოჯახების შექმნის შედეგად. ისინი ქართველებთან ერთად ძირითადად კეთილმეზობლურად ცხოვრობდნენ, ითვისებდნენ ქართულ კულტურას და ადათ წესებს. თავის მხრივ, ქართველებს უზიარებდნენ მათ კულტურას და დამახასიათებელ წეს-ჩვეულებებს, საუკუნეების განმავლობაში იბრძოდენ საქართველოს კეთილდღეობისათვის ქართველებთან ერთად.

ძირითადი ნაწილი

„არაქართველების დიდი უმრავლესობა გუშინ როდი ჩამოსახლებულა საქართველოში. ისინი დიდი ხნიდან ცხოვრობდნენ ქართველების გვერდით და მათთან ერთად იტანდნენ ისტორიულ ქარტეხილს“ [1. 83].

საქართველოს გაქრისტიანების საქმეში ებრაელების ღვაწლზე მიუთითებს „მოქცევაი ქართლისაი“. მცხეთელი ებრაელი ქალი სიდონია ქართული ეკლესის პირველ წმინდანად ითვლება. ებრაელებმა: ელიოზ მცხეთელმა და ლონგინოზ კარსნელმა ჩამოიტანეს საქართველოში ქრისტეს კვართი. ამავე ძეგლის მიხედვით, ქალწულმა ნინომ, როდესაც ქართლში მოვიდა, პირველად ებრაელთა სინაგოგას, ბაგინად წოდებულს, მიაკითხა და პირველად ქართლში მცხოვრები ებრაელები გააქრისტიანა, რადგან მათი ენა, არამეული, იცოდა. იქ რამდენიმე ხანს დარჩა და ამ ქვეყნის ,,ძალს განიცდიდა“.

ფეოდალურ საქართველოში ებრაელობა სამეფო-სადედოფლოდ, საეკლესიო-სამონასტროდ და სათავადაზნაურად იყოფოდა. ებრაელები ქართლში ციციშვილებს, ავალიშვილებს, ფალავანდიშვილებს ეკუთვნოდენ, სამეგრელოში დადიანებს. ებრაელების მნიშვნელოვანი ნაწილი კი მართლმადიდებელი ეკლესიის ყმები იყვნენ. ამასთან, ებრაელები ყველა იმ უფლებას ფლობდენ რასაც ქრისტიანული მოსახლეობა. ქართული სამართლის ნორმები ისევე იცავდა ებრაელის საკუთრებას, როგორც ქართველებისას. ისინი უფლებამოსილი იყვნენ შეეძინათ და გაესხვისებინათ უძრავი ქონება.

საქართველოში ყივჩაყები დავით აღმაშენებლის დროს ჩამოსახლდნენ. ყივჩაყთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასული გურანდუხტი დავით აღმაშენებლის მეორე ცოლი იყო. პოლიტიკური გადაწყვეტილებით, სახელმწიფოებრივი მიზნებისათვის დავითმა ყივჩაყთა საქართველოში დასახლება განიზრახა, მათთან ელჩობა გააგზავნა და სამხედრო სამსახური შესთავაზა. თანხმობის მიღბის შემდეგ, ის მწიგნობართუხუცეს გიორგი ჭყონდიდელთან ერთად გაემგზავრა და 1118 წელს ყივჩაღები საქართველოში ჩაასახლა. მათ შორის მისი სიმამრი და ცოლის ორი ძმა.

„თუ სათვალავად ოჯახზე სულ ცოტა 5 კაცს მივიღებთ და გავიხსენებთ, რომ ..წყობად განმავალი რჩეული“ 40000 და 5000 მონა-სპა ოჯახობას მოკიდებული მხედარი იყო. გამოვა, რომ დავით აღმაშენებელს საქართველოში გადმოუსახლებია სულ ცოტა 225000 სული ყივჩაყი ორთავე სქესისა“ [2. 196].

ყივჩაღებმა მრავალ ბრძოლაში გამოიჩინეს თავი, ერთ-ერთი იყო, როცა: ,,200 ყივჩაყი წამოვიდა თურმე და მაჰმადიანთ რაზმის კენ გაემართა; მაჰმადიანი ეგონათ, ყივჩაყნი ალბათ შეწყალებისა და დანდობის სათხოვნელად მოდიანო. მაგრამ ისინი უეცრად მაჰმადიანთა ჯარში შეიჭრნენ და ხოცვა დაუწყეს“ [2. 198].

მეფემ მათივე დახმარებით, საქართველოს დედაქალაქი „ოთხას წელქონებული სპარსთა“ მტერს ხელითგან გამოჰგლიჯა დ ა „დაუმკვიდრა შვილთა თ Õ სთა საჭურჭლედ დ ა სახლად თ Õ სად საუკუნოდ... დავითმა „უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა“... (1122 წ.) აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი პირველსავე ომსა“ -[2. 197].

სხვა ერების მიმართ დავით აღმაშენებლი ომიანობის დროსაც შემწყნარებლური იყო. როცა „1122 წელს ის მიადგა თბილისს და ალყა შემოარტყა, თბილისში მყოფმა მაჰმადიანებმა მედგარი წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ. დავით აღმაშენებელმა თბილისი ძალით აიღო. წინააღმდეგობით გაჯავრებულ გულზე, მეფემ პირველ დღეს მოწინააღმდეგენი სასტიკად დასაჯა, მაგრამ შემდეგ მალე თავისი მრისხანება წყალობად შესცვალა და ბრძანება გასცა, რომ თბილისის მცხოვრებნი, ეროვნებისა და სარწმუნეობისდა მიუხედავად, ისეთ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ ჩაყენებული, რომ არც ერთი მათგანის ეროვნული და სარწმუნოებრივი გრძნობა შელახული არ ყოფილიყო“ [2. 318].

დავით აღმაშენებელი მფარველობას უწევდა არაბ და სპარსელ ვაჭრებს; „მაჰმადიანებს საზოგადოდ ხომ საქართველოში ისეთი ხელშემწყობი პირობები შეუქმნა, რომ თვით მაჰმადიანთა მეფეებს არ გამოუჩენიათ თავიანთი ერთმორწმუნე ქვეშევრდომებისადმი იმოდენი პატივისცემა, რაოდენს მზრუნველობასაც იჩენდა და პატივისცემით ეკიდებოდა საქართველოს ქრისტიანი მეფე: „პარასკევობით იგი ზოგჯერ თვით და შვილებითურთ მაჰმადიანთა მთავარ სამლოცველოში ჯამეში შედიოდა. ლოცვას, კორანის კითხვას და ქადაგებას ისმენდა და მათ სამღვდელობას ბევრს ოქროს უწყალობებდა ხოლმე“ [4. 409]. ჩვენი დიდებული გვირგვინოსანი სომხებსაც მფარველობას უწევდა; მან სხვათა შორის ქ. გორი ააშენა და შიგ სომხები დაასახლა [5. 410].

დავით აღმაშენებელს ქველმოქმედება წესად ჰქონდა ქცეული, „ოდესმე არავინ პოვნის“, შეწუხდებოდა ხოლმე და იტყოდა: ,,დღეს ვერ მივეც ქრისტესა მარცხებითა ჩემთა ცოდვათა“ [2. 199]. ის ქველმოქმედებას ,,თურმე სახელმწიფო საჭურჭლითგან აღებულ ფულითგან-კი არ ეწეოდა, „არამედ ჴელთა თჳსთა ნადირებულითა“, საკუთარის შრომით შეძენილ ქონებითგან [2. 200].

გიორგი III, „მათე ურჰაელის სიტყვით, ქ. ანისის მცხოვრებელებს ეროვნებისდა განურჩევლად თურმე დიდი წყალობა უყო და 40000 დრაჰკანი მისცა და ანისითგან ტყვედ წაყვანილი ქრისტიანები და უცხო თესლი (მაჰმადიანი) ტყვეობითგან გამოისყიდა“ [5. 487].

იოანე ორბელის მიერ 1177 წელს დაწყებული აჯანყების დროს, რომელიც გიორგი მეფის დატყვევებას და მის მაგიერ საქართველოს სამეფო ტარხტზე მისი სიძის, გიორგი III-ის უფროსი ძმის დავითის ვაჟიშვილის, დემნა უფლისწულის აყვანას ისახავდა მიზნად, გიორგი მეფეს დიდი დახმარება გაუწია ნაყივჩაყარმა ყუბასარმა. ერთგულების და განსაკუთრებული სამსახურის გამო, გიორგი მეფემ ის საქართველოს ჯარის მხედართმთავრად დანიშნა [2. 330].

„1184 წელს მარტში რომ გიორგი III გარდაიცვალა, თავის ნორჩ ქალიშვილს მან დიდი მრავალრიცხოვანი მოსახლეობისა და სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა შემცველი სამეფო დაუტოვა“ [2. 332, 333].

თამარის მეფობისას, „სარგის მხარგრძელი, გასომხებული ქურთი ამირ სპასალარად დააყენეს“ [2. 228], „უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარიას მხარგრძელსა, ძესა სარგის ამირსპალარისასა, მჯდომსა სომეხთა მეფეთა ადგილსა, პატრონსა ლორისასა“ [6. 253]. მსახურთ-უხუცესმა ივანე მჴარგრძელმა გრიგორიანობას თავი დაანება და „ნათელ იღო სარწმუნოებასა ზედა“ [2. 245], ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, „თამარ მეფემ ზაქარიას მაგიერ მის ძმას მსახურთ-უხუცესს ივანეს უბოძა ამირსპასალარობისა პატივი“, ივანემ მეფესა სთხოვა მისთვის ათაბაგობა ეწყალობებინათ [6. 253]. ათაბაგობა წინათ „არა ყოფილიყო საქართველოს მეფეთა წინაშე, არცა ვის ჰბოძებოდა“ [6. 253.] იმიტომ რომ „სულტანთა წესი არს ათაბაგი, რომელი მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების ათაბაგი“ [6: 253,] ივანემ კი სთხოვა თამარ მეფეს; „განადიდე წყალობა შენი ჩემზედა, რომე ახალსა და უაღრესსა პატივსა ღირს მყო და ათაბაგობა მიბოძოო“ [2. 719]. თამარმა თავის ერთგულს ყმას თხოვნა აუსრულა და მისცა ამირსპასალარობა და ათაბაგობა, ხოლო მის მაგიერ მსახურთ-უხუცესობა უბოძა [2. 259]. საქართველოში ეროვნულ უმცირესობებს გამორჩეული პატივი, ნდობა და თანადგომა ჰქონიათ. თუმცა, არც ეროვნული უმცირესობების ჩვენი ქვეყნისადმი ერთგული მსახურება არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა.

„როცა ახსართან შარვანშა და მისი სიძე ამირ-მირანი ამალითურთ დახმარების თხოვნით საქართველოს მეფეს ეწვივნენ სტუმრებს ,,მიაგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი და შემდგომად ჰერნი და კახნი, შემდგომად ქართუელნი და შემდგომად მესხნი და თორელნი შავშ-კლარჯ-ტაოელნი, შემდგომად სომხითარნი, შემდგომად აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურულნი თან რაჭა-თაკუერ-მარგუელითურთ და თჳთ კარვის კარსა ჴელისუფალნი და შინაურნი“ [2. 241]. შარვანშა და ამირ-მირანი თამარ მეფეს სთხოვდნენ, სპარსეთი დაიპყარ და ,,მაშინ დასუით ასული თქუენი... პატრონად ყოვლისა სპარსეთისა“ და ჩვენ მოგვათხოვეთო [2. 243].

ყურადღების ღირსია თამარ მეფის მოპყრობა მისი ქმრის, ვლადიმირ-სუზდალის მთავრის იური ანდრიას ძე ბოგოლიუბსკის მიმართ, რომელიც საქართველოში გიორგით იწოდებოდა. როცა ის საქართველოთგან გააძევეს და „წარიყვანეს ექსორია ქმნად“ თამარ მეფემ „აურაცხელითა ლარითა, სიმდიდრითა და საჭურჭლითა» დატვირთული გაისტუმრა იგი საქართველოთგან“ [6. 640] უდავოა, თამარ მეფის ეს მოქმედება ჰუმანური მიზნების გარდა, პოლიტიკური ჭვრეტით იყო განპირობებული, კერძოდ, ქვეყანაში სიმშვიდის შენარჩუნებისათვის. თუმცა, გიორგი რუსმა 2-ჯერ მაინც გამო-

ილაშქრა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, ერთხელ კონსტანტინე-პოლიდან, შემდეგ არანის მხრიდან და დამარცხების შემდეგ საბოლოოდ „გარდაიხვეწა“.

ლაშა-გიორგის დროინდელი ქართველი მემატიანისვე სიტყვით, მაშინ საქართველოში „მპარავი, ავის-მოქმედი აღარ იყო; თუ ნაპარევი ვინმე პოვის, კარსა ზედა მიიღის, დროშათა ქუეშე დადვის: ოვსმან, მთიულმან და ყივჩაყმან და სუანმან ვერ იკადრიან პარვა“ [7. 241].

შთამომავლობით გასომხებულ ქურთს, სადუნ მანკაბერდელს დავით-ულუმ გვანცას ასულის ხვაშაქის მზრუნველობა მიანდო, როდესაც მან ხვაშაქის დედა გვანცა შეირთო და თანამეცხედრედ მოიყვანა [5. 197].

ჰიშტაკარანების თანახმად, „ქართველების მოწყალე ბუნების, კაცთმოყვარეობის, სტუმართმოყვარეობისა და გულუხვობის იმედად მტრისგან აწიოკებულ სომხებს XIV საუკუნეში საქართველოში შეუფარებიათ თავი, რის შემდეგაც XV საუკუნეში სომხური მოსახლეობა სამცხე-ჯავახეთში, ტაოში, სამშვილდეში, სპერში, თბილისში, უფლისციხეში, გორში, კრწანისში, კიკეთში ვარდისუბანში და სხვაგან დამკვიდრდნენ [8. 191].

„ქართველების მაშინდელ მთელს სიძლიერეს ის შეადგენდა, რომ სამხედრო ძლევამოსილებას გარდა მათ თავიანთ სახელმწიფოში სხვა ერთათვის ისეთი ხელშემწყობი პირობები შეჰქმნეს, რომ ისინიც, როგორც მაგ. სომხები, ოსები, თვით მაჰმადიანნიც, ქართველთა მეთაურობით საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებისათვისა და კეთილდღეობისათვის ქართველებთან ერთად თავგამოდებით იღვწოდნენ. სწორედ აქ და ამ ხანაში გამოიჩინეს ქართველებმა დიდ-სახელმწიფოებრივი აზრის შეგნებისა და მისი განხორციელების უტყუარი ნიჭი“ [2. 275].

ალექსანდრე პირველი დიდის, მეფობის დროს (1412-1442 წ.), საქართველოს საზღვრებს გარეშე მცხოვრებ სომხების ლტოლვილთა ტალღა მოაწყდა, ისინი მაჰმადიანთა საბრძანებლებიდან გადმოდიოდნენ, რომ მყუდრო ცხოვრებისა და შრომის საშუალება ჰქონოდათ“ [9. 392, 394].

XV საუკუნის პირველ ნახევარში ლორის პატრონმა პეგინ ორბელიანმა ოსმალეთიდან დევნილი უამრავი სომეხი შეიფარა, თუმცა, ისინი 1440 წელს ლორეში შემოჭრილმა ყარა-ყოინლუს ფადიშაჰმა ჯეჰან-შაჰმა.თითქმის მთლიანად ამოჟლიტა. XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ვაჟი ბაგრატ მუხრანბატონი ყარაბაღში ჩავიდა, ყმა გლეხები შეიძინა და მუხრანში დაასახლა, სადაც მათი შთამომავლობა დღემდე ცხოვრობს.

1565-1572 წლებში კახთა მეფის ლევანის კარზე თერგის კაზაკთა 500 კაციანი რაზმი იმყოფებოდა. ისინი ქართველ მეფე სვიმონთანაც ყოფილან გარკვეული ხანი.

XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამხრეთ საქართველოში დამკვიდრება დაიწყეს ოსმალო მომთაბარეებმა – იურიუქებმა.

მტერთა ძლევის, მრეწველობის განვითარების და დაუსახლებელი ტერიტორიების შევსების მიზნით, საქართველოში უცხო ეთნოსების დასახლება განსაკუთრებული აქტივობით ერეკლე II დროს მოხდა,

ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარების სურვილით, ერეკლე II-მ 1779 წელს: „აჰყარნა სომეხნი ზოგნი ერევნით და გარდმოასახლა საქართველოს ადგილთა, რომელნიცა კიდე აქ ამ ჟამამდე დაშტეს საქართველოსა შინა“ [10. 235-236]. ამასთან, XVIII საუკუნეში ყარაბაღის სომეხი მელიქები, თავის მხრივ, საკუთარი პოლიტიკური ამოცანების გადაჭრას ცდილობდნენ რუსეთის ძალის გამოყენებით საქართველოს ტერიტორიაზე, რაც გულისხმობდა როგორც ყარაბაღელი, ისე საზღვარგარეთ მცხოვრები სომხების თავმოყრით საქართველოში ,,მცირე სომხეთის“ შექმნას [11. 199].

მეფე ერეკლე II-ს საქართველოში დასახლების ნება სთხოვეს სომეხმა მელიქებმა, აბოვმა და მეჯლუმმა, მეფემ აბოვის თხოვნა გაითვალისწინა, თავის ყმებიანად ქვემო ქართლში, სოფელ ბოლნისში ჩამოასახლა და კოლპის გზის დაცვა დაავალა. 1780 წელს ერევნიდან და 1787 წელს ყარაბაღიდან ერეკლემ 7000-ზე მეტი ადამიანი შემოიყვანა, მათი ნაწილი მოგვიანებით განჯაში გადასახლდა. შემოდიოდნენ უფრო პატარა ჯგუფებიც, XVIII საუკუნის ბოლოს ირანელთა შემოსევებით შეწუხებული სომხების 50 ოჯახი ელიზავეტპოლიდან და შუშიდან სურამის „უბანში“ ჩამოვიდა და სოფ. ვაკის საბატონო მიწაზე დასახლდა.

XVIII საუკუნის შუა ხანებში სპარსელების მიერ შევიწროებულ თურქმანების 250 ოჯახი ერეკლე II-ს მუღანის ველიდან გადმოუსახლებია. მათგან შეიქმნა სოფლები: მუღანლო, ყაფანახჩი და ყიზილ-ჰაჯილი, რომლებიც დღეს მარნეულის რაიონში მდებარეობენ. ლორის სახანოს კვალდაკვალ, ქვემო ქართლში გაჩნდა ბორჩალოს, ბამბაკის, ბაიდრის, შურაგელის სახანოები. ,,აიმაკი“ – ყიზილბაშებში ხან ტომს აღნიშნავდა, ხან მის ნაწილს.

ერეკლე II-ის დავალებით 1770 წელს შედგენილი მოსახლეობის აღწერის თანახმად, არაგვის საერისთავოს ოსები ზახაში, თრუსოში, ჭერივში, ხადასა და ღუდაში 1200 კომლი იყო, ქსნის საერისთავოში ოსები 2000 კომლი იყვნენ, სამაჩაბლოში კი 860 კომლი [12.193]. XVIII საუკუნის პირველ ათწლეულში ოსებმა სამხრეთისაკენაც წაიწიეს. დაიკავეს მიწები გუფთადან დიდი ლიახვის გასწვრივ, გერის ხეობა, მცირე ლიახვის დინება, ჟამური, ჭურთა, ისროლი, ქვითკირის ხეობა და სხვა [13. 195]. XVIII საუკუნის შუა ხანებში ქართლში ოსურმა მოსახლეობამ იმატა. ამ პერიოდში ოსურმა ახალშენებმა 5000 კომლს მიაღწია [14. 138]. 1772 წელს ჩამოხიზნული ოსი მოსახლეობის

მიმართ მაჩაბლის მიერ გამოჩენილი სასტიკი მოპყრობის გამო, მეფე ერეკლემ ჯავის ხეობა მაჩაბელს ჩამოართვა და უფლისწულ გიორგის გადასცა [15. 217].

XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ქურთი ეზიდების დელეგაციები ჩამოდიოდნენ თბილისში მხარდაჭერის მისაღებად. 1770 წელს ერეკლე მეფეს ეწვია ქურთების ტომის ბელადი ჩობან-აღა. ამ დროიდან ქურთებმა იწყეს აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოსახლება.

არამეელების-ასურელების საქართველოში შემოსვლაც ერეკლე მეორეს სახელს უკავშირდება. 1770 წლის 26 სექტემბერის ასურელი კათალიკოსის მარშიმუნის და ესაიას წერილზე მეფე ერეკლეს მინაწერი გაუკეთებია: ,,ასურეთ ეპისკოპოზი ისაია, რომელიც ამის უწინარეს ჩვენთან მოვიდა და მკითხა: ასურთ შემოერთება უნდათ თქვენიო“ [16. 240]

ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII საუკუნის 70-იან წლებში სამთანადო წარმოების აღდგენის მიზნით, ანატოლიიდან მოწვეული ბერძენი ოსტა-ტები ახტალის მიდამოებში სოფელ მოსხანაში დაასახლდენ. 1763 წელს გიუმიუშხანიდან მოსულმა 800-მდე ბერძნულმა ოჯახმა ვერცხლის საბა-დოების დამუშავება განაახლეს და დაიწყეს ალავერდის სპილენძის საბა-დოების დამუშავება. ერეკლე მეორის სახელსვე უკავშირდება საქართველოში რუსი მოსახლეობის და მასთან ერთად იმ ხალხების შემოსვლა, რომლებიც რუსეთის ჯარის სამსახურში იყვნენ.

იმპერატორ ეკატერინე II-სთან დაახლოებულ დოქტორ რაინგესს, რომელიც ერეკლე II-ის კარზე ნდობით აღჭურვილი პირი იყო, პოტიომკინმა დაავალა დაეთანხმებინა ერეკლე, მოეთხოვა რუსეთისგან ფორმალური მფარველობა. სწორედ რაინგესის აქტიური ჩარევით, საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წლის 24 ივლისს გაფორმდა „მფარველობითი მოკავ-შირეობის“ ტრაქტატი.

1800 წლის 18 დეკემბერს ქართველთა ნების საწინააღმდეგოდ, იმპერატორ პავლეს მიერ საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტის ხელის მოწერის და ალექსანდრე I-ის მიერ 1801 წლის 12 სექტემბერს საქართველოს რუსეთთან შეერთების გამოცხადების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლება საქართველოში პოზიციების გამყარების მიზნით აგზავნიდა სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, რომლებიც მკვიდრდებოდნენ საქართველოში. მეფის რუსეთი ერთგულების სანაცვლოდ ახალმოსახლე უცხოელთათვის ადგი-ლობრივ მოსახლეობასთან შედარებით უკეთეს საცხოვრებელ პირობებს და სხვა შეღავათებს აწესებდა..

1801 წლის 12 სექტემბრის საიდუმლო ინსტრუქციაში იმპერატორი ალექსანდრე I კნორინგს სომხებისათვის საქართველოში გამორჩეულად კარგი პირობების შექმნას ავალებდა [17. 73].

1804 წელს გენერალმა ციციანოვმა ქვემო ქართლში ერევნის სახანო-

დან 2000 სომეხი ჩამოასახლა.. XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს მეფის რუსეთის მმართველობამ ქვემო ქართლში დაასახლეს ირანიდან შემოსახლებული სომხები, თურქეთიდან შემოსულები სამცხე-ჯავახეთში.

1828–1829 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ თურქეთიდან გადმოსახლებული 25 ათასზე მეტი სომეხი ახალციხის მხარეში დასახლდა. მათმა მოღვაწემ კანანოვმა მოგვიანებით შავი ზღვის სანაპიროზე სომხების დასახლების პროექტი შეიმუშავა, სომხების დიდი რაოდენობა ცხოვრობდა თბილისში. 1837 წლიდან თბილისის სიახლოვეს დაიწყო რუსული სამხედრო და სამიწათმოქმედო დასახლებების შექმნა. XIX საუკუნის დამლევისათვის საქართველო წინა საუკუნეებთან შედარებით ბევრად მრავალეროვანი გახდა. მრავალი სოფელი დაარსდა არაქართველების მიერ. რუსები ძირითადად მანგლისში სახლობდნენ. თურქები თელოვანში, თხინვალის აგარაკში, დიდ თონეთში, მუხათგვერდში, მსხალდიდში, კუმისში, შლამიანთ ხევში წოდორეთში, წყნეთში, ბაგებში, ძაღლაანთ ხევში, დიღომში. თბილისის მახლობლად მამუკიანთ სოფელში ცხოვრობდნენ სომხები და ქართველი გრიგორიანები. მრავალ ფეროვანი გახდა ქალაქებიც, სადაც აღებ–მიცემობას უმთავრესად არაქართველები მისდევდნენ [13. 766-767].

საქართველოში დონელი კაზაკების დიდი რაოდენობა მთავარმართებელ პავლე ციციანოვის მიერ 1802-1806 წლებში ჩასახლებული იყვნენ ენგურზე იმპერიის სამხრეთი საზღვრების გასამაგრებლად. კაზაკების რეგულარული პოლკები 1802 წლიდან იდგნენ თბილისში, ცხინვალში, გორში, ქარელში, სურამში და დუშეთში. 1803 წელს გენერალი ციციანოვის მიერ კახეთში გაგზავნილმა ორმა ბატალიონმა პირველი სამხედრო გამაგრება „ცარსკოე კოლოდეც“, დედოფლის წყარო ააშენეს [13. 132].

XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში რუსთა დამკვიდრების პროცესი გაძლიერდა. 1823 წელს მანგლისის ტერიტორიაზე განლაგებული იქნა საქართველოს საოკუპაციო არმიის მსხვილი შენაერთი, რომლის საჭი-როებათათვის აგებული იქნა კაზარმები და სხვა დამხმარე სათავსოები [18. 302].

გენერალ ერმოლოვის დროს, 1816-1827 წლებში, ამიერკავკასიაში 30-მდე „შტაბ-კვარტირა“, სამხედრო დასახლება შეიქმნა. ამ დროისთვის რუსული მოსახლეობა ამიერკავკასიაში 5%-ს ვერ აჭარბებდა [19. 299].

რუსების დასახლება საქართველოში განსაკუთრებით სამხედრო კოლო-ნიების შექმნით, 1837 წლიდან დაიწყო. კოლონიები იმ ჯარისკაცებისგან შეიქმნა, რომლებსაც 15 წლის სამსახურის შემდეგ დაოჯახების უფლება ჰქონდათ [20. 304, 254]. ყოველ პოლკთან ცოლშვილიანი ჯარისკაცების როტა ჩამოყალიბდა. ამ ჯარისკაცებისათვის რუსეთიდან ქალებს აგზავნიდენ, მათი შთამომავლობა საქართველოში რჩებოდა, რუსების სლობოდები და სლობოდკები ჩნდებოდა სხვადასხვა ადგილებში: თბილისთან, წალკაში,

კოჯორში, მანგლისში, თეთრიწყაროში, წითელწყაროში, გომბორში, ნორიოში, სამგორში, ლაგოდეხში, სიღნაღში, გორში, აბასთუმანში, წალკაში, ოზურგეთში, ბათუმში, სოხუმში, ახალქალაქში, ახალციხეში, გორის, ქუთაისის, სიღნაღის, ბორჩალოს მაზრებში და სხვა.

XIX საუკუნის დამდეგს საქართველოში ჩამოსახლებულ რუსულ სამხედრო ნაწილებში უკრაინელებიც იყვნენ. სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობის გამო ბევრმა მათგანმა მშობლიურ ქვეყანასთან კავშირი გაწყვიტა. სამსახურის დასრულების შემდეგ უკრაინელთა ნაწილმა საცხოვრებლად მათთვის სპეციალურად გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრება აირჩიეს. მაგრამ დასახლებების მცირერიცხოვნობის გამო, დიდხანს არ გაჩერებულან. XIX საუკუნის შუა ხანებიდან ამგვარი დასახლებები დაიშალა.

1817 წელს ვენის კონგრესიდან მომავალ ალექსანდრე I-ს შტუტგარტში ერთ-ერთი გერმანული რელიგიური ჯგუფის, სკეპტიკოსების წარმომადგენლები შეხვდნენ. მათ მეფეს კავკასიაში დასახლებაზე ნებართვა თხოვეს. იმპერატორი გადმოსახლების მსურველებს არა მხოლოდ დაეთანხმა, არამედ დაპირდა, რომ მათ რწმენას შეუნარჩუმებდა და დააკმაყოფილებდა საცხოვრებელებით. იმავე წელს საქართველოსკენ რამდენიმე პარტიად დაყოფილი გერმანელები დაიძრნენ. მათი უმრავლესობა ვიურტემბერგელი და ბადენელი პროტესტანტები (პიეტისტები) იყვნენ.

საქართველოში გერმანელი კოლონისტები რუსეთის ცარიზმის პოლიტიკური და ეკონომიური მოსაზრებებით დამკვიდრდნენ. 1817 წლისთვის თბილისში გერმანელთა 31 ოჯახი, 181 სული ჩამოვიდა. ისინი სართიჭალის მახლობლად დაასახლეს, კოლონია მარიენფელდში [21. 340]. 1818 წლისთვის თბილისში 500 გერმანული ოჯახი ჩამოვიდა. ისინი თბილისის გუბერნიის სხვადასხვა ადგილებში ჩაასახლეს. მათთვის მთავრობამ 65 ათასი მანეთი გაიღო ოქროთი. თითოეულ გერმანელ მამაკაცს 35 დესეტინა სახნავი მიწა გამოეყო საუკეთესო ადგილებში. ამას გარდა, მკვიდრ მოსახლეობას აიძულებდნენ მათთვის დაეხნათ გადაცემული მიწები და მიეწოდებინათ საშენი მასალა [20. 195]. 1819 წლის ბოლოსათვის გერმანიიდან გადმოსახლებულებმა რვა კოლონია შექმნეს.

XIX საუკუნიდან რუსეთის იმპერიის მიერ პოლონეთის დაპყრობის შემდეგ, პოლონელების საქართველოში დასახლება ინტენსიური ხდება. ისინი საქართველოში სხვადასხვა მიზეზებით ჩამოდიოდენ. პოლიტიკური, მისიონერული, კომერციული თუ უკეთესი ცხოვრების ძიებით. საქართველოში სახლობდნენ, ასევე, მეფის ჯარში მომსახურე პოლონელი ოფიცრობის და რიგითი ჯარისკაცების ნაწილი, რომლებიც სამხედრო ვალდებულებას საქართველოში იხდიდენ. საქართველოში აღმოჩნდნენ, ასევე, მეამბოხე

პოლონელები, რომლებიც სამშობლოდან დეპორტირებული იქნენ. ასეთები იყვნენ, 1794 წელს საქართველოში მოქმედ რუსეთის არმიაში მოხვედრილი ტადეუშ კოსტიუშკოს აჯანყების მონაწილე პოლონელები.

პოლონელთა ჯგუფები საქართველოში XIX საუკუნეში ეტაპობრივად შემოვიდენ, 1812 წლის საფრანგეთთან ომის დროს ნაპოლეონის არმიაში მყოფი დატყვევებული პოლონელების ნაწილი სხვა ტყვეებთან ერთად რუსების მთავრობამ საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობაზე გაგზავნეს. იმის მიუხედავად, რომ 1815 წლის დეკემბერში პოლონელებს სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცათ, ზოგიერთმა მათგანმა საქართველოში დარჩენა ირჩია, შეითვისა ქართული ტრადიციები, გაქართველდნენ და ქართული კულტურის პროპაგანდისტები გახდნენ. სამუშაოს საძებნელად სხვა პოლონელები თავისი სურვილით ჩამოვიდნენ. მათ შორის იყვნენ ინჟინრები, მხატვრები, მასწავლებლები, მუსიკოსები, ექიმები.

საქართველოში დასახლდნენ, ასევე, 1830 წლის პოლონეთის აჯანყების დროს დახვრეტილ გენერალთა და ოფიცერთა შვილები, ტყვე ჯარისკაცთა ნაწილი. საქართველოში მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო პოლონელი სამხედროების მნიშვნელოვანი ნაწილი იღუპებოდა. საქართველოში ამ პერიოდში მსახურობდნენ პოლონეთის საიდუმლო ორგანიზაციის წევრი პარადოვსკი, მასონთა ლოჟის წინამძღოლი მაიო რი სტანისლავ კარვიცკი. 1829-31 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს გუბერნატორი იყო პეტრე ზავილეისკი, 1833 წელს კალინოვსკი ვიცე-გუბერნატორი. XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში ნებაყოფლობით შემოვიდნენ სხვადასხვა პროფესიის პოლონელები: – ფიზიკოსები, მასწავლებლები, ოფიცრები, ვაჭრები და სხვ. ამავე საუკუნის 40-50-იან წლებში საქართველოში დაახლოებით 4000 პოლონელი ცხოვრობდა, თბილისში 900-ი იყვნენ, დანარჩენები ქუთაისში, ბათუმში, გორში, თელავში, ახალციხეში, სოხუმსა და სიღნაღში.

XIX საუკუნის მიწურულს საქართველოში პოლონელებმა 8000 კაცს მიაღწია, მათგან 50% სამხედრო იყო. თბილისში 1887 წელს 4 133 პოლონელი ცხოვრობდა. I მსოფლიო ომის დასაწყისისათვის მათი რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. XX საუკუნის დამდეგისათვის პოლონელებმა საქართველოში შექმნეს კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციები, 1907 წელს – თბილისში, მოგვიანებით – ქუთაისსა და ბათუმში;

1918 წლის ზაფხულში თურქეთიდან გამოქცეული დიდი რაოდენობით ბერძნები, რუსები და სომხები შემოვიდნენ [20. 86]. 1921 წლის გაზაფხულზე საქართველოში შემოვიდნენ თურქი და სომეხი ლტოლვილები. 1921 წელს რკინიგზის გაერთიანების და რუსეთისადმი დაქვემდებარების შემდეგ დაიწყო ქართველი თანამშრომლების შტატების შემცირების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლება და მათი რუსეთიდან ათასობით ჩამოყვანილი პირებით ჩანაცვლება [22. 18].

1920-22 წლებში საქართველოში გადმოსახლდნენ აზერბაიჯანიდან – ნუხის ოლქის სოფ. ვართაშენიდან, აზერბაიჯანელებისა და სომხების თავ-დასხმებით შეწუხებული უდიები, მათ „გრუზინო უდინს“ ეძახდნენ. უდიები რელიგიური წინამძღოლის საეპისკოპოსოს ნუხის ეპარქიის მღვდლის წინა-დადებას საქართველოში გადმოსვლაზე იმ პირობით დათანხმდნენ, რომ მათ საცხოვრებელთან ახლოს წმინდა გიორგის ეკლესია იქნებოდა. ისინი ყვარლის რაიონში დამკვიდრდნენ. სოფელი სადაც ისინი დასახლდნენ ტყით იყო დაფარული, უმეტესად მუხნარით. ამის გამო სურდათ მისთვის მუხიანი დაერქმიათ თუმცა, ზინობიანი უწოდეს, ზინობ სილიკაშვილის პატივისცემის მიზნით, რომელიც ხელმძღვანელობდა მათ საქართველოში გადმოსახლებას.

XX საუკუნის 20-ანი წლების ბოლოს საქართველოში 851557 არაქართველი, მოსახლეობის 32,3% ცხოვრობდა. 19 კომპაქტურ და 38 გაფანტულ დასახ-ლებაში. 1922 წელს ქართველები მოსახლეობის 74,7%-ს შეადგენდენ, 1926 წელს 70,9%-ს, 1939 წელს 64,6%-ს.

გიორგი XII-ის მემკვიდრის, დავით ბაგრატიონის ნაშრომში, „საქარ-თველოს სამართლის და კანონების მიმოხილვა“-ში სხვა საკითხებთან ერთად განხილულია საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ცხოვრების წესი და მათი სამომავლო დასაქმების პერსპექტივები. ის აღნიშნავს, რომ საქართველოში ქართველების გვერდიგვერდ ცხოვრობენ ბერძნები, სომხები, ებრაელები, თურქები, თათრები. გაბატონებული ნაციის წარმომადგენლები(ქართველები)იკავებენ ყველა სახელმწიფო თანამდებო-ბებს. ბერძნების ფუნქციას შეადგენს სამთამადნო წარმოება, სომხებისა და ებრაელებისა – ვაჭრობა“ [24. 238].

ტფილისში, ,,როდესაც 1874 წ. საქალაქო არჩევნების დროს სამოცდა-თორმეტ ხმოსანში მარტო სამი თუ ოთხი ქართველი აირჩიეს, სერგეი მესხმა ვეღარ მოითმინა და სთქვა, „რაც უნდა ძალიან ეწყინოს ნამდვილ ქართველს, მაინც უნდა გავტყდეთ, რომ ერთ დროს ქართველთა სატახტო ქალაქი – ტფილისი, დღეს სომხების საკუთრებად შექმნილა. ამაში გასაკვირველი არა არის რა, განაგრძობს იგი, მაგრამ ამ არჩევნების შედეგი, მგონი იმათ კი ღირს, რომ იმაზე ქართველი კაცი ცოტას მაინც არის დაფიქრდეს [11: 51).

დასკვნა

„უცხოთა“ დამკვიდრება საქართველოში დღემდე გრძელდება. ეროვ-ნული უმცირესობები ქვეყნის 16%-ზე მეტს შეადგენს. ეროვნულ უმცირესო-ბებად მართალია ყველა „სტუმარი“ არ მიიჩნევა, მაგრამ ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და შესაბამისად, მათი უფლებების დაცვა დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების შესატყვი-სად, ყველა მოქალაქის უფლებების დაცვის თანატოლია. ამასთან, ეროვნულ

უმცირესობებს გააჩნიათ მათთვის განკუთვნილი დამატებითი უფლებები, რაც რაღა თქმა უნდა, არ ითვალისწინებს ავტოქტონ ქართველთა უფლებების შეზღუდვას.

ლიტერატურა:

1. ჩხენკელი ა., „ერი და ჩვენ“. თბ., 2000.
2. ჯავახიშვილი ივ., ტ. II, თბ.,1983.
3. ცა მ´ფსა დ´ თსი
4. იბნ ა ლ - ჯაუზი, დეფრემერი
5. ურჰაელი , მ
6. ის˜ტრნი და აზ˜მნი,
7. ანა დ´ფსი ქ´ცა.
8. სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების(ჰაიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა ა. აბდალაძემ, თბ., 1978.
9. ჯავახიშვილი ივ., ტ. III. თბ., 1982.
10. გელაშვილი გ., „იულიუს კლაპროტი თბილისის შესახებ“ კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2016, #2.
11. მაისურაძე გ., საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები, თბ., 1999.
12. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.
13. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970.
14. თოიძე ლ., როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991.
15. ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, თბ., 2005.
16. საქართველო, ენციკლოპედია, თ. 1, თბ., 1997.
17. პაპავა თ., პაპავა ა., მარიმ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი, ბუენოს-აირესი, 1956.
18. კალმახელიძე თ., მანგლისი, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2001.
19. ბუხრაშვილი ა., რუსული კოლონიური ცნობიერება და ამიერკავკასიის ეთნოპოლიტიკური რეალობა, მ, თბ., 2000. [გ. გაბრიჩიძე, თბ., გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს(დოკუმენტების და მასალების კრებული).
20. სონღულაშვილი ა., საბჭოური პოლიტიკა და საქართვერლოს ეროვნული უმცირესობა, თბ., 2018.

21. კვესელავა ი., საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1070-1990). თბ., 2004.
22. გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, 1921, #13.
23. სონღულაშვილი ა., საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება კომუნისტების მიერ, თბ., 1991.
24. ბენდიანიშვილი ა., ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები. თბ., 2006.

Since the History of Resettlement of National Minorities in Georgia

Marina Gloveli, PhD student
Georgian Technical University

Summary

Here is revealed the stages of the arrival of the national minorities in Georgia, as well as their settlement process, reasons and characteristics of their treatment. It is also explored the merit of the representatives of the national minorities in the benefit of unified Georgia's interests and the clear evidences of reciprocal gratitude expressed by Georgian people.

აშშ-ს ინტერესები პოსტსაბჭოურ სამხრეთ კავკასიაში

ანა გუგუშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ამერიკის შეერთებული შტატებისთვის კავკასია ჰაერივით მნიშვნელოვანია. ის არ შეელევა სამხრეთ კავკასიას, რათა პირდაპირ მიეგზჯინოს ირანს, წინააზიას და უშუალო შეხება ჰქონდეს კონტინენტალურ ჩინეთთან - რაც არის ევრაზიული სივრცის გადანაწილების პროცესი. ეს კი საქართველოსთვის არის შანსი პროცესებში გარდუვალი ჩართულობისა და ასევე ნიშნავს, რომ უნდა ველოდოთ ამ ქვეყნებს შორის ფასეულობათა გადაფასებას და ერთმანეთთან დაახლოვებას.

რუსეთისთვის აქვს საბედისწერო მნიშვნელობა საქართველოს, რომელიც არის ევრაზიის კორიდორის გასაღები. ვაანალიზებთ, რომ მომავალი პოლიტიკური პერიპეტიები გლობალურ პოლიტიკაში განვითარდება წინააზიაში. წინააზიის კარიბჭე ამერიკის შეერთებული შტატებისთვის კი გახლავთ საქართველო.

რასაკვირველია, ამერიკის შეერთებული შტატები დაიცავს გარკვეულ ბალანსს რუსეთთან მიმართებაში, თუმცა ერთი რამ ნათელია, რომ აშშ-ს პოლიტიკური რადარიდან, ვერ გაქრება სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, მათი როგორც რეგიონალური, ისე გლობალური პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა რესპუბლიკები. პოსტსაბჭოთა სივრცე. დამოუკიდებლობა. თანამეგობრობა.

შესავალი

პოსტსაბჭოთა რეგიონის ცნება საჭიროებს გარკვეულ კორექტივებს. პოსტსაბჭოთა რეგიონებიდან ცალკეა გამოსაყოფი შუა აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. გარეგნულად მათ შეინარჩუნეს რუსეთისადმი მორჩილი კოლონიის სტატუსი. გარეგნულად ვამბობთ იმიტომ, რომ ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მიუხედავად, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, ყაზახეთი იმყოფებიან ამ ზონაში რუსეთის ზურგში ამოტივტივებული ჩინეთის გამოჩენისადმი თვალის ჭერის რეჟიმში. ჩინეთის - რომელსაც თითქმის 10-ჯერ მეტი მოსახლე ყავს რუსეთთან შედარებით და ამავდროულად ფლობს ბირთვულ იარაღს. ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ძალუძლს ჩინეთისთვის წინააღმდეგობის გაწევა არის მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები.

ძირითადი ნაწილი

წინააზიური რესპუბლიკებიდან დედაქალაქის ასტანაში გადატანით ყაზახეთმა ვირტუოზულად განახორციელა ქვეყანაში რუსულენოვანი მოსახლეობის პოტენციური აგრესიის უმტკივნეულო იზოლაციის მანევრი. ეს იყო პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში რუსეთის მიერ ეროვნული უმცირესობების დესტაბილიზაციის ინსტრუმენტად გამოყენების სტანდარტზე ნაზარბაევის გონებამახვილური პასუხი.

მეორე პოსტსაბჭოური რესპუბლიკა, რომლის პოზიციაშიც ირეკლება როგორც რუსული თანამეგობრობის, ისე ევრაზიული კავშირის შეუმდგარობა არის ბელორუსია. განსხვავებით შუააზიის ქვეყნებისგან, ბელორუსიამ რუსეთს ჩაუტარა მორჩილება-დაუმორჩილებლობის მასტერკლასი. მან მიიღო ყველაფერი, რაც უნდოდა მიეღო რუსეთისგან და არაფერი დაუთმო რუსეთს ბელორუსიის დამოუკიდებლობიდან. ბელორუსიამ, ისევე როგორც თანამეგობრობის და ევროკავშირის ქვეყნებმა, არ ცნო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. რუსეთმა ამაზე თვალი დახუჭა. თითქოს ცხადია, რომ საშუალო დონის რუსი პოლიტიკოსი უნდა ხვდებოდეს, რომ არავითარი თანამეგობრობა და არავითარი ევრაზიული კავშირი არ შეიძლება შედგეს საქართველოს ტერიტორიების უსამართლოდ ჩამოჭრის მაგალითით და ფონით. რუსეთი შეუპოვრად აგრძელებს „მდინარების საპირისპიროდ სვლას“.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან გამოსაყოფია ლიტვა, ლატვია ესტონეთი, რომლებიც განსხვავებით ყველა სხვა სსრკ-ს რესპუბლიკისგან, დასავლეთის ნაწილნი არიან. შესაბამისად, აღნიშნული ქვეყნების მაგალითი საქართველოს, უკრაინისა და სხვა დემოკრატიული ტრანზაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანი და საყურადღებოა.

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში, დასავლეთის მოთხოვნებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით, დაიწყო სხვადასხვა რეფორმების გატარება. აღნიშნულმა განაპირობა ამ ქვეყნების ინტეგრაცია ევროკავშირსა და ნატოში.

აშშ-ს, ლიტვას, ლატვიას და ესტონეთს, თუნდაც ნატოს ფარგლებში, ბევრი რამ აკავშირებთ [1]. კერძოდ, თითოეულმა ბალტიის მოკავშირემ 30 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების აღჭურვილობა მიიღო 2015 წლის „European Reassurance Initiative Fund“-იდან. აშშ-მ სულ ცოტა ხნის წინ გაზარდა საგარეო სამხედრო დახმარებისთვის გამოყოფილი თანხების რაოდენობა, რამაც ესტონეთისთვის, ლატვიასა და ლიტვისთვის 2016 წელს თითოეულისთვის 9 მილიონმა დოლარმა შეადგინა. ასევე აღსანიშნავია, რომ თითოეული ქვეყანა, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა ყოველწლიურად მიიღებს დაახლოებით 1.2 მილიონ დოლარს საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და ტრენინგების მისაღებად.

საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია იყო ყველაზე გაუაზრებელი პოლიტიკური ნაბიჯი, საიდანაც სათავეს იღებს რუსეთის დასასრულის დასაწყისი. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომელსაც პუტინმა უწოდა კოსოვოს დამოუკიდებლობაზე რუსეთის საშინაო დავალებით დამზადებული პასუხი, როგორც დრომ გვიჩვენა, იყო ყველაზე სტრატეგიულად არაადეკვატური ქმედება, რაც რუსეთს თავისსავე საწინააღმდეგოდ შეიძლება გაეკეთებინა. რუსულმა პოლიტიკურმა ელიტამ უნდა გააცნობიეროს, რომ აფხაზეთთან და ოსებთან რუსეთის მიერ დადებული სამხედრო პროექტების განხორციელების ყოველი დღე არის რუსეთის კუბოში ჩარჭობილი თითო ლურსმანი. რუსულმა პოლიტიკურმა ელიტამ ან ვერ იპოვა საქართველოსთან საურთიერთობო ენა, ან გააკეთა არაადეკვატური დასკვნა.

საქართველოს ოკუპაციის შემდგომ უკრაინაში შეჭრა რუსეთისთვის იქცა თვითმკვლელობის ტოლფას შეცდომად, რაც გახდა მიზეზი აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობის გაუარესებისა. აღნიშნულ პერიოდში რუსეთსა და აშშ-ს შორის დაპირისპირების ეპოქას, რუსეთში აშშ-ს ყველაზე ცნობილმა ელჩმა, მაიკლ მაკფოლმა უწოდა „ცხელი მშვიდობა“ [2].

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე, როგორც ცალკეულ პოტენციურ მოკავშირეებზე ფიქრი, მათი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაიწყო. აშშ-ს გაუჩნდა საკუთარი პოლიტიკური, უსაფრთხოების და ენერგეტიკული ინერესები აღნიშნულ რეგიონში.

სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნიდან საქართველოს პროამერიკულ კურსზე ფიქრი იმ დროს ჩაისახა, როდესაც ჯერ თავად აშშ-ს არ ჰქონდა გააზრებული თავისი მომავალი („ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“ [3].

საქართველო და აზერბაიჯანი სტრატეგიული პარტნიორები არიან და არ წევრიანდებიან რუსულ ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში. აზერბაიჯანის ეკონომიკური არსებობა დამოკიდებულია საქართელოზე. შესაბამისად, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა გარკვეულია და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც არ გაუჭირდება ამ ორ ქვეყანასთან საერთო ენის გამოძებნა.

კურიოზი იმაშია, რომ სომხეთი, რომელიც აზერბაიჯანთან საომარ ურთიერთობაში იმყოფება და თურქეთ-აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობის გამო ირანთან პატარა საზღვრის გარდა საქართველოს გარეშე მოწყვეტილია გარე სამყაროს, სომხეთს, რომელსაც გეოგრაფიული შეხებაც კი არ გააჩნია რუსულ ევრაზიულ კავშირთან, საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის კავკასიური ტრიუმფირატის პერსპექტივის ნაცვლად, წევრიანდება პრორუსულ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში. სომხეთის ამგვარი პოზიცია, არა მხოლოდ აზერბაიჯანს და საქართველოს, არამედ მთელს სამხრეთ კავკასიას, და ისტორიის ირონია იმაშია, რომ თავად სომხეთს უკარგავს

ღირსეული ადგილის დაკავების შანსს, რომელიც სამხრეთ კავკასიას ეძლევა გეოპოლიტიკურ პროცესებში ჩართულობით.

სალანძღავ კონტექსტში მოიხსენიებს პუშკინი „სომხებს“ თავის ნაწარმოებში „ტაზიტი“: „Ты трус, ты раб, ты армянин!“ [4], სწორედაც, რომ სომხების დაბალი ღირსებისა და ცუდი რეპუტაციის გამო. ეს თუ არ ჩამოირეცხა სომხეთმა ამერიკის შეერთებული შტატების თვალში, ძალიან გაუჭირდება მიიღოს სრულუფლებიანი მონაწილეობა გეოპოლიტიკურ თამაშებში.

სომხეთის პრორუსული ორიენტაცია ძალიან მერყევია. როგორც კი იგრძნობს სომეხი, რომ რუსეთმა დაკარგა მსოფლიო კონტექსტში გავლენა, აამუშავებს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ მილიონიან დიასპორას, რომელიც აუცილებლად მოახდენს გავლენას სომეხ მოსახლეობაზე და დაარწმუნებს, რომ აშშ უნდა იყოს მათი რეალური პოლიტიკური პარტნიორი. თუმცა, ჯერ ამის დრო არ დამდგარა. ცვლილების მნიშვნელოვანი ცნება არის მეტამორფოზა, ანუ სახეცვლილება. ამ სახეცვლილებას, როგორც გამოწვევას, ხედავს მთელი მსოფლიო, მაგრამ ამ გამოწვევაზე ადეკვატური პასუხის მნიშვნელობა ესმის არა მსოფლიოს, არამედ მსოფლიო ისტორიის „ცნობიერ აქტიორებს“. როგორც სახარება გვეუბნება: „მრავალ არიან წვეულნი და მცირედ რჩეულნი“ [5].

მიუხედევად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წლების განმავლობაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინდივიდუალურ სპეციფიკას არ იცნობდა, რადგან განიხილავდა მათ საბჭოთა კავშირის ერთიან კონტექსტში, ძალიან მალე გახდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოთამაშე აღნიშნულ რეგიონში.

„1990-იან და 2000-იან წლებში აშშ-მა ფეხი მოიკიდა ამ სტრატეგიულ რეგიონში, რომელიც მდებარეობს ევროპის, აზიის, რუსეთისა და სლავური სამყაროს და აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის შესაყარზე, თანაც რუსეთსა და ირანთან უშუალო კონფლიქტში ჩაბმისა და სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ხელისუფლებასა და მოსახლეობაში წინააღმდეგობის გამოწვევის გარეშე [6].

1990-იანი წლებიდან სამხრეთ კავკასიის რეგიონი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ხდება ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის. ამას მოწმობს 1997 წელს, აშშ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მიერ გაკეთებული განცხადებებიც [7].

კლინტონისა და ბუშის პრეზიდენტობის პერიოდში, ამერიკის შეერთებული შტატები შემდეგი მიმართულებებით იყო აქტიური სამხრეთ კავკასიის რეგიონში: ფინანსურად და დემოკრატიული პროცესების მართვაში ეხმარებოდა მათ, ასევე გაატარა უსაფრთხოების, ენერგეტიკული და დიპლომატიური საქმიანობა [6].

დემოკრატიზაციის პროცესში აშშ საქართველოს მიმართ იყო უფრო მომთხოვნი, ვიდრე მაგალითად აზერბაიჯანის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში უმაღლესი მმართველობა მამიდან შვილზე გადავიდა. აშშ-სთვის აზერბაიჯანი ენერგეტიკულ სექტორში მნიშვნელოვან პარტნიორად განიხილებოდა, ამიტომაც თვალს ხუჭავდა ავტორიტარული რეჟიმის არსებობაზე ქვეყანაში. პრინციპში აშშ-ს ამგვარმა დამოკიდებულებამ სულაც არ დააზარალა ჩვენი ქვეყანა, პირიქით, მაღალი ღირებულებებისკენ სწრაფვა გახდა ქართველი ხალხის იდეა ფიქსი.

ობამას „გადატვირთვის პოლიტიკის" პროცესში მნიშვნელოვნად შემცირდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში დაფინანსება, თუმცა ყველაზე ნაკლებად ეს საქართველოს შეეხო.

აზერბაიჯანთან მკვეთრად გაუარესდა აშშ-ს ურთიერთობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა უარი განუცხადა აშშ-ს თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების მცდელობა ჰქონოდა.

დასკვნა

რომ შევაჯამოთ, რუსეთისთვის აქვს საბედისწერო მნიშვნელობა უკრაინას და საქართველოს. გარდა ისტორიული წარსულისა, რუსეთისთვის უკრაინა არის ევროპასთან დამაკავშირებელი მთავარი გზა, საქართველო და სამხრეთ კავკასია კი - ევრაზიის კორიდორის გასაღები.

ამერიკის შეერთებული კავკასია ჰაერივით მნიშვნელოვანია. ის არ შეელევა სამხრეთ კავკასიას, რათა პირდაპირ მიებჯინოს ირანს, წინააზიას და უშუალო შეხება ჰქონდეს კონტინენტალურ ჩინეთთან - რაც არის ევრაზიული სივრცის გადანაწილების პროცესი. ეს კი საქართველოსთვის არის შანსი პროცესებში გარდუვალი ჩართულობისა და ასევე ნიშნავს, რომ უნდა ველოდოთ ამ ქვეყნებს შორის ფასეულობათა გადაფასებას და ერთმანეთთან დაახლოვებას.

ლიტერატურა:

1. FACT SHEET: The United States and Estonia, Latvia, and Lithuania – NATO Allies and Global Partners https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/2016/08/23/fact-sheet-united-states-and-estonia-latvia-and-lithuania-%E2%80%93-nato-allies
2. Michael McFaul. „From Cold War to Hot Peace" („ცივი ომიდან, ცხელ მშვიდობამდე"). Penguin Books Limited (UK), May 2, 2019.
3. ილია ჭავჭავაძე „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი" ტფილისი, 25 თებერვალი, 1889 წ. http://www.bu.org.ge/x607?lang=geo

4. А. С. Пушкин. „Тазит“
5. მათე 20, 1 – 17; 22, 13 – 14
6. ჟულიენ ზარიფიანი, პირობითი ჩართულობა აშშ-ის საქმიანობა სამხრეთ კავკასიაში, 6 თებერვალი, 2018
7. Sonia Winter, Central Asia: U.S. Says Resolving Conflicts A Top Priority, Radio free europe/ radio liberty. 1997.

USA's interests in the post-Soviet southern Caucasus

Ana Gugushvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

Caucasus region is extremely important for the United States of America. US will never leave Georgia alone in order to directly cross Iran, Asia and to have direct contact with the continental China – which is the process of redistribution of Eurasian space. This is a chance for Georgia to engage in these processes and also means that we should expect that the values between these countries will be re-evaluated.

Georgia, which is the key to the Eurasian corridor, is of crucial importance for Russia. We analyze that future "political peripeties" in global politics will develop in Asia. The gateway to Asia for the United States is Georgia.

Of course, the United States will keep a certain balance with regard to Russia, but one thing is clear: South Caucasus countries cannot disappear from the US political radar due to their regional and global political significance.

საქართველოში ეკონომიკური ზრდისა და მიმდინარე განათლების რეფორმის ურთიერთკავშირის რამდენიმე ასპექტი

თამარ ელოშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია განათლება. განათლების სისტემაში არსებული მემკვიდრეობა ეკონომიკური ზრდის ყველაზე ხელისშემშლელ ფაქტორად მოიაზრება. 70-წლიანმა საბჭოთა წყობამ დაამახინჯა საზოგადოებრივი აზროვნება. მარქსისტულ-ლენინურ პოლიტეკონომიურ თეორიებზე აღზრდილი თაობების უპირველესი სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემა საბაზრო ეკონომიკურ პროცესებში გარკვევა და ადაპტირებაა. როცა დაფინანსების წყაროებზე საუბრობენ, ერთმანეთისგან ასხვავებენ ძირითადად სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას, შინამეურნეობების/ინდივიდების მიერ გაწეულ ხარჯებს და სხვა კერძო წყაროების მხრიდან დაფინანსებას.

ვერანირი განათლების რეფორმა ვერ იქნება წარმატებული, სანამ ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების მოცულობის გაზრდას არ შევძლებთ. იმისთვის, რომ გაგვეზარდოს ბიუჯეტის მოცულობა, უნდა გაგვეზარდოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ქვეყანამ უნდა შეძლოს ეკონომიკური ზრდის ტემპების უზრუნველყოფა. ეს უახლოეს პერსპექტივაში რთული ამოცანაა. ეკონომიკა ვერ გაიზრდება და გაძლიერდება სათანადო შრომითი რესურსების გარეშე. კვალიფიციურ სამუშაო ძალას კი მხოლოდ წარმატებული განათლების რეფორმის შედეგად მივიღებთ. კერძო სექტორის მონააწილეობა ამ სფეროში ერთ-ერთ გამოსავლად გვესახება დაფინანსების საგრანტო სისტემებთან ერთად. იმავდროულად, ცვლილების თანახმად, 2022 წლისთვის დაფინანსება არ უნდა იყოს დასაგეგმი წლისთვის პროგნოზირებული ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ზე ნაკლები.

შესავალი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია განათლება. განათლების სისტემაში არსებული მემკვიდრეობა ეკონომიკური ზრდის ყველაზე ხელისშემშლელ ფაქტორად მოიაზრება. 70-წლიანმა საბჭოთა წყობამ დაამახინჯა საზოგადოებრივი აზროვნება. მარქსისტულ-ლენინურ პოლიტეკონომიურ

თეორიებზე აღზრდილი თაობების უპირველესი სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემა საბაზრო ეკონომიკურ პროცესებში გარკვევა და ადაპტირებაა.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში ჩვენ ვხედავთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის არც თუ ისე წარმატებულ პროცესს. მიზეზები ძალიან ბევრია, მაგრამ ჩვენ ახლა შევჩერდებით საზოგადოებაში ეკონომიკური აზროვნების და შესაბამისად განათლების დეფიციტზე. კერძოდ მოქალაქეების უმეტესობას არ შეუძლია: ალტერნატული გზების განსაზღვრა, საკუთარი დროის მენეჯმენტის, ყოველდღიური მარტივი ბიუჯეტის შედგენა, საკუთარი ალტერნატიული მიზნების მისაღწევად გრძელვადიანი სტრატეგიული გზების ძიება და დაგეგმვა და ა.შ. ლოზუნგებზე აგებულმა საბჭოთა განათლებამ გამოიწვია ის, რომ საშუალო თაობის მოსახლეობას დღეს საქართველოში ყველაზე ძალიან უჭირს, ახალგაზრდა თაობა ახერხებს ახალ გამოწვევებზე ადეკვატური პასუხს. მათი მომავალი დასაქმების ტენდენციებიც მნიშვნელოვნად ოპტიმისტურია. ამის საწინააღმდეგოდ საშუალო თაობის სამუშაო ძალა მიმდინარე რეფორმების ფონზე უმეტესწილად დისკვალიფიცირებულია და ასეთ მუშახელზე შრომის ბაზარზე მოთხოვნა არ არის, რაც მათ დასაქმებას მომავალშიც კიდევ უფრო საეჭვოს ხდის. ყოველივე ამის ფონზე უმნიშვნელოვანესია განათლების სფეროში განხორციელებული ინვესტიციები. ცნობილია, რომ სტაბილური ეკონომიკური ზრდა მიიღწევა თანაბარზომიერი ინვესტიციებით ერთის მხრივ შრომით რესურსებში და მეორეს მხრივ კაპიტალურ აქტივებში. როდესაც უმუშევრობა ძალიან მაღალია, ინვესტიციებს კაპიტალურ აქტივებში უკვე აზრი ეკარგებათ.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში მომხდარმა ცვლილებებმა დიდი გავლენა მოახდინეს განათლების სისტემაზე. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების ფონზე განათლების სისტემამ პრიორიტეტული მნიშვნელობა დაკარგა. მწირი დაფინანსება, ეკონომიკური კრიზისი, ფრაგმენტული სასწავლო გეგმები, განათლებასა და შრომის ბაზარს შორის სუსტი კავშირი, თანამედროვე მოთხოვნებთან ტოტალური შეუსაბამობა და კორუფცია ქვეყნის მთავარ პრობლემად იქცა. განათლების სისტემას მნიშვნელოვნად შეუმცირდა სახელმწიფო დაფინანსება.

როცა დაფინანსების წყაროებზე საუბრობენ, ერთმანეთისგან ასხვავებენ ძირითადად სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას, შინამეურნეობების/ინდივდების მიერ გაწეულ ხარჯებს და სხვა კერძო წყაროების მხრიდან დაფინანსებას.

ცხრილი N1

განათლების ხარჯი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 2012-2018 წწ.

განათლება/ მშპ (%)	ქვეყნები
4.6%	**საშუალო მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებისთვის**
3.5%-მდე	ბულგარეთი, ირლანდია, რუმინეთი
3.6 - 4.5%	გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, იტალია, სლოვაკეთი
4.6 - 5.5%	ჩეხეთი, საფრანგეთი, ხორვატია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, უნგრეთი, მალტა, ნიდერლანდები, ავსტრია, პოლონეთი, პორტუგალია სლოვენია, გაერთიანებული სამეფო
5.6 – 6.4%	ბელგია, ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ფინეთი, შვეიცარია, ნორვეგია
6.5-7.1%	დანია, შვედეთი
3.2	საქართველო

წყარო: ევროსტატი (ევროკავშირის ქვეყნები, ევროპის სხვა ქვეყნები)

როგორც ცხრილიდან ჩანს, განათლების ხარჯით მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით მკვეთრად ჩამოვრჩებით საშუალო ევრო-პულ მაჩვენებელს, საქართველოში ეს მონაცემი 3.2 %-ს უდრის. აღარაფერს ვამბობთ განვითარებული ევროპული ქვეყნის მაჩვენებლებზე, სადაც იგი 7%-ს აღემატება (მაგ: დანიასა და შვედეთში).

ცხრილი N2:

განათლების ხარჯები მთლიან სახელმწიფო ხარჯებთან მიმართებით ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში 2012-2018წწ.

განათლება/ მთლიანი ხარჯები(%)	ქვეყნები
10.2%	**საშუალო მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებისთვის**
10%-მდე	ავსტრია, ბულგარეთი, გერმანია, იტალია, სლოვაკეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, რუმინეთი
10-11%	ხორვატია, უნგრეთი, პორტუგალია, ფინეთი
11-12%	ბელგია, ჩეხეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო, ნორვეგია
12 – 13%	დანია, ირლანდია, პოლონეთი, სლოვენია
13 – 14%	მალტა, შვედეთი
15-16.5%	შვეიცარია, ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიეტუვა
13	საქართველო [1].

წყარო: ევროსტატი (ევროკავშირის ქვეყნები, ევროპის სხვა ქვეყნები)

განათლების ხარჯების წილი მთლიან სახელმწიფო ხარჯებთან მიმართებით, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, განსხვავებულია სხვადასხვა შემოსავლების მქონე ქვეყნებში, კერძოდ:

- ქვეყნებში მაღალი შემოსავლებით (High income) – 12.7% (2018 წ.);
- ქვეყნებში მაღალი საშუალო შემოსავლებით (Upper middle income) – 13.9% (2018 წ.);
- ქვეყნებში დაბალი საშუალო შემოსავლებით (Lower middle income) – 15.3% (2018 წ.);
- ქვეყნებში დაბალი შემოსავლებით (Low income) – 16.7% (2018 წ.).

როგორც იკვეთება, მთლიან სახელმწიფო ხარჯებში განათლების დაფინანსების წილის მაღალი მაჩვენებელი დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. თუმცა საქართველოში სხვა დაბალშემოსავლიან ევროპულ ქვეყნებთან შედარებით ეს მონაცემიც დაბალია და იგი უტოლდება 13%-ს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ეს მაჩვენებელი 2012 წლამდე 7%-ს აღემატებოდა. მაინც ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მხოლოდ მეათედზე ცოტა მეტი მიიმართება განათლების დასაფინანსებლად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ განვითარებადი ქვეყნებისთვის განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებელი 15-20%-ს უნდა შეადგენდეს.

ახლა ვნახოთ ბიუჯეტის ხარჯებისთვის გამოყოფილი სახსრები რა მიმართებაშია მთლიან შიდა პროდუქტთან ევროპის ქვეყნებში და შევადაროთ იგი საქართველოს შესაბამის მაჩვენებელს (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი N3:

მთლიანი სახელმწიფო ხარჯები მშპ-სთან მიმართებით ევროპის ქვეყნებში 2018 წ.

მთლიანი ხარჯები/ მშპ(%)	**ქვეყნები**
45.8%	**საშუალო მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებისთვის**
36%-მდე	შვეიცარია, რუმინეთი, ლიეტუვა, ირლანდია, ბულგარეთი
36-40%	ჩეხეთი, ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, მალტა,
41-45%	გერმანია, ესპანეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პოლონეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, გაერთიანებული სამეფო,
46-50%	საბერძნეთი, ხორვატია, იტალია, უნგრეთი, ავსტრია, პორტუგალია, შვედეთი, ნორვეგია
51-57%	ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი
29.5	საქართველო

წყარო: ევროსტატი (ევროკავშირის ქვეყნები, ევროპის სხვა ქვეყნები)

როგორც ვხედავთ ევროპის საშუალო მაჩვენებელი, ანუ მშპ-ში საბიუჯეტო სახელმწიფო ხარჯების წილი 45%-ს შეადგენს, ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა ბელგია, დანია, ფინეთი და საფრანგეთი 57%-მდე არის გაზრდილი, ხოლო საქართველოში სახელმწიფო ხარჯების შეფარდება მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდესთან 29%-ს არ აღემაატება.

ზემოთ ნაჩვენებიდან, ვფიქრობთ ნათელია, რომ ვერანირი განათლების რეფორმა ვერ იქნება წარმატებული, სანამ ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების მოცულობის გაზრდას არ შევძლებთ. იმისთვის, რომ გაგვეზარდოს ბიუჯეტის მოცულობა, უნდა გაგვეზარდოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყანამ უნდა შეძლოს ეკონომიკური ზრდის ტემპების უზრუნველყოფა. ეს უახლოეს პერსპექტივაში რთული ამოცანაა. ეკონომიკა ვერ გაიზრდება და გაძლიერდება სათანადო შრომითი რესურსების გარეშე.

კვალიფიციურ სამუშაო ძალას კი მხოლოდ წარმატებული განათლების რეფორმის შედეგად მივიღებთ. განათლების ყველა საფეურზე დაბალი იყო კაპიტალური დანახარჯებიც, ანუ დანახარჯები ინფრასტრუქტურაზე, სხვადასხვა რეგიონი არათანაბარ ვითარებაში იყო. უპირატესობა გააჩნდათ ქალაქებს განსაკუთრებით - დედაქალაქს. ეს იწვევდა უთანაბრობას სრულფასოვანი განათლების ხელმისაწვდომობაში.

წლების განმავლობაში განუხრელად იზრდებოდა უმაღლეს განათლებაში კერძო სექტორის წილი და სასწავლებელთა რაოდენობა.

2004 წლამდე არ არსებობდა კერძო დაფინანსების ოპტიმალურ ზომის ნორმატივი უმაღლეს სასწავლებელში. განათლების რეფორმის კომპლექსურობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, მისი წარმატებით განხორციელება საჭიროებს განათლებაზე მიმართული რესურსების ზრდას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ქვეყანამ უნდა მიაღწიოს ეტაპობრივად ამ მიმართულებაზე გაწეული ხარჯების ზრდას და კერძო სექტორთან ერთად განათლების დაფინანსებას მშპ-თან მიმართებაში ორნიშნა მაჩვენებლის ფარგლებში. არ უნდა დაგვავიწყდეს რომ, დღეისათვის ეს მაჩვენებელი 2012-2018 წლებში საშუალოდ 3,2 %-ს შეადგენს მხოლოდ სახელმწიფო ხარჯების გათვალისწინებით. კერძო სექტორის მონაწილეობა ამ სფეროში ერთ-ერთ გამოსავლად გვესახება დაფინანსების საგრანტო სისტემებთან ერთად. იმავდროულად, ცვლილების თანახმად, 2022 წლისთვის დაფინანსება არ უნდა იყოს დასაგეგმი წლისთვის პროგნოზირებული ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ზე ნაკლები.

კერძო დაფინანსების წილი განათლების მთლიან ბიუჯეტში განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით.

ცხრილი N4

კერძო დაფინანსების წილი უმაღლესი განათლების მთლიან ხარჯებში

ქვეყნის დასახელება	პროცენტული მაჩვენებელი
აშშ	54
სამხ.კორეა	85
დანია	2.1
საშუალოდ OECD-ს ქვეყნებში	21.9

აუცილებელია აღინიშნოს საქართველოში განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები, რომელიც მსოფლიო ბანკის მხარადაჭერით ხორციელდება და მიმდინარეობს უკვე 28 წელზე მეტია. საგანმანათლებლო სივრცის ერთიან ევროპულ სისტემაში მოქცევა, ბოლონიის პროცესი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაცია, კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა, ეს არასრული ჩამონათვალია იმ რეფორმების შედეგების, რომელიც ამ სფეროში განხორციელდა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ ეს იყო ერთ-ერთი სფერო, სადაც კორუფციის მნიშვნელოვნად მაღალი დონე ფიქსირდებოდა, რასაც არა მხოლოდ ჩინოვნიკების საქციელი, არამედ საზოგადოების არაადეკვატური მოთხოვნა იწვევდა.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულმა პრობლემებმა საჭირო გახადა რეფორმების სწრაფი ტემპით გატარება. საქართველოში განათლების რეფორმა მოიცავს განათლების მთლიან ციკლს სკოლამდელი განათლებიდან დაწყებული დოქტორანტურით დამთავრებული, თუმცა ის განსაკუთრებით სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებას შეეხო.

რეფორმის ძირითადი მიზანია განათლების ხელმისაწვდომობის, ხარისხის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის მიღწევა. ასევე მნიშვნელოვანია ბაზარზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბება, საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა, განათლების საფეხურებს შორის შესაბამისობის მიღწევა და მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების ხელშეწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.oecd-ilibrary.org/docserver/94dc370e-en.pdf?expires=1575659273&id=id&accname=guest&checksum=4C789D2510E2D1B8015C018AF03F345C ნანახია 06. 12. 2019
2. Country Profile - Georgia, 2019, https://www.ilo.org/ilostat/faces/oracle/webcenter/ portalapp/pagehierarchy/Page21
3. Freedom House 2018, Nations in Transit 2018: Georgia Country Report https://freedomhouse.org/report/nations-transit/2018/georgia
4. Andguladze, N. and Mindadze I. 2018, ,,Standard setting in Georgia Examination Standards - How measures and meaning differ around the world", UCL Press, London P.25.
5. ნატო ნიაური პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტი 10.06.2019

About some aspects of economic growth and current education reform in Georgia

Tamar Eloshvili, PhD student
Gerogian Technical University

Summary

Education is one of the major obstacles to Georgia's economic development. The legacy of the education system is seen as the most impeding factor in economic growth. The 70-year-old Soviet regime distorted public opinion. The foremost socio-psychological problem of generations brought up by Marxist-Leninist polyteconomic theories is to clarify and adapt to market economic processes.

When it comes to funding sources, they mainly distinguish between government funding, household/individual spending and other private funding.

Failure to reform education will not be successful unless we can increase the amount of funds allocated for this purpose. In order to increase the volume of the budget, we must increase the volume of GDP, that is to say, in other words, the country must be able to keep pace with economic growth. This is a difficult task in the near future. The economy cannot grow and grow without adequate labor resources. And a qualified workforce can only be achieved through successful education reform.

Private sector involvement is one of the solutions in this area along with funding grant systems. At the same time, according to the amendment, funding by 2022 should not be less than 6% of the projected nominal GDP for the year.

აშშ-რუსეთის დაპირისპირება და თურქეთის კონტროლს დაქვემდებარებული სამხედრო ფორმირებები სირიის კონფლიქტში

გიორგი მაისურაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სირიის კრიზისი ხასიათდება უცხოური ძალების უპრეცენდენტო მონაწილეობით, რომლებიც მიმართულია ამ რეგიონში საკუთარი გავლენების გაძლიერებასა და რეგინალური ხელმძღვანელობის უპირატესობების გამოყენებისაკენ. ეს წინააღმდეგობები აისახა გეოპოლიტიკური (აშშ, რუსეთი) და ასევე რეგიონალური მოთამაშეების (თურქეთი, ირანი, საუდის არაბეთი, ყატარი) მოქმედებებში. რუსები მოქმედებდნენ როგორც ბაშარ ასადის მომხრეები, იმ დროს, როდესაც აშშ მხარს უჭერდა მხოლოდ ანტისაუდისტურ კოალიციას. ასადის მოწინააღმდეგე მებრძოლთა შორის განსაკუთრებით ძლიერი სამხედრო ფორმირებები დაქვემდებარებულნი იყვნენ თურქეთზე და დაზარალდნენ მისგან. ფორმირებების იდეოლოგიურ საფუძვლად იქცა იდეები, რომელთაც თურქეთი სთავაზობდა, მათ შორის, ადაპტირება, პატრიოტული განწყობა, რევოლუციური იდეები და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: სირიის კრიზისი. კონფლიქტი. გეოპოლიტიკა. რეგიონალური მოთამაშეები.

შესავალი

სირიის კრიზისისთვის დამახასიათებელი გახდა, საგარეო ძალების უპრეცედენტო ჩართულობა, რომელიც, გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური მიზეზების გამო, მიმართული იყო რეგიონზე თავისი გავლენის გაძლიერების მიღწევისაკენ, ან კიდევ ბრძოლაში რეგიონული ლიდერობისათვის უპირატესობის მიღებისაკენ, (მაგ. ყატარი, საუდის არაბეთი, თურქეთი, ირანი). ისინი ცდილობდნენ მიეღოთ გეოპოლიტიკური სასტარტო უპირატესობა, ამასვე ცდილობდნენ გეოპოლიტიკური მოთამაშეები (რუსეთი, აშშ).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონფლიქტის თავისებურება იყო, ჩამოყალიბებული „ბლოკების“ მკაფიო ჩარჩოების არარსებობა სირიის საკითხების გადასაწყვეტად. პარადოქსულია, მაგრამ არსებული საერთაშორისო ურთიერთობები, რომლებსაც აქვთ გარდამავალი ხასიათი და ამიტომ მათ აქვთ მყიფე ფორმა, წარმოქმნიდნენ ისეთ სიტუაციებს, როდესაც პი-

რობითად „პროასადური“ (რუსეთი, ირანი, შემდგომში ერაყი) და „ანტი-ასადური“ ბანაკები არ ნიშნავდა, რომ გამორიცხული იყო „გამჭოლი ხაზე-ბის“ არსებობა ურთიერთობებში. ეს იყო როგორც სამთავრობო მხარეზე, ისე მოწინააღმდეგეთა შორის.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მდგომარეობა არ იყო და-მახასიათებელი, ყველა ჩართული მოთამაშისათვის, რომელთაც ჰქონ-დათ შეხება სირიულ „დოსიესთან“. მეთოდოლოგიას, რომელიც იძლეოდა კონტაქტების გაგრძელების საშუალებას თითქმის ყველა მხარესთან, საკმაოდ წარმატებით იყენებდა მოსკოვი და მან შესძლო, საჭირო დროს უარი ეთქვა „ბლოკური აზროვნების“ სტერეოტიპისათვის [1. 95-96].

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რუსეთი გახდა, ფაქტობრივად ერ-თადერთი მსხვილი მოთამაშე, რომელიც ურთიერთობდა კონფლიქტის ორივე მხარესთან (სირიის მთავრობა, მათ მხარდამჭერთა შეიარაღებულ ფორმირებებთან და ასევე შეიარაღებული ოპოზიციის მრავალრიცხოვან დაჯგუფებებთან). ჰქონდა რა კონტაქტები ორივე დაპირისპირებულ მხა-რეებთან, მოსკოვი ცდილობდა გარკვეული კომპენსაცია მიეღო, იმის გა-მო, რომ არ შეეძლო გამოეყენებინა მთელი თავისი სამხედრო პოტენცია-ლი გადამწყვეტი მოგებისათვის ტერორისტების დასამარცხებლად. თუმცა სწორედ „ანტიტერორი“ იყო ოფიციალურად გამოცხადებული ძი-რითად მიზნად, რისთვისაც მოსკოვი სამხედრო ძალებით ჩაერთო ამ კონ-ფლიქტში. მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი რუსეთისთვის ებრძოლა ზომი-ერი ოპოზიციის შეიარაღებულ ძალებთან, რათა ხელი შეეწყო სამთავრობო ძალებზე, გამხდარიყვნენ დომინირებული „სახმელეთო“ ბრძოლებში.

რუსეთის ხელმძღვანელობა 2011-2017 წწ. პერიოდში ცდილობდა რუ-სეთის როლის და ძალის გაძლიერებას მსოფლიო საქმეებში, იყენებდა რა ამ მიზნების მისაღწევად სირიულ „მოედანსაც“, მაგრამ, რა თქმა უნდა, თვალსაჩინო იყო, რომ გლობალური მოთამაშის სტატუსის მისაღებად, მას კიდევ მოუწევდა დიდი სამუშაოების ჩატარება და ამიტომ, არ იყენებდა „უკომპრომისო ბლოკის“ ლოგიკას, არამედ ცდილობდა ამ საქმეებში მა-ნევრირებას. დასავლეთი კი, უპირველესად აშშ, იყენებდა ხისტ მიმართუ-ლებას, რაც მისადაგებული იყო ზემოთ აღნიშნულ „ბლოკურ აზროვნებაზე“ და ამიტომ, მათ მხოლოდ ერთი მხარის მხარდაჭერაზე აიღეს ორიენტირი. ეს გადაწყვეტილება მყარდებოდა რუსეთის შეჩერების მოსაზრებით, რომელიც გაახმოვანა ბ. ობამას ადმინისტრაციამ და კიდევ მათ ჰქონდათ ძლიერი „ანტიირანული მუხტი“, რომელიც შემდგომშიც გაგრძელდა დ. ტრამპის

დამისი ახლო წრის გარემოცვაში. ერთიც და მეორეც არ აძლევდა დასავლეთს მანევრირების საშუალებას, რათა დაემყარებინა კონტაქტები სირიის ხელისუფლებასთან (მით უმეტეს სამხედრო ხელმძღვანელობასთან), და აგრეთვე გამორიცხავდა კონტაქტებს, მთავრობის მხარდამჭერ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან რომლებიც ხშირად „კერძო არმიები“ იყო (ხ სუხეილის ჯგუფები, „ძმები კატარჯების“ რაზმები) ანდა პროირანული დაჯგუფებები („ჰეზბოლა“ ერაყელი, ავღანელი, ლიბანელი შიიტების შეიარაღებული რაზმები). ვაშინგტონის ხელმძღვანელობას საშინაო პოლიტიკური მოსაზრებით არ შეეძლო, არათუ თამაში ამ დაჯგუფებებთან, არამედ უბრალოდ მათთან კონტაქტშიც შესვლაც კი.

ურთიერთობის რთულმა სისტემამ, ანტისამთავრობო დაჯგუფებებს შორის და რაც უფრო მნიშვნელოვანია, კურატორ ქვეყნებს შორისაც, როგორც „ლაკმუსის ქაღალდმა“, გამოამჟღავნა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ტრანსფორმაციის ტენდენციები, რომელიც ახდენს სულ უფრო მეტი უფლებების დელეგირებას რეგიონის რიგი ქვეყნებისადმი, ამ გავლენების თანდათან გასაძლიერებლად.

ანტისამთავრობო მოძრაობის პროცესის ფორმირების ძირითადი თავისებურობა, მდგომარეობდა რეგიონის ქვეყნების ღრმა ჩართულობაში შეიარაღებულ დაპირისპირებაში ბ. ასადის წინააღმდეგ. „სხვისი ხელებით“ ომი არ არის ახალი ფორმა, ნაციონალური ინტერესების პროექციისთვის ამა თუ იმ რეგიონში. ახლო აღმოსავლეთი გამონაკლისი არ არის და ვერც იქნებოდა. ამასთან ერთად იალტა-პოტსდამის სუპერ-მოთამაშეები ტრადიციულად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ შემთხვევებში და სულ უფრო აქტიური მონაწილეობისკენ მოუწოდებდნენ რეგიონალურ მოთამაშეებსაც. კონფლიქტების დასაწყისში, რუსეთი და აშშ, რომლებიც არაფორმალურად ხელმძღვანელობდნენ ამ პროცესებს (მოგვიანებით ამერიკამ შეცვალა „ზურგსუკან ლიდერობის“ პოლიტიკა) გადავიდნენ დამოუკიდებელი მოთამაშის პოზიციაზე და ამ კერძოდ აღებულ შემთხვევაში, რუსეთი აშკარად გამოვიდა სირიული სამთავრობო ძალების მხარეს, გამოიყენა რა თავისი სამხედრო-პოლიტიკური პრიორიტეტები. მსხვილ მოთამაშეთა დომინირება საგარეო ჩარეულობის პროცესებში, ნელ-ნელა შეიცვალა და გამოიდევნა რეგიონის ლიდერ მოთამაშეთა მიერ, რომელიც გახდა მოთხოვნადი პროექცია ამ მომენტში თურქეთის, საუდის არაბეთის, ყატარის და იორდანიის მხრიდან. მათი ინტერესების სხვადასხვა მიმართულებებმა სირიის რუქა „აჭრელებულ საბანს“ დაამსგავსა. როგორც

შედეგი სირიის რუქა დანაწევრდა სამხედრო-იდეოლოგიურ სექტორებად. არც აშშ და არც რეგიონის სხვა რომელიმე ქვეყანას არ ჰქონდა სრული კონტროლი ანტისამთავრობო შეიარაღებულ დაჯგუფებებზე, რაც ხდიდა მათ არამოწესრიგებულად და ფრაგმენტალურად. ეს ფრაგმენტები, არა მარტო ვერ გამოდიოდნენ ორგანიზებულ ფრონტად, არამედ ხშირად ერთმანეთს საბრძოლო მოქმედებებშიც ეჯახებოდნენ (მაგ.: შეჯახებები „ჯეიშიალ-ისლამი“-ს და „ფეილიაკ არ-რახმანს“ შორის აღმოსავლეთ გუტის ტერიტორიაზე) მიუხედავად იმისა, რომ აშშ თავად პირველად შეეცადა გააერთიანებინა ფორმირებები, მსხვილ რეგიონალურ ფრონტებად, რათა განეხორციელებინა მძლავრი სამხედრო ზეწოლა რეჟიმზე, ამ მცდელობებისგან არაფერი არ გამოვიდა. რეგიონის, ქვეყნების ინტერესების სხვადასხვა მიმართულებების და მათი არ დამთხვევის გამო, ეს გეგმები ვერ განხორციელდა.

ამგვარად რეგიონალურ მოთამაშეთა პირდაპირმა, დაუფარავმა ჩართულობამ სირიული ოპოზიციის შეიარაღებული დაჯგუფებების შექმნასა და მხარდაჭერაში, მოახდინა გავლენა ამ სტრუქტურების მოდელირებაზე უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მეთოდოლოგიის კლასიფიკაციაში, საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე ტრანფორმაციაში და მასში „პოლიცენტრისტული“ ხასიათის ჩამოსაყალიბებლად უკვე არ კმარა იდეოლოგიური პლატფორმების შექმნა ან გეოგრაფიული ლოკალიზაცია, არამედ მნიშვნელოვანია ის რამდენად არის დამოკიდებული რეგიონალურ სპონსორებზე.

დავუმატებთ, რომ საგარეო კურატორების როლების განსაზღვრისათვის, რუსი დიპლომატები და სამხედროები მთელ რიგ კრიტერიუმებს იყენებდნენ, ერთ-ერთი ძირითადი არსი (გეოგრაფიულ მიჯაჭვულობასთან ან კიდევ, იდეოლოგიურ კლასიფიკაციასთან) მდგომარეობდა იმაში, რომ ამა თუ იმ სამხედრო ფორმირებებს მიეღოთ ინსტრუქციები მოლაპარაკებების მიმდინარეობის დროს, რათა განსაზღვრულ ყოფილიყო სირიის კრიზისის ზოგიერთი ასპექტი და მომხდარიყო მათი დარეგულირება.

სირიის კრიზისმა დემონსტრაციულად აჩვენა, რომ ესა თუ ის შეიარაღებული ფორმირება როგორც კი კარგავდა თავის საგარეო სპონსორს, მაშინვე იწყებდა საკუთარი ჯგუფების დეზორგანიზაციას და მაქსიმუმ ორ თვეში, ან მთლიანად იშლებოდა ან კიდევ გადადიოდა სხვა დაჯგუფებების დაქვემდებარებაში. მაგალითად ასე მოხდა ჩრდილოეთ სირიის დაჯგუფებებთან, როგორიც იყვნენ „დარა სურია“, „მუდჯახიდ იბრაგიმი“, „მუჰამედ ალ-ამია“, „აბუ-ზეიდი“, „ხიტინი“, „ალ-ხარმუში“, „ხამზა ხა-

ტიბი“, რომლებიც 2016 წლის ბოლოსთვის ამოვარდნენ აშშ დაფინანსების პროგრამიდან [1. 98].

მაგალითისათვის კიდევ შეიძლება მოყვანილ იქნას კონფინდენციალური მოლაპარაკებები ჩრდილოეთის ფრონტის იდლიბის ფრთის ერთ-ერთ ლიდერთან გენერალ აბდელბასეტ ტავილთან. 2016 წლის დეკემბერში მან ვერ შეძლო თურქეთიდან დახმარების უზრუნველყოფა და ამიტომ მიმართა რუსეთის სამხედრო წარმომადგენლებს, რომ მიეღო სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერა, რათა აეღორძინებინა „იდლიბის ფრონტი“ (სირიის თავისუფლების არმიის სირიის არაბთა რესპუბლიკის ეგიდით), რათა ებრძოლა სხვა შეიარაღებული დაჯგუფების „ჯაბხატ ან-ნუსრას“ წინააღმდეგ. (ამ ოპერაციის მომზადება შეჩერებული იქნა, მხოლოდ იმიტომ, რომ 2016 წლის ბოლოსთვის სირიაში მოხდა დეესკალაციის ზონების შექმნა, რაც გათვალისწინებული იყო, უფრო ადრე ასტანის ფორმატის გადაწყვეტილებებით 2016 წ.)

ოპოზიციის შეიარაღებული დაჯგუფებების კლასიფიკაცია, შეიძლება მოხდეს არა რეგიონალური-იდეოლოგიური კრიტერიუმებით, არამედ გაცილებით უფრო ზუსტად, მათი სპონსორების გამოვლენით, რაც გააადვილებს კონფლიქტის მიმდინარეობაზე მათ გავლენას. (საკმარისია გამოვავლინოთ სპონსორების ნაციონალური ინტერესები). ყოველივე ამის გააზრებამ, მისცა რუსეთს საშუალება დაეგეგმა ნეგატიური მოვლენების განეიტრალების საკუთარი მიზნები _ თავი აერიდებინა შეიარაღებული დაჯგუფებების ხელმძღვანელ მეთაურებთან პირდაპირ კონტაქტზე (რაც საბრძოლო მოქმედებების დროს ძალიან ხშირად შეუძლებელი იყო) და ემოქმედა ამ რაზმების სპონსორებთან, პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.

როგორც შედეგი, შეიძლება მოყვანილი იქნას აღმოსავლეთ ალეპოს პრობლემის მოგვარება 2016 წლის ბოლოს, თურქეთის თანამონაწილეობით, ან კიდევ ხელშეკრულება, რომელიც დაიდო 2016 წ. რუს სამხედროებსა და შეიარაღებულ დაჯგუფებებთან „ჯეიშ ალ-ისლამი“ და „ფეილიაკ არ რახმანი“. ამ ხელშეკრულებით აღმოსავლეთ გუტასა და ხომსსში საბრძოლო მოქმედებები შეწყდა და ეს შეთანხმება დაიდო ეგვიპტის და საუდის არაბეთის უშუალო მონაწილეობით. მიუხედავად ამისა, არსებობს უაყოფითი მაგალითებიც დამოკიდებულებობის ხარისხზე და მის აღრიცხვაზე, უარის თქმა შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ, რომელთაც არ მოისურვეს გაემჟღავნებინათ თავისი სპონსორები და მიღებული შემოსავლები, რომლისკენაც მოუწოდებდა რუსეთ-აშშ განცხადება 2016 წლის

22თებერვალს [2].

ამ პერიოდში აშშ-მ რუსეთს თავს მოახვია მცდარი შეფასებები, რომელშიაც ვაშინგტონმა მექანიკურად ჩამოთვალა შეიარაღებული დაჯგუფებების მთელი სია, რომელიც თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია, სინამდვილეში მრავალ მათგანზე არავითარი გავლენა არ ჰქონია. ამის შედეგად, რუსეთსა და აშშ შორის შეთანხმებები მთლიანად დაირღვა. დადებითი მაგალითების მოყვანაც შეიძლება გაგრძელდეს, მაგალითად რუსულ-თურქული ხელშეკრულება 2016 წლის დეკემბერში, რომლის დროსაც მიღებული იქნა საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის ოქმი და ეს ეხებოდა თურქეთის მიერ კონტროლირებად შეიარაღებულ დაჯგუფებებს. მოცემულმა მეთოდოლოგიამ გაამართლა და ძალადობის მაჩვენებელმა სირიაში თანდათან ძლიერ იკლო. ანკარის ღონისძიებებმა, რომელთაც მიუჩინეს დაჯგუფებებს დისლო-კაციის ადგილები, თურქების პერმანენტულმა შრომამ შეიარაღებულ ფორმირებებთან, მათი სამხედრო დისციპლინის ამაღლების შესახებ, მიგვიყვანა იქამდე რომ ანკარაში მიღებული გადაწყვეტილებები გახდა საფუძველი თურქული და რუსული სამხედრო ძალებით აღმოსავლეთ ალეპო გათავისუფლებულიყო. ამან ყველაფერმა მისცა იმპულსი ასტანის შეხვედრებს, სადაც რუსულ და თურქულ მხარეებთან ერთ მაგიდაზე კიდევ ერთი რეგიონალური ლიდერი გამოჩნდა, ირანის სახით. ამ ყველაფრის მიუხედავად, თურქეთი პარალელურად წყვეტდა საკითხებს თავის კონტროლირებადი დაჯგუფებების მიმართ, იმ პირობებში როცა სამთავრობო ძალებმა (სარ-ის) და მათმა მხარდამჭერებმა, უკვე თავისი მხრიდან დაიწყეს აღმოსავლეთ ალეპოზე იერიშის მიტანა. თურქეთის მიზნები მისაღები არ იყო რუსეთისთვის, მაგრამ ისინი გათვალისწინებული იქნა მოლაპარაკებების პროცესში, სირიაში მიღებული დაზავებების გამყარებისათვის. მიუხედავად ამისა დაჯგუფებების რიცხვი ძალიან ბევრი იყო, მთელი ეს სპექტრი შეიძლება მოხვდეს, მათი სპონსორებისადმი დამოკიდებულების კლასიფიკაციაში. რაც შეეხება იდეოლოგიურ პლატფორმებს, ის პირდაპირ დამოკიდებულებაში იყო იმასთან, თუ რომელ საგარეო კურატორზე იყვნენ ორიენტირებულნი ეს შეიარაღებული დაჯგუფებები. თურქეთი, საუდის არაბეთი, ყატარი, იორდანია, ირანი ყველა ეს ქვეყანა სირიაში თავის საკუთარ ინტერესებს იცავდა. ყველაზე უფრო ძლიერ და მრავალრიცხოვან შეიარაღებულ დაჯგუფებებს შეადგენდნენ პრო-თურქული ანტისამთავრობო ძალები, ამ ბლოკის მამოძრავებელ ღერძს შეადგენდნენ ის დაჯგუფებები, რომელთა შორის იყვნენ „ახრარ აშ-შამი“, „სუკურ აშ-შამი“, „ტაჯამუა ფასტაკიმი“, „ალ-ჯაბხატ აშ-შამია“, „სუვარ აშ-შამი“,

„ლივა უმარი“, „ქათაიბ ალ-ფარუკი“ და სხვა თურქმანული რაზმები, რომელთა შორის უმსხვილესი იყო სულტან მურადის ბრიგადა. ამ ფორმირების იდეოლოგიურ საფუძველს ანკარიდან მოწოდებული იდეები შეადგენდა, მათ შორის „ძმები მუსულმანების“ ადაპტირებული, პატრიოტულ-რევოლუციური და სამართლიანი ომის იდეის გარშემო ალავიტური რეჟიმისა და მისი შიიტი მოკავშირეების წინააღმდეგ, როგორსაც წარმოადგენდა პროირანული „ჰესბოლა“ და სხვა შიიტური შენაერთები, რომლებიც იბრძოდნენ ირანული გავლენის გაძლიერების მიზნებით. ძირითადად პროთურქული ფორმირებები ლოკალიზებული იყვნენ სირიის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც ესაზღვრება თვითონ თურქეთის რესპუბლიკას. (პროვინციები იდლიბი, ალეპო, ლატაკიის ჩრდილოეთ ნაწილები), მაგრამ მთელი რიგი პროთურქული შენაერთები ქვეყნის ტერიტორიულ ნაწილშიაც იდგნენ (ქ. ხომსი თვითონ ხომსის პროვინცია, ქ. რასტანი).

იმის საჩვენებლად თუ რა პრაქტიკულ ამოცანებს წყვეტდა თურქეთი მისდამი ლოიალური დაჯგუფებების მხარდაჭერით, შეგვიძლია გამოვყოთ ერთი მთავარი ამოცანა _ ეს არის უსაფრთხოების ზონის შექმნა ჩრდილოეთ სირიაში, მთელი სირიულ-თურქული საზღვრის პერიმეტრზე (მანძილი 400 კმ. მეტი და სიღრმით 50-70 კმ), რომელსაც ვერ გააკონტროლებდა სირიული ხელისუფლება, და რომელიც არ ჰქონდათ დაკავებული არც ქურთთა ფორმირებებს და არც „ისლამური სახელმწიფოს“ შეიარაღებულ რაზმებს. ამ საკითხში თურქეთს ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ჩრდილოეთ სირიაში სახლობდა თურქმანული მოსახლეობა, რომლებიც საკმაოდ კომპაქტურადაა ამ რეგიონში [1. 101].

აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ ანკარა სირიის კონფლიქტის პირველივე დღეებიდანვე აქტიურად იყენებდა თურქმანულ დაჯგუფებებს, როგორც ძალას ბ. ასადის დასამხობად და აგრეთვე თავისებური ბუფერის შესაქმნელად [3].

თურქეთის კიდევ ერთი ამოცანა მდგომარეობდა ქურთთა დავდაცვის ძალებთან ბრძოლაში, რომელიც წარმოადგენდა თურქთა დემოკრატიული კავშირის საბრძოლო ფრთას, რომელსაც ანკარა თავისი ინტერესების გამო, ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს „ქურთისტანის მუშათა პარტიასთან“ მისი კავშირის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ დაპირისპირება ქურთებთან გახდა ძირითადი მიზეზი ყველაზე მასშტაბური საბრძოლო ოპერაციისა სახელწოდებით _ „ევფრატის ფარი“, რომელიც განხორციელდა 2016 წლის დეკემბერში და ამ დიდ საბრძოლო ოპერაციას არავითარი კავშირი არ ჰქონდა

ბ. ასადის წინააღმდეგ ანტიტერორისტულ ბრძოლებთან, მთელი ამ ოპერაციის მიზანი იყო, ერთიანი ქურთული ფრონტის გახლეჩვა-დანაწევრება, ორ მსხვილ ქურთულ ანკლავებში, სირიის ტერიტორიაზე [4].

საუბარი მიდის კამიშლის და აფრინის ტერიტორიებზე. ანკარა ვერ შეეგუებოდა ამ ანკლავების და მათი სამხედრო ძალების გაერთიანებას, ერთიან და მტრულად განწყობილ „ქურთულ სარტყელს“ თავისი საზღვრების სახლოვეს. ამასთან დამატებით უნდა ითქვას, დეესკალაციის ზონების შემოღებისთანავე, თურქეთი აქტიურად იყენებდა თავისი მომხრე ანტისამთავრობო ძალებს, დაძაბულობის შესაქმნელად, აფრინის ქურთთა ანკლავზე ზეწოლის გაძლიერების მიზნით [1. 101].

თურქეთისთვის ერთ-ერთი ამოცანა იყო ასევე პერმანენტული ზეწოლა ბ. ასადის მთავრობაზე, რათა არ დაეშვა სამხედრო-პოლიტიკური სტაბილიზაციის პროცესი სირიის ტერიტორიაზე. კიდევ ერთი მიზანი კი _ ანკარისთვის ლოიალური პიროვნებების დაწინაურება (შეიარაღებულ ფორმირებათა ლიდერებისაგან) სირიის პოლიტიკურ სცენაზე იმისთვის, რომ რეჟიმის დამარცხების შემთხვევაში, თურქეთს ჰყოლოდა თავისი საკადრო რეზერვები, ახალი პოლიტიკური ვითარებისათვის.

ყოველივე ზემოთქმულის ყველაზე მკაფიო მაგალითი არის „ახრარ აშ-შამი“. ეს დაჯგუფება შეიქმნა 2011 წელს და იყოერთერთი პირველთაგანი, ვინც გამოვიდა იარაღით ხელში ბ. ასადის წინააღმდეგ. მის ბირთვს შეადგენდნენ სუნიტები ჰამასა და იდლიბის პროვინციებიდან. ამ დაჯგუფების პირველი ლიდერი ჰ. აბუდი 2004-2011 წლებში სასჯელს იხდიდა სედნაის სამხედრო ციხეში და 2011 წელს ამინისტიით იყო განთავისუფლებული.

„ახრარ აშ-შამის“ რიგებს შეუერთდებოდნენ ახალი წევრები, რომელთაც იზიდავდა საკმაოდ მაღალი დაფინანსება, უცხოელების არ ყოფნა, თურქეთის დახმარება _ სამხედრო და ფინანსური, ფინანსური დაწესებულებების უკანონო ძარცვა, თურქულ-სირიული საზღვრის ზოგიერთი მონაკვეთის კონტროლი, რაც დამატებითი შემოსავლის წყარო გახდა გაზრდილი კონტრაბანდის სახით, პროფესიონალი სამხედროების ყოფნა (სირიის შეიარაღებული ძალების დეზერტირები), თურქეთის სპეცსამსახურების მფარველობა იარაღით მომარაგების საქმეში, დაჭრილების მკურნალობა, ოჯახების ევაკუაციის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტორი აძლევდა ამ დაჯგუფებას ახალი წევრების მიღების ფართო საშუალებას და ამავე დროს, მას ჰქონდა სპარსეთის ყურის ქვეყნების მომხრე დაჯგუფებებთან ალიანსის შექმნის საშუალებები.

2017 წლის ბოლოსთვის „ახრარ აშ-შამს“ შეუერთდნენ რაზმები სხვადასხვა დაჯგუფებებიდან, როგორიც იყო „სუკურ აშ-შამი“, „ჯეიშ ალ-ისლამი“, „ტაჯამუა ფასტაკიმი“, „ალ-ჯაბახატ აშ-შამია“, „ჯეიშ ალ-მუნჰამედინი“, „სუვარ აშ-შამი“, „ქათაიბ იბნ-ტეიმია“, „ლივა ალ-მიკდადი“, „ლივა უმარი“, „ქათაიბ ალ-ფარუკი“ [1. 102].

თურქეთის გავლენა ამ დაჯგუფებებზე ნათლად გამოჩნდა ერთ კონკრეტულ მაგალითზე _ როდესაც 2016 წლის დეკემბერში დაიწყო შეიარაღებული დაჯგუფებების გამოყვანა (ევაკუაცია) აღმოსავლეთ ალეპოდან, რის შესახებაც ანკარაში ხელი მოეწერა ამ შეთანხმებას და თურქეთი გახდა ამ შეთანხმების გარანტიორი, ეს ევაკუაცია განხორციელდა დაბრკოლებების გარეშე.

რუსეთმა განახორციელა თავისი ინტერესები, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ სირიის სამთავრობო ძალებს აეღოთ კონტროლი ქ. ალეპოზე და მიმდებარე ტერიტორიებზე და რაც ამავე დროს ითვალისწინებდა რეგიონის ქვეყნების ძირეულ ინტერესებსაც. 2016 წლის ნოემბრისთვის თურქეთის ხელისუფლება აღმოჩნდა დილემის წინაშე _ მის მიერ კონტროლირებადი ფორმირებები აღმოჩნდნენ სირიის სამთავრობო ძალების ბლოკადაში. მათ ამ ბლოკადის გარღვევის საშუალებები არ გააჩნდათ და ამ ბრძოლის გაგრძელებას შეიძლება მოჰყოლოდა მათი სრული განადგურება ან უნდა შეენახათ ეს ფორმირებები მომავალი მიზნებისთვის და წასულიყო სეპარატიულ მოლაპარაკებებზე რუსეთთან. ეს მოლაპარაკებები რუსეთის და თურქეთის სპეცსამსახურებს შორის 40 დღის განმავლობაში გრძელდებოდა ანკარაში 2016 წლის ნოემბერ-დეკემბერში. შედეგად მოეწერა ხელი მემორანდუმს ალეპოდან პროთურქული შეიარაღებული ძალების მშვიდობიანი ევაკუაციისა. რუსეთი და თურქეთი გამოდიოდნენ ამ ხელშეკრულების შესრულების გარანტიორებად. 15 დეკემბრისთვის კორიდორების გზით შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა მთლიანად დატოვეს აღმოსავლეთ ალეპო. მოლაპარაკებები ამის შემდეგაც გაგრძელდა და პროთურქულმა დაჯგუფებებმა, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. ანკარა მათ გარანტად გამოვიდა მოსკოვი თავის მხრიდან გამოვიდა გარანტად რომ, სირიის სამთავრობო ნაწილებიც შეწყვეტდნენ ცეცხლს. თურქებმა შედეგად შეძლეს თავისი კონტროლირებადი დაჯგუფებების გადარჩენა და მათი მშვიდობიანი გადაყვანა იდლიბის ტერიტორიაზე.

ამ ეპიზოდმა ნათლად დაადასტურა თურქეთის კონტროლის მაღალი ხარისხი შეიარაღებული დაჯგუფებების საომარ ოპერაციებზე მათ

მიმდებარე ტერიტორიებზე სირიის არაბთა რესპუბლიკაში. ეს იყო კიდევ ერთი მაგალითი რეგიონის ქვეყნების მონაწილეობისა ამ კონფლიქტის მიმდინარეობაზე. კიდევ უფრო მეტიც, ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ რუსეთმა დროულად გაიგო რეგიონის ქვეყნების გაზრდილი როლი და ზუსტად დაინახა ახალი შესაძლებლობები და ამ მდგომარეობის ახალი რეალიები. მოსკოვი რეალურად სირიის ხელმძღვანელობის აშკარა მოკავშირე იყო, მაგრამ ამის მიუხედავად კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად, ის მზად იყო ეთანამშრომლა ოპოზიციის სამხედრო დაჯგუფებებთან და მათ კურატორებთან. ამაში მდგომარეობდა მისი საკმაო უპირატესობა სხვა ქვეყნებზე (თურქეთი, საუდის არაბეთი, ყატარი რომლებმაც მთლიანად გაწყვიტეს კონტაქტები ბ.ასადის რეჟიმთან).

ლიტერატურა:

1. М. Ходинская-голенишева. Сирия – трудный путь от войни к миру. М. Абрис, 2019 г.
2. „Совместное заявление Россискои федерации и Соединених Штатов Америки в качестве сопредседателеи Международной групои поддержки Сирии о прекрашении боевои деиствий в Сирииской Арабской Республики от 22 февралья 2016“ (რუსეთის ფედერაციის და აშშ ერთობლივი განცხადება, როგორც სირიის მხარდამჭერი ჯგუფის თანათავჯდომარეებისა საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის სესახებ სირიის არაბთა რეპუბლიკაში, 2016 წ. 22 თებერვალი).
3. Middle East Acosiated press, a look at the Turkmen community in Syria 2015, 24 november.URL: https://www.voanews.com/a/a-look-at-turkmen-community-in-syria/3071795.html
4. Hurriyet Daily News, Turkey entered Syria to end al assads rule: president erdogan, 2016, 29 november. URL: http://www.hurriyetdailynews.com/turkey-entered-syria-to end-al-assads-rule-president-erdogan-106709
5. Armed Opposition Croups in Syria. Prepared by UNITED Nations Department of political affairs december 2013 p5, 11.
6. Материали Центра оперативного реагированния на нарушения режима прекрашения боевич деиствии в САР женева 17 июля 2017г

The US-Russian confrontation and military formations controlled by Turkey in the Syrian conflict

Giorgi Maisuradze, PhD student
Georgian Technical University

Summary

The Syrian crisis was characterized by an unprecedented involvement of foreign forces aimed at enhancing their influence in the Syrian region and taking advantage of regional leadership. This confrontation was reflected in the actions of geopolitical players (US, Russia) as well as regional players (Turkey, Iran, Saudi Arabia, Qatar). The Russians worked with both Bashar al-Assad's supporters and even their opponents, while the United States supported only the anti-Assad coalition. The strongest military formations among the fighters against Assad were subordinate to Turkey and affected by it ("Ahrar Ash-Sham," "Suqour Ash-Sham," "Tajammu Fastaqim," "Al-Jabhat Ash-Sham," "Suwar Ash-Sham," "Liwa Umar," "Kata'ib al-Farouq" and other Turkmen units).

The ideological basis of this formation was the ideas provided by Turkey, including the adapted, patriotic revolutionary ideas of the "Muslim Brothers" against the Assad Alawite regime and its Shiite allies.

Key Words: Crisis of Syria. Conflict. geopolitics. Regional players.

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი: საფრთხეები და გამოწვევები

გიორგი მათიაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებმა ტერორიზმი უდიდეს პრობლემად და გამოწვევად აქცია მისი გამოვლინებისა და ფორმების მიხედვით, რადგან ის წარმოადგენს რეგიონალურ, სუბრეგიონალურ კონტინენტალურ სამხედრო საფრთხეს და მისი გავრცელების არეალი განუსაზღვრელია გეოგრაფიული თუ ეთნიკური პარამატრებით. განსაკუთრებულ საფრთხედ მსოფლიოსათვის იქცნენ ისლამისტურ-ტერორისტული ორაგანიზაციები.

გარდა ამისა, რეგიონში მიმდინარე საომარმა კონფლიქტებმა, ქვეყანაში არსებულმა არასტაბილურმა სიტუაციამ, დაუცველობის შეგრძნებამ, ჰუმანიტარულმა კრიზისმა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მოსახლეობის კოლოსალური მასშტაბის მიგრაცია გამოიწვია, რომელიც უმთავრესად ევროპას დაატყდა თავს. ლტოლვილთა და მიგრანტთა პრობლემებმა დიდი კრიზისი გამოიწვია ევროპაში და უფრო მეტიც ევროპის მეზობელი ქვეყნები ერთმანეთს დააპირისპირა. ლტოლვილების კრიზისმა კიდევ ერთხელ ეჭვქვეშ დააყენა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ერთიანობა და გამოავლინა ინტეგრირებული პოლიტიკის ნაკლებობა. როგორ გაუმკლავდება ევროპული ინსტიტუტი მიგრანტთა კრიზისს საკუთარი ფინანსური თუ ეკონომიკური პრობლემების ფონზე, იმაზეა დამოკიდებულია, თუ რამდენად ერთიანი იქნება მისი წევრი ქვეყნების პოციზია.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტები. კრიზისი. არაბული გაზაფხული. გლობალური უსაფრთხოება.

შესავალი

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე საომარი კონფლიქტები დღეის მდგომარეობით წარმოადგენს სერიოზული კრიზისის წყაროს გლობალური უსაფრთხოებისთვის. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებიდან მომდინარე საფრთხეები და გამოწვევები, მათ შორის ტერორიზმი, მიგრაციის კრიზისი, ევროკავშირის ქვეყნების მიერ გატარებული პოლიტიკა მსოფლიოს განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ რჩება.

ძირითადი ნაწილი

„არასტაბილური რეგიონი, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი, პრობ-

ლემებს უქმნის არა მხოლოდ მის მეზობელ ქვეყნებს, არამედ ევროკავშირსაც. დასავლეთ ბალკანეთს უსაფრთხოების პრობლემას უქმნის ასევე მიგრაციის კრიზისიც. ეს პრობლემა ბალკანეთის გარდა ევროკავშირის ქვეყნებზეც ვრცელდება, რადგან ლტოლვილთა უმეტესობა ევროპის ქვეყნებში შეღწევას ცდილობს უკეთესი ცხოვრებისთვის. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიგრაციამ შესაძლოა ევროპას პოტენციური პრობლემებიც შეუქმნას. ლტოლვილთა შორის შესაძლოა იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში მიუღია მონაწილეობა და შესაბამისი გამოცდილებაც აქვთ თუ როგორ მოახდინონ ინფილტრაცია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში," [1] ამასთან, ახლო აღმოსავლეთზე საუბარი გამორიცხულია რეგიონში არსებულ დაპირისპირებებში დასავლეთის ქვეყნებისა თუ რუსეთის ინტერესების, დღეს გამოკვეთილი „ალიანსების" განხილვის გარეშე. სწორედ აღნიშნული საკითხების ანალიზი წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიზანს.

უკანასკნელ ხანს, მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარი ბევრი ცვლილება დომინოს პრინციპის წესით წარიმართა. სახალხო გამოსვლების შედეგად, ერთმანეთის მიყოლებით შეიცვალა სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმები, რასაც საფუძვლად მაგალითის ძალა ედო. სწორედ ასე წარიმართა „არაბული გაზაფხული", რომელიც ამ ეფექტის ერთ-ერთ უკანასკნელ შემთხვევას წარმოადგენს. პოლიტიკური რეჟიმების შეცვლის ეს მექანიზმი გულისხმობს რომელიმე ქვეყანაში მომხდარი ღრმა პოლიტიკური ცვლილების მაგალითის გავლენის შედეგად, მსგავსი ცვლილებების გავრცელებას მის საზღვრებს გარეთ, დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში.

აღმოსავლეთის ქვეყნებში მომხდარ რევოლუციათა სერიის შემდეგ უკვე წლები გავიდა. ჯერ კიდევ ადრეა, რომ საბოლოოდ შევაფასოთ იმ მანამდე უპრეცედენტო მოვლენების შედეგები, რომლებსაც „არაბული გაზაფხული" ეწოდა, თუმცა გარკვეული ცვლილებები მათ მაინც მოიტანეს. ყველაზე მთავარი კი არის იმ შეხედულებების საფუძვლიანად შეცვლა, რომელიც არაბებს ძალაუფლების არსსა და ფუნქციებზე ჰქონდათ.

არაბული გაზაფხულის პირველი მერცხალი ტუნისი აღმოჩნდა. 2010 წლის დეკემბერში ბოსტნეულით მოვაჭრე მუჰამედ ბუაზიზიმ ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ თავისი უკმაყოფილების გამოსახატად ქალაქ სიდი ბუზაზის ადმინისტრაციის შენობის წინ თავი დაიწვა. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს თვითმკვლელობა ახლო მომავალში ისეთივე მასშტაბურ შედეგებს გამოიწვევდა, როგორიც თავის დროზე ოტომანთა იმპერიის დამხობამ გამოიწვია [2]. შედარებით უსისხლო აჯანყება, რომელიც ბუაზიზის თვითმკვლელობის შემდეგ მოხდა, წარმატებული აღმოჩნდა. ადგილობრივი პრეზიდენტი ზინ ელ-აბიდინ ბენ ალი ქვეყნიდან განდევნეს და მან

საუდის არაბეთს შეაფარა თავი. ამ მოვლენამ, პირდაპირი მნიშვნელობით, ააფეთქა არაბული სამყარო: მოსახლეობამ ანტისამთავრობო ლოზუნგებით გამოსვლები თითქმის ერთდროულად დაიწყო ეგვიპტეში, ბაჰრეინში, იემენში, ლიბიასა და სირიაში. უკმაყოფილების შედარებით ნაკლებად მასშტაბურმა ტალღამ გადაუარა იორდანიას, ომანს, კუვეიტს, მაროკოსა და საუდის არაბეთს.

ისლამური ექსტრემისტული ორგანიზაციების რიცხვის ზრდას არაბულ ქვეყნებში (სირია, ეგვიპტე, ალჟირი, საუდის არაბეთი, იორდანია, ლიბანი, ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინელთა ტერიტორიებზე) წინ უძღოდა საშინაო და საგარეო წარუმატებლობები არაბული სახელმწიფოების დიქტატორული სისტემების სახით, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, სეკულარული მოძრაობების მიმართ ნდობის დაკარგვით. ამ სიძნელეებმა აიძულა ბევრი მუსლიმი, მიბრუნებულიყო რადიკალური ისლამისკენ, რომელიც აძლევდა სოციალური სამართლიანობის იმედს და იმის იმედს, რომ რელიგია გასცემდა პასუხს ყველა მათ სურვილზე. მაგრამ თუ „ისლამისკენ მობრუნება" მიზნად ისახავს საზოგადოების ეტაპობრივ „გამოსწორებასა" და ყოველდღიურ ცხოვრებაში რელიგიის ფასეულობების დანერგვას, ექსტრემისტულმა ისლამურმა ორგანიზაციებმა ეს მოწოდება გადააქციეს თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევ იარაღად - იქნება ეს ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში დემოკრატიული პროცესების თუ არალეგალური საშუალებების - ძალადობის და ტერორის გამოყენება.

ენტონი გიდენსი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთის ისლამური საზოგადოებები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკური თვალსაზრისით სერიოზულ პრობლემებს განიცდიან, ეძებენ გამოსავალს და ადაპტაციის ფორმებს თანამედროვეობასთან მიმართებით. კულტურული გლობალიზაციის შედეგად, მათი თვითმყოფადობა საფრთხის წინაშეა. მთელი რიგი სოციალურ-კულტურული ფაქტორების გამო ისინი ეწინააღმდეგებიან დასავლურ მოდერნიზაციას, განიხილავენ რა მას, როგორც კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკური ექსპანსიის მცდელობად დასავლეთის მხრიდან.

ისლამური ცივილიზაცია, თუმცა ერთი შეხედვით ყველაფერს ითვისებს, მაგრამ იგი ამავე დროს ძალზე შერჩევით იღებს იმას, რაც მის ფუნდამენტურ რელიგიურ ზნეობას შეეწევა და უარყოფს იმას, რაც მის ინდივიდუალიზმს ეწინააღმდეგება. ამ თვალსაზრისით, ე.წ. „აღმოსავლური წინააღმდეგობა" შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც „თავდაცვის მექამიზმი", რომელიც თავისი შინაარსით ანტიდასავლურია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ისლამური ცივილიზაცია კრიზისს განიცდის, რომელიც მთელი რიგი შიდა ფაქტორებით არის განპირობებული, ხოლო ასეთი

მძაფრი წინააღმდეგობა დასავლეთისადმი, არის ერთგვარი „თავდაცვის ფორმა თვითგადარჩენის მიზნით“, რადგან დასავლური გლობალური კულტურა თავისი „მაცდუნებელი“ ბუნებით, მეტად საშიში „გადამდები“ ძალაა, რომელსაც შეუძლია ეს კრიზისი უფრო გააღრმავოს. სერგეი კაპიცას მტკიცებით, „მუსულმანურ ქვეყნებში ურბანიზაციის მზარდ პროცესებს გარკვეული დესტაბილიზაცია შეაქვს ისლამურ საზოგადოებებში.

ამასთან ერთად, კულტუროლოგიური თვალსაზრისით, „ცივილიზაციათა შეჯახება დაკავშირებულია არა მარტო რელიგიურ ფაქტორებთან. ამის მნიშვნელოვანი მიზეზია, თანამედროვე სამყაროს კვალდაკვალ, ცალკეული ისლამური ქვეყნების ჩამორჩენა.

ისლამური მოძრაობების გააქტიურება, რომლის საფუძველშიც დევს რელიგიური აღორძინების იდეა, არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ რელიგიური მოსაზრებებით. ენტონი გიდენსის აზრით, გარკვეულწილად, „ეს მოძრაობები წარმოადგენენ რეაქციას დასავლეთის გავლენაზე, და თავის შინაარსით მოწოდებულნი არიან დაიცვან ეროვნული და კულტურული ფასეულობები. გიდენსი მიიჩნევს, რომ ისლამური მოძრაობების ძალისხმევა, თუნდაც ყველაზე ფუნდამენტალისტურ ფორმებში გამოხატული, არ უნდა გავიხილოთ პირდაპირი მნიშვნელობით ტრადიციული იდეების „რესტავრაციის“ მცდელობად. სინამდვილე, როგორც ჩანს, გაცილებით უფრო რთულია. ძველი წეს-ჩვეულებებისა და ადათების, ტრადიციების აღორძინების მიღმა, აშკარად იკვეთება დასავლეთისადმი წინააღმდეგობის სხვა მიზეზ-ფაქტორები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც აღმოსავლეთის მწვავე რეაქცია თანამედროვეობის უმნიშვენელოვანეს პრობლემებზე და გამოწვევებზე.

რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური სურათი არსებითად შეიცვალა. 90-იან წლებში აშშ-ერაყის დაპირისპირება (1991 წლის სპარსეთის ყურის პირველი ომი და 1998 წლის საჰაერო ოპერაცია ერაყის წინააღმდეგ – „ოპერაცია უდაბნოს მელა“), 2003 წელს ანტიტერორისტული კამპანიით დასრულდა, რითაც ვაშინგტონმა საბოლოოდ გაანადგურა ირანის ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი მოწინააღმდეგე (შემაკავებელი), რეგიონის ერთ-ერთი ძლიერი მოთამაშე, მის ხელისუფლებაში მყოფი სუნიტი ლიდერი სადამ ჰუსეინი და ხელი შეუწყო ხელისუფლების სათავეში შიიტური პოლიტიკური ძალების მოსვლას. სირიასა და ირანს შორის შიიტური ერაყის წარმოქმნამ, რეგიონში „შიიტური სახელმწიფოების ღერძის“ და თეირანის გავლენების გაძლიერების საფრთხე შექმნა. ამ ვითარებაში აუცილებელი იყო ირანის შეკავება, რომლის ვალდებულება არაბული სამყაროს ახალმა გამოკვეთილმა ლიდერმა საუდის არაბეთმა აიღო. 2003 წლიდან დღემდე საუდის არაბეთის მმართველმა ოჯახმა მილიარდობით დოლარის „ინვესტიცია“, დიპლომატიური და პოლიტიკური ძალისხმევა გაიღო საერთაშორისო ასპარეზზე, რათა

რამდენიმე მიზნისთვის წარმატებით მიეღწია: პირველი – მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ურთიერთობები თავის ძველ კონკურენტებთან – თურქეთთან, ეგვიპტესთან და ყატართან; პაკისტანთან, სუდანთან და მაროკოსთან შექმნა არაფორმალური გაერთიანება – „არაბულ სახელმწიფოთა ბლოკი“, რომელიც მიმართულია ირანის წინააღმდეგ; მეორე – ხელი შეუწყო რადიკალური სუნიტური მიმდინარეობების, მეტწილად ვაჰაბიზმის გაძლიერებას ახლო აღმოსავლეთის ისლამურ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლების სათავეში შიიტური პოლიტიკური ელიტაა მოქცეული, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობა სუნიტები არიან; მესამე – ხელს უწყობს მმართველი სუნიტური პოლიტიკური ძალების გაძლიერებას იმ არაბულ სახელმწიფოებში (ბაჰრეინი, იემენი, ერაყი), სადაც მოსახლეობის უმრავლესობა შიიზმის აღმსარებელია.

2003 წლიდან დღემდე საუდის არაბეთი სოლიდურ ფინანსურ და ეკონომიკურ დახმარებას უწევს ერაყის მოსახლეობას, რომელიც იმავდროულად სუნიტური თემის მხარდაჭერის ტოლფასია. ერ-რიადში აღნიშნულ დახმარებას „არაბული იდენტობის“ გაძლიერებით ირანის გავლენების შეკავების აუცილებლობით ხსნიან; და მეოთხეც – დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებთან (აშშ, ევროკავშირის ქვეყნები), ასევე ისრაელთან და თურქეთთან ერთად აქტიურად არის ჩართული ირანის ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ. საუდის არაბეთი მხარს უჭერს მკაცრი ეკონომიკური სანქციების გატარებას, რითაც ერ-რიადი იმედოვნებს არა მხოლოდ ბირთვული პროგრამის განვითარების დამუხრუჭებას, არამედ, თეირანის ფინანსურ-ეკონომიკურ დაქვეითებას, რაც ირანს აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოების საშუალებას მოუსპობს (მხედველობაშია ლიბანში, სირიაში, ერაყში, იემენსა და ბაჰრეინში სასურველი რეჟიმების დამყარება). ეკონომიკური სანქციების და დიპლომატიური იზოლაციის გარდა, საუდის მმართველი ოჯახი ისრაელის მსგავსად, შეერთებული შტატებისგან დაჟინებით ითხოვდა ირანის ბირთვული პროგრამის სამხედრო გზით განადგურებას. 2008 წლის აპრილში ერაყში შეერთებული შტატების ელჩთან რაიან კროკერთან და გენერალ დევიდ პეტერიუსთან შეხვედრის დროს საუდის მონარქმა აბდალაჰ ბინ აბ ალ-აზიზმა ყოველგვარი დიპლომატიური მოკრძალების გარეშე განუცხადა მათ, რომ ვაშინგტონი ვალდებულია „გველს თავი გაუჩეჩქვოს“.

ამგვარად, ბირთვი სახელმწიფოს სტატუსის მოპოვებისათვის აქტიურად მიმდინარეობს დაპირისპირება საუდის არაბეთსა და ირანს შორის. მათი კონფრონტაციის ასპარეზს წარმოადგენს რეგიონის პოლიტიკურად და ეკონომიკურად არასტაბილური სახელმწიფოები – ერაყი, სირია-პალესტინა, ბაჰრეინი, იემენი, ლიბანი, ავღანეთი და სხვ. 2003 წლიდან დღემდე საუდის

არაბეთის მხარდაჭერით ერაყის სუნიტური სამხედრო დაჯგუფებები და პოლიტიკური ელიტა აქტიურად ცდილობს პრემიერ-მინისტრ ალ მალიქის ხელისუფლების ლიკვიდაციას. 2006 წელს შიიტებსა და სუნიტებს შორის სისტემატური შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო, რომელიც მოგვიანებით „ტერაქტების ომში“ გადაიზარდა.

2011 წელს, როდესაც შეერთებული შტატების სამხედრო ძალებმა დატოვეს ერაყი, აბუ ბაქრ ალ ბაღდადის მეთაურობით ჩრ. ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე ე.წ. სირიისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო ჩამოყალიბდა, რომელმაც აქტიური სამხედრო კამპანია წამოიწყო ერაყის ხელისუფლების წინააღმდეგ.

ისტორიული ექსკურსი წარსულში, ცხადყოფს თუ რამდენად ძველია დაპირისპირება ისლამურ და დასავლურ ცივილიზაციებს შორის. თუ გავავლებთ პარალელს თანამედროვეობასთან. ჩვენთვის ნათელი გახდება, მათ შორის გაჩაღებული თანამედროვე კონფლიქტის შინაარსის ბევრი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. ასწლეულების მანძილზე, ისლამსა და ქრისტიანებს შორის კონფლიქტის გამძაფრებაზე გავლენას ახდენდა დემოგრაფიული ზრდის და დაცემის ტენდენციები, ეკონომიკური განვითარება, ტექნოლოგიური გარდაქმნები და საკუთარი რელიგიის გავლენის სფეროების გაფართობისაკენ მუდმივი სწრაფვა.

„არაბული გაზაფხულის“ ფონზე, ბაშარ ალ ასადის რეჟიმის ოპოზიციურმა სუნიტურმა ძალებმა ალავიტი (შიიზმის ერთ-ერთი განშტოება) მმართველის წინააღმდეგ სირიის ქალაქებში ჯერ საპროტესტო აქციები, ხოლო მოგვიანებით შეიარაღებული ბრძოლა წამოიწყეს. ოპოზიციური ძალების გარდა (თავისუფალი სირიის არმია), ასადის წინააღმდეგ კონფლიქტში ჩაერთო ალ-ქაიდას მიერ ორგანიზებული ჯებჰატ ალ ნუსრას ფრონტი, აჰრარ ალ შამი, ისლამური ფრონტი და „ისლამური სახელმწიფო“ (დაეში), რომლებმაც კონტროლი დააწესეს ერაყის მოსაზღვრე სირიის ჩრდილოეთ პროვინციებზე. სირიის სამოქალაქო ომში ჩართულ რადიკალურ სუნიტურ სამხედრო დაჯგუფებებს აქტიურ მხარდაჭრას უწევს სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოები, განსაკუთრებით აქტიურობს ერ-რიადი. საუდის არაბეთს გააჩნია სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსი, შეაკავოს ირანის მზარდი გავლენა რეგიონში. თავის მხრივ, ირანი ცდილობს ლიბანის ჰეზბოლასთან ერთად ბაშარ ალ ასადის რეჟიმის შენარჩუნებას. ირანის ისლამური რესპუბლიკა აქტიურ ფინანსურ და სამხედრო დახმარებას უწევს სირიის სახელისუფლებო ძალებს. ასადის მომხრე ძალები ცოცხალი ძალით მნიშვნელოვან შევსებას იღებენ რეგიონის სახელმწიფოთა შიიტური თემებისაგან. ამგვარად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს ბრძოლა გავლენებისთვის, არსებუ-

ლი წესრიგისა და ძალთა ბალანსის ტრანსფორმაციისათვის, რომელიც „არაბული გაზაფხულის“ ფონზე მნიშვნელოვნად გამოიკვეთა. სწორედ, არაბულ სამყაროში რეჟიმების ცვლილების დროს გამოჩნდა, თუ რამდენად ღრმა და მწვავეა რელიგიურ-პოლიტიკური დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთის წამყვან სახელმწიფოებს შორის და რამდენად არის იგი დაკავშირებული ხანგრძლივ ბრძოლასთან, რომელიც ბირთვი სახელმწიფოს სტატუსისათვის მიმდინარეობს. გარდა ამისა, პოსტბიპოლარულ საერთაშორისო ურთიერთობებში ახლო აღმოსავლეთი წამყვანი სახელმწიფოების მომეტებული ინტერესების ზონის სტატუსს ინარჩუნებს. რეგიონში მიმდინარე რიგი სამხედრო-პოლიტიკური პროცესები გვაფიქრებინებს, რომ აქტიური რისკის სტატუსი მთავარ გეოპოლიტიკურ აქტორებს აქ პერმანენტული არსებობის შანსს უნარჩუნებს.

თანამედროვეობის ყველაზე ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციის „ალ ქაიდას“ მოღვაწეობა მთელი ამ წლების მანძილზე, უყურადღებოდ არ დარჩენილა დასავლეთის მხრიდან, მაგრამ საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და საჯაროდ დაიწყეს ლაპარაკი ამ ტერორისტული ორგანიზაციის სტრუქტურაზე, ტაქტიკაზე და თანამედროვე ამოცანებზე, მხოლოდ 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტების შემდეგ, როდესაც ბინ-ლადენი ნომერ პირველ ტერორისტად გამოაცხადეს. ეს იყო თანამედროვეობის გარდამტეხი მომენტი, როდესაც დასავლეთისა და ისლამური სამყაროს ურთიეთობაში ახალი ეტაპი დაიწყო. მართალია აშშ და მისი ევროპელი მოკავშირეები (ნატო-ს ალიანსი) ღიად არ აკავშირებდნენ ტერორიზმს ისლამურ ცივილიზაციასთან, მაგრამ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ფაზა დასავლეთის მხრიდან, უცილობლად იქნებოდა გამოხატული აღმოსავლეთ სამყაროსთან დაპირისპირებაში.

შეერთებული შტატებს ამის გაკეთება იქ არსებული რეჟიმების გადაგდების ხარჯზე უნდოდა. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ავტორიტარული რეჟიმები ხშირად ლოიალურები იყვნენ დასავლეთის მიმართ. სკანდალად იქცა ის ფაქტი, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის საარჩევნო კომპანიას კადაფი აფინანსებდა და ამ ფაქტს ფრანგებიც აღარ მალავენ [3].

ქვეყნის შიგნით დაპირისპირებულ მხარეთა მრავალფეროვნებას, კონფლიქტში ჩართული რამდენიმე საერთაშორისო მსხვილი მოთამაშეც ემატება, რაც დაპირისპირების სწრაფ და მშვიდობიან შეწყვეტას მნიშვნელოვნად ართულებს. რეგიონში თავისი ინტერესები აქვს ევროპას. დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი აქტიურად მონაწილეობენ რეგიონში მიმდინარე პროცესებში. სამხედრო ქვედანაყოფის ავღანეთში განთავსებით, გარკვეულწილად გერმანიაც მონაწილეობს ახლო აღმოსავლურ კონფლიქტში.

ამასთან გასათვალისწინებელია რუსეთის ინტერესებიც. რუსეთს რეგიონში სამხედრო მიზნები და ენერგო ინტერესები ამოძრავებს. მისი ინტერესის ქვეშ ექცევა ახლო აღმოსავლეთის ნავთობისა და ბუნებრივი აირის საბადოები და მათთან დაკავშირებული პროექტები. რუსეთი თავისი სამხედრო აქტიურობით რეგიონში აკონტროლებს როგორც თავისი მოკავშირეების ისე თავისი მოწინააღმდეგეების ენერგორესურსების დერეფნებს. ექსპერტების აზრით, დასავლეთ ევროპა დიდწილად არის დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთიდან და რუსეთიდან ენერგიის ექსპორტზე, ხოლო ენერგომატარებლების იმპორტის შეწყვეტა ან დროებითი შეჩერება გამოიწვევს ევროკავშირის ეკონომიკის კოლაფსს. ამგვარად, რუსეთის ინტერესებშია რომ ევროპა დიდწილად დამოკიდებული იყოს მის ენერგომატარებლებზე, ამისათვის კი აუცილებელია ახლოაღმოსავლური ენერგომატარებლებზე კონტროლის შენარჩუნება.

ევროკავშირისგან განსხვავებით აშშ შედარებით ნაკლებად არის დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთიდან ენერგიის იმპორტზე. ამერიკას შეუძლია ისლამურ სამყაროსთან დაპირისპირების შემთხვევაში აამოქმედოს თავის ნავთობის რეზერვები და გაზარდოს ნავთობის იმპორტი ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, თუნდაც იგივე ვენესუელის ნავთობის ხარჯზე, მიუხედავად ამ ქვეყანაში არსებულ რეჟიმისა, რომელიც აშშ-ის ხელისუფლებას ღიად უპირისპირდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იგივე ენერგომატარებლების იმპორტში არსებული ინტერესების სხვაობა იწვევს პოლიტიკური პოზიციების სხვაობას. ამერიკა უფრო აქტიურადაა ჩარეული და მხარს უჭერს ისრაელს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში. ამერიკამ ბოროტების ღერძის ქვეყნები უწოდა ირანს და ერაყს (რასაც მოგვიანებით მიუმატა ლიბია და სირია). ამერიკას მისი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით შეუძლია აწარმოოს ომი ავღანეთში, ერაყში, არ გამოიყვანოს ჯარები არაბეთის ნახევარკუნძულზე ან შორეულ აღმოსავლეთში მოქმედი ბაზებიდან, თუმცა ევროკავშირს ამ მხრივ განსხვავებული მიდგომა გააჩნია და სურს თავიდან აიცილოს 1973 წლის მსგავსი ნავთობის კრიზისი.

ასევე, გამოკვეთილია ის აზრი, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“ წევრებს აქვთ სურვილი დასავლურ მმართველობით სისტემზე დაყრდნობით განავითარონ საკუთარი „სახელმწიფო“, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ შარიათის სისტემის მოდერნიზებამ იგი აქცია დასჯის სისტემად, სადაც ყველაზე სასტიკი სასჯელის განსაზღვრა ხდება. ასე რომ, ისტორიული ფაქტები და მაგალითები გვიჩვენებს იმას, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ვესტერნიზაციისა და მოდერნიზაციის მცდელობა უშედეგო გამოდგა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამ დაჯგუფებას მსოფლიოს

სხვადასხვა რეგიონიდან რამდენიმე ასეული ადამიანი შეუერთდა. ახალწვეულთა ნაკადი უმეტესად რუსეთიდან და აღმოსავლეთის ქვეყნებიდანაა დაძრული, თუმცა, რაც უნდა გასაკვირი იყოს, ISIS-ს დიდი ბრიტანეთიდან და სხვა დასავლეთ ევროპული ქვეყნებიდანაც უერთდებიან. სწორედ ტერორისტული აქტების საფრთხე, რომელსაც დასავლეთი გამუდმებით ებრძვის, გარკვეულწილად მისგან მომდინარეობს.

2017 წლის 6 დეკემბერს, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა. ტრამპის გადაწყვეტილებას, პალესტინაში მასობრივი გაფიცვა მოჰყვა. პალესტინის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით დაიხურა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება, ასევე მაღაზიები. პროტესტის ნიშნად ჩამქრალია საშობაო ნაძვის ხეები. შეტაკებები ისრაელის სამართალდამცველებსა და პალესტინელებს შორის რამდენიმე დღე მიმდინარეობდა. არსებული მონაცემებით, შეტაკებების დროს 295 პალესტინელი დაშავდა და ერთი დაიღუპა [4].

ისრაელსა და პალესტინას შორის არსებულ კონფლიქტს ჯერ-ჯერობით ბოლო არ უჩანს. მიუხედავად ძალისხმევისა, რომელსაც არ იშურებს საერთაშორისო საზოგადოება, ეს ქვეყნები რაიმე დათმობაზე წასასვლელად მზად არ არიან. ისრაელს უნდა, რომ მისი სახელმწიფოს არსებობის უფლება სცნონ თავის ისტორიულ მიწა-წყალზე, რომლის გამოც ჯერ კიდევ რომის იმპერიას ებრძოდა, ასევე შეწყვიტონ მის ტერიტორიაზე ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსება და ტერაქტების მოწყობა. პალესტინას კი, საუკუნების განმავლობაში დასახლებულ - კონტროლირებადი ისტორიული ადგილების დაბრუნება სურს.

ახლო აღმოსავლეთი საუკუნეების მანძილზე მსოფლიოს წამყვან ძალებს შორის დაპირისპირების ველია. ცივი ომის დროს, ამერიკა და რუსეთი რეგიონში გავლენის მოპოვებისთვის იბრძოდნენ. საბოლოოდ, ამერიკის მხარეს რეგიონული მთავრობების ნაწილი, მათ შორის საუდის არაბეთი, იორდანია, მაროკო, ქუვეითი და ეგვიპტე აღმოჩნდნენ. ასევე, თურქეთი და ისრაელი - სამხედრო თვალსაზრისით - ახლო აღმოსავლეთის, წამყვანი ქვეყნები. ხოლო მოსკოვის მხარეს ალჟირი, ლიბია, სირია, სამხრეთ იემენი და ახლა უკვე ირანი დარჩნენ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ინტერესები არ შეესაბამება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების გრძელვადიან პერსპექტივებს, რუსეთი აქტიურად თანამშრომლობს სირიასთან, ირანთან და თურქეთთან, მოსკოვი ასევე ცდილობს პოზიტიური ურთიერთობა დაამყაროს ისრაელთან და საუდის არაბეთთან. აღნიშნული თანამშრომლობით რუსეთი ცდილობს მოკლე დროში მოახდინოს რეგიონში გავლენის მოპოვება და შექმნას ისეთი გარემო, სადაც რეგიონის არცერთ ქვეყანას არ ექნება წამყვანი ძალა. რუსეთის ეს დამოკიდებულება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: ისტორიულად

რუსეთისთვის თურქეთი ყოველთვის წარმოადგენდა პოტენციურ საფრთხეს, რადგან ანკარა აკონტროლებს ბოსფორის სრუტეს და შესაბამისად აქვს შესაძლებლობა ხელი შეუშალოს მოსკოვს ხმელთაშუაზღვისპირეთზე წვდომაში. მართალია თურქეთისგან განსხვავებით მოსკოვის მიზნების განხორციელებას ნაკლებ საფრთხეს უქმნის ირანი, რუსეთი მაინც ცდილობს რეგიონში თეირანის გავლენის შემცირებას, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ თავიდან აიცილოს ირანის ჩართულობა სირიაში მიმდინარე მოვლენებში და საბოლოო ჯამში არ მოხდეს თეირანის მიერ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კონტროლი [5. 18].

რუსეთმა შეძლო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარება, სწორედ ამ ურთიერთობების გამოყენებით ცდილობს პუტინი გახდეს წამყვანი აქტორი რეგიონის სტაბილიზაციის პროცესში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ტერიტორიაზე (ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკები) ჯიჰადისტური საფრთხისა და ავღანეთში მოჯაჰედების წინააღმდეგ ომი გავლენას ახდენს აღნიშნული ურთიერთობების ფორმირებაზე, რაც თავის მხრივ განსაზღვრას რუსეთის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში.

როგორც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მოკავშირე და ევროპის საბჭოს წევრი, თურქეთი ცივი ომის არსებობის დროს ათწლეულების განმალობაში რეალურ დახმარებას უწევდა დასავლეთის უსაფრთხოებასა და თავდაცვას. დღეს ვაშინგტონისათვის მოკავშირეობას განსაზღვრავს ის, რომ თურქეთი გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მდებარეობს ახლო აღმოსავლეთში და ამავე დროს ბისეკის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრია.

ახლო აღმოსავლეთის მნიშვნელობას აშშ-ის პოლიტიკისათვის რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია რეგიონის უზარმაზარი გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე, მასში თავმოყრილი ენერგორესურსების მასშტაბური ოდენობის გამო. აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მეტად აქტიური და ამავე დროს გადამწყვეტი როლი ითამაშა კასპიის „დიდი“ ნავთობის თურქეთის ტერიტორიის გავლით გატარების საქმეში. მიუხედავად იმისა რომ ამერიკა ამ ნავთობ-პროექტის განხორციელებიდან მიიღებს მცირე მოცულობის ნავთობს, მისთვის მაინც მნიშვნელოვანია მისი განხორციელება. ამ პროექტით შესაძლებელი გახდება, თურქეთის ტერიტორიის გავლით, დასავლეთის სახელმწიფოების უზრუნველყოფა ნავთობით და გაზით და ამერიკის სტრატეგიული მოკავშირეების ენერგოუსაფრთხოება. ასეთ ვითარებაში მსოფლიო ბაზარზე გაჩნდება დამატებითი რაოდენობის ნავთობი და შესაბამისად მომავალში შესაძლებელი გახდება ნავთობის ფასების დარეგულირება.

ასევე შესაძლებელი გახდება ირანისა და რუსეთის ეკონომიკის შესუსტება, რომელთა საბიუჯეტო შემოსავლები დამოკიდებულია ნავთობის გაყიდვის შედეგად მიღებულ შემოსავალზე. თუ გავითვალისწინებთ აშშ-ს და ირანის ბოლოდროინდელ ურთიერთობას, ამერიკისთვის მნიშვნელოვანია თურქეთის მხარდაჭერა.

ამავე დროს აღსანიშნავია ბოლო პერიოდში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა გარკვეული გაცივება. ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა ერაყის ომის წინ. 2003 წელს, თურქეთი ამერიკელებთან კორდინაციის გარეშეც აპირებდა შეეყვანა ჩრდილოეთ ერაყში თავისი არმია, რათა არ დაეშვა იქ ქურთების ავტონომიის შექმნა სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამარცხების შემდეგ. ეს აქცია არ შედგა აშშ-სა და ნატოს წევრი სხვა ქვეყნების ამ აქციისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების გამო. ერაყის ომის წინ თურქეთი ორაზროვან სიტუაციაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, თურქეთს აშინებდა ბაღდადის რეჟიმის დაცემის შემთხვევაში ერაყის დაშლა და მის ნანგრევებზე ქურთული სახელმწიფო წარმონაქმნის დაარსება, რაც ეწინააღმდეგება ანკარის გეოპოლიტიკურ ინტერესებს. მეორეს მხრივ, მას არ სურდა მისი უმთავრესი მოკავშირის – ამერიკის განაწყენება. ამ ომის წინააღმდეგი აღმოჩნდა თურქეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაც.

ამერიკის არმიას სურდა საშუალება მისცემოდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის გავლით ჩრდილოეთ ერაყში ბაღდადისათვის მეორე ფრონტი გაეხსნა. ამის სანაცვლოდ ვაშინგტონი დიდ ფინანსურ დახმარებაზე დათანხმდა თურქეთს. ანკარას დაპირდნენ 6 მილიარდ დოლარს პირდაპირი დახმარების სახით და 9 მილიარდს – სესხების სახით. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა თავის პოლიტიკას აღმოსავლეთში ტერორიზმთან და არა ისლამთან ბრძოლას უწოდებს, ისლამურ სახელმწიფოებს შორის სოლიდარობის მომენტი საკმაოდ მაღალია და ამიტომაც თურქეთის პარლამენტმა 2003 წლის 1 მარტს უარი თქვა ამ გარიგებაზე. ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებს აეკრძალათ თურქეთის აეროდრომზე დაჯდომა. ამერიკის სამხედრო ხომალდებზე მყოფი ჯარის ნაწილები სამ კვირას ამაოდ ელოდნენ გადასხმას სამხრეთ თურქეთის ნავსადგურებში. ბოლოს ისინი იძულებული გახდნენ სუეცის არხის გავლით სპარსეთის ყურეში წასულიყვნენ, რათა სამხრეთიდან შეეტიათ ბაღდადზე. ანკარაში მყოფი ამერიკელი დიპლომატები მაშინვე ალაპარაკდნენ „თითქმის გამოუსწორებელ ზარალზე“ ორმხრივი ურთიერთობისათვის. ერთმა მათგანმა თურქეთს „ერაყის ომის პირველი დიპლომატიურ მსხვერპლიც“ კი უწოდა. მაგრამ რადგან თურქეთს, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს როგორც ამერიკისთვის, ისე ნატოსთვის, ნაკლებად სავარაუდოა რომ ეს უთანხმოებანი ორ ქვეყანას შორის ნამდვილად „გამოუსწორებელი“ იქნება.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ფაქიზი წერტილია ურთიერთობა ევროკავშირთან. ამ გაერთიანებაში გაწევრიანებას იგი ათწლეულების განმალობაში ცდილობს. თურქეთმა პროდასავლური არჩევანი 1923 წელს გააკეთა, რასაც მოჰყვა ქემალისტური რეფორმების სახელით ცნობილი ცვლილებები, რომლებმაც შედეგად მოგვცა გრეგორიანული კალენდრის, ასევე მოდიფიცირებული ლათინური ანბანის შემოღება და ევროპულ მოდელზე დამყარებული ახალი სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის კოდექსები. იმდროინდელი პრეზიდენტის მუსტაფა ქემალის (ათათურქის) საშინაო და საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია მკაცრად პრო-დასავლური იყო და ამ მიმართულებით თურქეთი რეალურად მიდიოდა. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება და თურქეთი მთელი მონდომებით ცდი-ლობს ევროპისკენ მიმავალ გზაზე ბოლო ნაბიჯი გადადგას-გახდეს ევროკავშირის წევრი.

თურქეთის ევროკავშირის წევრობა წინა პლანზე წამოწევს საზღვრების საკითხს. თურქეთის ტერიტორიის მხოლოდ 3% მდებარეობს ევროპაში. მისი დედაქალაქი, კვიპროსის მსგავსად აზიაშია. ეს ნიშნავს, რომ თურქეთის ევროკავშირში მიღების შემთხვევაში ევროკავშირს ერაყთან, ირანთან და სირიასთან უშუალო მეზობლობა და საზღვრების გაყოფა მოუწევს, რაც ევროკავშირს რეგიონის უსაფრთხოებიდან გამომდინარე ნაკლებად აწყობს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ფაქტობრივად იშლება ბუფერი შუა აზიასა და ევროკავშირს შორის. ამასთან, თურქეთი ევროპაში რიგით მეორეა მოსახლეობის რაოდენობის მხრივ. მისი მოსახლეობის 99.8 % კი მუსულმანია და ეს ევროპისგან უდიდეს კულტურულ განსხვავებას ქმნის. ევროპის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ტრადიციულად ქრისტიანია. ერთ-ერთი ევროპელი, ვინც ამის შესახებ ღიად განაცხადა, იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ჟაკ ატალი, რომელმაც განაცხადა: „თურქეთის ევროკავშირში შესვლის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი რელიგიური განსხვავება - ისლამია“ [6. 79]. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი უარყოფს რელიგიური ნიშნით განსხვავებულობის მნიშვნელობას, ეს განსხვავება დიდ პრობლემად რჩება. თუმცა ევროკავშირში გაწევრიანებაზე თანხმობის თუ უარის მიუხედავად, თურქეთს ნაკლებად აწყობს პრო-დასავლური კურსის შეცვლა. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროკავშირი თურქეთისთვის პირველი ეკონომიკური პარტნიორია ამერიკასთან კი, როგორც ნატოში, ასევე მის გარეთ ანკარას დიდი ხნის თანამშრომლობა და პარტნიორობა აკავშირებს.

თურქეთი - აშშ-ს მთავარი საყრდენია ახლო აღმოსავლეთში. თუმცა თურქეთის ლიდერის გაზრდილი ამბიციები აიძულებს ამერიკის ხელისუფლებას ზოგიერთ შემთხვევაში საერთო ენა გამონახონ თურქეთის მოწინააღმდეგეებთან - ქურთებთან. თავის მხრივ თურქეთზე ევროპაც არის

განაწყენებული, რადგანაც ანკარამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ლტოლვილთა ნაკადი თავისი ტერიტორიიდან ხელოვნურად გადაემისამართებინა ევროპისაკენ, რითაც დარტყმა მიაყენა არა მხოლოდ ევროპის ეკონომიკას, არამედ მისი სახელმწიფოებრივი განვითარების პრინციპებს.

ახლო აღმოსავლეთის ძლიერი რეგიონალური სახელმწიფოები, როგორიცაა თურქეთი, ირანი და საუდის არაბეთი, რეგიონში თავისი ინტერესების გასატარებლად სხვადასხვა მეთოდსა და ხერხს მიმართავენ. თურქეთი ცდილობს, ააღორძინოს „დიდი თურქეთის“ იდეა და შიდა ავტოკრატიული მართვით ზეგავლენა მოახდინოს გარშემო მყოფ სახელმწიფოებზე. ირანი და საუდის არაბეთი რეგიონში ლიდერ ქვეყნებს წარმოადგენენ, ისლამური რელიგიის შესაბამისად შიიტური და სუნიტური განშტოებებისათვის. რეგიონში ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკა პირადი ძალაუფლების გაზრდისკენ არის მიმართული.

საფრთხეები და გამოწვევები. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებმა ტერორიზმი უდიდეს პრობლემად და გამოწვევად აქცია მისი გამოვლინებისა და ფორმების მიხედვით, რადგან ის წარმოადგენს რეგიონალურ, სუბრეგიონალურ კონტინენტალურ სამხედრო საფრთხეს და მისი გავრცელების არეალი განუსაზღვრელია გეოგრაფიული თუ ეთნიკური პარამატრებით. ტერორიზმმა მიიღო კვაზი სახელმწიფოს ფორმა, ისლამური ხალიფატის სახით, რომელსაც გააჩნია ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი სტურქტურები და თავისი რადიკალური ისლამური შარიათით. დღეისათვის დაიში კვლავ უქმნის საფრთხეს მსოფლიო მშვიდობას.

განსაკუთრებულ საფრთხედ მსოფლიოსათვის იქცნენ ისლამისტურ-ტერორისტული ორაგანიზაციები. ყველაზე უფრო მთავარ ტერორისტულ დაჯგუფებებს მიეკუთვნებიან [7]:

- ჰესბოლაჰი, ლიბანის რადიკალური ორგანიზაცია, რომლის ტერორისტული აქციები მიმართულია არა მარტო ისრაელისა და აშშ-ს წინააღმდეგ, არამედ ხშირ შემთხვევაში მუსლიმანი სუნიტების წინააღმდეგაც.
- ჯიჰად ალ ისლამია, მნიშვნელოვან ტერორისტულ ორგანიზაციებადაა მიჩნეული და ჰამასი – პალესტინის სუნიტური რადიკალური სამხედრო პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებსაც საღვთო ომი აქვს გამოცხადებული ისრაელთან და მის მხარდამჭერებთან.
- ტალიბანი, უკიდურესად კონსერვატიული, რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციაა, რომელიც მმართველი ძალა იყო ავღანეთში და აქტიურად უჭერდა მხარს ისლამისტურ-ფუნდამენტალისტთა ტერორიტულ დაჯგუფებებს.
- ლაშქარეთაიბი, პაკისტანის ისლამისტური მოძრაობა; ჯამაათ ალ

ისლამია, ისლამისტური ორგანიზაცია, რომლის მიზანია ცენტრალური აზიის ისლამური სახელმწიფოს შექმნა.

- ალ ქაიდა, ტერორისტულ-ისლამურ ორგანიზაციათა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ექსტრემისტულ-ტერორისტული ისლამური ორგანიზაცია. მისი მეთაური იყო უსამა ბენ ლადენი. სწორედ მის მიერ იყო ორგანიზებული 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები, რამაც აიძულა აშშ და საერთოდ მთელი ცივილიზებული მსოფლიო ერთიანი ძალით გამოსულიყვნენ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ. ამ საერთო ღონისძიებების შედეგი იყო ავღანეთში ტალიბანისა და ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმების დამხობა, თუმცა ამ მოვლენას ტერორიზმის ფაქტები არ შეუმცირებია.

რეგიონში მიმდინარე საომარმა კონფლიქტებმა, ქვეყანაში არსებულმა არასტაბილურმა სიტუაციამ, დაუცველობის შეგრძნებამ, ჰუმანიტარულმა კრიზისმა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მოსახლეობის კოლოსალური მასშტაბის მიგრაცია გამოიწვია, რომელიც უმთავრესად ევროპას დაატყდა თავს. აშშ-სა და ევროპისთვის ემიგრანტთა მასების მიღება სიახლეს არ წარმოადგენს, მაგრამ ახლო აღმოსავლეთის, განსაკუთრებით სირიაში გაჭიანურებულმა კონფლიქტებმა, ევროპისკენ ემიგრანტთა მრავალრიცხოვანი ნაკადების გადაადგილება გამოიწვია. ომის სისასტიკისგან სიცოცხლის გადასარჩენად სირიის, ერაყის, ავღანეთის, ლიბიის, პაკისტანის, ეგვიპტის თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეები რთულ, მაგრამ ამავდროულად ერთადერთ გზას ირჩევენ – სამხრეთ ევროპიდან ევროპის შუაგულისკენ და შემდეგ უფრო დასავლეთით ან ჩრდილოეთ, სადაც თავშესაფარს ითხოვენ. ყოველივე ამან კი გამოიწვია პრობლემები, რაც დაკავშირებულია ევროპის კავშირის შიდა რეგულაციებთან, რომელიც ცნობილია როგორც დუბლინის რეგულაცია [8]. იგი განსაზღვრავს ევროპის კავშირში მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიერ თავშესაფარის მიღების წესს და პროცედურას, აგრეთვე სხვა საკითხებს, დაკავშირებულს მიგრაციასთან, იძულებით გადაადგილებულ პირებთან და სხვ.

2006 წლის 15 მარტს ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ მიიღეს 562-ე დირექტივა, რომლის მიხედვით შეიქმნა საზღვრებზე გადაადგილების წესები, რომელსაც შენგენის სასაზღვრო კოდექსი ეწოდა. კოდექსი განსაზღვრავს შენგენის ზონის შიდა და გარე საზღვრებს, მათი კონტროლისა და გადაკვეთის წესებს მესამე სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის, ზონაში შესვლის წესებსა და შესვლაზე უარის თქმის საფუძვლებს და სხვ.

დუბლინის რეგულაციის თანახმად, რომელიც 2013 წელს იქნა მიღებული, ლტოლვილი უნდა დარჩეს ევროპის იმ სახელმწიფოში, სადაც ის პირველად ჩავიდა, სანამ მისი მოთხოვნა თავშესაფრის მაძიებლის სტატუსის

მიღებაზე შესაბამის უწყებებში მუშავდება. შედეგად რომელიმე ევროპული სახელმწიფო გასცემდა თავშესაფარის მინიჭების დოკუმენტს და მათ შორის არაკეთილსინდისიერი ან არასასურველი პირები, რჩებოდნენ ევროპაში ოჯახის წევრების ჩამოყვანის შესაძლებლობის პერსპექტივით, რასაც ასევე არეგულირებს ოჯახის გაერთიანების შესახებ ევროპის კავშირის კანონმდებლობა.

დუბლინის რეგულაციამ თითქოს ეს არასაურველი პრაქტიკა შეცვალა, მაგრამ გზა გაუხსნა უკანონო ტრეფიკინგის ბიზნესის აყვავებას იმ ქვეყნებში, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში მისაღწევად დერეფნის როლს თამაშობდნენ. ამას გარდა, არალეგალური მიგრაცია მძიმე ტვირთად დააწვა იტალიას და საბერძნეთს, სადაც ლტოლვილები თუ არალეგალი მიგრანტები ხანდახან თვითნაკეთი ნავებითაც კი ხვდებოდნენ ხმელთაშუა ზღვის გავლით. საბერძნეთში მოხვედრა შესაძლებელია სახმელეთო გზითაც თურქეთის ტერიტორიის გამოყენებით, რასაც მიმართავს კიდეც ბევრი სირიელი დევნილი – სირიასა და საბერძნეთს შორის მხოლოდ შედარებით უხიფათო თურქული დერეფანია.

ლტოლვილთა და მიგრანტთა პრობლემებმა დიდი კრიზისი გამოიწვია ევროპაში და უფრო მეტიც ევროპის მეზობელი ქვეყნები ერთმანეთს დააპირისპირა. თვით გერმანიაშიც კი, რომელიც ევროკავშირში ყველაზე დიდი სახელმწიფოა და ლამის ტოლერანტობის ეტალონადაც მიიჩნევა, უმწვავესი ვითარებაა [9].

ლტოლვილთა პრობლემები იურიდიულად მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოსაგვარებელი არ არის, უბრალოდ ეს ნაკადი ძირითადად მიემართება ევროპისკენ, უფრო ზუსტად კი ევროკავშირის წევრი ძლიერი სახელმწიფოებისკენ, რადგან ისინი მხოლოდ ბანაკში მოთავსებაზე არ არიან თანახმანი. მათ სურთ ამ ქვეყნებში დამკვიდრება და სამუშაოს მიღება. ამიტომ მათ არ სურთ წესების დაცვით პირველსავე სახელმწიფოში დარჩენა, თუმცა უმრავლესობა უკვე დარჩა ევროკავშირის წევრ სასაზღვრო ქვეყნებში.

ყველაზე რთულ ვითარებაში ამ მხრივ არიან იტალია, საბერძნეთი და მალტა. ისინი იძულებულები არიან დაარღვიონ დუბლინის რეგულაცია რაც მთელ რიგ პრობლემებს იწვევს ევროპაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დუბლინის რეგულაციის თანახმად, ევროკავშირში შესული ყოველი მიგრანტი ვალდებულია დარეგისტრირდეს პირველსავე მიმღებ სახელმწიფოში და მხოლოდ დარეგისტრირების შემდეგ გადავიდეს სხვა მეზობელ ქვეყანაში, თუ კი ის არ მიიღო მეზობელმა ქვეყანამ, ვალდებულია დაბრუნდეს მიმღებ ქვეყანაში და მიმღებმა ქვეყანამ ის მიიღოს, სწორედ ამიტომ საკმაოდ მწვავე ვითარებაა იტალიაში, საბერძნეთში, მალტასა და უნგრეთში. სამწუხაროდ

იტალიაში მიგრანტთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ ხშირად იტალიის პოლიცია ტოვებს მათ მოედნებზე ან რკინიგზის სადგურებზე.

მიმდინარე კრიზისმა ევროპის კავშირს ასევე დაანახა, რომ საერთო ევროპული თავშესაფრის სისტემის მოქმედი მექანიზმი (CEAS – Common European Asylum System), რომელიც გათვლილი იყო მხოლოდ ადამიანთა შედარებით მცირე ნაკადზე, უძლური აღმოჩნდა წარმატებით ემუშავა ლტოლვილთა გაზრდილ რაოდენობაზე. აღნიშნული მექანიზმი ნაკლოვანია ტექნიკურ-პროცედურული და უსაფრთხოების თვალსაზრისით, ვინაიდან გადაუჭრელ პრობლემად რჩება ნამდვილი ლტოლვილისა და ცრუ-ლტოლვილების გარჩევა.

ლტოლვილთა პრობლემას განსაკუთრებით ნეგატიურად აღიქვამს პოლონეთის ახალი მთავრობა. პრემიერ-მინისტრ შილდოს განცხადებით, 2016 წელს ქვეყანა მიიღებს მიგრანტთა შემცირებულ რაოდენობას და არა იმდენს, რაც წინა მთავრობის მიერ იყო განსაზღვრული. „ეს იყო არასწორი გადაწყვეტილება, ვაცნობიერებთ რა წინა ხელისუფლების მიერ აღებულ ვალდებულებებს, ვფიქრობთ ქვეყანა მიიღებს ლტოლვილთა მხოლოდ იმ რაოდენობას, რისი საშუალებაც ამჟამად აქვს. ამასთანავე, ვიტოვებთ უფლებას თავად ავირჩიოთ მიგრანტთა რომელი ჯგუფი შემოვა პოლონეთში“ [10], - ბეატა შიდლო.

დასკვნა

ლტოლვილების კრიზისმა კიდევ ერთხელ ეჭვქვეშ დააყენა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ერთიანობა და გამოავლინა ინტეგრირებული პოლიტიკის ნაკლებობა. როგორ გაუმკლავდება ევროპული ინსტიტუტი მიგრანტთა კრიზისს საკუთარი ფინანსური თუ ეკონომიკური პრობლემების ფონზე, იმაზეა დამოკიდებულია, თუ რამდენად ერთიანი იქნება მისი წევრი ქვეყნების პოციზია. დასავლელი მიმომხილველები გაეროსა და მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების სერიოზული ჩარევის გარეშე ამ პრობლემას ევროპისთვის გადაუჭრელს და ევროკავშირის დაშლის წინაპირობად მიიჩნევენ. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტების, ტერორიზმის საფრთხისა და მიგრაციის კრიზისთან დაკავშირებული პრობლემები ხშირად აისახება ევროკავშირის, გაეროს, მისი გენერალური ასამბლეის რეზოლუციებში, თუმცა ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან აღნიშნული რეზოლუციები არაერთგვაროვნად აღიქმება. აღნიშნულ პროცესებთან, და განსაკუთრებით საემიგრაციო კრიზისთან მიმართებაში ევროკავშირის ქვეყნებს არ გააჩნიათ ერთიანი პოზიცია. ევროპული საზოგადოება ორად არის გაყოფილი. ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟან-კლოდ იუნკერმა არსებულ ვითარებას „ერთობაში ერთობის არარსებობა“ უწოდა.

ლიტერატურა:

1. ქუნეით გურერი. „ცვლილებები ახლო აღმოსავლეთში: ISIS და სხვა საფრთხეები“ 27 ოქტომბერი 2015 https://mod.gov.ge/ge/news/read/4271/GDSC-ISIS-da-sxva-saxfrtxeebi
2. სამი წელი არაბული გაზაფხულიდან http://www.24saati.ge/weekend/story/42283-sami-tseli-arabuli-gazafkhulidan
3. http://www.postalioni.com/2015/09
4. ჯაბუა მ., ისრაელი–პალესტინის დაუსრულებელი კონფლიქტი – დასაწყისიდან დღემდე. http://epn.ge/?id=56988
5. პეტრიაშვილი კ., რუსეთის საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი თბ. 2018 გვ.18
6. ჩიტაძე ნ., სადისერტაციო ნაშრომი “კასპიის სანავთობო პროექტები და საქართველოს სატრანზიტო როლი. Geopolitikური და ეკონომიკური ასპექტები”გვ. 79
7. https://pirveli4ever.wordpress.com/2010/06/23/საერთაშორისო-ტერორიზმი-გ/
8. http://www.ecre.org/topics/areas-of-work/protection-in-europe/10-dublin-regulation.html მიგრაციის პრობლემები
9. https://geocodna.files.wordpress.com/2016/03/migraciis-problemebi-nnn1.docx
10. ფხოველიშვილი ე., საემიგრაციო კრიზისი ევროპაში http://georgianreview.ge/2015/09/saemigracio-krizisi/?lang=ge

Middle East conflicts

Giorgi Matiashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article considers theoretical analysis of the Middle East conflicts and is based on research papers, articles and texts by scholars on political and social conflicts. They enable us to understand the essence of the conflict as well as helps us to identify the dangers and challenges created by conflicts.

The world is still focused on the current conflicts of the Middle East. These conflicts have created the processes that threaten world and especially European security. The study of these processes, conflicts, origin s and developments in the Middle East as well as the aim to reveal and analyze the effects of the conflicts are very important for both conflict resolution and prospects identification for European security and stability. The paper analyzes the role of the Middle East in world politics. General theoretical analysis of current processes shows the importance of this region on the world map.

”მარტოხელა მგლის” ტიპის ტერორიზმის საფრთხე ევროპაში

ია რუსიეშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

პოლიტიკური მეცნიერების დისციპლინის ფარგლებში, აქტუალურია “მარტოხელა მგელი ტიპის ტერორიზმის კვლევა, იმდენად რამდენადაც, ბოლო პერიოდში ნორვეგიაში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ ანდერს ბრეივიკის მიერ განხორცილებულმა წარმატებულმა თავდასხმება აჩვენა, რომ მომავალში ამ ტიპის საფრთხე ევროპაში შესაძლოა გაიზარდოს. ამის საფუძველზე, წინამდებარე კვლევის ძირითადი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: მოსალოდნელია თუ არა ”მარტოხელა მგლის” ტიპის ტერორიზმის გაზრდა ევროპაში.

საკვანძო სიტყვები: ტერორიზმი, ანდერს ბრეივიკი, ”მარტოხელა მგლის” ტიპის ტერორიზმის გაზრდა ევროპაში.

შესავალი

პოლიტიკური მეცნიერების ფარგლებში, ტერორიზმი ერთ-ერთ სადავო საკითხს წარმოადგენს, რაც მისი განსაზღვრების და გაგების სირთულეში მდგომარეობს. უფრო კონკრეტულად კი, პრობლემა ერთის მხრივ, ტერმინის განვითარებაში და მეორეს მხრივ ქმედების სუბიექტურობაშია. ტერორის-ტული ინციდენტების დროს ქმედების მთავარ სამიზნეს წარმოადგენს: მთავრობა და საზოგადოება, რომელთა შორისაც ტერორისტები ცდილობენ, ისეთი ტიპის რეაქციის გამოწვევას, როგორიც არის: შიში, რადიკალიზაციის გრძნობა. ტერორიზმი ხასიათდება შემდეგი მახასიათებლებით: მას გააჩნია პოლიტიკური ბუნება და წარმოადგენს ორგანიზებულ ქმედებას, რომელიც მიმართულია პოლიტიკური ცვლილებისკენ. ტერორი ხორციელდება არა-ასახელმწიფო აქტორების მიერ, ხშირ შემთხვევაში, უდანაშაულო ხალხის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ტერორიზმი არის საფრთხე ან ძალადობის გამოყენება არასახელმწიფო თუ ცალკეული აქტორების მიერ პოლიტიკური ცვლილებების მიზნით.

ძირითადი ნაწილი

მკვლევარების უმეტესობა თანხმდება, რომ თანამედროვე ტერორიზმის გამოჩენა დაიწყო 1968 წელს (ჯორჯ ჰაბაშის პალესტინური დაჯგუფების მიერ თვითმფრინავების გატაცებით). “ცივი ომის” დასასრულს, გლობალიზაციის პირობებში ტერორიზმმა კატასტროფული ხასიათი მიიღო. დღესდღეობით,

გამოიყენება ის მეთოდები, რომელიც განსხვავებულია ადრეული პერიოდის პოლიტიკურიძალადობისგანდაიძენსგანსხვავებულმნიშვნელობას.არსებობს ორი ფაქტორი, რაც გამოარჩევს ტერორიზმს სხვა ტიპის ძალადობისგან. 1. ტერორიზმი მიმართულია არასამხედრო პირების წინააღმდეგაც, ამიტომ, ის გამოირჩევა საომარი ვითარებისგან და 2. ტერორისტები ხშირად იყენებენ ძალადობას შთამბეჭდავი შედეგის მიღწევის მიზნით. აქ იგულისხმება, შიშის დანერგვა – ფსიქოლოგიური ტრამვის გამოწვევა – რაც, იმაზე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მსხვერპლის რაოდენობა. ამ სახის ძალადობა არ სცნობს ნეიტრალურ ტერიტორიას, არც გამოარჩევს სამოქალაქო, მშვიდობიან თუ სამხედრო პირებს. Aამიტომ, "ერთი ადამიანის ტერორისტი წარმოადგენს ყველას ტერრორისტს". 2011 წლის 11 სექტემბრის თავდასხმები წარმოადგენს ყველაზე დამანგრეველ ტერორისტულ ქმედებას, რაც სწორედ თანამედროვე ტერორიზმის პირობებში იქნა უზრუნველყოფილი და შესაძლებელი. ამას ემატება ისიც, რომ თანდათანობით განვითარდა ტერორიზმის სხვა მიმართულებებიც, როგორიც არის "მარტოხელა მგლის" ტიპის ტერორიზმი, რომლის უახლოესი გამოვლინება იყო 2011 წლის ანდერს ბრეივიკის ორმაგი ტერაქტი, რამაც გამოიწვია დიდი რეზონანსი და შესაძლოა იქონიოს გავლენა ამ ტიპის ტერორიზმის ევროპაში გაზრდაზეც.

მულტიკულტურალიზმი და ისლამოფობია ის ორი მახასიათებელია, რაც შესაძლებელია ევროპაში ძალადობის წარმოქმნის მიზეზი გახდეს. ფართოდ გავრცელებული აზრის საფუძველზე, "ქრისტიანული" ევროპა მოსალოდნელია, რომ საფრთხეში აღმოჩნდეს, რაც გამოწვეულია მუსლიმური მიგრაციისგან. ამას ემატება, ისიც, რომ ევროპა იმის ზღვარზეა, რომ მალე, როგორც ისტორიკოსმა ბატ იეორმა უწოდა გადაიქცეს "ევრაბიად" და დასავლურმა ცივილიზაციამ სულ მალე განიცადოს კოლაფსი. ამ ფაქტორების, ემატება ისიც, რომ ევროპაში არსებული პოლიტიკური პარტიები, სრომლებიც ხშირ შემთხვევაში, ავრცელებენ ქსენოფობიურ და მულტიკულტურალიზმის საწინააღმდეგო ლოზუნგებს ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ხელს უწყობენ მემარჯვენე ექსტრემიზმის გაზრდას და ისეთი ინდივიდების გააქტიურებას, როგორიც ანდერს ბრეივიკია, რომელმაც სასამართლოზეც და თავის მანიფესტშიც გამოკვეთა მულტიკულტურალიზმი, როგორც "საძულველი იდეოლოგია" და ევროპული კულტურისა და ტრადიციების მოშლის მიზეზი. Aმიტომ, თავის მხრიდან ტერორი იყო ლეგიტიმური ქმედება. ფაქტია, რომ ევროპელები სწრაფად ექცევიან უმცირესობაში და თუკი, ეს არ იქნა შეჩერებული, იქ არსებული სხვა ბრეივიკები, შეძლებენ მსგავსი ტერაქტის მოწყობას.

2011 წელს, ევროპაში საკმაოდ მრავალფეროვანი ტერორისტული სურათი გამოიკვეთა. ყველაზე მეტად ყურადღების ცენტრში ინდივიდუალური

ტერორიზმის ტენდენციის ზრდა მოექცა. ამას მოწმობს, იმავე წელს "მარტოხელა მგლის" ტიპის ტერორისტული ქმედების საფუძველზე ნორვეგიაში 77 ადამიანისა და გერმანიაში 2 ადამიანის მკვლელობა. მაშასადამე, გაჩნდა იმის საშიშროება, რომ მომავალში ამ სახის ტერორიზმი უფრო გაიზრდება, მიუხედავად პოლიტიკური თუ რელიგიური ექსტრემიზმისა. ევროპული საზოგადოებისთვის რადიკალიზაცია და ძალადობრივი ექსტრემიზმი, ამას დამატებული "მარტოხელა მგელი" ტერორიზმის არსებობა წარმოადგენს დიდ საფრთხეს, ამის საფუძველზე, შემუშავდა "ევროკავშირის შიდა უსაფრთხოების სტრატეგია", რაც ზემოთაღნიშნული საფრთხეების გასანეიტრალებლად შეიქმნა.

მთავარი დასკვნა, რაც შეიძლება გამოვიდეს ოსლოს მაგალითიდან, ეს არის ის, რომ შიში არსებობს არა მხოლოდ მათში ვინც ამ ტიპის ტერორს ახორციელებს, არამედ იმ ადამიანებშიც, რომლებიც ამის მომსწრენი ხდებიან. მით უმეტეს, რომ ევროპაში საზოგადეობის გარკვეული ნაწილი ვერ ეგუება იმ ცვლილებებს, რომელიც მიმდინარეობს და სწორედ ამ მიზეზის გამო მოქალაქეთა შორის ჩნდება წინააღმდეგობის გრძნობა, რაც მზარდი ხასიათისაა. ეს კი, თავის მხრივ, ძალადობრივი იდეოლოგიის გავრცელებას უწყობს ხელს. მაგალითად: ავსტრიაში, ბელგიაში, დანიაში, საფრანგეთში და იტალიაში, "მემარჯვენე ნაციონალისტური"ს და "ანტი-ემიგრაციული" პარტიები რეგულარულად იღებენ ხმების 10 პროცენტზე მეტს. ფინეთში 19 პროცენტს, ნორვეგიაში 2009 წლის საპარლამენტო არჩევნებში პროგრესიულმა პარტიამ მიიღო ხმების 22,9 პროცენტი, შვეიცარიაში კი 2007 წელს სარგებლობდნენ 29 პროცენტით, სადაც ანტი-ემიგრაციული შვეიცარიული ხალხთა პარტია ყველაზე დიდ პარტიას წარმოადგენს. იტალიასა და ავსტრიაში ამ ტიპის პარტიები სამთავრობო პარტიებია. ბრეივიკი სწორედ იყო ამ მიმართულების გამზიარებელი. ის არ გამოჩენილა არსაიდან. მსგავსი პარტიების ფონზე ის იდეები, რომელიც მას ამოძრავებდა გარკვეულწილად იზრდება ევროპულ რეალობაში.

საკუთრივ, ევროპულ პოლიტიკაშიც, კერძოდ კი საფრანგეთში ჩნდება იმის საშიშროება, რომ "ფრანგული იდენტობა" მეტნაკლებად საფრთხის ქვეშ არის. მსგავსი აზრია გერმანიასა და ბრიტანეთშიც, სადაც მიუხედავად იმისა, რომ თითქოს და "მულტიკულტურალიზმმა" მარცხი განიცადა, ამის არგუმენტირებულად დასაბუთება ვერ მოხდა და ის აზრი, რომ განსხვავებული კულტურები (ქრისტიანები და მუსლიმები) ვერ შეძლებენ თანაცხოვრებას ჯერ კიდევ არსებობს. თუკი, შევხედავთ ნორვეგიას, იქ განსხვავებულობა მცირეა, თუმცა ეს სხვაობა მაინც შეიმჩნევა. ნორვეგიული პროგრესიული პარტია (რომლის წევრსაც წარმოადგენდა ანდერს ბრეივიკი 6-7 წელი) აჟღერებს იმ იდეებს, რომ მუსლიმებმა განახორციელეს დასავლეთ ევროპაში

ინტერვენცია. მსგავსად პროგრესიული პარტიისა, შვედეთის დემოკრატიული პარტია და მათი ლიდერი ჯიმი აკესონი, რომელთაც პარალმენტში 2010 წელს 20 ადგილი მოიპოვეს ისლამს უწოდებდა "II მსოფლიო ომის" შემდეგ ყველაზე დიდ საფრთხეს შვედეთისთვის. ამ ტიპის ტერმინოლოგია და უფრო მეტიც, ოკუპაცია გამოყენებული იქნა დანიის სახალხო პარტიის მიერ, რომელიც სიდიდით მესამე პარტიაა დანიაში (2007 წლის არჩევნებში მიიღო ხმების 13.8 პროცენტი) და რომელიც აჟღერებს იმ აზრს, რომ მუსლიმური მიგრაცია არის "ყველაზე დიდი ეროვნული კატასტროფა ბოლო ათწლეულის განმავლობაში"

დასკვნა

ტერორიზმის თვალსაზრისით, სკანდინავია, სადაც უსაფრთხოების ზომები ნაკლებად არის დაცული, ტერორისტული ქმედებების განხორციელებისთვის შეიძლება იდეალური აღმოჩნდეს. ამას მოწმობს ორი სკოლის აფეთქება ფინეთში, სადაც, პირველ შემთხვევას შეეწირა 8 ადამიანი, ხოლო მეორეს კი – 10 კაცის მსხვერპლი მოჰყვა; ანდერს ბერივიკი, რომლის ტერაქტების მასშტაბურობა გახდა უპრეცედენტო შემთხვევის მიზეზი. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს იქნება უკანასკნელი, რამეთუ, ევროპაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, არსებობენ რადიკალიზებული ინდივიდები განურჩევლად რელიგიისა თუ ეთნიკურობისა, რომლებიც საბოლოოდ თავისი ძალადობრივ ქმედების განხორციელების დროს გამოიყენებენ "მარტოხელა მგლის" ტიპის ტაქტიკას.

ლიტერატურა:

1. Pipes, Daniel. "Norway's Terrorism in Context". 2011.
2. http://www.nationalreview.com/articles/272804/norway-s-terrorism-context-daniel-pipes# (Accessed: August, 10.2012).
3. "Breivik's Jihad". Essays. 2012. http://www.kenanmalik.com/essays/expressen_breivik_print.html (Accessed: August, 10.2012).
4. "Are There More Anders Behring Breiviks out There? Or is the Oslo Mass Murderer a Freak Lone Wolf?".2012. http://en.paperblog.com/are-there-more-anders-behring-breiviks-out-there-or-is-the-oslo-mass-murderer-a-freak-lone-wolf-185109/ (Accessed: August, 10.2012).
5. http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=IP/11/1011&format=HTML&aged=0&language=EN&guiLanguage=en (Accessed: August, 10.2012).
6. Chen, Michelle. "Muslim "Terrorists," White "Lone Wolves," and the Lessons of Oslo". 2011

7. http://colorlines.com/archives/2011/07/lessons_from_oslo.html (Accessed: August, 10.2012).European Commission, Press Release. 2011.
8. http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=IP/11/1011&format=HTML&aged=0&language=EN&guiLanguage=en (Accessed: August, 10.2012).
9. Young, Gary. "Europe's Homegrown Terrorists". 2011.
10. http://www.thenation.com/article/162270/europes-homegrown-terrorists# (Accessed: August, 10.2012).

"Lone wolf" the type of Terrorism's danger in Europe

Ia Rusieshvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

In political sciences, it is very actual the research of - "Lone wolf" the type of Terrorism's danger in Europe. According to the latest facts, which happened in Norway - the successful Terrorist Act, by the Anders Breivik, showed international arena, that such type of terrorism maybe grow in Europe,

Key Words: Terrorism, Anders Behring Breivik, "Lone wolf" the type of Terrorism's danger in Europe.

ქურთისტანის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითადი პრობლემები

შავლეგო ტაბატაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მიუხედავად იმისა, რომ თავისი არსებობის მანძილზე ქურთებს არაერთხელ ჩამოუყალიბებიათ დამოუკიდებელი სამთავროები, მტკიცე სახელმწიფო ერთეულის შექმნა და შენარჩუნება ვერ შესძლეს, თუმცა, ბრძოლა ამ მიმართულებით არასოდეს შეუწყვეტიათ. ეს გარემოება შესაძლოა გეოპოლიტიკურ პარადოქსადაც კი ჩაითვალოს, რომლის პრეცედენტი მსოფლიოში არ მოიძებნება.

ქურთული სახელმწიფოს არარსებობა განპირობებულია როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებით, კერძოდ: კლანურ-ტომობრივი, ლინგვისტური, რელიგიური, იდეოლოგიური დაქსაქსულობა და ურთიერთქიშპი, არასახარბიელო საერთაშორისო გარემო, ზღვაზე გასასვლელის არარსებობა, ძლიერი სახელმწიფოების მიერ მათი შიდა დაპირისპირების გამოყენება.

ახლო აღმოსავლეთში შექმნილმა თანამედროვე ვითარებამ და ამ სიტუაციაში შეერთებული შტატების მხარდაჭერამ ქურთებს დამოუკიდებლობის გამოცხადებისაკენ უბიძგა. აშშ-სა და ნატოს კოალიცია ახლო აღმოსავლეთში ქურთებს ერთ-ერთ დასაყრდენ ძალად და ისლამიზმის შემაკავებელ ფაქტორად მიიჩნევს. არც ისაა გამორიცხული, რომ ქურთების სახელმწიფოებრიობისთვის ბრძოლას შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთის ზოგიერთმა ქვეყანამ ღია მხარდაჭერა გამოუცხადოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქურთები შესანიშნავი და თავდადებული მებრძოლები არიან, რომელთა საბრძოლო შენაერთებში მამაკაცების მხარდამხარ დიდი რაოდენობით ქალებიც იბრძვიან. რაც შეეხება მოლოდინებს, ქურთისტანის ახალი სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით, მსოფლიოში არაერთგვაროვანია... ბევრი ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ ამ მოვლენამ შესაძლოა ახლო აღმოსავლეთში არსებული ისედაც რთული ვითარება კიდევ უფრო გაამწვაოს და ახალ ომებს ჩაუყაროს საფუძველი.

საკვანძო სიტყვები: მომთაბარე ტომები. სახელმწიფოებრიობა. ქურთული დიალექტი. ქურთული ეთნოგენეზი.

შესავალი

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ქურთები, ახლო აღმოსავლეთის მკვიდრი, უძველესი ეთნოსია, რომელთა რაოდენობა

მთელ მსოფლიოში, სხვადასხვა გათვლებით დაახლოებით 30-40 მლნ-ს შეადგენს. ისინი საკუთარ მიწა-წყალზე 2000 წელზე მეტი ხანია ცხოვრობენ, მაგრამ ამ ტერიტორიის მკვიდრნი უფრო ადრე გახდნენ, ვიდრე არაბები და თურქები, რომელთა სახელმწიფოს მოქალაქეებადაც დღეს ითვლებიან.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი არსებობის მანძილზე ქურთებს არა-ერთხელ ჩამოუყალიბებიათ დამოუკიდებელი სამთავროები, მტკიცე სა-ხელმწიფო ერთეულის შექმნა და შენარჩუნება ვერ შესძლეს, თუმცა, ბრძო-ლა ამ მიმართულებით არასოდეს შეუწყვეტიათ. ეს გარემოება შესაძლოა გეოპოლიტიკურ პარადოქსადაც კი ჩაითვალოს, რომლის პრეცედენტი მსოფლიოში არ მოიძებნება.

ძირითადი ნაწილი

ქურთული სახელმწიფოს არარსებობა განპირობებულია როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებით, კერძოდ: კლანურ-ტომობრივი, ლინგვის-ტური, რელიგიური, იდეოლოგიური დაქსაქსულობა და ურთიერთქიშპი, არასახარბიელო საერთაშორისო გარემო, ზღვაზე გასასვლელის არარსებობა, ძლიერი სახელმწიფოების მიერ მათი შიდა დაპირისპირების გამოყენება. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ისტორიულად ქურთებში ისევე, როგორც მთელ აღმოსავლეთში დიდი ხნის განმავლობაში უცხო იყო ერი-სახელმწიფოს კლასიკური (დასავლური) გაგება და იდენტობის განსაზღვრის უმთავრეს ფაქტორად თემური (კონფესიური) კუთვნილება გვევლინებოდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიშალა ოსმალეთის იმპერია. შედეგად, ქურთები ოთხ სხვადასხვა სახელმწიფოში (თურქეთი, ირანი, ერაყი და სირია) გაიფანტნენ. დღეს თურქეთში - დაახლოებით 15 მლნ, ირანში - 8 მლნ, ერაყში - 5,5 მლნ, ხოლო სირიაში - 1,7 მლნ ქურთი ცხოვრობს.

ერთი შეხედვით შესაძლოა პარადოქსულადაც ჟღერდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ერაყისა და სირიის შედარებით მცირერიცხოვანმა ქურთულმა მოსახლეობამ უფრო მეტი უფლებების მოპოვება შეძლო, ვიდრე მათმა ნათესავებმა თურქეთსა და ირანში. ამის მიზეზი ისაა, რომ თურქეთსა და ირანს სახელმწიფოებრიობის (და შესაბამისად, პოლიტიკური სიტუაციის მართვის) დიდი ტრადიციები აქვთ, ხოლო ერაყი და სირია შედარებით ახალი და არასტაბილური ქვეყნები არიან, სახელმწიფოებრიობის ნაკლები გამოცდილებით.

ქვეყნების მიხედვით, არ არსებობს ქურთების ეთნიკური აღწერა, მაგრამ ანგარიშების თანახმად, ისინი ქმნიან 20-დან 40 მლნ-მდე მოსახლეობას. ქურთისტანი წარმოადგენს ქურთი ხალხის ისტორიულ სამშობლოს, სადაც ცხოვრობს და მოღვაწეობს მისი აბსოლუტური უმრავლესობა.

ქურთების ეთნიკური ტერიტორიების ყველაზე დიდი მასივი განსახლებულია თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთის რეგიონში. ცალკეული განსახლებები გვხვდება ანატოლიასა და ქვეყნის დასავლეთის დიდ ქალაქებში - მსხვილი ქურთული დიასპორების სახით. ექსპერტთა შეფასებები მეტყველებენ ქვეყნის მოსახლეობის 20-23%-ზე, რამაც შესაძლოა 16–20 მლნ-მდე ადამიანი შეადგინოს, რომელთა რიცხვში შედიან ჩრდილოეთის ქურთები - ქურმანჯები, ასევე ქურთების ძირითად მოსახლეობას წარმოადგენს ზაზას ხალხი.

ზაზა - მომთაბარე ტომების შთამომავლობაა, რომელებიც თავდაპირველად ცხოვრობდნენ თანამედროვე ირანის ჩრდილოეთით კასპიის ზღვის სანაპიროზე, საიდანაც XVI საუკუნიდან მოყოლებული დაიწყეს მიგრაცია სომხეთის ტერიტორიაზე. ისინი ქურთების ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენენ, ამიტომ ზაზას გამოყოფა სხვა ქურთების რიგებიდან არასწორია.

ირანში ქურთები სახლობენ ილამსა და ქირმანშაჰში (სამხრეთის ქურთები: კელხური და გორანი), ქურთისტანში (სორანი), დასავლეთ აზერბაიჯანსა (ქურმანჯი) და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე. ქურთული დასახლებები ასევე გაბნეულია მთელს ირანში. ქურთების კომპაქტური განსახლებების განსაკუთრებულად დიდი რაიონი განლაგებულია ჩრდილოეთ ხორასანში, სადაც შაჰ აბასმა XVII საუკუნეში ჩაასახლა მებრძოლი ქურთული ტომები ხორასანის დასაცავად. ირანში სულ დაახლოებით 5,5 მლნ ქურთია.

ჩრდილოეთ სირიაში ცხოვრობს თითქმის 4 მლნ ქურთი, ძირითადად ქურმანჯები. სირიაში ქურთების რაოდენობა შეადგენს მთელი მოსახლეობის დაახლოებით 15%-ს. სირიის ქურთები კომპაქტურად ცხოვრობენ ქალაქებში - კამიშლი, კობანი, დერიკა და სხვა.

ერაყში ასევე წარმოდგენილია ქურთების სამი სუბეთნოსი: სამხრეთის ქურთები (გორანი), სორანი - კირკუკსა და სულეიმანის რაიონში და ქურმანჯი - მოსულის რაიონში, რომლებიც სახლობენ ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში. ერაყის ქურთების ეთნიკური ტერიტორიების მხოლოდ ნაწილია შესული ავტონომიურ წარმონაქმნში, ერაყის ქურთისტანის დედაქალაქ ერბილეთი. ერაყში სულ დაახლოებით 5,6 მლნ-მდე ქურთი ცხოვრობს.

თითქმის 2,5 მლნ ქურთი გაბნეულია ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც მათ შექმნეს უძლიერესი და ორგანიზებული სათვისტომოები. ევროპაში უდიდესი ქურთული დიასპორაა. პარიზის ქურთთა ინსტიტუციის თანახმად 1.5 დან 1.7 მლნ-მდე ქურთია დასავლეთ ევროპაში, მათ შორის გერმანიაში ცხოვრობს 800 ათასი ქურთი მოსახლე. დასავლეთ ევროპაში მცხოვრები ქურთების 80% გადმოდის თურქეთიდან, კიდევ 50 ათასი ქურთი ცხოვრობს ამერიკაში და 25 000 კანადაში. აგრეთვე, დაახლოებით 200 ათასი

ყოფილ საბჭოთა კავშირში, 150 000-ზე მეტი ისრაელში. ქურთებში შეინიშნება 3%-მდე ბუნებრივი ნამატი ყოველწლიურად და მოსახლეობის სიმჭიდროვით ქურთისტანი აღწევს საშუალო მაჩვენებელს აზიაში (45 კაცამდე კვ მ-ზე).

გენეტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქურთები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ და ებრაელ ხალხებთან, რომლებსაც რამდენიმე საერთო წინაპარი გააჩნია ახლოაღმოსავლეთის რეგიონის ჩრდილო ნაწილის ხალხებთან.

იმყოფებოდა რა ორი ან მეტი სახელმწიფოს საზღვართან (რომი, ბიზანტია, ოსმალეთის იმპერია, არაბთა სახალიფო და ირანი), ქურთისტანის გეოპოლიტიკური მდგომარეობის მთავარ თავისებურებას მისი ზემოაღნიშნულ სახელმწიფოებთან მოსაზღვრე მდგომარეობა წარმოადგენდა, რომლის წყალობითაც ქურთთა ეთნოსოციალური განვითარება ყოველთვის არასახარბიელო პირობებში ხორციელდებოდა, სახელმწიფო საზღვრების მიერ ეთნოსის პოლიტიკური დაყოფით. აქედან გამომდინარე, დღეს არსებული ქურთი ერი საკმაოდ არაერთგვაროვანია, რამაც უპირველეს ყოვლისა, გავლენა იქონია მათ ენაზე. ქურთული ენა მიეკუთვნება ირანული ენების დასავლურ ჯგუფს და იყოფა მთელ რიგ დიალექტებად, რომელთაგან ზოგი მათგანი დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი.

გამომდინარე იქედან, რომ ქურთებმა ვერ შეძლეს საკუთარი სახელმწიფოს შექმნა, საუკუნოვანმა დაშორიშორებამ, აგრეთვე ხანგრძლივმა ურთიერთობებმა და კავშირმა არაბებთან, სპარსებთან, თურქებთან, სომხებთან და ახლო და შუა აღმოსავლეთის სხვა ხალხებთან, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მათ ენაზე. ქურთული ლიტერატურა ვითარდება ძირითადად ორ დიალექტზე - სორანი და ქურმანჯიზე. ქურთი ხალხის დაახლოებით 60%, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ, ჩრდილო-დასავლეთ, დასავლეთ, სამხრეთ დასავლეთ და ნაწილობრივ ცენტრალურ ქურთისტანში (თურქეთის, ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სირიაში, ჩრდილოეთ ერაყის გარკვეულ ნაწილში) იყენებენ ქურმანჯის დიალქტს (უმთავრესად ლათინური გრაფიკით). სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრები (დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთ ირანი, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ერაყი) ქურთების დაახლოებით 30% საუბრობს და წერს სორანის დიალექტზე (არაბული გრაფიკით).

გარდა ამისა, ზაგროსის მთებში არსებული გარდამავალი დიალექტები სამხრეთ-ქურთულსა და ლურო-ბახტიალის დიალექტებს შორის შეიძლება ჩაითვალოს ხიდად ქურთულსა და სპარსულს შორის, პირიქით ისეთ ქურთულ ენებს, როგორიცაა ზაზაკი და გორანი, რომლებიც ასევე მიეკუთვნებიან ჩრდილო-დასავლურ ქვეჯგუფს და შესაბამისად დასახლებულებს შუა ზაგროსში, ტიგროსსა და ევფრატის სათავეებთან, არ უკავშირებენ ქურთულ

დიალექტს. მოცემული ენები წარმოიქმნა კასპიისპირა რეგიონებიდან და მათი გავრცელება დაკავშირებულია დეილემიტების მიგრაციებთან ირანის პლატოს დასავლეთით, სადაც ისინი შემდეგ მჭიდროდ დაუკავშირდნენ ქურთებს.

ქურთები წარმოადგენდნენ მრავალრიცხოვანი და ხშირად სხვადასხვაგვარი ტომების ერთობლიობას, რომლებსაც ეპონიმებს უწოდებდნენ. ტომობრივი კუთვნილება დღემდე ძალზე მნიშვნელოვანია ტრადიციული ქურთული საზოგადოების სოციალურ ურთიერთობებში. XVI საუკუნის ქურთულ-სპარსულენოვანი ისტორიკოსი შარაფხან ბიდლისი წერდა, რომ ქურთები ძირითადად ოთხ ერთეულად იყოფიან: ქურმანჯი, ლური, კელხური და გორანი. მათ შორის ლურებს, რომლებიც მეტყველებდნენ სამხრეთ-დასავლურ ირანულ დიალექტზე, უკვე აღარ თვლიან ქურთებად. კელხური - შეადგენენ ძლიერ დიფირენცირებულ სამხრეთ-ქურთულ ერთობას, რომელიც გაერთიანებულია გორანთან. ქურმანჯი - ძირითადად თვითსახელია დანარჩენი უმრავლესობის, ცენტრალური და ჩრდილო ქურთებისა. თავისი არსით, ის ტერმინი „ქურთის“ ანალოგიურია მისი ძველი მნიშვნელობით და აღნიშნავს განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური წყობის მატარებელს, რომელიც ეფუძნება სამთო მესაქონლეობას. მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „ქურმანჯი“, როგორც წესი, აღნიშნავს მხოლოდ ჩრდილოეთის ქურთებს, მაგრამ, თვითონ სიტყვა „ქურმანჯი“, ქურთულიდან ითარგმნება, როგორც „მიდიის ვაჟიშვილი“. მრავალი მეცნიერი თვლის, რომ ქურთები პირდაპირი მემკვიდრეები არიან მიდიელების. ჩვ. წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ასეული წლით ადრე იმ მიწებზე, სადაც დღევანდელი ქურთისტანია, ირანული წარმოშობის ტომებმა იწყეს გავრცელება. ამ ტომთა შორის იყო ჩრდილოდასავლურ ირანულ ენაზე მოლაპარაკე მიდიელთა ტომი, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ირანულ ტომებს შეერივნენ, რამაც ქურთული ეთნოგენეზი განაპირობა. უცნობია, თუ რომელ ენას რა წილი მიუძღვის ამ ენისა და ეთნოსის ჩამოყალიბებაში.

ენა, რომელსაც სავარაუდოდ მეტ-ნაკლებად დიდი წვლილი მიუძღვის ქურთული ენის ჩამოყალიბებაში, არის ხურიტული ენა. ამ ვარაუდს საფუძვლად უდევს ამ ენის ერგატიულობა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ზაზასა და იაგუბის ახასიათებს, ირანულ ენათა ერთ-ერთ სპეციფიურობად ვერ ჩაითვლება და იგი ხურიტულ სუბსტრატადაა მიჩნეული. გარდა ხურიტულისა, არამეულ ენას უნდა ჰქონოდა საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა ქურთულ ენაზე.

პროფ. ვ. მინორსკიმ წამოაყენა თეზისი ქურთული ენის მიდიურისგან შთამომავალობის შესახებ. ხოლო პროფ. ნ. მარის აზრით, ქურთული ენა ერთ-ერთი კავკასიური ენათაგანია. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური

მოხმარებისთვის სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად საუბარია ქურთულ ენაზე და მის დიალექტებზე, ურთიერთგაგება ძალიან გაძნელებულია ქურმანჯისა და სორანის შორისაც კი, რომლებიც ყველაზე ახლო ქურთული ენებია. ქურთების უმრავლესობა ბილინგვია და მეტყველებს იმ ქვეყნების ძირითად ენაზე სადაც ცხოვრობენ: თურქული, სპარსული, არაბული და სხვ. [1].

ქურთები სხვადასხვა დროს გამოიყენებდნენ იმ სადამწერლობო სისტემას, რომელიც ამა თუ იმ დროს მძლავრობდა მათ სამშობლოს შესაბამის ნაწილში. ასე მაგალითად; შუა საუკუნეებში ისინი არაბული ანბანის ოსმანურ და სპარსულ ვარიაციებს იყენებდნენ.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სურათი შეიცვალა. თურქეთში თურქულ-ლათინური ანბანის გვერდით ქურთულ-ლათინური ანბანი შემოიღეს. ირანსა და ერაყში არაბული ანბანია გამოყენებაში, სირიაში - ორივე, არაბულიც და ლათინურიც. ყოფილ სსრკ-ში კი ქურთები კირილიცას იყენებდნენ, თუმცა იყო სომხურ ანბანზე გადასვლის რამდენიმეწლიანი მცდელობაც. ქურთისტანის ავტონომიურ რეგიონში ამჟამად ცდილობენ არაბული ანბანის ლათინური სადამწერობო სისტემით შეცვლას.

ქურთისტანი განსხვავდება რელიგიური მრავალფეროვნებით. ქურთთა უმრავლესობა 70%-დან - 80%-მდე სუნიტი მუსლიმები არიან, ქურთების მნიშვნელოვანი ნაწილი - შიიტი მუსლმები და ალავიტები. ისინი გვხვდებიან ქრისტიანებიც (კათოლიკები, სირიელები და ასირიელები). ქურთების მცირე ნაწილს წარმოადგენენ იეზიდიზმის მიმდევრები. მაგრამ, მიუხედავად რწმენისა, ქურთები საკუთარ რელიგიად ზოროასტრიზმს მიიჩნევენ, რომელიც ერთ დროს სასანიდური სპარსეთის ოფიციალური რელიგია იყო და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სპარსეთის აქამენიდთა და პართთა იმპერიებში. რელიგია ასევე ცნობილია, როგორც ზარათუსტრიანიზმი.

ზოროასტრიზმის მიმდევართა გეოგრაფიული არეალი ერთ დროს ანატოლიიდან სპარსეთის ყურემდე იყო გადაჭიმული და მათი რიცხვი მილიონებს შეადგენდა. მისი მიმდევრები დღეს სამხრეთ აზიაში, ირანსა და ამ ხალხთა უცხო ქვეყნების დიასპორაში არც ისე მრავალრიცხოვანია, თუმცა რელიგია დღესაც ცოცხალი და დინამიურია.

რელიგიის დასაბამს წინასწარმეტყველ ზარათუშტრას მიაკუთვნებენ, რომელსაც დასავლეთში მისი სახელის ბერძნული ვერსიით - ზოროასტრით იცნობენ. მისი სახელის ეტიმოლოგია საკამათოა და რამდენიმე განსხვავებული ახსნა არსებობს. თანამედროვე სპარსული ფორმით წინასწარმეტყველის სახელი არის ზართოშთი.

ზოროასტრიზმი მონოთეისტურ რელიგიას შეიძლება მიეკუთვნოს, თუმცა მას დუალისტური ბუნება აქვს, ექვსი არსების სერიით (ფუნქციითა და სტატუსით ანგელოზთა მსგავსად), რომლებიც აჰურა მაზდას (უზენაესი

არსება) თანმხლები არიან და ქმნიან კეთილისმყოფელ შვიდეულს და მეორე ბოროტი და დესტრუქციული შვიდეულით. სწორედ ეს დაუსრულებელი კონფლიქტი ბოროტსა და კეთილს შორის განასხვავებს ზოროასტრიზმს სხვა მონოთეისტური მოძღვრებებისგან, რომელთაც მხოლოდ ერთი უზენაესი ძალა გააჩნიათ.

პარიზის ქურთთა ინსტიტუციის მეთაურის ქენ დალ ნეზანის თქმით, ქურთების პიროვნება არ ეფუძნება რელიგიას, მაგრამ ეფუძნება ენასა და კულტურას. დღეს ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხს ჩრდილოეთ ერაყის ქურთისტანი წარმოადგენს. აქ მცხოვრები ქურთები, არნახული რეპრესიების, ასიმილაციისა და ჩაგვრის (სადამ ჰუსეინის რეჟიმმა ქურთების წინააღმდეგ ქიმიური იარაღიც კი გამოიყენა) მიუხედავად, ათწლეულების განმავლობაში იბრძვიან საკუთარი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მათ ათწლეულების განმავლობაში ჰპირდებოდნენ განსაკუთრებულ უფლებებს, თუმცა დე-ფაქტო ავტონომიას მხოლოდ 1991 წლის ოქტომბერში მიაღწიეს, როდესაც აშშ-ის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული საერთაშორისო კოალიციასთან დამარცხებული სადამ ჰუსეინი იძულებული გახდა რეგიონიდან საკუთარი სამხედრო ნაწილები გაეყვანა. დე-იურედ ავტონომია კი მხოლოდ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ, 2005 წელს მიღებული კონსტიტუციით გაფორმდა. თუმცა, მივყვეთ ისტორიასა და მოვლენების განვითარებას:

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ოსმალეთი დამარცხებულთა ბანაკში აღმოჩნდა, რაც მას საკმაოდ ძვირად დაუჯდა, მან დაკარგა თავისი ტერიტორიის დიდი ნაწილი. მაგრამ ეს არ ყოფილაა უშუალოდ „საიქს-პიკოს“ სახელით ცნობილ **შეთანხმებასთან დაკავშირებული,** რომელიც ჯერ კიდევ 1916 წელს, დიდი ბრიტანელი დიპლომატის სერ მარკ საიქსისა და ბეირუთში საფრანგეთის კონსულის ფრანსუა ჟორჟ-პიკოს მიერ საკუთარი ქვეყნის მთავრობების სახელით დადებულ საიდუმლო გარიგებას წარმოადგენდა. გარიგება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში გავლენისა და, შესაბამისად, ოსმალეთის იმპერიის მიწების გადანაწილების პროექტს შეადგენდა [2. 115-117].

„საიქს-პიკოს შეთანხმების“ თანახმად, საფრანგეთი ისაკუთრებდა ლიბანს, სირიის სანაპირო რაიონებსა და დღევანდელი თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთს, (ლურჯი ზონა), ხოლო შიდა სირია და ამჟამინდელი ჩრდილოეთ ერაყი - ფრანგული გავლენის ქვეშ უნდა მოქცეულიყო [3. 75]. 1918 წელს, რუსეთის გეოპოლიტიკური თამაშიდან გასვლის შემდეგ, ლონდონმა უდიდესი ინტერესი გამოამჟღავნა ჩრდილოეთ ერაყის მიმართ, რომელთან დაკავშირებითაც ნავთობის არსებობის შესახებ ინფორმაცია უკვე ვრცელდებოდა.

20-იან წლებში ბრიტანელები განიხილავდნენ მოსულის რეგიონში ქურთული სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობას, თუმცა 1922 წელს, კირკუკის მიდამოებში ნავთობის დიდი მარაგის აღმოჩენის შემდეგ, ჩათვალეს, რომ ცენტრალიზებული ერაყული სახელმწიფო ამ ტერიტორიაზე სტაბილურობას უფრო კარგად უზრუნველყოფდა, ვიდრე ერთმანეთთან დაპირისპირებული, მეამბოხე ქურთული სამთავრობოები. ბრიტანელებმა პირობა დადეს, რომ ერაყის შემადგენლობაში შესვლის სანაცვლოდ ქურთები ფართო უფლებებს მიიღებდნენ, თუმცა, რეალურად ისინი დისკრიმინაციას განიცდიდნენ. დიდი ბრიტანეთის მანდატს ექვემდებარებოდა ცენტრალური და სამხრეთ ერაყი, ასევე ქუვეითიც (წითელი ზონა); გავლენის სფეროში ექცეოდა იორდანია და დასავლეთ ერაყი. პალესტინა, რომელიც ნეიტრალურ ტერიტორიად ცხადდებოდა, იერუსალიმთან ერთად (ყავისფერი ზონა) ექვემდებარებოდა საერთაშორისო ადმინისტრაციას.

„სქაის-პიკოს“ ხელშეკრულებაში სრულიად იგნორირებულია ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობის ეთნიკური საზღვრები. არაფერია თქმული ქურთების შესახებ, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიაზე კომპაქტურად ცხოვრობდნენ და რომელთა რიცხვი ათეულობით მილიონს წარმოადგენდა.

1920 წელს დადებული სევრის ხელშეკრულება, რომელიც ოტომანთა იპერიასა და ანტანტას შორის დადებულ სამშვიდობო ზავს წარმოადგენდა, **გულისხმობდა ოსმალეთის იმპერიის განაწილებას ევროპელებს, ქურთებსა და სომხებს შორის. ხელშეკრულების ერთერთ პუნქტში ასევე ასახული იყო** ქურთისტანის, როგორც ქურთების მიერ დასახლებული გეოგრაფიული ტერიტორიის, დამოუკიდებელ სახელმწიფოად აღიარების პროექტიც, **მაგრამ მისი საზღვრების დადგენა დიდ სირთულეს წარმოადგენდა. გარდა ამისა,** მუსტაფა ქემალ ათათურქის პერიოდში აღზევებული თურქეთის სახელმწიფო ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას და, შესაბამისად, მისი რატიფიცირება ვერ მოხერხდა.

მოკავშირეები შეთანხმდნენ ანატოლიის სამხრეთ-დასავლეთით ოსმალეთის ზონაში ქურთებით დასახლებული რეგიონების დაახლოებით 20 პროცენტზე ავტონომიური ტერიტორიის შექმნაზე, რომლის დამოუკიდებლობაც მოგვიანებით ერთა ლიგას უნდა გადაეწყვიტა. თუმცა, შემდგომ ვითარება შეიცვალა, ხოლო დამოუკიდებელი ქურთისტანისთვის განკუთვნილი ტერიტორია თურქეთმა, ერაყმა და სირიამ გაიყვეს. ამ დროს ერაყი დიდი ბრიტანეთის, ხოლო სირია საფრანგეთის პროტექტორატს წარმოადგენდა. ამგვარად, ქურთების ხანგრძლივი ბრძოლა ოსმალეთთან უშედეგოდ დასრულდა.

1923 წლის 24 ივლისს სევრის ტრაქტატი ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულებამ [3. 13-15] ჩაანაცვლა, რომელსაც ერთი მხრივ დიდი ბრიტანე-

თის, საბერძნეთის, იტალიის, საფრანგეთის, იაპონიის, რუმინეთის, სერბების, ხორვატებისა და სლოვენიელების სამეფოსა და მეორე მხრივ, თურქეთის წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი. ლოზანის ხელშეკრულებაში, რომელმაც თურქეთის რესპუბლიკის თანამედროვე საზღვრები დაადგინა, ქურთისტანის სახელმწიფოს იდეა აღარ ფიგურირებდა. შესაბამისად, ქურთების მიერ კომპაქტურად დასახლებულ გეოგრაფიულ არეალს ერაყის, ირანის, სირიისა და თურქეთის სახელმწიფო საზღვრები კვეთს, ხოლო ხსენებულ სახელმწიფოებში არსებული ქურთი ხალხი დამოუკიდებლობისთვის იბრძვის.

შემდეგ არც მუსტაფა ქემალს და არც მის მემკვიდრეებს არ მოუთხოვიათ საზღვრების შეცვლა, გარდა ალექსანდრეტას სანჯაყისა, რომელიც ფრანგული მანდატის დროს შეუერთეს სირიას, მაგრმ საფრანგეთმა დააბრუნა სახალხო ფრონტის დროს იმ მოტივით, რომ ის უმთავრესად თურქებით იყო დასახლებული [4].

1927 წელს თურქეთის აღმოსავლეთში დაიწყო ქურთების აჯანყება. მათ თვითგამოცხადებული „არარატის რესპუბლიკა“ შექმნეს, რომლის განადგურება თურქებმა მხოლოდ 1930 წელს მოახერხეს. უშედეგოდ დასრულდა 1946 წელს ირანში ე.წ. „მეჰაბადის რესპუბლიკის“ დაფუძნების მცდელობაც. დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის რეალური შანსი მხოლოდ ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ გაჩნდა.

30-40-იან წლებში ერაყის ქურთისტანი აჯანყებების სერიამ მოიცვა. მონარქიის დამხობის შემდეგ გაჩნდა პრობლემის პოლიტიკური გზით მოგვარების შანსი, მაგრამ ყველაფერი ახალი 1961-75 წლების აჯანყებით დასრულდა, რომელსაც ათიათასობით ადამიანი ემსხვერპლა.

1970 წელს აჯანყებულთა ლიდერმა მუსტაფა ბარზანიმ და ერაყის ხელისუფლების ერთ-ერთმა თავკაცმა სადამ ჰუსეინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ქურთული ავტონომიის შექმნას ითვალისწინებდა [5. 67-69], რამაც ჰუსეინს პოპულარობა შეჰმატა და ერთპიროვნული დიქტატურის დამყარებაში დაეხმარა. ერაყის ხელისუფლებამ ავტონომია ცალმხრივი აქტით დააფუძნა, მაგრამ გაითვალისწინებულ არ ყოფილა კირკუკის სანავთობო რაიონთან დაკავშირებული ქურთი ლიდერების პრეტენზიები. შემდეგ, აჯანყება გაგრძელდა, რომლის ჩახშობა მხოლოდ 1975 წელს მას შემდეგ მოხერხდა, რაც ზოგიერთი სადავო სასაზღვრო ტერიტორიის ირანისთვის გადაცემის სანაცვლოდ შაჰის ხელისუფლება აჯანყებული ქურთებისთვის დახმარება შეწყვეტასა და მათ წინააღმდეგ ერაყელებთან ერთად მოქმედებას დათანხმდა [5. 74-77].

ირან-ერაყის ომის დროს, ერაყელი ქურთები ირანელებს ეხმარებოდნენ, რომლებმაც 1983 და 1987 წლების ოპერაციების დროს ერაყის ქურთისტანის ნაწილი დაიკავეს, თუმცა 1988-ში ერაყელებმა ისინი განდევნეს.

ამავე პერიოდში სადამ ჰუსეინმა დაიწყო სადამსჯელო „ოპერაცია ანფალი“ [2. 357-363], რომლის დროსაც, უფლებადამცველების შეფასებით, ერაყელმა სამხედროებმა დაახლოებით 182 ათასი ქურთი მოკლეს, 5 ათასი დასახლებული პუნქტიდან 4 ათასი მიწასთან გაასწორეს. ხდებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დეპორტაცია, მის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის, არტილერიისა და ავიაციის გამოყენება. 700 ათასამდე ქურთი საგანგებოდ შექმნილ საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსეს, დაახლოებით მილიონი ერაყიდან გაიქცა [2. 357-363].

ერაყის ქუვეითის ომში დამარცხების შემდეგ, ქურთებმა ახალი აჯანყება წამოიწყეს და რიგი ქალაქები დაიკავეს, მაგრამ სადამ ჰუსეინმა კონტრშეტევაზე გადასვლა მოახერხა. „ახალი ანფალის“ შიშით რეგიონი მილიონზე მეტმა ქურთმა დატოვა. ჰუმანიტარული კატასტროფიდან გამომდინარე, გაერომ 1991 წლის 5 აპრილს ერაყის ქურთისტანი „უსაფრთხოების ზონად“ გამოაცხადა. აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ულტიმატუმის შემდეგ, სადამ ჰუსეინი იძულებული გახდა, რეგიონიდან ჯარები გაეყვანა. ამის შედეგად შეიქმნა დე-ფაქტო დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფო, რომლის სტატუსი დაზუსტებას მოითხოვდა. შემდგომი 12 წლის განმავლობაში მას ერაყთან თითქმის არაფერი აკავშირებდა [6. 52-53].

თავდაპირველად ერაყული ქურთისტანი სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს განიცდიდა - ვიდრე სადამ ჰუსეინმა მას ბლოკადა გამოუცხადა. 1994-ში ამ სახელმწიფო წარმონაქმში დაიწყო სამოქალაქო ომი ორ ყველაზე გავლენიან ძალას - „დემოკრატიულ პარტიასა“ და „პატრიოტულ კავშირს“ შორის. კონფლიქტში აქტიურად ჩაერთო თურქეთი და ირანი, ერთ-ერთმა მხარემ დახმარებისთვის სადამ ჰუსეინს მიმართა. 1998 წელს ამერიკელებმა ქურთ ლიდერებს გავლენისა და შემოსავლების გაყოფის ახალი სქემა შესთავაზეს და დაზავება აიძულეს. ამავე პერიოდში გაეროს პროგრამამ - „ნავთობი სურსათის სანაცვლოდ“, რომელიც ერაყული ქურთისტანისთვის ერაყის შემოსვლების 13%-ის გამოყოფას ითვალისწინებდა რეგიონში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გააუმჯობესდა.

სადამ ჰუსეინის დამხობის დროს ქურთებმა დაიკავეს მოსული და რეგიონის სანავთობო დედაქალაქი კირკუკი. ისინი ცდილობდნენ ჰუსეინის მიერ რეგიონში „არაბიზაციის“ პროცესში ჩასახლებული არაბების განდევნას. ამერიკელები შეეწინააღმდეგნენ 2003-ში დაკავებული ტერიტორიების ქურთული ავტონომიის შემადგენლობაში შეყვანას, თუმცა, დე-ფაქტო მათ ქურთები აკონტროლებდნენ. 2003 წლის ბოლოს ქურთული ავტონომიის ხელმძღვანელობასა და ერაყის ახალ ხელისუფლებას შორის გაფორმდა შეთანხება, რომელიც რეგიონისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებას ითვალისწინებდა, ამასთან, საკუთარი შეიარაღებული რაზმების ყოლისა და ერაყის

შემადგენლობიდან გასვლის უფლებასაც - ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეთანხმების დაარღვევის შემთხვევაში. 2005 წელს შესაბამისი მუხლები ერაყის კონსტიტუციაში შევიდა [6. 52-53].

აღნიშნულ პერიოდში შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე ერაყულ ქურთისტანში 25%-ით გაზრდილი იყო, ვიდრე დანარჩენ ერაყში. ათი-ათასობით ერაყელი იქ სამუშაოდ ჩადიოდა. ნავთობ ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივ საჭიროებებს ხმარდებოდა; ცენტრალური ხელისუფლება ავტონომიისთვის დოტაციებს გამოყოფდა.

მთავარი პრობლემა ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობებში სადავო რაიონები იყო. ავტონომიის ტერიტორიის გარდა, არსებობს ზონა, რომელსაც მისი შეიარაღებული ფორმირებები აკონტროლებენ, აგრეთვე გარკვეული რაიონები მის ფარგლებს გარეთ, რომლებზეც ქურთები აცხადებენ პრეტენზიას. მთავარი საკითხი ამ შემთხვევაში ნავთობია - მისი მარაგი კირკუკის სიახლოვეს 40 მილიარდ ბარელს აღემატება. ერაყის ახალ კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ სადავო ტეროტორიების მომავალთან დაკავშირებით 2007 წლის ბოლომდე რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო, თუმცა ის არ გამართულა. ამიტომ 2009 წელს ერაყის ქურთისტანის პარლამენტმა ცალმხრივი დეკლარაცია მიიღო და კირკუკი ქურთისტანის შემადგელობაში შეიყვანა, 2014 წელს მასზე სრული კონტროლი დაამყარა.

გადაწყვეტილებამ რეფერენდუმის ჩატარების შესახებ არა მხოლოდ ერაყის, არამედ თურქეთის, ირანისა და სირიის მთავრობები შეაშფოთა. ისინი შიშობენ, რომ დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნა მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურთებს გამოყოფისკენ და „დიდი ქურთისტანისთვის" ბრძოლისკენ უბიძგებს. განსაკუთრებით აქტუალურია ეს სირიის როჟავას რეგიონისთვის, რომელიც ერაყის ქურთისტანს ესაზღვრება და ქურთების მიერ კონტროლდება.

„ისლამურ სახელმწიფოსთან" ომმა, რომელმაც 2014-ში სწრაფად მოიცვა მოსული და კირკუკს მიაუხლოვდა, ნათლად აჩვენა, რომ ქურთების რაზმები უფრო ბრძოლისუნარიანია, ვიდრე ერაყის სამთავრობო არმია. ამ პერიოდში ქურთები მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ, მისი მხარდაჭერა მიიღეს და ახლა ამ გარემოების გამოყენება სურთ.

ერაყში, სირიაში, ირანსა და თურქეთში მცხოვრები მილიონობით ქურთი ახლო აღმოსავლეთში გაჩაღებული დაუსრულებელი სისხლისმღვრელი ომებისა და მათ მიერ წარმოებული ბრძოლებიდან გამომდინარე, ქურთი ერის გადარჩენის ერთადერთ გზად - ქურთისტანის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას მიიჩნევს.

სირიაში მცხოვრებმა ქურთებმა, სადაც დაახლოებით ორ მილიონზე

მეტ ადამიანს ითვლიან, 70.000 კაციანი კარგად შეიარაღებული ფორმირების ჩამოყალიბება შეძლეს, რომლებმაც შეერთებული შტატების კოალიციის დახმარებით ასადის რეჟიმთან და „ისლამურ სახელმწიფოსთან“ წარმოებულ ბრძოლებში დიდ წარმატებას მიაღწია. ამ ძალას სირიის დემოკრატიულ ოპოზიციას უწოდებენ, ხოლო მათ შეიარაღებულ ფორმირებებს - „სირიის დემოკრატიულ ძალებს“. მიუხედავად იმისა, რომ სირიელები მათ მიერ კონტროლირებულ ტერიტორიას საკუთარ სახელმწიფოდ აღიქვამენ, ნამდვილი ქურთისტანის ახალი სახელმწიფო წარმონაქნმი, დიდი ალბათობით ერაყში უფრო ადრე შეიქმნება, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. კერძოდ, - სამართლებრივი საფუძვლის არსებობა - 2005 წელს ერაყის ქურთისტანში ჩატარებული რეფერენდუმი, რომლის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, მოსახლეობის 98% მხარი დაუჭირა ქვეყნის დამოუკიდებლობას. ამასთან, აქვე აღნიშნულ უნდა იქნას ის გარემოებაც, რომ არაერთხელ გაჟღერდა კიდევ ერთი რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივა მოსულის ოპერაციის დასრულების შემდეგ;

- სამხედრო ფაქტორი - ერაყის სამთავრობო ჯარებს ეკრძალებათ ქურთისტანის რეგიონში შესვლა, ხოლო რეგიონის უსაფრთხოებას თავად ქურთული სამხედრო ქვედანაყოფები, „პეშმერგა“ იცავს, რომელიც აქტიურად იბრძვის „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ტერორისტულ ორგანიზაციასთან ბრძოლაში. შესაბამისად, ერაყის ქურთისტანს, ფაქტობრივად, უკვე ჰყავს საკუთარი არმიაც, რომელსაც ახალწარმოქმნილი სახელმწიფოს სუვერენიტეტის გარე აგრესიისგან დაიცვის შესაძლებლობა ექნება;

- ეკონომიკური თვალსაზრისით - ერაყის ქურთისტანი ერთერთი ყველაზე მდიდარი და ბოლო პერიოდში შედარებით სწრაფად განვითარებდი რეგიონია, რომელსაც, სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემთხვევაში, შესაძლოა, დამოუკიდებლად არსებობის ეკონომიკურ-ფინანსური შესაძლებლობა ჰქონდეს;

- პოლიტიკური თვალსაზრისით - ოფიციალურად, ერაყის ქურთისტანი უკვე 46 წელია ავტონომიურია [5. 75-76], თუმცა, 1991 წლამდე ერაყის სახელმწიფო ჯარები არ აძლევდნენ რეგიონს თავისუფალი განვითარების საშუალებას [5. 89-90], რასაც კიდევ უფრო აფერხებდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის მიერ რეგიონისადმი დაწესებული ეკონომიკური სანქციები [3. 75].

2003 წელს ქურთებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჰუსეინის რეჟიმის დამხობაში, რომლის შედეგადაც ერაყის 2005 წლის კონსტიტუციით, მათ ფედერალური რეგიონის სტატუსი მიიღეს [7]. დღეს ქურთული - ერაყის ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა [7], ერაყის ქურთისტანს კი ჰყავს საკუთარი მთავრობა, პარლამენტი, დიპლომატიური სტრუქტურები და ჯარი. გარდა

ამისა, ექსპერტთა შეფასებით, ბოლო წლების განმავლობაში ამ რეგიონში მეტი სტაბილურობა და პოლიტიკური პლურალიზმია, ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული მთავრობის მიერ საშინაო პოლიტიკის წარმოების პრინციპები გარკვეულწილად არადემოკრატიულია.

ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორს წარმოადგენს ურთიერთობების დათბობა თურქეთთან, რომლის ქმედებებიც წლების განმავლობაში რეგიონისთვის დესტაბილიზაციის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენდა. საბოლოო ჯამში, ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, ერაყის ქურთისტანის სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ, შესაძლოა, საბოლოოდ მოაგვაროს წლების განმავლობაში რეგიონსა და ცენტრალურ მთავრობას შორის არსებულ ტერიტორიული დავაც, რაც ხელს შეუწყობს უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ერაყში არსებული არასტაბილური ვითარების დარეგულირებასაც.

ქურთების 80.000-კაციანი შეიარაღებული ძალები – „ფეშმერგას“ სახელწოდებით, ბოლო წლების განმავლობაში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მებრძოლი, აშშ-ს კოალიციასთან კოორდინაციაში მყოფი, ყველაზე ეფექტური და ორგანიზებული სამხედრო ძალა იყო ერაყის ტერიტორიაზე.

სავარაუდოდ, ქურთებს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე ახლო აღმოსავლეთში შექმნილმა ვითარებამ და ამ სიტუაციაში შეერთებული შტატების მხარდაჭერამ უბიძგა. აშშ-სა და ნატოს კოალიცია ახლო აღმოსავლეთში ქურთებს ერთ-ერთ დასაყრდენ ძალად და ისლამიზმის შემაკავებელ ფაქტორად მიიჩნევს. არც ისაა გამორიცხული, რომ ქურთების სახელმწიფოებრიობისთვის ბრძოლას შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთის ზოგიერთმა ქვეყანამ ღია მხარდაჭერა გამოუცხადოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქურთები შესანიშნავი და თავდადებული მებრძოლები არიან, რომელთა საბრძოლო შენაერთებში მამაკაცების მხარდამხარ დიდი რაოდენობით ქალებიც იბრძვიან.

რაც შეეხება მოლოდინებს, ქურთისტანის ახალი სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით, მსოფლიოში არაერთგვაროვანია... ბევრი ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ ამ მოვლენამ შესაძლოა ახლო აღმოსავლეთში არსებული ისედაც რთული ვითარება კიდევ უფრო გაამწვაოს და ახალ ომებს ჩაუყაროს საფუძველი. ამასთან, ჩნდება ახალი საფრთხეები და გამოწვევებიც:

- ირანი და თურქეთი ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნას სასიცოცხლო საფრთხედ აღიქვამენ. ანკარასა და თეირანში შიშობენ, რომ იგი შესაძლოა ერთგვარ მაგალითად იქცეს თურქეთსა და ირანში მცხოვრები ქურთული წარმოშობის ხალხისთვის. გარდა ამისა, წლების მანძლზე ერდოღანს პარტნიორული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა ერაყის ხელისუფლებასთან. მიუხედავად ამისა, თურქეთი ფაქტობრივად შიდა ომის პირობებში იმყო-

ფება საკუთარ ქვეყანაში მცხოვრებ ქურთებთან, რომლებიც ქურთების მუშათა პარტიის (PKK) საბრძოლო შენაერთების ძირითად შემადგენლობას წარმოადგენენ და რომელთა ზურგს, ჩრდილოეთ ერაყის ქურთისტანის მაღალმთიან ტერიტორიაზე განთავსებული ბაზები წარმოადგენს. ამ უკანასკნელს თურქეთი ერაყის ხელისუფლების თანხმობით, დროდადრო ბომბავდა, რის უფლებასაც მომავალში ალბათ ვეღარ მიიღებს სუვერენული ქურთისტანისგან. თურქეთის ხელისუფლება შიშობს, რომ ერაყის ტერიტორიაზე ქურთისტანის შექმნა ამ სახელმწიფოს სირიის მიმართულებით გაფართოებას გამოიწვევს და საბოლოო ჯამში თურქეთის ტერიტორიას მიადგება, სადაც ქურთების ყველაზე დიდი რაოდენობა - 18 მლნ-მდე ადამიანი ცხოვრობს. თურქეთს ასევე აშფოთებს სირიელი ქურთების „დემოკრატიული ძალები“, რომლებსაც საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედ „ქურთთა მუშათა პარტიის“ ტერორისტული შენაერთების პირდაპირ მოკავშირედ და ტერორისტებად მიიჩნევს.

- ახლო აღმოსავლეთში შიშობენ, რომ განსაკუთრებით სახიფათო იქნება დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადება, რამდენადაც ქურთების მაგალითს შესაძლოა მიჰყვენ რეგიონში არსებული სხვა უმცირესობებიც, რამაც გამორიცხული არ არის ქაოსი და უმართავი პროცესების დაწყება გამოიწვიოს;
- არსებობს ეთნოკონფესიული დაპირისპირების დაწყების საფრთხე, რასაც შესაძლოა ქვეყნის პატარ-პატარა ნაწილებად დაშლა მოჰყვეს. ერაყში მცხოვრები სხვა ჯგუფები - სუნიტი არაბები, ასირიელები, თურქომანები და იეზიდები შესაძლოა ადვილად მოექცნენ დიდი სახელმწიფოს გავლენის ქვეშ. ასეთმა ვითარებამ განაპირობა წარსულში ქვეყნის სუნიტურ ნაწილში „დაეშის“ პოზიციების გაძლიერება;
- მოსალოდნელია აგრეთვე ლტოლვილთა ახალი ნაკადების წარმოქმნა როგორც მეზობელი ქვეყნების, ისე ევროპის მიმართულებით;
- მიუხედავად იმისა, რომ ქურთისტანის დამოუკიდებლობის იდეას ერაყის ცენტრალური ხელისუფლება განსაკუთრებულად არ ეწინააღმდეგება, არსებობს სადავო საკითხები, რაც თავის მხრივ საკითხს პრობლემურს ხდის. ერაყში არსებული შიდაპოლიტიკური დაპირისპირება და არასტაბილურობა არ იძლეოდა ავტონომიურობის რეალურად ამოქმედების საშუალებას. ამას დაერთო „დაეშის“ (იგივე ISIS) მიერ ერაყის ცენტრალური, სუნიტებით დასახლებული ნაწილის დაკავებაც, რის გამოც ერაყის ქურთისტანი ტერიტორიულადაც მოსწყდა ცენტრალურ ხელისუფლებას. სამაგიეროდ, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა, ე.წ. „ფეშმერგამ“, შეძლო „დაეშის“ წინსვლის შეჩერება. ამასთან, 2014 წლის 12 ივნისს დაიკავა ნავთობით მდიდარი სადავო ტერიტორიები (მათ შორის ქ. კირკუკი და შემოგარენი), რითაც კიდევ უფრო

გაიზარდა მისი დამოუკიდებლობის ამბიციები. კირკუკის ეკონომიკური მნიშვნელობა ძალზე დიდია და მოსალოდნელია, რომ სწორედ ეს საკითხი გახდება დესტაბილიზაციის მთავარი წყარო.

➢ ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ სხვადასხვა ქურთულ დაჯგუფებებს განსხვავებული პოზიცია აქვთ და საზღვარგარეთ სხვადასხვა მოკავშირეები ჰყავთ - ზოგიერთთან ვაშინგტონი მუშაობს, ზოგს თეირანი ეხმარება, ზოგს კი - ანკარა. პრობლემას სადაო ტერიტორიებიც ართულებს. ამიტომ, დამოუკიდებლობის გამოცხადებისას უნდა მოხდეს საზღვრების საბოლოო დემარკაცია, რაც მომავალში ახალი ომის დაწყებას გამორიცხავს.

დასკვნა

ექსპერტთა შეფასებით, ქურთი ლიდერების უმრავლესობას ესმის, რომ საერთაშორისო ლეგიტიმაციის გარეშე სახელმწიფოს ვერ შექმნიან და, თუ დიდი სახელმწიფოების მხარდაჭერას ვერ მოიპოვებენ, შეეცდებიან, რეფერენ-დუმის თემა ერაყის ხელისუფლებასთან ვაჭრობის პროცესში გამოიყენონ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მოსახლეობაში მოახლოებული დამოუკიდებლობის იდეის პოპულარიზაცია სავარაუდოდ უკვალოდ ვერ ჩაივლის - ლიდერები შესაძლოა პროცესის მძევლებად იქცნენ და იძულებულნი გახდნენ, დამოუ-კიდებლობა გამოაცხადონ, ეს კი მნიშვნელოვნად გაზრდის ახალი რეგი-ონული ომის დაწყების ალბათობას, რომელშიც, სავარაუდოდ, რამდენიმე მეზობელი სახელმწიფო ჩაერთვება, ისე, როგორც ეს სირიაში მოხდა.

ქურთები ძალზე ახლოს არიან დამოუკიდებლობასთან, თუმცა, რთუ-ლი სავარაუდოა, რა შეიძლება მოჰყვეს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. დიდი ალბათობით, ქურთისტანის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი თვისობრივად შეცვლის ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებას.

ლიტერატურა:

1. David Neil MacKenzie: Kurdish dialect studies. Oxford Univ. Press, London 1961-1962 (ჩრდილოური და შუაქურთული დიალექტები)
2. David McDowell, “A Modern History of The Kurds” (London: I.B. Taurus, 2007), გვ. 115-117.
3. Kerim Yildiz, „The Kurds In Iraq: The Past, Present and Future“, (London: Pluto Press, 2007), გვ. 75.
4. M. E. Yapp, The Making of the modern Near East (1792-1923), London, Longman Group UK Limited, 1991.
5. Gareth R. V. Stansfield, “Iraqi Kurdistan: Political development and emergent

democracy", (London: RoutledgeCurzon, 2003), გვ. 67-69.
6. J. Kelly, "Ghosts of Halabja" (Westport, Connecticut: Praeger Security International, 2008), გვ. 52-53.
7. The Republic of Iraq, Iraqi Constitution, (Baghdad, 2015, Article 117), Iraqi Nationality Government Online; ინტერნეტი; http://www.iraqinationality.gov.iq/attach/iraqi_constitution.pdf.

The main problems of political-state arrangement of Kurdistan

Shavlego Tabatadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

Though the Kurds have repeatedly formed independent principalities, they were unable to create and maintain a solid state unit, but they have never stopped fighting for this reason. This above mentioned circumstance may be considered a geopolitical paradox, with no precedent in the world. The absence of the Kurdish state is conditioned by both internal and external factors, including clan-tribal, linguistic, religious, ideological fragmentation, an unfavorable international environment, lack of access to the sea, the use of their internal confrontation by powerful states.

The current situation in the Middle East and US support has led the Kurds to declare independence. The US-NATO consider the Kurds to be their a stronghold in the Middle East and a deterrent to Islamism. We think that it is quite possible that A. It is possible that the United States together with some Western countries will openly support the fight for the Kurdish statehood. It is also noteworthy, that the Kurds are a formidable and dedicated fighter whose combat units are supported by lots of women. In the world there are different expectations regarding the creation of a new state of Kurdistan. Many experts do not exclude, that this event may make the already difficult situation in the Middle East even worse as well as lay the groundwork for new wars.

Key Words: Nomadic tribes. statehood. Kurdish dialect. Kurdish ethnogenesis.

კარლ ფონ კლაუზევიცის ომის ფილოსოფიის ფუნდამენტური გააზრება და მისი კრიტიკოსები

ზაზა ჩხაიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

კარფ ფონ კლაუზევიცის ომის ფილოსოფიურმა ნააზრევმა დასაბამი მისცა ომის, როგორც მოვლენის კვლევას და იგი დღესაც ასეთი კვლევების ერთგვარ საზომადაა მიჩნეული. ავტორი თავის ნაშრომში „ომის შესახებ“, საუბრობს ომის ბუნებზე და განიხილავს მას, როგორც ერთ მთლიანობას. იგი ყურადღებას ამახვილებს ომის კამპანიის დაგეგმვაზე, რომელიც მოიცავს განსაკუთრებულ მოქმედებაში გაერთიანებულ სამხედრო საქმიანობას ყველანაირი გამოვლინებით, რომელსაც ერთი საბოლოო მიზანს ემსახურება. კლაუზევიცის აზრით, ომის დაწყება მი ზანშეწონილია მკვეთრად განსაზღვრული პოლიტიკური მიზნებისა და სამიზნეების არსებობის შემთხვევაში, სასურველი შედეგის მისაღწევად. აქედან გამომდინარე ხორციელდება ომში გამოსაყენებელი ძალებისა და საშუალებების განსაზღვრაც.

ომზე მსჯელობისას, კლაუზევიცი რამდენიმე გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას: ომი კატეგორიაა, რომლის შინაარსი სამ ვითარებას ეყრდნობა. ესენია დაპირისპირება, ძალადობა და მოწინააღმდეგის დამორჩილების ნება. ომი - ძალადობა, შემთხვევითობა და გაურკვევლობაა, ხოლო როგორც მოვლენა, რომელიც ჩვენივე აღქმის შედეგად, ჩვენი განსჯის საგანს წარმოადგენს – შეიარაღებულ ძალთა დაპირისპირებაა, რომელიც მეომარ მხარეთა მიერ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოიყენება. შესაბამისად, ზოგადად, ომი ძალადობის, დაპირისპირების, შემთხვევითობსა და გაურკვევლობის ერთობლიობად გვევლინება.

ავტორის აზრით, ომი ორმაგი ბუნების მატარებელია: ობიექტური და სუბიექტური. ომის ობიექტური ნაწილი გულისხმობს - ძალადობას, ე.წ. ფრიქციას, შემთხვევითობასა და მოულოდნელობას. მეორე მხრივ, ომის სუბიექტური მახასიათებლებია - სამხედრო ძალები, მათი დოქტრინები, შეიარაღება, მთელი ის (სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო) გარემო, სადაც მოთამაშეები მოქმედებენ. კლაუზევიცის აზრით, ომის ობიექტური და სუბიექტური მხარეები გამუდმებით ურთიერთქმედებენ და როგორც ამ ურთიერთქმედების შედეგი, მათი დაცილება შეუძლებელია. ანუ, ომის ბუნება არ შეიძლება გაიმიჯნოს მისი არსისა და მასში მონაწილე მოთამაშეებისგან.

ომის ახალ ფენომენს, რომელიც ე.წ. „ჰიბრიდული ომის“ სახელითაა ცნობილი, სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოურ პოლიტიკურ

მეცნიერებაში და ზოგადად, გულისხმობს სამხედრო ოპერაციებს, რომელიც მოიცავს რეგულარული შეიარაღებული ძალების დოზირებულ გამოყენებას, არაფორმალური შეიარაღებული ფორმირებების ოპერაციებს, სამოქალაქო საპროტესტო აქციებსა და საბოტაჟს, აგრეთვე საინფორმაციო ომს თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული ომი. გლობალიზაცია. ტერორიზმი. სეპარატიზმი.

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ „ჰიბრიდული ომის“ ცნებამ აშშ-ს სამხედრო ანალიტიკოსებისა და სტრატეგებს შორის თავი იჩინა 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, ამასთან დაკავშირებით პირველად, სახალხოდ განაცხადა ჯეიმს მატისმა 2005 წლის სექტემბერში. ამასთან, 2006 წლიდან მოყოლებული „ჰიბრიდული ომის“ ცნება თანდათანობით გაჩნდა აშშ-ს სამხედრო დოკუმენტაციაში. შემდგომ მოხდა ამ ცნების გავრცობა ფ. ჰოფმანის მიერ, რომელმაც მთელი რიგი სტატიები მიუძღვნა აღნიშნულ თემას, ხოლო 2007 წელს დაწერა მონოგრაფია „კონფლიქტი 21-ე საუკუნეში: ჰიბრიდული ომის წარმოშობა“ [1].

ძირითადი ნაწილი

ჰიბრიდული ომის ცნება გაჩნდა „კლაუზევიცის შემდგომი და „ახალი ომების“ [2. 165-190] მომდევნო უფრო ფართო თეორიებიდან. ჰოფმანის წიგნი ასევე ორიენტირებული იყო სამხედრო კონფლიქტების ცვალებადი ხასიათის შესწავლაზე. მის ფარგლებში წარმოებდა ომის წარმოების ახალი ხერხების შესწავლა, კერძოდ, „მეოთხე თაობის ომის“, „კომპლექსური ომების“ თეორიების ფარგლებში. აგრეთვე თანამედროვე ჩინელი სტრატეგების წიგნის - „შეუზღუდავი ომის“ საფუძველზე.

ჰოფმანი დიდ მნიშნელობას ანიჭებს მარტინ კლევერდისა და მერი კალდორის ნაშრომებს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელის ანალიზს, რამდენადაც ორივე მათგანი დიდ ყურადღებას უთმობდა ომის ისტორიული ევოლუციის ანალიზსა და გლობალიზაციის თანამედროვე კონტექსტს. განსაკუთრებით დიდი დატვირთვის მატარებელია კალდორის კვლევები, რამდენადაც მის მიზანს წარმოადგენს ომის ტრანსფორმაციის აღწერა კოსმოპოლიტური გლობალიზაციისა და პარტიკულარისტული ლოკალიზმის პირობებში. ჰოფმანი გვთავაზობს მოწინააღმდეგის ტაქტიკის ზუსტ ტექნიკურ ხედვას და ცდილობს ინტერვენციის ახალი, უფრო დაზუსტებული მეთოდების შემუშავებას.

ჩამოაყალიბა რა ჰიბრიდული ომის საკუთარი განსაზღვრება, ჰოფმანი ასევე იყენებდა აშშ-ს თავდაცვის ეროვნული სტრატეგიის „ახალი სა-

ფრთხეების“ ფორმულირებას (2005 წ): „არარეგულაურული, კატასტროფული და ძირგამომთხრელი“ და იძლევა ჰიბრიდული ომის შემდეგ განმარტებას: „ჰიბრიდულ ომს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს როგორც სახელმწიფოებრივ, ისე არასახელმწიფოებრივ მოთამაშეებს შორის. იგი მოიცავს ომის წარმოების მთელ რიგ სხვადასხვა მეთოდს, მათშორის ჩვეულებრივი საშუალებები, არარეგულარული ტაქტიკა და ფორმაცია, ტერორისტული აქტები, ძალადობისა და იძულების ჩათვლით, აგრეთვე, კრიმინალური უწესრიგობა. ეს მრავალმოდელური მოქმედებები შესაძლოა ხორციელდებოდეს ცალკეული ფორმირებების ან ერთიდა იგივე ფორმირების მიერ, მაგრამ, საერთო ჯამში ისინი ოპერატიულად და ტაქტიკურად მიმართული და კოორდინირებულია ერთი საბრძოლო სივრცის ფარგლებში სინერგეტიკული ეფექტის მისაღწევად“ [1. 35].

შემდგომი ანალიზისთვის უნდა გამოვყოთ „ჰიბრიდული ომისთვის“ დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

1. ერთი გონებრივი ცენტრის არსებობა, რომელიც გეგმავს, ახდენს ორგანიზებასა და აკონტროლებს ჰიბრიდული ომის წარმოებას;
2. სამხედრო ფორმირებათა კოორდინაცია, რომელიც შესაძლოა ორგანიზებულ იქნას ფორმალურად ან არაფორმალურად, იერარქიულად ან ჰორიზონტალურად, მაგრამ დაკავშირებულია ერთ ერთიან გონებრივ ცენტრთან;
3. ერთ საბრძოლო სივრცეში საბრძოლო მოქმედებების წარმოების სხვადასხვა მოდუსთა კოორდინირებული თანაარსებობა;
4. „ჰიბრიდული“ საბრძლო სივრცე მოიცავს „საბრძოლო მოქმედებებისა“ და მშვიდობიან ზონებს“.

ჰოფმანის კონცეპტუალურ სიახლე განსაკუთრებული პრაქტიკული შედეგები არ გამოუღია. რის გამოც გარკვეული პერიოდის განმავლობაში იგი მივიწყებულ იქნა. თუ შემმუშავებლები, კერძოდ, გენერალ მატისი, მხედველობაში იღებდა „ჰიბრიდულ ომთან“ ბრძოლის იდეას, ისინიც კი განიხიბლნენ ავღანეთსა და ერაყში აშშ-ს მიერ ამბოხებულების წინააღმდეგ წარმოებული ოპერაციის ჩავარდნის შედეგად [3].

მაგრამ, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, ჰიბრიდული ომი ტრიუმფალურად დაბრუნდა და ამჯერად უკვე გამოიწვია მთელი რიგი ოფიციალრი დისკუსია მედიაში, უკრაინასა და დასავლეთში. ახლა უკვე ამ ცნებას უნდა აეღწერა რუსეთის სტრატეგია და მისი მნიშვნელობაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა. იგი დაკავშირებულია რუსეთის გენშტაბის ხელმძღვანელთან - გენერალ ვალერი გერასიმოვთან, რომელიც აღწერდა „არასწორხაზოვან ომს“, როგორც ომის წარმოების ახალ მეთოდს, რაც დამახასიათებელი და სპეციფიკური იყო კონფლიქტებისთვის „არა-

ბული გაზაფხულის“ შემდეგ. დასავლეთის მედია, პოლიტიკოსები და სამხედრო ელიტარული წრეების წარმომადგენლებმა შეაფასეს იგი როგორც სახელმძღვანელო და „გერასიმოვის დოქტრინა“ უწოდეს [4].

გერასიმოვთან, რომელიც აღწერდა „არასწორხაზოვან ომს“, როგორც ომის წარმოების ახალ მეთოდს, რაც დამახასიათებელი და სპრციფიკური იყო კონფლიქტებისთვის „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ. დასავლეთის მედია, პოლიტიკოსები და სამხედრო ელიტარული წრეების წარმომადგენლებმა შეაფასეს იგი როგორც სახელმძღვანელო და „გერასიმოვის დოქტრინა“ უწოდეს მალე „ჰიბრიდული ომის“ ცნება გაფართოვდა და აღწერდა რუსეთის ახალ საფრთხეს ევროპული საზოგადოებისთვის [5. 51-58]. მოგვიანებით, ამ ცნებამ დიდი პოპულარობა მოიპოვა რუსეთის მედიასა და სამხედროებს შორის, რის შედეგადაც დაიწყო კიდეც მისი გამოყენება.

გერასიმოვი აცხადებს, რომ მსოფლიოს „წამყვანმა ქვეყნებმა“ უკვე დანერგეს ასიმეტრიული ომის რეალობა საკუთარ სამხედრო დოქტრინებში. იგი აგრეთვე გულისხმობს იმას, რომ ამ ქვეყნებმა მიიღეს ასეთი ომის გარკვეული მეთოდები და წარმოადგინეს „არაბული გაზაფხულის“ მოვლენების პარანოიდული ინტერპრეტაცია: „ე.წ. ფერადი რევოლუციები ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში....21-ე საუკუნის ტიპიური ომებია“ [6. 1-3].

როგორც კი ხმაური დაიწყო რუსეთის ჰიბრიდულ ომთან დაკავშირებით, აღნიშნული ტერმინის ავტორმა - ჰოფმანმა, ისარგებლა შესაძლებლობით და განაცხადა, რომ სწორედ ასეთ ომს აქვს ადგილი უკრაინაში, (და სწორედ ასეთი ომი იყო საქართველოშიც 2008 წელს). მან, „კატასტროფული ტერორიზმის“ მაგალითად მოიყვანა 2014 წელს მალაიზიის თვითმფრინავის განადგურება, რაც მის თეორიაში ასახულია, როგორც ჰიბრიდული ომის ერთერთი ტაქტიკა [7].

2014 წელს ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ღიად დაადანაშაულა რუსეთი ჰიბრიდული ომის წარმოებაში, რომელიც „სამხედრო მოქმედებების, ფარული ოპერაციებისა და აგრესიული დეზინფორმაციის პროგრამებს აერთიანებს“ [8]. მას შემდეგ, ნატოში რეგულარულად იყენებდნენ ამ ტერმინს. იგი ასევე მოხვდა 2015 წლის სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის სამხედრო გამოცემა „Military Balance“-ში, სადაც „ჰიბრიდული ომი“ უკვე მოიცავდა დიპლომატიას, საინფორმაციო ოპერაციებსა და ეკონომიკურ ზეწოლას [9]. საბოლოო ჯამში, ნატო-ს ერთერთ ღონისძიებაზე გაცხადებულ იქნა, რომ არ არსებობს ჰიბრიდული საფრთხის ნათელი განსაზღვრება, რომელსაც მივყევართ ჰიბრიდული ომის განსაზღვრებისკენ [10]. ამ ხნის განმავლობაში ჰიბრიდული ომის ცნებამ ზემოქმედების ნებისმიერი სახის მნიშვნელობა მიიღო: პროპაგანდიდან დაწყებული კონვენციური ომით დამთავრებული. ერთერთმა კრიტიკოსმა ამ ცნებას „ფრანკენშტეინიც“ კი უწოდა, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე აღმოაჩინა [4].

რაში მდგომარეობდა სიახლე ჰიბრიდული ომის განსაზღვრებასთან დაკავშირებით, ახალი სემანტიკური სიცოცხლის მოპოვების შემდეგ? ზემოაღნიშნულ ჰოფმანისეულ განსაზღვრებას დაემატა ორი ახალი ელემენტი: 1. საბრძოლო მოქმედებების წარმოების სივრცე გაიზარდა და მოიცვა ნებისმიერი ადგილი მსოფლიოში, ფიზიკური თუ ვირტუალური; 2. ომის წარმოების ხერხები ახლა უკვე მოიცავს დიპლომატიას, სიახლეებს, კორუფციას, ფინანსურ პოლიტიკურ პარტიებს, რეკლამას, ეკონომიკურ ზეწოლასა და ა.შ.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ჰიბრიდული ომის იდეა გაჩნდა „ახალი ომების“ თეორიის ტექნიკური დაზუსტების პრეტენზიიდან გამომდინარე. ერთ-ერთ ასეთ თეორიას წარმოადგენს მერი კალდრორის მიერ შექმნილი თეორია, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ახსნა-განმარტებას დონბასის ომის მაგალითზე. უფრო მეტიც, ავტორი თავად აღიარებს, რომ ახალი ომის კონცეფცია უკრაინის ომში იქნა გამოყენებული [11].

ამ თეორიის გამოყენების შესაძლებლობის შესაფასებლად, საჭიროა ახალი ომების თეორიის ზოგად კრიტიკაზე გავამახვილოთ ყურადღება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთ-ერთი კრიტიკოსის - სტივენ რაიინის თვალსაზრისი, რიმელიც დაფუძნებულია დონბასის მოვლენებზე დაყრდნობით.

1. „ახალი ომები“ - წარმოადგენს თვისობრივად ახალი ტიპის კონფლიქტის სახეობას, რომელიც წარმოიშვა ბიპოლარული სამყაროს გაქრობისა და გლობალიზაციის დაჩქარების შემდეგ. ახალი ომების თეორია ეყრდნობა ემპირიულ მაგალითებს, რომელიც დაკავშირებულია ე.წ. „მესამე მსოფლიოს“ ძირითად ომებს, სუსტი და დამოკიდებული ხელისუფლების პირობებში. ერთი შეხედვით ყირიმის ანექსიით დაწყებული მოვლენები ჯდება ამ ჩარჩოებში, მაგრამ სინამდვილეში უკრაინის ომს ბევრი რამ აქვს საერთო „ძველ ომებთან“.

2. ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების კოროზია - წარმოადგენს „ახალი ომების“ განმსაზღვრელ მახასიათებელს [12. 78]. „უკრაინის კრიზისის“ განხილვა ერთგვაროვანი ფენომენის რანგში, რომელიც ხშირად ხორციელდება ახალი ომებისა და ჰიბრიდული ომის იდეის მიმდევრების მიერ, მხოლოდ ნაწილობრივაა შესაძლებელი. თავდაპირველად, უკრაინულმა სახელმწიფომ განიცადა ლეგიტიმაციისა და მართვის კრიზისი და არ ჰყავდათ სრულყოფილი არმია. მაგრამ მალე მდგომარეობა გამოსწორდა, ჩატარდა არჩევნები და მოახდინა საკუთარი ხელისუფლების კონსოლიდაცია ტერიტორიის უმეტეს ნაწილში. სეპარატისტულმა პოლიტიკურმა ფორმირებებმაც განიცადეს ცვლილებები და დაექვემდებარნენ ცენტრალიზაციას: დამოუკიდებელი საველე მეთაურები ლიკვიდირებულ იქნა, ხოლო ცენტრალური სარდლობა

აღდგა რუსეთის გავლენის წყალობით. ორივე შემთხვევაში გარე მოთამაშეები დაინტერესებულნი იყვნენ დაპირისპირებულ პოლიტიკურ ფორმირებათა კონტროლის აღდგენით.

3. „ახალ“ და „ჰიბრიდულ“ ომებში იშლება საზღვარი ომსა და მშვიდობას შორის, ტერორი (მასობრივი მკვლელობები, ძალადობრივი გადაადგილება, დაშინება) მიმართული იყო ძირითადად მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ [12. 8]. მართლაც, მრავალრიცხოვანი ბრალდებები არსებობდა კონფლიქტის ორივე მხარეს სამხედრო დანაშაულებთან დაკავშირებით, მაგრამ ეს ძირითადად დაკავშირებული იყო ომის ადრეულ სტადიასთან. უკრაინის ხელისუფლება ოფიციალურად ატარებს „ანტიტერორისტულ“ ოპერაციას და სეპარატისული შეიარაღებული ფორმირება ტერორისტულად გამოაცხადა, თუმცა, ეს აღიარებული არ არის საერთაშორისო დონეზე და წარმოადგენს დიპლომატიურ ხრიკს.

4. „ძველი ომები“ იყო იდეოლოგიური ან გეოპოლიტიკური ხასიათის მატარებელი, მაშინ, როდესაც „ახალი ომები“ დაფუძნებულია იდენტურობის პოლიტიკაზე (ეთნიკური, რელიგიური) [12. 6].

იმდენად, რამდენადაც „ჰიბრიდული ომი“ გულისხმობს სამხედრო მოქმედებათა კოორდინაციის ერთიანი გონივრული ცენტრის არსებობას, სეპარატისტები დასავლეთის თვალში, ისევე, როგორც „ფერადი რევოლუციების“ მონაწილეები რუსეთის თვალში, კარგავენ საკუთარ სუბიექტურობასა და მოტივაციას და მოკლებულნი არიან საკუთარ ნებას. ამასთან, იმდენად, რამდენადაც „ჰიბრიდული ომი“ წარმოადგენს ტერორიზმის წინააღმდეგ ომის ფართო მანიის ნაწილს, იგი ასახავს ნებისმიერ სოციალურ წარმონაქმნს ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა კარფ ფონ კლაუზევიცის ნააზრევი, რომელმაც დასაბამი მისცა ომის, როგორც მოვლენის კვლევას და დღესაც ასეთი კვლევების ერთგვარ საზომადაა მიჩნეული.

კარფ ფონ კლაუზევიცი ნაშრომში „ომის შესახებ“, საუბრობს ომის ბუნებზე და განიხილავს მას, როგორც ერთ მთლიანობას. იგი ყურადღებას ამახვილებს ომის კამპანიის დაგეგმვაზე, რომელიც მოიცავს განსაკუთრებულ მოქმედებაში გაერთიანებულ სამხედრო საქმიანობას ყველანაირი გამოვლინებით, რომელსაც ერთი საბოლოო მიზანს ემსახურება. კლაუზევიცის აზრით, ომის დაწყება მიზანშეწონილია მკვეთრად განსაზღვრული პოლიტიკური მიზნებისა და სამიზნეების არსებობის შემთხვევაში, სასურველი შედეგის მისაღწევად. აქედან გამომდინარე ხორციელდება ომში გამოსაყენებელი ძალებისა და საშუალებების განსაზღვრაც.

ომზე მსჯელობისას, კლაუზევიცი რამდენიმე გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას: ომი კატეგორიაა, რომლის შინაარსი სამ ვითარებას ეყ-

რდნობა. ესენია დაპირისპირება, ძალადობა და მოწინააღმდეგის დამორჩილების ნება. ომი - ძალადობა, შემთხვევითობა და გაურკვევლობაა, ხოლო როგორც მოვლენა, რომელიც ჩვენივე აღქმის შედეგად, ჩვენი განსჯის საგანს წარმოადგენს – შეიარაღებულ ძალთა დაპირისპირებაა, რომელიც მეომარ მხარეთა მიერ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოიყენება. შესაბამისად, ზოგადად, ომი ძალადობის, დაპირისპირების, შემთხვევითობსა და გაურკვევლობის ერთობლიობად გვევლინება.

ავტორის აზრით, ომი ორმაგი ბუნების მატარებელია: ობიექტური და სუბიექტური. ომის ობიექტური ნაწილი გულისხმობს - ძალადობას, ე.წ. ფრიქციას, შემთხვევითობასა და მოულოდნელობას. მეორე მხრივ, ომის სუბიექტური მახასიათებლებია - სამხედრო ძალები, მათი დოქტრინები, შეიარაღება, მთელი ის (სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო) გარემო, სადაც მოთამაშეები მოქმედებენ. კლაუზევიცის აზრით, ომის ობიექტური და სუბიექტური მხარეები გამუდმებით ურთიერთქმედებენ და როგორც ამ ურთიერთქმედების შედეგი, მათი დაცილება შეუძლებელია. ანუ, ომის ბუნება არ შეიძლება გაიმიჯნოს მისი არსისა და მასში მონაწილე მოთამაშეებისგან.

ომის მიზანს მოწინააღმდეგის განადგურება წარმოადგენს, რასაც იგი აბსოლუტურ ომს უწოდებს. მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ ომზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას, მას ცვალებადი ხასითი გააჩნია და მერყეობს აბსოლიტურიდან რეალურამდე, თუმცა, ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ ომის დაგეგმვისას მთავარ ორიენტირად აბსოლუტური ომი უნდა იქნას აღებული.

კლაუზევიცისავე აზრით, ომი შედგება სამი უმთავრესი ძალისაგან (ე.წ. ომის სამებისაგან), რომლებიც ასევე ურთიერთქმედებენ ომის ბუნებასთან. ესენი არიან: მისი წარმმართველი ძალა ან დაქვემდებარებული ზეგავლენა პოლიტიკა **(სახელმწიფო),** შემთხვევითობა და მოულოდნელობა **(არმია, მხედარმთავრები)** და ასევე ანტაგონიზმი, ანუ დაპირისპირებულობა (**ხალხი).**

ამგვარად, ტრიადა - „მთავრობა - არმია - ხალხი“ წარმოადგენს იმ ღერძს, რაზედაც ომის თეორია უნდა დაფუძნდეს. ამათგან, მთავრობა პოლიტიკურად მართავს ომს, ხალხი წარმოადგენს შინაგანი სიძულვილის მატარებელ სუბსტრაქტს, ხოლო არმია, ამ ხალხის სახელით, პოლიტიკური მიზნების რეალიზაციისთვის იბრძვის.

ომის დროს წარმოქმნილი ურთიერთქმედებათა ეს ჯაჭვი გულისხმობს საბოლოო გამარჯვებას მოწინააღმდეგეზე. კლაუზევიცის აზრით, ნებისმიერ ომს გააჩნია კულმინაციის წერტილი, რომლის დროსაც მიიღწევა გამარჯვება. კულმინაციის წერტილს კი მოჰყვება ის ფაზები, სადაც ხდება დანაკარგებისა და მარცხის ეტაპების ფორმირება. საბოლოო გამარჯვებამდე, ანუ მოწინააღმდეგის განადგურებამდე ყველაფერი გაურკვეველია. ყველაფერს ომის დასრულება განსაზღვრავს. ამდენად, ომი, ერთ მთლიანობას

წარმოადგენს ცალკეული ფაზებითა და ეტაპებით, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბოლოო შედეგთან მიმართებაში.

კლაუზევიცი საბოლოოდ ასკვნის, რომ ნებისმიერი ომის წინ, არსებულ პოლიტიკური ვითარებისა და ზოგადი გარემოდან გამომდინარე წინასწარ უნდა იქნას განსაზღვრული ომის ხასიათი. ომის დამწყებმა მოთამაშეებმა უნდა გამოიყენონ ის ძალები და საშუალებები, რომელიც აუცილებელია ომში მთავარი მიზნის მისაღწევად გართულებების თავიდან ასაცილებლად, გათვალისწინებულ უნდა იქნას მთელი რიგი ფაქტორები, რამაც მომავალში შესაძლოა გავლენა მოახდინოს ომის მსვლელობაზე. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გარკვეულ იქნას ომის პოლიტიკური და სამხედრო მიზნები და იმ ძალათა და საშუალებათა მოცულობა, რაც აუცილებელია დასახული ამოცანებისა და საბოლოო შედეგის მისაღწევად.

კლაუზევიცი აღწერს ომის ხასიათს და აცხადებს, რომ „თითოეულ ეპოქას თავისი ომი გააჩნია, ისევე, როგორც საკუთარი შემზღუდავი გარემოება და სირთულეები“. ეს თეზისი აღწერს ომის ხასიათს, როგორც გარკვეულ რეალობაზე დამოკიდებულ მოვლენას. თანამედროვე ეპოქაში ცნობილი პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე თაობის ომების დეფინიციის საშუალებას სწორედ თითოეული თაობისთვის უნიკალური გარემო-ფაქტორები იძლევა.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ომის მთავარი სამხედრო მიზანი - მოწინააღმდეგის განადგურება წარმოადგენს, რომელშიც შესაძლოა სხვადასხვა რამ იყოს ნაგულისხმევი. ერთ შემთხვევაში ეს შეიძლება მოწინააღმდეგის ტერიტორიის დაკავება იყოს, მეორეში - მისი ცოცხალი ძალის განადგურება ამ მისი რომელიმე ქალაქის დაკავებაც საკმარისი აღმოჩნდეს მოწინააღმდეგის ბრძოლისუნარიანობის გასატეხად. ამასთან, ომში შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს რაიმე ინდივიდუალური ხასიათის მიზეზი ან თუნდაც მორალური ფაქტორი.

ავტორის აზრით, უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს არცერთი ასპექტი, რაც მნიშვნელოვანია დაპირისპირებულ მხარეთა ძალთა თანაფარდობაში, რამდენადაც, სწორედ ამ უკანასკნელში ყალიბდება ე.წ. „სიმძიმის ცენტრი“. კლაუზევიცის აზრით, სწორედ „სიმძიმის ცენტრის“ წინააღმდეგ უნდა იქნას მიმართული არსებითი დარტყმა. ისევე, როგორც მოწინააღმდეგის განადგურება შესაძლოა სხვადასხვა რაღაცას გულისხმობდეს, ასევე „სიმძიმის ცენტრიც“ შესაძლოა სხვადასხვა იყოს განსხვავებულ მოწინააღმდეგეთათვის. თუ პირველი დარტყმის შემდეგ მოწინააღმდეგე კარგავს წონასწორობას, მას არ უნდა მიეცეს ძალების აღდგენის დრო, საშუალება და შესაძლებლობა. დარტყმა უნდა გაგრძელდეს „სიმძიმის ცენტრის“ მიმართულებით და ყველანაირი საშუალება იქნას გამოყენებული მის გასანადგურებლად.

ამრიგად, მოწინააღმდეგის განადგურება გულისხმობს მოწინააღმდეგის

„სიმძიმის ცენტრის“ განსაზღვრას და ამ უკანასკნელში კონცენტრირებული წინააღმდეგობის გატეხვას. ავტორის აზრით:

ა) უნდა შეგვეძლოს მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებზე გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება;

ბ) უნდა გაგვაჩნდეს გამარჯვების განვითარებისა და შემდეგ მისი შენარჩუნების უნარი იმ მდგომარეობამდე, რომლის შემდეგაც მოწინააღმდეგის ძალთა აღდგენა შეუძლებელი იქნება;

გ) არსებული პოლიტიკური მდგომარეობა უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მიღწეული წარმატების შემდეგ არ გავიჩენთ ახალ მტრებს, რაც გადაგვახვევინებს დასახული მიზნებისა და მოწინააღმდეგეებისგან.

ამრიგად, კლაუზევიცის მიხედვით, ომი - პოლიტიკის ინსტრუმენტია, მისი ნაწილი და არა დამოუკიდებელი მოვლენა. იგი პოლიტიკურ ურთიერთობათა გაგრძელებაა სხვა ხერხებითა და საშუალებებით. რამდენადაც ომი პოლიტიკის ნაწილია, იგი პოლიტიკური თვისებების მატარებელსაც წარმოადგენს. ამიტომ, თუ პოლიტიკა გრანდიოზული და მძლავრი ხდება, მაშინ, ასეთივე ხასიათს იძენს ომიც. მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიტიკა ომის დაწყების შემდეგ წყვეტს არსებობას, მცდარია და ასეთი რამ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ომი იქნებოდა ბრძოლა სიკვდილისთვის და არა გადარჩენისთვის. ომი უნდა შეესაბამებოდეს პოლიტიკის ჩანაფიქრს, რომელიც ომის მიზანში მდგომარეობს, ხოლო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ამ ჩანაფიქრების იმ საშუალებებთან შეხამება, რომელიც ომისთვის გააჩნია. იქ, სადაც სწორი პოლიტიკა ხორციელდება, ანუ პოლიტიკურ ქმედებებს მივყევართ მიზნების მიღწევისკენ, მასინ მისი გავლენა ომზე - დადებითია, წინააღმდეგ შემთხვევაში - სისუსტე და შეცდომები პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ. შემდგომ კლაუზევიცი საუბრობს ომის დაგეგმარების ორ მთავარ პრინციპზე, რომელთაგან ერთი გულისხმობს მოწინააღმდეგის მთელი სიმძლავრის ერთ „სიმძიმის ცენტრამდე“ დაყვანას, ხოლო მეორე - დარტყმას ამ უკანასკნელზე, მაქსიმალურად ნაკლები რაოდენობის ოპერაციების საშუალებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ - პირველი გულისხმობს მოქმედებათა მაქსიმალურ კონცენტრაციას, მეორე - მოქმედებათა მაქსიმალურ სისწრაფეს. ამასთან, კლაუზევიცი აღნიშნავს, რომ ერთიანი საბრძოლო მოქმედებათა თეატრის პირობებში ძირითად მიმართულებაზე შეტევისას მნიშვნელოვანია ყველა მეორეხარისხოვანი მიმართულების ძირითადზე ორიენტირება და მასთან ურთიერთქმედება. მთავარ მიმართულებაზე მიღწეული წარმატება მოწინააღმდეგის ყველა მეორეხარისხოვან მიმართულებას დაუკარგავს დამოუკიდებლად მოქმედების უნარს, რომელიც კავშირშია ჩვენი საბრძოლო მოქმედებების ძირითად მიმართულებასთან. თუკი შესაძლებელი იქნება ოპერაციაში მთელი ძალე-

ბის ერთი მიმართულებით შეტევისთვის კონცენტრირება, მაშინ შეხების წერტილები მეორად მიმართულებებთან მთლიანად გაქრებოდა. თუმცა, ავტორის აზრით, ასეთი ვითარებები - იშიათია. ხოლო მოწინააღმდეგის რამდენიმე „სიმძიმის ცენტრის“ არსებობის პირობებში, საჭირო იქნება დამოუკიდებელი კამპანიების დაგეგმვა და წარმოება თითოეული მათგანის წინააღმდეგ.

მოწინააღმდეგის „სიმძმის ცენტრის“ განსაზღვრისა და ძალთა კონცენტრაციის უზრუნველყოფის შემდეგ, კლაუზევიცის აზრით, ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძალთა სწრაფ გადაადგილებას. ნებისმიერი დაყოვნება და ყოყმანი შესაძლოა დამღუპველი აღმოჩნდეს. შეტევისას ყველაზე კარგი მოქმედება სისწრაფე და მოულოდნელობაა. ამასთან, მისი აზრით, დასაწყისისთვის ყოველთვის მიზანშეწონილია მოწინააღმდეგის ძალების ნეიტრალიზება, ანუ ჯერ დიდი გამარჯვება მათზე, შემდეგ კი საბოლოო განადგურება. რაც უფრო სწრაფად იქნება შესაძლებელი ასეთი წარმატება, მით უფრო კარგია საბოლოო გამარჯვებისთვის. ხოლო რაც შეეხება ომის დასასრულს - იგი ყოველთვის განსხვავებულია.

მოწინააღმდეგის განადგურებისკენ მიმართულ ომის გეგმაში კი, უმთავრესია უპირველეს ყოვლისა დასახულ იქნა ომის პოლიტიკური მიზანი, შემდგომ სამხედრო მიზნები და ამის შემდეგ განისაზღვროს ხერხები, გზები და საშუალებები, რომელიც ყველაზე კარგად უზრუნველყოფს დასახული ამოცანების განხორციელებას.

ამრიგად, შესაძლოა დასკვნის სახით ვთქვათ, რომ ომის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, კარგად გააზრებული უნდა გვქონდეს რის მიღწევას ვცდილობთ, ანუ ამ ომის პოლიტიკური მიზნები. შემდეგ განსაზღვრულ უნდა იქნას მოწინააღმდეგის „სიმძიმის ცენტრი“. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი, რაზეც დამოკიდებულია ომის შემდგომი მსვლელობა და შედეგები. სწორედ სიმძიმის ცენტრის სიძლიერიდან გამომდინარე იქნება შესაძლებელი იმის განსაზღვრა, ხელთ არსებული ძალებისა და საშუალებების მეშვეობით შესაძლებელი იქნება თუ არა მოწინააღმდეგის „სიმძიმის ცენტრში“ თავმოყრილი წინააღმდეგობის გადალახვა. ამის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა და ომში გამარჯვება. ამასთან, ზემოაღნიშნული ჯაჭვიდან რომელიმე რგოლის ამოვარდნის ან ბუნდოვანების შემთხვევაში, კამპანიის ბედი რისკის ქვეშ დგება და აუცილებელია პოლიტიკური მიზანი შეიცვალოს ან დაველოდოთ მიზნის შესაბამისი ძალის დაგროვებას.

კლაუზევიცის აზრით, საბოლოო ჯამში ომი - ეს არის ძალადობის აქტი, რომლის მიზანია **მოწინააღმდეგის წინააღმდეგობის, მისი ნების გატეხვა,** მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით იქნება ეს განხორციელებული. ამრი-

გად, კლაუზევიცის კონცეფცია პრეტენზიას აცხადებს უნივერსალურობაზე, რომელსაც შეიარაღებული კონფლიქტისა და ნებისმიერი ომის ბუნების ახსნის უნარი შესწევს.

სწორედ ამიტომ, კლაუზევიცის იდეები ითვლება სამხედრო-პოლიტიკური აზროვნების კლასიკურ მაგალითად. ფართოდ გავრცელებულია აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა XX-XXI საუკუნეების სამხედრო ლიდერებზე. კლაუზევიცის ომის კონცეფციამ ფართო გავრცელება ჰპოვა საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულებითაც. მაგრამ მცდარია შეხედულება იმასთან დაკავშირებით, თითქოსდაა კლაუზევიცი ყველას მიერ აღიქმებოდა როგორც დოგმა. მაგალითად, გერმანელმა გენერალმა ერიხ ლუდენდორფმა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის პერიოდში 1916 წელს ფაქტიურად ხელმძღვანელობდა გერმანული არმიის ყველა ოპერაციას, შეიმუშავა „ტოტალური ომის“ კონცეფცია, რომელსაც სწორედ კლაუზევიცის კრიტიკა უდევს საფუძვლად. ჯერ ერთი, მან უარყო კლაუზევიცის მტკიცება შეზღუდული ომების არსებობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. მეორეც - იგი უარყოფდა იდეას იმის შესახებ, რომ ომი წარმოადგენს პოლიტიკის გაგრძელებას (ლიდენდორფის აზრით, ომის წარმოებასა და მის მომხადებას ხელმძღვანელობენ მხოლოდ სამხედროები, ანუ საბოლოო ჯამში გენერალური შტაბი) [13].

კლაუზევიცის ასეთი განმარტება მცდარი აღმოჩნდა: ისტორიოგრაფიაში განმტკიცდა თვალსაზრისი, იმასთან დაკავშირებით, რომ სამხედრო სტრატეგიის გამოყოფამ ზოგადსახელმწიფოებრივი სტრატეგიისგან გამოიწვია გერმანიის მარცხი პირველ მსოფიო ომში [14].

კრიტიკის ნამდვილი ქარ-ცეცხლი დაატყდა თავს კლაუზევიცის კონცეფციას XX საუკუნის ბოლოსა და XXI 21-ე საუკეუნის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც 1989 წელს ვილიამ ლინდმა და მისმა თანაავტორებმა შეიმუშავეს მე-4 თაობის, მაღალტექნოლოგიური ომის კონცეფცია, რომელთანაც შეუთავსებელია „წარსული თაობის მოძველებული პრინციპები და დოქტრინები“ [15].

სამხედრო ტექნიკის (მაღალი სიზუსტის იარაღის, უპილოტო საფრენი აპარატების გამოჩენა) გამალებული და სწრაფი განვითარების ფონზე, თანამედროვე ომის წარმოების მეთოდების ცვალებადობიდან გამომდინარე (ინფორმაციული, კიბერ-ომისა და ა.შ) შეინიშნება ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების ალბათობის შემცირება. ანალიტიკოსების აზრით, თანამედროვე კონფლიქტებში არ არსებობს ფრონტისა და ზურგის ხაზი მათი კლასიკური გაგებით და შიდაკონფლიქტები სწრაფად გადადის საერთაშორისო, აგრეთვე, ჰუმანიტარულ, კონტრტერორისტულ ოპერაციებში. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო წრეებში აღნიშნავენ, რომ ამ ზემოაღნიშნულ

მოვლენათა ზემოქმედების შედეგად კლაუზევიცის კონცეფცია მოძველდა. ხიუ სტრეჩანი და ანდრეას ჰერბერგ-როტე - ავტორები წიგნისა „კლაუზევიცი 21-ე საუკუნეში“ აღნიშნავენ, რომ კლაუზევიცის კრიტიკა ნათლად გამოჩნდა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ და შეერთებული შტატების ერაყში (2003 წ) შეჭრის შემდეგ [16].

მეცნიერები გამოჰყოფენ კლაუზევიცის კრიტიკის ორ მიმართულებას[17]. პირველი მიმართულია იმის მტკიცებისენ, რომ გლობალიზაციისა და ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოთა რიცხვის ზრდის პირობებში ომი ხდება არააქტუალური პოლიტიკური საშუალება, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ომი - ძვირი ფუფუნებაა და აქედან გამომდინარე, ეკონომიკურად არამომგებიანია. ასეთ თვალსაზრისს ემხრობე მაგალითად ამერიკელი პოლიტილოგი ჯონ მიულერი [18]. კრიტიკის მეროე მიმართულება დაფუძნებულია მტკიცებულებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ პოსტ-მოდერნისტულ ეპოქაში მასიური არმიები წარსულში რჩება და პრიორიტეტი ენიჭება კომპაქტურ შეიარაღებულ ძალებს, რომელიც შესაძლებელია ნებისმიერ დროს გადასროლილ იქნას მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში სხვადასხვა სირთულის დავალების განსახორციელებლად. რაც იმას ნიშნავს, რომ ჩნდება „კლაუზევიცის შემდგომი“ სამხედრო სტრატეგიის შექმნის აუცილებლობა. ასეთ თვალსაზრისს ემხრობა მაგალითად პელხამ ბოიერი, რობერტ ვუდი, ედვარდ ლუტვაკი [19. 310]; [20. 109-122].

ტრადიციული ომის მოძველების იდეა ასევე მოცემულია მარტინ კრეველდის ნაშრომში „ომის ტრანსფორმაცია“, რომლის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ომის ფორმატი - „სახელმწიფო სახელმწიფოს წინააღმდეგ“, „არმია არმიის წინააღმდეგ“ წარსულში რჩება და მასთან ერთად „კლაუზევიცის ომის სამებაც“ - სახელმწიფო, არმია, ხალხი. კრეველდის აზრით, მომავალში ომის წარმოება მოხდება არა არმიის, არამედ ჯგუფების მიერ, რომლის წევრებიც ამჟამად ტერორისტებად იწოდებიან და რომლებიც საკუთარი თავისთვის იგონებენ მისაღებ ოფიციალურ ტიტულებს. კრეველდი ასევე აღნიშნავს, რომ ასეთ პირობებში ომი ხდება ადამიანის მოღვეწეობის კულტურულად განპირობებული სახეობა, საზოგადოების არსებობის თავისებური ფორმა და შესაბამისად, არა პოლიტიკის საშუალებად, არამედ არსებობის მიზანი [21].

მსგავს პოზიციას ავითარებს ალენ დე ბენუა, რომელიც აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს დღეს არ გააჩნია ძალადობის განხორციელების მონოპოლიური უფლება, რამდენადაც ეს უფლება ნაწილობრივ აიღო არასახელმწიფოებრივმა ორგანიზაციებმა და დაჯგუფებებმა. შედეგად, სამხედრო კონფლიქტების პოლიტიკური მნიშვნელობა მცირდება სახელმწიფო დონიდან ორგანიზაციების, ჯგუფებისა და კერძო პირთა დომენდე. ამ პირობებში საზღვარი ომსა და მშვიდობას შორის იშლება და ომი მისი

სხვადასხვა გამოვლინებითა და ფორმებით გადაიქცევა ნორმად, მუდმივ მდგომარეობად [22].

პროფესორი მერი კალდორი ასევე მიიჩნევს, რომ თანამედროვე მსოფლიოში ომი აღარ წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტს. თანამედროვე კონფლიქტებში იზრდება სუბ-სახელმწიფო სუბიექტების (მთავარსარდლები, ნარკომოვაჭრეები, ტერორისტები) როლი და აქედან გამომდინარე, კლაუზევიცის მიერ მოცემული ომის განსაზღვრება, როგორც ინსტრუმენტი სახელმწიფოს ხელში პოლიტიკური მიზნების მისაღწევად - არ შეესაბამება ომის ცვალებად ბუნებას [23].

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კლაუცევიცი კრიტიკის საგანი ხდება სამხედრო სფეროს წარმომადგენელთა მხრიდანაც, რომლებიც ჩვეულებრივ, კონსერვატორულ პოზიციას იკავებენ და სკეპტიკურად უყურებენ ტრადიციული კონცეფციების გადახედვასთან დაკავშირებულ საკითხებს. მაგალითად, ინფორმაციული ომის კონცეფციის ერთერთი ფუძემდებელი, შეერთებული შტატების საჰაერო ძალების პოლკოვნიკი რიჩარდ შაფრანსკი კლაუზევიცის კონცეფციას მოძველებულს უწოდებს, რამდენადაც ომის მიზანი თანამედროვე რეალობაში შესაძლოა მიღწეულ იქნას ძალადობის გამოყენების გარეშე, „საკმარისი რაოდენობის გონების განადგურების საშუალებით, რომლის დროსაც სურვილი კვდება ორგანიზმთან ერთად“ [24. 41-55]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი მიიჩნევს, რომ ომის მიზანს განადგურება კი არა მართვა წარმოადგენს, რომლის განხორციელებაც ძალადობისა და სისხლისღვრის გარეშეც შეიძლება [25. 56-65].

ავსტრალიის არმიის ყოფილი ხელმძღვანელი გენერალ პიტერ ლეხი ეჭვქვეშ აყენებს კლაუზევიცის თეზისს იმასთან დაკავშირებით, რომ ომი წარმოადგენს წინააღმდეგობას/ ბრძოლას, რომელშიც მინიმუმ ორი მხარე მონაწილეობს. მისი აზრით თანამედროვე სამყაროში ომი შესაძლოა მხოლოდ ერთი მხარის მიერაც იქნას წარმოებული და ამის დასტურად ტერორისტული აქტის მაგალითი მოჰყავს.

„პოსტკლაუზევიცისეული“ სამხედრო სტრატეგიას ეხმაურება ცნობილი მეცნიერი და ანალიტიკოსი ე. მესნერი ნაშრომით „ამბოხი-ომი“, რომელიც ამ ცნებაში მოიაზრებდა ომს, სადაც საბრძოლო მოქმედებები წარმოებს არა ფრონტის ხაზზე, არამედ მონაწილე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე - სოციალური და ეკონომიკურ ფრონტზე და ოთხგანზომილებიან სივრცეში (ხმელეთი, წყალი, ჰაერი, მებრძოლი ხალხის ფსიქიკა) [26]. მოცემული კონცეფციის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ კლასიკურ სამხედრო მოქმედებებს შეცვლის არაპირდაპირი მოქმედებები (ტერორიზმი, არაფორმალური სამხედრო გაერთიანებები და ა.შ). ამბოხი - ომისას ადგილი აქვს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა: ხალხის დემორალიზება, საკვანძო ეკონომიკური ობიექტების ხელში ჩაგდება,

მთავარი მატერიალური ობიექტების განადგურება. ამბოხი - ომის კონცეფციის მომხრეთა აზრით, შესაძლოა გამარჯვება მოიპოვოს არც ისე ძლიერი არმიის მქონე მოწინააღმდეგემ: ჰაკერებს მაგალითად, შეუძლია გაანადგურონ მაღალი ტექნოლოგიების მქონე მოწინაღმდეგის მთელი თავდაცვა.

აქედან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას, რომ თანამედროვე ომის კონცეფციების თანახმად, ომი წარმოადგენს ცნობიერების დაზიანებას, სადაც არ არსებობს ზღვარი ომსა და პოლიტიკას შორის. ზოგადად, ომის მიზანს წარმოადგენს ღირებულებათა სისტემის ცვლილება, მოწინააღმდეგის გენოციდის ან დეზორიენტაციის მიზნით, მისი რესურსების ხელში ჩასაგდებად, რომლის მიღწევაც შესაძლებელია ეკონომიკური და სხვა ბერკეტების ამოქმედების საშუალებით [27. 100-114].

ზემოაღნიშნული მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ კლაუზევიცის ოპონენტების ყველა მთავარი იდეა მდგომარეობს თანამედროვე რეალობის „აბსოლუტური ომის“ შესახებ „კლაუზევიცისეული“ კონცეფციის შეუსაბამობასთან. საკუთარ ნაშრომებში ისინი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ კლაუზევიცის დროის შემდეგ შეიცვალა ომის ფენომენისადმი მიდგომა და პასუხები კითხვებზე: „რატომ, სად და როგორ იწყება და ხდება ომის წარმოება“, თუმცა, ამასთან, ისინი ყურადღებას არ აქცევენ თავად ომის ფენომენს, მის ბუნებას.

აქედან გამომდინარე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ კლაუზევიცის კრიტიკოსებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს მისი ნაშრომი „აბსოლუტური ომისა“ და ე.წ. „რეალური ხასიათის ომის“ შესახებ ცნებების აღრევიდან გამომდინარე. კლაუზევიცის კრიტიკოსებს ავიწყდებათ, რომ მან გამოიყენა „აბსოლუტური ომის ცნება“ სამხედრო კონფლიქტების განვითარების ძირითადი ტენდენციების გამოსავლენად, რომელიც მისი ბუნებიდან გამომდინარეობს (მაგალითად ძალთა უკიდურესი დაძაბვიდსან, აბსოლუტური გამარჯვების მიღწევა და ა.შ). კლაუზევიცი აღნიშნავდ, რომ ომი არ წარმოადგენს იზოლირებულ აქტს, ხოლო „ადამიანი საკუთარი არასრულფასოვნებიდან გამომდინარე, ვერასოდეს მიაღწევს აბსოლუტური სრულყოფილების ზღვარს“, ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეალურ ცხოვრებაში ომები არ არის აბსოლუტური [28]. ამ თეზისის საფუძველზე იგი გამოჰყოფდა ე.წ. რეალურ ომებს - რომელსაც ადგილი აქვს რეალურ ცხოვრებაში, კონკრეტულ სამხედრო კონფლიქტებს.

მხედველობაში იღებდა რა, რომ შეუძლებელია აბსოლუტური ომის ცხოვრებაში განხორციელება, მტკიცებულებას, - რომ ომი ემსახურება პოლიტიკური მიზნების მიღწევას და აღიარებდა რა, რომ ომის ბუნება ცვალებადია გარემო-პირობებიდან გამომდინარე, კლაუზევიცმა გამოიყვანა ძალადობრივი კონფლიქტის სქემა, რომელიც შედგება ხუთი ელემენტისგან: კერძოდ, თავდასხმითი, თავდაცვითი, ძალადობრივი მეთოდების, სამხედ-

რო ამოცანებისა და პოლიტიკური ჩანაფიქრისგან [28]. თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ აღნიშნულ სქემას კარგად ერგება „სახელმწიფო-სახელმწიფოს წინააღმდეგ“, „არმია-არმიის წინააღმდეგ“ ომები და დაბალი ინტენსივობის თანამედროვე კონფლიქტები და ომი ტერორიზმის წინააღმდეგ. რაც მთავარია - სამხედრო ქმედებებს ყოველთვის უნდა ამოძრავებდეს პოლიტიკური მიზანი, ხოლო თვითონ ეს ქმედებები შესაძლოა სხვადასხვა ხასიათის მატარებელი იყოს.

რაც შეეხება ინფორმაციულ და ომთან დაკავშირებულ „გასროლის გარეშე“ სხვა სახის კონცეფციებს, აღნიშნულ უნდა იქნას, რომ კლაუზევიცის იდეები კი არ ეწინააღმდეგება მათ, არამედ, ვარაუდობს მოვლენების ასეთ განვითარებას. კლაუზევიცი აღნიშნავდა, რომ ომის შემთხვევაში აუცილებელი არ არის ადგილი ჰქონდეს გამანადგურებელ ომს, ამ უკანასკნელმა შესაძლოა მიიღოს სხვადასხვა ინტენსივობის ხასიათი და ფორმა [28].

დასკვნა

ამრიგად, კლაუზევიცის კონცეფცია დღესაც აქტუალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია თანამედროვე კონფლიქტებისა და ომის ბუნებასთან დაკავშირებული ანალიზისას.

მიუხედავად იმისა, რომ „ჰიბრიდული ომი“ თანამედროვე გლობალური სტრატეგიული ვითარების რეალობად გადაიქცა, ამან ვერ შეცვალა ტრადიციული ომის ფუნდამენტალური ნიშნები; ახალი შეიარაღებული კონფლიქტების არსი, ისევე, როგორც წინათ, ამჟამადაც ხელისუფლებისთვის ბრძოლა წარმოადგენს, მისი ფუძემდებლები და მამოძრავებლები სახელმწიფოთა პოლიტიკური ელიტები არიან, ხოლო თვითონ ომს თან ახლავს სიკვდილი და მსხვერპლი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ომი რჩება პოლიტიკის გაგრძელებად, ხოლო სახელმწიფო - მის სუბიექტად“ [28].

ბოლო ასწლეულში მომხდარი ომებისა და კონფლიქტებისთვის დამახასიათებელია მათი გადაზრდა აჯანყებებსა და ამბოხებებში. ომებთან ერთად წარმოიშვა შეიარაღებული კონფლიქტების ახალი ტიპი, სადაც მებრძოლ მხარეებს წარმოადგენს არა მხოლოდ არმიები და სახელმწიფო შეიარაღებული ძალები, არამედ, სახალხო მოძრაობები და დაჯგუფებები. ომის ამ ახალ ფენომენს, რომელიც ე.წ. „ჰიბრიდული ომის“ სახელითაა ცნობილი, სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოურ პოლიტიკურ მეცნიერებაში და ზოგადად, გულისხმობს სამხედრო ოპერაციებს, რომელიც მოიცავს რეგულარული შეიარაღებული ძალების დოზირებულ გამოყენებას, არაფორმალური შეიარაღებული ფორმირებების ოპერაციებს, სამოქალაქო საპროტესტო აქციებსა და საბოტაჟს, აგრეთვე საინფორმაციო ომს თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ლიტერატურა:

1. Hoffman F., Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars. Artlington, Virginia: Potomac Institute for Policy Studie. 2007.
2. Henderson E. and Singer J., „New Wars“ and Rumors of „New Wars“. International Interactions, 28:2, 2002.
3. Melton Stephen L. Aligning FM 3-24 Counterinsurgency with Reality. Small Wars Journal. 2013
4. Kofman M., Russian Hybrid Warfare and Other Dark Arts. In War on the Rocks. 2016. http://warontherocks.com/2016/03/russian-hybrid-warfare-and-other-dark-arts/.
5. Charap S., «The Ghost of Hybrid War.» Survival: Global Politics and Strategy no. 57 (6), 2015.
6. Герасимов В., «Ценность науки в предвидении». Военно-промышленный курьер, 27 февраля – 5 марта, 2013.
7. Hoffman F., On Not-So-New Warfare: Political Warfare vs Hybrid Threats. In War on the Rocks. 2014. http://warontherocks.com/2014/07/on-not-so-new-warfare-political-warfare-vs-hybrid-threats/.
8. Landler Mark, and Michael R. Gordon. NATO Chief Warns of Duplicity by Putin on Ukraine. New York Times. 2014.
9. Цитировано по Pukhov, Ruslan. Nothing ‘Hybrid’ about Russia’s War in Ukraine. The Moscow Times. 2015.
10. Цитировано по Van Puyvelde, Damien. Hybrid war — does it even exist? NATO Review magazine. 2015.
11. Интервью с Мэри Калдор будет опубликовано в журнале «Спильне», commons.com.ua.
12. Kaldor M., New and Old Wars. Organized Violence in a Global Era. Stanford, California: Stanford University Press, 1999.
13. Снесарев А. Е., Жизнь и труды Клаузевица / А. Е. Снесарев. - М:Кучково поле, 2007. 384 с.
14. Конышев В. Н., Сергунин А. А. Военная стратегия современного государства: учеб. пособие / В. Н. Конышев, А. А. Сергунин. - Спб:Родные просторы, 2012.
15. Lind W., Nightengale K., Schmitt J., Sutton J., Wilso G. - The Changing Face of War: Into the Fourth Generation / W. Lind, K. Nightengale, J. Schmitt, J. Sutton, G. Wilso. Marine Corps Gazette (pre-1994); Oct 1989; 73, 10; ProQuest Direct Complete pg. 22
16. Strachan, H. Herberg-Rothe, A. Clausewitz in the Twenty-First Century / H. Strachan, A. Herberg-Rothe. - Oxford:OUP, 2007. 334 p.

17. Конышев, В. Н. Американский неореализм о природе войны: эволюция политической теории / В. Н.Конышев. - Спб:Наука, 2004. 372 с.
18. Mueller J., Retreat from Doomsday: the Obsolescence of Major War / J. Mueller. - NY: Basic Books, 2001. 328 p.
19. Boyer P., Wood R. Strategic Transformation and Naval Power in the 21th Century / P. Boyer, R. Wood. Newport (R.I.): Naval War College Press, 1998. 310 p.
20. Luttwak E., Toward Post-Heroic Warfare / E. Luttwak // Foreign Affairs - 1995. №3.
21. Кревельд М., Трансформация войны / М. Кревельд. - М: Альпина Бизнес Бук, 2005. 344 с.
22. Alain de Benoist Carl Schmitt today / Alain de Benoist. London:Arktos, 2013.
23. Kaldor M., New and old Wars: Organized Violence in a Global Era / M. Kaldor. - Stanford (California): Stanford University Press, 2007. 256 p.
24. Szafranski R., Neocortical Warfare? The Acme of Skill / R. Szafranski // Military review. - 1994. №11.
25. Szafranski R., A Theory of Information Warfare. Preparing For 2020 / R. Szafranski // Airpower journal. №1. 56-65 p.
26. Месснер Е. Э., Мятеж — имя третьей всемирной / Е. Э. Месснер. - М.: Кучково поле, 2004. 511 с.
27. Конышев В. Н., Сергунин А. А., Дискуссии о войнах будущего в российском экспертно- аналитическом сообществе: мифы и реальность / Конышев В. Н., Сергунин А. А. // Проблемы национальной стратегии - 2013. №4(19).
28. Клаузевиц К. О войне / К. Клаузевиц. - М.:Эксмо, 2013. 512 с.

Fundamental understanding of the nature of war philosophy by Karl Von Clausewitz's and its Critics

Zaza Chkhaidze, PhD student
Georgian Technical University

Summary

The philosophical thought of Carl Von Clausewitz On War gave rise to study of war as an phenomenon and is still regarded as a measure of such research. In his essay" On War," the author talks about the features of war and discusses it as a whole. It focuses on the planning of a war campaign that includes military activities with all manifestations combined in a specific action, which serves of one ultimate goal. According to Clausewitz's, onset of war is advisable to existence of clearly defined political goals and objectives in order to achieve the desired result. Therefore, it is necessary to determine the force and means to be used in war.

When discussing about war, Clausewitz focuses on a few circumstances: war is a category which content is based on three situations. These are: confrontation, violence and the will to subdue the enemy. War - violence, cchance and uncertainty, but as a phenomenon, which is the subject of our discussion under consequence of our usual perceptions - is confrontation of armed forces, that is used by warring parties to achieve political ends. Accordingly, war is generally represents the unity of confrontation, violence and the will to subdue the enemy.

According to author, the war carries double nature: objective and subjective. The objective part of the war implies - violence, so-called friction, randomness and unexpectedness. On the other hand, there are subjective characteristics of war - military forces, their doctrines, armaments and whole (land, sea, air) environment, where the players are operate. According to Clausewitz, the objective and subjective supporters of war are constantly interacting and as a result of this interaction, it is impossible to separate them. So, the nature of war cannot be separated from its essence and participant players.

The so-called new phenomenon of war, Known as "hybrid warfare", has become increasingly important in foreign political science, and generally refers to military operations involving the dosed use of regular, informal military forces, armed military operations, civil protests and sabotage, as well as information warfare with using a modern computer technology.

Key Words: Hybrid War. Globalization. Terrorism. Separatism.

სამხრეთ კავკასიის გეოპლიტიკური ასპექტები

თამარ ხეცურიანი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესები დინამიზმით ხასიათდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს ამიერკავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, რადგან აქ იკვეთება სხვადასხვა ქვეყნების ინტერესები. ბევრი ფაქტორიდან გამომდინარე რეგიონი განიხილება როგორც ერთგვარი „კორიდორი". კავკასიაში არსებული ამ საერთო სიტუაციის შედეგები გავლენას ახდენს არა მხოლოდ აქ მდებარე კონკრეტულ ქვეყნებზე, არამედ მთლიანად საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზეც, ევროატლანტიკურ სივრცეში არსებული სიტუაციის ჩათვლით.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასია. გეოპოლიტიკური მდებარეობა. ნატო. ეთნოკონფლიქტები.

შესავალი

სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესები განსაკუთრებული დინამიურობით ხასიათდება. ამიერკავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოადგენს. იგი საკმაოდ ბევრი განსხვავებული ქვეყნის ინტერესების თანხვედრის ადგილია. აქ გადაიკვეთება არა მარტო შავი და კასპიის ზღვების აუზის ქვეყნების, არამედ ევროპის, აზიისა და ხშირად აფრიკის ქვეყნების სტრატეგიული და ეკონომიკური შეხედულებებიც. რეგიონი მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით სრულიად სამართლიანად მიიჩნევა (სარკინიგზო, საჰაერო და ზოგადად საკომუნიკაციო კუთხით) „დერეფნად". აქედან გამომდინარე, ზოგადად კავკასიაში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს არა მარტო მოცემული რეგიონის ქვეყნებზე, არამედ მსოფლიო ტრანსრეგიონალურ პროცესებზეც, მათ შორის ევროატლანტიკურ სივრცეში არსებულ მდგომარეობაზე. ამის ნათელი მაგალითია ნატოს გეოეკონომიკური ინტრესები რეგიონში.

ძირითადი ნაწილი

ნატოს მიერ განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებები ცხადყოფს, რომ კავკასია შეიძლება ნატოს „მოწინავე თავდაცვის" სტრატეგიის ტერიტორიადაც განვიხილოთ. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებისთვის გადადგმულ

ნებისმიერ ნაბიჯს. კავკასიის რეგიონს მეტად მდიდარი ბუნებრივ- სანედ-ლეულო, ენერგეტიკული და რეკრეაციული რესურსები აქვს: ნავთობი, გაზი, რკინის მადანი, სპილენძი თუთია და სხვა. კავკასია იყოფა 2 სუბრეგიონად ჩრდილოეთ კავკასია (იმიერკავკასია) და სამხრეთ კავკასია (ამიერკავკასია). ეს უკანასკნელი მიუხედავად იმისა რომ ფართობის მიხედვით შედარებით ნაკლებ ტერიტორიას მოიცავს, გამოირჩვა მოსახლეობის მნიშვნელოვნად მაღალი სიმჭიდროვით და განვითარებული მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალით. სამხრეთ კავკასიის შემადგენლობაშია სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის რეგიონი ღია დარჩა გლობალური ბაზრისათვის ისევე როგორც გლობალური ძალების ასპარეზისათვის. რუსეთის დომინირება რომელიც 200 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა კითხვის ქვეშ დადგა ახალი სუბეიქტებისათვის, უმთავრესად ამერიკის შტატების, თურქეთისა და ირანისათვის. სამხრეთ კავკასია მისი სასიცოცხლო კავშირით შავ ზღვაზე, ცენტრალურ აზიასთან და შუა აღმოსავლეთან, ბუნებრივი რესურსების სიმდიდრით (უმთავრესად ნავთობი და გაზი კასპიის ზღვაში) გახდა კომპლექსური ბრძოლის ველი გაძლიერებული შიდა პრობლემებით, როგორიც არის აზერბაიჯანისა და სომხეთს შორის ომი, გამომდინარე ტერიტორიული პრეტენზიებისაგან მთიანი ყარაბაღის რეგიონში.

მანამ სანამ 90-იანი წლების გეოპოლიტიკური მდგომარეობა განსაზ-ღვული იყო ეთნიკური კონფლიქტებით და კომუნისტური წყობის გადასვლით საბაზრო ეკონომიკაზე, გარეშე ფაქტორები დაკავშირებული იყო ახალი ძალების გამოჩენით - ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, ირანი ერთ მხარეს და მეორეს მხრივ რუსეთის ძალისხმევა კონტროლი დაემყარებინა აღნიშნულ რეგიონში.

სამხრეთ კავკასია მიმდინარე პოლიტიკური მდგომარეობით ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილს წარმოადგენს, რეგიონში მწვავედ დგას რუსული, ქართული, სომხური, თურქული, აზერბაიჯანული და ზოგადად დასავლური ინტერესების თანხვედრის პრობლემა, ეს კი ხშირ შემთხვევაში საკმაოდ არასასურველ შედეგებამდე მიდის. მსოფლიო პოლიტიკურ ლიტე-რატურაში ტერმინი „სამხრეთ კავკასია“ ახალი დამკვიდრებულია. ეს მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლას, შედეგად საქართველომ, სომხეთმა და აზარბაიჯანმა დამოუკიდებლობა აღიდგინეს, რამაც რეგიონში სერიოზული გეოპოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია. პასუხად 1998 წელს რუსეთმა შეიმუშავა სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში, ამით მან გადადგა ნაბიჯი საერთო „კავკასიური სახლის“ ამასთან ერთად სამხრეთ კავკასიამ დაიწყო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სუბრეგიონად ჩამოყალიბება.

სიტუაციას ართულებს ისიც, რომ რეგიონის ქვეყნები ძირითადად რეაგირების რეჟიმში მოქმედებენ და არ აქვთ წინასწარ ჩამოყალიბებული მიდგომა არსებულ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებმაც მომავალში შესაძლოა უფრო სავალალო შედეგი მოიტანოს. რუსეთს კარგად ესმის ამერიკული „ახალი აბრეშუმის გზის“, ახალი ენერგეტიკული გზების მშენებლობის მნიშვნელობა. ცენტრალური აზიისა და კასპიის აუზისთვის ასუსტებს მისი როგორც, ერთპიროვნული განმკარგავის ფუნქციას, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვნად შეამცირებს რუსეთის მნიშვნელობას მსოფლიო პოლიტიკაში. „ევრაზიულ კავშირის” შექმნით რუსეთი ცდილობს შეინარ-ჩუნოს გეოპოლიტიკური კონტროლი რეგიონზე და ამის შესაბამისად მოქმ-ედებს, ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში და სამხრეთ კავკასიაში. სომხეთთან და აზარბაიჯანთან, რუსეთი განაგრძობს სპეკულირებას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტით, ამასთან სომხეთში 49 წლიანი ხელშეკრულებით სამხედრო ბაზა აქვს განთავსებული, იგი პერმანეტულად აიარაღებს აზერბაიჯანს.

სამხრეთ კავკასია წარმოადგენს იმ პოტენციურ დერეფანსაც, რომელზეც შეიძლება გაიაროს ცენტრალური აზიისა და კასპიის აუზის ქვეყნებში არსებულმა რესურსებმა. ისტორიულად სწორედ სამხრეთ კავკასიაა ის რეგიონი, რომელზეც გადიოდა აბრეშუმის გზა. ბაქო-თბილისი-ყარსისი რკინიგზა პირდაპირ დააკავშირებს სამ ქვეყანას ერთმანეთთან (თურქეთს-საქართველოს-აზერბაიჯანს) და შექმნის უნიკალურ საშუალებას, რათა მაქსიმალურად მოკლე დროში მოხდეს კავშირი ევროპულ ან აზიურ ქვეყნებთან. თავად ქვეყნების შიგნით კი საგზაო მაგისტრალების მოწეს-რიგებამ და სასაზღვრო პუნქტების გამართვამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დაახლოებას და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ჩამოყალიბებას. სწორედ სამხრეთ კავკასიაში არის საშუ-ალება ბიზნესისა და ვაჭრობის უფრო ღრმად გავითარებისა, რომელიც დაკავშირებული იქნება, როგორც ევროპული ისე აზიური ნაწარმის შემო-ტანისა და გაყიდვისაკენ.

გარდა ყარაბაღის პრობლემისა რეგიონის წინაშე დაგას ისეთი გა-მოწვევებიც როგორიცაა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არსებულ სიტუ-აცია. საქართველოს სტრატეგია ამ ეტაპზე იქითკენაა მიმართული, რომ როგორმე შეავიწროოს რუსეთის გავლენა კონფლიქტის ზონებში და გაავრცელოს აღნიშნულ ტერიტორიებზე მეგობარი სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა.ჩემი აზრით, მიუხედავად რეგიონის საერთო სოციალისტური წარსულისა და სხვა მრავალი საერთო ინტერესისა, თანამედროვე სამხრეთ კავკასიის თითოეულ ქვეყანაში განსხვავებული გამოწვევები დგას დღის წესრიგში. თუკი საქართველოს-

თვის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ძირითად ამოცანას ტრანსატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს, თანამედროვე სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის უპირველეს გამოწვევად ყარაბაღის კონფლიქტი და მისი მოგვარების საშუალებების ძებნა რჩება. თუმცა აქტუალობის მიუხედავად აღნიშნული საკითხის დარეგულირება ჩაკეტილ წრეზე ბრუნავს. მის გადაწყვეტას არსებულ, რეალურ, რთულ სიტუაციაში დიდი პოლიტიკური ნება ან შეცვლილი გეოპოლიტიკური მდგომარეობა სჭირდება. ასევე შეიძლება ითქვას ზოგადად სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე სხვა რეგიონულ კონფლიქტებზეც.

ვფიქრობ, არსებულ მდგომარეობაზე ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა თავად სამხრეთ კავკასიის სამ რესპუბლიკაზე მოდის, ვინაიდან სწორედ ამ სახელმწიფოებმა იწვნიეს თავიანთ თავზე დიდი პოლიტიკური თამაშების კატასტროფული შედეგები; შესაბამისად, მათ უნდა გააცნობიერონ პასუხისმგებლობა საკუთარი ხალხის წინაშე და შეცვალონ მიდგომები, მათი შიდა დაპირისპირება ისევ რეგიონის გარე პოლიტიკურ ინტერესებზე ასხამს წყალს, ამ კონტექსტში ყარაბაღის კონფლიქტი სწორედ ის კვანძია, რომლის გახსნა შიდა ძალებით შეიძლება, ყოველგვარი მესამეს ჩართვის გარეშე, ვინაიდან ეს ის კონფლიქტია, რომლის მონაწილე მხარეები სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებია, ეს პრეცედენტი უმნიშვნელოვანესი იქნება არა მხოლოდ რეგიონის პოლიტიკური პროცესების შემდგომი განვითარებისათვის, თუკი მხარეები მომავალშიც არ წავლენ სამართლიან დათმობაზე და კვლავ მესამე მხარის ჩარევით სიტუაციის დარეგულირების იმედზე იქნებიან მაშინ და კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დარჩება საკითხი გადაუჭრელ პრობლემად. განსხვავებით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებში არსებული სიტუაციისგან სომხეთსა და აზერბაიჯანს აღნიშნული კონფლიქტის დარეგულირება ყოველგვარი მესამე პირის ჩარევის გარეშეც შეუძლიათ. საქართველოს შემთხვევაში კი, შეიძლება ითქვას პირდაპირ იკვეთება რუსეთ-საქართველოს ინტერესები.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში დიდი ცვლილება მოხდა მსოფლიო პოლიტიკაში, რომელიც პირდაპირ აისახა სამხრეთ კავაკასიაზე. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ დაწყებული ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ გამართლებულად მიიჩნია ამერიკულმა საზოგადოებამ და ჯორჯ ბუში უმცროსი კიდევ ერთხელ აირჩია აშშ-ს პრეზიდენტად. რესპუბლიკური პარტიის ავანგარდმა, ნეოკონსერვატულმა ფრთამ ანუ იგივე ნეოკონებმა ახალი ძალით დაიწყეს აგრესიული პოლიტიკის გატარება რუსეთის და ჩინეთის წინააღმდეგ. პოსტსაბჭოურ სივრცეს ფერადი რევოლუციების ტალღამ გადაუარა, რაც რუსული გავლენის შესუსტებას ემსახურებოდა. ყველაზე წარმატებული ეს პროექტი სამხრეთ კავაკსიაში, კერძოდ კი

საქართველოში აღმოჩნდა. სახელმწიფოში ახალი, მკვეთრად პროამერიკულად გამოცხადებული ხელისუფლება მოვიდა ნაციონალური მოძრაობის და პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახით, რომელსაც პრეზიდენტმა ბუშმა მისი საქართველოში პომპეზური ვიზიტით პრაქტიკულად კარტ-ბლანში მისცა სამოქმედოდ. რევოლუციის მცდელობამ კრახი განიცადა აზერბაიჯანში და პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მკაცრი პოლიტიკის გატარება დაიწყო სახელმწიფოში, ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანების სწრაფვის ტემპი შენელდა.ალიევმა ბალანსის პოლიტიკის გატარება დაიწყო საგარეო პოლიტიკურ კურსში. ერთის მხრივ რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების აწყობა, ხოლო მეორეს მხრივ ნატოსთან თანამშრომლობა თურქეთის მეშვეობით., პარალელურ რეჟიმში შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის გეგმა აამოქმედა. ენერგეტიკულ მატარებლებზე ფასების ზრდამ აზერბაიჯანს ნახტომისეული განვითარების და სწრაფი გამდიდრების საშუალება მისცა და პრაქტიკულად შიდა რესურსების განკარგვის მთავარი პრიორიტეტი სახელმწიფოს უსაფრთხეობის გაძლიერება გახდა. 2004-2005 წლებიდან ანუ პრეზიდენტ პუტინის ხელმეორედ არჩევის შემდეგ რუსეთმა დაჩქარებული ტემპებით დაიწყო სომხეთის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროების სრული ათვისება და მონოპოლიური გავლენის მოპოვება. 2010 წლისათვის რუსეთის მართვის ქვეშ გადავიდა სომხური ეკონომიკის თითქმის 75-80%. ხოლო 2007 წელს დადებულმა სამხედრო-პოლიტიკურმა ჩარჩო ხელშეკრულებამ, რომელიც გულისხმობს რუსეთის მხრიდან სამხედრო ძალის გამოყენებას სომხეთის სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების დასაცავად, პრაქტიკულად დაამკვიდრა რუსეთის სამხედრო შემადგენელი სამხრეთ კავკასიაში.

გარე ქვეყნის ინტერესების გარდა, კავკასიის სამი სახელმწიფოს (სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს) უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს ამ ქეყნების საგარეო პოლიტიკაში არსებულ სირთულეებსა და შესაძლებლობებს, თუმცაღა სომხეთი და აზერბაიჯანი ითვლება სახმელეთო ქვეყნებად, მაშინ, როცა საქართველო წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო ქვეყანას კავკასიისა და ცენტრალური აზიისათვის. პოსტ-საბჭოთა პერიოდში, სამმა დამოუკიდებელმა ქვეყანამ აირჩია განსხვავებული ორიენტაციები საგარეო პოლიტიკისათვის. სომხეთმა აირჩია რუსეთთან ახლო თანამშრომლობა და ასევე კარგი კავშირები ირანთან. აზერბაიჯანი ცდილობდა დაებალანსებინა თანამშრომლობა აშშ-სთან და რუსეთთა და იმავდროულად სტაბილური და თანამშრომლური ურთიერთობები განემტკიცებინა თურქეთსა და ირანთან. საქართველომ, განსაკუთრებით პრეზიდენტ სააკაშვილის შემდეგ, აირჩია თანამშრომლობა აშშ-სთან და ნატოს პარტნიორებთან. ღია ზღვებთან მდებარე სხვა

ყოფილმა საბჭოთა ქვეყნებმა, აირჩიეს ევროპასა და აშშ-ზე ორიენ-ტირებული ეკონომიკური და უსაფრთხოების სტრუქტურები, მაშინ, როცა სახმელეთო ქვეყნებმა თავის პოლიტიკურ მისწრაფებებში,უპირატესობა რუსეთს მიანიჭეს. გეოგრაფიული მდებარეობა გავლენას ახდენს, ასევე გლობალური და რეგიონალური სახელმწიფოების პოლიტიკურ არჩევანზე რეგიონში. მიუხედავად მისი უსაზღრო მსოფლიო ძალაუფლებისა, აშშ-ს, როგორც საზღვაო ქვეყანას, შეზღუდული აქვს საშუალება, განსაზღვროს უსაფრთხოების პირობები კავკასიასა და კასპიის რეგიონში, რომლებიც საქართველოს გარდა მხოლოდ სახმელეთო სახელმწიფოებისაგან შედგება. იმავდროულად, დემოგრაფიულმა საკითხებმა გადამწყვეტი გავლენა იქონია ირანის პოლიტიკურ არჩევანზე რეგიონში, ირანის მოქმედებები მიმართული იყო აზერბაიჯანული ნაციონალიზმის პრევენციისაკენ, ირანის ტერიტორი-აზე მოსახლე აზერბაიჯანული მოსახლეობისაგან. 2008 წლის აგვისტოს ომი და კავკასიის რეგიონში მიმდინარე სხვა მოვლენები, სხვადასხვა დასკვნე-ბის გამოტანის საშუალებას იძლევა. პირველი, გეოგრაფიულ ფაქტორებს უდიდესი გავლენა აქვს კონფლიქტების წარმოშობასა და პოლიტიკური თუ უსაფრთხოების საკითხების განვითარებაზე კავკასიასა და კასპიის რეგიონ-ში. მეორე, ალიანსთა ფორმირება და ინტერვენციები არ ფორმირდება საერთო იდენტობის ბაზაზე, არამედ დამოკიდებულია სტრატეგიულ და მატერიალურ გათვლებზე. ამ პრინციპებს ეყრდნობა მუსლიმანური ქვეყნების - თურქეთისა და ირანის საგარეო პოლიტიკაც. მესამეც, საგარეო გახმარებას სეპარატიზმის ან ნებისმიერი განხეთქილების ინიციატორების მიმართ, ხდება უმეტესად გეოპოლიტიკური მოსაზრებებით. დაბოლოს, რუსეთის უნარი, გამოიყენოს ძალაუფლება მოსაზღვრე რეგიონებზე, ძალიან ეფექტურია და აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. გლობალურ არენაზე, შეიძლება მოსკოვი არ ფლობდეს მნიშვნელოვან ძალაუფლებას, მაგრამ ის შესაბამის ძალაუფლებას ფლობს გარკვეულ რეგიონებში.

კავკასია - რეგიონი, რომელიც მდებარეობს ორი კონტინენტის გზაგასა-ყარზე და ესაზღვრება სამ უძლიერეს სახელმწიფოს - რუსეთს, ირანსა და თურქეთს - და ასრულებს მნიშვნელოვანი საჰაერო კორიდორის როლს, პოსტ საბჭოთა პერიოდში, გეოპოლიტიკური აქტიურობის ეპიცენტრს წარმოად-გენდა. გარდა ამისა, ნავთობისა და გაზის წიაღისეული აზერბაიჯანში და რეგიონის პოტენციური როლი, როგორც სატრანზიტო დერეფანი, კიდევ უფრო ზრდის კავკასიის როლსა და მნიშვნელობას. გარდა ამისა, საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა ცენტრალური აზიაში, რომელსაც გასასვლელი აქვს ღია ზღვაზე, რაც სახმელეთო რეგიონს გასასვლელს აძლევს, რაც დიდ გეოპოლიტიკურ ღირებულებას წარმოადგენს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბევრი ვარაუდობდა, რომ კავკასიის ქვეყნებსა და კასპიისპირა რეგი-

ონზე დიდ გავლენას მოახდენდა ირანი ან თურქეთი, რადგან რეგიონის ძირითად იმოსახლეობა მუსულმანურია, ამის გამო სტიმულირდებოდა დაძაბულობა ანკარასა და თეირანს შორის, რეიგონალური დომინაციისათვის. სინამდვილეში, კი აშშ-სა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის ხდება რეგიონში გავლენის გადანაწილება .

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები იმყოფებიან რა, საერთაშორისო სატრანსპორტო და ენერგეტიკული გადაზიდვების გზაჯვარედინზე, მუდმივად განიცდიან უფრო მსხვილი პოლიტიკური ერთეულების და გაერთიანებების ზემოქმედებას. მათზე გავლენის მოპოვებას ცდილობენ, როგორც რეგიონალური: რუსეთი, თურქეთი, ირანი, ასევე გარე ძალები: აშშ, NATO, ევროკავშირი.

დასკვნა

დღეს კავკასიაში ერთმანეთს ორი გეოპოლიტიკური ინტერესი უპირისპირდება - რუსეთის და საქართველო-აზერბაიჯან-თურქეთის ალიანსის გეოპოლიტიკური ინტერესები. რუსეთი თავისი ინტერესების უზრუნველსაყოფად იყენებს სომხეთს, რომლის დახმარებითაც პრაქტიკულად მოახერხა კავკასიური გეოპოლიტიკური სისტემის გახლეჩვა, თუმცა, ვფიქრობთ, დროებით. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ინტერესებთან საქართველოს თანხვედრის შემთხვევაში, შესაძლებელია ამ ალიანსიდან საქართველოს ამოგდება, რაც პრაქტიკულად მოახდენს საქართველოს გეოპოლიტიკის ცვლილებას დასავლეთის მიმართულებით. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთ-საქართველოს გეოპოლიტიკური პოზიციების მთავარი პრობლემატური საკითხი არის სწორედ საქართველოს ჩართულობა სამხრეთული დერეფნის მშენებლობაში და საქართველოს ინტეგრაციაში ნატოსთან, რუსეთისთვის მისაღები იქნება საქართველოს საგარეო პოლიტიკური პოზიციის ცვლილება, მაგალითად, სომხეთის საგარეო გეოპოლიტიკური ვექტორის მსგავსად.

სამხრეთ კავკასიის საგარეო პოლიტიკურ სივრცეში შეიძლება გამოვყოთ სამი გეო- პოლიტიკური შრე :

1. ლოკალური (მცირერეგიონული) კავკასია, რომელიც წარმოადგენს გეოპოლიტიკური ძალების განაწილების რთულ სისტემას, კვანძს. იგი ძირითადად ჩამოყალიბებულია რუსეთის, თურქეთისა და ირანის გავლენის შედეგად. მეორეს მხრივ იგი არც რუსეთია, არც თურქეთი და არც ირანი. იგი ასრულებს ბუფერის როლს ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთქმედებაში. დაპირისპირება სამ დიდ გეოპლიტიკურ ძალას შორის იწვევს დაპირისპირებას კავკასიის სხვადასხვა უბნებს შორის. რომელიმე

რეგიონული ძალის მხრიდან შიდა კავკასიურ კონფლიქტში ცარევა იწვევს სხვა რეგიონული ძალების ჩარევასაც., ანუ კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციას.

2. რეგიონული (ღია რეგიონული)-რუსეთი, თურქეთი, ირანი-ეს ქვეყნები ხასიათდებიან კავკასიისადმი განსაკუთრებული ინტერესითა და ტრადიციურლი მცდელობით მოიპოვონ გავლენა მასზე. მეორეს მხრივ-ამ ქვეყნების ინტერესბში არაა მხოლოდ კავკასია. ისინი განსაკუთრებულ როლს თამაშობენ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში.

გლობალური (მსოფლიო) - არარეგიონული ქვეყნები - ხასიათდებიან ტრადიცულად ნაკლები ინტერესით სამხრეთ კავაკსიისადმი და განსაკუთრებული ინტერესებით რუსეთის ,თურქეთისა და ირანის მიმართ. მათ მიერ კავკასია აღიქმება რუსეთის , თურქეთის ან ირანის კონტექსტში, ანუ მსოფლიო პოლიტიკური გარემო, რომელზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რუსეთი , თურქეთი და ირანი, ხოლო კავკასია აღიქმება ამ სამი რეგიონული ძალის კონტექსტში.

ლიტერატურა:

1. ჰანგთინგტონი ს., პოლიტიკური სტატიები , თბ., 2001.
2. ჰანგთინგტონი ს., „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“. http://www.culturedialogue.com/resources/library/translations/huntington_1.shtml
3. Svante E.Cornell, "Peace or War? The Prospects of Conflicts in the Caucasus", in the Iranian Journal of Internarional Affairs, vol.7, no.2, Summer 1997; "The Unruly Caucasus", in Curent History, vol.96 no.612, October 1997.
4. Svante E. Cornel, Conflict Theory and the Nagorno Karabakh Conflict: Guidelines for a Political Solution, Stockholm: Triton, 1997; Arie Vaserman and Rami Giant, "National, Territorial or Religious Conflict? The case of Nagorno Karabakh", in Studies in Conflict and Terrorism, no. 4, 1994.

Geopolitical aspects of the South Caucasus

Tamar Khetsturiani, PhD student
Georgian Technical University

Summary

Ongoing processes in South Caucasus featured by dynamism. Transcaucasia due to its geopolitical location is most significant region. Various countries Interest are crossed at this region. Due to many factors region is considered as 'corridor'. Outcome from this general situation in Caucasus impacts not only for this specific regions countries but also widely on trans-regional political processes including existing situation on euro-Atlantic space.

Key words: South Caucasus. Geopolitical arrangement. NATO. Ethnoconflicts

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა

A R C H E O L O G Y

აბრეშუმის გზა და სამონეტო მიმოქცევა ძველ საქართველოში

ირაკლი შიხიაშვილი, დოქტორანტი
საქართველსო ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში – „აბრეშუმის გზა და სამონეტო მიმოქცევა ძველ საქართველოში“ – ეძღვნება ადრეულ ეპოქაში სავაჭრო ურთიერთობებს, როდესაც სავაჭრო ურთიერთობები „შემთხვევით ხასიათს ატარებდა“ და მხოლოდ ვაჭრობას არ გულისხმობდა. როგორც ჩანს, იმ ეპოქაში გაცვლა-გამოცვლა მეკობრეობასთან იყო შესისხლორცებული.

სავაჭრო ურთიერთობების გახშირებაზე მიანიშებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს რგოლები, რომლებიც, სავარაუდოდ, მონეტის ფუნქციას ასრულებდნენ.

სტატიაში დაწვრილებითაა გადმოცემული საქართველოს მოსახლეობის იმჟამინდელი ვაჭრობის საწყისი ფორმები და ის ნივთები, რომლებიც სავარაუდოდ მაშინდელი მონეტის ფუნქციას ასრულებდნენ. ასევე საუბარია კოლხურ მონეტებზე.

ასევე აღწერილია იმდრონდელი სავაჭრო ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან და სათითაოდა დეტალურადაა დახასიათებული იმ ოქროსა და ვერცხლის მონეტები, რომელიც გამოიყენებოდა.

საკვანძო სიტყვები: აბრეშუმის გზა, მონეტები, კოლხური თეთრი, ბიზანტიური მონეტა.

შესავალი

როგორც ცნობილია, ადრეულ ეპოქაში, სავაჭრო ურთიერთობები "შემთხვევით ხასიათს ატარებდა" [იმნაძე მ., 1960, გვ.84] და მხოლოდ

ვაჭრობას არ გულისხმობდა, როგორც ჩანს იმ ეპოქაში გაცვლა-გამოცვლა მეკობრეობასთან იყო შესისხლხორცებული. სტრაბონის გეოგრაფიაში ერასტოთონეს დაცული ცნობა პირდაპირ გვამცნობს თუ რა მიზანს ემსახურებოდა მათი შავი ზღვის სანაპიროებზე მოძრაობა. "ძველი ხალხები ცურავდნენ ყაჩაღობის ან ვაჭრობისათვის... როგორც იაზონი" [ყაუხჩიშვილი თ., 1968, გვ. 74; იმნაძე მ., 1960, გვ.84].

როგორც ჩანს, ეს სავაჭრო-მეკობრული ექსპედიციები იმდენად მრავალრიცხოვანი და ამასთანავე იმდენად ხშირი იყო, რომ თუკიდიდეს გადმოცემით კუნძულ კრეტას მეფე მინოსმა საკუთარი ფლოტის მეშვეობით გაწმინდა ზღვა მეკობრეებისაგან [იმნაძე მ., 1960, გვ.84]. ურთიერთ გაცვლა, როგორც ზემოთ აღინიშნა, უკვე ბრინჯაოს ხანიდან იმპულსების სახით შეინიშნება. ეს ხდება შიდა და გარე სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბების საფუძველზე. ბუნებრივია ცალკეული ტომების იზოლირებული ფუნქციონირება ირღვევა და ერთგვაროვანი კულტურა დასავლეთ საქართველოს ძირითად ტერიტორიაზე ფართოდ ვრცელდება და კიდევ უფრო "ცხოველდება აღებ-მიცემობა" [გობეჯიშვილი გ., 1959, გვ.155].

ძირითადი ნაწილი

სავაჭრო ურთიერთობების გახშირებაზე უნდა მიგვანიშნებდეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს რგოლები, რომლებიც სავარაუდოდ მონეტის ფუნქციას ასრუ-ლებდნენ. შესაძლოა იგივე ფუნქციით იყო დატვირთული ე.წ. ბრინჯაოს სეგმენტები [იმნაძე მ., 1960, გვ.87].



შედარებით გვიან, გვიანბრინჯაო-რკინის ფართო ათვისების ხანის ჭუბურხინძის განძში ოქროსა და ვერცხლის "ოთხკუთხა ჯოხებით" წარმოდგენილი ზოდები სავარაუდოდ მონეტების ფუნქციას ასრულებდნენ. ასეთი ზოდები "მონეტის შემოღებამდე... იხმარებოდა ღირებულების საზომად [იმნაძე მ., 1960, გვ.87].

ძველ სპარტაში რკინის მცირე ზომის ჯოხები, რუსეთში კი ვერცხლის წაგრძელებული ზოდები ე.წ. გრივნები იყო მიმოქცევაში [Капанадзе Д. Г., 1955, стр.16]. იგივე ფორმის ზოდები გამოიყენებოდა ათენშიც; ამიტომ იყო რომ ათენის მონეტამ შემდეგში ძელაკის ფორმა მიიღო და სახელწოდება ობოლოს ("ძელაკი") შეითავსა [Придик Е.М., 1905, გვ.87; იმნაძე მ., 1960,

გვ.88.]. ამ დროიდან ყალიბდება მჭიდრო კავშირები, როგორც აღმოსავლეთ საქართველოსთან, ასევე ჩრდილო კავკასიასთან. რაც მთავარია ფართოვდება სავაჭრო ურთიერთობები აღმოსავლეთის ქვეყნებთანაც (ეგვიპტე, სირია). როგორც ცნობილია ამ ქვეყნების სახელოსნოებიდან სარდიონის, სირიული და ეგვიპტური ფერადი მინისა და პასტის მძივები ძვ.წ. VIII ს. შემოდის და აქედან ჩრდილო კავკასიაში ვრცელდება [გობეჯიშვილი გ., 1959, გვ.198-199; იმნაძე მ., 1960, გვ.89]. ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ "მზადდება საფუძველი გაცვლა-გამოცვლაში მონეტის გამოყენებისა და სასაქონლო ურთიერთობის წარმოებისათვის [იმნაძე მ., 1960, გვ.91].

სპარსეთის სამეფოს (ძვ.წ. VI-IV სს.) ზეობის ხანაში (კიროსი 558-529 წწ., დარიოსი I 521-486 წწ. და სხვ.) მისი ტერიტორია მოიცავდა მიდიას, მცირე აზიას, სირია-პალესტინას, ბაბილონს, ეგვიპტესა და ზოგადად ამიერკავკასიის ქვეყნებსაც [მელიქიშვილი გ., 1970, გვ.399]. ბუნებრივია ზემოაღნიშნული იმპერიის ფარგლებში მკვეთრად განვითარდა სასაქონლო-ფულადი მეურნეობა". დარიოს I-მა მოაწესრიგა ფულის მოჭრისა და მიმოქცევის სისტემა. ხელისუფლება ჭრიდა ოქროს მონეტას ("დარიკი"), სატრაპიები (ქვეყნები) ვერცხლისას, ხოლო მათში შემავალი ოლქები - სპილენძისას [მელიქიშვილი გ., 1970, გვ.399]. ბუნებრივია ეს საქართველოსაც უნდა შეხებოდა. ამ დროს ძვ.წ. VI-IVსს-ში კოლხეთში ("კოლხიდა") უკვე არსებობს ბერძნული ახალშენები [მელიქიშვილი გ., 1970, გვ.402] რომელთა მეშვეობით გადიოდა არა მარტო კოლხური პროდუქციის ექსპორტი, არამედ კოლხური მონეტებიც [მელიქიშვილი გ., 1970, გვ.407; ლორთქიფანიძე ო., 1966, გვ., 68-92; იმნაძე მ., 1962, გვ. 81-121].

დიდრაქმა. ვერცხლი. კოლხეთი. ძვ.წ. V ს.

დიდრაქმა. ვერცხლი. კოლხეთი. ძვ.წ. V ს.

სტატერი. ოქრო. კოლხეთის მეფე აკა. ძვ.წ. II ს-ის დასაწყისი.

ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი. ოქრო. ძვ. წ. I - ახ.წ. I სს.

კოლხური თეთრი საქართველოს ტერიტორიაზე ათასობითაა აღმო-

ჩენილი. ის წარმოადგენს ვერცხლის პატარა ზომის მონეტას, რომლის ერთ მხარეზე ადამიანის, მეორეზე (ავერსი, რევერსი) ხარის, ან იშვიათად ლომის გამოსახულებაა დატანილი (სოხუმი, ბათუმი, ქობულეთ-ფიჭვნარი) [მელიქიშვილი გ., 1970, გვ.411; ლორთქიფანიძე გ., გერაძე გ., 2005, გვ.7-25]. ვარაუდობენ, რომ უცხოურ მონეტებს კოლხეთის ადგილობრივი მოსახლეობა საგარეო ვაჭრობაში იყენებდა, ხოლო ადგილობრივი, კოლხური თეთრი ძირითადად საშინაო ბაზარზე იხმარებოდა [იმნაძე მ., 1960, გვ.98; Шамба С., 1982, გვ 3-11; იხ. "ქართული მონეტების ოქროს კოლექცია", 2015, გვ.4-5]. არსებობს არგუმენტირებული მოსაზრება, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ვაჭრობა ეგვიპტესა და სირიასთან სინოპის შუამავლობით, სახმელეთო გზით კილიკიისა და ქ.ტარსუნის გავლით ხდებოდა [Максимова М.И., 1956, გვ.79]. არანაკლები მნიშვნელობისაა ირანთან ეკონომიკური ურთიერთობების ამსახველი აქემენური ვერცხლის სიკლის აღმოჩენა კოლხურ მონეტასთან ერთად სურამის ტერიტორიაზე [Зограф А.Н., 1945, გვ.57]. უკვე ელინისტური (ძვ.წ. IV-IIსს.) ხანიდან "საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის ფართო ქსელში ექცევა არა მარტო მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე, არამედ უფრო შორეული ქვეყნებიც – შუა აზია და ინდოეთი. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ საგარეო ვაჭრობა. . . იღებს "მსოფლიო" ხასიათს [Манандян Я.А., 1954, . გვ. 24; იმნაძე მ., 1960, გვ.106; ნებიერიძე ქ., 2012, გვ.60-61]. ამ დროისათვის განსაკუთრებულ როლს ვაჭრობაში სამონეტო მიმოქცევა ასრულებს. მათ შორის მნიშვნელოვანია ალ.მაკედონელისა და ლისიმაქეს ოქროს სტატერები [კაპანაძე დ., 1969, გვ.28],

რომელთა ოქროს მინაბაძები კოლხეთის მთიანეთში ფართოდ იყო გავრცელებული [იმნაძე მ., 1960, გვ.109; შეროზია მ., 2012, გვ.80-87].

ეგვიპტესთან სავაჭრო ურთიერთობაზე მიგვანიშნებს ძვ.წ. III ს. პტოლომეების სპილენძის მონეტები, რომლებიც ბათუმის და სოხუმის ტერიტორიებზეა მიკვლეული [Голенко К.В., 1957, გვ.296].

ძვ.წ. III საუკუნის შუა ხანებში როდოსმა აღმოსავლეთ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები ჩაიგდო ხელში. აქედან გამომდინარე კოლხეთზე ზეგავლენა მას არ უნდა გაჭირვებოდა [იმნაძე მ., 1960, გვ.113]. სავაჭრო ურთიერთობები ჩანს შემთხვევით აღმოჩენილ სელევკიანთა (ძვ.წ. III ს.) და პართიის (ძვ.წ. II-I სს.) მონეტების მიხედვითაც. ეს ურთიერთობები გაგრძელდა ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრამდე, მანამდე სანამ კოლხეთი პონტოს სამეფოს დაექვემდებარებოდა [იმნაძე მ., 1960, გვ.116]. ამ ფაქტს უარყოფითთან ერთად დადებითი შედეგებიც მოჰყვა. მითრიდატე ევპატორის შიდა და საგარეო ურთიერთობების შედეგად შავი ზღვის სამხრეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილო სანაპიროებზე არსებულ ქალაქებს შორის გაძლიერდა სავაჭრო ურთიერთობები. ზემოაღნიშნულის რეალიზებაა ის, რომ სპილენძის საქა-

ლაქო მონეტების ემისია გასცდა საშინაო ბაზრების ფარგლებს. ამიერიდან ისინი იღებენ ახალ დატვირთვას – სავაჭრო ურთიერთობების რეგულირებას შავი ზღვის სანაპიროებს შორის. ასეთი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული სინოპის, ამისოს, კომანასა და დიოსკურიის მონეტებსაც [იმნაძე მ., 1960, გვ.117-118]. გვიანანტიკური ხანის გარიჟრაჟზე დაირღვა რა მშვიდობიანი საგარეო ურთიერთობა, რომის დაპყრობების შედეგად ძვ.წ. I – ახ.წ. I საუკუნეებში დაეცა კოლხეთის საგარეო ვაჭრობა და შედეგად კიდევ უფრო დასუსტდა შიდა რაიონების საგარეო ბაზართან კავშირები [იმნაძე მ., 1960, გვ.121].

ცნობილი ქართველი ნუმიზმატების (გ.დუნდუა, თ.დუნდუა) ინფორ-მაციის მიხედვით იბერიის ტერიტორიაზე ადრეანტიკური ხანის ორი მონეტა: ძვ.წ. VI-IV სს. აქემენიდური სიკლი და V-IV სს. ათენური ტეტრადრაქმაა აღმოჩენილი [დუნდუა გ., დუნდუა თ., 2009], ხოლო ადრეელინისტურ ხანაში ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულისა და – III საუკუნით დათარიღებული ალექსანდრე მაკედონელის სახელობის სტატერი (ძვ.წ. 336-323 წწ.) მცირე ოდენობითაა გამოვლენილი (მცხეთის რაიონი, თბილისი, "ციხიაგორა"). ასევე მცირერიცხოვანია ლისიმაქეს სტატერი, რომელიც ქ.ბიზანტიონში, ლისიმაქეს სიკვდილის შემდეგაა მოჭრილი [დუნდუა გ., დუნდუა თ., 2009, გვ.7]. ზოგადად ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოში "სამონეტო ცირკულაცია სუსტადაა განვითარებული" [იქვე, გვ.11], თუმცა აღმოჩენილია კოლხური ტიპის ნახევარდრაქმა და ეგვიპტის მეფის პტოლემაიოსის (ძვ.წ. 247-222 წწ.) სპილენძის მონეტა. სამონეტო მიმოქცევა ძლიერდება ძვ.წ. II საუკუნის დასასრულსა და I საუკუნის პირველ ნახევარში. [გობეჯიშვილი გ., 1959, გვ.197-198].

იბერიის ტერიტორიიდან ცნობილია ამ დროინდელი რვა ათეული მონეტა. აქედან პართული დრაქმა, რომაული დენარი, მითრიდატე VI ევპატორის დროინდელი პონტოს ქალაქების სპილენძის მონეტა, მის სახელზე მოჭრილი ტეტრადრაქმა, ტიგრან II (ძვ.წ. 95-55 წწ.) რამდენიმე მონეტა, ბაქტრიული და სოგდიანური მონეტები და სხვ. ყურადსაღებია ისიც, რომ ეს მონეტები მხოლოდ მცხეთასა და აღაიანშია მიკვლეული [Дундуа Г., 1987, ст.136-138]. სამონეტო მიმოქცევა ძვ.წ. I ს-ის ბოლოს კიდევ უფრო ძლიერდება იბერიის (ქართლის) სახელმწიფოში (სულ აღმოჩენილია 146 მონეტა). მათგან უმეტესობა პართული დრაქმაა; ერთ ათეულზე მეტი რომის დენარია [დუნდუა გ., დუნდუა თ., 2009, გვ.12]. საყურადღებოა, ის რომ მონეტების ემისიის წარმომავლობიდან გამომდინარე, კარგად ჩანს თუ როგორი სავაჭრო კავშირები გააჩნდა იბერიას პართიასა და რომის რესპუბლიკასთან.

იბერიაში I-III საუკუნეში უცხოეთის ქვეყნებთან ვაჭრობა განსა-კუთრებულად ძლიერდება. ამ დროს იბერიაში მიმოიქცევა ავგუსტუსისა და გოტარზეს დრაქმა. რომაული აურუსი (ავგუსტუსი, ტიბერიუსი), პოლემოენ

II-ის დრაქმა და სხვ. [Dundua T., 2001, გვ.3-15]. აღსანიშნავია ისიც, რომ III საუკუნის I ნახევრიდან იბერიის სამონეტო ბაზრიდან რომაული აურუსები თანდათან დევნის ჯერ დინარებს, ხოლო შემდეგ - გაუფასურებულ ანტონიანებს, თუმცა ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან აურუსების ბაზარზე შემოსვლა შესამჩნევად მცირდება, რამაც რომაული ოქროს მონეტების ადგილობრივი იმიტაციები გამოიწვია [დუნდუა გ., დუნდუა თ., 2009, გვ.16]. მეტიც IV საუკუნეში საქართველოში, სამონეტო მიმოქცევა "მკვეთრად ეცემა" [დუნდუა გ., დუნდუა თ., 2009, გვ.16-17]. ეს გამოწვეული იყო რომის იმპერიის მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით; ზოგადად იმპერიის არასტაბილურობით. ამ დროინდელი სულ თითზე ჩამოსათვლელი ოქროს და სპილენძის მონეტაა აღმოჩენილი - კონსტანციუს II (337-361, იმპერატორ ვალენტის, კონსტანციუს სლორუსის (292-306 წწ.) და სხვ. [დუნდუა გ., დუნდუა თ., 2009, გვ. 16-17].

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოზე, ფაზისის გზით აღმოსავლეთის სამყაროსკენ მიემართებოდა [დუნდუა გ., დუნდუა თ., 2009, გვ.17]. ამ გზის ერთ-ერთი მონაკვეთი, ისტორიული არგვეთი კარგად ასახავს იმ სამონეტო სიჭრელეს, რომელიც დაილექა სავაჭრო-სატრანზიტო გზის მიმდებარე ტერიტორიაზე. დღეისათვის იქ აღმოჩენილია 113 მონეტა რომელთა შორისაა ავგუსტუსის დენარი, ტიბერიუსის, კალიგულას, ნერონის, გოტარზესა და პოლემონ II დრაქმა, ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მინაბაძები [დუნდუა გ., დუნდუა თ., 2009, გვ.16-17].

ბიზანტიასა და საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზეც დასტურდება [აბრამიშვილი თ., 1965, გვ.3]. სულ აღმოჩენილია 532 ბიზანტიური მონეტა, რომელთა აღმოჩენის ადგილების რუკა ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ განყოფილებაში დაცული ლეგენდებისა და სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ინფორმაციის საფუძველზეა შედგენილი [აბრამიშვილი თ., 1965, გვ.3]. წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ ბიზანტიასა საქართველოს შორის ურთიერთობა ხშირად დაძაბული იყო. ამ ურთიერთობებს ხშირად გაძლიერებული ირანიც წარმართავდა, რომელიც საქართველოს გავლით შავი ზღვის სანაპიროების საკუთარი ზეგავლენის ქვეშ მოქცევა-დაპყრობით იყო დაინტერესებული [აბრამიშვილი თ., 1965, გვ.5].

უადრესი ბიზანტიური მონეტა არკადი კეისარის (395-408 წწ.) ზეობის ხანიდან იჩენს თავს. სწორედ იმ დროიდან, როცა აღმოსავლეთ რომის იმპერია – ბიზანტია სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა; ამ ურთიერთობის ამსახველია ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ბიზანტიის ყველა კეისრის მირ მოჭ-რილი მონეტაა აღმოჩენილი [აბრამიშვილი თ., 1965, გვ.8]. თანამედროვეთა

არკადი კეისარი – ფარსმან მეფე (IV-V სს. მიჯნა) თეოდოსი – ბუზმარ მეფე (IV ს-ის პირველი ნახევარი); ლეონ I –გუბაზ მეფე, იუსტინ I – წათე (ლაზიკა) და გურგენი (ქართლის მეფე - V ს.) მიერ აღწერილი რთული პოლიტიკური მოვლენები ზემოაღნიშნულის დასტურია.

დრაკმა. ვერცხლი. ერისმთავარი სტეფანოზ I. 592 წ.

დრაკმა. ვერცხლი. ფაითი III ქორაკანელი (978-1001)

დრაკმა. ვერცხლი. ბაგრატ IV (1027-1072)

იგივე ურთიერთობები გრძელდება VIII-X სს-ში [ჯავახიშვილი ივ., 1948, გვ. 108-109; აბრამიშვილი თ., 1965, გვ.10-11].

არც XI-XIII საუკუნეებშია დალაგებული და სტაბილური კავშირები ამ ორ ქვეყანას შორის [აბრამიშვილი თ., 1965, გვ.10-11]. ძლიერი საქართველოსა და დასუსტებული ბიზანტიის ფუნქციონირების პირობებში თურქების, ასევე ჯვაროსნების შეტევები და 1024 წელს უკანასკნელების მიერ ბიზანტიის ხელში ჩაგდება ამ დაპირისპირების შედეგს წარმოადგენდა (აბრამიშვილი თ., 1965, გვ.10]. საყურადღებოა თამარის დროინდელი ლაშქრობა (1204 წ.), რომლის დასასრულს საქართველომ ბიზანტიის შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი დაიპყრო და თამარის ინიციატივით ცალკე საკეისრო - "ტრაპიზონის იმპერია" შექმნა [მუსხელიშვილი დ., სამსონაძე მ., დაუშვილი ალ., 2012, გვ.218]; სწორედ ამ ასწლეულებში მიმდინარე ირან-ბიზანტიის შეჯახებებში საქართველო ხან ერთის, ხანაც მეორის მხარეს იხრება და ცდილობს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გადარჩენას. ამ ორ ძლიერ სახელმწიფოს მიზანს ინდოეთიდან გაჭრილი სავაჭრო-სატრანზიტო გზის საქართველოს მონაკვეთის ხელში ჩაგდება წარმოადგენდა [აბრამიშვილი თ., 1965, გვ.11].

ივ.ჯავახიშვილის მოსაზრებით "დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს აღებ-მიცემობას ამ დროს ორი მთავარი სავაჭრო გზა ჰქონდა; ერთი იყო სამხრეთისა და სომხეთის ქალაქ დვინში მიდიოდა . . . მეორე და მთელ საქართველოსთვის უმთავრესი სავაჭრო გზა დასავლეთისა და შავი ზღვის ნაპირას მდებარე ნავსადგურებისაკენ მიდიოდა, იქ მიჰქონდათ უცხოეთიდან, მეტადრე ბიზანტიიდან სავაჭრო საქონელი. იგივე ინტერესები ამოძრავებდა

VII საუკუნიდან ირანის ძლიერი სახელმწიფოს მმართველებსაც. VIII საუკუნის დასაწყისში ირანი დასავლეთ საქართველოსაც მისწვდა და ციხე-გოჯი მცირე ხნით მათ ხელში აღმოჩნდა. საქართველოში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში ამ ორი (ირანი, ბიზანტია) სახელმწიფოს ფულია მიმოქცევაში ასახული, რაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. აღმოსავლეთ საქართველოში უკვე VI საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება პირველი ქართული ეროვნული მონეტები, რომლებიც სავარაუდოდ სასანიდების ფულების ყალიბზეა მოჭრილი [ჯავახიშვილი ივ., 1907, გვ. 86-87] და ქართულ-სასანური მონეტების სახელითაა ცნობილი [აბრამიშვილი თ., 1965, გვ.13]. პირველი მონეტები ტიპიური სასანური ფულის მსგავსია, თუმცა მასზე ქართული ასომთავრული ნიშნებია აღბეჭდილი; შედარებით გვიანდელ ცალებზე, ჯვარი და სტეფანოზ II-ის სახელებია აღბეჭდილი განსხვავებით, ლაზიკაში უმთავრესად ბიზანტიური ფულია მიმოქცევაში.

IV-VI საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ცალკეული მონეტები და ამ მონეტებთან წარმოდგენილი განძებია აღმოჩენილი [აბრამიშვილი თ., 1965, გვ.15]. შედარებით გვიან (VIIს.) ბიზანტიის იმპერიის კრიზისის პირობებში ოქროს და ვერცხლის მონეტები ისევ იჭრება (ჩიბათის განძი). ანასტასი I დროიდან (498 წ.) ჩატარებული რეფორმების შედეგად სპილენძის მონეტებზე ღირებულების აღნიშვნა სავალდებულო გახდა და ეს სისტემა IX საუკუნის მეორე ნახევრამდე გაგრძელდა [აბრამიშვილი თ., 1965, გვ.15]. შედარებით ადრე ირაკლი კეისარის დროს, დაახლოებით 622-623 წწ. უმძიმესი კრიზისიდან გამოსვლის მიზნით გატარდა საფინანსო რეფორმა. მოიჭრა ოქროს შემცველი ვერცხლის მონეტები, რომლებიც იღებენ რა ოქროს მონეტის დატვირთვას საერთაშორისო სავალუტო ფუნქციას ასრულებდნენ [Казманова Л.Н., 1947, გვ.70-71]. საქართველოში აღმოჩენილი VIII-XIს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული განძების საფუძველზე ჩანს, რომ არაბებმა ქვეყანაში მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. ბიზანტიურ მონეტებთან ერთად განძებში არაბული ფულის წილი მნიშვნელოვანია [ლომოური თ., 1938, გვ.284]. თუმცა არაბთა სახალიფოს დასუსტებისთანავე, მეფე ბაგრატ III (975-1014) პირველი ქართული ფული შემოიტანა მიმოქცევაში [აბრამიშვილი თ., 1965, გვ.17; შენგელია კ., 2010, გვ.93-94]. ბაგრატ IV დროსაც (1027-1072 წწ.) [შენგელია კ., 2010, გვ.96] ხდება ქართული მონეტების მოჭრა და ეს გრძელდება დემეტრე I-მდე [ლომოური თ., 1938, გვ.234-235]. თ.ლომოურის დაკვირვებით ამ საუკუნეებში ემისირებული ბიზანტიური ოქროს ფული აღინიშნებოდა სპეციფიური ტერმინებით- დრაჰკანი კონსტანტინატი (კონსტანტინე X, 1059-1067); დრაჰკანი ბოტინატი (ნიკიფორე III ბოტანიატისა, 1078-1081 წწ.) და სხვ. [ლომოური თ., 1938, გვ.295-296].

მკვლევარი-ნუმიზმატების აზრით ზემოაღნიშნული ბიზანტიური

ფული საქართველოში "შემოჰქონდათ უცხოელ ჯარებს, მოგზაურებს, შემოდიოდა ნადავლის და ხარკის სახით" ან შესაძლოა ვაჭრობის გზითაც [ლომოური თ., 1938, გვ.299; აბრამიშვილი თ., 1965, გვ.24]. ისე რომ კიდევ ერთხელ დასტურდება საქართველოს გავლით დასავლეთ-აღმოსავლეთის სამყაროთა ინტენსიური კავშირებ-ურთიერთობები.

თურქ სელჯუკების მცირე აზიაში განსახლების შემდეგ მათთან ურთიერთობა დაიძაბა. შედეგად საქართველოს სახელმწიფოებრიობა დიდი საფრთხის წინაშე დადგა. საქართველოს მეფე დავით IV, 1121 წელს, დიდგორის ველზე, სასტიკად დაამარცხა მრავალრიცხოვანი მტერი და შედეგად ეს რეალური საშიშროება ქვეყანას თავიდან ააცილა [შენგელია კ., 2010, გვ.112-113]. ამ დროს იჭრება დავითის მიერ ფილისი (ფული) [დუნდუა თ., სილაგაძე ნ., 2000, გვ.22-23].

ᲡᲐᲥᲘᲚᲘᲜᲓᲘ. ᲓᲐᲕᲘᲗᲘ IV ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ (1089-1125)

XII-XIII სს. საქართველოს ძლიერება ზენიტს აღწევს. შამქორის (1195 წ.) და ბასიანის (1202წ.) ომში თამარ მეფემ (1184-1210 წწ.) თურქების მრავალრიცხოვანი ლაშქარი…გაანადგურა [შენგელია კ., 2010, გვ.121-125]. Eეს წარმატებები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ქართველებმა ჯერ 1210 წელს ჩრდილო ირანი დალაშქრეს და გიორგი-ლაშას ზეობის ხანაში (1210-1222 წწ) "იერუსალიმის აღების გეგმასაც კი განიხილავდნენ (დუნდუა გ., დუნდუა თ., 2009, გვ.23].

ᲡᲐᲥᲘᲚᲘᲜᲓᲘ. ᲑᲘᲝᲠᲒᲘ III (1156-1184). 1174 Წ.

ᲡᲐᲥᲘᲚᲘᲜᲓᲘ. ᲗᲐᲛᲐᲠᲘ (1184-1207, 1210, 1213). 1187 Წ.

ᲡᲐᲥᲘᲚᲘᲜᲓᲘ. ᲑᲘᲝᲠᲒᲘ IV ᲚᲐᲨᲐ (1210-1222). 1210 Წ.

მდგომარეობა მკვეთრად შეცვალა ცენტრალური აზიის ტერიტორიიდან შემოჭრილმა მონღოლებმა.

მათ დაიპყრეს ირანი და საქართველოს შემოუტიეს. სამწუხაროდ დავით ულუმ, დავით ნარინმა და ვერც დემეტრე მეფემ (თავდადებულმა) მედგარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მომხდურ მტერს [დუნდუა თ., სილაგაძე ნ., 2000, იქვე]. ამ ძნელბედობის ჟამს მოიჭრა დავით ულუსა და დავით ნარინის დრამები ქუთაისში.

როგორც ჩანს სავაჭრო-სატრანზიტო გზები მსოფლიო პოლიტიკური სირთულეების მიუხედავად მაინც ფუნქციონირებდნენ და აღმოსავლეთ-დასავლეთის კავშირები ტრადიციისამებრ გაგრძელებულა. გიორგი V ბრწყინვალის (1314-1346 წწ.) ზეობის დროს თითქოსდა დალაგდა ქვეყანა. მონღოლების ჰეგემონობის პირობებში მოწესრიგდა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და შიდა ინფრასტრუქტურა, თუმცა აღნიშნული მოჩვენებითი სიწყნარე დიდი ხნით არ გაგრძელებულა. ირანის ყიზილბაშურმა ახალმა სეფიანთა დინასტიის მესვეურებმა ფაქტიურად საქართველო დაშლის პირას მიიყვანეს. ზემოაღნიშნულს დაემატა თურქ-ოსმალების მიერ 1453 წელს კონსტანტინეპოლის აღება და ბიზანტიის იმპერიის განადგურება [დუნდუა თ., სილაგაძე ნ., 2000, გვ.24-25]. ფაქტიურად საქართველო აგრესიულ ყიზილბაშური და თურქ-ოსმალური სახელმწიფოების პირისპირ აღმოჩნდა. იმის გამო, რომ ოსმალებმა შავი ზღვა ჩაკეტეს აბრეშუმის გზამ საქართველოს გავლით ფუნქცია დაკარგა. ვახტანგ VI სულხან-საბა ორბელიანს მეფე ლუი XIV აგზავნის, რათა ის დაეხმაროს აბრეშუმის გზის აღდგენაში, თუმცა

უშედეგოდ. უკვე XVI ს-ის მიწურულს სამცხე-საათაბაგო დედა სამშობლოს ჩამოაშორეს და ოსმალურ პროვინციად გადააქციეს. "ყიზილბაშები უფრო შორს მიდიან და ცდილობენ აღმოსავლეთ საქართველოში განახორციელონ ე.წ. ეთნიკური წმენდა [დუნდუა თ., სილაგაძე ნ., 2000, გვ.25] და რომ არა ყიზილბაშების წინააღმდეგ გიორგი სააკაძის მეთაურობით 1625 წელს მოპოვებული უმნიშვნელოვანესი გამარჯვება, მათი გეგმის რეალიზება მოხდებოდა [შენგელია კ., 2010, გვ.179-183].

ამ დროინდელი ირან-საქართველოს ურთიერთობის საფუძველზე ქართლსა და კახეთს მაჰმადიანი ბაგრატიონები მართავენ. მათ შორის გამორჩეულია როსტომ-ხანის მმართველობის პერიოდი, როცა აღმოსავლეთ საქართველოში "შეიმჩნევა ეკონომიკური აღმავლობა" [დუნდუა თ., სილაგაძე ნ., 2000, გვ.25].

1547 წ. ივანე მრისხანეს დროიდან იწყება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა. თუმცა მთელი რიგი მცდელობები (ალექსანდრე კახთა მეფე 1587; ვახტანგ V კავშირები პეტრე დიდთან და რუსეთში გამგზავრება) ვერ განხორციელდა.

არც ოსმალეთთან ომის წარმოება შეეძლო საქართველოს ამიტომ ქართლისა და კახეთის მეფეები თეიმურაზ II (1744-1762 წწ.) და ერეკლე II (1744-1798 წწ.)

რუსეთთან მჭიდრო კავშირების დამყარებას ცდილობდნენ. ეს კავშირი 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით დასრულდა [შენგელია კ., 2010, გვ.198-209]. თუმცა ირანმა კუდი მაინც მოიქნია და 1795 წელს კრწანისის ველზე აღა მაჰმად ხანმა ერეკლე II-ის ლაშქარი დაამარცხა და თბილისი გადაწვა [შენგელია კ., 2010, გვ.208]. ერეკლე II-ის გარდაცვალების (1798 წ.)

შემდგ ტახტზე მემკვიდრე გიორგი XII ავიდა, რომელსაც დიდხანს არ უმეფია.

1801 წლიდან მოყოლებული 1878 წ. ჩათვლით საქართველოს ყველა ისტორიული რეგიონი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ცალ-ცალკე შევიდა.

შედეგად რეგიონებს შორის კავშირურთიერთობა აღდგა. ფაქტიურად ქვეყანა გაერთიანდა. ვაჭრობა - აღებმიცემობა ჯერ თურქული ვერცხლის მონეტებითა და ქართული თეთრით წარმოებდა, შედარებით გვიან მათ რუსული ფული ჩაენაცვლა და გაბატონდა. ამრიგად საქართველოს ტერიტორია ყოველთვის იყო უცხო ტომელებისა და მძლავრი ქვეყნების ინტერესთა სფეროში. ეს ბუნებრივია გამოწვეული იყო ადგილმდებარეობით. წარმოადგენდა რა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელ ხიდს ამ ქვეყანაზე გამავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზები ისრუტავდა, ილექავდა სხვადასხვა ქვეყნისთვის დამახასიათებელ სამონეტო ემისიებს და ზუსტად ასახავს ჩვენს რეგიონში ე.წ. აბრეშუმის გზის ისტორიულ განვითარებასა და მიმართულებების ტოპოგრაფიას.

ლიტერატურა:

1. აბრამიშვილი თ.,საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები,თბ., 1965
2. გობეჯიშვილი გ., "გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში", საქართველოს არქეოლოგია I, 1959
3. დუნდუა თ., სილაგაძე ნ., საქართველოს ისტორია: თემატური თუ ქრონოლოგიური პრინციპი, თბ., 2000
4. დუნდუა გ.,დუნდუა თ.,ანტიკური პერიოდის კავკასიის ნუმიზმატიკი საკითხები,თბ., 2009
5. კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969
6. ლომოური თ., ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938
7. ლორთქიფანიძე გ., გერაძე გ., კოლხური თეთრი, თბ., 2005
8. ლორთქიფანიძე ო., ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ისტორიისთვის, ძვ.წ. VI-II სს., თბ. 1966
9. მელიქიშვილი, საქ. ისტორ. ნარკვევები, თბ., 1970

10. მუსხელიშვილი დ., სამსონაძე მ., დაუშვილი ალ., საქართველოს ისტორია, თბ., 2012
11. ნებიერიძე ქ., მხარე-საგანძური "მუზეუმი", ს.ე.მ., 2012
12. იმნაძე მ., სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში, კავკ. აღმ. კრებული II, 1960
13. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, I, $_{3,2,}$ თბ. 1958, გვ.74
14. ქართული მონეტების ოქროს კოლექცია, "პალიტრა", თბ., 2015
15. შეროზია მ., ბერძნულ-რომაული ფულის იბერიული იმიტაციების შესახებ. არქეოლოგია №2, თბ., 2012
16. შენგელია კ., საქართველოს ისტორია, თბ., 2010
17. ხანანაშვილი მ., "ფაიფური", თბ., 1960
18. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტფ., 1907
19. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, ტ.II, თბ., 1948
20. Голенко К.В., Кобулетский клад серебрянных монет середины IV в. До н.э., СА., XXVII, 1957
21. Голенко К.В., Денежное обращение Колхиди в Римское время, Л., 1964
22. Дундуа Г., Лорткипанидзе Г., Денежние обращение Центральной Колхиды, Тб., 1983
23. Дундуа Г., Нумизматика античной Грузии, 1987
24. Зограф А.Н., Распространение находок античных монет на Кавказе, Труды отдела нумизматики, ТОНГЕ, №24, 1945
25. Казманова Л.Н., Бартымский клад Византийских серебряных монет VII века, Нумизматический сборник ч. II, М., 1947
26. Капанадзе Д. Г., Грузинская нумизматика, М., 1955
27. Максимова М.И., Античные города Юго-восточного причерноморья, М-Л., 1956
28. Манандян Я.А., О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван., 1954
29. Придик Е.М., Греческие и римские монеты, СПБ, 1905
30. Шамба С., О чем говорят монеты, 1982
31. Dundua T., Influx of the roman coins in Georgia "Artanuji", Tb., 2001

The Silk Road and Coin Circulation in Ancient Georgia

Irakli Shikhiashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article, "The Silk Road and Coin Circulation in Ancient Georgia," focuses on early trade relations, when trade relations were "accidental" and not just trade. It seems that in those eras, exchange with the pirates was bloody.

The increase in trade relations is indicated by the bronze rings found in eastern and western Georgia, which presumably served as coins.

The article details the initial forms of trade of the Georgian population and the items that probably served as the coin at that time. There is also talk of Colchian coins.

It also describes the trade relations with the neighboring countries at that time, and were described the gold and silver coins used in detail.

Keywords: Silk Road, Coins, Colchian White, Byzantine Coin.

პოლიტიკური მეცნიერებანი

POLITICAL SCIENCES

ევროკავშირი – ინტერესთა ერთიანობა

ზურაბ გამეზარდაშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ევროკავშირი, როგორც საერთო ინტერესებზე და თითოეული სახელმწიფოს თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული სტრუქტურული ორგანიზაცია, ეფექტურად უზრუნველყოფს წევრი ქვეყნების უსაფრთხოებას. ცალკე აღებული ევროკავშირის ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს მსოფლიო სავაჭრო სისტემაში საკუთარი ინტერესების დაცვას. ევროკავშირის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულადი სახსრები და ევროპის საინვესტიციო ბანკის კრედიტები ხელს უწყობს სახელმწიფოთა ფინანსური სიტუაციების გაუმჯობესებას.

მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პირობებში ევროპელების იდენტურობისა და მრავალფეროვნების შენარჩუნება და დაცვა. ევროკავშირი ცდილობს განავითაროს ადამიანის ჰუმანური და პროგრესული ხედვები, რათა მან თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ცვლილებები.

ევროკავშირის ინტერესებშია საზოგადოების ისეთი მოდელის შექმნა, რომელსაც მოქალაქეთა უმეტესობა ემხრობა. ღირებულებათა ჭეშმარიტი მემკვიდრეობაა ადამიანთა უფლებები, სოციალური სოლიდარობა, თავისუფალი მეწარმეობა, გარემოს დაცულობა, რელიგიური, ლინგვისტური და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა.

ევროპის კავშირის კარი ღიაა ყველა იმ ევროპული სახელმწიფოსთვის, რომელიც დემოკრატიის, ეკონომიკისა და პოლიტიკის აუცილებელ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

ევროპული ინტეგრაციის ისტორიამ ნათლად დაგვანახა, რომ ევროკავშირის ერთიანობა ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური და პოლიტიკის ასპექტებით ბევრად მეტია, ვიდრე წვერი ქვეყნების უბრალო ჯამი. ერთობლივად მოქმედება კიდევ ერთ დამატებით ღირებულებას სძენს ევროკავშირს.

საკვანძო სიტყვები: სტრუქტურა, გლობალიზაცია, პროგრესი, სოლიდარობა, კულტურა, დემოკრატია, ერთიანობა, ტრადიცია, უფლებები.

შესავალი

რეალურ პოლიტიკურ გეგმად ჩამოყალიბებამდე ევროპული ქვეყნების გაერთიანების იდეა მხოლოდ ფილოსოფოსებისა და მოაზროვნეების წრით შემოიფარგლებოდა. ვიქტორ ჰიუგოს აზრით „ევროპის შეერთებული სახელმწიფოების“ პერსპექტივა შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ჰუმანისტურ და პაციფისტურ იდეალებთან. მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ტრაგიკულმა კონფლიქტებმა მისი იდეალები დაამსხვრია.

მეორე მსოფლიო ომის დროს ტოტალიტარიზმის წინააღმდეგობის მოძრაობაში მომწიფებული იდეები გახდა ახალი იმედების საფუძველი, რაც გულისხმობდა ეროვნული ანტაგონიზმის დაძლევას და გრძელვადიანი მშვიდობისთვის პირობების შექმნას.

1945 და 1950 წლებში რამდენიმე ისეთმა მამაცმა სახელმწიფო მოღვაწემ, როგორიცაა, რობერ შუმანი, კონრად ადენაუერი, ალსიდ დე გასპერი, უინსტონ ჩერჩილი, მიიღეს გადაწყვეტილება დაერწმუნებინათ თავიანთი ხალხი ახალ ეტაპზე გადასვლის აუცილებლობაში. ეს იქნებოდა საერთო ინტერესებზე და თითოეული სახელმწიფოს თანასწორობის და კანონის უზენაესობის პრინციპზე დაფუძნებული და ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილი დასავლეთ ევროპის სტრუქტურული ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რობერ შუმანმა ჟან მონეს იდეის საფუძველზე 1950 წლის 9 მაისს წამოაყენა წინადადება ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ევროპული ქვეყნების გაერთიანების შექმნის თაობაზე.

ერთი უმაღლესი ორგანოს დაქვემდებარების ქვეშ იმ ქვეყნების გაერთიანებას, რომლებიც ადრე ერთმანეთის მტრები იყვნენ, დიდი სიმბოლური დატვირთვა ექნებოდა. ომისთვის განკუთვნილი ნედლეული მშვიდობისა და შერიგების საშუალებად გადაიქცეოდა.

1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ ევროპის კავშირმა ხელი შეუწყო გერმანიის გაერთიანებას. 1991 წელს საბჭოთა იმპერიის დაშლის

შემდეგ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომლებსაც ათწლეულების მანძილზე რკინის ფარდის მიღმა უწევდათ ცხოვრება, თავიანთი ბედის დამოუკიდებლად განკარგვის საშუალება მიეცათ. მრავალმა ქვეყანამ გააკეთა არჩევანი და გადაწყვიტა თავისი ადგილის დამკვიდრება დემოკრატიული ევროპის ქვეყნებს შორის. 2004 წელს ევროკავშირის რიგებს რვა, 2007 წელს კიდევ ორი ქვეყანა, 2013 წელს ხორვატია შეუერთდა.

ევროკავშირის გაფართოების პროცესი დღესაც გრძელდება. ზოგიერთი ქვეყანა ევროკავშირში მომავალი გაწევრიანებისთვის მზადების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე იმყოფება.

XXI-ე საუკუნის ევროპა ისევ რჩება ერთერთი მთავარი გამოწვევის-უსაფრთხოების პირისპირ. ევროკავშირმა ეფექტურად უნდა უზრუნველყოს წევრი ქვეყნების უსაფრთხოება. ამისთვის მან კონსტრუქციულად უნდა ითანამშრომლოს მის საზღვრებთან მდებარე რეგიონებთან: ბალკანეთთან, კავკასიასთან, ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ ნაწილის ქვეყნებთან. ევროკავშირმა ასევე უნდა დაიცვას საკუთარი სამხედრო და სტრატეგიული ინტერესები მოკავშირეებთან, განსაკუთრებით კი ნატოს წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობით და ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ჭეშმარიტი პოლიტიკის ჩამოყალიბების გზით.

შიდა და გარე უსაფრთხოება ფაქტიურად ერთი მედლის ორი მხარეა. ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა მოითხოვს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ძალოვანი სტრუქტურების მჭიდრო თანამშრომლობას. ევროკავშირში „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების“ სივრცის შენება, სადაც თითოეული მოქალაქეს დაიცავს კანონი და ის თავისუფლად შეძლებს მართლმსაჯულებით სარგებლობას, ხსნის ახალ გზებს, რომელიც მოითხოვს მთავრობებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას და მათი მოქმედებების კოორდინაციას. ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა ევროპოლი, ევროპის პოლიციის სისტემა, ან ევროჯუსტი, რომელიც ხელს უწყობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების პროკურორებს, მოსამართლეებსა და პოლიციის ოფიცრებს შორის თანამშრომლობას, უფრო აქტიური და ქმედითი როლი უნდა შეასრულონ.

ძირითადი ნაწილი

ევროპა შეიქმნა პოლიტიკური მიზნების ბაზაზე და ამ მიზნების მიღწევას ეკონომიკური თანამშრომლობის გზით აგრძელებს. მსოფლიო კონკურენციის გასამკლავებლად, ამ საუკუნეში, სადაც დემოგრაფიული ტენდენციები სხვა კონტინენტებზე უფრო გამოკვეთილია, ევროპას, როგორც არასდროს, სჭირდება გაერთიანება. ცალკე აღებული ევროკავშირის ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს მსოფლიო სავაჭრო სისტემაში საკუთარი ინტერესების დაცვას.

ამასთანავე ევროპულ კომპანიებს მაშტაბური ეკონომიკის მისაღწევად და ახალი კლიენტების მოსაპოვებლად უფრო ფართო ასპარეზი სჭირდებათ, ვიდრე ამას ეროვნული ბაზარი სთავაზობს. ევროპის ერთიანი ბაზარი კი მათ ამ ასპარეზს უხსნის. კონტინენტის ფართო ბაზარი, რომელიც 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს მოიცავს, სარფიანი უნდა იყოს რაც შეიძლება მრავალი ადამიანისთვის. ამიტომაც ევროკავშირი ცდილობს ვაჭრობის წინაშე არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრას და კომპანიების ბიუროკრატიისაგან გათავისუფლებას.

თავისუფალი კონკურენციის პირობებში სოლიდარობა არის აუცილებელი და ლოგიკური პირობა. ის თავს იჩენს კონკრეტულ სიტუაციებში: წყალდიდობებისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების დროს ევროკავშირის ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხები დაზარალებულთა დასახმარებლად. ევროკომისიის მიერ მართული სტრუქტურული ფონდები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა შეამცირონ ქვეყნების განვითარების შემაფერხებელი მიზეზები. ევროკავშირის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულადი სახსრები და ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტები ხელს უწყობს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას (ავტობანები, ჩქაროსნული მატარებლები), რაც პერიფერიებთან გამარტივებული წვდომისა და ტრანსევროპული ვაჭრობის განვითარების საშუალებას იძლევა.

2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა მკვეთრად შეარყია ევროპის ეკონომიკა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებმა და ინსტიტუციებმა შეძლეს მობილიზება და სწრაფი რეაგირება. მათ საბანკო დაწესებულებებს ფინანსური სიტუაციის გასაუმჯობესებლად შესთავაზეს გრანტები, რაც კრიზისის გავრცელების თავიდან აცილების საშუალება იყო. ასევე ფინანსური დახმარება გაუწიეს ყველაზე მეტად დაზარალებულ ქვეყნებს. საერთო ვალუტა აღმოჩნდა დევალვაციისა და სპეკულაციის რისკებისაგან დაცვის ეფექტური საშუალება. 2010 წელს ევროკავშირმა და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს ზომები მათი სახელმწიფო ვალების შესამცირებლად. მომავალი ათწლეულის მთავარი გამოწვევა ევროკავშირის ქვეყნებისთვის არის მათი ძალების გაერთიანება გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირისპირ და ამ კრიზისიდან გამოსავალი გზების ერთად ძიება.

ევროპული პოსტინდუსტრიული საზოგადოება უფრო და უფრო კომპლექსური ხდება. ცხოვრების დონის ამაღლება მოქალაქეებისთვის საგრძნობია, მაგრამ ასევე ცხადია, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება სოციალურ ფენებს შორის, რაც შეიძლება გაიზარდოს ეკონომიკური კრიზისის, ინდუსტრიული რესტრუქტურიზაციის, მოსახლეობის დაბერების და სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემების გამო. სწორედ ამისთვის არის მნიშვნელოვანი, რომ ევროკავშირის წევრმა ქვეყნება ერთად

იმუშაონ პრობლემების დასაძლევად. თუმცა ერთობლივი მუშაობა არ გულისხმობს ევროკავშირის ქვეყნების კულტურული და ლინგვისტური თავისებურებების უარყოფას. პირიქით, ევროკავშირის საქმიანობა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, რომელიც ეფუძნება რეგიონალურ თავისებურებებს და ტრადიციებისა და კულტურების მრავალფეროვნების შენარჩუნებას.

გრძელვადიან პერსპექტივაში ევროკავშირის ყველა ქვეყანა ნახავს სარგებელს. ევროპული ინტეგრაციის ისტორიამ ნათლად დაგვანახა, რომ ევროკავშირის ერთიანობა ეკონომიკურ, სოციალურ, ტექნოლოგიურ, ვაჭრობის და პოლიტიკის ასპექტებით ბევრად მეტია, ვიდრე ევროკავშირის წევრი ქვეყნების უბრალო ჯამი. ერთობლივად მოქმედება კიდევ ერთ დამატებით ღირებულებას სძენს ევროკავშირს.

მაშინ, როცა ინდოეთი, ბრაზილია და მსოფლიოს სხვა განვი-თარებადი ეკონომიკის ქვეყნები მიისწრაფვიან მსოფლიო ზესახელმწიფო-ების კლუბში შეუერთდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ისე, როგორც არასდროს, დაინტერესებულია ძალების გაერთიანებით თავისი გავლენის შესანარჩუნებლად „კრიტიკულ მასაზე“ და მსოფლიო ასპარეზზე.

ევროპა მსოფლიოს წამყვანი სავაჭრო ძალაა და ამგვარად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის თუ კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოლაპარაკებებში გადამწყვეტ როლს თამაშობს.

ის მოქალაქეებისთვის აყალიბებს პოზიციებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: გარემოს დაცვა, განახლებადი ენერგია, სურსათის უსაფრთხოება, ბიოტექნოლოგიები გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველთა სახეობების დაცვა და ა.შ.

ამგვარად ძველი შეგონება „ძალა ერთობაშია“ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას და აქტუალური რჩება ევროპელებისთვის.

ევროკავშირს სურს განავითაროს ადამიანის ჰუმანური და პროგრესული ხედვა, რათა მან თავის სასარგებლოდ გამოიყენოს გლობალური ცვლილებები და არ მოექცეს მისი გავლენის ქვეშ. მხოლოდ ბაზრის ძალებით და ცალკეული ქვეყნების ცალმხრივი ქმედებებით ვერ მოხერხდება ადამიანის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ევროკავშირს სურს შექმნას საზოგადოების ისეთი მოდელი, რომელსაც მოქალაქეების უმეტესობა ემხრობა. ევროპელებისთვის ღირებულებათა

ჭეშმარიტი მემკვიდრეობაა ადამიანთა უფლებები, სოციალური სოლიდარობა, თავისუფალი მეწარმეობა, ეკონომიკური განვითარების პროდუქტების სამართლიანი განაწილება, გარემოს დაცულობის უფლება, რელიგიური, ლინგვისტური და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა და ტრადიციებისა და პროგრესის ჰარმონიული შერწყმა.

ევროკავშირის ფუნდამენტალურ უფლებათა ქარტია 2000 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა ნიცაში. 2009 წლის პირველი დეკემბრის ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ის სამართლებრივად სავალდებულო გახდა. ქარტიაში ჩამოთვლილია ყველა ის უფლება, რასაც დღეს კავშირის წევრი სახელმწიფო და მათი მოქალაქეები აღიარებენ. სწორედ ეს ღირებულებები წარმოქმნიან ერთობის განცდას ევროპელებს შორის, განსაკუთრებით მაშინ როცა დანარჩენ მსოფლიოს ედარებიან. მაგალითად შეიძლება სიკვდილით დასჯის გაუქმების მოყვანა ევროკავშირის ყველა ქვეყანაში.

ეტაპები: 1. 1950 წლის 9 მაისს „შუმანის დეკლარაცია“ ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანების შექმნის იდეით გამოდის. ეს იდეა განხორციელდა 1951 წლის 18 აპრილს პარიზის ხელშეკრულების საფუძველზე და პირველ ეტაპზე შემოიფარგლა ექვსი დამფუძნებელი სახელმწიფოსთვის ქვანახშირისა და ფოლადის ერთიანი ბაზრის გახსნით. გაერთიანება ემსახურებოდა მშვიდობას, რომელსაც უნდა უზრუნველყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპის გამარჯვებული და დამარცხებული ქვეყნებისთვის თანასწორი პირობების შექმნა და ერთობლივი ინსტიტუციების ფარგლებში თანამშრომლობის შესაძლებლობა.

2. 1957 წლის 25 მარტს რომის ხელშეკრულებით ექვსმა წევრმა სახელმწიფომ გადაწყვიტა ატომური ენერგიის ევროპული გაერთიანებისა და ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შექმნა უფრო ფართო საერთო ბაზრის საფუძველზე, რომელიც მოიცავდა მომსახურების მრავალ სფეროს. 1968 წლის პირველ ივლისს სრულად გაუქმდა საბაჟოს გადასახადი და ამავე ათწლეულში დამკვიდრდა საერთო პოლიტიკა ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში.

3. ექვსი ქვეყნის წარმატებამ გაერთიანებაში გაწევრიანების სურვილი გაუჩინა დანიას, ირლანდიას, გაერთიანებულ სამეფოს და ამგვარად 1973 წელს მოხდა გაერთიანების პირველი გაფართოება ექვსიდან ცხრა წევრამდე, რასაც მოჰყვა სოციალური და გარემოს დაცვის ახალი პოლიტიკის შემოღება. 1975 წელს შეიქმნა ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი.

4. 1979 წელს პირველად საყოველთაო კენჭისყრით ჩატარებული ევროპარლამენტის პირდაპირი არჩევნები გადამწყვეტი ნაბიჯი აღმოჩნდა ევროპული გაერთიანებისთვის. არჩევნები ტარდება ხუთ წელიწადში ერთხელ.

5. დიქტატურის მარცხის შემდეგ, 1981 წელს საბერძნეთის და 1986 წელს ესპანეთისა და პორტუგალიის გაწევრიანებამ, გაამყარა გაერთიანების პოზიციები ევროპის სამხრეთ ნაწილში, რამაც რეგიონალური სოლიდარობის პროგრამების შემუშავების აუცილებლობა გამოიწვია.

6. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე 80-იან წლებში წარმოიშვა გარკვეული „ევროპესიმიზმი“, თუმცა 1985 წლიდან იმედი ისევ გაჩნდა. „თეთრი წიგნის“მიხედვით, რომელიც წარმოდგენილი იქნა ევროკომისიის მაშინდელი პრეზიდენტის ჟაკ დელორის მიერ, გაერთიანებამ მიზნად დაისახა 1983 წლის პირველი იანვრისთვის ერთიანი შიდა ბაზრის დაარსება. ეს ამბიციური გეგმა 1986 წლის თებერვალში ხელმოწერილმა ერთიანმა ევროპულმა აქტმა დაადასტურა და 1987 წლის პირველ იანვარს შევიდა ძალაში.

7. ბერლინის კედლის დანგრევამ, რომელსაც 1990 წლის ოქტომბერში გერმანიის გაერთიანება მოჰყვა, საბჭოთა ზედამხედველობისაგან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განთავისუფლებამ და დემოკრატიზაციამ, ევროპის კონტინენტის პოლიტიკური სტრუქტურა სიღრმისეულად შეცვალა. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, რომელსაც წევრი სახელმწიფოები აწარმოებდნენ, სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებმა დაამტკიცეს ევროპული საბჭოს სხდომაზე, რომელიც 1991 წლის დეკემბერში მაასტრიხტში ჩატარდა. მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ძალაში 1993 წლის პირველ ნოემბერს შევიდა, საშინაო და საგარეო პოლიტიკაში არსებულ გაერთიანების სისტემაში სამთავრობათშორისო თანამშრომლობის ჩამატებით შეიქმნა ევროპის კავშირი.

8. აქედან მოყოლებული, კავშირი, რომელსაც 1995 წელს ავსტრია, ფინეთი და შვედეთი შეუერთდა და 15 წევრ ქვეყანას ითვლიდა, გლობალიზაციის პროცესებთან დაკავშირებულ გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ტექნიკურ პროგრესს, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის სულ უფრო და უფრო მზარდ გამოყენებას თავისი წვლილი შეაქვთ ეკონომიკის მოდერნიზებაში, მაგრამ ამავე დროს ეკონომიკის სფეროში მიმდინარე ღრმა ცვლილებები ზოგჯერ სოციალურ უთანხმოებას და კულტურულ შოკს იწვევს.

ამასთან ერთად ევროპის კავშირი თავის მოქალაქეებს ყველაზე ამბიციურ გეგმას სთავაზობს, რაც ეროვნული ვალუტის ევროთი ჩანაცვლებას

გულისხმობს. 2002 წლის პირველი იანვრიდან თორმეტ ქვეყანაში მომოქცევაში შევიდა ევროპული ვალუტა, რომელიც დღეს აშშ-ს დოლართან ერთად მსოფლიოს ძირითადი ფულადი ერთეულია.

9. ევროკავშირი ახალი, უპრეცედენტო მასშტაბის გაფართოებისკენ დგამს ნაბიჯებს. გაწევრიანების სურვილი საბჭოთა ბლოკის ექვსმა ქვეყანამ (ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ჩეხეთი), საბ-ჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსულმა ბალტიისპირეთის სამმა ქვეყანამ (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა), ყოფილი იუგოსლავიის ერთმა ქვეყა-ნამ (სლოვენია) და ხმელთაშუაზღვისპირა ორმა ქვეყანამ (კვიპროსი, მალტა) გამოთქვეს. ევროპის კონტინენტის სტაბილურობა და ქვეყნების დახმარების სურვილი, რომლებიც დემოკრატიის განვითარებას იწყებენ იმ იმედით, რომ შეძლებენ ევროპული ინტეგრაციით მოტანილი უპირატესობებით სარგებლობას, დიდ სტიმულს აძლევს ევროკავშირს.

ლუქსემბურგში, 1997 წლის დეკემბერს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ ახალი მოლაპარაკებები გაიმართა. 2004 წლის პირველ მაისს 25 წევრიანი ევროპა რეალობად იქცა, 2007 წელს ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანებით ქვეყნების რიცხვი ოცდაშვიდამდე გაიზარდა და ბოლოს 2013 წელს ხორვატიამ ევროკავშირის წევრი ქვეყნების რაოდენობა ოცდარვამდე აიყვანა.

10. ოცდამეერთე საუკუნის რთული და მრავალი გამოწვევის წინაშე გადაწყვეტილების მიღება გაერთიანებაში სირთულეებთან იყო დაკავშირე-ბული. ამიტომ აუცილებელი გახდა ინსტიტუციური სტრუქტურის რეფორმა მისი გამარტივების მიზნით. 2004 წლის ოქტომბერში ხელი მოეწერა ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტში წარმოდგენილ ახალ წესებს, რომლის მიხედვითაც კონსტიტუცია ანაცვლებდა მანამდე არსებულ ყველა ხელშეკრულებას. მაგრამ ორი ქვეყნის მიერ ჩატარებულმა ეროვნულმა რეფერენდუმმა ეს პროექტი უარყო და მისი ჩანაცვლება მოხდა ლისაბონის ხელშეკრულებით, რომელსაც 2007 წლის 13 დეკემბერს მოეწერა ხელი და ძალაში შევიდა 2009 წლის პირველი დეკემბერს. ეს ხელშეკრულება არ ანაცვლებს სხვა ხელშეკრულებებს, უბრალოდ მასში შეაქვს ის ცვლილებები, რომელთა უმრავლესობაც კონსტიტუციითაა გათვალისწინებული. მაგალი-თად კავშირს ჰყავს ევროსაბჭოს მუდმივი პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენელი.

ამავე დროს თავს იჩენს მსოფლიო ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი. საპასუხოდ ევროკავშირი ამოქმედებს ახალ მექანიზმებს ბანკების

სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ვალების შესამცირებლად და წევრი სახელმწიფოების (განსაკუთრებით კი იმ სახელმწიფოების, სადაც მიმოქცევაშია ევრო), ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინების მიზნით.

გაფართოება. ევროპის კავშირის კარი ღიაა ყველა იმ ევროპული სახელმწიფოსთვის, რომელიც დემოკრატიის, ეკონომიკის და პოლიტიკის აუცილებელ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

გაფართოების მრავალი ტალღის შემდეგ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების რაოდენობა ექვსიდან ოცდარვამდე გაიზარდა. ნებისმიერი ახალი წევრის მიღებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება ერთსულოვნად უნდა იყოს დამტკიცებული ყველა წევრი ქვეყნის მიერ. ამასთანავე ახალ გაფართოებამდე ევროკავშირმა უნდა შეაფასოს თავისი შესაძლებლობები ახალი წევრის მიღებასთან დაკავშირებით.

ევროკავშირის გაფართოებამ საშუალება მისცა სახელმწიფოთა ამ დიდ გაერთიანებას, გადაედგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროპის კონტინენტზე დემოკრატიის, უსაფრთხოების და სტაბილურობის ხელშეწყობის საქმეში. ამავე დროს გააძლიერა ევროკავშირის პოტენციალი ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.

2002 წლის დეკემბერში კოპენჰაგენში შეკრებილმა ევროპის საბჭომ ევროინტეგრაციის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. თხუთმეტმა ქვეყანამ თორმეტი ახალი ქვეყნის გაწევრიანებით არამარტო თავისი გეოგრაფიული არეალი და მოსახლეობის რიცხვი გაზარდა, არამედ ბოლო მოუღო 1945 წლიდან ორად გაყოფილი კონტინენტს. ევროპის ქვეყნები, რომლებიც ათწლეულების მანძილზე მოკლებულნი იყვნენ დემოკრატიულ თავისუფლებას, ბოლოსდაბოლოს შეუერთდნენ ევროპის დემოკრატიულ ოჯახს და დღეს ევროკავშირის დამფუძნებელი მამების პროექტის პარტნიორები არიან.

თურქეთი, რომელიც ნატოს წევრი ქვეყანაა, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით თანამშრომლობს. 1987 წლიდან იგი წევრობის კანდიდატი ქვეყანაა. მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან და პოლიტიკური ისტორიიდან გამომდინარე კავშირი დიდხანს იკავებდა თავს ქვეყნის განაცხადზე გაწევრიანების შესახებ დასტურის მიცემაზე. ბოლოს დათანხმდნენ და 2005 წელს დაიწყო მოლაპარაკებები თურქეთის გაწევრიანების თაობაზე. ზოგიერთი სახელმწიფო ეჭვს გამოთქვამს თურქეთის გაწევრიანების მოლაპარაკებების დადებითად დასრულებაზე და „პრივილეგირებული პარტნიორობის“ ალტერნატიული შემოთავაზებით გამოდიან.

2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა ისლანდიაზე მძიმე გავლენა მოახდინა; 2009 წელს განაცხადი შეიტანა ევროკავშირში გაწევრიანებაზე, თუმცა მოლაპარაკება 2013 წელს თავად ქვეყნის თხოვნით შეჩერდა.

ევროინტეგრაცია პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესია, რომელშიც ევროპის ყველა იმ ქვეყანას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა, რომელიც იზიარებს ევროკავშირის კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას. ლისაბონის ხელშეკრულების 49-ე მუხლის თანახმად, ევროპის ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც იცავს თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს შეუძლია წარადგინოს თავისი კანდიდატურა ევროკავშირში გაწევრიანებაზე .

გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები იმართება თითოეულ კანდიდატ ქვეყანასა და ევროკომისიას შორის, რომელიც ევროკავშირს წარმოადგენს. გადაწყვეტილება ახალი ქვეყნის კავშირში გაწევრიანების შესახებ ერთსულოვნად უნდა იყოს მიღებული ევროპის საბჭოზე შეკრებილი ყველა წევრის მიერ. ევროპარლამენტმა უნდა გამოხატოს თავისი აზრი წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. ამის შემდგომ, თითოეულ ქვეყანაში მომქმედი საკონსტიტუცი ოპროცედურების გათვალისწინებით უნდა მოხდეს ევროკავშირის ყველა ქვეყნისა და კანდიდატი ქვეყნის მიერ გაწევრიანების ხელშეკრულებების რატიფიცირება. მოლაპარაკებების პერიოდში ევროკავშირი კანდიდატ ქვეყნებს ფინანსურ დახმარებას სთავაზობს, რაც მათ ევროკავშირის ქვეყნებთან ეკონომიკურ დონეზე დაწევას უადვილებს.

დასკვნა

საჯარო დებატებმა ევროკავშირის მომავლის შესახებ, აჩვენა, რომ ევროპელებს ბევრი კითხვის ნიშანი აქვთ ევროკავშირის საბოლოო საზღვრებთან და იდენტობასთან დაკავშირებით. მაშინ როცა ყველა წევრ სახელმწიფოს თავიანთი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების განსხვავებული ხედვა აქვთ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც თუ ისე ადვილია. მართალია ბალტიისპირეთის ქვეყნები და პოლონეთი მხარს უჭერენ უკრაინის გაწევრიანებას, მაგრამ რას ფიქრობენ ამ საკითხთან დაკავშირებით უკრაინის მეზობელი ქვეყნები? პოლიტიკური სიტუაცია ბელორუსიაში და მოლდოვას სტრატეგიული მდგომარეობა გარკვეულ პრობლემებს წარმოშობენ. ლიხტენშტეინი, ნორვეგია, შვეიცარია არ არიან კავშირის წევრები, რადგან საზოგადოება გაწევრიანების წინააღმდეგია, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ეს ქვეყნები სრულად აკმაყოფილებენ გაწევრიანების პირობებს.

ევროკავშირის ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრი კავშირის საბოლოო საზღვრებთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად გაყოფილია. გეოგრაფიული კრიტერიუმების გამოყენება დემოკრატიული ღირებულებების გაუთვალისწინებლად, ევროკავშირში 47 ქვეყნის არსებობამდე მიგვიყვანდა და მათ რიგებში რუსეთიც აღმოჩნდებოდა, მაგრამ ცხადია, რომ რუსეთის გაწევრიანება დაარღვევს ევროკავშირის პოლიტიკურ და გეოგრაფიულ წონასწორობას.

ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანის უფლება ევროპის ნებისმიერ ქვეყანას გააჩნია, თუკი გამოხატავს მზაობას ევროკავშირის კანონმდებლობის მისაღებად.

ნებისმიერი მცდელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ევროკავშირის საზღვრები საბოლოოდ დადგინდეს, წინააღმდეგობაში მოდის 1950 წელს დაწყებულ ევროინტეგრაციის პროცესთან.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ევროკავშირის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს. სამეზობლო პოლიტიკის მიზანი, ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დაახლოების მხარდაჭერაა, რაც საბოლოო ჯამში ერთიანი და თავისუფალი ევროპის იდეის განხორციელებას ემსახურება.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა 2004 წელს, კავშირში ახალი წევრი სახელმწიფოების მიღების შემდეგ შემუშავდა, მეზობელ სახელმწიფოებთან გამყოფი ხაზების თავიდან აცილებისა და აღნიშნულ სივრცეში სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მხარდასაჭერად.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა მართავს ურთიერთობებს მის აღმოსავლეთით (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) და სამხრეთით (ალჟირი, ეგვიპტე, იორდანია, ისრაელი, ლიბანი, ლიბია, მაროკო, პალესტინის ოკუპირებული ტერიტორია, სირია, ტუნისი) მდებარე ქვეყნებთან.

თითქმის ყველა ამ ქვეყანას ევროკავშირთან „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“, ან ასოცირების ხელშეკრულებები აქვს გაფორმე-ბული, რომელთა საფუძველზე ისინი საერთო ღირებულებების (დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა) დაცვის ვალდებულებას იღებენ. ასევე მათ უნდა მიიღონ ზომები საბაზრო ეკონომიკის დასამკვიდრებლად და სიღარიბის დასაძლევად.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ეფუძნება რიგი ღონისძიებების განხორციელებას და მჭიდრო თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებით:

- ფინანსური დახმარება-ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ცალკეულ ქვეყნებში შესაბამისი პროექტების დასაფინანსებლად გამოიყოფა თანხები.
- ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროპის ბაზარზე დაშვება.
- ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივება.
- სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყნების ტექნიკური და საჯარო პოლიტიკის ცალკეულ სფეროებში რეფორმების მხარდაჭერა.

1995 წლიდან სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნები ევროკავშირთან პოლიტიკური, ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობებით არიან დაკავშირებული. ამას ევრო-ხმელთაშუაზღვისპირა პარტნიორობა ეწოდება და ევროკავშირის სახელმწიფოებსა და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყანებს აერთიანებს.

გაწეულ ფინანსური დახმარება ორივე ჯგუფის ქვეყნებისთვის მართავს ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი.

ლიტერატურა:

1. Mandes M. The legal affects of EU agrements. 2018;
2. Court R. Accessto European Union law. 2015;
3. Norgaard C. the implementation of international Human Rights Agreements within a Domestie legal sistem. 2009;
4. Дузин А. Г. Основы геополитики. 1995;
5. Манхеим К. Идеология и утопия. 1996;
6. Моннер К. Откритое Общество и его враги. 1992.

EU - Unity of Interests

Zurab Gamezardashvili, professor
Georgian Technical University

Summary

The European Union, as a structural organization based on common interests and the principles of equality of each state, effectively ensures the security of member states. Non of single EU country will be able to protect its interests in the world trade system. Money allocated from the EU budget and European Investment Bank loans contributes to the improvement of the financial condition of the states.

In the context of globalization it's essential to preserve and protect the identity and diversity of Europeans. EU wants to develop a humane and progressive vision in people, so that they use the changes to their advantage.

The interest of the European Union is to create a model of society that is supported by the majority of citizens.

The true legacy of values are human rights, social solidarity, free entrepreneurship, environmental protection, Respect for religious, linguistic and cultural diversity.

The door to the European Union is open to all European countries, which meets the necessary criteria for democracy, economy and politics.

The history of European integration has shown us clearly, that the unity of the European Union in economic, social, technological and political terms is much greater rather than a simple sum of member states. Joint actions add European Union another value.

სტრატეგიის ფორმირებისა და ანტიკრიზისული მართვის აღსრულების ღონისძიებები ქართულ კომპანიებში

ინგა გიგაური, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დღეს არსებულ არაპროგნოზირებად გარემოში, ეკონომიკური პროცესე-ბის სწრაფად ცვლილების გამო, სულ უფრო მეტად იზრდება ბიზნესის სრულ-ყოფის ღონისძიებების აუცილებლობა და აქედან გამომდინარე, სამეწარმეო-საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნვა. მსოფლიოში მიმდინარე ფორსმაჟორულმა ფაქტორებმა-(კერძოდ:კოვიდ-19მა)

დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა ყველა სფეროში მომუშავე ქართული კომპანიები, ამიტომ მათი მთავარი ფუნქციის: წარმოება-გასაღების ერთიან ღირებულებათა ჯაჭვის სტაბილურად ფუნქციონირების ნაწილში, მთა-ვარი განმსაზღვრელი კრიტერიუმებია: სწორი სტრატეგიული ხედვა და კრიზისული სიტუაციების მართვის უნარი,ასევე სახელმწიფოს მხრიდან გსატარებელი ის კონკრეტული ეკონომიკური თუ ფინანსური ღონისძიებები,რომლებზეც დამოკიდებულია კომპანიების ამ ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლა და მათი ზრდის შესაძლებლობები.

საკვანძო სიტყვები: ანტიკრიზისული სტრატეგიები; კრიზისული მოვლენების სიმპტომები; ოპერატიული, სტარატეგიული ღონისძიებები; ინოვაციური სტრატეგია; ბიზნეს-რისკების დაზღვევა; რეინჟინერინგი

შესავალი

მოგეხსენებათ, რომ კომპანიების წარმატებული საქმიანობა, რომელიც გულისხმობს გარემოსთან შესაბამისობას, კონკურენტულ უპირატესობას, ყოველთვის საჭიროებს სიტუაციურ ანალიზს, გარე და შიგა გარემოს სკანირებას.მენეჯერს არ შეუძლია მიაღწიოს წარმატებას მხოლოდ შემოქ-მედებითი მიდგომით, ზრდის შესაძლებლობები დამოკიდებულია იმ მოვ-ლენებზე და იმ არაპროგნოზირებად ცვლილებებზე, რომლებსაც შეუძლია შეუქმნას დიდი საფრთხე საუკეთესო გეგმასაც კი. ამიტომ დავესესხები ცნობილ მეცნიერს ჩარლ დარვინს: ,,გადარჩებიან არა ყველაზე ძლიერები და ჭკვიანები, არამედ ისინი, ვინც ყველაზე სწრაფად მოერგებიან ცვალებად გარემოს''. დღეს უმეტეს კომპანიებში არ არსებობს სწორი სტრატეგიული ხედვა, ანტიკრიზისული მენეჯმენტი, რომ აღარაფერი ვთქვათ საწარმოო, ორგანიზაციულ თუ ფინანსურ დარღვევებზე, რამაც მიიყვანა მათი უმეტესობა კრიზისამდე. ამას დაემატა მსოფლიო პანდემიით გამოწვეული ნეგატიური

მოვლენები, რაც აისახა კომპანიების საწარმოო-ფინანსური საქმიანობის შედეგებზე..საწარმოში(კომპანიაში) მიზეზების იდენტიფიკაციის გარეშე არ შეიძლება ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება, რომლის მიხედვითაც შეიტანება ცვლილებები და მიმდინარეობს სტრატეგიული ალტერნატივების დაგეგმვა. ამის შემდეგ იწყება შედეგების შეფასება და მონიტორინგი. თუკი კომპანია დროულად აღმოაჩენს საფრთხის ნიშნებს, მაღალი ალბათობით გაუმკლავდება პრობლემებს. კრიზისის მიზეზები შეიძლება გამოწვეული იყოს,როგორც ეგზოგენური, ისე ენდოგენური ფაქტორებით,კერძოდ: ქვეყანაში მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება; დესტაბილიზაცია; ფორსმაჟორული ვითარება (ომები,ეპიდემია); მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციები, სტრატეგიები.ენდოგენური ფაქტორები-სოციალურ-ფსიქოლოგიური კონფლიქტები; შრომის არაეფექტური ორგანიზაცია; პერსონალის დაბალი პროფესიონალიზმი; შეცდომები სტრატეგიულ მართვაში; კაპიტალის ფიზიკური და მორალური მოძველება; ფინანსური დავალიანებები; მარკეტინგის სარისკო სტრატეგიები, ამიტომ ანტიკრიზისული ღონისძიებების დროული განხორციელება დიდად არის დამოკიდებული კრიზისების სიმპტომების აღქმაზე; მათი გამომწვევი მიზეზების და რეალური ფაქტორების გამოვლენაზე. ფაქტორები-ეს გამაფრთხილებელი სიგნალებია; სიმპტომები-კრიზისული ელემენტების აღმოჩენა; მიზეზები-კრიზისის წარმოშობის წყარო.

ძირითადი ნაწილი

დღეს ქართული კომპანიები ნაკლებად უთმობენ ყურადღებას რისკების გამოვლენასა და მათ ანალიზს. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა და ასევე მიმდინარე პანდემიურმა პროცესებმა დაგვანახა, რომ საქართველოში საკმაოდ პოპულარულმა კომპანიებმაც კი ვერ მოახერხეს სახელმწიფოს მხრიდან გაწეული ფინანსური ინექციის გარეშე ფორსმაჟორულ სიტუაციებში არსებობა და ზარალის მინიმიზება, მათ არ აღმოაჩნდათ რისკების შემცირებისა და ანტიკრიზისული გეგმის შემუშავება-განხორციელების მექანიზმები. ბოლო წლებში საქართველოში აქტიურად ვითარდება საბანკო სექტორი და საკრედიტო ბაზარი, ამდენად საკრედიტო რისკმენეჯმენტი მეტ-ნაკლებად განვითარებულია საქართველოში, მაგრამ ბევრი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები არ სარგებლობენ ამ სერვისით და რისკის შემცირების მარტივ მექანიზმებსაც არ იყენებენ, რაც მათი განვითარების შესაძლებლობას აფერხებს. იგივე შეიძლება ვთქვათ ანტიკრიზისულ მართვაზე, რომელიც რისკმენეჯმენტზე უფრო რთული და კომპლექსურია. კრიზისული სიტუაციების გაჩენა გარდაუვალია, როგორც ეკონომიკისათვის, ისე ცალკეული კომპანიებისათვის, ამიტომ აუცილე-

ბელია, რომ მათ შემუშავებული ქონდეთ ანტიკრიზისული გეგმა. კომპანიების მენეჯერებმა დიდი ყურადღება მიაქციონ კრიზისული სიტუაციების სიმპტომების დროულ აღმოჩენას და პრევენციული ღონისძიებების გატარებას, განსაკუთრებით, დიაგნოსტიკის ეტაპს, რომელიც მოიცავს კომპანიის ფინანსურ ანალიზს, ბაზრის და დარგის ტენდენციების შესწავლას, (იხ.ნახ№1).



ნახ. 1.

კომპანიის ანტიკრიზისული სტრატეგია მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვეულებრივი სტრატეგიისაგან, როგორც ცვალებად გარემოზე სწრაფი ადაპტაციის უნარით, ისე რესურსული სიხისტით და მინიმალური

დანაკარგებით. ანტიკრიზისული სტრატეგია ასევე გულისხმობს სარისკო პროცესების ,,ტურბულენტურ დერეფანში'' მოქცევის ღონისძიებათა ერთობლიობას. შედარებისათვის რომ გავმიჯნოთ საერთო და ანტიკრიზისული სტრატეგიის ნიშნები, მივიღებთ ასეთ სქემას: კომპანიებში საერთო სტრატეგიის დროს ძირითადი ყურადღება გამახვილებულია გრძელვადიან პროგრამებზე; ანტიკრიზისული სტრატეგიის დროს-სექტორებსა და ეტაპების მიხედვით პრობლემების გადალახვაზე. საერთო სტრატეგიის დროს ბიზნესი ემყარება მაგისტრალურ წარმოებას, რომელიც ორიენტირებულია მსხვილ სეგმენტზე; ანტიკრიზისულის დროს - ბიზნესი ახდენს წარმოების დივერსიფიცირებას ბაზრის პატარა სეგმენტებზე.

წარმოების პროფილი საერთო სტრატეგიის დროს მიმართულია მასობრივი და მსხვილი სერიულობის გაფართოებაზე და ლიდერობაზე დანახარჯების მიხედვით; ანტიკრიზისულის დროს დივერსიფიკაციაზე, სტრატეგიული ნაკეთობების ხარისხის ამაღლებაზე, საქონელ-დიფერენცირებული მარკეტინგის ფოკუსირებაზე. შეიძლება ითქვას, რომ კრიზისის საფრთხე ყოველთვის არსებობს და საჭიროა მისი წინასწარი პროგნოზირება, ხოლო მისი თავიდან აცილების ერთ-ერთი ეფექტიანი გზა არის კომპანიის ბიზნეს-პროფილიდან გამომდინარე მენეჯმენტის მისადაგება კომპანიის პოტენციალის ცვლილებებთან. ოპერატიულ ღონისძიებებთან ერთად (დამცავი ტაქტიკა), უფრო მეტად ეფექტიანია სტრატეგიული ღონისძიებების გატარება(შემტევი ტაქტიკა). ამ დროს რესურსდამზოგ ღონისძიებებთან ერთად ტარდება აქტიური მარკეტინგი, წარმოების ახალ ხაზებზე გადაწყობა; მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენება. მოდერნიზაცია უკეთდება ფინანსურ, მარკეტინგულ და ინვესტიციურ პროგრამებს. კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის არნიშნულ ასპექტში საწარმოს ხელმძღვანელობასა და ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად აქტიურად უნდა ჩაებას სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ საწარმოს (კომპანიის) გაკოტრების არამარტო ორგანიზაციული, არამედ სამართლებრივი და სოციალური სისტემის ფუნქციონირება, რომელშიც მოიაზრება სახელმწიფოს მხრიდან გასატარებელი კომპლექსური ანტიკრიზისული ღონისძიებები: საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების, სანაციისა და სხვა საკითხებზე გაჯანსაღების პროგრამების შედგენა: კერძოდ, ოპერატიული ღონისძიებები-ზარალის ლიკვიდაცია, გადასახადების განვადება; იაფი კრედიტის პროგრამა, რომელიც ჩვენმა მთავრობამ წარმოადგინა ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, ამა წლის მარტში თავს დამტყდარი პანდემიის დროს. მაგრამ, ვშიშობ სამომავლოდ ადგილი ექნება ისევ და ისევ კორუფციული გარიგებების ნიშნებს.სახელმწიფო 600 მლნ. ლარის ბენეფიტს აძლევს კერძო ბანკებს-როგორც შუამავლს, ნაცვლად იმისა რომ

თვითონ ყოფილიყო გარანტორი, როგორც რიგ განვითარებულ ქვეყნებშია აპრობირებული, მა: გერმანია, იაპონია; აშშ, დიდი ბრიტანეთი, მაგ: ამერიკაში, თუ სესხი არ აღემატება 750 ათას აშშ დოლარს, სახელმწიფო კერძო საფინანსო ორგანიზაციას აძლევს სესხის დაფარვის ნაწილის გარანტიას და მეწარმის გადახდისუუნაროდ შექმნის შემთხვევაში სახელმწიფო კრედიტის 75%-ს ფარავს, 100 ათას დოლარს თუ არ აღემატება, გარანტია 80%-ზე გაიცემა. ანალოგიურად, დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო აზღვევს მცირე ბიზნესი-სათვის სესხის 75%-ს. საფრანგეთში 50-ზე მეტი საფინანსო ორგანიზაცია მუშაობს მცირე ბიზნესის დაკრედიტებაზე და სრულიად უპროცენტო სესხებს გასცემს, ხოლო 30000 ევროს ფარგლებში სუბსიდიები გაიცემა. სწორედ ამიტომ ბანკებმა ისედაც მათი საზოგადოებაში ნდობადაკარგული რეპუტაციიდან გამომდინარე შესაძლოა ბოროტად ისარგებლონ შუამავლის პოზიციიდან და თავიანთ არაპროფილურ მსხვილ ბიზნესებში გამოიყენონ აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული შესაძლებლობები, ხოლო ის კომპანიები, რომლებიც ოპერირებენ მცირე და საშუალო ბიზნესში საფი-ნანსო პროგრამით სარგებლობის მიღმა დარჩნენ. ჩვენთან არაპროფილური ბიზნესი არ ისჯება, ე.ი ისევ ამ ბანკებს ვამდიდრებთ, რათა თავის ქოლგის ქვეშ მყოფი ერთეული კომპანიები დააფინანსოს. რატომ უნდა წყვიტავდეს ბანკი სხვადასხვა კომპანიებისაგან წარდგენილი ბიზნეს-პროექტი რენტაბელურია, თუ არა. მსესხებელმა და გამსესხებელმა იცის, რომ კრედიტზე აგებული ბიზნესი განწირულია და დიდი რისკების წინაშეა. ანუ ამ ნაწილში ვერ ვხედავ, კომპანიების მიმართ არაკეთილსინდისიერი ქმედებების რისკების დაზღვევის და მათი კონტროლის სამართლებრივ ბერკეტებს.ისევ ბანკების გავლით აპირებენ ამ სოფლის მეურნეობის საწარმოების განვითარებასაც. სახელმწიფო საწარმოები უნდა შეიქმნას და შემდეგ კოოპერატივებად გადაიქცეს, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან გადმოგზავნილი სოლიდური თანხები მიზნობრივ რენტაბელურ პროექტებს უნდა მოხმარ-დეს, რათა მცირე დანაკარგებით გამოვიდეს ქვეყანა ამ ფინანსური კოლაფსი-დან და ეკონომიკური ზრდის ძველ ნიშნულს დაუბრუდეს მაინც.

დასკვნა

თანამედროვე ცვალებად გარემოში, კომპანიების კრიზისული ვითარე-ბიდან გამოსასვლელად აუცილებელია მთელი რიგი ორგანიზაციული და ფინანსური ღონისძიებების შემუშავება და რეალიზაცია. ესენია: რეს-ტრუქტურიზაცია, რეინჟინერინგი, დაფინანსების ახალი წყაროს მოძებნა, ინოვაციური საქმიანობა, რომელიც გვევლინება ფირმაში კრიზისის დაძ-ლევის და ანტიკრიზისული მართვის აღსრულების ნაწილში ერთ-ერთ რადი-კალურ საშუალებად. ამ მიზნით კომპანიაში (ფირმაში) უნდა შემუშავდეს

ინოვაციური სტრატეგია, რომელსაც ზოგადად შეიძლება შემდეგი მიმართულებები ჰქონდეს:

- ახალი პროდუქტების, ტექნოლოგიების და მომსახურეობების ათვისება
- ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურებზე და ახალ საწარმოო ხაზებზე გადაწყობა
- ახალი მეთოდების გამოყენება მართვაში, მარკეტინგში
- ტრადიციული რესურსების გამოყენებაში ახალი მიდგომების დანერგვა

მაგალითად, პანდემიის დროს ბევრმა ქართულმა კომპანიამ შეცვალა წარმოების პროფილი და გადაეწყო მსოფლიოში მასობრივად მოთხოვნად პროდუქტებზე, როგორიცაა: სადეზინფექციო ხსნარები, პირბადეები, ფარები, სასუნთქი აპარატები და რესპირატორები. არსებობს ასეთი ფრთოსანი გამოთქმა: ,,დანერგე ინოვაციები, თორემ დაიღუპები''. ეს სიტყვები დღეს ყველა მენეჯერისათვის აქტუალურია და საერთო ლოზუნგი ხდება. უნდა აღინიშნოს რომ ზემოთ მოყვანილი ღონისძიებების გატარება, სახელმწიფო მხარდაჭერისა და საფინანსო-საკრედიტო რეგულაციების გარეშე შეუძლებელი იქნება. სახელმწიფომ ამ ნაწილში აუცილებლად უნდა გამოიყენოს საზღვარგარეთული გამოცდილება, სადაც მცირე ბიზნესის პროფილის კომპანიებს მოგების გადასახადისაგან ანთავისუფლებს, სახელმწიფო შესაბამისი ბიზნეს-გეგმის წარდგენისა და ანალიზის საფუძველზე.

ლიტერატურა:

1. მარინა ტაბატაძე, ნ. ცანავა ,,სახ–ო ანტიკრიზისული მართვა''. გამომცემლობა ,,მერიდიანი''თბილისი 2009 წ
2. Конкурентная стратегия: Методика анализа отраслей и конкурентов/ Майкл Е. Портер; Пер. с англ. — М.: Альпина Бизнес Букс, 2005. — 454 с.
3. Mitroff,Lan I. Crisis management review Winter 1994, v 36n2,p.101-113.
4. .Hed George L. Crisis Plans Ensure Companies uture//Business Insurance,- May 28,1990,v 24n 22, p.39]

Strategy formation and anti-crisis management enforcement measures in georgian companies

Inga Gigauri, Associate Professor
Georgian Technical University

Summary

In current unpredictable environment, due to the rapid change in economic processes, there is a growing need for business improvement measures and, consequently, attention for the improvement of the entrepreneurial-investment environment. Force majeure factors worldwide - (in particular: Covid-19) makes great challenges before relevant Georgian companies operating in all fields, thus in one of their main functions: production and selling of the integrated value chain of the reliable operation the main criteria are: the proper strategic vision and crisis management skills, as well as carried out from the state specific economic or financial measures, on that depends the companies recovery from this dead-end road and making of growth opportunities.

Key words: The anti-crisis strategies; Symptoms of crisis events; Operative, strategic measures; Innovative strategy;Business risk insurance; Reengineering.

პარლამენტის არჩევნების კონსტიტუციური რეგულირების მოდელი

ლია აბლოთია, სტუდენტი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

არჩევნების მეშვეობით ხდება სახელმწიფოში დემოკრატიულობის ხარისხის და საზოგადოების განვითარების შეფასება. სახელმწიფოებრივად დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საარჩევნო ნორმების საკანონმდებლო რეგულირება უნდა იყოს გონივრული და ეფექტიანი, ამიტომაც აუცილებელია განხილული და შეფასებული იქნეს ისეთი საკითხი, როგორიცაა საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციური რეგულირება.

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუცია, არჩევნები, პარლამენტი, სახელმწიფო, დემოკრატია, საკანონმდებლო აქტები, საარჩევნო კოდექსი.

შესავალი

არჩევნები დემოკრატიულობის საუკეთესო გამოხატულება და უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტია. არჩევნების მეშვეობით ხდება სახალხო სუვერენიტეტის პრინციპის რეალიზება, ვინაიდან სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს ხალხი წარმოადგენს. საარჩევნო სტანდარტების რეგულირება და შიდასახელმწიფოებრივ აქტებში მათი იმპლემენტირება ძალიან მნიშვნელოვანია. არჩევნების საკანონმდებლო რეგლამენტაცია პირველ რიგში უნდა მოხდეს ქვეყნის ძირითად კანონში ანუ კონსტიტუციაში. ქვეყანათა ერთი ნაწილის კონსტიტუციებში საარჩევნო ნორმები ძალიან ზოგადი სახითაა ჩამოყალიბებული, სახელმწიფოთა მეორე ნაწილში კი ზედმეტად დეტალურად, პროცედურულ დონეზეა მოწესრიგებული აღნიშნული საკითხები; ორივე სახის რეგულირება არის პრობლემური და დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან. ამიტომ აუცილებელია, საქართველოს კონსტიტუციაში საარჩევნო ნორმათა რეგულირება იყოს ზომიერად დაბალანსებული და დაცული იყოს „ოქროს შუალედი“.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს პარლამენტის არჩევნები

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი გთავაზობს საპარლამენტო არჩევნების რეგულირების საკმაოდ ვრცელ ტექსტს. ეს მუხლი აწესებს, თუ რამდენპალატიანი უნდა იყოს საქართველოს პარლამენტი მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ და განსაზღვრავს

პალატების შემადგენლობებსაც; განსაზღვრავს ამჟამინდელი მდგომარეობით პარლამენტის არჩევის წესს, პრინციპებს, ვადას; ასევე, პასიური საარჩევნო უფლების განსახორციელებლად ადგენს ასაკობრივ ცენზს; ბოლოს კი დეტალურად აღწერილია პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის პირობები და პროცედურები.[1]

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია პარლამენტის არჩევნების მომწესრიგებელ მუხლის პირველივე პუნქტში ვხვდებით „სამომავლო" რეგულირებას, რომლის მიხედვითაც, როდესაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სრულად აღდგება საქართველოს იურისდიქცია, პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკური საბჭო და სენატი. ასევე, განსაზღვრულია მათი შემადგენლობა და სტრუქტურაც. მსგავსი დანაწესი ცოტა უჩვეულო და განსხვავებულია, თუმცა აღნიშნული ჩანაწერის არსებობა ხაზს უსვამს საქართველოს დამოუკიდებლობას და ერთიანობას, ამიტომაც მსგავსი ჩანაწერის არსებობა კონსტიტუციაში და კერძოდ, პარლამენტის არჩევნების მუხლში, გამართლებულია.

დღევანდელი მდგომარეობით, იქამდე ვიდრე საქართველოს იურისდიქცია არ გავრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, პარლამენტი შედგება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული 150 პარლამენტის წევრისგან. აქვე განსაზღვრულია უფლებამოსილების 4-წლიანი ვადაც. აღნიშნული დანაწესი არის ძალიან ზოგადი, ვინაიდან განსაზღვრავს საარჩევნო პრინციპებს, პარლამენტართა ოდენობას და უფლებამოსილების ვადას, შესაბამისად, ნებისმიერ კონსტიტუციაში სხვადასხვა ფორმულირებით, თუმცა მსგავსი შინაარსით არსებობს ასეთი მუხლი/მუხლები ან პუნქტები. ამავე მუხლით დადგენილია პარლამენტის წევრობისთვის აუცილებელი ცენზები, კერძოდ, ასაკობრივი, ბინადრობის და მსჯავრდებულისთვის პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვა. წინა ნაწილის მსგავსად ეს დანაწესიც, კონსტიტუციათა უმრავლესობაში, აუცილებლად გვხვდება. ესაა უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრისთვის დაწესებული მოთხოვნები, რომლებიც მიზანშეუწონელია, მოწესრიგებული იყოს სხვა საარჩვენო კანონმდებლობით საკითხისადმი მაღალი საჯარო ინტერესის და სახელმწიფოებრივად დიდი მნიშვნელობის გამო.

პარლამენტის არჩევნების კონსტიტუციურ რეგულირებაში გვხვდება ისეთი საკითხებიც, რომლებიც აშკარად პროცედურული ხასიათისაა, კერძოდ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებში განსაზღვრულია, რა შემთხვევაში აქვს პოლიტიკურ პარტიას

[1] საქართველოს კონსტიტუცია, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება, განსაზღვრულია მანდატების განაწილების წესი და საარჩევნო ბარიერი. ვინაიდან, საქართველოში ძირითადად საარჩევნო კოდექსით რეგულირებულია არჩევნებთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები, უპრიანი იქნებოდა, ზემოთაღნიშნული პუნქტების დანაწესი მოწესრიგებულ იყოს არა კონსტიტუციით, არამედ საქართველოს ორგანული კანონით „საარჩევნო კოდექსი". მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ არის ზედმეტად „გადატვირთული" პროცედურული საკითხებით და მაქსიმალურად დაბალანსებულია, მაინც უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული საკითხები მოწესრიგებული ყოფილიყო საარჩევნო კოდექსით. თუკი აღნიშნული საკითხები მოწესრიგებული იქნება ორგანული კანონით, ცვლილებების შეტანა ამ დანაწესებში გამარტივდება და საჭირო არ იქნება კონსტიტუციის გადასინჯვა. საილუსტრაციოდ შეიძლება მოყვანილ იქნეს მაგალითი - პარტიას არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს თუ მისი მხარდაჭერა დადასტურებულია არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის ხელმოწერით. აღნიშნული ციფრი დროსთან ერთად შეიძლება საჭიროებდეს შეცვლას, ამის განხორციელება კი შეიძლება მხოლოდ კონსტიტუციის გადასინჯვით, რაც უფრო რთული და ხანგრძლივი პროცედურაა, ვიდრე საარჩევნო კოდექსში ცვლილების შეტანის შემთხვევაშია საჭირო. შესაძლოა, ამ ციფრის შეცვლა რამდენიმე წელიწადში ერთხელაც კი გახდეს საჭირო და თუ კონსტიტუციაში ასე ხშირად იქნება შეტანილი ცვლილება, ეს გამოიწვევს მის „გაუფასურებას"; ხოლო თუ ამ საკითხს არ შეცვლიან საჭიროებისდა მიხედვით, ვეღარ მოხდება კონსტიტუციის და მიმდინარე პროცესების თანხვედრა, რაც ასევე, არაა სახარბიელო ქვეყნისთვის.

ევროპული ქვეყნების (და არამხოლოდ ევროპული) პრაქტიკის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ამ საკითხისადმი ერთგვაროვანი მიდგომა არ არსებობს. ქვეყანათა ნაწილს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხები კონსტიტუციაში მინიმალური დოზით აქვს გაწერილი და მხოლოდ ძირითად/მნიშვნელოვან საკითხებს აწესრიგებს კონსტიტუციურ დონეზე, ასეთი ტიპის კონსტიტუციაში მეტი ადგილი აქვს დათმობილი პარლამენტის უფლებამოსილებებს, ხოლო პროცედურული საკითხები გადატანილია სხვა საარჩევნო საკითხების მომწესრიგებელ აქტებში. ასეთი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება - გერმანია, უკრაინა, იაპონია.[1] ქვეყანათა მეორე ნაწილი საკმაოდ დეტალურად აღწერს საპარლამენტო არჩევნების ჩატარების წესს, პროცედურებს და ა.შ. მაგალითად, შვედეთის კონსტიტუციაში[2] გაწერილია საარჩევნო ბარიერი, მანდატების გადანაწილების წესი და

[1] The Constitution of Japan Art. 43, https://japan.kantei.go.jp/constitution_and_government_of_japan/constitution_e.html

[2] The Constitution of the Kingdom of Sweden Art. 7, 8, http://www.parliament.am/library/sahmanadrutyunner/Sweden

სხვა;, თურქეთის კონსტიტუცია[1] გამოირჩევა საკითხების და მუხლების ზედმეტად გაშინაარსებით და ჩაშლით, კერძოდ, კონსტიტუციური რანგი ენიჭება საარჩევნო პროცესების კონტროლის მექანიზმებსაც კი. ასევე, ქვეყანათა მესამე ჯგუფს შეგვიძლია მივაკუთვნოთ დაბალანსებული კონ-სტიტუციები, რომლებშიც კონსტიტუციური რანგი მინიჭებული აქვს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებსაც სჭირდებათ მეტი სიმყარის გარანტია, ხოლო პროცედურული და ხშირად ცვალებადი საკითხები რეგულირებულია სხვა აქტებით. ამ ჯგუფს შეგვიძლია მივაკუთვნოთ საქართველოს კონსტიტუციაც, თუმცა, უმჯობესი იქნება, თუკი მანდატების განაწილების წესი, ამომრჩეველთა ხელმოწერების ოდენობა, რომლითაც დასტურდება არჩევნებში მონაწილეობის მსურველი პარტიის მხარდაჭერა, მოწესრიგებული იქნება საარჩევნო კოდექსით. რაც შეეხება საარჩევნო ბარიერს, მისი კონსტიტუციაში გაწერის საკითხი საკამათოა, თუმცა, საქართველო ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევის წინაშე დგას, ამიტომ ამ ეტაპზე, უმჯობესია საარჩევნო ბარიერის საკითხი კონსტიტუციურ დონეზე იყოს მოწესრიგებული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი შეიძლება დადგეს დღის წეს-რიგში, როდესაც საქართველოში იქნება ბიკამერალური პარლამენტი, კერძოდ, ასაკობრივი ცენზის საკითხი პალატების მიხედვით. მსოფლიო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ერთ პალატაში პარლამენტის წევრისთვის დადგენილი ასაკობრივი ცენზი უფრო დაბალია, ხოლო მეორეში (ზედაში) - უფრო მაღალი. მაგალითად, იტალიის კონსტიტუცია ადგენს, რომ ქვეყნის პარლამენტი ორპალატიანია და შედგება დეპუტატთა პალატის და რესპუბლიკის სენატისგან. დეპუტატთა პალატაში ასარჩევი პირი უნდა იყოს არჩევნების დღისთვის 25 წელს მიღწეული, ხოლო რესპუბლიკის სენატში ასარჩევ პირთათვის დაწესებულია უფრო მაღალი ასაკობრივი ცენზი, კერძოდ სენატორი უნდა იყოს 40 წლის.[2] სრულიად შესაძლებელია აღნიშნული საკითხი საქართველოს დღის წესრიგში დადგეს. შინაარსობრივი მხარისგან დამოუკიდებლად, თუკი ასეთი მოცემულობის წინაშე დავდგებით, აუცილებელი იქნება, რომ აღნიშნული საკითხები მოწესრიგებული იყოს კონსტიტუციით, ვინაიდან ასაკობრივი ცენზი არის იმ მნიშვნელობის საკითხი, რომლისთვისაც აუცილებელია კონსტიტუციური რანგის ქონა.

---

[1] Constitution of the Republic of Turkey, Art. 79, https://global.tbmm.gov.tr/docs/constitution_en.pdf

[2] The Constitution of the Italian Republic Art. 56, 58, https://www.senato.it/documenti/repository/istituzione/costituzione_inglese.pdf

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ძირითად კანონში იმპლემენტირებული საარჩევნო საკითხების მომწესრიგებელი ნორმები არ არის არც ძალიან ზოგადი და არც ზედმეტად ჩაშლილი სახის, რაც გამოიწვევდა კონსტიტუციის „გადატვირთვას". თუმცა, ზოგიერთი საკითხი დღეს მოქმედი რედაქციითაც არაა საფუძვლიანად მოწესრიგებული ან საჭიროებს გადახედვას/შეცვლას, ამიტომაც აუცილებლობას წარმოადგენდა თითოეული ნორმის სიღრმისეული ანალიზი, რათა საბოლოოდ, შემოთავაზებული ყოფილიყო (პარლამენტის არჩევნების) საარჩევნო ნორმათა კონსტიტუციური რეგულირების უკეთესი და უფრო მეტად ეფექტური მოდელი.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35
2. The Constitution of Japan, https://japan.kantei.go.jp/constitution_and_government_of_japan/constitution_e.html
3. The Constitution of the Italian Republic, https://www.senato.it/documenti/repository/istituzione/costituzione_inglese.pdf
4. The Constitution of the Kingdom of Sweden,http://www.parliament.am/library/sahmanadrutyunner/Sweden
5. Constitution of the Republic of Turkey, https://global.tbmm.gov.tr/docs/constitution_en.pdf

Model for Constitutional Regulation of Parliamentary Elections

Lia Ablotia, student

Tbilisi state University

Summary

Elections are used to evaluate the quality of democracy and the development of society in the state. Because of a great importance of the issue, the legislative regulation of electoral norms must be reasonable and effective, so it is necessary to consider and evaluate such issues as the constitutional regulation of parliamentary elections.

Keywords: Constitution, Elections, Parliament, State, Democracy, Legislative Acts, Election Code.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

S C I E N C E S

Изотопы и изобари

Горгошидзе Александре, Асистент
Грузинский Технический Университет

Дарчиашвили Лалита, Асистент-профессор
Грузинский Технический Университет

Резюме

С развитием электронной теории строения атомов стало ясно, что химические своиства элементов является функцией электронной структуры атомов. В качестве обьективного критерия, однозначно определяющего положение элемента в периодической системе, целесообразно выбрать электронное строение атома. Было выяснено значение атомного номера, который, как оказалось, определяет заряд ядра атома. Открытие изотопов и изобаров показало, что истинным аргументом, определяющим природу элемента, является именно заряд, а не атомная масса.

Ключевые слова: Изотопы, Изобары, Нуклиды, Массовое число, Протон. Нейтрон.

Вступление

Изотопы от греческого означает одиноковое место – разновидности ядер химического элемента, коториые имеют одинаковый атомный(порядковый) номер, но при этом разные массовие числа. Название связано с тем, что все изотопы одного атома помещается в одно и то же место таблицы менделеева. Химические своиства атома зависят от строения электронной оболочки, которая, в свою очередь, определяется в основном заряда ядра Z (то есть количеством

протонов в нем) и почти не зависят от его массового числа A (то есть сумарного числа протонов Z и нейтронов N), но ани могут иметь различние некоторые физические свойства.Правильним термином в единственном числе для обозначения атомов одного химического элемента с одиноковой атомной массой является нуклид, а термин изотопы допускается применять для обозночения совокупности нуклидов одного элемента.

Изобары с греческого означает «одиноковый вес» - нуклиды разных элементов, имеющие одиноковое массовое число. Хотя массовое число (то есть число нуклонов) A=N+Z в ядрах – изобарах одиноково, число протонов Z и нейтронов N различаются: $Z_1 \neq Z_2$, $N_1 \neq N_2$. Совокупность нуклидов с одиноковим A , но различним Z называют изобарической цепочкой. В то время как массовое число изобаров одиноково, их атомные массы совпадают лишь приближенно.

Основная часть

Было установлено, что атомы одного и того же элемента не должны быть тождественными. Элемент в общем может состоять из нескольких видов атомов, чьи ядра, правда , имеют то же количество Z протонов, но отличаются друг от друга количеством N нейтронов, т.е. по отношнию к уравнению A≈Д≈2Z , и количеством A нуклонов. Иными словами, элемент может быть природной смесью двух или более видов атомов, которые мы называем изотопами данного элемента. Изотопы этого элемента, поскольку имеют одинаковые Z , имеют одинаковие химические своиство и занимают то же место в периодической системе, что и этот элемент. Атомная масса элемента является средним значением атомных масс его изотопов.

Отдельные изотопы обозначаем символами $^{A}_{Z}X$, где нижний индекс у символа элемента X обозначает количество протонов, а верхний индекс-количество нуклонов в ядре. Так например, Водород, стоящий на первом месте в периодической системе элементов, появляется в двух изотопах $^{1}_{1}H$ и $^{2}_{1}H$. Из них в природном Водороде около 99,98 % первого изотопа, тогда как изотоп $^{2}_{1}H$ появляется в незначительном количестве 0,02 %. Изотоп $^{1}_{1}H$ имеет атомное ядро, образованное одним протоном (нуклоном), тогда как ядро изотопа $^{2}_{1}H$ содержит протон и нейтрон (т.е. два нуклона). Значит, масса протона $^{2}_{1}H$ двухкратна по отношению к массе изотопа $^{1}_{1}H$. По этой причине изотоп Водорода $^{2}_{1}H$ считается «тяжелым Водородом», часто обозначается химическим символом D и называется Дейтерием. Для ядра атома Дейтерия иногда используется название Дейтрон. В концентрирован-

ном состоянии Дейтрон появляется в форме тяжелой воды D_2O, которая, в сравнении с простой водой, обладает отличительными физическими свойствами (например, температура замерзания равна 3,82°С, точка кипения состовляет 101,42°С и т. д.).

Два изотопа имеет также Гелий, который является вторым элементом в периодической системе. Изотоп ^4_2He – обычен, тогда как из изотопов ^3_2He в среднем только один приходится на 10^6 изотопов ^4_2He. Поток стремительно летящих ядер изотопа ^4_2He (так называемых частиц α) создает радиоактивное излучение α.

В настоящее время известны около 300 стабильных изотопов. Кроме них, существует множество нестабильных (радиоактивных) изотопов.

В табл. 1 даются стабильные изотопы некоторых природных элементов. Массовые числа A в ней даны в последовательности появления изотопа, так что первое число соответствует массе найболее многочисленно представленных изотопов. За исключением Водорода и Гелия, ни в одном другом случае массовое число наилегчайшего изотопа не меньше двухкратной величины его атомного числа. Количество изотопов в разных элементах различно. Впридодном состоянии некоторые элементы имеют даже 10 изотопов (например, Олово), другие представлены одним изотопом (например, Бериллий, Натрий, Алюминий и т.д.). Любопитно, что элементы с четным атомным числом Z имеют большее количество изотопов, чем элементы нечетные, которые, как правило, имеют один или максимально два изотопа.

Кроме изотопов, появляются ядракоторые имеют одинаковые массовие числа A и атличаются атомным числом Z . Такие ядра называются изобарами. Стабильные изобары не существуют в элементе с легкими ядрами, для которых A<36. Изобары в большинстве появляются парами, иногда триадами.

Примером парных изобаров являются:

$^{36}_{16}S - {}^{36}_{18}Ar$, $^{92}_{40}Zr - {}^{92}_{42}Mo$, $^{122}_{50}Sn - {}^{122}_{52}Te$, $^{54}_{24}Cr - {}^{54}_{26}Fe$, $^{130}_{52}Te - {}^{130}_{54}Xe$, $^{204}_{80}Hg - {}^{204}_{82}Pb$

Величины Z изобаров, как правило отличаются на 2 единицы, а числа Z и A четние. Исключение состовляет пара изобаров $^{113}_{48}Cd - {}^{113}_{49}In$, где Z отличается на единицу, а A – нечетное. Примером изобаровых тряд являются: $^{96}_{40}Zr - {}^{96}_{42}Mo - {}^{96}_{44}Ru$, $^{136}_{54}Xe - {}^{136}_{56}Ba - {}^{136}_{58}Ce$.

Трядой изобаров, в которых Z отличается на единицу, например является: $^{40}_{18}Ar$ - $^{40}_{19}K$ - $^{40}_{20}Ca$.

Пары или триады изобаров, отличающихся в Z на единицу, представляют изобары только с виду стабильные, поскольку один из них, как правило, радиоактивный (нестабильные изобары).

Таблица 1

Атомное число	Элемент	Атомная масса	Массовие числа
1	H	1,008	1, 2
2	He	4,003	4, 3
3	li	6,940	7, 6
6	C	12,011	12, 13
8	O	16,000	16, 18, 17
12	Mg	24,32	24, 26, 25
29	Cu	65,34	63, 65
50	Sn	118,70	120, 118, 116, 119, 117, 124, 122, 112
54	Xe	131,30	114, 115
80	Hg	200,59	132, 129, 131, 134, 136, 130, 128, 124, 126
82	Pb	207,19	202, 200, 199, 201, 198, 204, 196, 208, 206, 207, 204
92	U	238,03	238, 235, 234

Заключение

1. В природе атомы одного и того же элемента имеют различние атомние массы.
2. Химические своиства элементов зависит от электронной структуры атомов.
3. Значение атомного номера определяет заряд ядра, который в свою очередь определяет природу элемента, а не атомная масса.

Литература:

1. Савельев И.В. Курс общей физики I ч. М. Физматгиз, 1962
2. გიგინეიშვილი ა. კუკულაძე გ. ზოგადი ფიზიკის კურსი I ნაწ. თბილისი ტექნიკური უნივერსიტეტი, 2006
3. Чачхиани З. Основы молекулярной физики. Технический университет, 2009

იზოტოპები და იზობარები

ალექსანდრე გაგოშიძე, ასისტენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლალიტა დარჩიაშვილი, ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ატომის აგებულების ელექტრონული თეორიის განვითარების კვალობაზე ცხადი გახდა, რომ ელემენტების ქიმიური თვისებები ატომების ელექტრონული სტრუქტურის ფუნქციას წარმოადგენს.

პერიოდულ სისტემაში ელემენტების მდებარეობის ცალსახად განმსაზღვრელ კრიტერიუმად მიზანშეწონილია ატომის ელექტრონული აღნაგობის ამორჩევა. გარკვეულ იქნა იმ ატომური ნომრის მნიშვნელობა, რომელიც როგორც აღმოჩნდა, განსაზღვრავს ატომის ბირთვის მუხტს. იზოტოპებისა და იზობარების აღმოჩენამ ცხადყო, ელემენტის ბუნების განმსაზღვრელ ჭეშმარიტ არგუმენტს სწორედ მუხტი წარმოადგენს და არა ატომის მასა.

საკვანძო სიტყვები: იზოტოპები, იზობარები, ნუკლიდები, მასური რიცხვი, პროტონი, ნეიტრონი.

იზოტოპური კვლევისას გამა კამერით რეგისტრაციის გაუმჯობესებული მეთოდი

ვალერიან ხუციშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კახაბერ შამათავა, დოქტორანტი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნუგზარ დოლიძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია სიმსივნით დაავადებული პათოლოგიური პაციენტები, რომელნიც იზოტოპური კვლევისას მოითხოვდნენ სკანირების ინდივიდუალურ მეთოდს, კერძოდ სიმსივნის დიაგნოსტიკისა და მკურნალობისას იზოტოპის ორგანიზმში შეყვანილი პაციენტების გამა კამერით რეგისტრაციის გაუმჯობესებული მეთოდი. სადაც ინდივიდუალურად მორგებულია პათოლოგიურ პაციენტზე სკანირების მეთოდიკა, საწოლი მაგიდის სიჩქარე, მიღებული გამა კვნატების რიცხვი და შესაბამისად მიღებული სურათი კონსტრასტულია. განხილულია გამა კამერა და მისი მუშაობის პრინციპები. პრობლემური პაციენტებისთვის, რომელთაც ორგანიზმში ფუნქციური დარღვევები აღენიშნებათ, გაუმჯობესებული იქნა სკანირების არსებული მეთოდი, რომელიც ექიმს საშუალებას აძლევს სკანირების მკაფიო სურათით გააკეთოს უფრო ზუსტი დასკვნები დროის მცირე მონაკვეთში. ახალი მეთოდი იძლევა კონტრასტულ, ინფორმატულ სურათს, რომლის საშაულებითაც ექიმი-ონკოლოგი დროულად აკეთებს დასკვნას და შემდგომი მკურნალობის დაგეგმვას.

საკვანძო სიტყვები: ქვანტი, გამა კამერა, ფარისებრი ჯირკვალი, სკანირება.

შესავალი

ბირთვული და რადიაციული მედიცინა სამედიცინო რადიოლოგიის ერთ-ერთი მიმართულებაა. ამ მიმართულებით ხდება პაციენტების დიაგნოსტიკა და მკურნალობა. დიაგნოსტიკის ერთ-ერთ ამგვარ აპარატს წარმოადგენს გამა-კამერა. ბირთვულ მედიცინაში გამა-კამერა არის ვიზუალიზაციის მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება პრაქტიკაში, კერძოდ იმ სიმსივნით დაავადებული პაციენტების სადიაგნოსტიკოდ, რომელთაც უტარდებათ ინტრავენურად ან პერორალურად მიღებული რადიოიზოტოპებით მკურნალობა. [1-5].

ძირითადი ნაწილი

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება სამედიცინო ფიზიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას - დიაგნოსტიკა და მკურნალობა. კერძოდ, მოცემულია გამა კამერით სკანირების მეთოდის გაუმჯობესება მაღალი ხარისხის ინფორმატიული სურათის მისაღებად. იგი საშუალებას გვაძლევს სკანირების პროცედურა შევამციროთ დროში, პაციენტის მაგიდის და თვითონ მოწყობილობის სიჩქარის მიზანმიმართული ცვლილებით. შედეგად, მიღებული სურათის საფუძველზე დასკვნის გაკეთება სწარმოებს დროის მცირე მონაკვეთში. უფრო დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია სწორად მოხდეს რადიოიზოტოპის დოზის და პაციენტის მაგიდის სიჩქარის შერჩევა კოლიმატორთან მიმართებაში. ახალი მეთოდის მოდელირება აჩვენებს რომ ინდივიდუალური პრობლემური პაციენტებისთვის გარჩევისუნარიანობა უფრო მაღალია ვიდრე არსებული, სტანდარტული მეთოდით სკანირებისას.

კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია

ბირთვულ მედიცინაში ვიზუალიზაციისთვის ყველაზე ხშირად გამოიყენება გამა და/ან სცინტილაციის კამერები, მას აგრეთვე „ენგერის კამერასაც“ უწოდებენ. გამა კამერის საშუალებით სწარმოებს სრული ველის ერთდროული დეტექტირება და შესაბამისად, შესაძლებელია პაციენტის სადიაგნოსტიკო არიდან ჩაიწეროს, როგორც დინამიკური, ისევე სტატიკური გამოსახულებები. ხელმისაწვდომია სხვადასხვა დიზაინის გამა კამერები, მაგრამ ყველაზე ხშირად გამოიყენება ენგერის ერთ კრისტალიანი კამერა. მიუხედავად იმისა, რომ გამა კამერები წლების განმავლობაში იხვეწება და უმჯობესდება, კამერის ძირითადი ოპერაციული პრინციპები უცვლელი დარჩა.

გამა კამერა ეს არის მოწყობილობა რომლის საშუალებითაც სწარმოებს პაციენტის ორგანიზმიდან გამოსხივებული გამა კვანტების დაფიქსირება კოლიმატორის საშუალებით და შემდეგ მისი გარდაქმნა ელექტრონულ სიგნალად კომპიუტერული სურათის მისაღებად. კოლიმატორის საშუალებით სწარმოებს პირველადი გამოსხივებული გამა კვანტის დაფიქსირება და გადატანა სცინტილატორის ველში (სურ.1). სცინტილატორში მოხვედრილი გამა სხივის შემდეგი ბარიერი არის ფოტოგამამრავლებელი მილი, სადაც გამა კვანტი გარდაიქმნება ელექტრონულ სიგნალად. გამა კამერის ეს ძირითადი ნაწილები საშუალებას გვაძლევს გამა კვანტები გარდავქმნათ ელექტრონულ სიგანალად და შემდეგ კომპიუტერის საშუალებით მოვახდინოთ ვიზუალიზაცია.



სურ. 1 . გამა კამერა და მისი ძირითადი ნაწილები

პაციენტი, რომელსაც რადიაქტიური იზოტოპის გამოყენებით უტარდება ფარისებრი ჯირკვლის მკურნალობა თუ დიაგნოსტიკა, თავსდება სტაციონარში და პერორალური თუ ინტრავენური გზით იღებს რადიაქტიურ იზოტოპს წინასწარი შერჩეული დოზით. ყველა რადიაქტიურ იზოტოპს გააჩნია ნახევარდაშლის პერიოდი, აქვს როგორც β ასევე γ გამოსხივება. პაციენტის ორგანიზმში ბიოლოგიური უჯრედები ჩაიჭერენ რადიაქტიური იზოტოპის ატომებს რომლებიც ინტენსიურად გამოასხივებს გამა კვანტებს.

ორგანიზმიდან რადიაციული ნივთიერების გამოსვლის კრიტერიუმად გამოიყენება ე.წ. „ბიოლოგიური ნახევარგამოსვლის პერიოდი“. ბიოლოგიური ნახევარგამოსვლის პერიოდი არის დრო როდესაც პაციენტის მიერ მიღებული რადიოიზოტოპის გამოსხივების დოზა ნახევრდება. ეს დრო სხვადასხვა პაციენტისთვის ინდივიდუალურია და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე: ასაკობრივი შეზღუდვა, ორგანიზმიდან იზოტოპის ნახევარგამოსვლის სხვადასხვა პერიოდი, ფუნქციური დარღვევები და სხვა.

რადიაქტიური იოდის მიღების შემდეგ პაციენტებს უტარდება სკანირება დადგენილი წესით. სკანირების ჩატარებით დგინდება პაციენტის ორგანიზმში ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნის კერების არსებობა, რაც დაიმზირება ვიზუალურად. კვლევის ობიექტს გამოყოფს მიღებული სურათის კონტრასტულობა, რაც ხშირ შემთხვევაში დარღვეულია. კერძოდ, პრობლემურია პაციენტები, რომელთაც რადიოიზოტოპის მიღების შემდეგ ორგანიზმში დასაშვებზე მაღალი დოზა დაუგროვდათ და დროულად ვერ მოხდა მისი გამოყოფა. ასეთი პაციენტების სკანირებასას მიღებული სურათი არაინფორმატულია, რაც გამოწვეულია რადიაქტიური იოდის გადაჭარბებული დოზით ორგანიზმში. რაც ექიმისთვის პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენას უშლის ხელს. აღნიშნულმა ხარვეზებმა

გამოიწვია სკანირების ახალი მეთოდის შემუშავება, რომელმაც ეს პრობლემა აღმოფხვრა.

სკანირების სტანდარტული მეთოდიკა გამა კვანტების აჯამვა

ზევით აღწერილი დანადგარი აღჭურვილია სტანდარტული სკანირების მეთოდიკით, MIE SCINTRON (Managed Integrity Evaluation) პროგრამით. ამ პროგრამის უზრუნველყოფით სწარმოებს ფოტოგამამრავლებელი მილიდან გამოსული ელექტრონული სიგნალის გადატანა კომპიუტერის ეკრანზე.

კლინიკაში შემოსულ პაციენტებს, რომელთაც აღენიშნება ფარისებრი ჯირკვლის პრობლემები, უტარდებათ დიაგნოსტიკა გამა კამერის საშუალებით და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი თერაპია.

კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ ზოგი პაციენტისთვის საკმარისი არ არის სტანდარტული 48 საათიანი დაყოვნება იმისთვის, რომ ჩაუტარდეს სკანირება. ამ პრობლემის გამომწვევი ფაქტორები მრავალნაირია: პირველ რიგში აღსანიშნავია პაციენტების ასაკი - 45 წლის ზევით, და ასევე ორგანიზ-მიდან იზოტოპის ნახევარგამოსვლის პერიოდის სხვადასხვა სიდიდე ფუნ-ქციური დარღვევების გამო და სხვა. სტატისტიკურად გამოკვლეულ იქნა, რომ ასეთი პაციენტები ძნელად ექვემდებარება სტანდარტულ სკანირებას და მივაკუთვნეთ ისინი პრობლემურ პაციენტებს, ვინაიდან ვერ ვიღებთ სასურველ სურათს - მათი სკანირების ვიზუალური სურათი რთული წასა-კითხია. სურ.2-ზე ნაჩვენებია, პრობლემური პაციენტი (ბ-1), რომელსაც დასჭირდა სკანირება ახალი მეთოდით (ბ-2), რომლის ასაკი აღემატება 45 წელს და აქვს სხვადასხვა ბიოლოგიური ფუნქციური დარღვევები. რო-გორც სურათიდან ჩანს, პრობლემური პაციენტის საკნირების სურათი გამოუსადეგარია სადიაგნოსტიკოდ.



სურ.2. პაციენტი რომელსაც დასჭირდა გაუმჯობესებული მეთოდით სკანირების ჩატარება (55 წელი)

სურათზე ჩანს მონიშნული იმ გამა კვანტების რაოდენობა რომელიც სტანდარტული მეთოდის დროს დაფიქსირდა, ხოლო მეორე ფოტოზე მაგიდის სიჩქარის გაზრდამ მოგვცა კვანტების მცირე რაოდენობა რაც აისახა ინფორმატულ სურათზე. შედეგი ნათლად ჩანს რომელიც ინფორმატულია ექიმისთვის.

სურ.(ბ-1) მიღებულია გამა კამერის სტანდარტული პროგრამით. მიღებული სურათი ექიმი-ონკოლოგისთვის არაფრის მომტანია, ვინაიდან მის საფუძველზე დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია გაიზარდოს პაციენტის კლინიკაში დაყოვნების დრო, რათა ორგანიზმიდან გამოვიდეს იზოტოპების „ჭარბი“ რაოდენობა და განმეორებით ჩატარდეს სკანირება. სიტყვა „ჭარბი“ ჩასმულია ბრჭყალებში, ვინაიდან იგულისხმება სტანდარტული სკანირებისთვის იზოტოპების ატომების მოჭარბებული რაოდენობა, ანუ რაც არასასურველი სურათის მიღების მთავარი მიზეზია. გამომდიანრე აქედან ეს ზედმეტი დოზა რომ ავიცილოთ თავიდა და პაციენტის დიაგნოსტიკა მოხდეს დროის მცირე მონაკვეთში სურ.(ბ-2-ზე) მოცემულია ამავე პაციენტის სკანირების სურათი, მიღებულია სკანირების ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდით. კერძოდ, აჩქარებული პაციენტის მაგიდით რომელიც აისახა გამა კვანტების მცირე რიცხვზე და შესაბამისად მივიღეთ ილუსტრირებული სურათი. ფაქტობრივად 3.09 ჯერ შემცირდა იმ „არასასურველი “ გამა კვანტების დაფისქირება რაც ხელს უშლიდა კონტრასტული სურათის მიღებას.

სიახლე სკანირების მეთოდიკაში

კვლევის პერიოდში სკანირებულ პაციენტებს შორის მოიძებნებოდა ისეთი პაციენტები რომელთა ორგანიზმიდან დროულად ვერ მოხერხდა რადიაქტიური პრეპარატის გამოყოფა. დროული გამოყოფა დამოკიდებულია კუჭის და საშარდე სისტემის მოქმედებაზე.

გამა კამერით სკანირების დროს შემჩნეულ იქნა ცდომილება, რომელიც გამოიკვეთა შემდეგში: პაციენტის მკურნალობის თუ დიაგნოსტიკის დროს მიღებული დოზა ზოგჯერ აჭარბებდა აპარატის შესაძლო რესურსს. ამ პრობლემის გადასაჭრალედ, როდესაც ორგანიზმიდან რადიოიზოტოპის ნახევარგამოსვლის პერიოდი დიდია, პაციენტების სკანირება სტანდარტული მეთოდით ტარდება კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ (2-4 დღე). ეს კი აგვიანებს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას და მკურნალობის დაწყებას.

სიახლე სკანირების მეთოდიკაში მდგომარეობს შემდეგში. შესწავლილ იქნა გამა კამერის ტექნიკური და პროგრამული მახასითებლები. სტატისტიკურად კვლევის 108 პაციენტიდან ამოირჩა 13, რომლებსაც ფიზიოლო-

გიური ფუნქციური შეზღუდვები ჰქონდა და სკანირების ახალი მეთოდიკით დაიწყო გამოკვლევა. განსხვავება სტანდარტულ და ახალ მეთოდს შორის არის ის რომ, სტანდარტულ მეთოდს აქვს პროგრამულად მითითებული შეზღუდვები გამოსხივებულ ენერგიასთან დამოკიდებულებაში, ხოლო გაუმჯობესებული მეთოდი საშუალებას იძლევა ეს დამოკიდებულება ვცვალოთ. საწოლი მაგიდის აჩქარებით ხდება პაციენტის შედარებით სწრაფი მოძრაობა კოლიმატორთან მიმართებაში, რაც საშუალებას გვაძლევს რომ კოლიმატორმა დააფიქსიროს მხოლოდ ის უბანი სადაც სიმსივნეა (სიმივნე უჯრედების მოჭარბებული რაოდენობაა სადაც პათოლოგიური ატომების კონცენტრაცია მაღალია) შესაბამისად აჩქარებით ფიქსირდება ის უბნები სადაც კონცენტრაცია მაღალია. შესაბამისად დაფიქსირებული გამა კვნატების დიდი რაოდენობა 1 გარკვეულ უბანზე რაც სურათს არაინფორმატულს ხდის. სურ.3



სურ.3 პაციენტები რომელთაც დასჭირდა 20-50სმ/წთ სიჩქარით სკანირება. (პაციენტებს აღენიშნებათ კუჭის მოქმედების პრობლემა)

სტანდარტული სკანირების მეთოდის დროს პაციენტი თავსდება სკანირებისთვის განკუთვნილ მაგიდაზე და ვიყენებთ ჩატვირთულ პროგრამას. ამ დროს პაციენტის საწოლი მაგიდა მოძრაობს კოლიმატორის საწინააღმდეგოდ გარკვეული სიჩქარით (15-20 სმ/წთ). აღმოჩნდა რომ ეს სიჩქარე მცირეა პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე. კოლიმატორი აფიქსირებს გამა კვანტებს და გარდაქმნის ვიზუალურ გამოსახულებად, პრობლემური პაციენტების სკანირებისას მიღებული კვანტების ენერგია მაღალია, აღემატება 22 მკზვ/სთ-ს და სურათზე აღბეჭდვისას იმდენად მრავალრიცხოვანია რომ იწვევს სურათის გამუქებას. პრობლემას მივუდექით შემდეგნაირად პაციენტს რომელსაც ნახევარგამოსვლის პერიოდი გაზრდილი აქვს და

ორგანიზმში დაგროვილი დოზა აღემატება ნორმით გათვალისწინებულს, ვაწვენთ სკანირების მაგიდაზე და ვიწყებთ სკანირებას. ამ დროს ვცვლით პროგრამულად სიჩქარეს (20-55 სმ/წთ), რომლის საშუალებაც სტანდარტულ შემთხვევაში არ გვაქვს. ვაჩქარებთ მანამდე, სანამ არ მოხდება ჩვენთვის სასურველი სიმსივნური ჩართვების დაფიქსირება. ვინაიდან საქმე გვაქვს სიმსივნური უჯრედების პათოლოგიურ დარღვევასთან, რის გამოც სიმივნურ წარმონაქმნში უჯრედები პათოლოგიურად გამრავლებულია, და იზოტოპი სწორედ ამ პათოლოგიურ უჯრედების ატომებში ნაწილება. შესაბამისად ვხედავთ, რომ ჯანმრთელ ქსოვილში იზოტოპის განაწილება თანაბარია, ხოლო პათოლოგიურ უბნებში უჯრედების მოჭარბებული რაოდენობაა. ანუ ჯანმრთელი და პათოლოგიური უბნების გამოსხივება ერთანმეთისგან კონტრასტულად განხვავდება (სურ. 4).



სურ.4. სკანირების გაუმჯობესებული მეთოდით მიღებული სურათები პრობლემური პაციენტებისთვის: ა) 45 წლის პაციენტი, ბ) 50 წლის პაციენტი გ) 53 წლის პაციენტი

სურ. 3-სურ. 4. ნათლად ჩანს შედეგი და განსხვავება სტანდარტულ და ახალ მეთოდიკას შორის. სკანირების ეს სურათები ახალი მეთოდის შედეგია რომელზეც ექიმმა გააკეთე დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და დანიშნა შესაბამისი მკურნალობა სურ.4. მე-4 სურათები სკანირების ახალი მეთოდის შედეგია და განსხვავება სტანდარტულისგან ცალსახად შესამჩნევია. მეთოდმა საშუალება მოგვცა დროის მცირე მონაკვეთში მიგვეღო ინფორმატული, კონტრასტული სურათი, რომელმაც დააჩქარა პაციენტის მდგომარეობის დადგენა და ექიმს მისცა მკურნალობის შემდეგი ეტაპის დაეგეგმვის საშუალება.

დასკვნა

ამგვარად, შემუშავებული მეთოდით, კერძოდ, გამა კამერის მაგიდის სიჩქარის გაზრდით, შესაძლებელი გახდა ინფორმაციული სურათის მიღება,

სადაც გამოიკვეთა საკვლევი ორგანოს გამოსახულება. ექიმს მიეცა დასკვნის უმოკლეს დროში გაკეთების საშუალება. აქედან გამომდინარე, ახალმა მეთოდმა შეამცირა პაციენტის კლინიკაში დაყოვნების და ორგანიზმის რადიაციით დატვირთვის დრო.

ლიტერატურა :

1. PHYSICS in NUCLEAR MEDICINE. Cherry, Simon R. Physics in nuclear medicine / Simon R. Cherry, James A. Sorenson, Michael E. Phelps. —4th ed. â•…â•…â•…p. ; cm. Includes bibliographical references and index. ISBN 978-1-4160-5198-5 (hardback : alk. paper) 1. Medical physics. 2. Nuclear medicine. I. Sorenson, James A., 1938- II. Phelps, Michael E. III. Title. [DNLM: 1. Health Physics. 2. Nuclear Medicine. WN 110] R895.S58 2012 610.1'53—dc23
2. ნ.დოლიძე. რადიაციული უსაფრთხოების ფიზიკური საფუძვლები. // სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2010. – 126 გვ. სტუ-ს ბიბლიოთეკის კოდი 621.039 (02)/19.
3. ნ.დოლიძე, ქ.კოტეტიშვილი, გ.ჩიხლაძე. მაიონებელი გამოსხივება მედიცინაში. ნაწილი I. დიაგნოსტიკა. // სახელმძღვანელო. საგა-მომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2012 149 გვ. (სტუ-ს ბიბლიოთეკის ელექტრ. სახელმძღვანელო, CD 547).
4. ნ.დოლიძე, ქ.კოტეტიშვილი, გ.ჩიხლაძე. მაიონებელ ი გამოსხივება მედიცინაში. ნაწილი II. მკურნალობა. // სახელმძღვანელო. საგამომც. სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2012. 171 გვ. (სტუ-ს ბიბლიოთეკის ელექტრ. სახელმძღვანელო, CD 548).
5. Cherry SR, Sorensen JA, Phelps ME. Physics in Nuclear Medicine. 3rd ed. Philadelphia: W.B. Saunders; 2003.
6. „მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაცი-ული უსაფრთხოების ნორმები და ძირითადი მოთხოვნები“ (საქარ-თველოს მთავრობის დადგენილება #450, 27.08.2015)

Improved method of register with a gamma camera during isotope research

Valerian Khutsishvili, PhD student
Georgian Technical University

Kakhaber Shamatava, PhD student
Cukhumi State University

Nugzar Dolidze, professor
Georgian Technical University

Summary

The paper presents pathological patients with cancer, who during the isotopic study required an individual method of scanning, in particular, an improved method of registration with the gamma camera of patients admitted to the isotope during the diagnosis and treatment of the tumor. Where the method of scanning the pathological patient is individually adjusted, the speed of the bedside table, the number of gamma-rays received and the resulting image are constructive. The gamma camera and its working principles are discussed. For problem patients who have functional disorders in the body, the existing method of scanning has been improved, which allows the doctor to make more accurate conclusions with a clear picture of the scan in a short period of time. The new method gives a contrasting, informative picture, through which the doctor-oncologist makes a timely conclusion and plans for further treatment.

Keywords: Coant, Gamma camera, Thyroid gland, Scan.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს, აწყობილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის ცალ გვერდზე, 1.5 ინტერვალით, შრიფტი 12. სამუშაო ქაღალდის ველის ზომები: ზედა – 20 მმ, ქვედა – 20 მმ, მარცხენა – 30 მმ, მარჯვენა – 20 მმ;

აუცილებელია ნაშრომის ფიზიკური ვერსიის წარდგენა, ელექტრონული ვერსია კი შეიძლება წარმოადგინოთ დისკით, ან გამოაგზავნოთ ჟურნალის ელექტრონულ მისამართზე.

პირველი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში აღინიშნება ავტორის სახელი (სრულად), გვარი, სამეცნიერო წოდება, თანამდებობა, სამუშაო ადგილი.

სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იქნას ქართულ და უცხოურ ენებზე. მას უნდა ახლდეს რეზიუმე (დაახლოებით 150 სიტყვა). რეზიუმეშიც სტატიის სათაური და ავტორის/ავტორთა მონაცემები უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

ნაშრომის სტრუქტურა:

1. **რეზიუმე ქართულ ენაზე;**
2. **საკვანძო სიტყვები;**
3. **შესავალი**
4. **ძირითადი ნაწილი**
5. **დასკვნა**
6. **ლიტერატურა**
7. **რეზიუმე უცხოურ ენაზე**

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს სილფაინის შრიფტით. უცხო ენებზე შერულებული ნაშრომი – Times New Roman შრიფტით;
- სტატია გაფორმებული უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი (ავტორები) პასუხს აგებენ ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე;
- კრებულის ერთ ტომში დაშვებულია ერთი და იმავე ავტორის მხოლოდ ერთი სტატიის გამოქვეყნება.
- ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორს;
- მაგისტრანტების ნაშრომი ერთპიროვნულად უნდა იყოს შესრულებული;
- გამოსაქვეყნებელ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი დარგის მიმართულების ხელმძღვანელის ან პროფესორის მოკლე რეცენზია-რეკომენდაცია.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების“ დეპარტამენტში (ოთახი 805 ᵇ, კორპ. 6).

ტელ.: 68-13 (შიდა); 599-557-993; 599-553-980; E-mail: ganatleba2018@gmail.com.